


2-415 25 X 3
644/
1972/4



საქართველო

ბიბლიოთეკის ახალი ნაწილი



1972



სესია

175

გამოცემის მეთავესმება წელი

12 214



იანვარი

1972

თბილისი



საქ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფრალთა კავშირის ორგანო



შინაქრსი

თავისუფალ ერთა

მკლემ კავშირი ქმუჩი

- 3. რევაზ ბრძალიძე. სსრ კავშირის შემენის 50 წელი რუსი პოეტების ლექსები
- 9. გორის პასტერნაკი. ზამთრის ღამე. ლექსი. თარგმნა ტარიელ ქანტუჩიაშ
- 10. იუნა მორიცი. მამონტის კვალნი. ლექსი. თარგმნა გივი გეგეჭკორმა
- 11. ანდრეი ვოჯნესენსკი. ლექსები. თარგმნა შოთა ნიშნაიძემ.

პ რ ზ ა

- 14. გრიგოლ ავაშიშ. იგარსლან ბაკურციხელი. ნაწყვეტი რომანიდან
- 36. ლევან მაღაჯონია. თვითგვიშა. მოთხრობა. დასაწყისი
- 62. გოღეძი ვიწვილი. მიოწიტი. მოთხრობა

კ რ ე ზ ი ა

- 59. ოთარ მამფორია. აპრილის ქარი. ლექსი
- 60. ოთარ შალაგაძე. ლექსები
- 95. გეგან ბარდაველიძე. ლექსები

ახალი თარგმანები

- 67. ტრუმენ კაპოტი. ბალახის სიმღერა. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა

ხუთწლელი ჩვენს სოფალები

- 86. თეარ წულიხაიკი. მუხა, ვაზი და სკამელი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 101. ავლივი ჯურაბაშვილი. პერსონალოზირი პრეზენტები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ვლადიმერ შავგულიძე. თქმულება შემეღეს ქართულ სამყაროზე
- 119. გივი ახვლედიანი. წყლის კულტის მოტივიები „ვარუაშიანი“
- 126. ალექსი ვინეარაული. ვინ თქვა პირველად „უშტარ-ნათელი“?

მ რ ნ ო გ რ ა ვ ი ა

- 140. რევაზ თვაჩაძე. ლეგენდა ბალახტიონის ცხოვრებისა. დასაწყისი

ი უ მ ო რ ი

- 156. ტია-ტია. საბალწლო სუფრასთან
- 159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
პანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ახთიანი,
- აბაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვარდუთელი
- მირაზ ელიოვიშვილი,
- ქარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პაპაიანი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგარ ფოფხაძე,
- ნელა წულიხაიკი,
- ტარიელ მანუჩიანი,
- სერგი შილაი,
- თეაზ ვილამა,
- ლაშა ჯანაშია.

თხვისუფალ ერთეულზე ქვეშირი ქვერი

რეპუზ გრძელიძე

სსრ კავშირის შექმნის 50 წელი

მიმდინარე წლის დამლევს სრულდება სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წელი. საბჭოთა ხალხების ძმური თანამშრომლობისა და ურყევი მეგობრობის საფუძველზე ამ ნახევარი საუკუნის წინათ ჩამოყალიბდა თანასწორუფლებიანი ერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

„ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკვ XXIV ყრილობაზე, — სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს“.

კავშირობის მთელი ისტორიის მანძილზე არაერთი დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება წარმოქმნილა. საკმარისია ვაიხსენოთ კიროსის, ალექსანდრე მაკედონელის, რომის, ბიზანტიის, ნაპოლეონის, ფაშისტური გერმანიის შრავალფეროვანი იმპერიები. მაგრამ ეს შემთხვევითი და ეფემერული სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი იქმნებოდნენ და ირღვეოდნენ. ამა თუ იმ დამპყრობელის გამარჯვებითა ან დამარცხებითა შედეგად, ძალადობასა და ეროვნულ ჩაგვრაზე იყვნენ დაფუძნებული და, ბუნებრივია, ხანგრძლივი არსებობის უნარი არ შესწევდათ.

მათგან განსხვავებით, სსრ კავშირი თანასწორობისა და ნებაყოფლობის ლენინურ პრინციპებზე აგებული ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოა. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ხალხთა მეგობრობის პირშომ — სსრ კავშირმა ცხადყო თავისი სიკოცხისუნა-

რიანობა და ცხოველმყოფელობა; მასში გაერთიანებულმა ხალხებმა ერთობლივი შრომისა და ბრძოლის გმირული გზა განვლეს, უდიდესი მიღწევები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, წარმატებით ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და ახლა მოზღვავებული ენერჯით იღწვიან სკვ XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ფუნდამენტული და მესაქე ვ. ი. ლენინი, საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში, 1918 წლის 18(31) იანვარს, წინასწარმეტყველურად ამბობდა, რომ „...ჩვენი ახალი სახელმწიფო უფრო მტკიცეა ძალმომრეობითს ხელისუფლებაზე, რომელიც სიცრუით და მახვილით აერთიანებს იმპერიალისტებისათვის საჭირო ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს... აი ჩვენი ფედერაციის საფუძველი, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უშლევითა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., 26, გვ. 562).

სსრ კავშირის შექმნისა და განვითარების ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ ბრწყინვალედ

დადასტურა ვ. ი. ლენინის ბრძნული წინასწარ ხედვა. თუ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების დროს, 1922 წლისათვის, მისში მხოლოდ ოთხი საბჭოთა რესპუბლიკა შედიოდა (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ამიერკავკასიის ფედერაცია), ახლა ჩვენს მრავალეროვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში 53 ეროვნული სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ერთეული შედის, მათ შორის: 15 მოკავშირე რესპუბლიკა, 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული მხარე.

მწელი და რთული იყო მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების გზა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ჩაგრულ ხალხთა მისწრაფება მშერი თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაკენ ჩაისახა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, რომელმაც მტკიცე საფუძველი შექმნა მრავალეროვანი სახელმწიფოს მყარი შენობის აგებისათვის.

რუსეთის ხალხთა თანამშრომლობისა და გაერთიანების საწყისი ეტაპზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირველ პერიოდს მოიცავს, ხალხთა თანამშრომლობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სავსებით განსაზღვრული, მტკიცედ დადგენილი ფორმა. ეს ეტაპი დასრულდა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით (1918 წ. ივლისი), რომელმაც იურიდიულად დადასტურა რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა.

ხალხთა თანამშრომლობისა და გაერთიანების შემდეგ ეტაპი სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდს ემთხვევა, როცა საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის ინტერესები პირველ რიგში დადგა და ხალხთა თანამშრომლობა სამხედრო კავშირის ფორმით გამოიხატა. 1919 წლის მისში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დირექტივა საბჭოთა რესპუბლიკების „სამხედრო ერთიანობის შესახებ“. ამ დირექტივის საფუძველზე ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოისცა დეკრეტი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ორგანიზაციებისა და სამხედრო სარდლობის, სახალხო მეურნეობის საბჭოების, რკინიგზის მეურნეობისა და მმართველობის, ფინანსებისა და შრომის კომისარიატების გაერთიანების შესახებ.

სამოქალაქო ომის გამარჯვებით დავიარკვევების შემდეგ უპირველესი ამოცანა გახდა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. ამან, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მტკიცე ფედერაციული კავშირის შექმნის აუცილებლობა, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური კავშირი იყო.

1921-1922 წ.წ. ხალხთა შორის თანამშრომლობა სამეურნეო-პოლიტიკურ მარჯობის დაფუძნებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკების კეული საბჭოთა რესპუბლიკების შორის სამოკავშირეო მუშურ-გლეხურ ხელშეკრულებათაზე.

ასეთი ხელშეკრულება პირველად ვაფორმდა 1920 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციასა და საბჭოთა უკრაინას შორის, ხოლო 1921 წლის იანვარში რსფსრ და საბჭოთა ბელორუსიას შორის. ამ ხელშეკრულებათა შესაბამისად გაერთიანდა სამხედრო, საზღვაო, საგარეო ვაჭრობის, ფინანსთა, შრომის, რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატები და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მსგავსი ხელშეკრულებანი დაიდო რსფსრ და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების გზაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება. საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში უნდა შეექმნა ეროვნული მშვიდობიანობის ისეთი ორგანო, რომელიც უსესლებდა ეროვნული კონფლიქტების მოწესრიგებას და ინტერნაციონალიზმის განსაღრმავების შექმნას. ეროვნული მშვიდობიანობის ასეთი ორგანო უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის პროექტი პირადად ვ. ი. ლენინმა შეადგინა. პროექტის პირველ რუნქებში ნათქვამი იყო, რომ: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნას პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროს განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვეყნიდან გატარებისათვის“. (ვ. ი. ლენინი თხ. ტ. 33, გვ. 134).

ვ. ი. ლენინის ეს პროექტი 1921 წლის 29 ნოემბერს მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ და მისი განხორციელება კავკასიის ბიუროსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალა.

1922 წლის თებერვალში გაიმართა ამიერკავკასიის კონფერენცია ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულება და აღიარა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სახალხო კომიტეტი. ამ უკანასკნელის ინიციატივით 1922 წლის 12 მარტს გაიხსნა ანერ-ბიოჯანის, სომხეთის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა. კონფერენცი-



ამ მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სა-
მოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის ძალი-
თაც ფედერაციის საერთო გამგებლობაში გა-
დავიდა სამხედრო საქმე, საგარეო პოლიტიკა,
საგარეო ვაჭრობა, ფინანსები, კავშირგამბუ-
ლობა, ეკონომიური პოლიტიკის ხელმძღვანე-
ლობა და კონტრევოლუციასთან ბრძოლის ფუნ-
ქცია.

1922 წლის დეკემბერში სსრ კავშირის შექ-
მნასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ფედერა-
ცია გადარქმუნდა ამიერკავკასიის სოციალის-
ტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად,
რომელმაც 1936 წლამდე იარსება და წარმატე-
ბით შესარულა მის წინაშე მდგარი ამოცანები.
ზალხთა თანამშრომლობისა და გავრთიანების
დაცვნიით ეტაპი 1922 წლის მეორე ნახევარს
მოიცავს, როცა ცალკეული რესპუბლიკები საბ-
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-
რად გავრთიანდნენ.

1922 წლის 10 აგვისტოს პარტიის ცენტრა-
ლურმა კომიტეტმა შექმნა კომისია ი. ბ. სტა-
ლინის მეთაურობით რკპ(ბ) ცენტრალური კო-
მიტეტის პლენუმებისათვის რუსეთის სსსრ,
უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერ-
კავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებუ-
ლების საკითხის მოსამზადებლად. 1922 წლის
24 სექტემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტე-
ტის კომისიამ მოიწონა ი. ბ. სტალინის მიერ
შედგენილი თეზისების პროექტი საბჭოთა რეს-
პუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების შე-
სახებ, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის,
ბელორუსიისა და ამიერკავკასიის ფედერაციის
გავრთიანების რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ
რესპუბლიკასთან ავტონომიური რესპუბლი-
კების უფლებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს
თეზისები ვერ კიდევ არ იყო განხილული ყვე-
ლა რესპუბლიკის კომპარტიის, კერძოდ უკრა-
ინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მი-
ერ, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლურმა კომიტეტმა „ავტონომიზაციის“ ფორმით
საბჭოთა რესპუბლიკების გავრთიანება ნაადრე-
ვად მიიჩნია.

1922 წლის 26 სექტემბერს პოლიტიბუროს
წევრებისადმი გაგზავნილ ბარათში ვ. ი. ლენინ-
მა, რომელიც ამ დროს უკვე მძიმედ იყო ავად,
უარყო ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებული
„ავტონომიზაციის“ გეგმა და თანასწორობისა
და სუვერენობის საფუძველზე საბჭოთა რეს-
პუბლიკების გავრთიანების იდეა წამოაყენა.
„...ჩვენ ვცნობთ თავს, — წერდა ვ. ი. ლენინი ამ
ბარათში, — თანასწორუფლებიანად უკრაინის
საბჭოთა-სოციალისტურ რესპუბლიკასთან და
სხვებთან, მათთან ერთად და მათ თანაბრად შეე-
დევართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში“.
(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 844).

1922 წლის 6-ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრა-
ლური კომიტეტის პლენუმმა განიხილა და ერთ-

სულგნად მოიწონა საბჭოთა რესპუბლიკების
საკავშირო სახელმწიფოდ გავრთიანების
ნური გეგმა. პლენუმმა გამოყო კომისია ი. ბ.
სტალინის მეთაურობით საბჭოთა რესპუბლიკე-
ბის გავრთიანებისათვის მოსამზადებელი მუშა-
ობის ჩასატარებლად.

ოქტომბრის მეორე ნახევარში გამართა სა-
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის პლენუმი, რომელმაც ძირითადად მოი-
წონა სსრ კავშირის შექმნის იდეა, მაგრამ ამა-
ვე დროს მიიღო გადაწყვეტილება ეშუამდგომ-
ლა რკპ(ბ) ცკ-ის წინაშე ამიერკავკასიის ფე-
დერაციის გაუქმებისა და სსრ კავშირის შე-
მადგენლობაში საქართველოს საბჭოთა რეს-
პუბლიკის დამოუკიდებლად შესვლის შესახებ.
ეს გადაწყვეტილება სეპარატისტული იყო, რად-
გან ამიერკავკასიის ფედერაცია სამი რესპუბ-
ლიკის კომპარტიათა ერთობლივი შეთანხმებით
შეიქმნა და საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
ლურ კომიტეტს, სადაც ნაციონალ-უკლონის-
ტები ჰარბობდნენ, უფლება არ ჰქონდა ცალ-
მხრივად დაერღვია შეთანხმება და ფედერა-
ციის ლევილიციის საკითხი დაეყენებინა.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები თავი-
დანვე გამოვიდნენ ამიერკავკასიის ფედერაცი-
ის შექმნის წინააღმდეგ, რადგან ფედერაციაში
შესვლა საქართველოს იმ პრივილეგირებულ
მდგომარეობას ართმევდა, რაც მას ზათუმის
ნახსადგურისა და თბილისის სარკინიგზო კვან-
ძის შემწეობით ამიერკავკასიაში ეკავა. ამის გა-
მო ურთიერთობა ამიერკავკასიის სამხარეო კო-
მიტეტსა და საქართველოს კომპარტიის უკლო-
ნისტურ ცენტრალურ კომიტეტს შორის უადრე-
სად გამჟავდა. უკლონისტები ცკ-ს შემადგენ-
ლობიდან გავიდნენ და საჩივრით მიმართეს
რკპ(ბ) ცკ-ს. ლენინს დიდად აფიქრებდა ის
გაჩრდილება, რომ რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტის ხელმძღვანელობა და პირადად ვ. კ.
ორჯონიკიძე პარტიის ეროვნული პოლიტიკის
ჯანზორციელების დროს ზოგჯერ უხეშ შეცლო-
ნებესაც უშვებდა და მერყეულ ელემენტებს უკ-
ლონისტთა ბანაკისკენ უბიძგებდა. ამასთან და-
კავშირებით ვ. ი. ლენინი წერილში „ეროვნება-
თა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შე-
სახებ“ წერდა: „ორჯონიკიძე ხელისუფლება
იყო კავკასიის ყველა დანარჩენი მოქალაქის მი-
მართ. ორჯონიკიძეს არ ჰქონდა იმ გაფულინე-
ბის უფლება, რომელზედაც ის და ძერწონიკი
ნიგვითიბებდნენ. ორჯონიკიძე, პირიქით, ვალ-
დებული იყო მოქცეულიყო ისე თავდაპირი-
ლად, როგორც არც ერთი ჩვეულებრივი მო-
ქალაქე ვალდებული არ არის მოიქცეს, მით უფ-
რო „პოლიტიკურ“ დანაშაულში ბრალდებული“
(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 690).

რამზა გრძელძე

სსრ პავშირის შიძენის 50 წელი

მას შემდეგ, რაც რკპ(მ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა და ცალკეული რესპუბლიკების კომპარტიებმა მოიწონეს ვ. ი. ლენინის იდეა სსრ კავშირის შექმნის შესახებ, გამართიანებელმა მოძრაობამ საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო.

ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულმა საბჭოების ყრილობებმა ცხადდეს, რომ ყველა რესპუბლიკის მშრომლები ერთსულოვნად იწონებდნენ სსრ კავშირის შექმნის ლენინურ გეგმას და მოითხოვდნენ ამ გეგმის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა. ვ. ი. ლენინმა, ავადმყოფობის გამო, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღო. საბჭოების ყრილობამ ვ. ი. ლენინი საპატიო თავმჯდომარედ აირჩია და გულთბილი მისახალმებელი ღებემა გაუგზავნა მას. ყრილობამ მოისმინა და განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, დამატეიკა სამოკავშირეო ხელშეკრულება და დეკლარაცია, აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

დეკარაიცია და ხელშეკრულება განსაზღვრავდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ორგანოებს — საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხენ, რესპუბლიკური და საკავშირო სახალხო კომისარიატების ურთიერთობას, აწესებდა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთათვის ერთიან საკავშირო მოქალაქეობას, ერთიან სახელმწიფო დროშას, გერბსა და ზეშეშე. ხელშეკრულებს დასკვნის, 26-ე მუხლი ნათქვამი იყო, რომ თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს კავშირიდან თავისუფალი ვასელის უფლებას.

სსრ კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის ლენინური ერთეული პოლიტიკის ტრიუმფი და მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა იყო. საბჭოების პირველი ყრილობის დახურვისას მ. ი. კალინინი მიუთითებდა, რომ ის, რაც დღეს ჩვეულებრივ ვითარებაში ზნება მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. შეიძლება ახლა მიმდინარე მონეტში, ამ მოვლენის მნიშვნელობა სავეტოით შეცნობილი არ არის, მაგრამ პოლიტიკურ პოპოზიტხე იგი სულ უფრო გადაწყვეტი მნიშვნელობის მოპოვებს და ამაში დაეძვება არ შეიძლება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ინიციატორი ვ. ი. ლენინი იყო. მან შეიმუშავა სსრ კავშირის შექმნის გეგმა და, მიუხედავად ავადმყოფობისა, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ხალხთა გამართიანებელ მოძრაობას, ასწორებდა დაშვებულ შეცდომებს. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანი-

ჭებდა ვ. ი. ლენინი სსრ კავშირის შექმნას და საბჭოების ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რაიცისა და ხელშეკრულების პრეპარატს, ზორციელებას ჩანს ოქდანაც, რომ სწორედ ყრილობის მუშაობის დღეებში, 1922 წლის 30 და 31 დეკემბერს უკარახხა მან ერთ-ერთი ბოლო წერილი აეროვნებათა საეთხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“.

ამ წერილში, რომელსაც პროგრამული მნიშვნელობა აქვს, ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა პარტიას არ დაეშვა ერთეული საეთხისადმი ფორმალური მიდგომა, თავი დაეღწია ველიკორუსული შოვინიზმის საშორობისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში „კავშირიდან ვასელის თავისუფლება“, წერდა ვ. ი. ლენინი, რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატიხა ქალადი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შესძლებს დაიცვას რუსეთის სხვა ტომელები იმ ქეშმარტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინისტის, არსებოთად ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორც არის ტიპური რუსი ბიუროკრატ“ (ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 36, გვ. 689).

ვ. ი. ლენინმა საქართველოს მავალითხე უჩვენა, რომ აღრე მჩავვერდი ერის კომუნისტები არა მარტო უნდა აღირებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობას, არამედ მქსიმალური დამთმობლობა და ტაქტი უნდა გამოიჩინონ წინათ ჩაგრული ერების მიმართ. ამ მიზნით ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მკაცრი წესების შემოღებას ერთეული ენების ხმარების თაობაზე და დეტალური კოდექსის შედგენას კავშირში შემავალი რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დაცვადალ.

ვ. ი. ლენინის გენიალურმა წინასწარხედამ და მისმა ბრძნულმა მითითებებმა შესაძლებლობა მისცა პარტიას დროზე აღმოეგზხრა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროცესში დაშვებული შეცდომები და შეექმნა მსოფლიო ისტორიაში არანახელი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრანიტის საძირკველი დაფუძნებული მრავალეროვანი სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მიმდინარე წლის დეკემბერში 50 წელი სრულდება თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანების — სსრ კავშირის შექმნიდან. ვანუხომელეა სსრ კავშირის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ხალხების საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებაში, მათი ყოველმხრივ დაწინაურების საქმეში. საბჭოთა კავშირის შექმნამ მოამზადა ყველა საჭირო პირობა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის, წინათ ჩაგრული ხალხების მოწინავე, სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.



სოციალიზმის აშენების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაში, ეროვნულ ურთიერთობის სფეროში. ისტორიაში პირველად გადიდება ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემა, ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა დიდად განვითარებული მრეწველობა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, აღიზარდნენ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, ყოველმხრივ განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ გაიმარჯვა ერთი თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმობის საბჭოთა იდეოლოგიაში. საბჭოთა კავშირის ხალხების ურდუევი მეგობრობა, რომელმაც მრავალ განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო, საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი. ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ერთობის ნიადაგზე დაფუძნებული ადამიანთა ახალი ისტორიული და ინტერნაციონალური ერთობა წარმოიქმნა და განვითარდა ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური წყობის — მეურნეობის სოციალისტური სისტემის, საერთო სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის, ერთიანი მსოფლმხედველობის — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, საერთო მიზნის კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და საერთო სოციალისტური სამშობლოს — სსრ კავშირის არსებობის საფუძველზე.

სკკ XXIV ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებში მოცემულია იმ პროცესების ღრმა თეორიული ანალიზი, რომელთა საფუძველზედაც ხდება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის სოციალურ-ეკონომიური და იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება და განვითარება. „სოციალისტური მშენებლობის წლებში, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევა სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი, — ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ა ხ ა ლ ი ის ტ ო რ ი უ ლ ი ერთობა — საბჭოთა ახალი ი. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მისი დაცვისათვის ბრძოლებში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, მარშონიული ურთიერთობა-მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა. ჩვენი ადამიანები შეუდლაბებული არიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთობით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლო-

ბის მაღალი მიზნების ერთობით. ამ მოწოდებით მრავალეროვან შეკავშირებას ხაზში ცხადმყოფს თავისი შრომით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთობლივანი მოწოდებით“.

საბჭოთა ადამიანების ამ ახალი ისტორიული ერთობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანთაღივებურება ისაა, რომ იგი პარზონიულად ახამებს მთელი საბჭოთა ხალხისა და მასში შემავალი ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს, ინტერნაციონალურ და ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებს. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი განასახიერებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნეო გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა ერის, ეროვნებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფის პარზონიულ ერთიანობას.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ პროცესს ბურჟუაზიის იდეოლოგიები იმდაგვარად წარმოვედგენენ თითქოს საბჭოთა კავშირში ხალხთა ერთიან „საბჭოთა-რუსულ ტიპის“ ერთ ძალდატანებით შერწყმას ქონდეს ადგილი. მაგრამ სინამდვილეში ახალი, ისტორიული ერთობის შექმნა არსებული ეროვნულ ერთობათა შერწყმას როდი ნიშნავს, რადგან საბჭოთა ხალხი ინტერნაციონალური ერთობაა და არა ეთნიკური. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ინტერნაციონალურ და ეროვნულ ერთობათა პარზონიულ შეხამებას და ორგანულ ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში ინტერნაციონალური და ეროვნული ერთიანების კი არ გამოიციხება, არამედ განაპირობებს, ამდიდრებს, ავსებს.

სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების ობიექტური ტენდენციების გათვალისწინების საფუძველზე სკკ XXIV ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოცემულია საბჭოთა ერებს შორის ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის ფართო პროგრამა, რომლის განხორციელებაც დიდად შეუწყობს ხელს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების სპეციალური განყოფილება ეძღვნება მოკავშირე რესპუბლიკებში საწარმოო ძალების განლაგებისა და განვითარების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპებისა და პროპორციების დახასიათებას. ამ მონაცემების პრაქტიკული განხორციელება დააჩქარებს საბ-

რამაზ ბრძლიძე

სსრ კავშირის შიძინდი 50 წელი



ქოთა რესპუბლიკების დონეთა მთლიან გათანაბრებას ეკონომიური და კულტურული განვითარების სფეროში, რაც კიდევ უფრო მონოლითურს გახდის საბჭოთა ხალხების ურდვევ ერთიანობას. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ასევე მასში შემავალი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინება და დაცვა—ასეთია პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გენერალური ხაზი.

მრავალეროვიან საბჭოთა ხალხს, როგორც საბჭოთა ადამიანების ახალ ისტორიულ და ინტერნაციონალურ ერთობას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები და თავისებურებანი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაში, სულიერ სამყაროში, ფსიქოლოგიაში, მათ შორის უმთავრესია: ხალხთა ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შექმნილი საერთო სოციალისტური სამშობლო — სსრ კავშირი; საერთო ეკონომიური ბაზა-სოციალისტური მეურნეობა; საბჭოთა საზოგადოების საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა; საერთო მსოფლმხედველობა — მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია; ერთიანი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურა; ეროვნულ ენებთან ერთად რუსული ენის, როგორც საეროენება-თაშორისო ურთიერთობის ენის არსებობა და განვითარება; სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის გათანაბრება; პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პარტიოტიზმის განვითარება, ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი შეუწყნარებლობა; სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა; საერთო მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ბურჟუაზიის დაქირავებულ კალმონებს ახლა მთელი ყურადღება გადააქვთ ნაციონალისტური იდეოლოგიის პროპაგანდაზე და ამ გზით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა ხალხების მეგობრობას, მათ მორალურ პოლიტიკურ ერთიანობას, ნაციონალიზმის შხამით მოწამლონ საბჭოთა ადამიანების შეგნება. ბურჟუაზიის იდეოლოგები შეგნებულად ამხინებენ სსკპ

ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პარტიის მიერ აყალიბებენ სსრ კავშირის შექმნის ისტორიის თარების ისტორიას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ფასლიფიკატორი ინგლისელი სოციოლოგი დ. უილერი მთელს იმედებს ნაციონალიზმზე ამყარებს. იგი ამჟღავნებს ალიარტებს, რომ დასავლეთის ბლოკის ყველა ქვეყანა დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის შიგნით ნაციონალიზმის გაღვივებით, რადგან ნაციონალისტური სულსიკვეთების ფართოდ გავრცელება ძირს გამოუთხარის სსრ კავშირის სტრატეგიულ და ეკონომიურ ძლიერებას.

სსკპ XXIV ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ყურადღება სამართლიანად გაამახვილა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებისა და ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლენის ძირფესვიანი აღმოფხვრის აუცილებლობაზე, რადგან იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებისა და ნაციონალისტური პროპაგანდის გაძლიერების პირობებში საბჭოთა ადამიანების აღზრდას საბჭოთა პარტიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულსიკვეთებით განსაკუთრებული მინშველობა ენიჭება.

ამასთან დაკავშირებით სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობაზე განაცხადა, რომ „პარტია კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულსიკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოკინიზმის, ეროვნული შეზღუდულობის და ყოყოინობის, მათი ყოველგვარი ფორმის გამოვლენებისადმი შეურიგებლობის სულსიკვეთებით, ყველა ერისა და ხალხის პატივისცემის სულსიკვეთებით“.

საბჭოთა ადამიანები მომავლის ღრმა რწმენით, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმაქობით ხვდებიან ხალხთა დიად დღესასწაულს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს. საბჭოთა კავშირის ნახევარი საუკუნის ისტორია ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების უდიდეს მიღწევათა მდიდარი მატანეა, რომელიც მყიდვიოდ მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალასა და გამარჯვებას.



ბოჩის პასჰერნაჰი

გამთრის ღამე

თოვდა და თოვდა უსაშველოდ
თეთრი ფანტელი.
ენტო სანთელი, მაგიდაზე
ენტო სანთელი.

როგორც ზაფხულში ალს ფარვანა
თავზე ევლება —
ეძებდა სანთელს ფრთაფარფატა
ფიფქის პეპლები.

ხაზავდა ზამთრის შემკრთალ ხაზებს
კორიანტელი,
ენტო სანთელი, მაგიდაზე
ენტო სანთელი.

დაჩნდენ ჩრდილები ნათელ ჭერზე
ჩუმად, დუმილით,
ყელით ყელზე და ბედით ბედზე
გადაჭდობილი.

ძირს ყრუ ხმაურით ჩამოცვივდა
ფეხსაცმელები,
ლამბამ კაბაზე ჩამოწვეთა
ცვილის ცრემლები.

თოვლის სითეთრით იყო სავსე
ის ქრუანტელი.
ენტო სანთელი, მაგიდაზე
ენტო სანთელი.

და ვნებით მოღლილ მკლავებს როცა
ვჭვრეტდი შორიდან,

თითქო ჯვარცმული ანგელოსის
იყო ორი ფრთა.

მთლად თებერვალი თოვდა ასე,
და ვით კანდელი —
ენთო სანთელი, მაგიდაზე
ენთო სანთელი...

თარგმან ბარიელ ჰანბურიაშვილი

იხანა მოკიცი

მამონტის კვალი

მას სულგუნით მლაშე ზვირთის მძაფრი წადილი
ზღვისკენ უხმობდა, ეწეოდა, ესხმოდა რეტი.
ჩასახლებოდა გვამში ჩიტი, თევზი, ნადირი
სპილოზე უფრო გონიერს და სპილოზე კეთილს.

ის მიდიოდა, მაწანწალა და გარეწარი,
ათი ისარი გარჭობილი მიჰქონდა უგნურს,
ზღვა ეწეოდა და სიკვდილი შუბლზე ეწერა
და შესცქეროდა განთიადის ცეცხლოვან ჩუგლუგს.

არვინ იცოდა, არც ფრინველმა და არც ნადირმა,
ან კიდევ როგორ მიხვდებოდნენ თუნდაც გუმანით,
დიდი ტაბულის ერთ უჯრედში რომ მას ადვილად
დაუსვენეს ჯვარი და რომ იყო ბოლო სტუმარი.

როგორც სევადი მიუყვება ქართულ ფილიგრანს,
ისე მისდევდა იმის ბეჭებს სისხლის ნაკადი,
მან არ იცოდა, რა ელოდა, მაგრამ ბილიკი
დარჩა და დროის წყვედიადიდან მოდის აქამდის.

სული დაჭრილი გამარჯვებას მაინც ლამობდა
თუმცე შეურიგდა დამარცხებას იმისი მძორი,
მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ზღვისკენ მამონტი
დაბერებული, დაკოდილი, მოლლილი ბრძოლით.

ავაზის კვალი წაიშლება ალბათ ადვილად,
მისი კვალი კი გარდასულის არის მთხრობელი,
გამყინვარების ჯამს ეკუთვნის, მისი ლანდია,
ვით ენა ჩვენი აჩრდილია ჩვენი გრძნობების,

ო, იგი — დიდი მარტოსული, განა ფიქრობდა,
რომ წუთისოფელს მისი გააქვს და რომ ლალადისს
სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ამხელს სტრიქონი
და იმსახურებს გენიოსი თავის საკადრისს?

თარგმანა ზივი ზაგაზაორია

ანდრეი ჰოზნესენსკი

პარაბოლური ბალადა

ბედი რაღაც განგებით, არა ანაზღეულად,
მიჰქრის მომავლისაკენ

პარაბოლისებურად.

გზას, უმეტეს ნაწილად, უკუნეთში მიიკვლევს
და ნაკლებად მიჰყვება ცისარტყელის ბილიკებს.

იყო ერთდროს გოგენი — დიდებული მხატვარი,
როგორც ფუნჯის ჯადოქარს, არა ჰყავდა ბადალი.

იგი იყო აგენტი რომელიღაც ვაჭრობის, —
შიათრეუდა ცხოვრებას რაღაც ვაინაჩრობით.

ლუვრში თუ მიდიოდა — გზას შორიდან უვლიდა
და ასევე შორი გზით ბრუნდებოდა ლუვრიდან.

და ხუთავდა მხატვრის სულს,
როგორც უდაბნოეთი, —

მწუხრი აკადემიის,
ქალთა მიეთ-მოეთი.

ყრანტალეზდა ყვავივით ბედისწერა ყურუმი.
რაღაც ნიშნისმოგებით ხორხოცებდნენ ქურუმნი:

„დაე, ლუვრის ცხოვრება — მართლა შეუდარები —
დაეხატა პირდაპირ,

რაღაც მოიარებით?“

ზოგი თავის მიზანთან მიდის პარაბოლურად,

ზოგი მიდის მოკლე გზით,

ქედის მოხრით,

მონურად...

ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ცისფერთვალა სტუდენტი,
წიგნებსა და გამოცდებს ღამეს ერთად გუთევდით.

უფრო მძაფრად რომ მეგრძნო სიახლოვე იმისი,

ავდექ,

შორშორ ვიარე,

მოვიარე თბილისი.

მომიტვევე, ძვირფასო, პარაბოლა ბრიყვეული,
თურმე როდი ვყოფილვართ გზებით გადატიხრული.
ამართულხარ ანტენად
და რაც საოცარია, —
ჩუმი ჩუმი ჩურჩული არცკი გამოგპარვია.

ცხრა ზღვას,
ცხრა ტბას რომ გავცდე, ცხრა მთასა და მინდორველს —
უმალ შენთან გამაჩენ, რა წამშიაც ინდომებ.
ხელოვნება — მაღალი,
სიყვარული — ნამდვილი
თავის სიდიადეში პარაბოლას გაივლის.
მუდამ გვიხმობს ორი გზა:
პირდაპირი,
ირიბი...
რომელია სწორი გზა —
შორი გზა თუ პირიქით?

გ მ ი ა

მე ვარ გოია...

და ყვაებისგან თვალებდათხრილს ვგვევარ გოლიათს.
მე ვარ გოია...
მელანქოლია...
დანახშირებულ ქალაქების
მე ვარ შიშშილი.
და ეშმასავით ჭურვის შიშინი...
ცაო, მიშველე,
მე ვარ შიშველი,
სიმართლისათვის წამებით მკედარი,
სახრჩობელაზე დაკიდული, მკლავმომსხვრეული
და როგორც ზარი, სამრეკლოზე გამსკდარი ზარი
ისე ჟღერალებს გარუმბული ჩემი სხეული.

მე ვარ გოია!

ო, შურისგებაე,
წმინდა არი საშენო მსხვერპლი,
დასავლეთისკენ ქარს მივეცი მომხვდურის ფერფლი
და უკუნეთი როს დაილეწა,
როს დედებს თვალზე შეაშრათ ცრემლი,
მემორიალურ დაფასავიდ გავჭედე ზეცა
და ვარსკვლავებით ამოვქარგე დიდება ჩემი.
მე —
მკვდრეთით აღმდგარს ვგვევარ გოლიათს...

მე ვარ გოია!

მთვარის ნერლი

ზოგი საყდარი გოგრას მიაგავს,
კვერთხს მოგაგონებს ზოგი საყდარი,
მაგრამ ნერლი კი მოჰგავს იალქანს, —
მრავლის მოწამე და ამაგდარი.

გამოვიარე გზა დამქანცავი
და ბორცვისაკენ ნაბიჯს ვუმატებ,
ტელევიზორის სქელ ლინზასავით
ვჭკვრეტ მოელვარე ტაძრის გუმბათებს.

დედარუსეთო, თავს გეფიცები,
გამსჭვალული ვარ მაგ სიღიადით,
შენი ომებით,
შენი სიზმრებით,
შენი მომავლით
და განთიადით.

დედაო. ადრე დაქალებულხარ
და ჭირიც ადრე შემოგჩენია,
წყვედიადი თუმცა დიდხანს გებურა,
დღეს ბრწყინვალეა მხოლოდ შენია.

ზოგი ტაძარი გოგრას მიაგავს,
კვერთხს მოგაგონებს ზოგი საყდარი,
მაგრამ ნერლი კი — მხოლოდ იალქანს, —
მრავლის მოწამე და ამაგდარი...

თარგმანა ზოთა ნიუნიანიძე





ეპოსონ ბაჟუხსიანი

გამოჩენილი ქართველი მწერალი გრიგორ აბაშიძე ამთავრებს ახალ ისტორიულ რომანს სახელწოდებით: „ცოტნე დადიანი ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“.

რომანი ასახავს მონგოლთა ბატონობის მძიმე ხანას (XIII ს.) და ვრცლად მოგვითხრობს ცოტნე დადიანის გამირობასა და ზნეობრივ კეთილშობილებაზე.

რომანში ჩართული რამდენიმე ექსე-ნოველა ეძღვნება კობტასთავის ცალკეულ შეთქმულთა ცხოვრებას. ვებეჭდავთ ერთ-ერთ მათგანს.

კობტასთავს შეკრებულ შეთქმულთა ჩამოთვლას მემატეიანე ეგარსლან ბაკურციხელით იწყებს: „...ამა შფოთთა შინა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კობტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი“...

ეგარსლან ბაკურციხელი საქართველოს მეფის, ლაშა-გიორგის თაობის კაცი უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი მონგოლთა ბატონობის დამყარებამდე არ ჩანს, მაგრამ რაკი უმეფობის ხანაში სამშობლოს ბედზე მზრუნველ უწარჩინებულეს ქართველთა შორის პირვე-



ლი იხსენიება, საფიქრებელია, რომ ეს პატივი ლაშასა და რუსუდანის დროინდელ ომებში ჩადენილი გმირობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოჩენილი ნიჭის გამო უნდა რგებოდა.

ეტყობა, ბაკურციხელი გვართა და წარმომობით თავის თანამოღვაწეებზე აღმა უნდა მდგარიყო და სწორედ ამან დააღუპა კიდევ საბოლოოდ.

ცნობილია, რომ დიდგვარიანები საერთოდ ვერ იტანენ ნიჭისა და პირადი ღირსების გამო დაწინაურებული ადამიანების გატოლებას და მით უფრო, მათზე გაბატონებას. ქვეყნისათვის რაგინდ სასარგებლო საქმესაც არ უნდა აკეთებდნენ ახლად აღზევებული უგვაროები. დიდგვარიანი წარმომავლობის ადამიანებში მხოლოდ შურსა და ზიზღს იწვევენ და მეტწილად მათი მტრობის მსხვერპლნი ხდებიან.

შურმა და მტრობამ დაამხო ეგარსლან ბაკურციხელიც.

მემატიანე პირდაპირ მიუთითებს: „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავაროფა მათზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგვარიანესისა კაცისა“.

მემატიანე იმ ღირსებებსაც ჩამოთვლის, რომელთა წყალობითაც ეგარსლანი დაწინაურებულა და არა მარტო გასტოლებია თავისზე უგვარიანეს მთავრებს, არამედ „კინილა სახელიცა მეფისა“ მიუთვისებია და თურმე „ვითარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსი“.

„ეგარსლან ბაკურციხელი კაცი ღრმად მოუბარი“, „ეგარსლან, კაცი საკვირველი, და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე“ — აღტაცებით ამბობს უამთაღმწერელი ბაკურციხელის დახასიათებისას და თუმცა მის მიმართ განსაკუთრებულ სიშმათიას არ იჩენს, მის ღირსებებზე თვალს არ ხუჭავს და სიტყვაძენწად, მაგრამ მიუდგომლად გადმოგვცემს ამ ძლიერი ადამიანის თავგადასავალს.

ბაკურციხელი რთული პიროვნებაა და ზოგჯერ გაორებულ მოღვაწედ გვე-

ჩვენება: იგი ჯერ თავგამოდებით იბრძვის მონგოლთა წინააღმდეგ, სხვა მხარეებზე გვიან ურიგდება დამპყრობთ და მათი ბატონობის დასამხობად მოწყობილი შეთქმულების სული და გული ჩანს.

მაგრამ როცა ეს შეთქმულება მარცხდება და ქართველები განთავისუფლების უკანასკნელ იმედსაც კარგავენ, ეგარსლან ბაკურციხელი მონგოლებთან თანამშრომლობის გზას ადგება და ამ გზაზე მეფურ დიდებას აღწევს. მონგოლებთან შერიგებამ და მეგობრობამ, როგორც ჩანს, ბევრი სარგებელი მოუტანა პირადად ეგარსლანსაც და მის ქვეყანასაც, მაგრამ სამშობლოს მტერთან, დამპყრობელთან თანამშრომლობა საერთოდ უმაღლური საქმეა და რაგინდ კეთილშობილი განზრახვითაც არ უნდა იყოს იგი ნაქარნახევი, შთამომავლობისაგან მხოლოდ გამობასა და გაიციხვას იმსახურებს. ბაკურციხელს მისი ცხოვრების შუაგზაზე შეგვახვედრა მემატიანემ, მაშინ, როცა ამ გამოჩენილ მამულიშვილს თავისუფალი და ძლიერი სამშობლოს სამსახური მოთავეებული ჰქონდა და საქართველოს დამმონებლებთან თანამშრომლობით იწყებდა ახალ ცხოვრებას.

●
მონგოლთა ბანაკს ცხენოსანთა რაზმი უახლოვდებოდა. წინ თეთრ რაშზე ამხედრებული ტანბრგე ვაჟკაცი მოუძლოდათ. მოკლედ შეკრებილი შავი თმა-წვერი და მოუსვენრად მოძრავი შავი თვალები გასაოცრად ცოცხალ იერს აძლევდნენ ცხენოსანს. თეთრონზე ამხედრებულ ბუმბერაზს შორიახლო, ქვეითად მოსდევდა ორი ახალგაზრდა. ჰაბუკებს ჯილაგში ჩაველოთ ხელი და ფრთხილად, გზის რჩევით მოჰყავდათ ოქროსფერი კვიცი.

მწვეარივით გრძელი, ტანწვრილი ულავი კეკლუცად მოდიოდა, მაგრამ დაღლა მასაც ემჩნეოდა: ჩამოქნილ მა-

პრიგოლ პაპოძე
იბარსლან ბაკურციხელი



ღალ ფეხებზე ტალახი და მტვერი მიჰკვროდა და ოფლთან ერთად შეხმობოდა. შორი გზის გამოვლა ყველას დატყობოდა, ცხენებსაც და ცხენოსნებსაც რაზმს დატვირთული აქლემები და ურმები მოჰყვებოდა უკან.

აქლემები და ხარები დინჯად მოიზღაზნებოდნენ, გზის დაუსრულებლობას შერიგებოდნენ და აუჩქარებლად, ზომიერი ნაბიჯით მოჰყვებოდნენ ცხენთა ფეხის მტვერს.

შორს, ტრიალ მინდორზე, რიყესავით გაბნეული თეთრი კარვები გამოჩნდა.

— მულალთა ბანაკი მოჩანს... ხედავთ? — ცხენი შეაჩერა წინ მიმავალმა ბუმბერაზმა და თვალზე ხელი მოიჩრდილა.

— ვხედავთ, ეგარსლან ბატონო! — დაუმოწმეს დანარჩენებმა, მხარი გაუსწორეს, ცხენებს აღვირი მოსწიეს და ბანაკს მიაჩერდნენ.

— მზე შუბის ტარზეა დასული, — თქვა ეგარსლანმა და უნავირზე სანახევროდ შემობრუნებულმა დასავლეთს გახედა, — მზის ჩასვლამდე ურდოში ვიქნებით, ღმერთო, შეგვეწიე! — მთავარმა პირჯვარი გადაიწერა და ცხენი დაძრა.

გატრუნული მიდიოდნენ და ბანაკს თვალს არ აშორებდნენ. იურტების მწკრივი, წელან რომ თეთრ რიყედ ეჩვენათ, ახლა ყოველ ნაბიჯზე დიდდებოდა და გასაფრენად გამზადებული უზარმაზარი თეთრი ფრინველების გუნდს ემსგავსებოდა.

მანძილი მოკლდებოდა. ცხენოსნების გულში ამდენ ხანს მიძინებული საფრთხის შიში იღვიძებდა და იზრდებოდა, მონგოლთა ურდოსკენ მიმავალი ბევრი უნახავთ, მაგრამ უკან დაბრუნებული — ცოტა. მართალია, ნებით დამორჩილებულ ქართველ მთავართა უმრავლესობა კეთილად შეწყნარებული და პატივით ამაღლებული გამოისტუმრეს მონგოლთა ნოინებმა, მაგრამ მათ სისასტიკესა და ულმობელობაზე იმდენს ჰყვებოდნენ, რომ იმედი ურდოდან ცოცხალი თავით დაბრუნებისა მათგანაც ცო-

ტას ჰქონდა, ვინც მტერს ^{გაუდინებ} წინააღმდეგობის გაუწევლად ^{გაუდინებ} ჩილდა.

კახელებმა, მათი მთავრის, ეგარსლან ბაკურციხელის მეთაურობით არა თუ მოსვლისთანავე დაუკრეს თავი მონგოლებს, გზები შეუკრეს და მიუდგომელ ციხეებში გამაგრებულებმა ცხარე ბრძოლებიც გაუმართეს.

ეგარსლანმა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ქედის მოხრა, როცა ბრძოლის გაგრძელების უაზრობა საბოლოოდ დაიჩერა და ქუთაისში გაიჩნეული რუსუდან მეფისაგან მტრის დანებების დასტური მიიღო.

მონგოლებმა შუამავლების პირით ბაკურციხელს უგნებლობა კი აღუთქვეს. მაგრამ ის არავინ იცოდა, ურდოში მასულ მთავარს რა გუნებაზე შეხვდებოდნენ უცხო მბრძანებლები, ეგარსლანს თვითონაც არ სჭეროდა მონგოლთა გულწრფელობა. თავის გადაჩენის იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ორიოდ მხლებლით აპირებდა ჩორმადონის კარზე მისვლას.

მარტო როგორ გაგიშვებთო, შეიცხადის ახლობლებმა და თანაზრდილებმა, მთავრის სურვილს არ დამორჩილდნენ და შორეული მგზავრობისათვის სამზადისს შეუდგნენ.

— კახეთის ერისთავს ამაღაც ღირსეული უნდა ახლდეს, მეფეთა შესაფერი სი. თუ სიკვდილია, შენთან ერთად მოვკვდებით, ხოლო თუ სიცოცხლე გვიწერია, შენი სამსახურის ბედნიერებით ვიცოცხლებთ, — გადაჭრით განუცხადეს მთავარს და გულაჩუყებულ ეგარსლანს ისღა დარჩენოდა, მხლებლების გამოწყობასა და ძვირფასი ძღვენის გამზადებაზე ეზრუნა.

იმ ძღვენში პატიოსანი თვლებიცა და ოქრო-ვერცხლიც ბლომად იყო, ცხენების რემაცა და საუკეთესო ღვინოც.

საქმე თუ ღვინომდე მივიდოდა, კახეთის ერისთავი დარწმუნებული იყო, რომ მონგოლ ნოინთა გულს მოინადირებდა.

მაგრამ მთავარი საზრუნავი პირველი



შთაბეჭდილება იყო. ეს შთაბეჭდილება კახელებს თავიანთი გარეგნობითა და ქცევით, წარმოსადგეგობითა და აღკაზმულობით, მიხრა-მოხრითა და თავის დაპერით უნდა მოეხდინათ.

ეგარსლანს სულ რჩეული ვაჟკაცები გაჰყვნენ, თავით ფეხამდე საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ და მათი შეხედვა მართლა ერთ რამედ ღირდა.

თუ პირველი შთაბეჭდილება იღბლიანი იქნებოდა და მონგოლები ცოტა ხნით მაინც ახლო მიუშვებდნენ ქართველ მთავარს, მერე კახეთის დიდებულებს არაფერისა ეფიქრებოდათ.

ბაკურციხელისათვის კაცთან ერთი შეხვედრა კმაროდა, მაშინვე გასაოცარი მომხიბლაობით მიიზიდავდა. მთელი თავისი არსებიდან გამოფრქვეულ სითბოსა და შუქში გახვევდა და ახლად გაცნობილისათვის ძველი მეგობარივით გულში ჩასახუტებელი ხდებოდა.

ერთი დაბრკოლება იყო ხელის შემშლელი: ეგარსლან ბაკურციხელმა მონგოლური არ იცოდა და მის „ღრმად მოუბრობას“ უშუალო გავლენის ძალა ეკარგებოდა.

მაგრამ ბაკურციხელი თადარიგაინი კაცი გახლდათ, სანამ უშუაველები მონგოლ ნოინებთან მისი დამორჩილების პირობებს არკვევდნენ, ეგარსლანის კაცებმა თარჯიმნების გაცნობა, საჩუქრებით მათი ავსება და მოსყიდვა მოახერხეს და ეს გარემოება ცოტას როდი ნიშნავდა!

მზე უკვე ჩასული იყო, ქართველები რომ მონგოლთა ბანაკს მიადგნენ.

მონგოლთა უფროსი ნოინი ჩორმალონი ბოლო დროს თურმე უღონობას უჩიოდა და ადრე წვეებოდა. იმ დღეს ქართველთა ხლება არ ინება და შორი გზით დადლილებს ღამის გასათევი მიუჩინეს.

მეორე დღეს ქართველები, კარგად მოსვენებულნი ადგნენ და ნოინების წინაშე წარსადგომად მომზადება მოასწრეს.

ოთხივ ნოინი საჩრდილობლებზე იჯდა შემადლებულზე. ეგარსლანი მათკენ წელგამართული გაეშურა. წამით შედგა და იქ მყოფთ ღიმილი მიაფრქვია. მერე ეს მთასავით კაცი მუხლებზე დაეარდა და მოფარდავულზე ჩოქვით წავიდა.

უფროსი ნოინის კაბის კალთას სამგზის ემთხვია, დანარჩენ ნოინებსაც თავიანი სცა და ჩორმალონს პატიოსანი თვალებით სავსე ლანგარი მოართვა.

ჩორმალონმა ლანგარში ხელი ჩაჰყო, ძვირფას თევლებს ხარბად დააშტერდა. მოწონების ნიშნად თავი გადააქნია და ლანგარი დანარჩენ ნოინებს გადააწოდა.

ეგარსლანმა შორიასლო მდგარ თავის მხლებლებს ანიშნა. ფარჩა და აბრეშუმი შემოიტანეს და ნოინთა ფეხებთან დაახვეეს.

— ძღვეამოსილი მულალების ცხენთა ფლოქებმა მთელი დეღამიწის ზურგი გათელეს, მაგრამ მაინც ვაგებდე ქართული ჯიშის ცხენთა მცირე რემა მეახლებინა სვებედნიერი ნოინებისათვის, — წარმოსთქვა ეგარსლანმა და მინდორს გახედა.

უნიშნოდ თეთრი ცხენების რემა გაიჭროლა და მინდორი წამით თითქოს თოვლმა დაჰფარა. ცხენთა ჭიხვინზე და ფრუტუნზე ნოინები წამოიწვივნენ, რემა შორიდან შეათვალეირეს. ეტყობოდათ, ცხენზე გაზრდილ მონგოლებს მოეწონათ თეთრი რაშები, ერთიმეორეს რალაც გადაულაპარაკეს და თავადაც იმ ცხენებივით აჭიხინდნენ.

თეთრი რემა თვალს მიეფარა და ორმა ჭაბუკმა ოქროსფერი კვიცი შემოიყვანა.

თამაშ-თამაშით მოდიოდა კავშა, დაფეთებულ თვალებს აცეკებდა და ნესტოებს ბერავდა.

ლამაში ქალის ცქერით გაუმადლარი კაცივით მიშტერებოდა ჩორმალონი ოქროსფერ ულაყს. თავადაც ვერ გაიგო.

პრიგოლ ახაშიძე
მხარსლან ბაკურციხელი

12214



ფეხზე რამ წამოაყენა. კვიციან მივიდა, ალტაცებული რაღაცას ბურღლუნებდა, თავზე და კისერზე ხელს უთათუნებდა და ალერსად დნებოდა. დანარჩენმა ნოინებმაც უფროსს მიბაძეს, კვიცს შემოეხვივნენ, მუშტრის თვალით გაუსინჯეს ყოველი ნაკვითი, მოწონება ვერ დაფარეს და ხმამაღლა აყაყანდნენ. ჩამოქნილი ფეხები და წვრილი ტანი, წაცქვეტილი ყურები და დაბერილი ნესტოები, ჰკვიანი თვალები და გრძელი ძუა-ფაფარი ცხენზე ჰიბმომწვეტილი ნოინების საერთო ალტაცებას იწვევდა.

ჩორმალონი ტახტისკენ დაბრუნდა, დანარჩენი სამივე ნოინიც თავ-თავის ადგილას დაჯდა. ორმა ვაჟაკმა ოქროსფერი კვიცი გაიყვანა.

ნოინებმა თვალი გააყოლეს და ჩორმალონმა ხეიხინით თქვა:

— ჯიშინი ცხენები ჰყოლია ქართველ მთავარს, მაგრამ არც ვაჟაკებს ჰკლებიათ თვალ-ტანადობა!

თარჯიმანმა ხმამაღლა თარგმნა ჩორმალონის ნათქვამი.

— მოახსენე მბრძანებელს, რომ ამიერიდან ჩვენი ცხენიცა და კაციც, ყველანი უკლებლად მონგოლთა სამსახურად არიან გამზადებულინი და ჩვენი ხმალიცა და ცხენიც მათი ძლევამოსილი ლაშქრის საკუთრებაა ისევე, როგორც ჩვენი სიცოცხლე და ქონება.

თარჯიმანმა თარგმნა.

ჩორმალონს ქართველი მთავრის ენაწყლიანობა ეამა და ეგარსლანს მოწყალებდ გაუღიმა.

კიდევ წუთი და მინდორზე ცხენოსნები გამოვიდნენ. ჰაერში ბურთი ავარდა და კახელები ცხენდაცხენ მიეტივნენ. ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანს, ცხენიდან ხტებოდნენ, უზანგებზე ეკიდებოდნენ.

ცხენოსანთა სიკისკასით მოხიბლული მონგოლები ალტაცებით შეჰყურებდნენ მობურთალებს.

— შენც მათებრ ცხენოსანი და მობურთალი ხარ, მთავარო? — მოუბრუნდა ჩორმალონი ბაკურციხელს.

ეგარსლანი ამდენ ხანს მხოლოდ მონ-

გოლ ნოინებს უყურებდა. მეს, მეს, როდი გამოპარვია ნოინების... გადარბენილი ჩრდილის კვალი.

ადამიანები საერთო ალტაცების დროს მტრისადმი ზიზღისა და შურის გამოვლენას ერიდებიან, გულში ინახავენ და მხოლოდ უნებური, დაუძლეველი თავშეუყავებლობა თუ გამოამქლავნებს ხოლმე იმ ფარული გრძობის აფეთქებას.

მთელი ქვეყნის დაპყრობითა და თავიანთი უძლეველობით გალაღებულ მონგოლ ნოინებს ხელს არაფერი უშლიდა, გულში ფარულად აღძრული შური თუ სიძულვილი აშკარად გამოეხატათ, მაგრამ ცხენოსნობისა და ვაჟაკობისადმი თანდაყოლილი პატივისცემა და ამპარტავნობა აკავებდათ და აიძულებდათ თვითონაც საერთო ალტაცებას შეერთებოდნენ და დამორჩილებული მტრის სიკისკასით აღძრული შური საჯაროდ არ გამოემქლავნებინათ.

ეგარსლანი მიხვდა: მონგოლების წინაშე მეტისმეტი თავგამოდება დამპყრობელთა პატივმოყვარეობას აღიზანებდა და შეიძლებოდა ქართველებისათვის საზიანოდ შემობრუნებულიყო. ბაკურციხელს კარგად ახსოვდა მონგოლების წესისა და ზნის მცოდნეთა შეგონება და გაფრთხილება: ეცადე, არც გარეგნობით, არც ქცევით მეტისმეტად თავი არ მოიწონო, შური არ აღუძრა, თორემ ეგენი თავისზე უკეთესს ქვეყანაზე ვერავის იტანენ. საკმაოა, მცირედი რამ შენი შეეხარბოთ, რომ მაშინვე რისხვით აინთონ და სასიკვდილოდ გაგწირონ!.. ეგარსლანმა შეატყო, რომ მისმა მოყმეებმა თავის გამოჩენაში შორს შესტოპეს, ორად მოიხარა და ჩორმალონს შეჰბედა:

— თუ მბრძანებლები ისურვებენ, მეც ჩავერევი ბურთის თამაშში! — ჩორმალონმა თვალით ანიშნა, გადადიო. და ეგარსლანი დინჯი ნაბიჯით დაეშვა მინდვრისაკენ.

შავ ძუა-ფაფრიანი ქურანი მოჰგვარეს ეგარსლანს. ამხედრდა თუ არა, მობურთალთა წრეში შეიჭრა, ჩოგანი ქარბორბალასავით დაატრიალა, ცხენოსნები მი-



რეგე-მორეგვა, ბურთი გაიტაცა და შორს გასტყორცნა.

ბურთს დადევნებულებს რაღაც გადასძახა, მაშინვე ერთმა მხედარმა ძირს ზღართან მოიღო და უცებ ჩამოვარდა ყინული — უმაღვე ჩაქრა ყივინა და აღტყინება. ცხენიდან გადმოვარდნილს მისცივიდნენ და მინდვრიდან გაიყვანეს.

თამაში დაიშალა.

შუბლშეკრული ეგარსლანი ნოინების-კენ შემოიქცა, შემალლებულთან დაიჭვითა და ნირწამხდარი მიეახლა.

— შევრცხვით მბრძანებლების წინაშე, — სინანულით თქვა და მუხლზე დაეცა.

— არაფერია, ცხენოსნობას ფათერაკიც მუდამ თანა სდევს, — გაიღრიჭა ჩორმალონი. — ქართველ მთავარს ჩოგნისცემა კარგად სცოდნია. თუ ხმალსაც ეგრე მარჯვედ იქნევს, ჩვენგან დიდი წყალობა მოეღოს.

— ომში მიახლონ ბრძანებლებმა და თავად გამოსცადონ ჩემი ნიჭი და ერთგულება, — წარმოსთქვა ბაკურციხელმა და მონგოლ ნოინს იმედმოცემული თვალით შეხედა.

სუფრა მოიღეს.

ჩორმალონი სუფრის თავს დაჯდა.

ნოინები აქეთ-იქით მოუხსდნენ.

ქართველი მთავარი პირისპირ დაისვა და თარჯიმანი თავს დააყენა.

მონგოლები დამშეულბივით ეცნენ მორთმეულ ხორცს. სულმოუთქმელად გლევდნენ ოთხფეხის უშველებელ ნაჭრებს, დროდადრო მათ უკან მდგარი მწდეების გულმკერდზე იწმენდნენ გაქონილ ხელებს და გალომპრილ ძელებს ხელუკუღმა ისროდნენ.

ეგარსლანი საერთოდ არ იყო მჭამელი კაცი. ამოდენა გოლიათი მუდამ მცირეს სჯერდებოდა, ცოტ-ცოტას ყველა კერძიდან მოიღებდა, დანაყრდებოდა და ჭამას ეხსენებოდა. კახეთის ერისთავს სუფრა ნაირ-ნაირი უხვი საჭმლით არასოდეს იზიდავდა. უფრო კარგი ღვინის სმა და შექცევა, ზომიერი სადღეგრძელო, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და სმენის დამატკობელი სიმღერა უყვარ-

და. ერთი სიტყვით, ეგარსლანი სულაზე მოსალხენად ჯდებოდა და არა მუცლის ამოსავსებად.

უკვირდათ, ამოდენა მთა კაცი ანუ ცოტა საზრდოს რომ სჯერდებოდა.

ერთთავად სულ ცხენზე ჯდომასა, ლაშქრობასა და მობურთალობასთან ერთად ეგარსლანი ცოტამჭამელობასაც უმადლოდა, რომ ამ სიმაღლე კაცს, უკვე ხანშიშესულსა და ხცემორეულს, თუმცა წელი ძველებურად ჭიანჭველასავით გაწყვეტაზე აღარ ჰქონდა, მაგრამ მუცელი სხვებსავით არ ეტყობოდა.

ყველსა და ბურს მისწვდა ეგარსლანი. ორიოდღე ლუკმა გადაყლაპა. ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა მაღააშვებულ ნოინებს, პირში რომ ბეშვით იყრიდნენ საჭმელს და ნადირბივით ნთქავდნენ წინ დახვავებულ ხორავს. ზედებოდა მათი მოუპირაევობის მაცქერალი, რატომაც ეკიდათ ამოდენა ფაშვები ჯერ კიდევ არც ისე ხნიერ ნოინებს. მათ არც ღამის თევა და გრძელი გზების კეცვა აკლდათ, არც ხმლის ქნევა და ისრის ტყორცნა, ცხენზე ხომ არ იბადებოდნენ, თორემ მთელ სიცოცხლეს უნაგირზე ჯდომასი ლევდნენ და მაინც მუცლებს ძლივს დაათრევდნენ.

მთავარი მათი გაუმადლობა ყოფილა და ამ გაუმადლობაში თურმე მონგოლის თვალი და კუჭი ერთიმეორეს ეჯობრებებიან. მუცელს აქორებ-ქორია და აღორებ-ღორიაო, გაახსენდა ეგარსლანს ქართული ანდაზა, ის იყო, ტუჩთან დიმილი შეეპარა, რომ ჩორმალონმა წამით კერძიდან თავისი უშველებელი თავი აიღო, კახეთის ერისთავს გახედა და გაოცდა.

— რატომ საჭმელს არ სჭამს ჩვენი სტუმარი? მოწამლევისა თუ ეშინია, უთხარი, მონგოლთა მტრები მხოლოდ ბრძოლის ველზე იღუპებიან და ლოგინში ჯერ ერთიც არ გამოსალმებია წუთისოფელს.

სანამ თარჯიმანი ნოინის ნათქვამს

გრიგოლ აბაშიძე
მეგრულად გააზრდიხელი



თარგმნიდა, ჩორმალონმა თავის კერძად მორთმეულ ხბოს ბეჭი ააგლიჯა და ბაკურციხელს წინ დაუდო.

— ჭამოს, ახალი დაკლული ხბოა, პირში ძვლიან-ხორციანა დნება,

ნოინთა შორის უხუცესმა მუცელს ბოძი შეუყენა, ცოტა სული მოითქვა და მწდეს შეუძახა:

— რას დგახართ, კუმისი დაასხით!

მწდეგებმა მაშინვე ტიკებს თავი მოხსნეს და შუშხუნა კუმისით სასმისები ააესეს.

ეგარლსანი გაცეხული უყურებდა: მონგოლებმა არც ღმერთი ახსენეს, არც თავიანთი მბრძანებელი ხელმწიფე, სასმისები პირზე მოიყუდეს და სულმოუთქმელად დაცალეს.

ჩორმალონმა ცარიელი სასმისი სუფრაზე ისროლა და ქართველ მთავარს მიაჩერდა.

— უძლეველი მონგოლები არც სასმელში ურევენ საწამლავს, ქართველო! დალიე, კუმისი ჯანისათვის მარგებელია და კარგ გუნებაზეც აყენებს. აბა, ქალიშვილივით ნუ ენაზები... შესვი... შესვი...

დავლევ, რაც უნდა მომივიდესო, გადასწყვიტა ეგარსლანმა და სასმისზე დაიხარა. ტუჩის შეხებაზევე გული კინაღამ აერია, მაგრამ თვალი დახუჭა და ყელში ისე მიუშვა ამყავებული რძე, პირში არ შეუყოვნებია.

როგორც იყო დაცალა. გული არ არევია.

ეს კუმისი არც ისე ცუდი უნდა იყოს, შველაფერი შეჩვევაზეაო, გაიფიქრა და ტუჩები მოიწმინდა.

— როგორია, ა? თქვენი ღვინო სჯობს? — იკითხა ჩალატამ ნოინმა და ეშმაკური ღვილით დაწყურული თვალები მიანათა.

— ჩვენ უფრო ღვინოს ვართ ნაჩვევნი... ნოინებს საუკეთესო ქართული ღვინო მოვართვი. თუ ინებებთ, მოვატანიებ... — თქვა ეგარსლანმა, ჩორმალონს შეაჩერდა და ფეხზე წამოდგა.

— მოიტა... მოიტა... ენახოთ! — თავი დაუქნია ჩორმალონმა და თავისიანებს თვალი ჩაუკრა.

ეგარსლანმა მის უკან, მომლოცვედნად მდგარ მსახურთუხუცესს გახედდა. მსახურთუხუცესი ადგილს მოსწყდა და ცოტა ხნის შემდეგ ოთხმა კახელმა ვაჟ-კაცმა ღვინით სავსე რუმბი შემოიტანა.

თავი მოხსნეს და რუმბის ყელიდან წითელი ღვინო სისხლივით წამოვიდა.

ირანისა და ადარბადაგანის გზებზე ნატარებმა მონგოლმა ნოინებმა შარბათის გემო უკვე იცოდნენ, მაგრამ მაინც გაშტერებულნი შეჰყურებდნენ რუმბიდან მოჩუხჩუხე უცხო სასმელს.

პირველი სასმისი ჩორმალონს მოართვა ბაკურციხელმა. სავსე ჯამს შუბლშეკრული დასცქეროდა ნოინი.

— კაცის სისხლია თუ საქონლის? — გულმოსულად იკითხა ჩორმალონმა.

— ქართველები კაცისა და საქონლის სისხლს არ სვამენ, დიდებულო ნოინო! ეს ჩვენებური ვაზის ნაყოფის წვენია და შიგ წვეთი არაფრისა ურევია, სხეულში სისხლად შედის, კაცს ღონეს მატებს და დარდს ავიწყებს.

— ხი-ხი-ხი... — ჩაიხიხითა ჩორმალონმა. ჯამი პირთან მიიტანა, ღვინის სუნმა მიიზიდა და ნდომით ნესტოები აუთამაშდა.

ის იყო, უნდა დაწათებოდა, რომ ბიჩუ ნოინმა შესძახა:

— ჯერ ნუ დალევ, იქნებ მოწამლულია!

— ჰო-ჰო! — შესძახეს ჩალატამ და სირმონმაც, — ჯერ თავად ქართველებმა დალიონ!

— მართალია! — გაწყრა თავის თავზე და ქართველებზე ჩორმალონი, — ჯერ შენ დალიე და ყველა შენს მხლებლებსაც დაალევიე! — მკაცრად თქვა ჩორმალონმა, მერე იქ მყოფთ თვალი მოავლო და ჩაიხიხითა, — მერე ჩვენც გავსინჯავთ, არა?

— დიახ! დიახ! — დაუმოწმეს იქ მყოფებმა და თვალი ყველამ ბაკურციხელს მიაპყრო.

ეგარსლანმა თავისი ამაღლა იხმო.

მთავრის ზურგს უკან რამდენიმე ზიგად დადგნენ კახელი დიდებულები, ერთიმეორეზე თვალ-ტანადი, რჩეული ვა-



ქაკები. ეგარსლანმა ღვინით სავსე ჯამი ასწია:

— ქართველებს ერთი ჩვეულება გვაქვს: ღვინოში ღვინოს ისე არ დავლევთ, თუ სადღეგრძელო ყველას გასაგონად არ ვთქვით. პირველი სადღეგრძელო უფლისა და ხელმწიფისაა. ღმერთმა იმდენი წელიწადი მისცეს მონგოლთა მბრძანებელსა და მთელი ქვეყნის დამპყრობს, თქვენს დიდსა და უძლეველ ყაენს, რამდენი ჯარისკაციც მის ძლევაში იბრძვის, რამდენი ცხენიც მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მინდვრებზე ძოვს, რამდენი ფოთოლიც მის თვალუწვდენელ საბრძანებელში გადაჭიმულ ტყეებში შრიანებს, რამდენი წვეთი ღვინოც ამ ჯამსა და რუმშია. იღლეგრძელოს სწორუპოვარმა ბრძენმა და სარდალმა, ღვთივე გვირგვინოსანმა ყაენმა! ვაჟა! — შესძახა ბაკურციხელმა და თითქო ზეცამ იქუხაო, ერთხმად იგრილა კახელი დიდებულების ვაჟამ.

ბაკურციხელმა და მისმა მხლებლებმა ჯამები სულმოუთქმელად დაცალეს და პაერში დააპირქვევეს.

თარჯიმანმა ეგარსლანის ნათქვამი თარგმნა. ნოინებს ეამათ.

— ყოჩაღ! ყოჩაღ, ქართველო! — მოუწონეს აქეთ-იქიდან.

ეგარსლანმა ტუჩი მოიწმინდა. სასმისი ღვინით აავსო და ჩორმალონისკენ წავიდა. უფროს ნოინს მიეახლა, მუხლზე ჩაიჩოქა და ჯამი გაუწოდა.

— ინებეთ, მბრძანებლო!

— ესეც უნდა დავლიო? — იკითხა და თავის სავსე ჯამზე მიუთითა.

— არა, მბრძანებლო, მხოლოდ მიწოდებული სასმისით უნდა შესვათ, — შეპლძმა ეგარსლანმა.

— რაკი ყველამ დალია, ჩვენც დავლიოთ, — თქვა ჩორმალონმა, ნოინებს ანიშნა და ღვინოს დაეწაფა.

ჯამში ნახევრამდე დაიყვანა ღვინო სახე კმაყოფილებით გაეზადრა, თავი ოღნავ ასწია, ტუჩები ერთ მოილოკა და აღტაცებით თქვა:

— ო! ეს მართლა შარბათი ყოფი-

ლა! — ისეც მოიყუდა ჯამი და სვენებ-სვენებით, გემოს ჩაყოლებით განაგრძო სმა.

ჯამები დაცალეს და საჭმელს მიუბრუნდნენ.

ერთხანს ხმამალა, ხლაქახლუქით ჰამდნენ.

— კიდევ დავლიოთ? — იკითხა ჩორმალონმა და ეგარსლანს მიაჩერდა.

— მიირთვიოთ! ღმერთმა შეგარგოთ! — დაილოცა ეგარსლანი და მწდეებს ჩორმალონის ჯამი გაუწოდა.

— ხომ არ დავვათრობს? — იკითხა ჩალატა ნოინმა, ეშმაკურად გაიცინა და ხმადაბლა დაუმატა, — დიდებული ჩინგიზყაენის იასა დათრობას თვლის მონგოლი ვაჟკაცისათვის ყველაფერზე სამარცხვინოდ.

თარჯიმანმა ჩალატას ნათქვამის პირველი ნაწილი თარგმნა მხოლოდ.

— რა ბრძანებაა! ჯერ რა მიირთვიოთ, რომ დავათროთ! თქვენისთანა ვაჟკაცებს ღვინის დაღვევა როგორ შეეტყობა! — გამხნევა ბაკურციხელმა ნოინი.

ნოინებმა ჯამები ისეც უსიტყვოდ მოიყუდეს. დაცალეს. ენის წლაკუნითა და ტუჩების ლოკვით ერთხელ კიდევ მოიწონეს მოტკბო, საამო სასმელი.

ჩორმალონი ისეც საჭმელს მიუბრუნდა და ეგარსლანს შეუძახა:

— დალიე, დალიე, კარგად კი ლაპარაკობ, მაგრამ როცა ასეთი სასმელ-საჭმელია, ლაბარაკისთვის ვის სცლია! ეგარსლანმა მანც თქვა ორიოდ სიტყვა:

— ახლა თქვენ გაგიმარჯოთ, მონგოლთა უძლეველი ყაენის სახელოვან ნოინებს. ღმერთმა ძლევა და მტერზე გამარჯვება ნუ მოვიშალოთ! კეთილი ყოფილიყოს საქართველოში თქვენი მოსვლა. თქვენი ერთგული სამსახური შეგვაძლებინოს და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი დროშის ქვეშ!

ბაკურციხელი მიხედა, მის ენაზეობას ყურს: აღარავინ უგდებდა და ტყუი-

გრიგოლ ავალიძე
ეგარსლან ბაკურციხელი



ლად იხარჯებოდა. ჯამი მოიყუდა, მაგრამ ბოლომდე როდი დაღია. ჩორმალონს არ გამოაპარვია.

— დაცალე, მთავარო! ღვინოს იზოგავ, თუ საწამლავს ერიდები! — თავაულებლად გასძახა და მწდეს ცარიელი ჯამი გაუწოდა.

ბაკურციხელმა ჯამი ისევ მოიყუდა და ახლა ბოლომდე დასცალა.

ნოინებმა ისევ უსიტყვოდ შესვეს და მწდევებმა ისევ პირამდე აუვსეს ჯამები. ერთიმეორეს აღარავინ უყურებდა, ჯამები უწესრიგოდ, თითქმის შეუსვენებლად ივსებოდა და იცლებოდა. ნელ-ნელა ხმაურმა იმატა და ბოლოს სუფრაზე ყურისწამლები ღრიალცევი ატყდა.

სხვაზე ადრე ჩორმალონი დათვრა. ერთხანს რაღაც იყაყანა, თვალები დაეებრიცა და პირზე დორბლი მოადგა. უწმამურ ლანძღვა-გინებას მოჰყვა; დანარჩენი ნოინებიც აჰყვენენ, ერთიმეორეს დედ-მამის სულს სიცილითა და მხრებზე ხელის ტყაპუნით უტრიალებდნენ და გინებას ისე ირგებდნენ, თითქო ერთმანეთისთვის ქათინაური ეთქვათ.

თარჯიმნები წითლდებოდნენ და აღარ თარგმნიდნენ. მერე ის იყო, ჩორმალონს უზარმაზარი თავი ერთბაშად მოსწყდა, სუფრაზე დასდო და დაეძინა.

დანარჩენმა ნოინებმა ერთხანს კიდევ სვეს და იხითხითეს, ეტყობოდათ, თავიანთ უფროსს დასცინოდნენ. მერე ერთიმეორეს შეუტყის და ერთმანეთზე კინაღამ საჩხუბრად მიიწიეს.

ევარსლანი ენაჩავარდნილი შეჰყურებდა გონდაკარგულ ნოინებს, უნდოდა გაეგო, რა აჩხუბებდათ, მაგრამ მისი თარჯიმანი კარგა ხნის მიღებული ჰყავდა უფალს და ამხსნელ-მთარგმნელი აღარავინ იყო. როგორც იქნა ჩხუბის გუნებაზე დამდგარი ნოინები დაცხრნენ და მათაც იქვე, სუფრაზე დაიძინეს.

ევარსლანს თავითფეხამდე იარაღასხმული მონგოლი დააღვა თავს. მიძინარ თარჯიმანს ხელი წამოართყა და თვალი რომ გაახელინა, მკაცრად უთხრა:

— გააგებინე ქართველ მთავარს... შე

ნოინების მცველი რაზმის ეფენდი...
 ვარ, იცოდეს, რომ თუ ამ ღვინოს მიწამლავე ურევია და ჩვენს მბრძანებლებს რამე ატკივდებათ, არა მარტო აქ მოსულ ქართველთაგან ვერავინ გადურჩება სიკვდილს, მთელ ქართველობას ამოვხოცავთ და თქვენს ქვეყანაში ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ!

— მაგის ფიქრი ნუ ექნება ნოინების მცველს. ღღეს გულმშვიდად დაიძინოს და პასუხი ხვალ მომთხოვოს, — არხეინად განუცხადა ევარსლანმა და სუფრიდან წამოდგა.

●
 იმ ღამეს გვიანობამდე თვალი ვერ მოხუჭა ევარსლანმა. იმის ფიქრი არ აძინებდა, ხვალ რა გუნებაზე ადგებოდნენ ნოინები.

ევარსლანს წითელი ღვინოსა არ ეფიქრებოდა ბაკურციხელს, მის დამლევს ქვეყნის გაჩენის დღიდან თავიც არ წამოტკივინა. მაგრამ ღვინოს შეუჩვეველმა მონგოლებმა ბევრი რომ სვეს და კიდევ უფრო მეტი ჰამეს, ვინ იცის, რომელს რა ატკივდება და, მათაც მეტი არა უნდათ რა, ევარსლანის ღვინოს დააბრალებენ.

როგორც იყო, თვალი წაატყუა ევარსლანმა, მაგრამ ძილი არ აცალეს, მსახურთუხუცესმა გააღვიძა, ბიჩუ ნოინი გიხმობსო.

ევარსლანი სწრაფად წამოდგა. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. შეუღამისას ბიჩუ უბრალოდ არ დაიბარებდა. ალბათ, რაღაც არაჩვეულებრივი და ეგებ მოულოდნელი რამეც მოხდა.

მონგოლი ნუქერი კართან უცდიდა. შეშფოთებულ თავისიანებს თვალი მოავლო ბაკურციხელმა.

— წაგვიტანე... მარტო ნუ წახვალ! — შეევეღრა მსახურთუხუცესი.

— რა აზრი აქვს! — ხელი ჩაიქნია ბაკურციხელმა და ნუქერს ანიშნა, წავიდეთო.

ჩაბნელებული ქურენები უხმოდ გაიარეს, ბოლოს უთვალავ კარავს შუა ამართულ დიდ იურტასთან შეჩერდნენ.



ნუქერმა კარვის კალთა გადსწია და ქართველ მთავარს განათებულ იურტაში შეუძღვა.

ბიჩუ ნოინი მხარტეძოზე იწვა. წინ პატარა ტაბლაზე ხილი და საუხზე ეწყო. — შემოდი, მთავარო! ხომ არ გეწყინა, უდროო დროს რომ მოვიხმეთ.

— რა ბრძანებაა, დიდებულო ნოინო! თქვენი სამსახურისთვის მუდამ მზადა ვართ, — მიუგო გაღიმებულმა ეგარსლანმა და ცოტა არ იყოს შვება იგრძნო, რაკი ნოინის ნათქვამი ცუდის მომასწავებლად არ ეჩვენა.

— ძალიან მომეწონა თქვენი სასმელი. ბევრი ვსვი, მაგრამ ცოტა რომ წავიძინე და გამომეღვიძა, ისე ვარ, თითქოს წვეთიც არ დამეღიოს, არც თავის ტკივილი მაწუხებს, არც უგუნებობა. თუ გასურს ცოტა კიდევ დავლიოთ ერთად, ერთიმეორეს უკეთ გავიცნობთ და ქვეყნის ავ-ქარგზეც ვისაუბრებთ.

— მივას რა სჯობს, თუ კი თქვენთან საუბრისა და ლხინის ღირსად გამხდით! — თავი დაუქრა გახარებულმა ეგარსლანმა და ღვინის მოსატანად გაქანდა.

იმ ღამეს ხვევნა-კოცნითა და ერთგულების ფიცით გაიყარნენ მონგოლი ნოინი და კახეთის ერისთავი.

მეორე დღეს, როცა კახეთის დამორჩილებისა და ეგარსლანის შეწყყნარების წიგნი დაიწერა, კახეთი გაათავისუფლეს ზოგიერთი იმ გადასახადისაგან, რომელიც ყარაყორუმს არ იგზავნიდობდა. სამაგიეროდ, ღვინის გადასახადი გაუღიდეს და საგანგებოდ ჩაუწერეს, თუ ყოველწლიურად, რა დროს და რამდენი უნდა მიერთმია საქართველოში დაბანაკებული მონგოლებისათვის საუკეთესო კახური ღვინო.

ბაკურციხელი გახარებული დაბრუნდა ურდოდან. ამიერიდან მისი სამკვიდრო დაშოშმინდებოდა, რბევა და სისხლის ღვრა შეწყდებოდა. მორჩილებისა და შეწყყნარების პირობები მძიმე იყო, მაგრამ სხვა ქართველ მთავართან შედარებით მას რაღაც დაუთმეს და მცირე შეღავათი მისცეს.

უმთავრესი და უმძიმესი შეწყყნარების პირობათაგან სამხედრო ბეგარა იყო: ყოველ ათ სულზე კახელებს ორი მეომარი უნდა გამოეყვანათ. მაგრამ მონგოლთა სამხედრო ბეგარა ყველასათვის ერთნაირად მძიმე და უშეღავათო იყო და ნოინებს რომ ძალიანაც სდომოდათ, ჩინგიზყანის მიერ დაწესებულ ამ ვალდებულებას დაპყრობილ ხალხებს ვერ შეუშუბუქებდნენ.

მონგოლთა მორჩილ მთავრებსა და მათ შორის ეგარსლანსაც ერთი ჰქონდათ სანუგეშოდ: მონგოლებს დედამიწის ზურგზე დაუპყრობელი თითქმის აღარა რჩებოდათ რა და ვისთანდა უნდა ეომათ!

მაგრამ ქვეყანა დიდი იყო და ჯერ სისხლიც ბევრი იყო დასალერელი!

● ეგარსლან ბაკურციხელი შეწყყნარების პირობებს სანიმუშოდ ასრულებდა: ხარკსა და გადასახადს თავის დროზე იხდიდა, ლაშქრად გაყვანილ კახელებს წინ თავად მიუძღოდა და ბრძოლის ველზეც ვაჟაკურად იბრძოდა. მონგოლებისგან შორს იყო, მაგრამ მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა და ამას ისე ოსტატურად ახერხებდა, ვერც ქართველები დააყვედრიდნენ რასმე, არც მონგოლ ნოინებს: აძლევდა ახირებისთვის რაიმე მიზეზს.

უცხოთა მორჩილებას შეუჩვეველ ქართველებს მალე დაუმძიმდათ მონგოლთა უღელი. ჰაერს გარდა თითქმის ყველაფერზე გადასახადს იხდიდნენ თავიანთსავე სამკვიდროში, მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდნენ. გამუდმებულმა ომებმა მოიღალა და ვასტეხა ქართველობა.

საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდობა მონგოლთა მტრების მიუვალ ციხე-სიმაგრეებს აწყდებოდა და დაუსრულებელ ალყაში სახადითა და სენით იღუპებოდა.

რუსუდან მეფე გარდაცვლილი იყო. ტახტის ორი მემკვიდრე ყარაყორუმის

პრიგოლ აბაშიძე
მეარსლან ბაკურციხელი



კარზე ეცილებოდა ერთიმეორეს ტახტ-სა და გვირგვინს და საქართველოს სახელმწიფო უმეფოდ იყო.

ქართველი მთავრები ერთთავად სულ მონგოლთა ლაშქარში, საქართველოდან შორს იბრძოდნენ და ქვეყანა უპატრონოდ იყო დაგდებული. მომთაბარე მეზობლები ამით სარგებლობდნენ, საქართველოს თავს ესხმოდნენ, არბევდნენ და აწიოკებდნენ.

რაკი ერბი მიზანი და გვირგვინი აღარ აერთიანებდათ, საქართველოს ცალკე სამთავროების ერთმანეთთან შეუთანხმებელ მოქმედებას ნაყოფი არ მოჰქონდა.

სამეფოს მოწინავე აღამიანები გრძნობდნენ ამ გათიშულობის დამლუბველობას და თავიანთ პასუხისმგებლობას ერისა და მომავლის წინაშე.

ქვეყანას, ხალხს დროზე უნდოდა შევლა. ვიდრე სრული გადაგვარებისა და მოსპობის საფრთხე არ დადგებოდა.

„ამა შფოთთა შინა“ ეზრახნეს ერთერთს სამეფოს ბედზე მზრუნველი საქართველოს მთავრები, მონგოლთა წინააღმდეგ შეითქვენ და კოხტასთავს შეიკრიბნენ იმის საბოლოოდ გადასაწყვეტად, ვს რამდენი მეომარი გამოეყვანა და როდის, სად დაეწყოთ აჯანყება.

შეთქმულება გამეღვანდა.

ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება და ალბათ იმ კეთილშობილ რაინდთა შორისაც აღმოჩნდა მოღალატე, რომელმაც შეთქმულება გასცა.

როცა სარწმუნო საბუთი არ არსებობს, ძნელია ვისმე ღალატი დასწამო და იუღას ცოდვა აპკიდო.

ამიტომ იჩენს სანაქებო სიფრთხილეს კოხტასთავის შეთქმულების ამბის თხრობისას ჟამთააღმწერელი.

„ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ და მივიდეს კოხტასთავსა, დახვდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“.

„ესმა თათართა“, ისეა ნათქვამი, თითქოს ვილატისგან ყური მოეკრათ, ან ჭორად გაეგონათ მონგოლებს ქართველ

შეთქმულთა შეკრების ამბავს. ამბავი გადნათქვამში ცალკე პიროვნება არ იგულისხმება, ღალატი და გაცემა კერძოდ არავის ბრალდება და ეჭვი არავისზეა მიტანილი.

ეჭვისათვის ყველაზე მეტ საფუძველს ეგარსლან ბაკურციხელის შემდგომი ბედი იძლევა. სწორედ კოხტასთავის შეთქმულების მარცხის შემდეგ იწყება მოულოდნელი და არაჩვეულებრივი აღზევება კახეთის ერისთავისა. მალე ეგარსლან ბაკურციხელმა ქართველ მთავრებს შორის უპირველესობასა და მეფურ დიდებას მიაღწია და, როგორც ხალხი იტყოდა, „ხელმწიფის ტოლა კაცი“ გახდა.

მემატიანე პირდაპირ ამბობს: „ვითარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“... „კნინდა სახელი მეფობისა ეყრა“.

მონგოლები ტყუილად არავის აღაზრებდნენ და ალბათ ეგარსლან ბაკურციხელსაც რაღაც მსხვერპლის ფასად უნდა მიეღო დამპყრობთაგან ესოდენ დიდი პატივი.

ეგებ ბაკურციხელის ეგზომ განდიდება სწორედ კოხტასთავის შეთქმულების გაცემის ფასად, მოძმეთა ღალატის ფასად იყო ნაყიდი. მაგრამ მაშინ რატომ ზის ტანშიშველი და ხელფეხშეკრული ეგარსლანი პაპანაქება სიციხეში თავის მეგობარ შეთქმულებთან ერთად სასიკვდილოდ განწირული?

სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი სულიერი გარდატეხები, რომლებიც სრულიად ცვლიან ამ მოღვაწეთა მიზანსა და მიმართულებას. სამშობლოსათვის თავდადებული აღამიანები ძნელად ურიგდებიან მტრის მორჩილებას, ბრძოლის ველზე დამარცხებულებს არაერთხელ უპირისპირდებიან დამპყრობლებს და უთანასწორო ბრძოლაში ცდილობენ მათი უღლისაგან თავის დახსნას. ბოლოს, როცა მთელი ქვეყნის მოწინავე ძალების ერთი მიზნით გაერთიანება ხდება, ერთადერთი იმედი იმასდა ემყარება, მტერზე მოტა-



ნილი ეს უკანასკნელი იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

მაგრამ კაცი ბკობს და ღმერთი იცინის.

ამბობენბა მარცხდება, შეთქმულნი ისჯებიან და სასჯელმთხბდილი მამულიშვილები დამპყრობთა უერთგულესი მსახურნი ხდებიან.

კობტასთავის შეთქმულების მარცხის შემდეგ ქართველმა მთავრებმა, და მათ შორის ბაკურციხელმაც, საბოლოოდ ირწმუნენს მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობა და ქვეყნისა და თავისა გადაარჩენისათვის ახალი გზების ძებნა დაიწყეს. რაკი მტრისათვის თავის შეკვლას აზრი არ ჰქონდა, იმ მტერთან შერაგებათა და თანამშრომლობით სამშობლოსა და ხალხისათვის სარგებლის მოტანა უნდა ეცადათ, და ეგარსლანი ამ გზას დაადგა.

თუ შეთქმულებამდე მონგოლ ნოინებთან ზედმეტ სიახლოვეს ეკრძალებოდა, სირცხვილისა და თავმოყვარეობის გრძნობა ნებას არ აძლევდა მკერდში ჩაკვროდა მისი ქვეყნის დამმონებლებს, ახლა უკვე წინ აღარაფერი უდგებოდა; იმას ვერავინ იტყოდა, ცდას დააკლო და მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მათი ერთგული სამსახური არჩიათ.

მთელმა ქვეყანამ კარგად იცოდა, როგორ მხნედ დაუხვდა შემოსეულ მტერს ეგარსლან ბაკურციხელი, როგორ ხანგრძლივად გაუწია წინააღმდეგობა მათ დამკვიდრებას კახეთში და, ბოლოს, როგორ გასწირა თავი სასიკვდილოდ უძლეველი მონგოლების ბატონობის დასამზობად შეთქმულებაში მონაწილეობით.

ხელფეხმკერულს, შიშველ ტანზე თათლწასმულს ბზიკები ეხვია და უდაბნოს ცხელი მზე სწვავდა.

ცოტნე დადიანს რომ არ მოესწრო და მის მოსვლას სასწაულებრივად არ ეხსენა, ეგარსლანიც სხვა შეთქმულებთან ერთად ხერხემალგადატეხილი სადმე ხრამში ეგდებოდა.

სიცხისაგან კანდათუთქული და კრა-

ზანებისაგან დაკბენილი, თავპირდასრული ბაკურციხელი სიკვდილს გვხვანა, მაგრამ თავდახსნილს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. კახეთში ურმით ჩამოყვანეს მწოლიარე და სამ თვეს სასიკვდილოდ იყო გადადებული.

ქვეყნის ყველა კუთხიდან მოწვეულმა მკურნალებმა არც თავი დახოვეს, არც ცოღნა და გამოცდილება დაიშურეს, ღამეები უთიეს და ათასგვარი მალამოთი და წამლით, შემრგო სასმელსაქმლითა და სათუთი მივლით, როგორც იყო, საქაოს მოაბრუნეს და ნელნელა ფეხზე დააყენეს.

მომჯობინებული ეგარსლანი ხელადედა: ვინც მონგოლ ნოინებთან სიახლოვესადა კარგ ურთიერთობას ახერხებდა, თავადაც ხელმომთბარი იყო და მისი სამთავროც მშვიდობიანად ცხოვრობდა. ვის ჰქონდა უფლება კახეთის ერისთავისთვის მონგოლებთან დამეგობრება ესაყვედურებინა? ვის გადახდა მასზე მეტი ჭირი და უბედურება?!

როგორც მოიკეთა და ცხენზე ჯდომა შესძლო, ნოინებს დიდი ძღვენი გაუგზავნა.

ცოტა ხნის მერე თვითონ ეახლა ბიჩუ ნოინს ძვირფასი საჩუქრებით, სანადიროდ გამოიტყუა და კახეთში ერთ კვირაზე მეტს ჰყავდა.

გააგიჟა ბაკურციხელმა მონგოლი ნოინი. მსგავსი არც ნადირობა ენახა ბიჩუს, არც მასპინძლობა. ეგარსლანი ყოველ დღე ახალ-ახალ შესაქცევარს იგონებდა, ერთიმეორეზე სასიამოვნოსა და მიმზიდველს. თვალის გახელიდან ლხინი და გართობა იწყებოდა და ბიჩუ ნოინი ყოველ დღე უგონო მთვრალი იძინებდა. მგრამ ნოინს ის ათამამებდა და ახალისებდა, რომ მეორე დღეს კიდევ უფრო ღონემოჭარბებული და გონებაგამოკეთებული დგებოდა.

სადაც უნდა შეესვენათ, ნადირობასა და მოგზაურობის დროს, მიუვალ მთებსა თუ უღრან ტყეში, ყველგან სუფრა

გრიგოლ აბაშიძე
ეგარსლან ბაკურციხელი



ხედბოდათ გაშლილი და ყველგან უხილავი ხელის მიერ მოწყობილი სანახაობა, ცეკვა-თამაში და გალობა ატკობდა სინატიფეს შეუჩვეველი მონგოლის თვალსა და სმენას. ღვინომოკიდებული, თავადაც საცეკვაოდ მიიწევდა, დათვივით ბუქნავდა და გულის გამწყალბლად გაჰკიოდა ერთსა და იმავე სიმღერას, მოსაწყენსა და გაუგებარს.

კახეთიდან წასვლა აღარ უნდოდა და ალბათ დიდხანს არც წავიდოდა, ილხანს რომ საომრად არ დაებარებინა.

გულდაწყვეტილი აიყარა, თან ეგარსლანი და კახელი მეომრები გაიყოლა და ჰულაგუ ყაენისათვის კახური ღვინოც ბლომად წაიღო.

ბაკურციხელმა იმ ომში დიდი მხედრული ხელოვნება აჩვენა, არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა, კახელ მეომრებთან ერთად პირველმა შელევწა მტრის სიმაგრე, ციხეში შეიჭრა და საშინელება დაატრიალა.

ჰულაგუ ყაენი შორიდან უყურებდა ციხის იერიშს. კახელი გოლიათის კვეთებამ და თავზეხელალებამ მოხიბლა. ციხის დაცემის შემდეგ მოიკითხა. ბიჩუ ნოინმა კახეთის ერისთავი უქო, მაგრამ მოზომილად. იცოდა, ბაკურციხელის ერთხელ შეხვედრა იკმარებდა სუფრაზე ჰულაგუ ყაენთან, რომ შემდეგ მბრძანებელს უმისოდ პური აღარ ექამა.

ბიჩუ ნოინს კი თავისი ანგარიში ჰქონდა, მისი საგამგეო ქვეყნიდან ყაენის კარზე ამბის მიმტანად თავისი თავის მეტი სხვა არავინ უნდოდა.

— მამაცი ვაჟკაცი ჩანს. ხომ არ მოვიხმო და დავასაჩუქროთ? — იკითხა ყაენმა და ნოინს ქვეშ-ქვეშ ვახედა.

— სწორედ რომ ღირსია მბრძანებლის წყალობისა, მაგრამ დაჭრილია და თქვენს ხლებას ვერ შესძლებს. ისე კი, თუ თქვენი ნება იქნება, თქვენს ბრძანებას ვადავცემ, გაახარებს და წახალისებს შემდგომი ერთგულებებისათვის, — თავდახრით თქვა ბიჩუ ნოინმა.

ბიჩუ ნოინი ტყუილის თქმას ვერ გაბედავდა ყაენის წინაშე, ეგარსლანი მართლაც დაჭრილი იყო მუხლში მსუბუ-

ქად. ერისთავი თავის კარავში იწვია, მაგრამ ისე უღონოდ როდი იყვნენ მსუბუქი კი არა, მძიმე ჰრილობაც არ გააჩერებდა, ჩიტვივით წამოფრინდებოდა და ილხანის მოსახიბლავად თავს არ დაზოგავდა, იმ თავის ჰრილობაზეც იცინებდა და მბრძანებელსაც აცინებდა, გუნებას გაუხალისებდა და საზრუნავს დაავიწყებდა, დაღვედა და დააღვეინებდა და...

სწორედ ეს არ უნდოდა ბიჩუ ნოინს და ეგარსლანის მსუბუქი ჰრილობა კარგად მოიმიზეხა — დაჭრილიაო, მოახსენა ყაენს და ეს იკმარა. იცოდა, ჰულაგუს დიდად არ ედარდებოდა ქართველის მთავარი და მისი ჰრილობის რკვევითათვის თავს არ შეიწყუხებდა.

ყაენთან არ მიუშვა ბიჩუ ნოინმა ქართველი მთავარი, მაგრამ თვითონ კი გვერდით აღარ იშორებდა, უმისოდ შორს აღარსად მიდიოდა, ყოველ კვირაში თავის კარზე იბარებდა და თუ თან არ ჰყავდა, მოწყენილი იყო.

საქართველოს ამბებს მხოლოდ მას ეკითხებოდა, ქვეყნის ავ-კარგზე მას ეთათბირებოდა და სხვა მთავრებს მისი რჩევითა და დასტურით უსწორდებოდა.

ბოლოს ისე შორს წავიდა, რომ მასთან საჩივრულად ან საქმის გასარიგებლად მისულ ქართველ მთავრებს თავისთან არ უშვებდა და ბაკურციხელთან გზავნიდა:

— უთხარით, რომ არ მცალია. კახეთის ერისთავს ეახლონ და რასაც ის გადაწყვეტს, ყაბულს ვიქნები. — უთვლიდა ძღვენითა და საჩივრით მოსულ მთავრებს ბიჩუ ნოინი, ძღვენს თვითონ იტოვებდა და საჩივარს ეგარსლანს უგზავნიდა.

გულზე სკდებოდნენ თავიანთი მალაი წარმოშობითა და სიმდიდრით გაამპარტავებულნი მთავრები.

— ღორის ტილს ფეხზე დაისვაჲ, თავზე აგალოდებამ! — ჩურჩულდნენ კეთილშობილი მთავრები და გულს ასკდებოდნენ.

რა არ ილონეს შანშე ზაქარიას ძემ და ვარამ გაგელმა, ჰულაგუ ყაენთანაც



კი იჩივლეს, მაგრამ ყველა არზა და საჩივარი ბიჩუ ნოინს უვარდებოდა ხელთ, ბიჩუ ეგარსლანის ძვირს ყურში არ უშვებდა და ბაკურციხელის გამკითხავი, პასუხის მომთხოვი აღარავინ იყო.

მეფე არ ერქვა ეგარსლანს, თორემ მეფესავით მართავდა ქვეყანას.

დიდგვარიანი მთავრები თანდათან თრგუნავდნენ საკუთარ თავმოყვარეობას, თანდათან ქედს იდრეკდნენ და ცდილობდნენ შეჩვეოდნენ ეგარსლანის ხელქვეითობას.

შეეჩვეოდნენ კიდევ, რომ...

შანშე მხარგრძელი ლოგინად იყო ჩაყარდნილი. დიდი თამარის სახელოვანი მხედართმთავრის მემკვიდრე, თავად რუსუდან მეფის მანდატურთუხუცესი, ეს ერთი ხანი იყო ავადმყოფობდა. რომ გეკითხათ, რას უჩივიო, ვერ გეტყვოდათ, არაფერს იტკივებდა, მაგრამ უღონობას ვერ ერეოდა, ერთთავად უფუნებოდ იყო და გარეთ გახედვა არ უნდოდა.

იწვა კედლისკენ პირმიქცეული და ფიქრობდა. საფიქრალი და საწუხარი კი ბევრი ჰქონდა გარდაცვლილი მეფის ვაზირყოფილსა და უპირველეს მთავართაგანს.

როგორ უკლმა შებრუნდა საქართველოს ბედის ტრიალი, სამეფო, რომელიც სხვებს სცემდა შიშის ზარს და რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იერუსალიმის განთავისუფლებასა და ბაღდადის დაპყრობაზე ოცნების ხორცისშესხმისათვის ემზადებოდა, დღეს თვითონ იყო დაპყრობილი და დამხობილი, ქედზე მონგოლთა უღელი ედგა და მადლა საფრენი ფრთები მოკვეცილი ჰქონდა.

ახლა საქართველო თვითონ არის სხვისი მოხარკე. შანშეს მამულში უცხო დამპყრობლები დგანან და მხარგრძელთა სამკედრო ანისი ურდოს სამყოფელად არის ქეცული. მონგოლები, ვიდრე ფეხს კარგად მოიდგამდნენ, ქართველ მთავრებს კიდევ უწევდნენ ანგარიშს, მათი წინააღმდეგობის საბოლოოდ დათრგუნვა უნდოდათ და ერთხანს ეფერებოდნენ. მერე, როცა ქარ-

თველებმა უაზრო წინააღმდეგობაჩვენელი აიღეს და დამპყრობლებს ანთი ციხე-სიმაგრეები ჩააბარეს, მონგოლებმა წყალობასა და ფერებას უკლეს. ქვეყანას ისე მართავდნენ, თავიანთ საგამგეოში ქართველ მთავრებს აღარაფერს ეკითხებოდნენ, თავგასულები, როგორც სურდათ, ხალხს ისე ექცეოდნენ, კეთილშობილსა და აღმატებულ ქართველ მთავრებს ერთადერთი უფლებბა დაუტოვეს დამპყრობლებმა — თავ-თავიანთი ლაშქრის წინ გაძლოლა და მონგოლთა მტრებზე იერიშის მიტანა. ძალა აღმართსა ხნავს და დიდგვარიანი მთავრები შეეგუენ უცხო ბრძანებელთა მორჩილებას, მათ მოხარკეობასა და სამსახურს. ეს გარღუვალი იყო და რაკი ბედისწერასთან ვერც ხმლით გახდნენ ვერაფერს, ვერც თავის განწირვით, ბედის განაჩენის დამორჩილებისა აღარ რცხვენოდათ.

სამარცხვინო მხოლოდ ის იყო, რომ ბოლო დროს მონგოლებმა მხარგრძელებსა და თმოგველებს, სურამელებსა და ციხისჯვარელებს, დადიან-ბედიანებსა და ჰერეთის ერისთავებს, გაველებსა და თორელებს, ეგარსლან ბაკურციხელი დაასვეს თავზე.

ამ მედროვემაც შეიფერა მონგოლების პატივი. უზომოდ გაიბერა და გათავხედდა, ცა ქულად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჯერჯერობით ბაგრატიონთა ტახტზე ვერ დაჯდა და თავს მათი გვირგვინი ვერ დაიდგა, თორემ მეფობას სხვა აღარა უკლდა რა: ქვეყანას თავის ნება-სურვილზე მართავს და იმ ქართველ მთავრებს, გუშინ რომ მხარში ამოდგომას ვერ უბედავდა, დღეს თავის კართან ალოდინებს, ზოგჯერ მათი აჯის მოსმენასაც არ კადრულობს და მათი ყმებისა და მამულების ბედს მათ დაუკითხავად წყვეტს, მონგოლ ნოინთა მძლავრობა და თავგასულობა ვეღარ აიტანა შანშეს ბიძაშვილმა და საქართველოს უპირველესმა ვაზირმა ავაგ

გრიგოლ ავაშიძე
ეგარსლან ბაკურციხელი



მხარგრძელმა და აკი ამიტომაც წავიდა ყარაყორუმს! ბუნებით მშვიდი, ნებიერ ცხოვრებას შეჩვეული ავაგი ესოდენ ძნელსა და საშიშ გზას არ დაადგებოდა, მაგრამ ნოინთავან ათვალწუნებულს თავის ქვეყანაში აღარ ედგომებოდა, ერთადერთი იმედი წართმეული უფლების აღდგენისა ყარაყორუმს წასვლა, დიდი ყაენის ხლება და მისთვის წყალობის გამოთხოვა იყო.

ყარაყორუმს წასვლა თითქმის საიქონის გამგზავრებად ესახებოდათ ქართველებს.

აგერ მეორე წელია ავაგ ათაბაგისა აღარაფერი ისმის, მკვდარია თუ ცოცხალი კაცმა არ იცის. რამდენჯერ გაუკიციხა შანშეს ავაგი თავის გულში: ყოფილიყო ამ თავის ქვეყანაში და ეცხოვრა ჩვენსავით. მარტო ქართველებზე ხომ არ ბატონობენ მონგოლები, სხვა ქვეყნების მეფეები და მთავრებიც ბევრნი დამორჩილდნენ, ფიქრობდა თავისთვის შანშე მხარგრძელი და ნანობდა, რომ არ დაუშვალა ბიძაშვილს ესოდენ სახიფათო გზაზე დადგომა. მაგრამ ეს შარშან იყო. მაშინ, ავაგის დროს, ეგარსლანი ჯერ კიდევ არ იყო ასე აღზევებული და თავგასული. ავაგი რომ ეგარსლანის ესოდენ გათავხედებას შესწრებოდა, ალბათ ყარაყორუმში კი არა, ჯოჯოხეთში წასვლასაც არჩევდა საქართველოში დარჩენას და ეგარსლანის მბრძანებლობის მორჩილებას.

ნეტავ შანშესაც შეეძლოს ყარაყორუმს გამგზავრება! წასვლისას ავაგმა აღუთქვა, შენს საქმესაც გაავარიგებო, და გაარიგებდა კიდევაც, თუ ცოცხალია. მაგრამ, რახანია ავაგისა აღარაფერი ისმის, გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელი!

ეგარსლანმა მაშინვე მტრულად შეხედდა ავაგის ყარაყორუმს გამგზავრებას. ერთხანს ალბათ ფიქრობდა, ვინ იცის, ეგებ მართლა დიდი ყაენისაგან შეწყნარებული მობრუნდესო. ავაგის საგამგეო ქვეყანას არ აწუხებდა და შანშეს მიმართაც ძალის გამოჩენის ერიდებოდა. ბოლო დროს, როცა ავაგის დაბრუნების

იმედი გადაიწყვიტეს, ეგარსლანი მულებსაც მისწვდა და შანშე ძელსაც მბრძანებლობა დაუწყო.

მხარგრძელმა გაუხედნავი კვიცივით იხუა ბაქურციხელის აღვირი, მის ბრძანებებს არ დაემორჩილა და ნოინებთან უჩივლა. საჩივრითა და წინააღმდეგობით რომ ეერაფერს გახდა, საკუთარ მამულში ჩაიკეტა და შინიდან გამოსვლა აღიკვეთა. იწვა ბოლომთ გასიკვებული, კედლისკენ გადაბრუნებული და შავი ფიქრებით აფორიაქებული საკუთარ გულს ასკვებოდა.

●
ფეხის ხმა ჩავსმა.
ოთახში ვილაც შემოვიდა.
— გძინავს, მამა-ბატონო?
შანშემ გადმობრუნება არ ინდომა, ხელის გაქნევით ანიშნა, არ ძძინავსო. — მონგოლები მოდიან, სადაცაა აქ გაჩნდებიან.

რაო? — გველნაკბენივით შეხტა შანშე, ლოგინზე წამოიწია და შეილისკენ შემობრუნდა, — რაო, თავს გვესხმიან? — იკითხა შეშფოთებულმა.

— თავდამსხმელებს არ გვანან, მცირე რაზმია. მთელი ჩვენი სამკვიდრო ისე გამოუვლიათ, არც ვინმე დაურბევიათ, არც საღმე საძარცველად შეჩერებულან. პირდაპირ აქეთ მოდიან.

— ნეტავ რა უნდათ! — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა შანშემ და კბილი გაადრჷიალა, ტანსაცმელს მისწვდა და სწრაფად შეუღდა ჩაცმას, — გალავანი ჩავეკეტოთ და ჯალაბი ციხეში შევხიზნოთ, ზაქარია! ხალხი თუ იხმე?

— ყველა ფეხზე დავაყენე. ქალებსა და ბავშვებს ახლავე ციხეში შევიყვან. თუმცა მცირე რაზმი ყოფილა და. არა მგონია, ავი განზრახვით იყვნენ.

— მაგათსას ვერას გაიგებ... რაც არ გგონია, სწორედ იმას იზამენ.

შანშე ხმალ-ხანჯალს მისწვდა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

იარალასხმული ვაჟაკები ეზოში შეკრებილიყვნენ.

— ბიჩუ ნოინი მოუძღვით, თურმე.



ათიოდ კაცი ხლებია, — მოახსენა ციხისთავმა.

— დასარბევად გამოსვლას არ გავს, მაგრამ ბიჩუ ნოინს რა უნდა უნდოდეს?! — იკითხა შანშემ და შეკრებილთ თვალი მოავლო.

ორმოცდაათამდე რჩეული ვაჟკაცი საომრად აღჭურვილი იდგა. თავჩაჩქინანებს ხელთ ფარ-შუბები ჰქონდათ დაბღუჭული და ბრძანებას ელოდნენ.

— ქალები და ბალები მაინც დახიზნე, ზაქარია, გალენის კარს ნუ დავკეტავთ, — იძლეოდა განკარგულებას შანშე, — ციხისთავო! ეს ხალხი ციხეში დამალე. თუ გასაჭირი იქნა, გაცნობებო. ციხისთავმა თავი დაუკრა.

— მომყეთ! — გადასძახა იარაღსმულეებს და ციხისკენ წაუძღვა.

ქალები და ბალები ციხეში იხიზნებოდნენ, კაცები აჩუმებდნენ, მაგრამ მაინც გნისობდნენ, წყევლა-კრულვითა და ქოქოლით გარბოდნენ და თან წიწილებივით დაწიოკებული ბავშვები მისდევდათ.

— შენც ციხეში შედი, ზაქარია! — ბრძანა შანშემ.

— მე შენთან დავრჩები, მარტო ვერ დავტოვებ, — გადაჭრით თქვა ზაქარიამ.

შვილის გაუგონარობას შეუჩვენებელმა შანშემ წარბი შეიკრა.

— მე რომ გვერდით გეყოლები, მოგერიდებიან, აუგს ვერ გკადრებენ, — დასძინა ზაქარიამ.

შანშემ აღარაფერი უთხრა.

სათვალთვალო კოშკში მდგარ გუშაგს ახედა და იკითხა:

— შორს არიან?

— ჯერ არ ჩანან, მთავარო.

— კარი მაინც დავკეტოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივია, — ხმამაღლა შეჰბედა მამას ზაქარიამ, — ბიჩუ ნოინს არ გავუფრთხილებივართ, ვერ იტყვის რომ კარი დავუხშეთ.

შანშემ შვილს შეხედა, დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

ზაქარიამ კართან მდგარ გუშაგებს

გასძახა და რკინის მძიმე კარი ნელა პიხისურა.

— მაღლა ავიდეთ, — თქვა ზაქარიამ და ციხისკენ ხელი გაიშვირა.

შანშე დაჰყაბულდა.

ციხის სათვალთვალოდან გაჰყურებდა მამა-შვილი. შორს ჯერ ფეხის მტერის სვეტი გამოჩნდა, შემდეგ იმ მტვერში თანდათან ცხენოსნები გამოიკვეთნენ.

გალავანს რომ დაუახლოვდნენ, ცხენები ნაბიჯზე გადაიყვანეს.

რაზმი მართლაც მცირე იყო, ბიჩუ ნოინს შვიდიოდე კაცი თუ ახლდა.

ნოინი დაწინაურდა, ცხენი რკინის კართან მიავლო და მაღლა ასძახა:

— მასპინძლო!

ზაქარიამ ციხის სარკმელში გამოხედვა დააპირა, მაგრამ მამამ არ მიუშვა. უკან დასწია.

— ციხეში სამტროდ ჩაკეტილი ვუგონებით, ეგრე დახვედრა არ ივარგებს... ძირს ჩავიდეთ და კარი გავულოთ, — ბრძანა შანშემ და კიბეს დაუშვა.

— მასპინძლო! — ისევ ასძახა ბიჩუ ნოინმა და კარზე შუბის ტარით დაარახუნა.

გუშაგები გალენის ნაპირას წარსდგნენ.

— თქვენ მთავარს მოახსენეთ, სამახარობლოდ მოვსულვართ.

შანშემ მხრები აიჩეჩა, შვილს გაოცებულმა შეხედა. მერე ნიშანი მისცა და რკინის კარი მძიმედ გაიღო.

ცხენდაცხენ შემოვიდნენ მონგოლები. მთავარი და მისი მემკვიდრე დინჯი ნაბიჯით შეეგებნენ.

შანშე არ ელოდა, შორიახლო შეაყენა ბიჩუ ნოინმა ცხენი და დაიქვეითა.

— მთავარო, სამახარობლო მეკუთვნის! — შესძახა წინ შეეგებებულ შანშეს და ხელგაშლილი წამოვიდა, — ათაბაგი ავაგი მშვიდობითა და ყანის წყალობით დაბრუნდა.

გრიგოლ ავაშიძე
ეპარსლან ბაკურციხელი

შანშე ყურს არ უჯერებდა.

— რას ბრძანებთ ნოინო!

— დიდი ყაენის მიერ შეწყნარებული და დაჯილდოებული ავაგი ახლა ჩვენს მბრძანებელთან, ჰულაგუ ყაენთანაა.

— ნუთუ ცოცხალია?

— ცოცხალია და მალე აქ იქნება. დიდ ყაენს იარლიყი მიუცია, საქართველოს სამეფოს პირველ მთავრად უცენია და დიდებული ილხანის განკარგულებით, ჩვენც ყველამ მისი პირველობა უნდა ვაღიაროთ.

— შენს პირს შაქარი, ნოინო! — შესძახა შანშემ და თაყვანის საცემად დაჩოქება დააბირა.

— ნუ, თავადო... ნუ... ეგ რა საკადრისია! — მუხლზე დაცემა არ დაანება ბიჩუმ. — გილოცავ. გულით გილოცავ! — გაიღრიჭა და მთავარს მოეხვია. მერე შაქარის მოხედა. საჩხუბრად შემართული მთავრის ქაბუკი მემკვიდრე გაოცებული უყურებდა ბიჩუსა და შანშეს ხევენას.

— შენც გილოცავ! — ცალყბად უთხრა ბიჩუმ გოროზად მზირალ შაქარისა და ხელი გაუწოდა. — წერილიც მოგართვი, მთავარო! ავაგ ათაბაგს შენთვის წიგნი მოუწერია, — ბიჩუ ნოინმა უბიდან გრაგნილი ამოიღო და შანშეს გადასცა.

— ეს რა დღეს შევესწარი, ნოინო! შინ მობრძანდით, — ბავშვივით გაიხარა შანშემ, — ზაქარია, მსახურებს უხმე, სუფრა გაშალეთ.

— შინ შესვლა არ ღირს. აქ სადმე ჩრდილში დავისვენოთ, დროც ბევრი არ გვაქვს, — თქვა ბიჩუმ და უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილისკენ გაიწია.

— თქვენს სურვილზე იყო! — დამორჩილდა შანშე.

მსახურები დატრიალდნენ, მონგოლებს ცხენები ჩამოართვეს, კაკლის ქვეშ ნოხები დაპინეს, თორნე გაახურეს, უშობელი დაკლეს!

სანამ სუფრა გაიწყობოდა, შანშე მხარგრძელი ცალკე განაბირდა, ავაგის წიგნს ჩაუჯდა და თვალცრემლიანი კი-

თხლობდა ძნელი გზისა და მანგუყაენის ებში მისვლისა და ფათერაკების თითქმის დაუჯერებელ მოთხრობას.

აღმათ ვერც წარმოიდგენთ, რა ჭირი და განსაცდელიც თავს გადამხდა, მაგრამ ღვთით, ყოველივე კარგად დასრულდა და ყაენების დიდი წყალობით ვბრუნდებით.

ბოლოს გადაკრულად იწერებოდა ავაგი: როგორც ჩამოვალ, კახეთში წავიძღვებით, ტახზე უნდა ვინადიროთო. აშინაზ წვრილად, გაკრულად იყო მიწერილი, მალე შეგატყობინებთ, როდის და როგორ შემხედეთო.

ნაქეიფარი ბიჩუ ნოინი საჩუქრებით ავსებული გაისტუმრა შანშე მხარგრძელმა.

ორი დღის შემდეგ საქართველოს მთავრები იწვია. ლიხთიმერეთიდანაც კი მოიბატოჟა ცოტნე დადიანი და რაქის ერისთავი. მხოლოდ ერთი აკლდა მთავართავან. ამდენ ხანს უპირველესად წოდებული ევარსლან ბაკურციხელი.

— ნეტავ მისთვისაც გეხმო, სულერთია, გაიგებს! — ჩუმად უჩურჩულა ფრთხილმა სურამელმა შანშეს.

— გაიგებს, თორემ ყურზე ხახვი არ დამაჭრას! რაც აქამდე ვერ მიყო, აწი რაღას მიზამს! — გადაიხარხარა მხარგრძელმა და სუფრაზე შემომსხდარ მთავრებს ავაგის წერილი ხმამაღლა წაუკითხა.

ბაკურციხელს არც შანშესთან ბიჩუ ნოინის სტუმრობა გამოპარვია, არც მთავრების შეკრების ამბავი. ხმები მოიღოდა და თვითონაც ხედებოდა, რომ რაღაცას უმზადებდნენ უკმაყოფილო ერისთავები. მაგრამ მათი შფოთი ახალი ამბავი არ იყო, მათგან სიკეთეს არც მოელოდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კვლავაც იოლად გაუსწორდებოდა ყველა წინააღმდეგობას.

როცა ყველაფერი კარგად გამოიწყვილილა, ძვირფასი ძღვენით დატვირთული ბიჩუს კარს მიაღდა.



— მის მიმუღსა და ქონებას ხელს არ ვყოფ, სხვა მხრივ კი ავაგიც დანარჩენი მთავრებივით მე უნდა დამემორჩილოს, — განუცხადა თავდაჯერებულმა ეგარსლანმა ბიჩუს და თვალი თვალში გაუყარა.

ვერცხლის წყალივით მოძრავი წვრილი თვალები წამით შეჩერდნენ და დამცინავად დააქქერდნენ გაქედმაღლებულ მთავარს.

— შენ კი არა, მე აღარ დამემორჩილება ავაგ მხარგრძელი, მთავარო! ჰი-ჰი-ჰი... — ჩაიქირქილა ბიჩუმ და მუხლზე ხელი დაირტყა.

— ეგ შეუძლებელია! — იტყვიცა ეგარსლანმა.

— შეუძლებელი აღარაფერია, როცა ავაგ ათაბაგს დიდი ყაენის იარლიყი ხელთა აქვს... პირველ ხანებში მაინც, ანამ დრო იმ იარლიყს არ მოაძველებს და ქედს ძველებურად არ მოვადრეკინებთ ათაბაგს. მაგრამ ეგ მე აღარ მომიწევს... ჰულაგუ ყაენი თავის კარზე მიხმობს, მალე აქედან სამუდამოდ უნდა წავიდე და მხარგრძელის მოთოკეცა და თქვენი მორიგებაც სხვა ნოინს მოუხდება.

— ხუმრობთ, ბატონო? — გაოცებიანაგან პირი დააღო ეგარსლანმა.

— რა სახუმროა! ამ დღეებში ჩემი შემცვლელი ნოინი მოვა!..

— ეგ როგორ? შენ რატომ უნდა შეგცვალონ? ყაენს ერთგულება დააკელი თუ სამსახური?.. რა დანაშაული მიგიძღვის?!

— რატომ უნდა შემცვალონო? ეგ ვინ იცის, ჩემო ეგარსლან? დანაშაულად ეგებ ისიც კმარა, რომ თქვენთან დიდხანს მოვათიე და აქაურობას შევეჩვიე. — ბიჩუ ნოინს სახე მოუღბა და თვალი მოუწყლიანდა.

ეგარსლანი მიხვდა: ამიერიდან ბიჩუ ნოინს მფარველი თვითონ ჰყავდა საძებნელი და მის იმედად ქვეყნის მართვა კი არა, შინ ჯდომაც აღარ შეიძლებოდა.

სხვა რაღა გზა იყო. ვიდრე ბიჩუს შემცვლელი ნოინი გა-

მოჩნდებოდა და მასთან დაახლოვებას მოახერხებდა, ეგარსლანს თავი ისევ ატყუებდა და მოეჩვენებინა, ვითომ ავაგ მხარგრძელის აღზავება და სამშობლოში დაბრუნება სხვაზე მეტად უხაროდა. ჯერ, ერთხანს ასე იქნება, მერე დრო თვითონ უკარნახებს, ვის როგორ მოექცეს ბაკურციხელი. ბიჩუ ნოინი ბუნებით ფრთხილი კაცია და იმასაც კი დაცდა: დრო მოაძველებს ავაგის იარლიყსო!

როგორც კი აცნობეს, თბილისში შანშე მხარგრძელი გამოჩნდაო, მის ხლებას როდიღა დაელოდა, როგორც ნაჩვევი იყო, იქით ეწვია და გადაეხვია:

— ავაგის მობრუნების ამბავი შევიტყე და გული აღარ დამიდგა; მაშინვე შენსკენ გამოვექანდი. მომილოცავს, ცოცხალი და ყაენისაგან აღზევებული რომ ბრუნდება, — შანშეს ქმურად გადაეხვია ეგარსლანი და ხმადაბლა დაუმატა, — ყველას მოსალოცი გვაქვს, შანშე, ავაგ ათაბაგი ამ პირუტყვი მონგოლების ბატონობისაგან დაგვიხსნის და მათ მძლავრობას ბოლოს მოუღებს.

შანშემ წაუყრუა უკანასკნელ სიტყვებს.

— მადლობელი ვარ, მთავარო! მჯერა არ გეწყინებოდა ბიძაჩემის, დიდი ივანე ათაბაგის მეშვიდრის მშვიდობით დაბრუნება.

— მეწყინა კი არა, პარაკლისს ვაზდევენებ სიონში. კარგია, რომ შენც აქა ხარ, ერთად შევეწირთ საქართველოს მფარველ ღვთისშობელს მადლობა. მეგონა, ავაგის ამბავი რომ შეიტყვე, მეც მაეცნობებდი და გამახარებდი, მაგრამ შორს ვარ და არ გაგახსენდი... — ეგარსლანმა თვალი თვალში გაუყარა შანსეს.

შანშე მიხვდა, ბაკურციხელმა მასთან მთავრების საიდუმლო შეკრების ამბავი იცოდა და დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

— თვითონ მოვიდნენ მოსალოცად, მე არავინ მომიწვევია, მთავარო, — იმართლა თავი მხარგრძელმა.

გრიგოლ აბაშიძე
იზარსლან ბაჰარციხელი

— კაი ამბავია, შენ არ მომიყვდე, ლიხთიმერეთში, რაჭისა და ოდიშის მთავრები გებულობენ ლორეში მისული წერილის შინაარსს. მე აგერ თბილისში ვზივარ, საქართველოს სატახტოში, და ვერაფერს ვტყობილობ...

მხარგრძელი ხმას არ იღებდა. ბაკურციხელი ყველაფერს მიხვედრილი იყო და მიკიბ-მოკიბვას აზრი არ ჰქონდა.

— სხვა დროს ნულარ გამომტოვებთ. შანშე, უჩემოდ ნუ შეიკრიბებით სამშობლოს ბედის გამოსარჩევად... კარგად იცით, მონგოლებზე ჭვარდაწერილი არ ვარ, სხვაზე ნაკლებ მათ წინააღმდეგ ვარ მიბრძოლია და კობტასთავის შეთქმულებისთვისაც თავი არ ამირიდებია.

მხარგრძელი წამოწითლდა. კობტასთავის შეთქმულებაში მხოლოდ მან არ მიიღო მონაწილეობა, რადგანაც აჯანყების უაზრობას კარგად ხედავდა და სხვებსაც არწმუნებდა, მონგოლების წინააღმდეგ ვერას გავხდებით, ტყუილად გავიჟლიტებითო. მაგრამ როცა მთავრებმა არ დაიშალეს და მიანიც შეითქვენენ, ხალხში, შეთქმულების მარცხის შემდეგ, დიდხანს არ დამცხრალა მითქმა-მოთქმა შანშე მხარგრძელის განდგომაზე, სამეფოს ბედისადმი მის გულგრილობაზე.

ბაკურციხელი სწორედ ამ მტკივნეულ აღვილს შეეხო ახლა და შანშეს თავისი მამულიშვილური ღვაწლიც ვაახსენა. ცოტაც და მხარგრძელი ალბათ იფეთქებდა, მაგრამ ეგარსლანმა გულწრფელად გაუღიმა, ერთხელ კიდევ მოეხვია და ტბილი სიტყვით მოალობო.

— ეგლა გვაკლია, შანშე, ერთმანეთს დავერიოთ და მტერი გავახაროთ. შეწისთანა მამულიშვილი ვინ გვყავს, ან შენზე მეტს ქვეყნისთვის ვინ ზრუნავს. მე იმის თქმა მინდოდა, ნუ დამივიწყებთ-მეთვთ, ლიხთიმეც ნუ გამომტოვებთ და ჭირშიც თქვენ სანაცვლოდ მიგულეთ.

ბაკურციხელმა ავაგის მშვიდობით დაბრუნების გამო სიონში პარაკლისი

გადაახლევეინა და დიდი ნადიმი მოაწყობა. პარაკლისზე იმ დროს სატახტოში მსჯელობდა ყველა მთავარი გამოცხადდა, მაგრამ ნადიმზე შანშეს გარდა ორიოდ ერისთავი ძლივს ეწვია.

ეგარსლანი კარგად ხედავდა, რატომაც ერიდებოდნენ ამდენ ხანს მორჩილი მთავრები.

ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოქონდათ: შანშე მხარგრძელმა ავაგთან კაცი აფრინაო, ავაგის საიღუმლო წერილი მოვიდაო, მთავრები ფარულად იკრიბებიან და რაღაც მოლაპარაკება აქვთო. გუშინ მორჩილი მთავრები დღეს აქეთ ამაღლიდნენ ბაკურციხელს სალამსა და მოკითხვას. ატყობდა ეგარსლანი, ბედის ჩარხი უკუღმა აპირებდა შემობრუნებას, მაგრამ რა ექნა და რა ელონა?!

ხედავდა, რომ მოვლენები თავისთავად, უმისოდ ვითარდებოდა, რაკი დინების საწინააღმდეგოდ სვლა არ შეეძლო, უნდოდა თუ არა, იმ დინებას უნდა აჰყოლოდა და მარჯვე შემთხვევისათვის ეცადნა, რომ ტალღას ისევ თავზე მოქცეოდა.

ცდა და ლოდინი კი აღარ შეეძლო. უკვე ხანში შესულ მთავარს ბრძოლისა და მოქმედების ხალისი ძველებურად აღარ ჰქონდა. მუდამ დაძაბული და შემართული, მოუსვენარი და შფოთიანი ცხოვრება ადრინდებურად აღარ იზიდავდა და მჩქეფარე სიცოცხლის სურვილს მოწყენა შეპარვოდა.

ამქვეყნად უკვე ყველაფერი გამოცადა, აღზევების ფასიც კარგად იცოდა და დაცემისაც, და მთავარს ნელ-ნელა გული გაუგრილდა, ხვალინდელი დღის მიმართ განუტრჩველობა მოერია, სულ ერთია, რაც მოხდება-მოხდებაო, ერთხელ საღდაც, გულისა თუ გონების რომელიღაც კუნჭულში გადაიწყვიტა და ხელი ჩაიქნია.

თვითონაც ვერ გაიგო, როგორ ნელ-ნელა მოეშვა, ფარ-ხმალი დაჰყარა და მუდამ მოუცილებელი სიფხიზლე დაჰკარგა.

რაღაც გაუგებარ უზრუნველობას

მიეცა, აღარც სადმე ეჩქარებოდა. აღარც რისიმე მოლოდინი აღელვებდა.

ამ უმოქმედობისა და უძრაობისაგან შანშე მხარგრძელის უსტარმაც ვერ გამოიყვანა.

ვაზირყოფილი გუშინდელ მბრძანებელს სიყვარულსა და მეგობრობას უმტყუებდა და მთავრების გადაწყვეტილებას ატყობინებდა; ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას შევიკრიბოთ და ავგ ათაბაგის შესაგებებლად ერთად გავემგზავროთო. თან იმასაც დასძენდა: ავგას შემოუთვლია, ღიდი ამალით არ შემხვდეთ, მონგოლებს არ ეწყინოთო.

სხვა დროს მთავრების წვევასა და პაემანსაც, ამალის რაოდენობის წინასწარ განსაზღვრასაც, ეძვირთ შეხედავდა ფხიზელი ეგარსლანი, ახლა კი, თითქოს მას არ ეხებოთ, ცხოვრებამოყირკებულივით ხელი ჩაიქნია და თავისი მტრების გადაწყვეტილების შესრულების სამზადისს შეუდგა.

პაემანზე წასვლის წინა ღამეს სიზმარი ნახა: აღიდებულ მდინარეში მიცურავდა, მხარულს ღონივრად უსვამდა და დინებას მიჰყვებოდა. უცებ მდინარეში მიმართულემა იცვალა. ეგარსლანი ისევ ისე განაგრძობდა ცურვას, მაგრამ ახლა უკვე აღმა, დინების საწინააღმდეგოდ სჭრიდა წყალს. დაიღალა ძლიერ ტალღებთან ბრძოლით, დინებას უგანა და ნაპირისაკენ გასცურა. მაგრამ ნაპირი შორს იყო, წყალი სისხლივით დედდებოდა, სქელდებოდა, ლამი ეკვროდა და წინ ველარ მიიწევდა. ერთხანს იფართხალა იმ ლამსა და წუმბეში, ამოსვლას ცდილობდა, მაგრამ უფრო და უფრო ეფლობოდა უა ძირს მიდიოდა.

თვალვდაკუსული ბაყაყები მდინარის ნაპირას დასკუპულიყვენენ და წელზე დონჩებზემოდგმულნი სიცილით იქაჭებოდნენ.

ლამსა უა უსიამოდ თბილ წყალში სხეული მძიმედ ეფლობა და იძირება ზედაპირი ნელ-ნელა იკვრება, და ეგარსლანს თავიდა რჩება ლამისა უა წუმპის ზემოთ. მერე ის თავიც დაბლა მი-

დის, თვალვებში ზეცა თანდათან ვიწროვდება და...

ბაკურციხელი უკანასკნელ ბაყაყსა ხედავს: იმ ბაყაყს კაცის სახე აქვს, ვილაცას გავს სახით ის ბაყაყი, მაგრამ, ვის, ვერ იხსენებს და ვერა, ბაყაყი ღრუბელივით იბერება, ყვითელი თვალეზი გადმოცვენაზე აქვს. უცებ სკუპს აკეთებს და ზედ შუბლზე ეცემა, მძიმე ლოდვიით დააწვა ისედაც სიღრმისაკენ წასულ ეგარსლანს ის ყვითელ-მწვანე მაჯლაჯუნა.

წუმბემ პირი შეჭრა ბაკურციხელის თავზე და ლამით ამოვსებულ ყურება ძლიეს მისწვდა იმ ბაყაყის ყიყინი:

— ახია! ახია! ეგ შენი! ეგ შენი!

ბაყაყის ხმა გამყინავეი იყო, თავს უხვრეტდა უა ტვინში ბურღივით უძვრებოდა.

უკვე ველარაფერს ხედავს ლამსა და წუმბეში დაძირული ეგარსლანი, მაგრამ ვეძნობს, რომ ვილაც უახლოვდება, ელდაცის გახშირებული სუნთქვა ესმის.

— ახია! ახია!

თავს დამდგარი ჩასძახის ისევ ის კაც-ბაყაყი და ზემოდან წიხლს აყოლებს. ლორწოიანი ფეხის შეხება ცივი და უსიამო იყო. ლამში ჩაძირულ ბაკურციხელს გააჩრქოლა და უკანასკნელად კიდევ ჩაესმა:

— ეგ შენი! ეგ შენი!

წიხლის მოხვედრამ თუ ერქოლამ გამოაღვიძა. კარგად კიდევ არ იყო გონს მოსული, ტან-ფეხზე იხედებოდა და არ ჯეროდა, რომ ლამი და წუმბე მოშორებული ჰქონდა.

— ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! უფა-ლო, კარგად ამიხდინე! — იწერდა პირჯვარს ეგარსლანი და თან იმ წუმბისა უა მაჯლაჯუნის გახსენებით გული ერეოდა.

იმ ღამეს თვალი ველარ მოხუჭა. დილით აღრე ადგა უძილობით დაღლილი

გრიგოლ აბაშიძე
მხარსლან ბაჰარციხელი

და მოხარულივით მოთენთილი. მეუღლემ უგუნებობა შეატყო:

— ცუდი ფერი გადევს! იქნებ არ ინებო წაბრძანება, ხელმწიფევ! — შეევედრა ერთგული ცოლი.

სხვებზე ადრე შინაურებმა და წყალობის დამსახურებისათვის თავგამოდებულმა მლიქვნელებმა დაუწყეს ბაკურციხელს „მეფისა და ხელმწიფის“ წოდებით მიმართვა.

ახლა, როცა ეგარსლანის მეფობას ბოლო ეღებოდა, ბაკურციხელს დაცინვად უნდა მოჩვენებოდა ცოლის ნათქვამი, მაგრამ მეუღლე ძველებურად გულწრფელი იყო ქმრის სიყვარულსა და პატივისცემაში და კახეთის ერისთავმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— არაფერია, წევალ, გავლა მარგებს, — თქვა და აჩქარდა.

როგორც დათქმული იყო, ორი კაცი იახლა მხოლოდ. ისინი კართან დანარჩენ მთავრებს შეუერთდა და გზას დაადგნენ.

იმ დღეს ეგარსლანის მიმართ ყველანი განსაკუთრებულ კრძალვასა და პატივს იჩენდნენ. წინ გაუშვეს და დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

ეგარსლანმა ჩვეულებრივად შეიფერა მთავრების წინამძღოლობა.

სხვა დროს, როცა ძალა ჰქონდა და თეთრი კბილის იქით შავ გულს ხედავდა, მათი პირფერობა აღიზიანებდა და აბრაზებდა.

ახლა, თითქოს მისთვის სულერთი ყოფილიყოს, ვერც მლიქვნელობის უადგილობას ხედავდა, ვერც გადაჭარბებული ქებისა და ფლიდობის აზრს სწვდებოდა.

დიდხანს იარეს.

ნაშუადღევს ტრიალ მინდორზე კორომად მდგარ მუხნარში შევიდნენ.

შანშე მხარგრძელმა მსახურებს უბრძანა:

— საგზალი გადმოიღეთ, სუფრა გაშალეთ! — მთავრებს თვალი მოავლო და ეგარსლანს მიმართა, — რას იტყვი, ეგარსლან-ბატონო, მგონია, პურობისათვის უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ!

ეგარსლანმა თვალი მოავლო მთავრებს და ფეხი მწვანეს და უხალისოდ დაუმოწმა:

— კარგია!

— ჩვენ ნულარ შევჩერდებით, მთავარო. ავგ ათაბაგი ახლო იქნება და შესახვედრად ვიჩქაროთ. მსახურნი ყველანი აქ დარჩებით, — მიუბრუნდა მხლებლებს, — სუფრას გააწყობთ და ათაბაგის დახვედრის თადარიგს გასწევთ.

შანშე მბრძანებლობდა და ავგის ათაბაგობას ხაზს უსვამდა, მაგრამ ხელჩაქნეული, უზრუნველობის ბურანში წასული ეგარსლანი ვერც ამას ამჩნევდა.

დაქვეითებულმა მსახურებმა ცხენებს საპალნე მოხსნეს. ბაკურციხელის ორი მხლებელი მთავრის ბრძანებას ელოდა.

— ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, მემკვიდრემ და ქალბატონმა გვიბრძანეს, ერთ წუთს არსად მოგშორდეთ და მარტო არ დაგტოვოთ, — ხმადაბლა ჩურჩულით უთხრა კახელმა აზნაურმა, რომ სხვას არ გაეგონა.

— თქვენც ის ჰქენით, რასაც სხვებო შერებიან, აქ დარჩით და სუფრა გააწყეთ, — ცივად მოსჭრა ეგარსლანმა და ცხენი წინ დასძრა.

ერთხანს კიდევ იარეს.

მერე შორს ფეხის მტკერი გამოჩნდა.

— ათაბაგი მობრძანდება! — აღმოხდა შანშე მხარგრძელს.

ეგარსლანი სდუმდა, ტანი ცუდს უაზრებდა.

ცის დასავალზე ცხენოსნების რაზმი გამოჩნდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო ემღვრებოდა გუნება ბაკურციხელს.

რად მიდის წინ და რად უახლოვდება იმ რაღაც გაურკვეველსა და ამაფორიჩაქებელ მოლოდინს?

თითქოს ცხენიც გრძნობს პატრონის ყოყმანს, ისიც ფეხს ითრევს და უხალისოდ მიაბიჯებს. რაღაც უნდა იმოქმედოს ეგარსლანმა, მაგრამ თვითონაც

არ იცის რა და, რისთვის უნდა გააკეთოს.

აი, სულ ახლოს არის ავგ მხარგრძელი. ცხენზე ამპარტავნად ზის ყაენის წყალობით გალაღებული ათაბაგი, სიმსუქნე მორევია და სახეზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებს. მაგრამ მოტეხილი ჩანს ავგ ივანეს ძე და ამას მარტო მთლად-ერთიანად გათეთრებული თმა-წვერი კი არ ამქლავნებს, იმ თავმომწონე ღიმილს იქით ცხოვრებისაგან გამწარებულისა და ფათერაკებით საესე თავგადასავლების მძიმე კვალსაც ხედავს ეგარსლანი.

ბაკურციხელმა ვერც გაიგო, როგორ წამოეწიენ თანამგზავრები, ჯერ მხარი გაუსწორეს და მერე შუაში მკიდროდ მოიქციეს.

— მშვიდობა შენს მობრძანებას, ათაბაგო! — შესძახა შანშემ, ცხენიდან გადმოხტა და ავგს მიეგება.

ავგამაც დაიქვეითა და ბიძაშვილს გადაეხვია.

დანარჩენებიც ჩამოხდნენ და ვიდრე თვალცრემლიანი, გულაჩუყებული ავაგი სხვებსაც გადაეხვეოდა, შანშემ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ავგს უცებ ეცვალა ფერი და ეგარსლანს მიაჩერდა. ყველა დაქვეითებული იყო მხოლოდ ბაკურციხელია დაჰყურებდათ ცხენზეიდან. ბურანში წასულმა თვითონაც არ იცოდა, რატომ მანაც სხვებივით არ დაიქვეითა. იჭდა ცხენზე და ტუჩზე სიმწრისა თუ უზრუნველობის უაზრო ღიმილი უკრთოდა. ამირსპასალარს ისე უყურებდა, თითქოს ვერც ხედავდა და არც ესმოდა, ირგვლივ რა ხდებოდა.

ავაგი აენტო.

ხელში მათრახის ტარი დაბლუჯა, ნაბიჯი წინ წადგა და ... თვალი თვალში რომ გაუყარა, ეგარსლანს უსიამოდ გააყრყოლა. იმ გამოხედვაში წუხანდელი მაჯლაჯუნას მზერა დაიჭირა და თვალი დაუბნელდა.

ელვასავით გაიკლაკნა გრძელი მათრახი ჰაერში და ბაკურციხელის სახეს გაეწნა.

ეგარსლანმა განძრევაც ვერ მოასწრო, რამდენიმე ვაჟკაცი ეცა, ცხენიდან გადმოიღეს და ქვეშ მოიგდეს. იარაღი ააგლიჯეს, დაუზოგავად სცემდნენ პირველივე დარტყმისაგან გაბრუებულს და გონდაკარგულს.

— განძარცვეთ და ისე დააგდეთ, უბატოდ! — ბრძანა ავგამა და ფეხია წვერი ზიზლით წაჰკრა ცემით დაოსვლულ, თითქმის უგრძნობელ ეგარსლანის სხეულს.

ტანსაცმელი შემოახიეს.

— ეგ შენი ეგ შენი! — წიხლებიან ცემით ჩასძახეს, ცხენებზე ამხედრდნენ და გინებით მიატოვეს ყვავ-ყორნების კერძად დარჩენილი, ნაგვემი და ფეხქვეშ გათელილი გუშინდელი მბრძანებელი.

მემატინე ამის შემდეგ ერთ სიტყვასაც აღარ სძრავს ეგარსლან ბაკურციხელზე და სწორადაც იქცევა: საქვეყნოდ შერცხვენილი, ლაფდასხმული და თავმოჭრილი კაცის ბოლო—ცხოვრება თუ სიკვდილი არავისთვის აღარ არის საინტერესო.



თვითგვეს



ამ მოსაწყენ და უინტერესო ამბავში არაფერია მოგონილი ან შელამაზებული, მაგრამ ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს ნამდვილად ასეა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უზარმაზარი მუზეუმი თავისი თანამშრომლებითა და დამლაგებლებით. გაზაფხულის ერთ შვენიერ დღეს (თუმცა, იმ დღეს ცა თითქოს განაცრისფერდა და გულიანადაც წვიმდა), ვესტიბიულში, სრულიად მოულოდნელად, უცხო კაცი გამოჩნდა. იქნებოდა დილის ათი საათი. ამ დროისათვის, ჩვეულებისამებრ, მუზეუმში ზოგიერთი თანამშრომელიც არაა მისული, დამთვალეირებელზე რომ

არაფერი ვთქვათ. მაგრამ, უღროოდროს მოსულმა უცხო კაცმა თანამშრომელთა ყურადღება სულ სხვა რამით მიიპყრო: როცა მან ფანჯრის წმენდიერ გართულ დედაბერს რაღაც ჰკითხა, მარჯვენა ფეხი სწრაფად მოხარა და ქუსლი საჯდომზე მიირტყა. დაახლოებით ასეთივე მოძრაობას აკეთებს ცხენი, მუცელზე შესეული ბუზების მოსაგერიებლად. (ოლონდ წინა ფეხით). უღროოდროს მოსული უცხო კაცი წელში ოდნავ მოიხარა, დამლაგებელს მადლობა გადაუხადა, მარჯვენა ფეხის ქუსლი ერთხელ კიდევ მიირტყა საჯდომზე, და, იქითკენ გაემართა, საითაც დედაბერმა გაიშვირა ხელი.



საშუალო სიმაღლისა იქნებოდა, დააბ-
ლოებით ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლის.
ერთი შეხედვით მხარბეჭიანი ჩანდა,
მაგრამ ძალზე ტლანქი აღნაგობა ჰქონ-
და: სქელი, ფენებად ნაკეცი დაბალი
კისერი, განიერი და დამჯდარი მუცელი
და მოკლე ხელები, შავი პირისახე, შა-
ვი, შუბლთან გაცვენილი თმა, შავი,
თხელი უღვამები. ახალგაზარდული
იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ წვერი
არ ამოსდიოდა მხოლოდ ცხვირზე. მისი
ყოველი მოძრაობა მოუქნელ, ხელოვნურ
და არაბუნებრივ შთაბეჭდილებას
ტოვებდა. აშკარად ჩანდა ისიც, რომ
როცა იგი წელში ოდნავ მოხრილი, და-
მლაგებელს მადლობას უხდოდა, თავა-
ზიანობა მას სადღაც გავონილი და ნას-
წავლი ჰქონდა და არა ძვალ-რბილში
გამჯდარი. ამის გამო იყო ალბათ, რომ
დებდებერთან უხერხულად და დაძაბუ-
ლად ექირა თავი. საერთოდ, ასე იქცე-
ვიან ამ ყაიდის ადამიანები ყველასთან,
იქნება ეს დამლაგებელი თუ საქვეყ-
ნოდ ცნობილი პიროვნება. მათი გაუ-
თლელი ბუნება ეწინააღმდეგება მათ
გაზუთხულ განათლებას (სულ ერთია
როგორს) და ამის გამო ძალზე უჭირთ
ადამიანებთან თავისუფალი და უშუა-
ლო ურთიერთობის დამყარება. უდროო
დროს მოსულა უცხო კაცი დამლაგე-
ბელთან თავაზიანი საუბრის დროს უნ-
ებურად ქუსლის საჯდომზე მირტყმით,
ალბათ სხეულის დაძაბული მდგომარე-
ობიდან გამოყვანის ერთ-ერთ საშუა-
ლებას მიმართავდა. ხმა თითქოს ქალუ-
რი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში არა
მამაკაცური, მერტყველება და აქცენტი
პროვინციული. ეცვა შავი, გაცრეცილი
კოსტუმი და ყავისფერი ტილოს ფეხ-
საცმელები. უდროო დროს მოსულმა
უცხო კაცმა თვალი მოჰკრა ვესტიბიუ-
ლის კუთხეში მდგომ თანამშრომლებს,
მაგრამ ისინი თითქოს არც შეუღმნევეა
და ძალდატანებული სიმშვიდით თეთრი
მარმარილოს კიბეებისკენ გაემართა.
გრძნობდა, რომ უყურებდნენ და ფეხე-
ბი ებლანდებოდა. ალბათ იმის გამო,

რომ აღეღებდა დაეფარა, ოდნავ თავი
აწეული მიიბიჯებდა. თეთრი მარმარი-
ლოს კიბეები აკადემიური სიღინჯით
აიარა და... სიცილი შემოესმა! ქვევით,
ვესტიბიულში, იდგნენ და იცინოდნენ!
არავითარი ყურადღება მათთვის არ მი-
უქცევია, მაგრამ, რატომღაც, თავი ოდ-
ნავ კიდევ უფრო მაღლა ასწია, ხელები
კოსტუმის ჯიბეებში ჩაიწყო და მუზე-
უმის დერეფანში თითქოსდა დაური-
დებლად შეაბიჯა. დამლაგებელი სველი
ტილოთი ახლა ფანჯრის უზარმაზარ რა-
ფას წმენდა, დროდადრო თანამშრომ-
ლებს გახედავდა და მათ სიცილზე, თვი-
თონაც არ იცოდა რატომ, თავს აქეთ-
იქით აქნევდა.

ვესტიბიულის კუთხეში ოთხი ახალ-
გაზრდა ქალ-ვაჟი იდგა: მაია, მაკა, ბონ-
დო და ანზორი. ყველამ თითქმის ერთ
წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და
ერთად დაიწყეს მუშაობა. ეს არც თუ
დიდი ხნის წინათ მოხდა და ალბათ
ამის გამო მათში ჯერ კიდევ სკარბობდა
სტუდენტური ჩვევები. მაია მიმზიდვე-
ლი გარეგნობის ქალიშვილი იყო, თვი-
თონაც გრძნობდა ამას და ყველგან და
ყველასთან გამომწვევად ექირა თავი.
მაგრამ იგი მაინც ახერხებდა მდგარიყო
იმ ზღვარს იქით, რომლის გადალახვას
არავის ანებებდა მისი გულწრფელი
ღიმილი. მაკა შესახედაობით არც თუ
ბევრს მოსწონდა, მაგრამ რატომღაც მა-
იაზე უფრო პატივს სცემდნენ. ერთის
შეხედვით განსაკუთრებულს ვერაფერს
შეამჩნევდით, თუ არ ჩავთვლით იმას,
რომ უზარმაზარი სათვალე ეკეთა.
ანზორი ამქვეყნად ყველაფერს იუმო-
რის თვალით უმზერდა, უყვარდა ანეკ-
დოტების მოყოლა და დარდიანი კაცის
გამასახარავება. სხვათაშორის, მასაც სა-
თვალე ეკეთა, ისეთივე უზარმაზარი,
როგორსაც მაკა ატარებდა. ბონდო კი...
თუმცა, უმჯობესია ბონდო და ამ მოთ-
ხრობის დანარჩენი გმირებიც მკითხველ-
მა დროდადრო გაიცნოს მათ ქცევასა

ლევან მაღაჯონია
თავითგვება

და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისე კი, ორიოდ სიტყვით შეიძლება ითქვას, რომ ბონდო ჩუმი, მაგრამ უაღრესად გრძნობიერი ახალგაზრდა იყო. მიუხედავად ამისა, იგი იშვიათად ჰკარგავდა წონასწორობას და მაშინ... როგორ იქცეოდა ბონდო „მაშინ“ ამასაც მკითხველი მოგვიანებით შეიტყობს.

იმდენხანს იცინეს, რომ დამლაგებელი მოთმინებიდან გამოიყვანეს. დღებმა ხელი ჩაიჭნია, ფანჯრის რაფას სველი ტილო უგულოდ მიუსვ-მოუსვა და თეთრი მარმარილოს კიბეებისაკენ გაემართა ბუზღუნით.

— ეს რა ვნახე, — ძლივს ამოიღვა ენა ბონდომ.

— რა გორივით ისროდა ტლინკებს, — სული მოითქვა ანზორმა და ისევ სიცილი აუტყდა.

— ასე, არა? — წამოიძახა მამამ და მარჯვენა ფეხით უდროოდ დროს მოსულს უცხო კაცის მოძრაობა გაიმეორა.

— ჰო, ჰო, ასე, ასე, — აყვირდა მაკა, და სიცილისაგან აცრემლებული თვალები მოიწმინდა.

— სიარულშიც რაღაც უცნაური აქვს, — თქვა ანზორმა და შეეცადა უდროოდ დროს მოსული უცხო კაცისთვის მიეზამა. ეს ვერ შესძლო და ისევ სიცილი აუტყდა.

— თქვენ მაქ საქმე არა გაქვთ? — მოესმათ ზემოდან დირექტორის მკაცრი ხმა.

მაშინვე თავთავიანთ ოთახებს მიანუარეს და ეს „ამბავი“ მუზეუმის სხვა თანამშრომლებს დაწვრილებით უამბეს.

ეს იყო და ეს, იმ დღეს სხვა მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთი თანამშრომელი სამსახურში გვიან გამოცხადდა. დაგვიანებულს ზურაბი ერქვა. ანზორი და ბონდო მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ, მათთან ერთად დაამთავრა უნივერსიტეტი და მათთან ერთად დაიწყო მუშაობა. მაღალი, თხელი ტანი, შუბლზე ჩამოვარცხნილი მოკლე თმა და მეტყველი სახე. ყურადღებას იპ-

ყრობდა მისი გულწრფელი, გულუბანი ყვილო ლიმილი და ლამაზი, ეჭვიანული თითები. მაგრამ იგი ყველასაგანს უცნაური ქცევით უფრო გამოირჩეოდა, ვინემ წარმოსადგვი გარეგნობით. ერთის შეხედვით უხეში და დაურიღებელი ჩანდა, სინამდვილეში კი ბუნებით საოცრად მორცხვი იყო და უხეშობას ამ სიმორცხვის დასაფარავად მიმართავდა. ამას ხედებოდა ყველა, ვინც მას ახლო იცნობდა, განსაკუთრებით ქალიშვილები.

ყველაფრის წამომწყები თუ ჩამშლელი ზურაბი იყო. ერთი სიტყვით, უმი-სოდ მისი მეგობრები არსად ფეხს არ ადგამდნენ. იმ დღეს, როცა სამსახურში დაიგვიანა, მის ნაცვლად თანამშრომელთა გამოცხადების ყურნალში ხელი მაკამ მოაწერა. ეს არ იყო მაინცდამაინც იშვიათი შემთხვევა, ზოგჯერ ვინ აწერდა ხელს და ზოგჯერ ვინ ზურაბის ნაცვლად. ბოლოს და ბოლოს დირექტორმა ეს ამბავი გაიგო და პირიდან ცეცხლს ყრიდა, მაკას მოხსნით დაემუქრა, თუმცა, ყველამ იცოდა, რომ ეს როყოდ ნათქვამი სიტყვები იყო. ზურაბმა პირობა დალო (უკვე მერამდენჯერ), რომ აღარ დაიგვიანებდა, შუაითი ცხვირზე ჩამოსვა (ასე იქცეოდა იგი მაშინ, როცა უხერხულობას გრძნობდა) და დირექტორის კაბინეტიდან გავიდა. რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა, მაგრამ ამისდა მიუხედავად იმდღევანდელი დღე მას სამუდამოდ დაამახსოვრდა. და დაამახსოვრდა, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო. როცა იგი თავჩალუნული კორიდორში მიაბიჯებდა, იგრძნო, რომ ვიღაც უყურებდა; უნებურად გვერდზე მიიხედა და დაინახა კედელთან ატუხული უდროოდ დროს მოსული უცხო კაცი, რომელიც მას მალულად უმხერდა. ზურაბმა ყურადღებით შეათვალიერა უცნობი და თვალში ეცა მისი შავი პირისახე და მოკლე ხელები. მსგავს ადამიანს იგი ხშირად შეხვედრია და ამაში სასწაულებრივს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ საოცარი ის



იყო, რომ მან უცნობისადმი, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ხედავდა, ზიზღი იგრძნო. ნაბიჯი არ შეუწეულე-ბია, ისე გაავრძელა გზა და ცდილობდა მიმხვდარიყო, რატომ შეჯავრდა კედელთან ატუზული უცხო კაცი დანახვისთანავე. ასეთი რამ ხდება ხოლმე და ეს მან იცოდა, მაგრამ დღემდე მაინც ვერ წარმოუდგინა, რომ შეიძლებოდა ანაბიჯის შეჯავრება უმიზეზოდ.

მეორე დღეს ის უცხო კაცი, რომელმაც ერთი მოსვლით ყველა აალაპარაკა, მუზეუმის თანამშრომელი გახდა.

როგორც გამოირკვა, მისი სახელი ყოფილა გივი, გივი კვავალი. იგი მაიას ოთახში დასვეს (ასე ეძახდა ყველა ამ ოთახს). ანზორიც და ბონდოც ამ ოთახში ისხდნენ. სხვათაშორის, მუზეუმში ისე კვირა არ გავიდიოდა, რომ მაგიდა ან კარადა ერთი ოთახიდან მეორეში არ გადაეტანათ. რატომღაც ასეთ სამუშაოს მუდამ ანზორს ანდა ბონდოს ანდობდნენ და ისინიც ხალისით ასრულებდნენ დავალებას. იმ დღესაც მათ ამოიტანეს ქვემო სართულიდან ახალი თანამშრომლისათვის ძველი მაგიდა. მაგრამ, იმდენი დრო მოანდომეს ამ საქმეს, რომ დამლაგებელი ქალი, რომელიც ცოცხით მისდევდა მათ უკან, მოთმინებიდან გამოიყვანეს. კიბეებზე ოცჯერ მაინც შეისვენეს და დედაბერს ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ — ზევ ეს სადღა გადავიტანოთ. მაიას პატარა ოთახი მეოთხე მაგიდამ ისე ამოავსო, რომ თავისუფლად გავლაც კი გაძნელდა. ახალი თანამშრომელი ანზორს დაუსვეს წინ, ბონდო კი მაიას პირდაპირ დაჯდა ფანჯარასთან.

— კიდევ ხომ არაა რამე გადასატანი, — თქვა ანზორმა და ხელეებით შარვალი ჩაიფეროთხა, — აქ ჯდომას მაგიდეების თრევა მაინც სჯობია.

აქამდე უხმოდ მჯდომი კვავალი აწრიალდა, რაღაცის თქმა დააპირა, ვერ გაბედა, შემდეგ უნებურად წამოდგა და ანზორს ხაზგასმული მოკრძალებით უთხრა:

— ჩვენთვის თუ მოგქონდათ მაგიდა...

არ ვიცოდით... რატომ გაისარჯეთ... ეს უხერხულია... გმადლობთ და ბონდოც რომ... შეგაწუხებთ.

ახალი თანამშრომელი ქალური ხმით თითქოსდა ენამორღვეით ლაპარაკობდა.

— ოჰ, რას ამბობ, — უპასუხა ბონდომ, ჩემთვის ეს ვარჯიშიცაა და გართობაც.

— არა... ჩვენთვის მაინც უხერხულია, — თქვა ნაძალადევი ღიმილით კვავალმა და კოსტუმის ჯიბიდან ცხრად გაკეცილი ვაზეთი ამოიღო.

— თუ ასეა, ორ-სამ დღეში აქედან რომელიმე მაგიდას ვაიტანენ და შენი იცი, — უპასუხა ბონდომ. კვავალს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მარჯვენა ფეხი სწრაფად მოხარა, ქუსლი საჯდომზე მიირტყა და დაჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ანზორი ღიმილს იკავებდა.

— როდის დამთავრებთ უმადლესი, — ჰკითხა ახალმოსულს მაიამ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

— ჩვენ შარშან.

— უნივერსიტეტი, არა?

— დიახ.

— ალბათ, ისტორიული.

— დიახ.

ახლა, კაცმა რომ თქვას ახალმოსულს უნდა ეკითხა რაიმე მაიასთვის, ან ბონდოსთვის, როგორც ამას ეთიკა მოითხოვს, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა და წამდაუწუმ გაზეთს ხან შლიდა, ხან ეცავდა. ანზორი კი, ამ ხნის მანძილზე თვალს არ ამორებდა კვავალს და ცდილობდა მის ქცევასა თუ გამოხედვაში ყველაფერი ამოეკითხა.

ბოლოს, როცა დარწმუნდა რომ ახალმოსული მისთვის გამოცანას, აღარ წარმოადგენდა, თქვა:

— თუ ვინმემ მიკითხოს, ზურასთან ვიქნები, — და ოთახიდან გავიდა.

მაიამ კიდევ რაღაც სტანდარტული შეკითხვა მისცა კვავალს, და, როცა პასუხად ისევ „დიახ“ მიიღო, გაჩუმდა.

— წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე, —

ლევან მაღაონია
თვითგვევა

წამოიწყო ახლა ბონდომ მხოლოდ იმი-
ტომ, რომ უხერხული სიჩუმე დაერ-
ღვია, — თუთრ ჟირაფზე ვიჭეკი და
წვერს ვიპარსავდი.

მაიას სიცილი წასკდა.

ახალმოსული იჯდა თავის მაგიდასთან
და თითქოს არაფერი გაუფიქრო, გაზეთს
თვალს არ ამორებდა.

— უცნაური სიზმარია, არა? — ჰკით-
ხა ბონდომ კვაშალს.

— დიახ.

მაიას ისევ სიცილი აუტყდა, შემდეგ
უნებურად, პირზე ხელი აიფარა. ახალ-
მოსულს გადახედა და გაწითლდა. მაგ-
გრამ, გამოსავალს უმალ მიავანო: მთე-
ლის ხმით ნაძალადევად გადაიციქისა
და წამოიძახა: რა უცნაური სიზმარია,
რა უცნაური.

ბონდო, რა თქმა უნდა, მიხვდა, რა-
ზედაც იცინოდა მაია და არაფერს იმ-
ჩნევდა.

ზურაბმა ახალი თანამშრომლის მი-
ღების ამბავი შუადღეზე ვაიგო, რად-
გან დღით სიერითოდ არ გამოცხადე-
ბულა სამსახურში (იმდენი კი მოახერ-
ხა, რომ დირექტორისთვის დაერეკა —
ცოტათი შემავკვიანდებო). გივი კვაშა-
ლი მას მაკამ გააცნო სამკითხველო და-
რბაზში შესვენებაზე, ზურაბმა ყურად-
ღებით შეათვალა ირა უცნობი. არავითარ
ზიზლი მისდამი იმ წუთს არ უგრ-
ძენია, მაგრამ, როცა ხელი ჩამოართვა,
არ ესიაშოვნა მისი ოდნავ გაოფლილი,
სველი თითები.

— ნახე ახალი თანამშრომელი? —
ჰკითხა ბიბლიოთეკიდან გამოსულ ზუ-
რაბს ანზორმა.

— ჰო.

— მოგეწონა?

ზურაბმა მხრები აიჩეჩა.

— ტლინკებს ისროდა?

— რაო?

— ასე არ გაუკეთებია? — თქვა ან-
ზორმა და მარჯვენა ფეხის ქუსლი საჯ-
დომზე ისე მიიბრტყა, როგორც ამას გი-
ვი კვაშალი აკეთებდა.

— არ შემიჩნენია, — უპასუხა ზუ-
რაბმა ოდნავი ღიმილით: იგი მიხვდა,

რომ ანზორს არ მოსწონდა ახალმოსუ-
ლი და ეს სადღაც ესიაშოვნა.

გავიდა ერთი კვირა. ამ ხნის განმავ-
ლობაში არაფერი მომხდარა ყურადსა-
ღები, გარდა იმისა, რომ გაზაფხულის
მოსვლასთან ერთად ხალხი უფრო ხში-
რად დაიარებოდა მუზეუმში.

გივი კვაშალი ყველას მიმართ ისევ
ისე ზედმეტად მოკრძალებული და თავ-
დაქერილი იყო. მაგრამ, მიუხედავად
ამისა, არც მაინცდამაინც გასჭირვებია
დაენახა და ეგრძნო ის, რომ თანამ-
შრომლებს კერპად ზურაბი ჰყავდათ
აღიარებული. ყოველ შემთხვევაში,
თითქმის ყველას უყვარდა იგი და მოს-
წონდათ მისი უშუალო, ბავშვური ხა-
სიათი დირექტორიც ასევე კეთილად
იყო განწყობილი მისდამი და თუ ზოგ-
ჯერ ხმაშალს სიტყვას ეტყოდა, სხვის
გასაგონად და მოსაჩვენებლად, ვითომ-
და დანაშაულს არავის აპატიებდა. ალ-
ბათ ყოველივე ამის გამო ბუნებით მო-
რცხვი ზურაბი გივი კვაშალს განებე-
რებულ და თავგასულ აღამიანად ესაბე-
ბოდა. და როგორადაც შეეძლო თავს
არიღებდა მას, თუმცა იგი ამ ხნის გან-
მავლობაში არავის დაახლოვებია და
ყველასაგან შორს იდგა. ზურაბს უკვირ-
და და სადღაც სწყინდა კიდევ, რომ გი-
ვიც ახალმოსული პირველივე დღიდანვე
თავისთავადობას იჩემებდა. ერთმანეთს
ხშირად დერეფნებში ხვდებოდნენ. ხან
ერთ სართულზე, ხან მეორეზე, მუზეუ-
მის თითქმის ყველა თანამშრომელმა
შენიშნა, და რა თქმა უნდა ზურაბმაც,
რომ ახალმოსული არასდროს პირველი
არ ესალმებოდა შემხვედრს. კვაშალი
მხოლოდ პასუხობდა ხალაშზე და ისე
აგრძელებდა გზას, რომ სახის გამომეტ-
ყველება ოდნავადაც არ ეცვლებოდა.
ზურაბს აღიზიანებდა ეს, მაგრამ არა-
ფერს იმჩნევდა. ერთხელ, ფოსტალიონ-
მა რაღაც დებემა მოიტანა და ვესტი-
ბიულში შემთხვევით მყოფ კვაშალს
გადასცა. ამ დროს საიდანღაც ზურაბმა
გამოიარა; ხელები ჯიბეებში ჩაეწყო

შენიშვნა
გაქვეყნდა
1919 წელს

უნდა მიგეღო. მუშაობდა გამწვანების ტრესტში, მაგრამ, რატომღაც თავის პროფესიას პატივს არ სცემდა. შუქრი ტანად დაბალი იყო და ამას იგი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა. ეს იცოდა ანზორმა და ისიც, მისდა საამებლად, იმ იმედით, რომ იქნებ „ვილისი“ ხელში ჩაიგდო, დაბალ ადამიანებს აქებდა და ადიდებდა. მაშინ შუქრის სახეზე დიმილის აჩრდილი ვადარებენდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი დასცინოდა მეგობრის მლიქვნელობას და ანზორი, ახლა უკვე ყოველგვარ იმედზე ხელჩაქნეული, მთელის ხმით წამოიძახებდა: აღარ ვიცი, რა ვქნა, აღარ ვიცი! მაგრამ, ხდებოდა სასწაულიც და ეს სასწაული იმაში მდგომარეობდა, რომ შუქრი, სრულიად მოულოდნელად და სრულიად უდროოდ დროს „ვილისით“ სახლში მოგადგებოდა. თუ რატომ ხდებოდა ეს, ამის ახსნა არავის შეეძლო. ანზორი ამბობდა — ესაა ყველა დროის საოცრებათა, საოცრებათა. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს, შუქრი გამთენიისას ანზორს თავზე დაადგა და ქალაქ-გარეთ გასეირნება შესთავაზა (ზუსტად ამ სიტყვებით: „სადმე წასვლა გინდა?“)

— დღეს ხომ ოთხშაბათია! — ჰკითხა გაოცებულმა, თუ უფრო მეტად, გახარებულმა ანზორმა და თვალები მოიფშვინტა.

— ჩემთვის არ არის ოთხშაბათი? — კითხვითვე უპასუხა შუქრიმ.

— მართალია, შენც მსახურობ, მაგრამ...

— უნდა გეხვეწო? — ჰკითხა შუქრიმ და წასვლა დააპირა.

— არა, დაცა, — წამოიძახა ანზორმა, ლოგინიდან წამოვარდა და შეშლილივით ჩაცმა დაიწყო, — მაშინ, ზურაბთან გავიაროთ ერთი წუთით, თუ ჩემი ძმა ხარ... მაიაც წავიყვანოთ. ამას სულ ნახევარი საათი დასჭირდება.

— ძალიან გინდა?

— ძალიან... მეტი რომ არ შეიძლება... სამსახურშიც მორიგეს დაუფრეკავ და გავაფრთხილებ, რომ...

— გეშინია?

— არა... მაინც, ყოველ შემთხვევაში...

— მალე გავალთ ქალაქიდან...
— ოც წუთში. აი, უკვე ჩაცმული ვარ...

მაგრამ, ქალაქიდან როცა გადიოდნენ, იქნებოდა უკვე თერთმეტი საათი. მიზეზი ის იყო, რომ ზურაბმა, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე, სხვებიც აიყოლია და ამყოლი იმდენი აღმოჩნდა, მანქანაში ძლივდგებოდა მოთავსდნენ. სულ რვათი იყვნენ (ძველი ამერიკული „ვილისისთვის“ ეს არც თუ ისე ბევრია); მაია, მაკა, ბონდო, ანზორი, შუქრი, ზურაბი; მათთან ერთად იყვნენ აგრეთვე ციალა და ჭუმბერი (ამათი წამოყვანა მაკამ დაიჩემა). ციალა არ იყო უცხო ამ კომპანიაში, ისიც მუზეუმში მსახურობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავისთან არ მეგობრობდა. რა თქმა უნდა, დაუჯერებელი აქ არაფერია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოების გარდა: ციალა ზურაბის ოთახში იჯდა, თითქმის მის ცხვირწინ და უეკირდით, როგორ ახერხებდა იგი „დამოუკიდებელ არსებობას“ (ასე უთხრა ერთხელ მაკამ მაიას). შესვენებაზე სასადილოშიაც არ ჩადიოდა. ქალაქის პარკში შეხვეული საუზმე სახლთან დაჰქონდა. მთელი დღე თავის მაგიდას არ შორდებოდა და თავაუღებლივ მუშაობდა ან კითხულობდა, არ უყვარდა მხიარულება, როგორც თვითონ ამბობდა, „დროის ფუქად ფლანგვა“ და მუდამ სერიოზულ თუ რთულ პრობლემებზე კამათობდა. შესაძლოა იმის გამო, რომ შეუხედავი იყო. ასე თქვა ერთხელ ზურაბმა. ჭუმბერი კი, ანზორის აზრით, „თანამედროვე დიონისიდ“ უნდა მონათლულიყო. ოცდათი საათი რომ ექეიფა, არ მობეზრდებოდა. სმენაც განსაკვიფრებელი ჰქონდა და კარგადაც მღეროდა. პროფესიით მეღვინე, არაჩვეულებრივად ფაქიზი ბუნების ადამიანი იყო, მაგრამ, სიმთვრალეში უყვარდა ჩხუბი და აყალმაყალი. ზოგჯერ, გონება ისე უბნელდებოდა, რომ, სრულიად უმიზეზოდ



შეგობარსაც არ ინდობდა ხოლმე. და მინც, მასთან ყოფნა ყველას სიამოვნებად, მით უმეტეს მაკას, რომელიც ჯუმბერთან ზავშვობიდან მეგობრობდა. ერთადერთი ცილა იყო ამ კომპანიისთვის უცხო და ისიც იმიტომ წამოიყვანეს, რომ „უხერხული იქნებოდა მისი დატოვება“ (ასე უმტკიცებდა მაკა მაისს). გზაზე, სოფლის მალაზიასთან შეჩერდნენ, პური, ძეხვი და რამდენიმე ბოთლი ღვინო იყიდეს, „ვილისს“ ბრენტი გადახადეს და გზა განაგრძეს.

ამდენი თანამშრომლის სამუშაო საათებში ქალაქგარეთ ვასვლა, ცოტა არ იყოს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზურაბი სწორედ ასეთ დროს ავლენდა თავის ნიქსა და საზრისიანობას. მან მაშინვე შეთხზა ყალბი ამბავი, რომ, თითქოს, მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლების ყოფილი ლექტორი ავსტრიაში მიემგზავრებოდა ლექციების კურსის წესდებითად ერთი წლით, და რომ, კარგი იქნებოდა, თუ დირექტორი საშუალებას მისცემდა მათ გაეცილებინათ საყვარელი ადამიანი აეროდრომზე, და, რომ ამისთვის საკმარისი იქნებოდა ზუსტად ორი საათი. გვგმა ყველას მოეწონა, განსაკუთრებით მაისს, მაგრამ იგი სიცილს ვერ იკავებდა და ზურაბმა, გადაწყვიტა დირექტორთან მხოლოდ მაკა მიეგზავნა. შუქრი ამ დროს ამრეზილი იჯდა მანქანაში და მოთმინებით ელოდა ანზორს მუზეუმის შესასვლელთან. როცა ნერვებმა უმტყუნა, „ვილისი“ შენობიდან მოშორებით დააყენა. დირექტორმა დაუჯერა მაკას, ყველანი ორი საათით გაათავისუფლა და თან გააფრთხილა, არ დაიგვიანოთო. შემდეგ გაუარეს ჯუმბერს, რომლისთვისაც სამსახურიდან „ცოტა ხნით პაერზე გამოსვლა“ ძნელი არ იყო (ასე ეუბნებოდა იგი ზურაბს). შუქრის კი ალბათ ვინ გაუბედავდა სამუშაოზე საყვედურის თქმას, ოღონდ კი სადმე წასვლა მოპრიანებოდა.

ცა თანდათან იღრუბლებოდა; როცა ბეთანიში შევიდნენ, წამოწვიმა კიდევც, მაგრამ მალე გამოიძარა. ძველი „ვი-

ლისი“ ხშირად ქირვეულობდა გზაზე და შუქრიც მაკარი და სერიოზული გამოცდებში ტყველებით მანქანას ზრუნვას ვერ შეუძლებდა. თითქმის ყოველ კილომეტრზე აჩერებდა და გულდაგულ ათვალეირებდა. ამას ისე დინჯად და აუღელვებლად აკეთებდა, რომ მაისს ბრაზიც კი მოერია. ანზორი შუქრის გასაგონად წინადადებას იძლეოდა მანქანა მთლიანად დაეშალათ, რომ ხშირი გაჩერების მიზეზისთვის იქნებ მიეგნოთ. ბოლოს „ვილისი“ ისე გადახურდა, რომ ორთქლის უზარმაზარ ბოლქვებს ისროდა და თუხთუხითა და ქშენით მიიწვიდა წინ. შუქრის აჩქარებდნენ, ესვრებოდნენ, ემუდარებოდნენ, რომ ცოტა ჩქარა ევლო, მაგრამ იგი ყურსაც არ აპარტყუნებდა. ის კი არადა, ორჯერ გამოუცვალა მანქანას წყალი. როგორც იქნა, ტანჯვის გზა გაილია და ყველამ შვებით ამოისუნთქა. სუფრა დიდი ხის ქვეშ გაშალეს, ტაძრის ახლოს. ანზორი ათასგვარ ანეკდოტს ყვებოდა, ზოგჯერ უხამსსაც გამოუტრევდა ხოლმე და მაშინ ცილა წარბებს შეჰმუხნავდა და თავს გვერდზე მიაბრუნებდა. მაია კი ყველაფერზე კისკისებდა. შუქრი მოლუშული იჯდა და ხმას არ იღებდა. ღვინოს მხოლოდ ზურაბი და ჯუმბერი შეეჭკეოდნენ. ბონდო ბეთანიის ტაძარს არ შორდებოდა, ბოლოს გუმბათზე აძვრომაც კი მოინდომა, მაგრამ შეეშინდა. მაკა სამსახურს არ იფიწყებდა და წამდაუწუმ გაიძახოდა — დირექტორს რა პირით ვერჩევნო. მის წუწუნს ყურადღებას არავინ აქცევდა და ისიც უფრო მოუსვენრად გრძნობდა თავს. ჯუმბერმა მაისს სადღეგრძელო ზედიზედ სამჯერ შესვა. ანზორს რაღაც ენთხა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საოცარი ის იყო, რომ ზურაბი ამ დროს კვაშალზე ფიქრობდა. „არც დღეს მომესალმა, დამინახა და არ მომესალმა. ამდენს როგორ ბედავს!“ — გაიფიქრა მან და უცებ თავისი თავის შერცხვა:

ლევან მაღაჟონია
თვითმკვამ

აქ, ამ უზარმაზარ სილამაზეში, სადაც იყო ტყის მშვიდი სიმწვანე, ტაძრის გრილი ჩრდილი და მაღალი ჰაერი, მას აწუხებდა წვრილმანი და ბინძური ფიჭვი — „ვინმემ რომ იცოდეს რაზე ვფიქრობ ახლა, ალბათ მასხრად ამიგდებდა“, — გაუელვა მას და იგრძნო რომ გაწითლდა.

ჯუმბერი მალე შეთვრა და, როგორც ჩვეოდა ხოლმე, სუფრაზე აყალბაყალი ატეხა. ამჯერად რატომღაც შუქრი ათვალწუნა. შეუჩნდა, მიპასუხე — ნაბუქოდონოსორი უფრო დიდი ინტელიგენტი იყო თუ მარკო პოლოო. ცილამ ვერ აიტანა ასეთი ატმოსფერო და პროტესტის ნიშნად მანქანაში ჩაჯდა. ჯუმბერი უფრო იმან გააცოფა, რომ შუქრი იგი პასუხის ღირსსადც არ ჩაავლო. ბონდო და მაია სიცოლისაგან იქაუბოდნენ. მაკა სულ დირექტორის ხსენებაში იყო. ანზორი შუქრის ახელებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ზურაბი კი ისევ კვამალზე ფიქრობდა. რატომღაც ღირთ ეკიდებოდა და ეს უფრო აღიზიანებდა. ჯუმბერს ერთხელ კიდევ მოუნდა შეესვა მაიას სადღეგრძელო; როცა მაკამ ფეხებთან ცარიელი ბოთლები დაუწყო, სადღერდელი უფრო აეშალა და მაშინვე ქალაქში დაბრუნება უბრძანა ყველას, რომ ქვიფი იქ ვანეგრძოთ. შემდეგ შუქრის შეუჩნდა — გინდა თუ არა საქესთან დამსვით. რა თქმა უნდა, არ დაანებეს და ისიც გავლისებული და ვაბრაუნებული ფეხით გაუყვა გზას. შუქრიმ არც ამჯერად ჩათვალა იგი პასუხის ღირსად, ბოლოს და ბოლოს ზურაბმა შესძლო ჯუმბერის შემორიგება და მანქანაში ჩასვა. „ვილისი“ ნელა გაუყვა გზას. ცილას რატომღაც შეურაცხყოფილივით ეკირა თავი. ბონდო და მაია სულმოუთქმელად იცინოდნენ და როცა მათ შუქრიმ მწყურალად შეხედა — ხარხარი ატეხეს. ისინი კი იცინოდნენ თითქოს სრულიად უმიზეზოდ, მაგრამ ირგვლივ გამეფებული უზარმაზარი სილამაზე თავისი უსაზღვრო ძალით ზემოქმედებდა მათზე და ყოველივე სხვა უაზრობად ეჩვე-

ნებოდათ. შუა გზაზე იქნებოდნენ, უტეგბ ანზორმა შუქრის მუხლზე დაუკოცინა ქალა დაუგდო. ეს ყველაფერი მანცინდნენ, ცილასაგან ხმის ამოღებაც ვერ მოახერხეს, შუქრი შიშისაგან ისე შეხტა, რომ ფეხები მალე აიშვირა და თავის ქალა მანქანიდან ძირს გადმოვარდა. რამდენიმე წამს გაოგნებული იყვნენ და შემდეგ ატყდა თავშეუქავებელი ხარხარი. ცილასაც კი სახეზე ღიმილი მოეფინა. შუქრიმ მანქანა გააჩერა, თავის ქალას ზიზღით გადახედა და ამრეზით იკითხა — ესეც ხუმრობაა?

მაია სულს ველარ ითქვამდა. ბონდოს სიცოლისაგან თვალეზზე ცრემლები მოადგა. ჯუმბერი მაშინვე მანქანიდან გადახტა, მიწაზე დაგდებული თავის ქალა აიღო და „ჰამლეტიდან“ მონოლოგის კითხვას შეუდგა.

— ფეხით გირჩევენიათ სიარული? — იკითხა მაშინ შუქრიმ და მანქანის ძრავა გამორთო.

— შენთან ჯდომას ფეხით სიარული მირჩევენია, — მიახალა ჯუმბერმა, გგონია ვერ დაგტოვებ? — უპასუხა შუქრიმ და „ვილისი“ მაშინვე ადგილიდან დასძრა. ყველანი მიხედნენ, რომ იგი არ ხუმრობდა. მაკა ხვეწნით და მუდარით ცდილობდა მისი გულის მოლობას. მაიას და ბონდოს ისტერიული სიცილი აუტყდათ. ცილა წარბშეკმუხვნილი იჯდა, ზოგჯერ თავს აქეთ-იქით გააქნევდა და ამოიოხრებდა ხოლმე. ანზორი ცეცხლზე ნავთს ასხამდა. შუქრის ახელებდა და ყურში ჩასძახოდა:

— გლახაკი იყო თუ არ დატოვო, გლახაკი! შუა შარავზე მართოდ მიმავალი ჯუმბერი თანდათან პატარავდებოდა, დროდადრო მუშტს იღერებდა და მთელის ხმით ილანძვებოდა. როგორც მერე ბონდო ამბობდა, თავის ქალა ტაძრის ჭურღმულში უპოვნია, სადაც ბერები ცოდვებს ინანიებდნენ და წუთისოფელს ესალმებოდნენ. მიწა ადამიანთა ჩოჩხით ყოფილა მოფენილი... ჯუმბერი ჭურღმულში შესულა, თავის ქალა გაზეთში შეუხვევია და მალულად

წამოუღია. იქვე ბონდოს შეხვედრია და დაუნამუსებია, საიდუმლო არავისთვის გაენდო.

როგორც იქნა, ზურაბმა შუქრის მანქანა გააჩერებინა, ძირს ჩამოხტა და ჯუმბერისკენ გაიქცა. მაკამ სიხარულისაგან ტანში შემოჰკრა. ციალა ისევე წარბშეკმუხვნელი იჯდა. მიაიღა ბონდო სიცილისაგან ისე დაოსდნენ, ძლივს სუნთქავდნენ. ანზორმა შუქრის დაცინვა დაუწყო, რა არ უთხრა, მაგრამ პასუხისაც ვერ ეღობა და გაჩუმდა. გაანჩხლებული ჯუმბერი არაფრით მანქანაში არ ჩაქდა. ხელში თავის ქალა ეჭირა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. „მათხოვრის ვილისში“ მე არ ჩავვდები, — უყვიროდა იგი ზურაბს, — და შენი ხათრი, რომ იმ ლაწირაკს ყბები არ ჩაუშვებ“. შუქრის ყველაფერი ესმოდა და მშვიდად იტანდა შეურაცხყოფელ სიტყვებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ციალამაც ენა ამოიღვა და თხოვა ჯუმბერს ჩამჯდარიყო მანქანაში. არც ხეწნამ გასჭრა, არც მუდარამ, ბოლოს, ზურაბი იძულებული გახდა ჯუმბერთან დარჩენილიყო, დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს. ამდენმა დავიდარაბამ მიახზე ისე იმოქმედა, რომ ყოველგვარი ხალისი დაკარგა და მანქანაში გატრუნული იჯდა. ბონდოსაც გუნება შეეცვალა, მაგრამ ქალიშვილების ხათრით დრო და დრო ნაძალადევად გადაიხარხარებდა ხოლმე. მაკა წამდაუწყებლად საათს დაჰყურებდა. ანზორი უშნოდ უსტვენდა რაღაც გაცვეთილ მელოდიას. შუქრი და ციალა მოღუშულები ისხდნენ. მალე ყველამ მოიწყინა...

ზურაბმა ცარიელი სატვირთო მანქანა დაიჭირა, გაანჩხლებული ჯუმბერი, რომელსაც თავის ქალა ხელებში ჩაებლუჯა, კაბინაში ძალით ჩასვა და თვითონ ძარაზე აძვრა. წვრილმანი და დამამცირებელი ფიქრი გონებიდან არ შორდებოდა და მთელი გზა გივი კვამალი ედგა თვალწინ. „ვინა გდია, რომ მე მეტოლუბა“, — ამბობდა იგი თავისთვის და თან ცდილობდა, სხვა რაღაცაზე ეფუქრა.

შუადღე იქნებოდა, როცა თბილისს მიუახლოვდნენ.

მაია იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში. იგი მარტოდ-მარტო ცხოვრობდა ერთ მეტად წყნარ ქუჩაზე ქალაქის ცენტრში. დედა დიდი ხნის წინათ გარდაეცვალა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სოფელში იზრდებოდა. მამას ზრუნვა არ დაუკლია ერთადერთი ქალიშვილისთვის, უნივერსიტეტი დაამთავრებინა და ძველებური ბელეტაჟიც უყიდა თბილისში. ამას გარდა, რითაც შეეძლო სოფლიდან ეხმარებოდა შვილს. თავდაპირველად მაია ვერ იტანდა სიმყუდროვეს, ზოგჯერ შიშოც კი იპყრობდა ხოლმე, მაგრამ, ბოლოს ისე შეეგუა მარტობას, რომ სხვებთან ამით თავს იწონებდა კიდევ. აგურით ნაგები ძველებური ბელეტაჟის დიდი ფანჯარა ეზოს გადაჰყურებდა. იგი მიწიდან ისე დაბლა იყო, რომ ქონდრის კაციც კი შესძლებდა თთახის ყოველი კუნჭულის დანახვას. თანამედროვე სტილის ახალთახალი პატარა მაგიდა ოთხი სკამით, ვაცრეცილი საწოლი-დივანი და ძველი, ნახევრად მონჯღრეული ტანსაცმლის კარადა. ფანჯრის გვერდით თაროებზე წიგნები ეყარა. ეს იყო მისი მთელი ავლადიდება. კედლებს გახუნებული, ადამისდროინდელი ყვითელი შპალერი ფარავდა. ჭერში გამოკიდული ძვირფასი აბაჯური კიდევ უფრო ხაზს უსვამდა ოთახის ღარიბულ მორთულობას. მაიამ სინათლე აანთო და გაუხდელი დივანზე გულადმა დაწვა. შემდეგ ფანჯრის გაღება და ფარდის ჩამოშვება მოუნდა, მაგრამ, დადლილს, წამოდგომა დაეზარა. ხელეები თავქვეშ შემოიწყო და უნებურად იმ დღეს მომხდარ ამბებს მიჰყვა ფიქრი. რატომღაც გაეღიმა, მაგრამ უცებ წარბები შეკრა და წყნარად, თითქოს ვილაცს მიმართავსო, თქვა: — სულელი.

მას ახლა ღირებულონი გაახსენდა, მო-

ლევან მაღაჯონია
თ. შიოთაძე

აგონდა როგორ ჩაუმწარა მან ყველას იმდღევანდელი დღე იმის გამო, რომ იგი „გააცურეს“, ალბათ მიხვდა, რომ მოატყუეს და აღარავის ინდობდა. ერთ-ორჯერ მაიასაც უხეშად მიმართა. შემდეგ ზურაბი გამოიძახა, და როცა, მოახსენეს რომ მან „თავი ცუდად იგრძნო და შეიძლება დღეს ვერ დაბრუნდესო“, სულ ვაცოფდა. მთელი ძალით მუშტს მაგიდას ურტყამდა და ყველას მოხსნით ემუქრებოდა.

— სულელი, — თქვა ისევ წყნარად მაიამ.

სამსახურის დამთავრების შემდეგ მაკას წაპყვა სახლში, ერთად ისაიღეს და ისხენებდნენ იმდღევანდელი დღის ყოველ წვრილმანს. აღმოჩნდა, რომ ის, რაც მგზავრობის თუ მოგზაურობის დროს ცუდია და ნერვებამშლელი, ახლა აქ, მყუდრო ოთახში მოსაგონებლად ერთობ საინტერესო და სასაცილოც ყოფილა. თურმე ისიც სასაცილოც ყოფილა, მაკა რომ წამდუწუშ საათს დაპყურებდა, ისიც, შუქრი რომ წარამარა მანქანას აჩერებდა, ისიც, ცილამ ყველას უქმური რომ გადასდო და ვინ იცის, კიდევ რა. მხოლოდ დირექტორის სიტყვები არ ეჩვენებოდა მაიას სასაცილოდ და ნაწყენი და შეურაცხყოფილი ახლა მასზე ფიქრობდა: „რა კარგად დაიწყო დღევანდელი დღე და რა ცუდად დამთავრა“, — ვაიფიქრა მან და სწორედ ამ დროს ფანჯარაზე ფრთხილად დააკაუნეს.

— ვინ არის, — მშვიდად გასძახა მაიამ და ლოგინზე წამოჯდა.

— მე ვარ, — ჩაილულულა ვიდაცამ. მაია დივანიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და, მთვრალი ჯუმბერის დანახვაზე სიცილი აუტყდა.

— ერთი წუთით შემოვიარე, — ხმამალლა თქვა ჯუმბერმა და ფანჯრის რაფას მოეჭიდა.

— რას დამგავსებიხარ, — წამოიძახა მხიარულ გუნებაზე დამდგარმა მაიამ და გადაიკისკისა, — შემოდი, ახლავ გავაღებ, ოღონდ, ფრთხილად, ფეხი არაფერს წამოსდო.

ჯუმბერმა მძიმე ნაბიჯებით ოთახში შეაბიჯა, მაგიდასთან შედგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, იატაკს დააშტერდა და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ იკითხა: — შენ იცი მე აქ რატომ მოვედი?

მაიამ ყურადღებით შეხედა ჯუმბერს, სკამი დაუდგა და ნაძალადევი სიცილით უპასუხა:

— ზურაბიც ალბათ შენს დღეშია. თავის ქალა სად წაიღე.

— იცი რატომ მოვედი? — კითხვა გაუმეორა ჯუმბერმა. იგი შუა ოთახში იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თავი დაბლა დაეხარა და მთელი ტანით ოდნავ, სულ ოდნავ ირწუოდა.

მაიას უცებ შეეშინდა ჯუმბერის და მოეჩვენა, რომ მის წინ თითქოს სრულიად უცხო ადამიანი იდგა. შემდეგ ბეთანიის ეზოში გაშლილი სუფრა დაუდგა თვალწინ... იქ ჯუმბერმა მისი სადღეგრძელო ბევრჯერ შესვა... ამისთვის მაშინ არ მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ახლა! საოცარია, რომ ახლა რატომღაც ეშინია მისი...

— დღევანდელი დღე არასოდეს არ დამავიწყდება, — უთხრა მაიამ და სკამი მიუჩოჩა, — როგორ შეაშინე შუქრი, რამდენი ვიცინეთ... რამ მოგაფიქრა მაინც ასეთი ზუმრობა. რატომ არ ჯდები...

— ასე უფრო მოვახერხებ იმის თქმას, რისთვისაც მოვედი, — ამოილულულა ჯუმბერმა.

— ზურაბი სად დატოვე, — ნაძალადევი ღმილით ჰკითხა მაიამ და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

— რა ვიცი... არ მახსოვს... ერთად ვიყავით და მერე სახლში მივაცილე... რა მნიშვნელობა აქვს... აი, მე მთვრალი ვარ და... არა, ნასვამი...

იგი ისევ შუა ოთახში იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და იატაკს ჩაშტერებოდა.

— მეუხერხულება, ფეხზე რომ დგებხარ. თუ გინდა ჩიის დაგაღვივებ.

— არა... ყველაფერი სისულელეა... სისულელეა ფიქრობდე ერთს და ამბო-

ბდე მეორეს... ხომ ასეა, — თქვა ჯუმბერმა. და მათას შეხედა.

— რა ვიცი, ალბათ, — მხრები აიჩეჩა მათამ და სიტყვა რომ ბანზე აეგდო, ისევ თავის ქალაზე ჩამოავდო საუბარი.

ჯუმბერმა ფანჯრისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ ხელები სახეზე ჩამოსვდა, თითქოს პირს იმშრალეხსო, ისევ იატაკს დაამტვრდა და უცებ, მთელის ხმით წამოიძახა:

— მე მათა მიყვარს... გესმის? მიყვარს!

ჯუმბერი შებრუნდა, სკამთან მივიდა და მათასგან ზურგშექცევით დაჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მათა ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა და ჯუმბერის ზურგს მიაჩერდა. იგი ახლა აღარავითარ შიშს არ გრძნობდა იმის მიმართ, ვინც წელან, სულ რამდენიმე წუთის წინ, უცხო ადამიანად ეჩვენებოდა. მათა დამშვიდდა, მაგრამ იმდენად დაიბნა, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა.

— აი, ეს არაა სისულელე, — ამოიღულღულა ჯუმბერმა დიდი ხნის დუმისის შემდეგ.

მათა ფანჯრისკენ შებრუნდა და სიცილი აუტყდა.

ჯუმბერმა ისევ მოიხედა, რომ სკამიდან არ წამომდგარა.

— სწორედ ესაა სისულელე, — თქვა მათამ და ფანჯრის რაფას მიეყრდნო.

ჯუმბერი წამოდგა, ხელები ისევ სახეზე ჩამოსვდა და არეული ნაბიჯებით ოთახში სიარული დაიწყო. შემდეგ მათას მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა და მშვიდად უთხრა:

— თუ შენ თანახმა იქნები, ხვალვე დაქორწინდეთ.

ამ სიტყვებმა მათა ისევ გაათამამეს, რომ ჯუმბერს დაურიდებლად მიახალა:

— წადი სახლში, უკვე ძილის დროა და აქ აღარასოდეს მოხვიდე.

ჯუმბერს შუბლი შეეკუმუხნა, მათას მტრულად შეხედა და ამოიღულღულა:

— ასე მათხოვრებს ვლახარაკებთან.

მათა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და კილო შეიცვალა:

— შენ ახლა მთვრალი ხარ. თუ ჩემს ხატრი გაქვს წადი, გვიანაა, მეზობლების სალაპარაკოდ ნუ გამხლი.

— ჰო, მაგრამ, მე მინდა ახლავე მითხრა... — აგზნებით წამოიწყო ჯუმბერმა.

— არა, არ დააცალა მათამ, — თუ შენ ოდნავ მაინც პატივს მცემ, ახლა წავალ და ხვალ ვილაპარაკოთ.

— მე შენ მიყვარხარ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჯუმბერმა და მათას მკლავზე ხელი წაავლო.

— ჰო, გავიგე. და ჩემი ალბათ მორიდებაც გაქვს, ხომ ასეა.

ჯუმბერმა პასუხი არ გასცა.

მათამ ხელი ფრთხილად გაითავისუფლა, თავს ძალა დაატანა და ხვეწნით უთხრა:

— ახლა წადი.

— და ხვალ შეგხვდეთ ერთმანეთს? — იკითხა ოდნავ დამცინავად ჯუმბერმა.

— ჰო.

— აქ, ამ სახლში.

— ჰო.

ჯუმბერი უცებ შებრუნდა, კარებისკენ გაემართა და ოთახიდან ხმაამოუღებლივ გავიდა.

— იდიოტი, — თქვა მათამ, ღრიჭოდ დარჩენილი კარები დაკეტა, სინათლე ჩააქრო, ტანთ გაიხადა და ლოჯინში ჩაწვა. იგი ახლა ისევ იყო აფორიაქებული და განაწყენებული, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო და თავს იმით იმშვიდებდა რომ ჯუმბერს რამდენიმე მკვებე სიტყვა აცემა. მაგრამ, ამ მოულოდნელმა სტუმრობამ უფრო ვააოცა იგი. მათა იხსენებდა ჯუმბერთან ერთად გატარებულ დღეებს, იხსენებდა უმნიშვნელო წვრილმანებასაც, და, არსად, არასდროს არ უგვრძინა მისგან ის, რასაც იგი მასთან უნდა მოეყვანა. და უცებ დღეს... საოცარია! თუმცა მთვრალი ჯუმბერისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება, უშნოდ იხუმრა, რომ ხვალ ვილაც აცინოს, ან ბინძურმა ზრახვამ მოიყვანა აქ... მათამ იგრძნო,

რომ დიდხანს ვერ დაიძინებდა და ნერვებაშლილმა ლოგინში ბორცვა დაიწყო. ვილაცამ ფანჯარაზე ფრთხილად მოაკაკუნა.

მაია ლოგინზე წამოჯდა და უნებურად ხალათს წამოავლო ხელი.

ისევ მოაკაკუნეს, მაგრამ ახლა უფრო გამეტებით.

მაიამ ხალათი სკამზე მიაგდო, დაწვა და სმენად იქცა. ცოტა ხნის შემდეგ ფანჯრის ჩარჩოს მუშტები დაუშინეს.

— გააღე, მაია, — მოისმა ჯუმბერის ხმა, — გააღე, მე ვარ.

ეზოს რკინის დიდი ჭიშკარი გრუხუნით დაიკეტა. მაია ისე გაიტრუნა, რომ განძრევისაც კი ეშინოდა, თითქოს ამით თავის თავს გათქვამდა.

უკვე ღამის ორი საათი იქნებოდა. მეზობლად ყველას ეძინა და ეზოშიც ბნელოდა.

— ერთი წუთით გააღე, — ნერვიული ხმით წამოიძახა ჯუმბერმა, ერთი წუთით! — და ფანჯრის ჩარჩოს მუშტები დაუშინა.

მეზობლად ვილაცამ სინათლე აანთო.

— მაია! — დაიღრიალა ჯუმბერმა, — კარები გამიღე, სიტყვა მაქვს სათქმელი.

— ვინ გნებავს, ბატონო, — მოისმა საიდანღაც დედაბრის ხმა.

ჯუმბერმა მიიხედ-მოიხედა და რადგან ვერაფერს დაინახა, ისევ ღრიალი მორთო.

— მაია, მაია, მაია, — ყვიროდა იგი და თან ფანჯრის ჩარჩოს მუშტს ურახუნებდა.

ახლა სხვა მეზობლებმაც აანთეს სინათლე, აქა-იქ. ზოგიერთებმა, კარებიც გამოაღეს.

მაია ისევ ისე გაუნძრევლად იწვა ლოგინში და გასუსტული თვალს არ აშორებდა ფანჯარასთან მომდგარი სილუეტს.

— ვინ გნებავს, ყმაწვილო, — გადმოიძახა მადლიდან ვილაცამ ბოზი ხმით.

ჯუმბერმა, თითქოს არაფერი გაუგიაო, ისევ მუშტები დაუშინა ფანჯარას.

— არაა გენაცვალე მაია სახლში, — გადმოიძახა ბოზმა ხმამ.

— მაია! — ისევ დაიკვირა ჯუმბერმა და სინათლით გაჩირაღდნებულ ფანჯრებს ახედა.

— არ გახლავს, ყმაწვილო, სახლში და გვაცალე ახლა ძილი, — გადმოიძახა გაბრაზებულმა ბოხხმიანმა.

— მაია! — დაიღრიალა ჯუმბერმა და ფანჯრებს ისევ მუშტი დაუშინა.

— არ გესმის შენ? — გაკაბასდა დედაბერი, — არაა სახლში და გადი ახლა ეზოდან.

ჯუმბერმა თავი ხელეშში ჩარგო და იმედწარათმეულმა თავისთვის ჩაილულულა:

— გააღე, მაია, ერთი წუთით გააღე კარები.

— რა დროს სტუმრობაა ამ შეუღამისას, — ხმას აუწია დედაბერმა, ახლაც გადი ეზოდან, თორემ მილიციას გამოვუძახებ.

— ახია ჩვენზე, ჭიშკარს რომ ღია ეტოვებთ, — აბუზღუნდა ბოხხმიანი.

— მაია! მაია! მაია! — მორთო ღრიალი ჯუმბერმა და ფანჯრის ჩარჩოს გამეტებით მუშტები დასცხო.

— მილიცია! — იკივლა დედაბერმა.

— ჩავიდეს ვილაც ძირს და გაავდოს — მოისმა ახლა შეუახნის ქალის ნამძინარევი ხმა.

— მაია! — ისევ დაიღრიალა ჯუმბერმა და ანთებულ ფანჯრებს თვალი მოავლო. შემდეგ შებრუნდა, არეული ნაბიჯებით ჭიშკრისკენ გაემართა და ეზოდან გასვლისას რკინის კარები ისეთის ძალით გაიხურა, რომ გამაყრუებელმა გრუხუნმა მთელი უბანი გააღვიძა.

— Сволочь, — დაიკვილა დედაბერმა.

— ხულოგნებით აივსო ქვეყანა, ჩაიბუზღუნა ბოხმა.

— ნეტავ რა საერთო აქვს მაიასთან, — გასძახა შეუახნის ქალმა ვილაცას.

— Сволочь, негодяи, — კიოდა ისევ დედაბერი.

მაია გაუნძრევლად იწვა ლოგინში და სმენადქცეული თვალს არ აშორებდა ფანჯრებს... იმის შიშით, ვაითუ ჯუმბერი ისევ მობრუნდესო, ღამე თეთრად გაათენა.

დილით, მუზეუმში, მაიამ ზურაბი ცალკე გაიხმო თეთრი მარმარილოს კიბეებთან და მომხდარი ამბავი დაწვრილებით უამბო. სახეზე არც დაღლილობა ეტყობოდა და არც უძილობა, თუმცა ისე აგზნებულა ლაპარაკობდა, თითქოს ეს-ესაა რაღაც დიდი უსიამოვნება შეემთხვაო.

— დაქირდა ცოლი და მე მომადგა, — ამრეზით თქვა მაიამ, — არ მეგონა თუ ასეთი ტლანჭი იყო.

ზურაბს უცებ სიცილი წასკდა.
— რა გაცინებს? — ცივად ჰკითხა მაიამ და ბრაზისგან ოდნავ წამოწითლდა.
— ჯუმბერს ალბათ დღეს აღარაფერი ახსოვს, — თქვა მან და მთელი ხმით გადაიხარხარა.

ამ დროს მარმარილოს კიბეებზე ანზორმა ჩამოირბინა და ღიმილით მათ მიუახლოვდა.

— შენ რაღას იღმიჭები, — მიახალა მაიამ.

— მე ყველაფერი გავიგე, — დამარცვლა სიტყვები ანზორმა და ჰერს ახედა.

— ჯუმბერი ნახე? — თითქმის შიშით ჰკითხა მაიამ.

— წუხელ ჩემთან გაათია ღამე, მიუგო მან და მზერა ზურაბზე გადაიტანა.

— იდიოტი, — თქვა მაიამ.

ანზორმა მხრები აიჩჩინა, სათვალეები მარჯვენა ხელის შუათითით შეისწორა, ისევ ჰერს მიაპყრო თვალები და პათეტიკურად წარმოსთქვა:

— ვინ იცის რა მოხდება!..

— იდიოტი, — წამოიყვირა მაიამ და გულმოსულმა ფეხი იატაკს დაჰკრა.

ანზორმა და ზურაბმა ხარხარი ატეხეს.

— თქვენ მანდ საქმე არა გაქვთ? მოისმა ამ დროს დირექტორის გამწყვრალი ხმა მაღლიდან.

— ჩემთან აღარ გაბედოს მოსვლა. ასე უთხარით, — თქვა მაიამ და კიბეებისკენ გაიქცა.

— ეზოში ჩადი, იქ გელოდება, — უთხრა ზურაბს ანზორმა.

— ვინ? — გაოცდა ზურაბი.
— ჯუმბერი. მალე ჩამოვიდესო. ეს წუთია დარეკა.

— წამოდი შენც.
— ოოოო, — ხელი ჩაიქნია ანზორმა და წარბები შეჭმუხნა, — მე მეყო, წუხელ რაც მელაქალაქა.

მუზეუმის მოასფალტებულ პატარა ეზოს ბებერი ცაცხვის ჩრდილქვეშ ჯუმბერი ბოლთას ცემდა, ზურაბის დანახვაზე შეჩერდა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მიწას დააცქერდა.

— სახლში შენ მიმოყვანე? — ღიმილით ჰკითხა ზურაბმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— რა მნიშვნელობა აქვს, — მიუგო ჯუმბერმა და მუზეუმის ფანჯრებს თვალი მოავლო.

— როდის გამეპარე, ეს უკვე აღარ მახსოვს. თავის ქალა მაინც წაიღე, არა? რატომ არ ჩაჩუქე.

— რა ვიცი, სადღაც დამეკარვა... შენ ხომ უკვე ყველაფერი გითხრეს.

ზურაბმა თავი დააქნია.

— ჰოდა, დამეხმარე ამ საქმეში... წადი და მთია ჩამოიყვანე.

— მერე?

— მერე, ხელს მოვაწერთ... სხვა რა.

ზურაბმა დიდხანს არ უპასუხა და შემდეგ წყნარად ჰკითხა:

— ააფრინე?

— შენ არ მითხარი ამას წინათ ცოლის მოყვანა უცებ უნდა გადაწყვიტოო?

ზურაბს სიცილი აუტყდა.

— ანზორიც წამოიყვანე, სადმე დავსხდეთ მყუდრო ადგილას და... რას დამცინი ვერ გამიგია, — აენთო უცებ ჯუმბერი, — მე ის გოგო მიყვარს, გაიგე?

— ჰო, კარგი, და ყვირილს მოეშვი, — მკვახედ მიუგო ზურაბმა, — ის გოგო გულში გაგახსენდა? მთელი ეზო ავიკლია... როგორ გგონია, რას იფიქრებენ მაიაზე, რაღა გალემილი მიადექი შუალამისას.

ლევან მაღალონიძე
თბილისი



— შენ თუ ეს გივიერს, — წამოიწყო ჯუმბერმა.

— ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეში ვერ გამოვადგები, — არ დააცალა ზურაბმა, — მით უმეტეს მაშინ, როცა ვიცი, რომ ხუმტურმა წამოვიარა, რომელი მაჰანკალი მე მნახე, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ.

სიჩუმე ჩამოვიარდა. აშკარად ჩანდა, რომ ასეთ პასუხს არ ელოდა ჯუმბერი.

— უკეთესი წარმოდგენა მქონდა შენზე, — დამცინავად უპასუხა მან და ხელები სახეზე ჩამოისვა, — მაგრამ, მე მაინც ჩემსას გავაკეთებ, — შემდეგ შებრუნდა, ფანჯრებს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და ნელი ნაბიჯით გასასვლელისკენ გაემართა.

გივი კვაშალმა ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ციალსთან გამოინახა საერთო ენა. ყველა ხედავდა როგორი მოწიწებითა და მოკრძალებით საუბრობდნენ ისინი ხშირად დერეფანსა თუ ვესტიბიულში. ორივენი რთული პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი და ამიტომ, ყოველი მათი შეხვედრა თავაზიანი კამათით მთავრდებოდა. ხან სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოების ახსნას ცდილობდნენ, ხან დედამიწის ქერქის ასაკი აინტერესებდათ, ზოგჯერ კი მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის მალთუხისიეულ თეორიას აკრიტიკებდნენ. ლაპარაკობდნენ იმის შესახებაც, თუ როგორი კალენდარი უნდა შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომ ხალხებს დროის უნივერსალური, უტყუარი საზომი გააჩნდეს. არ იფიქრებდნენ არც ლიტერატურის კლასიკოსებს და არც ხელოვნების დიდ ქურთუმებს. იშვიათად საუბარი საყოფაცხოვრებო საკითხებსაც ეხებოდა და მაშინ ისინი ერთს ღრმად ამოისუნთქავდნენ და ისეთი გამომეტყველებით გადახედავდნენ ერთმანეთს, თითქოს ამბობდნენ — რას იზამ, ყოველდღიურობას ვერავინ გაქცევიაო და შემდეგ ისევ ფილოსოფიურ პრობლემებს უბრუნდებოდნენ. მაგრამ,

საინტერესო ის იყო, და ეს ყველაზე მეტად ამჩნია, რომ როცა კვაშალი ქალაქში იდგა და გადაჭარბებული მოკრძალებით ემუსაიფებოდა, იგი ზოგჯერ განმკლავს ასრულებდა, ისე როგორც დილის ვარჯიშის დროს იციან ხოლმე, და იზმორებოდა. ციალას მაშინ მსჯელობის ხალისი ეკარგებოდა და უნებურად აქეთ-იქით იხედებოდა. ერთხელ, შესვენებისას, როცა ჩვეულებისამებრ ვესტიბიულში იდგნენ და თავაზიანად კამათობდნენ, მათ ანზორი მიუახლოვდა და ღიმილით იკითხა — შეეძლო თუ არა დასწრებოდა დისპუტს.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა უადრესად მშვიდად და საქმიანად ციალამ.

— ჩვენ საიდუმლო არაფერი გვაქვს, — სცადა ხუმრობა კვაშალმა, ნაძალადევად გაიღიმა, ზანტი მოძრაობით განმკლავი შეასრულა და გაიზმორა.

ციალამ უხერხულად იგრძნო თავი და უნებურად გვერდზე მიიხედა. ანზორმა მარჯვენა ხელის შუათითით სათვალეები შეისწორა და თითქოს არაფერი მომხდარაო, ისევ იკითხა:

— ხელი ხომ არ შევიწვალეთ.

— პირიქით, — უთხრა კვაშალმა ცივი ხმით, — ჩვენ ისეთ ჩიხში აღმოვჩნდით, რომ უცილობლად შეველა გვეკირდება.

— უცილობლად? — გაიმეორა ანზორმა კვაშალის მიერ უადგილო ადგილას ნახმარი სიტყვა.

— დიახ.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ვერავინ გვიხსნის, — თქვა ციალამ და წარბები თითქმის შუბლამდე აზიდა.

— ვინ იცის, — უპასუხა ღიმილით ანზორმა, — ის მაინც მითხარით, რაზე კამათობთ, იქნებ მე...

— ეჰ, — ამოიხვნეშა ციალამ, — შენ სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ, ჩემო ანზორ.

— ნურას უკაცრავად. მე ძალიან მიტაცებს ფილოსოფია... მაშინაც მიტაცებდა, როცა ჭერ კიდევ მოწაფე ვიყავი, მასხოვს, ბანაკში რძეში ჩაფშვნილი

პური მიყვარდა. ერთხელ მასწავლებელი მომიბრუნდა და მკითხა — ბიჭო, დაფიქრდი და მიპასუხე, — პურია რძეში, თუ რძეა პურშიო. იმ დღიდან ვფიქრობ ამ საკითხზე და ჯერაც პასუხისათვის ვერ მიმიგნია.

კვაშალი გაისუსა და ანზორს მალულად, უნდოდ შეხედა.

ციალამ თავი გააქნია, ერთი ღრმად ამოისუნთქა და თეთრი მარმარილოს კიბეებისკენ მიმავალ დამლაგებელს თვალი გააყოლა.

უცებ, სად იყო და სად არა, ანზორის გვერდით ბონდომ ამოყო თავი.

— შესვენება მგონი დამთავრდა, — თქვა ციალამ და წასვლა დააპირა.

— არა, ჯერ ადრეა, — უთხრა ანზორმა, — მაიას ოთახში ავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

— შენთან? — გაიოცა ციალამ.

ანზორმა ამ დროს გვიკვაშალის მარცხენა ხელის ნეკზე წაზრდილ ფრჩხილს მოჰკრა თვალი და ამ აღმოჩენამ ისე დააინტერესა (თუმცა, არც მაინცდამაინც გაკვირვებია), რომ პასუხის გაცემაც კი შეუგვიანდა:

— მე, მხოლოდ ყურს დაგიგდებთ, ბონდოც წამოვა. ბონდოს ხომ მაინც შეუძლია თქვენთან კამათი. მე ანეკლოტებს მოგაყვებით. ამის უნარი მაინც მაქვს.

— ეჰ, ანზორ, ანზორ; თუმცა ეს შეიძლება, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ციალამ, კვაშალს გადახედა და თანხმობის ნიშნად მარმარილოს კიბეებისკენ გაემართა.

სანამ მაიას ოთახში ავიდოდნენ, გზაზე ბონდომ ანზორს გადაულაპარაკა, რომ უწაწურ სიტყვებს მორიდებოდა და ახალი თანამშრომელი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებია.

— მით უმეტეს როცა იცი, რომ ხუმრობას ვერ იტანს, — უჩურჩულა მან.

„მართლა ანეკლოტების მოსასმენად მოდიან?“ — თავისთვის ფიქრობდა ანზორი და გუნებაში ზურაბის გამოჩენას ნატრობდა.

ოთახში არავინ დახვდათ. ყველანი ფანჯრის ახლოს, მაიასა და ბონდოს შორის გიდებს შორის დადგნენ და მუზეუმის მოასფალტებულ ეზოს გადახედეს, სადაც მარტოდმარტო იდგა ბებერი ცაცხვი.

— ყველა ყველა, მაგრამ... ესე იგი, ჩემთან მხოლოდ ანეკლოტების მოყოლა შეიძლება, არა? — წამოიწყო ანზორმა.

— მე ეს არც მიფიქრია, — დიდსულოვნად მიუგო ციალამ და წარბები შეშლამდე აზიდა.

— არც თქვენ? — ჰკითხა ანზორმა კვაშალს.

— არც ჩვენ, — უპასუხა მან და ახლა განმკლავი რატომაც მხოლოდ მარცხენა ხელით შეასრულა.

— ჰოოო, მაშინ, სანამ ანეკლოტს მოგიყვებოდეთ, მანამ მე ერთი რამ უნდა გკითხოთ, — თქვა ანზორმა, ხელები დაიღლივა, ტუჩები მოკუმბა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გააგრძელა, — თქვენის აზრით, ამქვეყნად მკვდრები უფრო მეტია თუ ცოცხლები?

ბონდომ ხელი ჩაიქნია და ფანჯრის რაფას გადაეყრდნო. ბებერი ცაცხვის ძირში ლეკვები ერთმანეთს დასდევდნენ. იქვე ჩრდილში დედაძალი გაწოლილიყო, თავი თავებზე დაედო და თვალს არ აშორებდა შვილების თამაშს.

— ეს ვერაფერი ხუმრობაა, ანზორ — თქვა ციალამ და ფანჯარას მოშორდა. კვაშალი უსიტყვოდ თავის მაგიდასთან დაჯდა და გაზეთების თვალიერება დაიწყო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე სერიოზულად გეკითხებით, — წამოიძახა ანზორმა, — და სათვალეები შეისწორა, — და თუ შეგიძლიათ მიპასუხეთ თქვენ, — თქვა ეს და კვაშალს თავზე დაადგა.

ამ დროს ოთახში ზურაბი შემოვიდა.

ბონდო ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და ანზორს ტუჩებზე თითის მიდებით ანიშნა გაჩუმებულიყო.

ლევან მაღაჟონია
თვითგვამა

ციალა მაიას მაგიდასთან დაჯდა. ერთ ორჯერ მიძიმედ ამოისუნთქა, თავი გაიქნია და სუფთა ქაღალდზე ფანქრით რაღაც ოთხფეხა დახატა.

ანზორს ვახუხარდა ზურაბის მოსვლა, გახალისდა კიდეც და კვაშალს კითხვა გაუშეორა.

— ერთი შენც, — თქვა ბონდომ და ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, — ხომ ხედავ, არავის ეცინება.

ზურაბი შუა ოთახში იდგა და ხან ვის გადახედავდა, და ხან ვის. ერთ-ორჯერ მალულად კვაშალი შეათვალიერა და შენიშნა, რომ ნეკზე ფრჩხილი ჰქონდა წაზრდილი.

— კროსვორდები დაიწყო ახლა! — ჩაილაპარაკა ბონდომ.

— შენ ვინ გეკითხება! — გაბრაზდა ანზორი.

კვაშალმა ვახუთი დაეცვა, მაგიდაზე დადო და უადრესად თავზიანად და ამავე დროს ცივად თქვა, ისე რომ თავი არ აუწყევია:

— თვით საკითხი სწორად არაა დამშული.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუქრა ციალამ.

— ამას გარდა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ დედამიწაზე ცივილიზაცია ათეულ ათას წლებს ითვლის, — წარმოთქვა ძნელად შესამჩნევნი ენამოხლეკით კვაშალმა და ფეხზე წამოდგა, — აქედან გამომდინარე...

— მე კონკრეტული პასუხი შემიძლია გავცე ამ კითხვას, — არ დააცალა ანზორმა.

— ვისმენთ, — თქვა ციალამ დამცინავად და ოთხფეხა ცხოველს რატომღაც გლობუსი მიუხატა.

კვაშალი თავისი მაგიდის გვერდით დადგა, წელში ჯარისკაცით გაიწვართა, ნაძალადევად გაიღიმა და თითქმის ჩუმად წარმოთქვა:

— ველი პასუხს.

— ცოცხლები! — წამოიძახა ანზორმა.

— რა ცოცხლები, — გაიოცა ციალამ და წარბები მალა აზიდა.

— ამქვეყნად ცოცხლები მეტია, ვი-

ნემ მკვდრები. — თქვა ანზორმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ვთქვით ეს ასეა, მაგრამ აგვიხსნით, რატომ? — ისევ დამცინავად იკითხა ციალამ.

— იმიტომ, რომ ქვეყანაზე მკვდრები არლარა არიან, — პათეტიკურად წარმოთქვა ანზორმა. შუა ოთახში შეჩერდა და ზურაბს შეხედა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, — როგორი ოხუნჯი ხარ, — ირონიულად თქვა ციალამ.

ბონდოს გაეღიმა და ისევ ფანჯრის რაფას გადაეყრდნო. მოასფალტებულ ეზოს ცაცხვის ქვეშ ლეკვები ახლა დედაძალს ძუძუს წოვდნენ.

— ეს ხომ სოფიზმია, — თქვა კვაშალმა და უადრესად აკადემიური ტონით და რატომღაც თვალები მილულა.

— სოფიზმი არა ოფოფი, — მიახალა უცებ ანზორმა.

ციალა მაშინვე ფეხზე წამოდგა და გოცებულნი და შეურაცხყოფილი სიტყვებს ვერ პოულობდა აღშფოთების გამოსახატავად.

ზურაბი ისევ შუა ოთახში იდგა, თავი დაეხარა და სახეზე ხელს იფარებდა. აშკარად ჩანდა, რომ სიცილს იკავებდა.

ბონდო შემობრუნდა და ანზორს საყვედურით აღსავსე თვალებით შეხედა.

კვაშალმა ტუჩები ააცმაცუნა, ეტყობოდა რაღაც თქვა, მერე ოდნავ გაიხმო-რა, მარჯვენა ფეხი სწრაფად მოხარა და ქუსლი საჯდომზე მიირტყა. ამის დანახვაზე ზურაბმა თავი ვეღარ შეიკავა, სიცილი აუტყდა და ოთახიდან გავარდა. შემდეგ ანზორმა გადაიხარხარა და თავის მაგიდაზე აპირებდა ჩამოჯდომას, რომ ამ დროს მასთან ბონდო მიიჭრა, მხრებში ხელი ჩაავლო და კორიდორში ძალით გაათრია.

ყურებამდე გაწითლებული კვაშალი უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა.

ჯუმბერი იმ დღის შემდეგ ხშირად მიდიოდა მაიას სახლთან შუალამისას. ეზოს რკინის ჭიშკარს გრუხუნით აღებდა, ღებოდა ფანჯარასთან და იწყებდა

ლულულს. ყვირილს მაინცდამაინც ვეღარ ბედავდა. აკაკუნებდა ფრთხილად და მორიდებით და ხმადაბლა ეძახდა მაიას. მაგრამ, მეზობლების ჩაბნელებულ ფანჯრებში შუქი აქა-იქ მაინც ჩნდებოდა. მაია გატრუნული იწვა ლოგინში და მოთმინებით ელოდა ჯუმბერის წასვლას. ასე მეორედბოდა ხშირად და ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: შეწუხებულმა მეზობლებმა მაიას ერთი ზომიანე მეტად ჩასუქებული ენატანია შინაბერა მიუღზავნეს და გააფრთხილეს, „შუალამის სცენებს ბოლო მოღებოდა, „წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ზომებს მიმართავდნენ“. წასვლისას კორიკანა ქალი საჩვენებელი თითით დაემუქრა, თავით ფეხამდე ახედ-დახედა და სინანულით თავი გააქნია. ამ ექსტმა ისე შეურაცხყო და გააბრაზა მაია, რომ იმწამსვე ანზორთან მიიჭრა სახლში, რომ ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, მაგრამ ნერვებ-აშლილმა ენის ამოღებაც ვერ მოახერხა, მერე დაწყნარდა და დაუსრულებლივ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა, რომ თვალთ აღარსად დანახვებოდა „თავგასული ლოთი“. ბონდოსაც სამსახურში იგივე უთხრა. მაკას ეს ისტორია, რა თქმა უნდა, ადრე მოუყვა და თან დაანამუსა — არავისთან ამის შესახებ სიტყვა არ დასცდენოდა. ცილამ კი ამ ამბავს შემთხვევით მოკრა ყური და ცხვირაბზეკილი დადიოდა — რატომ თვითონ მაიამ არ მომიყვა ყველაფერიო. იმდენად იყო განაწყენებული, რომ ერთხანს კვამალს ვარდა არავის არ ელაპარაკებოდა. ბოლოს, მაიამ ხელმეორედ ისევ ზურაბს თხოვა დახმარება და თან ისიც უთხრა, თუ რა შემოუთვალეს მეზობლებმა კორიკანა ქალის პირით (ეს საუბარი ქუჩაში შედგა, როცა ისინი სამსახურის დამთავრების შემდეგ შინისაკენ მიეშურებოდნენ).

— მერე რა, — თქვა ზურაბმა და გავლიმა, — ილაქლაქებენ და გაჩუმდებიან.

— უბევ ეპვით მიყურებენ და „მერე რა?“ — გული მოუვიდა მაიას.

— ერთხელ ხომ გაგაფრთხილებს, — არა ვქნა. უცხო რომ იყოს ვცემდი. ჯუმბერს ხელი როგორ გაფარტყა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ უყვარხარ.

— სისულელეებს თავი გაანებე და თუ შეგიძლია ის იდიოტი ქუჩაზე მოიყვანე.

— ნამდვილად უყვარხარ, — თქვა ზურაბმა მაიას გასაბრაზებლად.

— უნდა იცოდე როდის იხუმრო და როდის არა.

— ქუჩა ფეხით მოსიარულეებით იყო სავესე.

გაზაფხულის მზიანი საღამო ახლოვდებოდა. ახლად გაფოთლილ ხეებს უთვალავი ბელურა შესეოდა და ისმოდა გულისწამლები ჟიჟივი. ხალხს მსუბუქად ეცვა. აქა-იქ თითო-ოროლა გამკვლევი თუ გამოჩნდებოდა პალტოთი. მაიას ლურჯ კაბაზე მომწვანო ფერის პლაშჩი ჩაეცვა, ზურაბი კი ზოლებიან პიჯაკში იყო. მიაბიჯებდნენ ზღვა ხალხში და რატომღაც ყოველ წამს ნაცნობისა თუ ამხანაგის გამოჩენას ელოდნენ. მაგრამ, ქუჩა ისე აიარეს, რომ არავინ შეხვედრიათ.

ამ ბოლო დროს მაია უქმაცყოფილო იყო ზურაბით, რადგან იგი არც თუ მაინცდამაინც იწუხებდა თავს ჯუმბერის აუტანელი საქციელის გამო. ერთ-ორი სიტყვა უთხრა და ყველაფერი ამით დამთავრდა. ის კი არადა, იმ დღის შემდეგ ამბავიც კი აღარ უკითხავს. მისთვის თითქოს სულ ერთი იყო რა მოხდებოდა მომავალში. რაღაცით ხომ უნდა განასხვავოს მაია სხვისგან!.. ისე კი გულისხმიერი და თავგამოდებული მეგობრის სახელი აქვს გავარდნილი. ნუ-თუ ვერ ხვდება, რომ ამ საქმეში მისი ჩარევა აუცილებელია. ჩხუბსაც კი არ უნდა მოერიდოს თუ საქირია. ჯუმბერის შიში თუ აქვს, გულანდილად აღიაროს და მაშინ მაია სხვას თხოვს შევლას. და სიამოვნებითაც დაეხმარებიან! მისი გულისთვის ზოგი შეიძლება

ლევან ვალაოინია
თმითგაგა



წყალშიაც კი ჩავარდეს. ზურაბს კი ხმის ამოღებაც ეზარება. ჰო, ეზარება! უფრო სწორად, მისთვის სულ ერთია ჭუმბერი მაიას მიადგება სახლში შუალამისას თუ... ციალას. ასე რომ არ იყოს, აქამდე როგორ ვერ მოათვინიერებდა იმ ლოთს. არც თუ იშვიათად იმასაც კი ამბობდნენ, ზურაბი, საერთოდ, ყველას მიმართ უყურადღებოაო. ღმერთო მაღალო, რას არ გაიგებ ამ ქვეყანაზე; გულისხმიერ აღამიანზე ამბობენ უყურადღებოაო. მაგრამ, მაიას მიმართაც ისევე ხომ არ უნდა იქცეოდეს, როგორც სხვების მიმართ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს საზღვარი აქვს. და ეს ბევრს არ ესმის! განსაკუთრებით თავიანთი ვარეგნობით კმაყოფილ აღამიანებს. სტუდენტობის წლები სულ სხვაა. დიდი ამბავი, რომ ზურაბი მაშინ ბევრს მოსწონდა ალბათ ამიტომ განდა იგი თამამი. ადრე ხომ ისეთი მორცხვი იყო, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. მაგრამ, მაიას ისიც ახსოვდა, ზურაბმა რომ პუშკინის ინსტიტუტის ერთ ქალიშვილს თავი შეაყვარა და მერე სხვასთან გააბა რომანი. ერთდროულად ორი უკრძლღოს დაჭერა მოინდომა და... კოვზი ნაცარში ჩაუფარდა ამის შემდეგ ისე გათავხედდა, რომ მაკას მეზობლად მცხოვრებ გოგოს დაადგა თვალი. მისთვის რომ გეკითხა, ამ დედამიწაზე არავინ მოსწონდა. ასეთი ტყუილი როგორ უნდა იკადროს თავმოყვარე აღამიანმა. მაშინ, ის ვინდა იყო, ზურაბს რომ თავდავიწყებით უყვარდა პირველ კურსზე. მაიას თუ მეხსიერება არ დალატობს, მას ერქვა ლალი, ჰო, ლალი. მერე ზურაბი იმდენად გამოიცვალა, რომ აღარავის სცემდა პატივს და ქალიშვილებთან ლაზნანდარობას მიჰყო ხელი. აი მაშინ მაიამ მას „ბოდილა“ უწოდა. „შენ ჩემი მადლობელი უნდა იყო“, — ასე უპასუხა ამ სიტყვებზე ზურაბმა და მაია ისე გაბრაზდა, რომ რამდენიმე თვეს ხმასაც არ სცემდა. ბოლოს, მაკას დღეობაზე შერიგდნენ... გახარებული ბონდო რატომღაც ანზორს მივარდა და გადაკოცნა...

მაია ფიქრებიდან გამოერკვებოდა და მზერას მალულად გადახედდა მისი სხეულები პიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყობდა თავაწეული ვიღაც წინ მიმავალ ნაცარისფერკაბიან ქალს ყურადღებით უმზერდა. „ახლაც ცალკებად მელაპარაკება“, — გაიფიქრა მაიამ და იგრძნო, რომ ლაწვები შეუწითლდა, — „იმდენი მიხვედრაც არა აქვს, რომ როცა ჩემს გვერდით მოდის, თვალები სხვისკენ არ გაუბრუნდეს“.

მაგრამ, იყო კიდევ უფრო დიდი მიზეზი მისი განაწყენებისა, რომლის აღიარება არ სურდა მაიას და არც არასოდეს მოიმოქმედებდა ამას. იგი იმდენად განებვირებული ჰყავდათ თავიანთსმცემლებს, რომ თითქმის ყველასთან გამომწვევად ეპირა თავი. ზურაბი კი მას ზოგჯერ ვერც ამჩნევდა, ან, ყოველ შემთხვევაში სხვებისგან არ ასხვავებდა და ეს ძალზე აღიზიანებდა მაიას. ერთხელ, ახალწლის ღამეს, ანზორთან, სტუმრებით სავსე სუფრასთან სურვილმა წამოუარა სილა გაეწნა მისთვის, იმდენად უყურადღებო იყო იგი მაშინ მის მიმართ. მაგრამ, მაია თავს იმით იმშვიდებდა, რომ არც მას ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული გრძნობა ზურაბისადმი. და ეს ყველამ იცოდა. იგი მხოლოდ შელახული ქალური პატივმოყვარეობის გამხელას ერიდებოდა და ზოგჯერ ისე უძნელდებოდა ეს, რომ ლაწვებზე სიწითლე ეპარებოდა. მისთვის საკმარისი იყო ეგრძნო, რომ ზურაბს იგი მოსწონდა და მაშინ ზურაბს შეაქცევდა და დამშვიდდებოდა. ახლა კი მისი ჩუმად ყოფნაც კი ნერვებს უშლიდა.

— მე ასე წავალ, — თქვა უცებ მაიამ, თავი მარცხნივ გაიქნია და ქუჩის ბოლოში, შესახვევთან შეჩერდა.

— სახლში? — ჰკითხა ზურაბმა ისე რომ ხელები ჯიბეებიდან არ ამოუღია და ისიც შედგა.

— ნახვამდის, — თქვა მაიამ, და ვიწრო ქუჩის აღმართისკენ გასწია.

— ჭუმბერს ვნახავ, დღეს ან ხვალ აუცილებლად, — მიიძახა ზურაბმა.

მაია შებრუნდა, ზურაბს თვალი თვა-

ლში გაუყარა და მშვიდად, თითქოს თავისთვის ამბობსო, ჩილაპარაკა:

— ისეთ საქმეში არ უნდა ჩაერიო, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია. ამ სიტყვების დამთავრებისთანავე სწრაფად შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით აღმართს აუყვია.

ზურაბი სახტად დარჩა, გაუნძრევლად იდგა ქუჩის კუთხეში და თვალს არ ამორებდა მიმავალ მათას. შემდეგ ადგილიდან მოწყდა და აღმართი თვალის დახამხამებაში აირბინა. მათას ესმოდა და ცნობდა კიდევ ზურაბის ფეხის ხმას, მაგრამ უკან მაინც არ მოუხედიდა.

— შენ, ეი, — დაუძახა ზურაბმა, როცა წამოიწია, მერე შეჩერდა და აქოშინებული პატარა ჭადრის ხეს მიეყრნო ცალი ხელით, — არ გესმის, რომ ვეძიებ?

მაია შეჩერდა, შემობრუნდა, ზურაბს თვალით ფეხებამდე ახედ-დახედა და მშვიდად უთხრა:

— ჯერ ერთი, ჩემი სახელი „ეი“ არ არის, ეს ალბათ იცი, და მერე, შენი დახმარება მე აღარ მჭირდება.

ზურაბი კიდევ უფრო ვაოცდა, მათას მიუახლოვდა, მის ჯიუტად მომზიარალ თვალებს დააქებდა და სიცილი აუტყდა. დაღმართზე შავებში მორთული დედაბერი მიჩაჩუნობდა, რომელსაც იასამნების უზარმაზარი თაიგული მკერდში ჩაებლუჯა და ნაბიჯს ისეთი სიფრთხილით ადგამდა, თითქოს მის ფეხქვეშ მოლიპული გზა იდო. ხმამაღალმა სიცილმა დააინტერესა, შეჩერდა, ხელი მოიჩრდილა, კისერი დაიგრძელა და ჯერ ზურაბი შეათვალიერა, შემდეგ—მაია. მაინცდამაინც ვერაფერ სასერიოს რომ ვერ მიაგნო, შებრუნდა და ნაბიჯი გააგრძელა.

— რა მოგივიდა, — წარბები შექმუხნა ზურაბმა და ჯიუტად მომზიარალ თვალებს დააკვირა.

— შენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება, — თქვა მაიამ, პირი მოკლე და ხმადანა რომელიღაც მელოდა წამოიძვრა

ზურაბმა უნებურად დაღმართზე მიმა-

ვალ დედაბერს დაადევნა მზერა და რატომღაც არ ესიამოვნა, ამ ხნის მანძილზე რომ დიდი სიფრთხილით მიაბიჯებდა გზაზე.

— რაო, რაო? — ჰკითხა ზურაბმა, ისევ ყურადღებით ჩააქებდა თვალეში და თავი ოდნავ გვერდზე გადაწია.

— არაფერი, მეგონა მეტის გაკეთება შეგეძლო საერთოდ, — თქვა მაიამ, პირი მოკლე და ისევ ის მელოდა წამოიძვრა.

— შენ, რა, წამოიძახა გაკვირვებით ზურაბმა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი შუბლზე მიიღო.

— ასეთი რამ არავის არ უნდა აკადრო. ამას გარდა, ისიც უნდა იცოდე, რომ როცა გვერდით ვინმე მოგყვება, და, ვთქვათ, ის „ვინმე“ ვარ მე, თვალეში ლამაზმანებისკენ არ უნდა გაგეჭყეს.

— ეს გეწყინა? — შეტბა ზურაბი და ახლა შუათითი, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ცხვირზე ჩამოსვა. ასე იქცეოდა იგი მაშინ, როცა უხერხულობას გრძობდა.

— ბოდილა, — თქვა მაიამ, შებრუნდა და ნელი ნაბიჯით აუყვია აღმართს.

ზურაბს უკვე რამდენიმე წელია ეს სიტყვა აღარ გაუგია მისგან. ერთ წამში ათასი რამ მოაგონდა და თვალწინ დაუდგა. ყველაფერი ეს არც თუ დიდი ხნის წინათ იყო. გუშინდელივით ახსოვს ის დღე, როცა მაიამ „ბოდილა“ უწოდა. და მანაც „შენ ჩემი მადლობელი უნდა იყოო“, მიახალა. ახსოვს, მაია როგორ გაიწმამტდა... მისმა სიტყვამ ერთხანს თითქოს გონზე მოიყვანა, მაგრამ მერე დაივიწყა, და დღეს, ამდენი ხნის შემდეგ ისევ გაახსენეს და ვერ მიმხვდარიყო რატომ. იგი ხომ აღარავისთან არ „ლაზღანდარობდა“.

მაიამ თავის ქუჩაზე ჩაუხვია.

ზურაბმა ხელები პიჯაკის ჯიბეებში ჩაიწყო, შემობრუნდა და დაღმართს ნელი ნაბიჯით დაუყვია. უმაღლესი სიფრთხილით მიმავალ შავებში მორთულ დედაბერს წამოეწია, რომელსაც იასამ-

ლევან მაღაზონია

თვითმკვამა

ნების უზარმაზარი თავიგული მიჰქონდა. „როგორ უყვარს თავი“, — გაიფიქრა უნებურად ზურაბმა მოხუც ქალზე, — „საინტერესოა, მიაიცი ასე ივლის თუ არა, როცა ამ ხნის იქნება“. „რა სისულელეს ვროშავ“, — უთხრა მან თავის თავს, — „ყველა ასე ივლის, ყველა, და მათ შორის მეც“.... შავებში მორთულ დედაბერს ისეთის სიფრთხილით გადაუხსწრო, თითქოს ეშინოდა — მხარი არ წამოეჭრა და არ წაექცია. დაღმართი ჩაათავა, მარჯვნივ შეუხვია და ქუჩაში გამოფენილ ზღვა ხალხს შეერია.

ახლა უფრო გულისწამლებად იმობდა ხეებზე შესეული ბელურების ყივყივი.

ანზორი ხან ფარულად და ხან აშკარად ხშირად ცდილობდა მის ცხვირწინ მჯდომ გივი კვაშალის აბუჩად აედებას. ამის გამო მაკამ ბევრჯერ უსაყვედურა და თხოვა — სხვის გამასხარავენას გადაეხვეოდა. მაგრამ არაფერი ესმოდა და თავისას მაინც არ იშლიდა. კვაშალი მოთმინებით იტანდა დაცინვას. ის კი არადა, არ ყოფილა შემთხვევა ზმა ამოვლო, ან, ვინმესთან ჩივილი დაეწყო, და სწორედ ამ დღემილის ეშინოდა ზოგჯერ ანზორს. კვაშალის ერთადერთი ნამდვილი მფარველი მუხუჟში ბონდო იყო. ბუნებით მორიდებულ ახალგაზრდას, ჭირის დღესავით ეჯავრებოდა კაცის აბუჩად აედება. იგი იმდენად მწვავედ განიცდიდა ამას, რომ მისი ხათრით ანზორი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა განზრახვაზე ხელი აეღო. მათ ხან ვის ამტყუნებდა და ხან ვის. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორიენი, ანზორიც და გივი კვაშალიც დამანაშავეები არიანო. მისი აზრით, ისინი დამაბუღლ და აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდნენ ოთახში, ერთი თავისი უკიდურესი სერიოზულობით და მეორე — გაღაპრებულ ტინგიცობით. ციალა, რა თქმა უნდა, უფრო ღრმად ეკიდებოდა საკითხს და მიზეზებს „პიროვნების აღზრდის არასრულყოფილებასში“ ხედავდა (ასე განუმარტა ეს მოვლენა მაკას). ზუ-

რაბმა კი, ყველასთვის სრულიად მოულოდნელად, ანზორი წააქეზა კვაშალის გამასხარავენებად. ამ ამბავმა ბონდოსე გააოცა, რომ პირდაღებულმა პირჯვარიც კი გადაიწერა. მიაიცი გაკვირვებული იყო და ცდილობდა მიმხვდარიყო — რამ მიიყვანა ზურაბი აქამდე, მისთვის ხომ კვაშალი არც არსებობდა ციალამ ისეც ღრმა ფესვებს დაუწყობებნა, როგორც მისი სახის გამომეტყველებიდან ჩანდა, მიაგნო კიდევ და ყველას გასაგონად, ოღონდ ბუნდოვნად განაცხადა, რომ მას ამქვეყნად არაფერი უკვირს, რადგან შედეგი თურმე მიზეზიდან გამომდინარეობს. და მან, იმით კმაყოფილმა რომ ამ აზრს ვერავინ ჩაწვდა, ყოველგვარი ფრჩხილების გახსნა ზედმეტად ჩათვალა. მისი გამგები ირგვლივ არავინ იყო, რა თქმა უნდა, კვაშალის გარდა, და ამის გამო მუხუჟის ყველა თანამშრომელთან გაურბოდა კიდევ კამათს. წარმოსთქვამდა ყველაფრის განმსაზღვრელ და ამომხსნელ ფორმულას და თავის მისიას დამთავრებულად თვლიდა. ოღონდ, გაუგებდნენ თუ არა, ეს უკვე აღარ აღარდებდა. ზურაბის მოულოდნელი საქციელიც (ანზორის წააქეზება კვაშალის გამასხარავენებად) ფილოსოფიურად ახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც ვერავინ ჩაწვდა მის ღრმა აზრს. მაკა დამაბუღლი თუ უხერხული სიტუაციების ჩაცხრობას დირექტორის სახელის ხსენებით ცდილობდა; მეტი მას არაფერი შეეძლო. გივი კვაშალი კი ითმენდა დაცინვას, ითმენდა უხმოდ, უსიტყვოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბონდომ საჭიროდ სცნო ანზორის დამუქრებოდა. მისმა მუქარამ ისე იმოქმედა, რომ მაკას თითქმის ერთი კვირის განმავლობაში დირექტორის სახელი არ უხსენებია. მაგრამ, მოხდა საოცრება და ზურაბმა ისევ წააქეზა ანზორი კვაშალის აბუჩად ასაგდებად, ოღონდ, ამჯერად ყველასაგან მალულად...

იმ დღეს მათა თავის ოთახში იჯდა და განყოფილების გამგის დავალებით სასწრაფოდ რალაც ტექსტს ამზალეზდა.

დანარჩენებიც იქ იყვნენ: ბონდო, ანზორი და გივი კვაშალი. ყველა მუშაობდა. სიჩუმე ფანჯრის რაფაზე შემოდგმულმა ტელეფონმა დაარღვია. ბონდო არც წამომდგარა, ისე მიწვდა ყურმილს.

— ვინ გნებავთ? — იკითხა მან.
— აშკარად ჩანდა, რომ გარკვევით არ ესმოდა სიტყვები და წარბეჭდვითი იატაკს ჩასცქეროდა.

— ლონგინოზი — გაიოცა ბონდომ,
— ასეთი ჩვენთან არავინაა.

ამ სახელის გაგონებისთანავე კვაშალი წამოიჭრა, რომ ტელეფონთან მისულიყო, მაგრამ ბონდომ უკვე ყურმილი დადო.

— ყველა ოხერმა აქ უნდა დარეკოს,
— ჩაიბუზღუნა მაიამ და მუშაობა გააგრძელა.

ანზორი თვალს არ აშორებდა მის წინ მდგომ კვაშალს, რომელსაც სახე აელანდა და მოუსვენრობა დაეტყო. შემდეგ ყურებამდე გაწითლდა, მხრები უხერხულად შეათამაშა და ტლანქი და არეული ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა.

— ლონგინოზი თუ კვაშალის სახელი არ იყოს, თავი მომჭერთ, — წამოიძახა ანზორმა და მთელი ხმით გადაიხარხარა.

— გეყოფა ბოლოს და ბოლოს, — შეუბღვირა ბონდომ.

— ხომ იცი, რომ ერთ საათში ამ სამუშაოს უნდა მოვრჩე, რა დროს მაიმუნობაა, — მიახალა მის გვერდით მდგომმა მაიამ.

— კარგი, კარგი, — ღიმილით ჩაილაპარაკა ანზორმა, — თქვენ თვითონ დარწმუნდებით და მერე მე არ დამადანაშაულოთ.

ვერ ისვენებდა: შუადღეზე მაკას შეუჩნდა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ კანცელარიაში გააგზავნა, რომ იქ ორიოდე წუთით კვაშალის დოკუმენტები გამოეთხოვა, რადაც აუცილებელი საქმისათვის. თვითონ კი ვესტიბიულში ელოდებოდა. აღმოჩნდა, რომ კვაშალის ნამდვილი სახელი ლონგინოზი ყოფილა. ანზორმა მარმარილოს კიბეები თვალის

დახამხამებაში აირბინა, ზურაბთან შეერთდა და ახალი ამბავი ახარა.

— ნამდვილი ხიხია, — თქვა ზიზლით ზურაბმა და სიამოვნებისაგან გაელიმა. მაგრამ, იგი ახლა არ იღიმებოდა ისე გულწრფელად და გულუბრყვილოდ, როგორც სჩვეოდა; პირიქით, მის ღიმილში იგრძნობოდა ის ბინძური თუ მდაბალი სიხარული, რომელიც ადამიანს უსუსურობის ეამს ეუფლება ხოლმე.

— კი მაგრამ, თუ ლონგინოზია, გივი საიდან სადაო, — იქედნურად ჩაილაპარაკა ანზორმა.

— ხიხია, — გაიმეორა ზურაბმა და ხელი ისე ჩაიჭნია, თითქოს ამბობდა, ეს ამბავი სალაპარაკოდაც არ ღირსო.

— შერცხვა ალბათ და გადაიკეთა, — თქვა ანზორმა.

— ალბათ.
— კი მაგრამ, ლონგინოზს სახელი ჯობია? — ლონ-გი-ნოზ, — წარმოსთქვა დამარცვლით და გამოთქმით ანზორმა.

— ცუდად არ ეღერს, — სერიოზული სახით უპასუხა ზურაბმა.

— ესე იგი, გემოვნებაც ვერა აქვს მაინცდამაინც კარგი. ამას ვარდა, თუ შეგიმჩნევია, ვინც ახალ სახელს ირქმევს, აუცილებლად გივი უნდა დაირგვას რატომღაც.

— ერთი შენც, მოგცლია, — უთბრა ზურაბმა და მხარზე ხელი დაჰკრა, — ისე ჯერჯერობით ნუ შეიმჩნევ, რომ შენ მისი ნამდვილი სახელი იცი.

ამ აღმოჩენიდან რამდენიმე საათის შემდეგ მაკამ მაია კორიდორში ცალკე გაიხშო და ფანტასტიური საიდუმლო გაანდო: შემთხვევით შენს სახელზე გამოგზავნილი ბიბლიოთეკის ერთ წიგნში სასიყვარულო ბარათი ვიპოვე. მაია გაიბადრა, მაგრამ თავი მოიკატუნა, თითქოს არც აინტერესებდა ვინ იყო წერილის ავტორი. მაკა გამომცდელად შეჰყურებდა თვალებში, მერე ვეღარ მოითმინა, ირგვლივ მიმოიხედა და რო-

ლევან მაღაზონია
თვითგვამა

ცა დარწმუნდა რომ არავინ უსმენდა, მაინც ყურში ჩასჩურჩულა სათქმელი. მაიამ წამოიკივლა და ხელი ლოყაზე იტყიცა, შემდეგ ფართოდ გახელილი თვალებით მაკას მიაჩერდა და გადაიკისკისა. სასწაული! მაია უყვარს გივი კვაშალს! წარმოუდგენელი სასწაული, დაუჯერებელი ამბავი! ფანტასტიური აღმოჩენა, რომლის მსგავსი ჯერ არავის სმენია... როცა მაია დამშვიდდა, მაკამ ჩურჩულით უამბო ყველაფერი, როგორ იპოვნა წერილი, როგორ წაიკითხა მალულად და როგორ ჩადო ისევ იმ წიგნში. მერე შეევედრა საიდუმლო არავისთვის გაეხდო, რომ უსიამოვნებას არ გადაყროდა. ო, რომ იცოდეს მაიამ რა ამაღლებული წერილი იყო, რა სიტყვები, რა გამოთქმები, მსგავსი რამ მსოფლიო სამიჯნურო ლიტერატურას არ ახსოვს. მაიას ისევ სიცილი წასკდა, მერე, თავის მხრივ მაკა დაანამუსა, არც მას წამოსცდენოდა ვინმესთან ეს

ამბავი, მაგრამ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: მაიამ ითმინა ბოლოს ვეღარ მოითმინა და იმავე დღეს საიდუმლო ანზორს გაანდო მუზეუმის ეზოში. რა თქმა უნდა, თან ისიც თხოვა, რომ სხვასთან ამის შესახებ კრინტი არ დაეძრა. ანზორმა ხელეები თავზე წაივლო, რაღაც უაზროდ წამოიძახა და მაშინვე თავქუდმოგლეჯილი ზურაბთან გაიქცა. სასწაულებრივი ამბავი მუზეუმის ელვის სისწრაფით მოედო. საინტერესო ის იყო, რომ სენსაცია ციალას გარდა ყველამ დაიჭერა („სამყაროში აუხსნელი და შეუცნობელი მოვლენები უფრო მეტია, ვინემ ახსნილი და შეცნობილი“, დაახლოებით ასე თქვა მან დიდი ხნის ფიქრის შემდეგ).

მაია წამდაუწუმ პირზე ხელს იფარებდა და სიცილს ძლივს იკავებდა. იმ დღეს ანზორისგან ისიც შეიტყო, რომ კვაშალის ნამდვილი სახელი ლონგინოზი იყო.

დასასრული იქნება



პ ა რ ი ლ ი ს ქ ა რ ი

საქართველოს სახალხო არტიტის დოდო აბაშიძეს

ვინ აგახლიჩა მშობელის კალთას,
რად იყო ბედი ასე გულცივი.
პატარა ბიჭი თვატრის კართან
დაკარგულ მამის მოსვლას უცდიდი.
თვალები დაგრჩა დაბინდულ მზისკენ,
აღარ გამოჩნდა დაღლილი მგზავრი.
არ იწყებოდა სპექტაკლი ისე
და გაზმუოდა მესამე ზარი.
დავაჟაკცება და შურისგება
მოჭვავს დაბოღმილ კუნაპეტ ღამეს.
შენც მიტომ მიეც დათრგუნვის ნება
დაკორძილ მკერდს და დაძარღვულ
მკლავებს...

იქ, სად ვერაზე წუხს შენი სახლი
ვარდისუბანის გაუმხელ სევდად,
აპრილის ქარი აღებდა სარკმელს
და დედისერთას გელოდა დედა.
თავჩაქინდრულმა დამისხი ღვინო,
თავაუღებლად გავტევე პური.
ვეფხვის გამზრდელი — დეიდა ნინო,
ქმრის მოლოდინში გათეთრებული,
გვიცქერდა თბილად, თანაც საქმობდა
და სადღეგრძელოს ვიტყვოდით ვიდრე,
ჭერზე ნათურას ქარი აჭრობდა,
ქარი ანთებდა, აჭრობდა კიდევ...
ეს იყო ალბათ მისი ცხოვრებაც,
მაგრამ ის უკვე გადიწვა, ჩაქრა.
იქნებ ეს ქარი ვამბორება
მის უწარწერო, დაკარგულ საფლავს...
ეპა, მრავალჯერ დაირხა ფარდა,
შენც გერგო, ძმაო, ტაში და ხოტბა.
ერთი ღამე კი სასწაულს ჰგავდა
და ის ამბავი რაც მაშინ მოხდა.
გმირის სახეში უმაღვე გიცან
და ჭრუანტელი მოენთო ძარღვებს.

შენ, „ყარაღებში“ ქუხდი შევიცერს,
მამას ეს როლი უყვარდა ადრე,
ო, ეს ხალათი, სცენაზე ერთ დროს
მკერდსაბნეული ეცვა მშობელსა.
იგი შენს მხრებზე ისევ აენთო
და დაღუპულის სუნთქვა მომესმა.
ბებერ თვატრის ასწლოვან თალებს
დააწვა მძიმედ თაღხი და ნისლი.
ხმა ბასრ ხმალივით ააქლრიალე,
თითქოსდა მამის აიღე სისხლი.
წინ გაიჭერი, დაიწყე ბორგვა,
დაჭრილი ვეფხვის კამარას კრავდი
და შემართული მხარდამხარ მოგყვა
ფარდალეწილი ვანიკოს ლანდი.
შვილს და მეუღლეს უმშერდა ქალი,
ვერ დაიოკა მომსკდარი ცრემლი.
და უხაროდა სცენაზე მაინც,
რომ მოხდა კიდევ შეხვედრა თქვენი.
ცეცხლი მოენთო განაბულ დარბაზს,
ტაშმა ზედიზედ იქუხა ისევ.
როს ბინდისფერი დაეშვა ფარდა,
მამის სახება წავიდა ცისკენ...
შენ დარჩი ჩვენთან და ქალაქგარეთ
ღამეში ჰქექდა ქართული ჰანგი.
სავსე ჯამებში ჩაიფშვნა ღამე
და შორს გადაქრა კეთილი ლანდი.
მისი სიცოცხლე ჩაბუდდა შენში
და ორი გული ერთ მკერდში ფეთქავს.
ამოფათქუნდა ცისკარი მთებში
და ჯვარზე მალლა ასწია მცხეთა.
ინათა, ნისლის პერანგი გაცვდა,
სვეტიცხოველი აცურდა მზესთან.
ჩვენც თბილისისკენ მოვდეგდით მტკვარს და
ლაჟვარდის ჩინჩხლებს გვაყრიდა ზეცა...



დრო — არასოდეს,
 ნაბიჯები იგვიანებენ.
 არც — გული,
 მხოლოდ — ნაბიჯები,
 სხვა არაფერი;
 ყველაზე მეტად მაშინ ვხდებით ფიქრიანები,
 ოდეს არც ლტოლვა,
 არც ხალისი გვაქვს აღმაფრენის.

და მაინც,
 თვალი შოგარიდო — არ შემძლია,
 (დე, ასე შერჩეს მზეერა ჩემი ცას მარისხივით!)
 დაგვიანებულ სიყვარულში მეტი სიბრძნეა,
 უფრო დიდხანს ძლებს ნაღვერდალი ნაცარმიყრილი!

ახლა მოლიბდეს

ახლა მითხარი საყვედური, ძვირფასო ჩემო,
 ვიდრე ერთად ვართ, ერთი გზა გვაქვს და ერთი ჩერო.
 განშორების ჟამს მაპატიე ოდნავი წყენაც,
 განშორებისას, პატიება სჭირდება ყველას.

მოკაუი

მოულოდნელად დაიწყო თოვა,
 ასფალტზე ფიფქი ფეხს ვერ იკიდებს;
 მე უსათუოდ დღეს შენთან მოვალ,
 თოვლივით სულში რომ დაგიმკვიდრე.

უხმოდ ვენუკვი უთვალავ უბანს,
 დროც გაირინდა ჩვენი შეხვედრის,
 აფსუს! რამდენი სიწმინდე ქრება
 დედამიწასთან ერთი შეხებით!...

ბხენი

ბოსელში ისმის უსიამო სივილი სხვენის,
 ქარი არ ქრის და ღმერთმა უწყის,
 რა ასივილებს;
 ბრტყელი კბილებით დუმილს ცოხნის ბეხრეკი ცხენი;
 დუმილს ცოხნის თუ სიბერისგან აშლილ ტკივილებს!..

გარშემო ბნელა.

არსაიდან არ ჩანს ნუგეში,
ერთმანეთს ცვლიან ზმანებაში
მთები...

მინდვრები...

ცხენს ტყის ლოდივით ხავსმოდებულ თვალთა გუგებში
უძრავ ტბად უძევს მოგონება წარსულ დიდების.

მწარე აქვს აწმყო,
უფრო მწარე ელის მერმისი
და ვერ იმაგრებს ცერისტოლა ორადორ კურცხალს.
ერთ დროს ჭიხვინით გადაწერილ თავის ბედის წიგნს
ახლა მთებს შორის მოთარეშე ნიავი ფურცლავს.

ძონდადქცეული უნაგირი გდია ღობესთან,
ფრუტუნებს ცხენი,
ზოგჯერ კუდსაც მოიქნევს ბრაზით
და მწუხარებას ეწაფება,
როგორც ოდესღაც
ეწაფებოდა ოთხი ფლოქვით გასათელ მანძილს.

არც სიმარტოვეს უჩანს ზღვარი, არც — სხვენის სივილს,
იცის ბესრეკმა —
აეგება სულ მალე წესი;
და მაინც ჩუმად გულს შეუთბობს იმედის სხივი,
როცა ეზოში მოკუნტრუშე კვიციის ხმა ესმის.

h

ყველას აქვს ნება, ჩემი ბედით დაინტერესდეს:
მაჭოს, მამაგოს, მითვალთვალოს,
და უფრო მეტიც, —
მოდგეს სარკმელთან, აიწიოს ფეხის წვერებზე
და მოისმინოს, რასაც ჩემ თავს უსიტყვოდ ვეტყვი.

დასაბამიდან თვალი თვალს მტრობს, სურვილი — სურვილს.
კიდევ კარგი, რომ სულს არ ძალუძს დანახვა სულის...



გოგონაჲსი ჭიუხვილი

აიოზიტი

— როგორ ჰგავს ეს კაცი კრისს! — თქვა ლადომ და წამით თვალწინ გაუჩინა ინდიელთა სოფლის დარბეულმა, ცეცხლმოდებულმა ქოხებმა, ადამიანთა შეშინებულმა, შეძრწუნებულმა, ნატანჯმა სახეებმა და მათკენ საშველად ასწრაფებულმა შესანიშნავი შვიდეულის რაზმმა..

— ძალიან ჰგავს, ოღონდ... ცოტათი დაბალი ხომ არ არის ან უფრო ჯმუხი?... ლადო დასლზე გადაიხარა, რომ ბაზრის შესასვლელის პირდაპირ აფუსფუსებულ ხალხში შეჩერებული კოკი ჯიქიძე, კაცი, რომელიც მართლაც ძალიან ჰგავდა ეკრანზე ნანახ მის საყვარელ, სათაყვანებელ გმირს, უკეთ დაენახა. იგი, ვინ იცის, მერამდენედ ამოწმებდა კოკის სიმაღლეს და ვერ იქნა და ვერ დააზუსტა, ხან დაბალი ეჩვენებოდა, ხან კი, პირიქით... კოკის სამხრეებიანი ლაბადა ეცვა. ფართე ფარფლებიანი მწვანე ფეტრის შლაბა წარბებამდე ჩამოეწია და ვიღაც ოქროსფერთმიან ლამაზ ქალს ელაპარაკებოდა. ქალს, ეტყობოდა, ბაზრიდან მოდიოდა, ერთ ხელში კალათი ეჭირა, მეორეში—ვაშლებით სავსე ბადურა. ისინი ცოტა ხანს კიდეც საუბრობდნენ. მერე ქალმა მანქანა გააჩერა, დაჯდა და წავიდა. კოკიმ თვალი გააყოლა. მანქანა რომ გაუჩინარდა, კოკიმ

შლაბა შუბლზე აიწია, ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა და გაბოლა. ერთხანს დაფიქრებული იდგა. მერე სიგარეტი გადაავლო, გამობრუნდა და პავილიონისაკენ გაემართა, სადაც ლადო მუშაობდა...

- ჰელოუ, ლადო!
- გამარჯობათ, კოკი ბიძია.
- როგორა ხარ?
- რა მიშავს, გმადლობთ. თქვენ როგორ ბრძანდებით?
- ცუდად.
- გრიბი ხომ არ შეგეყარათ?
- არა. ლუდი ახალია?
- როგორც ყოველთვის.

ლადო ლუდს დაასხამს, კათხას წინ დაუდგამს. კოკი კათხას მარცხენა ხელს ჰკიდებს, მარჯვენა ლაბადის ჯიბეში უდევს. ლუდს არ სვამს დაფიქრებულია.

ლადო: (ფიქრობს) რა ფერმკრთალია! იმ ქალმა ხომ არ აწყენინა? ნეტა ვინ იყო? ყოფილი ცოლი? შეიძლება...

კოკი: (ლუდს დალევს, შუბლი შეეკმუხნება, ხელს ჯიბიდან ამოსწევს, ისევ ჩაუშვებს).

- ლადო: გტკივთ?
- კოკი: საშინლად. ექიმთან გამოვიარე, მიოზიტი გაქვსო, მიოზრა.
- ლადო: მიოზიტი?!



კოკი: ჰო, კუნთის ანთებაა. ბეჭიდან მოყვება და თითებამდე მტეხავს.

ლადო: აა, ცუდია, მუშაობაში ხელს შეგიშლით, ალბათ, ვეღარ ხატავთ.

კოკი: ორმაგი მიოზიტი მაქვს.

ლადო: ორმაგი?! ეს როგორ?

კოკი: გამოფენაზე ვიყავი, ნერვები მიმიშალეს, დაასხი კიდევ.

ლადო ლუდს დაასხამს, მიაწოდებს.

კოკი გამოართმევს, კათხას დახლზე დგამს, დააშტერდება. მერე თავს ასწევს და ეკითხება:

კოკი: რამდენი წლის ხარ, ლადო?

ლადო: ცხრაშვიტი.

კოკი: ის ბიჭი შენზე რამდენიმე წლით უფროსია.

ლადო: რომელი ბიჭი?

კოკი: ამასწინათ რომ ვითხარი, უნდა დავხატო-მეთქი.

ლადო: აჰ, ჰო, გამახსენდა, დახატეთ?

კოკი: დავხატე, მაგრამ შედავებიან.

ლადო: რას გედავებიან?

კოკი: სიუჟეტური სურათია და თემის ისეთი ვადაწყვეტა, როგორც მე მაქვს, არ მოსწონთ. შენ რას შერები, ემზადები გამოცდებისათვის?

ლადო: საღამოობით ვმეცადინებო ხოლმე. მაინც რა არ მოსწონთ?

პაუზა. კოკი სდუმს. ლუდს მოსვამს. მერე ლადოს შეხედავს და ეუბნება:

კოკი: ლადო, შენ ხომ მოგწონს მანანა?

ლადო: მანანა?! (გაკვირვებული და დაბნეული უყურებს).

კოკი: მანანა არ ჰქვია შენს გოგოს?

ლადო: (მორცხვად) მეგი.

კოკი: ჰო, მეგი, მეგი... მოგწონს, გიყვარს, არა?

ლადო წითლდება.

კოკი: რისი გრცხვენია, შე კაი კაცო! ყველას ვიღაცა მოსწონს და უყვარს.

ლადო: ჩვენ... დავშორდით.

კოკი: რატომ?

ლადო: რა ვიცი... ვერ გავუგეთ ერთმანეთს.

კოკი: ასეთ შემთხვევაში ან ერთი ცდება ან მეორე, შენ ვერ გაუგე, თუ იმან?

ლადო: იმან... აქ რატომ მუშაობ, რატომ არ სწავლობო... მამაჩემი კოცხალი ყოფილიყო... რა უნდა გქნა? თქვენც იცით, დედა ხშირად ავადმყოფობს... დამას ჩაცმა და ჭამა ხომ უნდა.

კოკი: ვიცი, ლადო, კარგი ბიჭი ხარ. ნუ იღარდებ. ასეა ცხოვრება: ზოგს ესმის ჩვენი, ზოგს არა. გავა დრო და ისეთს შეხვდები, ვინც ყველაფერს გაგიგებს... ყველას რომ ერთმანეთის ესმოდეს, კაცობრიობა განვითარების იდეალურ მდგომარეობას მიაღწევდა... (ლუდს მოსვამს და განაგრძობს) ხელოვნებაში კი, ჩემო ლადო, გავება ან გაუგებრობა, შეიძლება ითქვას აზრის გამოხატვის ერთნაირი საშუალებაა. თემას გააჩნია, ზოგჯერ გაუგებრობით გადაწყვეტილი საკითხი მეტ ემოციას იწვევს, როგორც ვთქვი, თემას გააჩნია. გაიგე ლადო?

ლადო: დიახ. თქვენს სურათზე მიამბეთ, თუ შეიძლება. მაინტერესებს.

კოკი: მეც ეს დავხატე.

ლადო: რა?

კოკი: გაუგებრობა. მას ერთი გოგონა მოსწონდა.

ლადო: ვის?

კოკი: აი, იმ ბიჭს. ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ხორბლისფერთმიანი, ცისფერთვალემა, ლამაზი გოგონა სტოვებს სოფელს და თბილისში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად... ბიჭს სხვა გეგმები ჰქონდა. ფიქრობდა, გოგონა დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლას აიჩივებდა, სოფელში იცხოვრებდა მასთან ერთად, შეჰქმნიდნენ ოჯახს, ეყოლებოდათ შვილები... გაირკვა რომ ცხოვრებაში მათ სხვადასხვა გზებით უნდა ევლოთ. ცისფერთვალემა, ლამაზ გოგონას არც სოფელში გათხოვება უნდოდა და, რაღა თქმა უნდა, არც იქ ცხოვრება... სურათზე გოგონა მარცხნივ მოჩანს ჩემოდნით ხელში, მიბრუნებულია და ბაჭანზე ჩამომდგარი მატარებლისკენ მიდის... ბიჭი კი დგას

გოგონა და მიუხიციებელი მიიღობი

და გულდაწყვეტილი გასცქერის ლამაზ გოგონას... სულ ეს არის.

ლადო: (დაფიქრებული) წავიდა არა?

კოკი: ცხადია (კათხას მარცხენა ხელით აიღებს, მარჯვენა ისევ ლაბადის ჯიბეში უდევს. ლუდს სვამს, თან ლადოს უყურებს).

ლადო: (დუმს, დაფიქრებულია. მეგი ახსენდება, ფიქრობს:) როგორ მომენატრე? იმ დღის შემდეგ აქეთ აღარ გამოვივლია შენი სტუდენტური ჩანთით... წახვედი. მაგრამ ნუთუ დამთავრდა ყველაფერი?... წავიდნენ სხვებიც... მიდიან და იშვიათად ბრუნდებიან უკან... რატომ ხდება ასე, რატომ?!

კოკი: კარგად იყავი, ლადო (სულს დახლზე დებს).

ლადო: (გამოერკვევა) მიბრძანდებით?

კოკი: ჰო, წავალ, თბილად დაეწვები.

ლადო: ძალიან გაწუხებთ, არა?

კოკი: ქლოროფორმით დავიზელ, თბილად დაეწვები და ალბათ გამივლის.

ლადო: გაივლის, რა თქმა უნდა, გაივლის.

კოკი: ნახვამდის, ლადო. (მიბრუნდება და მიდის)

ლადო: ნახვამდის.

კოკი ქუჩას გადაჭრის, მარჯვნივ შეუხვევს და თვალს ეფარება.



პითარ ბრძანებლა

ესე დიაღაც არს საწუხარი:
 არის ყოველთა ბორთთა დედა, —
 ვითარ ბრძანებდა საბა-სულხანი,
 წუხილი
 სხვისა კეთილსა ჴედა.

უფრორე მეტად არს საქუველი:
 ქვეგამხედვარი, ლიზლი, მეჭველი, —
 ვითარ ბრძანებდა დიდი რუსთველი, —
 კაცი
 დიაცებრ ქსლისა მბეჭველი.

კაცი ის არის,
 ვინც სხვა კაცისთვის
 არის სიმაგრე, არის კედელი,
 მამულისათვის პიროფლიანი
 და ჭირსა შიგან გაუტეხელი,
 პირმცინარი და არა მწუხარი,
 მდაბალი, უხვი, მხნე და გულწრფელი...

ასე ბრძანებდა დიდი სულხანი...
 ასე ბრძანებდა დიდი რუსთველი...

ა ი, მ ა მ უ ლ ი

გულში მატყვია ვით წყურვილი,
 ვითარცა წყლული,
 ტბა ფარავანი, ტბა საღამო,
 ტბა ტაბაწყური.

არის ძარღვებში გამაფრებულ
 სისხლის ტრიალი
 მდინარე თერგი, ცხენისწყალი,
 რიონი, შტკვარი.

თავს დამდგომია, ვით გუშაგი,
 ვითარცა მცველი,

მთა თრიალეთი, მთა თეთნულდი,
 მთა მყინვარწვერი.

ტალღებს მოაფენს საიმედოდ,
 ხანაც კი რისხვად
 სტუმართმოყვარე უსაშველოდ,
 ლურჯი შავი ჴღვა.

ახალქალაქი, ახალციხე,
 ახალსოფელი, —
 აი, მამული, საქართველო
 განუყოფელი.

ცამ იცოდეს ცისა

ცამ იცოდეს ცისა...
 ფესვო მამულსა,
 საქართველოს მიწავ,
 დილა მშვიდობისა!

მთამ იცოდეს მთისა...
 როგორ არ მიყვარდე,
 უშგულო და ხალდე,
 ვარ მეც თქვენი მხრისა!

ზღვამ იცოდეს ჴღვისა...
 რიონო და მტკვარო,
 უკვდავების წყარო
 მასვით თქვენი წლისა!

სხვამ იცოდეს სხვისა...
 ამ ლაჟვარდი ცისა,
 ამ მაღალი მთისა,
 ამ უსაზღვრო ჴღვისა,
 დილა მშვიდობისა!

დღეს სასწაულის გავხდი მხილველი...
 როდესაც სდუმდა ყველა ფრინველი,
 ხოლო გაზაფხულს სრულყოფის კართან
 ერთი მერცხალის გაფრენა აკლდა;
 როდესაც ჭალა, მინდორი, ბორცვი
 მსუბუქი ნისლით იყო მოცული,
 როდესაც შორით მოჩანდა ხნულში
 ტრაქტორი, როგორც შეკრული მუშტი, —
 უცებ შრიალი მომესმა რაღაც...
 დავხედე ახლად გათელილ ბალახს

და სველ მინდორზე გამოჩნდა ია,
 როგორც უცოდველ გოგონას თვალი.
 და უცოდველი გოგონას თვალი
 მისჩერებოდა ბორცვს, ჭალას, ტყისპირს...
 მინდვრების თავზე შეჩერდა ნისლი,
 ნისლების მალა—აეროპლანი
 და გაირინდა სამყარო წამით...
 რადგან ყველაფერს მონატრებოდა
 ამ უცოდველი გოგონას თვალი.

ბ ა ხ შ რ ი ო ნ თ ა ნ

ვინ გამიბედავს მითხრას წარმართი,
 როცა ვუჩოქებ ბებერ ბახტრიონს...
 არა, ამ ციხეს ვერვინ წამართმევს,
 მე სადმე ისიც უნდა დავტოვ.

აქ მოდიოდნენ გაშლილ დროშებით
 ვისაც მამულის ბედი ებარა.

იქ უნდა დავდგე, სადაც ოდესღაც
 ერთო კოცონი მეციხოვნეთა...
 აქ, ამ კედლებთან იკვანძებოდა
 სისხლით მორწყული ქართლის ცხოვრება.

ეს ჟანგიანი ქვეები კი არა,
 იმათი სისხლის არის წვეთები,
 ვინც ამ კედლებთან ცდიდა იარაღს
 სიკვდილ-სიცოცხლის თავგამეტებით.

მუდამ თუ არა, დროგამოშვებით
 ამ ციხეების გვადევს ბეგარა...

ვინ გამიბედავს, მითხრას წარმართი,
 როცა მუხლს ვუყრი ბებერ ბახტრიონს...
 არა, ამ ციხეს ვერვინ წამართმევს,
 მე სადმე ისიც უნდა დავტოვ.

მ თ ე ბ ო


მთებო, გამარჯობათ, ძმებო!
 თქვენა ხართ მამულის ჯავშანი.
 რამდენჯერ, მამულის მთებო,
 რამდენი მტრის ჯავრი შავჭამეთ.

თქვენს მკერდზე შავშავი ლოდები
 ჩემი ცრემლებია ვაჭური.

მთებო, ცრემლებად მოდენილი
 მასვით ჩანჩქერების ნაჭური...

თქვენს მკერდზე ნამსხვრევებად ჰყრია
 ქართველის ჟანგიანი მახვილი.
 მყუდროება ხომ არ დაგირღვიეთ
 მთებო, თავხედური ძახილით...





გაუმენ კავშირი

ბ ა ლ ა ხ ი ს ს ი მ ლ ე რ ა

ნეტა, როდის გავიგონე პირველად, ბალახი მღერისო? ეს იყო შემოდგომის დღე. ოღონდ ის შემოდგომა კი არა, როცა ჩვენ ჭადრის ხეზე ვცხოვრობდით. არა, გაცილებით წინანდელი შემოდგომა იყო და, რაღა თქმა უნდა, დოლი მეტყუოდა ამას, აბა სხვა ვის მოაფიქრდებოდა ბალახის სიმღერა.

გაცდებით თუ არა ქალაქს და ვეკლესიის გზას დაადგებით, ერთი ქათქათა გორაკი გიცი-მათ თვალში — თოვლსავეთ თეთრი საფლავის ქვებისა და მზუზე გარუქული ყვავილებისაგან გაუღდის ლაპლაპი. ბაბტიტების სასაფლაოა. ჩვენები — ტვლები და ფენიციები — აქა მარხიან. მამაჩემის გვერდით დედა წევს, და სხვა ნათესაების საფლავებიც — ბარე ოცი თუ კიდევ უფრო მეტი—ისე გარშემოხვევიან ამით, როგორც მუხას ფესვები.

გორაკის ძირში მალაღი, ინდური ბალახით დაფარული მიწდორი იწყება, წელიწადის ოთხივე დროს იცვლის ბოლმე ფერს. შემოდგომაზე მოდით, სექტემბრის მიწურულს: ბალახი წითლად ღვსის, როგორც მზის ჩასვლისას ცის კიდური, როცა მეწამული ჩრდილები ცეცხლის ანარეკლივთ ვდაუქროლებენ და შემოდგომის ქარისაგან ათრთოლებულ, ხმელ ფოთლებს ადამიანის ხმაზე აავენსებენ. ჩანგია, სხვადასხვა ხმაზე ამღერებული ჩანგი.

მიწდორის იქით სანაპირო ტყე ჩამუქებულია. მგონი სწორედ ერთი ასეთი სექტემბრის დღე იყო, როცა ჩვენ ბალახის ძირებს ვაგროვებდით იმ ტყეში და დოლიმ მითხრა:

— გესმის, როგორ ჩანგით მღერის! რაღაცას გვიამბობს. ყველას ამბავი იცის. ეგერ, გო-

რაკზე ვინც ასვენია იმათი... ყველასი, ვისაც ოდესმე უცხოვრია... ჩვენ რომ მოვეკვდებით, ჩვენს ამბავსაც იმღერებს.

დედა რომ მომიკვდა, მამაჩემმა, — კომიფო-იაფერი იყო — თავის გაუთხოვარ ბიძაშვილებთან გამაგზავნა, ორ გაუთხოვარ დასთან — ვირენა და დოლი ტვლებთან. წინათ აკრძალული მქონდა იქ მისვლა. ვირენა და მამაჩემი უბრაოდ იყვნენ. ოღონდ რატომ, ამას კაციშვილი ვერ იტყოდა. იქნებ მამამ ფული სთხოვა სესხად და უარი მიიღო; ან იქნებ ასესხა ვირენამ, მაგრამ მამამ აღარ დაუბრუნა ვალი. ასეა თუ ისე, უსიამოვნების მიზეზი ნიმღვილდ ფული იქნებოდა, მეტი ვერაფერი წააჩხუბებდათ ერთმანეთთან, განსაკუთრებით ვირენას, რომელიც მთელ ქალაქში ყველაზე მდიდარ ქალად ითვლებოდა: აფთიაქი, * ტანსაცმლის სავაჭრო, ბენზინის კოლონა, საბაკალეო, კონტორა... მისი იყო ყველაფერი და ამდენი სიმდიდრის დამგროვებელს ხათრი და რიდი საიდან შერჩებოდა.

ასე იყო თუ ისე, მამამ თქვა, ჩემი ფეხი აღარ იქნება იმით სახლშით. საშინელ რალაცუებს ყვებოდა ორივე დაზე. ვირენას ხმა დაუყარა, პერმოფროლიტიო და ქალაქში ახლაც ლაპარაკობენ ამაზე. მისს დოლი ტვლებს კი იმდენს დასცინოდა, რომ დედამაც ვეღარ მოითმინა: არა გრცხვენიო, უთხრა, ასეთ უწყინარსა და სათანო არსებას როგორ დასცინო.

* აფთიაქი — იგულისხმება ისეთი სავაჭრო, სადაც მედიკამენტების გარდა იყიდება სასმელი წყლები და სხვა ათასგვარი წერილობანი.



ეტყობა, ძალიან უყვარლით ერთმანეთი, დედასა და მამას მოგახსენებთ. დედა ტიროდა ხოლმე, როცა მამა მიციერების გასაყიდად გაემგზავრებოდა. თქვენსეტი წლისა იყო, როცა მამამ შეირთო და ოცდაათწლასაც ვერ მიადწია. დედა რომ გარდაიცვალა, ის დღეს მამამ ტანისამოსი ზედ შემოგოლიჯა, თან დედაჩემის სახელს გაჰყვიროდა, და მერე ტიტველი გვაპირდა ეზოში.

დასაფლავების მეორე დღეს ვირენა გამოგვეცხადა. მამსოცს, რა შიშით შევეყურებდი ბიოლოგზე მომავალს — სახრესავით წერილი, კობრა ქალს; მოკლედ შეერევილი, ჰალარაგარეული თმა ჰქონდა, შავი კაცური წარბები და ღამაში ხალი ლოყაზე. სადარბაზო კარი გაიღო და შემოვიდა. დედაჩემის დასაფლავების შემდეგ მამა ყველაფერს ამტკრებდა, გაცოფვებით კი არა, ისე, წყნარად და ერთმანეთის მიყოლებით. მსუბუქი ნაბიჯით შევიდოდა ხოლმე სასტუმრო ოთახში, აიღებდა ხელში ფიფურის ქანდაკებას, ერთი წუთით ჩაფიქრებული და ატყერდებოდა და კედლს მიანარჩებდა. იატაკზე, კიბეზე, ყველანაშტერეები და სუფრის ვერცხლეული ეყარა, მოაჯირზე დედაჩემის დაღვრილი ღამის პერანგი იყო ჩამოკონწილალებული.

ჭირნამ თვლი მოავლო ნამტკრევებს.
— იტყინ, რალაც უნდა გითხრაო, — უთხრა მან გულიანად, მაგრამ ცივი სიამაყით.
მამამ უპასუხა:
— ვისმენ. ვირენა... დაჭექი. ვიციოდი რომ მოხვიდოდი.

სიღამო ხანს დოლის მეგობარი კეთრინ კრიკი მოვიდა. ჩემი ტანსაცმელი ჩაალაგა და მამაჩემმა დიდებულ, პირქუმ სახლში წამოიყვანა, ტუღობი ლინზე. მანქანიდან რომ გადმოვიდიოდი, მამამ ხელი მომხვია, მაგრამ ისე ვიყავი დამინებელი, რომ დავუსხლტი. ახლა გული მწყდება, ნეტა გადავხვევოდი ერთმანეთს, იმიტომ რომ რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარისკენ მიმავალს, მოსახვევში მანქანა მოუტყურდა და ორმოცდაათი ფუტის სიმაღლიდან ყურში გადაირჩხა. როცა ისევ ვნახე მამაჩემი, თვალბუზე ვერცხლის დოლარები ეწყო.

მამამდე არავინ მაქცევდა ყურადღებას, ზოგჯერ თუ იტყოდა ვინმე, თავის ასაკთან შედარებით დაბალი და დაგვალულიაო; ახლა კი ხელით ანიშნებენ ჩემზე — საწყალს კოლინ ფენიკიო! ეს რა უბედურება მოხდაო. მეც ცდილობდი თავი მომესაწყულებინა, ვაცუბობდი ხალხს ეს მოსწონდა. ქალაქში კაცი არ დარჩენილა, ან ნაყინი არ მოეწოდებინოს ჩემთვის ან ბაღავეში ამოვლებული ბატი-ბუტი. სკოლაშიც პირველად მამინ მივიღე კარგი ნიშნები. ასე რომ ყარბა ხანი გავიდა, სანამ დღემშვიდდებოდი და დოლი ტელბოს შევნიშნავდი.

შევნიშნე და შემოვივარდა კიდეც.
წარმოადგინეთ რა მოუვიდოდა, ვუთხრა მე მისიყვანეს, თერთმეტი წლის ონავარ ბისმოყვარე ბივი. ჩემი ფეხის ხმას რომ გაიგონებდა ფაცხა-ფუცხით გაეარდებოდა, მაგრამ თუ მიივც ვერ ასცდებოდა ჩემთან შეხედვრას, ერთიანად რაობებებოდა, ჩუას ფოთლოვით დაპატარავდებოდა. დოლი ერთი იმათგანი იყო, ვისაც შეუძლია შეუმჩნეველი გახდეს, როგორც ავეჯი, როგორც ლანი კუთხეში, როცა თითქოს ვერცა გრწნობ მის არსებობას. რბილანაშიან ფეხსაცმელს იცეპამა ხოლმე, ქალწულის უბრალო, აშმაშემოვლებული კაბები კოჰებამდე სწყდებოდა. თავის დაზე უმცროსი იყო, მაგრამ რომ შესუდავდი, გეგონებოდა, თითქოს ჩემი არ იყოს, ისიც ვირენას ნაშვილებით. ვირენა ჩვენი სამყაროს ცენტრი იყო, ყოველი ჩვენგანი თავის ორბიტაზე ამ ცენტრის გარშემო ბრუნავდა, მისი მიზიდულობის ძალს ემორჩილებოდა და მიმართულებასაც ის გვაძლევდა.

სხენში, რომელიც ხარა-ხურით სავსე მუხეოშმა ჰგავდა, ვირენას ტანსაცმლის სავაქროდან მოტანილი მანეკენები მოჩვენებებით აყუდებულყვენენ; იატაკის ფიტეები ზოგან დაუქვდავი იყო, შემეძლო გვერდზე გამეწია ეს ფიტეები და ყველა ოთახში ჩამეხედა. დოლის ოთახი, სხვა, მძიმე, ქუში ავეჯით გაქვდილ ოთახებს არა ჰგავდა, მხოლოდ საწოლი, საწერი მაგიდა და სკამი ელავა. სენაკი გეგონებოდათ, ოღონდ კედლები და სხვა ყველაფერი რალაც უჩვეულო ვარდისფერით იყო შეღებილი, იატაკი კი ვარდისფერი იყო.

როცა არ უნდა ჩამეხედა დოლის ოთახში, ან სარკის წინ იდგა და თავის მოყვითალო, ჰალარაგარეულ, ისედაც მოკლე თმას ბაღის მაკრატლით იტრექდა ან არა და ხეხეშა ფურცლებიან წიგნაკურ რადაცას წერდა. თან ფანქრის წვერს წამდაწუმებენთ ასეველებდა ავა, დროდადრო, დაწერილ წინადადებას ხამაილს წარმოთქვამდა. „ტკბილელს — კამფეტსა და სხვა რამეს — პირი არ დაკაროთ, მარილი კი ნამდვილად მოგკლავთ“. ახლა შემძლია გითხრაო, წერილებს სწერდა-მეტქი, მაგრამ მაშინ ეს მიწერ-მოწერა საიდუმლოებით იყო მოცული. კეთრინ კრიკის მეტი მეგობარი არავინა ჰყავდა და იმის მეტს არც არავისა ხედებოდა, შინიდანაც იშვითად გადიოდა; კვირაში ერთხელ წაეიღოდა ხოლმე, კეთრინთან ერთად სანაპირო ტყეში ბოლახის ძირეზის შესავროვებლად. ეს იყო და ეს. ამ ძირეზიდან დოლი წყალმანკის წამალსა ხარშავდა და ბოთლებში ასხამდა. მოგვიანებით გავიგე, ამ წამლის მუშტრები მთელ შტატში ჰყავდა და წერილებსაც იმათა სწერდა. დერფენის ერთ მხარეს დოლის ოთახი იყო, მეორე მხარეს — ვირენასი. კანტორასა ჰგავდა ვირენას ოთახი; მაგიდას ასა-



ხელით თავი ჰქონდა, გორგოლაქებზე დამაგრებული; აქვე ნახედით დაუთრების მთელ ბაბლოთევას და კარტოტეკებს. ნეახშმევს ვერენა მწვანე საჩიხს ჩამოიდარებდა თვალეზზე, შავიდას მიუჯდებოდა და სანამ ქუჩის ფარნებს არ ჩააქრობდნენ მუშაობდა — ანგარიშებს ამოწმებდა, დაეორებს ფურცლადა. ბევრ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა — დიპლომატიური და პოლიტიკური — მაგრამ ახლო მეგობრები არა ჰყოლია. მამაკაცებს მისი ეწინააღმდეგებოდა, თვითონ კი, ეტყობოდა, ქალეზისა ეწინააღმდეგებოდა.

ამ ამბებზე რამდენიმე წლით აღერ ვირენას ძალიან შეუყვარდა ერთი მხიარული, ქერათმიანი ყმაწვილი ქალი, სახელად მოდილორა მერფი, რომელიც ერთხანს ფოსტაში მუშაობდა ჩვენთან, მერე კი სენტ-ლუისელ ლენის ვაჟის მისთხოვდა. ვირენამ მძიმედ განიცადა ქალის გათხოვება და ყველას გასაგონად გამოაცხადა — ეს კაცი არარაობაა. ამიტომ ყველა ვაკვირვდა მისმა საქორწინო საჩუქარმა — ახალგაზრდები თავლობისთვის გასატარებლად დიდ კანონზე გაამგზავრა. მონი და მისი ქმარი იქიდან აღარ დაბრუნებულან; დიდ კანონთან ახლოს ბენზინის კოლონა გახსნეს და დროდადრო ვირენას თავის ფოტოსურათებს უგზავნიდნენ. ეს სურათები ვირენას სიხარულიც იყო და მწუხარებაც. ზოგჯერ, საღამოებზე, დაეთრებს არც კი ვადაშლიდა, მიუჯდებოდა მიგიდას, თავს ხელეზში ჩარგავდა და შავიდაზე დაწყობილ სურათებს დაწყურებდა. მერე სურათებს შეინახავდა, სინათლეს ჩააქრობდა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვებოდა. უცებ, დაკოლილი გულიდან ამოხეთქილი, ხრინწნარევი წამოძახილი მოაღწევდა ჩვენამდე, თითქოს რაღაცას ფეხი წამოჰკრა სიბნელეში და დაეცაო.

სამზარეულოში ჩახედვა ვერანაირად ვერ ხერხდებოდა სხვენიდა, მიუვალი აღდგომა იყო, მთელი ის კუთხე ერთმანეთზე ახოხილი კიდობნებს ეჭირათ, ბაშის უშველებელ ფუთებსა ჰგავდნენ. მასინ ყველაზე უფრო სამზარეულო მაინტერესებდა — მთელ სახლში ეს იყო ნამდვილი საცხოვრებელი ოთახი და დროიც მთელ დღეს აქ ატარებდა — თავის მეგობარ კეთრინს კრიკთან საუბრობდა. პატარა, ობოლი კეთრინი კრიკი მისტერ ურია ტელბომ მოახლედ აიყვანა და გოგონები ერთად გაიზარდნენ — კეთრინი და დები ტელბო — ძველ ფერმაში, სადაც ახლა რკინიგზის საწყობია. დოლის „დოლიგულოს“ ეძახდა, ვირენაზე კი „ის ქალბატონიო“ იტყოდა ხოლმე. უკანა ეზოში ცხოვრობდა, თუნუქით ვადახურულ, პატარა, მოვერცხლისფრო სახლში, რომელიც მწესუმწიხრებსა და სარის ლობიოს მთლად დაეფარა. კეთრინი გვარწმუნებდა, ინდიელი ვარო, მაგრამ ამის ვაგონებზე ხალხი თვალს უკრავდა ერთმანეთს

— აფრიკის ანგელოზებით შავი იყო. ვერანა მწვანე ღებნე მართალს ამბობდა, იმიტომ რომ წმინდალი ინდიელით ეცვა — კისერზე ფირფიტის მძივები ეკიდა, სახეზე ისე სქლად ჰქონდა წასმული ფერი, ერთი შეხედვით თვალს მოგპრიდათ. ლოყები ისე უღაღადებდა, როგორც ავტომობლის უკანა ფარები. პირში კბილები თითქმის აღარ შეჩინებოდა და დაუნდავებელი ბამბები ედო შიგ. ვირენას ვეღო მოსდიოდა: „ჯანდაბას შენი თავი, კეთრინ, ერთ სიტყვას. ვერ გამოსთქვამ წესიერად. ვამაგებინე, რატომ არ წახვალ ლოკ კროკერთან, იქნებ რამდენიმე კბილი მაინც ჩაიფიცეს!“

მართლაც ძალიან ძნელი იყო კეთრინის ლაპარაკის გაგება. მხოლოდ დოლის შეეძლო თავისუფლად ეთარგმნა თავისი მეგობრის დუღღღი და ჩიფჩიფი.

თვითონ კეთრინს სულ არ აწუხებდა უკბილობა, იმიტომ კმაყოფილი იყო, რომ დოლა ხედებოდა მის ლაპარაკს: მაინც სულ ერთად იყვნენ და რაც სათქმელი ჰქონდათ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ. დავადებდი უტრს სხვენის კოქს და ეუსშენდა: ეს გამაღიზიანებელი ხმები ტკბილი წვენივით მოწვეთავდა ძველი ფიცრებიდან.

თეთრეულის კარადაში კიბე იყო დატანებული და სხვენზე ამითი ავდიოდით. ამ კარადის ქვერ სხვენის, საძვრენი იყო. ერთხელ, კიბეზე რომ შევჯგი ფეხი, შევინწე, რომ საძვრენი ახლილი იყო. დაეაყურე... ზვიდან ნეტარი ლილინი ისმოდა.

პატარა გოგონები ლილინებდნენ ხოლმე ასე სასიამოვნოდ, როცა მარტოები თამაშობენ. ის იყო უკან გაბრუნება დავაპირე, რომ ლილინი შეწყვიდა და ვილაქამ იკითხა:

— კეთრინ?
— კოლინი, — გუპასუხე მე და საძვროშაში ამოყვავი თავი.

დოლის ფიქტისებურმა სახემ ამჯერად შეინარჩუნა თავისი გამოსახულება, არ დადნა.

— აჰ, აქ დაძვრები?! ჩვენ კიდევ აღარ ვიცოდით რა გვეფიქრა. — რალაქნაირი შრიალა სხით მკითხა დოლიმ.

შქვიანი თვალები ჰქონდა — შუქმფენი, გამჭვირვალე თვალები, მწვანე ფერი ვადაჰრავდა, როგორც პიტნის შარბალას. შემომოქეროდნენ ეს თვალები ნახევრად ჩაბნელებულ სხვენზე და თითქოს მორჩილად მეუბნებოდნენ: ვნებდა, ჩემს საწინამდევოს არაფერს აბირებ...

— მამ, აქ თამაშობ?! აქი ვუთხარი ვირენა, ჩვენთან მოიწყენს-მეთქი. — მერე კასრთან დაიხარა და შიგ ხელის ფათური დაიწყო.

— მოდი, შენც მომხმარე, მეორე კასრში მოქებნე. მარჯნის კოშკს ეყებ და ტოპრაკს, შიგ სხვადასხვა ფერის ქვებია. მე მგონი კეთრინს

ბრუნენ კაპობი
ბალახის სიმღერა



მოწონება საჩუქარი, ოქროსთევზებიანი ქილა. შენ რას იტყვი? დაბადების დღეს მინდა გესახსოვრო. ერთხელ ტროიკული თევზები გვყავდა ამ ქილაში, ჰინკებივით იყვნენ, სულ გადასკამეს ერთმანეთი. დღესაც მახსოვს, როგორ ვეყიდე — ბრუტონშიც კი წყვილით ამის გულისთვის, ექვსასი მილის სიშორეზე. მანამდე ასე შორს არსად ვყოფილვარ და რა ვიცი, იქნებ ვერც ვერასოდეს წავიდე. აი, კომეცი ვიპოვე!

მეღ მეც ვიპოვე ქვევით სავსე ტობრაკი — სიმინდის მარცვლებსა ჰგავდა, თითქოს კამფეტებსაც და:

— განდათ, კამფეტი? — ვუთხარი მე და ტობრაკი ვავუწოდე.

— ო, დიდი მაღლობა. — თქვა მან. — მიყვარს კამფეტები, ქვის გემოც რომ ჰქონდეთ, მაინც მიყვარს.

ჩვენ მეგობრები ვიყავით: დოლი, კეთრინი და მე. თერთმეტისა ვიყავი, მერე ფიქსმეტის გავხდი. და თუმცა ამ ხნის განმავლობაში ღირსშესანიშნავი არაფერი გამხდარა ჩემს ცხოვრებაში. მაინც შესანიშნავი წლები იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში, შინ, ტელბო ლეინზე არავინ მიმაყვანია, სურვილიც არა მქონია ამისი. ერთხელ ერთი გოგო დავპატივე ქინოში და კინოდან რომ გამოვიდოდი, მკითხა, არ შეიძლება თქვენთან შევიდეთ, წყალი მწყურიაო. მაგრამ ვიცოდი განგება თქვა, სახლში შესვლა უნდოდა, დათვალეირება — ადამიანებს უყვართ დათვალეირება. მეც ავდექი და ვუთხარი, მოითხიე, სახლში მიხვალ და დალევ-მეთქი. ვაგომ მითხრა:

— მთელმა ქვეყანამ იცის, რომ დოლი ტელბო ღარტყულია, შენც იმას გავხარ.

ძალიან მომწონდა ის გოგო, მაგრამ მაინც მივარტყი. დამემუქრა, ჩემი ძმა ავიტყუებდა სიფათსო და ამიჭრელა კიდევ: ცალ მხარეს, პირთან ნაწიხურა მაქვს, კოკა-კოლას ბოთლი მხეთქა.

ვიცი, ქალაქში ამბობდნენ, დოლი ვირენას გოლგოთათაო, იმასაც ამბობდნენ, ტელბო ლეინზე ბევრი ისეთი რამა ხდება, კაცი ვერც კი წარმოიდგენსო. იქნებ ასეც იყო. მაგრამ მაინც შესანიშნავი წლები იყო, ის წლები.

ზამთარში, ნაშუადღევს, სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, კეთრინი საჩქაროდ მურაბის ქილას მოხდიდა ხუფს, დოლი ამ დროს დიდ საყავეს შედგამდა ქურაზე, ფურნაკში ნამცხვრებით სავსე ტაფას შეაცურებდა და მერე, ფურნაკის კარს რომ გამოიღებდა, იქიდან ვანილის ცხელი სურნელება გამოდიოდა. დოლი მხოლოდ ტბილეულსა სკამდა და ამიტომ ხშირად აცხობდა ნამცხვრებს — ტორტს, ქიშიშიან ფუნთუშას, სხვადასხვანაირ ნამცხვრებს და კვერებს ხარშავდა. ბოსტნეულს პირს არ აჯარებდა, ხორციელიდან მარტო წიწილის ტვინი უყვარდა, ერთი ბეწო, მუხუდოს ხელა რაღაცაა, ისე ვაღყულავა, გემოს გასინჯვასაც ვერ

მოასწრებ. სამზარეულოში ღუმელიც გვეყავდა, ბუხარიც, ამიტომ მუდამ ძროხის ენქსაფურცლებს ღუმელზე ვსვამდით. ზამთარს ისლა დარჩენოდა თავისი ცისფერი, ყინულოვანი სუნთქვით ჩენი ფანჯრები მოეხატა. თუ რომელიმე ჟადოქარს დაეხადებდა სურვილი, დამასაჩუქროს, იმ სამზარეულოს ხმებით სავსე ბოთლი მაჩუქოს, ის გულიანი ჰა! ჰა! ჰა! , იმ ცეცხლის ალებს ჩურჩული, რომ იცის შიგ, ტბილი, ვრბოიანი, ნახუქის სურნელით სავსე ბოთლი.. თუმცა კეთრინს, გახაფხულზე რომ ღორს სუნი ასდის, მუდამ ისეთი სუნი ასდიოდა.

ჩვენი სამზარეულო მყუდრო სასტუმრო ოთახს უფრო ჰგავდა: მოქანავე საყარძლები, ნაჭურებისაგან შეკერილი ხალიჩა; კედლებზე — ქნუტების სხვადასხვა სურათები, დოლის ბოლო გატაცება; ქოთანში გიორგულა ყვავა და ყვავადა მთელი წლის განმავლობაში, მუშაშია გადღაფრებულ მაგიდაზე დიდი ქილა იდგა, შიგ თევზები დასხმარტალდნენ, ფირუზის კოშკის კარიბჭეში. ზოგჯერ სურათ-გამოცანების შედგენას ვთამაშობდით მაგიდაზე, ნაწილებს ერთმანეთში დავარიგებდით და კეთრინი ჩუმად მაღავდა ხოლმე ჩვენსას, როცა მოეჩვენებოდა, რომ ან მე ან დოლი უფრო აღრე მოვრჩებოდით. ვაკვეთილებს დამზადებაშიც მესმარებოდნენ. მაშინ უნდა გენახათ თავისტება!

ბუნებრივად რაც ეხებოდა დოლიმ ყველაფერი იცოდა.

ფუტკრის ალღო ჰქონდა, ტბილ ყვავილს რომ მაშინვე პოულობს ხოლმე, წინა დღით იტყუოდა, ხვალ ქვეა-ქუხილი იქნებოდა, წინასწარ იცოდა მოისხამდა თუ არა ნაყოფს ლედვის ხე, ხელდ გამოენებდათ სოკოს და გარეული ფუტკრის ფულურს, მაშინვე მიაგნებდა ციკარის კვერცხებს, ეშმაკურად დამაგროვებულ დემონს; მიიხედ-მოიხედავდა და ყნოსვით ვერძობდა, რა ხდებოდა გარშემო. მაგრამ ჩემს გაკვეთილებზე რომ მივდებოდა საქმე, ისიც კეთრინივით უტოლდნარო იყო.

— ამერიკას აღრეც ამერიკა ერქვა, სანამ კოლუმბი მოვიდოდა. ეს ხომ თავისთავად ცხადია. აბა, საიდან ეცოდინებოდა, რომ ამერიკაა?!

კეთრინიც კვერს უქრავდა: — მართალია. „ამერიკა“ — ძველი ინდური სიტყვაა.

დოლიზე უარესი კეთრინი იყო: მოითხოვდა, რომ მისი ნათქვამი უსიტყვოდ გვერწმუნა და თუ მაშინვე სიტყვა-სიტყვით არ ჩავიწყდარი, გაცეცხლებდებოდა, ხან ყვავს დაღვრიდა და ხან რა ვიცი. მაგრამ მე ყურს აღარ ვუდებდები, მას შემდეგ, რაც ერთხელ ლინკოლნზე თქვა, ზანგის სისხლსაც ჰქონდა, ინდიელისაც და სულ ცოტა თეთრისაო. მეც კი ვიცოდი, რომ ეს არ იყო მართალი. მაგრამ ერთ რამეს განსაკუთრებით უნდა ვუმაღლოდე კეთრინს: ის რომ არა, ვინ იცის, ვავიზრდებოდი კი ნორმალური ადამ



მიანის სიმალისა? თითხმეტე წლისა ბიდი
საინერზე ცოტა მალად ვიყავი, ბიდის კი,
ყველამ იცის, ცირკში ებატებოდნენ. კეთრინი
მეუბნებოდა, ნუ ინალელებ, გენაცვალე, ცოტა
ჯაწვევა გჭირდება, მეტი არაფერი და მიწვედა
ხოლმე ხელგებს, ფეხებს, ჩამავლდება თავში
ხელს და მეჭაჩებოდა, თითქოს ურჩ ტოტზე ჩა-
მოკიდული ვაშლი ყოფილიყოს. და რაც მარ-
თალია, მართალია, ორ წელიწადში ასრმოცდა-
ხუთი სანტიმეტრიდან, ას საზოცდაათ სანტიმე-
ტრამდე გამწია. ამის დამტკიცება აღვიღად შე-
იმძლია იმ ნაჭდეუებით, რასაც საკუქნოს ვარზე
პურის საკრელი დანით ვაკეთებდით. ახლაც კი,
როცა უკვე პერვმა წყალმა ჩიიარა, როცა დუ-
მელში ქარი ნავარდობს და სამზარეულოში ზა-
მთარია, ეს ნაჭდეუები — ჩემი ზრდის უტყუარი
მოწმები — ისევ აქ არიან.

მიუხედავად იმისა, რომ დღის წამალი საე-
რთოდ, ეტყობა შევიღა მის პაციენტებს,
დროდარო მიანიც მოვიღოდა ხოლმე ასეთი ში-
ნაარსის წერილი: ძვირფასო მის ტებლო, წყა-
ლმანჯის წამალი აღრა გვეჩრდება, რადგან სა-
წყალი ბელა (ან სხვა ვინმე) ვასულ კვირას,
წავიდა ამ ქვეყნიდან, აცხონოს ღმერთმა. ასეთ
დროს სამზარეულოში გლავა იდგა. ჩემი ორი
მეგობარი გულზე ხელს დაიკრფდა, თავებს
აქიციანებდნენ და ნაღვლიანი ხმით არკვევდნენ
ამ უბედურების მიზეზებს. ბოლოს კეთრინი
იტყვოდა — რას იზამ, დოლიეულო, რაც შეგვე-
ძლო ყველფერი გავაკეთეთ, მაგრამ უფალმა
ეტყობა ასე ინება.

ვირენას ხშირად გვიფუქებდა გუნებას — ახ-
ალ-ახალ წესებს შემოიღებდა, ან არადა გვაი-
ძულებდა ძველი წესები დაგვეცვა: ასე მენი,
ისე ვაკეთებ, გეყოფა, ახლავ დაიწყე... თითქოს
სააბიბო გყოფილიყავით, და ყოველ წუთს ამო-
წმებდა, რათა ჩვენი დრო იმისას დამთხვეოდა.
ვაი, ჩვენი ბრალი, თუ ათი წუთით გავასწრებ-
დით ან ერთი საათით ჩამოკრჩობდით: მაშინ-
ვე გამოხტებოდა ხოლმე, როგორც გმზული
საათიდან.

— უფრო მაგას! — იტყვოდა კეთრინი და
დოლი მაშინვე: — ჩუმად ახლა! ჩუმად! — თი-
თქოს კეთრინის ბუტბუტს კი არ ახშობდა, არ-
ამედ თავისივე გულში ოდნავ ვასავონ ჩურ-
ჩულს ამბობებისას.

მე მგონი, ვირენას უნდოდა უფრო ხშირად
ყოფილიყო ჩვენთან, სამზარეულოს ცხოვრება-
ში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ვერ ახერხებდა,
რადგან მამაკაცივით იყო, ბავშვებოთა და ქალებ-
ით გამოტენილ სახლში რომ ერთადერთი კა-
ცია ხოლმე და მხოლოდ აგრესიული გამოსტო-
მებით ამყარებდა ჩვენთან კავშირს:

— დოლი, მოაშორე აქედან ეს კნუტი გინდა,
ასთმა გამოიღობიანო? ვინ დატოვა საბაზანოში
ღია ონკანი? ვინ გატეხა ჩემი ქოლგა?

როცა ვირენას მოუვლიდა, მისი ცუდი გუ-
ნებ-განწყობილება მწლავ, ყვირთელი ნისლი-

ვით გაელენთდა ხოლმე მიუღ სახლს, ყურადღებულ
მაგას! ჩუმად, ახლა! ჩუმად!

კვირამი ერთხელ, უმეტესად შებათობით,
სანაპირო ტყეში დავდიოდით. მიუღი დღით
მივდიოდით ხოლმე. კეთრინი ქათამს შეწვა-
ვდა, კვერცხებს დასტენიდა, დოლი კიდევ
შოკოლადის ტორტსა და კვერებს წამოიღე-
ბდა. დავიკვირავდით სანოვავით, სამ
ცარიელ ხორბლის ტომარას წველებდით და
მივდიოდით, ეკლესიის გზით, სასაფლაოს
ჩაუვუვლიდით და მერე ინდური ბალახით და-
ფარულ მინდორს გადავკვირდით. ზედ ტყის
პირას ტყეში ჭაბარი იდგა — სინამდვილე
ორი ხე იყო, მაგრამ ტრეტები ისე ვადახლა-
რთოდით ერთმანეთში, რომ ერთი ხიდან
თავისუფლად გადახვიდოდი მეორეზე. შუაში
ფიცრები იყო გადაებული. ნამდვილი ხის
სახლი იყო, კარგა მოზრდილი, გამძლე, ფოთ-
ლების ზღვაში მოცურავე ტიფსა ჰგავდა.

თუ კიდევ ცოცხლობენ ის ბიჭები, ვინც ეს
სახლი ააშენა, ალბათ უკვე ღრმა მოხუცები
იქნებიან. თხუთმეტი თუ ოცი წლისა იქნე-
ბოდა ეს სახლი, როცა პირველად აღმოაჩინა
დოლიმ. მას შემდეგ მფოთხედი საუქუნე
გავიდა, როცა მე მაქვენა პირველად. ხეზე
ასეღა ისე ადვილი იყო, როგორც კიბეზე,
ხის ქვრტი კორძებით იყო დაფარული და
საფეხურებმად გამოდგებოდა, გარეული ვაზი
კიდევ ხელის მოსაცილებლად. კეთრინსაც კი
არ უჭირდა ასეღა, თუმცა კარგა ჩასუქებული
იყო და რეგულარულად უწიოდა. მაგრამ
კეთრინს არ უყვარდა ჩვენი ხის სახლი. მან
არ იცოდა ის, რაც იცოდა დოლი და დოლი-
საგან კიდევ მე: სინამდვილეში ეს გემი იყო!
აქ რომ იჯექი, თითქოს შენი ოცნების ნისლ-
იანი ნაპირის გასწვრივ მიცურავდი. დახსო-
მეთ ჩემი სიტყვები, ამბობდა კეთრინი,
ფიცრები დაფხავებულია, ლურჯიმები მატლე-
ბივით გასლიპინდა, სიდაც არის ჩაინგრევა.
დავეხტებებით ძირს და თავს გავიტეხთ. აი,
ნახავთ თუ არა!

სანოვავეს ხის სახლში შევიწინავდით და
ტყეს მოვედებოდით. ხელში დიდი ტომარები
გვეჭირა, შიგ ფოთლები, ბალახი და რაღაც
უცნაური ძირები უნდა ჩაგვეყარა. არავინ,
კეთრინსაც კი არ იცოდა, რისგან ხარშავდა
დოლი წამალს — ამ საიდუმლოს არავის უმ-
ხელდა, ჩვენც კი არ გვაძლევდა ნებას ჩაგვე-
ხელა იმის ტომარაში. ისე მაგრად იკრავდა
გულში, გეგონებოდათ შიგ ლურჯთმინი,
მოჭადოებული პატარა პრინცი უზისო. აი,
რა მიაშპო დოლიმ:

დიდი ხნის წინათ, ბავშვები რომ ვიყავით,
(ვირენას ჭერ კიდევ სარძევე კბილები ჰქონდა,

ბრუნე კავობი
ბალახის სიმღერა



კეთრინი კი ღობის ბოძზე მაღალი არ იყო, ჩვენში ბოშები ცხოვრობდნენ. ვახაფხულდებოდა თუ არა, ერთბაშად შემოგვეცეოდნენ, ჩიტები რომ შეესევინან ხოლმე მყვლის ბუჩქებს. ახლა რომ თითო-ორთმა ბოშმა დაინახავ, ასე კი არ იყო წინათ. ერთბაშად გაჩნდებოდნენ საიდანღაც; შინდის ხე რომ იფეთქებს ხოლმე და ყვავილებით გადაბეჭტება ისე მოედებოდნენ აქაურობას — გზაზე, ტყეში... ყველგან შეგვეფეთებოდნენ. ჩვენს კაცებს დასანახავად ეცაერებოდათ. მამაჩემმა ურამმა, პაპაშენის ძმამ თქვა, ჩვენს მამულში თუ წავიწყდი ბოშას, იქვე მოკვალეთ. თუ დაეინახავდი, რომ ბოშები წყალს იღებდნენ წყაროდან ან ძირსაწყარ პეკანის ვაკას იხარავდნენ, არავის ეუბნებოდი. ერთ საღამოს — აპრილი იყო და ძალიან წვიმდა — ბოსელში გავიქეცი. კენტრუშმა იმ დღეს ბოი მოიგო; ბოსელში საპი ბოშა ქალი დამიხვდა — ორი ხნიერი და ერთი ახალგაზრდა, ახალგაზრდა ტიტველი იწეა ბზუზე და იკრუნჩხებოდა. როცა დაინახეს, რომ არ შემეშინდა და არც ვისიმე დასაძახებლად გავიქეცი, ერთმა ხნიერმა ბოშამ მითხოვა, სანთელს ხომ ვერ მოგვიტანო. მაშინვე გავიქეცი სანთლის მოსატანად და რომ დავბრუნდი, ვხედავ იმ ბოშას რომელმაც მე გამგზავნა, პატარა ბავშვი უქირავს ფეხებით, თავდაყირა. ბავშვი მთლად წითელი იყო და ტირიდა, მეორე მოხუცი კი ჩვენს კენტრუშას წველიდა. ბავშვის დაბანაში მივეხმარე — ახლადმოწვეული რქეში დავბანეთ და შერეულში შევჭვავეთ. მაშინ ერთმა მოხუცმა ბოშამ ჩემი ხელი აიღო და მითხრა, ახლა ერთი ლექსით უნდა დაგასაჩუქრო.

იმ ლექსში მარადმწვანე მცენარის ქერქი იყო და პრიზინას გვიმრავა — ყველაფერი რასაც ჩვენ ტყეში ვაგროვებთ: ადუღე, ადუღე, მანამ სულ გაშაფებოდეს, მერე ბოთლებში ჩაასხი და წყალმანკიც მოგარჩებოდეს. დილით ბოშები წავიდნენ; საღ არ ვეძებე — მინდვრებში, გზაზე, კვალსაც ვერსად ვნახე, მხოლოდ ეს ლექსი ჩამრჩა თავში...

ტყის სხვადასხვა მხარეს ავირჩევდით და მთელი დღია ჩვენ-ჩვენი ვეძებდით ძირებს, თან ერთმანეთს ვეხმეიანებოდით, სინათლეზე გამოშვებული ბუებივით გავკიოდით. ნაშუადღევს, როცა ტომებმა ხს ქერქითა და ნაზი, დაჩხილი ძირებით გაიტენებოდა, ისევე უადრის მწვანე ფოთლების აბლახუღაში აცერებოდით და სუფრას გავსიდიდით. მურაბის ქილაში ცივი წყაროს წყალი გვესხა, თუ ციოდა — ცხელი ყვით სავსე თერმოსი გვქონდა. წიწილისაგან გაქონიანებულ და კვირისაგან გაწებულ ხელებს ფოთლებით ვიწმენდდით: ნასადილევს ყვავილებზე ვმკითხაობდით, ისეთ რამეებზე ვსაუბრობდით, რომ თვლებში მოგვერეოდა და გვეჩვენებოდა, თითქოს ამ

ჩვენი ხს ტყით შუადღის ტალღებზე ვიწმენდით. ხე და ჩვენ ერთი ვიყავით, როგორც მზეზე ვერცხლისფრად მოლაპლაპე ფოთლები, როგორც ამ ფოთლებში დაბუდებული თხაწველები.

წელიწადში ერთხელ ტელბო-ლიენზე მივალ ხოლმე და ეზოში დავბორიალობ. ამასწინათაც ვიყავი და ძველ, დაჯინებულ კოდს წაიწყდი. თვდაყირა გადაბრუნებული კოდი, ჩამოვარდნილ მეტეოროვით შვად მოსჩანდა მამხარში. დოლი... დოლი დახრილა კოდიან, აღუღებულ წყალში სცლის ჩვენს ტომრებს და ურევს, ურევს ჩინალაკით თუთუნისფერ ნარევს. ამ ნარევს თვითონ ამზადებდა, ჩვენ კი ვიდგებით და ვუჯურებდით, როგორც შევირადები ექიმბაშს. ჩვენი დახმარება უფრო გვიან სპირდებოდა — ბოთლებში ვასხამდით წამალს და რადგან ჩვეულებრივი საცობი შივ დაგროვილ ვახს ვერ უძლებდა, ამიტომ მე მევალებოდა ტუალეტის ქალაღისაგან საცობების გაკეთება. კვირასში ექმსადმე ბოთლის ვამზადებდით, ბოთლი — ორი დოლარი, დოლი ამბობდა, ეს ფული ყველას გვეკეთვისოს და როგორც კი მივიღებდით, მაშინვე ხვარჯავდით. ეურნალში დაბეჭდილ რეკლამებს წაიკითხავდით და ათას რაღაცას შეუკეთავდით ხოლმე: „პარჩიზი“, „თამაში ახალგაზრდებისა და მოხუცებისათვის — ბუხუოდან ყველას შეუძლია ვაისროლოს“. ერთხელ ფრანგული ენის სახელმძღვანელო გამოვიწერეთ: ეს აზრი მე დამეზადა. ვიფიქრე, თუ ფრანგულს ვისწავლით, საიდუმლო ენა გვექნება, ვერც ვიგინა და ვერც ვიგინა ვერ გავიგებებს-მეთქი. დოლი ძალიან ცდილობდა, მაგრამ — „Passez-moi კოფინი“-ის მეტი ვერაფერი ისწავლა, კეთრინმა „Je suis fatigued“ დაიხუბირა და მერე წიგნი აღარ გადაუშლია, რაც მპირდებოდა, უკვე ვისწავლეთ, გამოვიცხადა.

ვირენა ხშირად იტყოდა ხოლმე — თუ ვინმე მოიწავლა, უბედურება არ ავცდებოა, მაგრამ საერთოდ, დიდ ინტერესს არ იჩენდა წყალმანკის წამლისადმი.

ერთხელ გამოვიფთვალეთ მთელი წლის შემოსავალი და გამოირკვა; იმდენი ფული იგველო, რომ წესით საშემოსავლო გადასახადი უნდა გვეხდა. აჰ, მაშინ დაგვიწყო ვირენამ გამოკითხვა. ფული ხომ მისთვის გარეული კატა იყო, რომლის კვლასაც გამოცდილი მონადირის ფრთხილი ნაბიჯით მიჰყვებოდა და გზაში ერთი მოტეხილი ტოტეც არ გამოეპარებოდა მის მახვილ თვალს. რისგან ხარშავდა დოლი წამალს? ეს აინტერესებდა ვირენას. დოლი ძალიან კმაყოფილი იყო, ხითხითებდა თავის-



თვის, თან ხელებს ასავსებდა, ისაო, ესაო — ეუბნებოდა — ისეთი არაფერია.

ვირენამ თითქოს ხელი ჩაიჭინა ამ წაშალზე. მაგრამ ძალიან ხშირად, ვახშობისას, დაფიქრებული მიანერდებოდა ხოლმე დოლის. ერთხელ, როცა ჩვენ ეზოში მითუხთუხე კოდთან ვიდექით, შემთხვევით ვირენას ფანჯარას ავხედდ და დავინახე, ფანჯარასთან იდგა და თვალს არ გვაშორებდა. მაშინ, ეტყობა, უკვე მოფიქრებული ჰქონდა ყველაფერი, მაგრამ ზაფხულამდე არაფერი გაუჭელავებია.

წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ავგუსტოში, ვირენა საყიდლებზე დადიოდა სენტ-ლუისში და ჩიკაგოში. იმ ზაფხულსაც — მაშინ სწორედ შექმნილი წელი შემისრულდა — ჩიკაგოში წავიდა და ორი კვირის შემდეგ, როცა დაბრუნდა, ერთი კაცი ჩამოჰყვა, ვიღაც დოქტორი, მორის რიტცი. რაღა თქმა უნდა, ერთი სული გექონდა, მანამ გავიგებდით, ვინ იყო ეს მორის რიტცი? პეპელა პალსტუხები ეკეთა და მყვირალა ფერის პიფონურ შარავლებს იცვამდა. ლურჯი ტუჩები ჰქონდა, პატარა, უტიფარი თვალები აქეთ-იქით გაუბრუნდა — თვალს ვერ გავისწორებდით, ერთი სიტყვით — საზიზიარ ვირთავგასა ჰკავდა. ამბობდნენ, სასტუმრო „ლოლაში“ საუკეთესო ოთახი ეჭირავს და კაფე „ილიუმში“ ბიფშტეკებს მიირთმევსო. დღისით ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ჩუქვილია თუ არა ვინმე, მაშინვე მოუხედავდა, სწრაფად შეაბრუნებდა ზეითი ამრიალებულ თავს. მეგობრები არა ჰყავდა, მხოლოდ ვირენასთან ერთად თუ დაინახავდით სადმე, თუმცა შინ არასოდეს მოუყვანია, ჩვენთან არც კი უხსენებია, სანამ ერთხელ კეთრინმა არ მიახალა:

— მის ვირენა, ვინ არის ის სასაცილო, დავალუსო დოქტორი რიტცი?

ვირენას ტუჩები გადაუფითრდა და გაქავრებულმა უთხრა:

— უფრო სასაცილო არსებობს ვიცნობ, შემძლია დავასახელო...

სწორედ რომ სირცხვილია და თავის მოჭრა, ამბობდნენ ქალაქში, რაღა ამ დავალულ ჩიკაგოელი ებრაელს გადაეკიდა ვირენა?! თანაც ოცი წლით უმცროსს, იმასაც ამბობდნენ: ქალაქგარეთ რომ გავერჩანებულ კონსერვის ქარხანა, იქ დადიან ხშირად რადაცისთვისო. მერე გამოირკვა, მართლაც რადაცს ავეთებდნენ იქ, მაგრამ იმას კი არა, რასაც საბილიარდოში უსაქმური ხალხი გულისხმობდა... თითქმის ყოველ დღე შეგეპლოთ დაგენახათ კონსერვის ქარხნისაკენ მიმავალი ვირენა და დოქტორი რიტცი. დანგრეული, შუშენამტვრეული და კარებშიაგრეული შენობა იყო ეს ქარხანა. ავტოცდაათი წელი იქნებოდა, არავინ ვაკვარებოდა, გარდა მოწაფეებისა — ესენი სივა-

რტების საქაივად და საემპოკო დანაკარგულნი იქ. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, მუქ ტემპრის დასაწყისი იყო — შემთხვევით „კურირში“ ამოვიკითხეთ, ვირენამ ის კონსერვის ქარხანა იყიდაო. რად უნდოდა დანგრეული ქარხანა, ეს უკვე არ ეწერა. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ვირენამ კეთრინს უთხრა, ორი წიწილა დაკარო, კვირას სადილად დოქტორი რიტცი გვესტუმრებო. ჩემს იქ ყოფნაში რიტცი ერთადერთი აღამიანი იყო, რომელიც ტელში ლინზე სადილად მოიბატოებს, სხვა არავინ მინახავს იქ. მართლაც ეტყობოდა, რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. კეთრინი და დოლი ისე დაფაქურდნენ, — გვეგონებოდათ ვაზაფხულები: ხალიჩებს ბერტყავდნენ, სხვინიდან ძვირფასი ჭურჭელი ჩამოიტანეს. ოთახებში სანთლისა და ლომონის მასტიკის სუნე დადგა. სადილად მოაშხადეს: შემწვარი წიწილები და ლორი, მწვანე ცერცველა და ტუბის კარტოფილი, ფუნთუშები და ბანანის პუდინგი, ორი ტორტი და აფთიაქიდან მოტანილი პლომბირი „ტუტო-ფრუტი“. კვირას, შეადლე იქნებოდა, როცა ვირენამ შინ შემოიარა, სუფრას დახედა. შუაში ჩაის ვარდების თავიული იყო გაღამილი, საგვარეულო ვერცხლული ისე უცნაურად, მიჯრით ეწყო სუფრაზე გვეგონებოდათ ოცი კაცისათვისა: სუფრა გაშლილიო, სინამდვილეში კი ორ კაცის ჭურჭელი იდგა; ვირენამ ორი კაცი-სათვის კიდეც დაუმატა თევშები და მაშინ დოლიმ ძლივს წაიდუღუნა, კეთილი, კოლინა თუ უნდა ისადილოს სასადილო ოთახში, მე კი კეთრინთან დავრჩები საშარეულშიო, მაგრამ ვირენა თავის სიტყვაზე იდგა:

— გული ნუ ვამიწყალე, დოლი. სერიოზული საქმეა. მორისი შენს გასაცნობად მოდის და თუ შეიძლება თავი მალა გექიროს, გული მერგვა ასე თავჩაქინდრულს რომ გიყურებ.

დოლის ლამის სული გაძვრა: თავის ოთახში შეიყუთა და სტუმარი უკვე დიდი ხნის მოსული იყო, როცა ვირენამ მე გამგზავნა, მოსაყვანად. დოლი ვარდამსფერ საწოლზე იწვა, შუბლზე სველი ტილო ედო, სასთუმალთან კეთრინი ექდა. კეთრინი თავითფხებამდე მორთულიყო, ლოყები ჩხირებზე წამოცმულ კამფეტებივით უდაუდავებდა, პირში ჩვეულებრივზე მეტი ბამბა ჩაეჩარა: კეთრინმა თქვა:

— აღვიქ, საყვარელო, თორემ ამ მშვენიერ ახალ კაბას გააფუქებ.

ეს ჩითვის კაბა ვირენამ ჩამოუტანა ჩიკა-

**ბრუნენ კაკობი
ბალახის სინდორა**



ვიკლან. დოლი წამოჯდა, კაბა შეისწორა, მაგრამ ისევ დაწვა.

— ვირენამ რომ იცოდეს, როგორ მერი-ღებამ... — უმწეოდ თქვა დოლიმ. მე წავედი და ვირენას ვუთხარი, დოლი აქედ გამხდარა-მეთქი. მე თვითონ ვნახავო, თქვა ვირენამ და ჭიჭურ გავიდა ჰოლიდან. მე და დოქტორი რიტცი მართო დავეტოვა.

ოჰ, რა საზიზღარი ვიღაცა იყო!
— მაშ თექვსმეტი წლისა ხარ, პა — მი-თხრა და ჭერ ერთი უტოფარი თვალი ჩამი-კრა, მერე მეორე. — საკუთარ თავთან ეშმა-კობ, არა? ბებერ ლუდის სთხოვე, შეორედ რომ წავა ჩიკაგოში, შენც წაგიყვანოს, იქ ბევრია საუშმაკო აღვილები.

თითები გაატაკუნა და ცხვირწაწვეტე-ბული ფხსაცმელების ბაყუნს მოჰყვა, თით-ქის ვოდვედის მხიარული სიმღერის ტაქტს აპყროლიათ. პორტფელი რომ არა ჰქონოდა, თავისი სერიაოზული პროფესიის საბუთად, ჩეჩოტის მოცეკვავე ან გაზიანი წყლის გამ-ყიდველი გეგონებოდათ. ძალიან მაინტერესე-ბდა, რისი დოქტორი იყო, და ის იყო, დავა-ბირე კიდევ მეციფსა, მაგრამ ამ დროს ვირე-ნი მობრუნდა. იდაყვში ჩაღერენოდა დოლის და ისე მოჰყავდა.

იმჯერად ჰოლის ჩრდილებმა და რბილმა აევქმა არ შეიწოვა დოლი. თავდაბრილმა ხელი გაუწოდა დოქტორს, რიტცი მაშინვე სწვდა და ისე ვენერგულად შეაწვდრა, ლამის წააქცია.

— საღამო, მისს ტელზე! ჩემთვის დიდი ბატონია თქვენი ვაცნობა! — თქვა მან და პეპელა-პალატუნს შეისწორა.

სუფრას მივეჭყეით. კეთრინმა შემწვარი წიწილები ჩამოატარა. ჭერ ვირენას მიართვა, მერე დოლის და როცა დოქტორის ჭერი დადგა, რიტცმა თქვა:

— მართალი ვითხრათ, წიწილისა მართო ტკინი მიყვარს. იმედი მაქვს, სამზარეულოში არ დასტოვებდი, გეთყავ!

კეთრინი ისე დააშტერდა თავის ცხვირს, რომ თვალბე გაუელამდა, მერე ბამბის ბურთულე-ზით გამოტენილ პირში ენა ძლივს მოაბრუნა და წაიხიფრიადა:

— ტკინი დოლიმ გადაიღო. თეფშზე უდევს.

— უჰ, ეს სამხრეთელი დუდლუნო! ღმერთო ჩემო! — შესძახა ამჯერად მართლაც შეწუ-ბულმა რიტცმა.

— კეთრინმა ვითხრათ, ტკინი დოლის თეფ-შეგო, — თქვა დოლიმ და ლაყები კეთრინის წითლად შეფერილ ლაყებზე უფრო წითელი გაუხდა. — მაგრამ ნება მომეცით, თქვენ მო-გართვათ.

— თუ ნამდვილად არ დაწყუდებთ გული...

— სულაც არა, ტკიბილულის მეტს მაინც არაფერსა ჰქამს. აგერ, პუდინგი, დოლი, გადა-იღე.

უცებ დოქტორ რიტცს ცხვირისკმინებამ აუტყდა.

— ოჰ, ყვავილები... ეს ვარდები, ძველი ალურგამა...

— ღმერთო ჩემო — შესძახა დოლიმ, სა-შუალება მიეცა სამზარეულოში გასულიყო; ბროლის ვახას სტაცა ხელი. ვახა ხელიდან გაუსხლტა და დაიშხვრა, ვარდები საწებელ-ში ჩაიცივდნენ, საწებელი კი ჩვენ შემოგვეს-ხა.

— ხომ ხედავ, — თავისთავს უთხრა დოლიმ და თვლები ცრემლებით ავესო, — ხომ ხედავ, არაფერი გამოდის.

— ძალიან კარგადაც გამოვა, დოლი; და-ჭეტი და შენი პუდინგი დაამთავრე. — დამრი-გებლური, მტკიცე ხმით უთხრა ვირენამ. — ერთი პატარა სიურპრისი გვაქვს შენთვის. მო-რისი, აჩვენეთ დოლის ჩვენი ლამაზი ეთიკე-ტები.

დოქტორმა რიტცმა ჩაიბუტბუტა „არა უშა-ესო“, საწებლით დასვრილი სახელოს წმენდა შესწყვიტა, ჰოლში გავიდა და პირთველი შე-მოიტანა. ერთხანს შრილა ქალაღლებში აფა-თურა ხელი, ბოლოს დიდი კონვერტი ამოი-ღო და დოლის გაუწოდა.

კონვერტში საეკუთხა ეთიკეტები ეწყო, ზედ ნაჩინჯისფერი ასოებით ეწერა: „ბოშე-ბის დედოფალი წყალმანკს არჩენს“ — და ქა-ლი ეხატა, რომელსაც მხრებზე ჭრელი შალი ჰქონდა მოგდებული და ოქროს, რგოლისე-ბური საყურეები ეკეთა.

— ხომ დიდებულია, პა? — თქვა დოქტორ-მა რიტცმა. — ჩიკაგოში დაამზადეს. სურათი ჩემმა მეგობარმა დახატა. ყმაწვილი კაცია, ნა-მდვილი შემოქმედი.

დაბნეული და შეშინებული დოლი ეთიკე-ტებს ატრიალებდა ხელში. ბოლოს ვირენამ ჰკითხა:

— არ მოგწონს? ეთიკეტებმა დოლის ხელში ხტუნვა დაიწ-ყეს.

— მეონი კარგად ვერ მივხვდი...

— ძალიან კარგად მიხვდი. — უთხრა ვირე-ნამ, ღიმილი გამოწერა. მორისს ვუამებ შენი ძველი ამბავი და ეს მშვენიერი წარწერა შეთ-ხხა.

— ბოშების დედოფალი წყალმანკს არჩენს — შესანიშნავია! ხელად მიიქცევს ყურადღე-ბას! — თქვა დოქტორმა რიტცმა. — დიდებუ-ლი რეკლამა!

— ჩემი წამლისთვის? — დოლი ისევ თვა-ლდახრილი იდგა. — მე რომ არა მჭირდება ეთიკეტები, ვირენა. მე თვითონა ვწერ.

დოქტორმა რიტცმა თითები გაატაკუნა.

— შესანიშნავია! თქვენზე ხელწერას გადა-ვიღებთ და ისე დავებუდავთ ეთიკეტებზე, უფ-რო ინტიმური იქნება — მიმიხვდით?

— ისედაც ბევრი დაუხარჯეთ, — შესძახა

ვირენამ და დოლის მიუბრუნდა — ამ კვირა
შე და მორისი ვაშინგტონში მივდივართ,
— ეთიკეტების საეკტორო უფლება უნდა მი-
ვიღოთ... და წამლის პატენტიც. რა თქმა უნ-
და, იქ ეწეება, რომ შენი გამოგონებაა. ახ-
ლა კი, დოლი, დაქვე და წამლის შემადგენ-
ლობა ჩამოგვიწერე.

დოლის სახემ უცებ დაკარგა თავისი გა-
მომეტყველება, თითქოს გალღვა. ეთიკეტები
გაუვარდა და იატაკზე გაიფანტა. ხელებით მა-
გიდას დაეყრდნო და ნელ-ნელა წამოდგა, თა-
ნდთან სახემ ისევ აღიდგინა ნაკეთები. დო-
ლიმ თავი ასწია, თვალმოკუტუტულმა შეხედა
ფერ ღოჭორ რიტესს და მერე ვირენას.

— არ გამოვა. — ჩუმად თქვა დოლიმ და
კარისაკენ გაემართა, სახელურს დაადო ხელი:
— არ იქნება. ნება არა გაქვს ვირენა. და არც
თქვენ, სერ.

კეთრის სუფრის ალაგებაში მივიხმარე.
ვარღები განადგურდა, ტორტები დაუჭრელი
ღარაა, ბოსტნეულს არაინი მოკარებია. ვირე-
ნა და მისი სტუმარი ერთად წავიდნენ. საშუა-
რეულს ფანჯრიდან გავყურებდით, როგორ
შიდილოდნენ ქუჩაში. თავს აკანტურებდნენ,
აქეთ-იქით აჭენდნენ. მერე შოკოლადის ტორ-
ტი დაგვტრიალა და დოლის ოთახში წავიღეთ.

— ჩუმად ახლა, ჩუმად! — უთხრა დოლიმ,
როცა კეთრინი „იმ ქალბატონის“ ლანძღვას მო-
ჰყვა, მაგრამ შინაგანი აღშფოთების ჩურჩული,
ხრინწინა ამოძახილიმ გადაიზარდა: ჩუმად ახ-
ლა! ჩუმად! გაიმახოდა დოლი, სანამ კეთრინი-
მა ხელი არ მოჰხვია და თვითონაც „ჩუმად!“
არ უთხრა.

კარტი ამოვიღეთ და საწოლზე გავწალეთ.
კეთრინმა, რა თქმა უნდა მაშინვე გავახსენა,
რომ კვირა დღე იყო. ერთი ზედმეტი შვი
ჯვარი საშინელი სამსჯავროს წიგნში თქვენთ-
ვის იქნება არ იყოს საშოში, გვითხრა მან, მე
კი ისედაც ბეერი მაქვსო. პატარა დაფიქრე-
ბის შემდეგ, გადავწყვიტეთ ხელზე გვემოთხა-
ვა.

უკვე შებინდებული იყო, როცა ვირენა დაბ-
რუნდა. პოლიდან გავიგონეთ მისი ფეხის ხმა.
არ დაუკაუწყებია, ისე ვალო კარი და დოლიმ,
რომელიც ამ ღაროს ჩემს ხელზე მკითხაობდა,
ხელი მომიპირა.

— კოლინ, კეთრინ, ჩვენ არ გვეწყინება...
— გვითხრა ვირენამ.

კეთრის უნდოდა ჩემთან ერთად სხვენზე ამო-
სულიყო, მაგრამ ვახსენდა, რომ თავისი საუკე-
თესო კაბა ეცვა და მე მარტო ავედი. სხვენში,
ზედ ვარდისფერი ოთახის თავზე, კარგა დი-
დი ნახერტი იყო, მაგრამ ვირენა სწორედ ამ
ნახერტის ქვეშ იდგა და მე მარტო პლასტ-
მასის ხილით გაწყობილ ჩალის ქუდსა ეხედავ-

დი. სახლიდან რომ წავიდა მაშინ დაიხურა
ჯერაც არ მოეხალა.

— ფაქტები ასეთია — ამბობდა ვირენა,
პლასტმასის ხილი ირხეოდა, ბზინავდა მოლურ-
ჯო ბინდბუნდში. — ქარხანაში — ორი ათასი,
ბილ ტუიტუმი და ოთხი დურგალი უკვე მუ-
შაობენ ოთხმოც ცენტალ საათში. შეიდე ათა-
სის მოწყობილობა უკვე შეკეთილია. იმას
აღარ ვამბობ, რა მიჯნავდა ისეთი სპეციალის-
ტი, როგორც მორის რიტცია. მერე ვისთვის
არის ეს ყველაფერი? შენთვის!

— ჩემთვის? — გაისმა დოლის ხმა, ნაღ-
ლიანი და მიმჭრალი, როგორც საღამოს ბინ-
დი. დოლის ჩრდილი ოთახის ერთი კუთხიდან
მეორეში მიმოიღოდა. — ერთი სისხლი და
ხორცი ვართ. ნახად მიყვარხარ, მთელი გუ-
ლით. შემძლია ახლავე დამიბტიყო ეს —
დავითმო ერთადერთი რამ, რაც მე მეკუთუ-
ვნის. მთელ სიცოცხლეში, საკუთრივ ჩემი ამის
მეტი არაფერი მქონია. ესეც რომ შენ მოგცე,
მაშინ ყველაფერი ჩემი — შენი ვახდება. ვი-
რენა, გემუდარები — დოლის ხმა აუკანკალ-
და — დამიტოვე, ეს მაინც დამიტოვე, ამის მე-
ტი არაფერი გამაჩნია.

ვირენამ სინათლე აანთო.

— შენ მომეცი ყველაფერი? — იციე ხმა
ჰქონდა, როგორც ეს — უცებ ანთებული, და-
მარბამეებელი, მჩხვლეტავი სინათლე. — ამდენი
წელია მედღეურ მუშასავით ვმუშაობ. გა-
ნა ყველაფერს არ გაძლევი? ყველაფერს?...
ეს სახლი... ეს...

— ჰო, ყველაფერს მაძლევდი, — ჩუმი ხმით
შეაწყვეტინა დოლიმ. — კოლინსაც, კეთრინ-
საც. მაგრამ ჩვენც ხომ გულხელდაკრეფილი
არ ვიყავით: ცეცხლობდით სახლში მყუდრო-
ება გქონოდა.

— დიდებული სახლი კია! — წამოიძახა ვი-
რენამ და ქუდი მოიგლიჯა. სისხლი სახეში მო-
აწვა. — შენა და ეს ჩიფჩიფა სულელი! ერთ-
ხელ მაინც დაფიქრებულხარ, რატომ არაგინ
მომყავს შინ? იმიტომ რომ, მრცხვენია. დღეს
რა მოხდა, ის მაინც გაიხსენე.

გავიგონე როგორ შეეკრა სუნთქვა დოლის.

— მასატიც, — ძლივს გასაგონად წარმოთქვა
მან. — მართალი გითხრა, მუდამ მეგონა, რომ
ამ სახლში ჩვენთვისაც იყო ადგილი, რომ შენ
ცოტათი მაინც გჭირდებოდი. მაგრამ, ამიე-
რიდან ყველაფერი კარგად იქნება, ვირენა.
ჩვენ წავალთ.

ვირენამ ამოიოხრა.

— საწყალო, დოლი... საწყალო, საცოდავო
არსებავ... ნეტა, სად წახვალ?

პასუხი ცოტა მოგვიანებით გაისმა, გაუბე-
დარი, ფარვანას გაფრენასავით გაუბედავი.

— მე ვიცი, სადაც...

ბრუნენ კაპობი
ბაზახის სიმღერა



მოგვიანებით ლოგინში ვიწვექი და დოლის მოსვლას ველოდი, ძილის წინ მკოცნიდა ხოლმე ჩემი ოთახი, სასტუმრო ოთახის უკან, სახლის სიღრმეში იყო, წინათ იმათი მამა იწვეა აქ, მისტერ ურია ტვლებო. სიბერისაგან გამოფიტული და გამოტვირთული ჩამოყვანა ვერანამ ფერმიდან. და აქვე მოკვდა, ისე რომ არც კი იცოდა, სად იყო. მისი სიკვდილის შემდეგ ათი წელი გავიდა, მაგრამ კარადა და ლენიბი ისევ შარდასა და თუთუნის სუნით იყო გატვინილი. კარადაში ფერმიდან ჩამოტანილი ერთადერთი სავანი იყო — პატარა ყვითელი დოლი: ჩემხელა ბიჭი რომ იყო, სამხრეთულეზის პოლს დაჰყვებოდა თურმე, პატარა ყვითელ დოლზე უკრავდა და მღეროდა. დოლიმ მიიხარა, ზამთარში, დილით გამოღვიძება მიყვარდა, დღეაუტრებდი — მამაჩემი ოთახებში დადიოდა, ყველგან ცეცხლს ანთებდა და თან მღეროდა. მამა დაბერდა, მერე მოკვდა, მაგრამ დოლის ხშირად ესმის ხოლმე მისი სიმღერა. ინდური ბალახით დაფარულ, მოზიბინე მინდორში... ქარა — იტყობა კეთრინი და დოლი, უპასუხებდა: კი მაგრამ, ეს ქარი — ჩვენა ვართ, ქარი შეიწოვს ყველა ჩვენგანის ხმებს, დაიხსომებს, მერე ბალახსა და ფოთლებს ჩაუჭროლებს, და ჩვენს ხმებზე აამღერებს, ჩვენს ამბებს მოაყოლებს. მამაჩემის სიმღერა გავიგონე. ისე მკაფიოდ და ნათლად, როგორც დღევანდელი დღე...

ალბათ, ამ სექტემბრის დამეში, ალბათ შემოდგომის ქარები დაქრან მინდორში, ალღევენ სიმბიციით დაქიმულ, წითელ ბალახს, ათავისუფლებენ დიდი ხნის წინ ჩამკვდარ ხმებს, და, გავიფიქრე მე — ნეტა ამ ხმებში იმ მოხუცის ხმაც ურევია, ვის საწოლზეც მე ვწევარ?

უცებ გავიფიქრე, როგორც იქნა მოვიდა დოლი ჩემს საკოცნელად-მეთქი, იმიტომ რომ ვიგრძენი — აქ იყო და გამეღვიძა. მაგრამ უცებ თინდებოდა და სინათლის ათინათი ფანჯარაში ფუშფუშა ფოთლებსა ჰგავდა. შორს, ეზოებში მამულები ყოიდნენ.

— შ-შ-შ... კოლინ, — ჩამჩურჩულა დოლიმ. ჩემქენ დახრილიყო, საზამთრო, შალის კოსტუმში ეცვა, თავზე სამგზავრო ქუდი ეხურა, ვუალო თხელი ნისლივით ჩამოჰფარებოდა სახეზე, — შენ უნდა გითხრა, სად მივდივართ.

— ხის სახლში? — ვკითხე მე, ასე მეგონა, რაღა ვლაპარაკობდი. დოლიმ თავი დამიქინა.

— ჯერჯერობით, მერე რამეს მოვიფიქრებთ. — მიხვდა, რომ შემეშინდა და შუბლზე დამალო ხელი.

— შენ და კეთრინი? მერე, მე? — ერთიანად ამაყვანკალა. — არა, უჩემოდ ვერ წახვალთ! ქალაქის საათმა დარეკა. დოლიმ თითქოს

დაცადა, როდის გათავებოდა რეკრუტისაგან ბოლო გადაწყვეტილება მერე მისვლას ჩვენი ჩამოჰკრა საათმა და უკანასკნელი ხმა რომ მიწვდა, მე უკვე ფხზე ვიყავი, ფაცხა-ფუცხით ვიცვამდი. დოლის ისდა დარჩენოდა ეთქვა, სავარცხელი არ დაგავიწყდესო.

კეთრინი ეზოში გველოდა. მუშაობის ჩანთა ეჭირა, სიმძიმისაგან ორად მოკეცილიყო, თვლები ტირილით დასიებოდა. დოლი პირიქით, უცნაურად დამშვიდებული და თავდაჯერებული ჩანდა, კეთრინს ამშვიდებდა — არა უშავს. კეთრინი, როგორც კი თავშესაფარს ვიშოვით, მაშინვე გამოვეკვავინით ვინმეს და შენს თევზებს მოვატანინებთო.

ჩვენს ზემოთ ვირენას დახურული, ჩუმი ფანჯრები ძლივს მოსჩანდნენ დილის რიყრიაქში. ფხსაქრეფით გავიარეთ ამ ფანჯრების ქვეშ და ხმამაღულდებლად გავედით ჭიშკარში. ძალმა შეგვიყვება, მაგრამ ქუჩა ცარიელი იყო და არაეის დაუნახავს როგორ გავიარეთ ქალაქი. მხოლოდ ძილგატეხილმა პატიმარმა გამოგვაცოლა თვალი ციხის სარკმელიდან.

ინდური ბალახით მოზიბინე მინდორზე რომ გავედით, მზეც ამოვიდა. დილის სიო დილის ვუალო! აფრიალებდა; დედალ-მამალ ხოსოპს, ეტობა ბილიკზე ჰქონდათ ბუდე, ცხვირწინ აგვიფრინდნენ: ხოსხების * ლითონისფერმა ფრთებმა მხარახივით გაიტულაშუენს წითელ, მამლის ბიბილოსავით მოღაუღავე ბალახზე. ჩვენი ხე სექტემბრის ფერებით მოხატულ ბურთსა ჰგავდა — მწვანე და მომწვანა-ოქროსფერი დაჰპარავდა.

აი, ნახათ, ჩამოეკვიდებოთ, თავს გავიტეხავთ, მოსთქვამდა კეთრინი, ჩვენს გარემოთ კოსათაც არ უნდა გავეხედათ, ყველგან ფოთლები ნაშს იბერტყავდნენ.

თავი II

რაილი ჰენდერსონი რომ არა, ალბათ ვერაინი ვაიგებდა, ყოველ შემთხვევაში ისე ჩქარა ვერ ვაიგებდნენ, რომ ჩვენ ხეზე ვიყავით.

კეთრინის ჩანთა სავეს იყო კვირადლის სადილის ნარჩენებით და ჩვენ წიწილსა და ტორტს შევექცეოდით, როცა უცებ ტყეში თოფი გავიარა. მოულოდნელობისაგან ლუქმა ყელში გავვეჩხირა. ძირს მეტებარი გამოჩნდა, ბეწვი უზბინავდა, უკან რაილი ჰენდერსონი მოსდევდა: მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული, კისერზე გასისხლიანებული ციყვეების ასხმულა ეკიდა. ციყვები კუდებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული. დოლიმ ვუთხრა ჩამოუშვა, თითქოს აქ, ფოთლებში იმალეთა.

რაილი შორიახლოს შეჩერდა. მზემოკიდებული, განაბული სახე დაეძაბა. თოფი შეშარსა, ლულა მიატარ-მოატარა, თითქოს ფრინველის გამოჩენას ელოდა. კეთრინმა დაძაბულმა მას ვედარ გაუძლო.



— რაილი ჰენდერსონი, — შესძახა მან, — უმანდ ჩვენ არ ვცნობთ!

თოფის ლულა ძირს დაეშვა, რაილი უცებ უკან შემობრუნდა, ციყვებმა გაწყვეტილი მძივით დაიწყეს ქანაობა. მერე დაგვიანა ხეზე და ერთი წუთის ღუმლის შემდეგ თქვა.

— კეთრინ კრიკს სალამი! გამარჯობათ მისს ტელემო. მანდ რას აკეთებთ ხალხო? გარეულ კატებს ხომ არ ნადირობთ?

— ისე, ესხედვართ, — ნაქარვედ უპასუხა დოლიმ. თითქოს ეწინააღიწინა ან კეთრინს ან მე არ დავესწრო პასუხი. — ციყვები ბევრი მოგვივლავთ.

— ორს თქვენ დავიტოვებთ, — თქვა რაილიმ, თან ასხმულადან ციყვებს დაუწყო გამოძრობა, — წუხელის, ვასშვალ რამდენიმე შევწვიო — საუცხოო იყო, ნახი ხორცი აქვთ! ახლავ ამოვიტანო.

— ნუ შესწუხდებით, მანდვე დადეთ, მიწაზე. შავრამ რაილიმ თქვა, აქ კიანველები დაეხევიანო და ხეზე ამოსვლა დაიწყო. ცისფერი ხალაით სულ ციყვის სისხლით ჰქონდა დაწინწკლული; გახეხებულ, სათასმე ტყავისფერ თმამდე შემზარა სისხლის წვეთები უბრაწუნავდა. დენთის სუნი ასდიოდა, უბრალო, სწორნაკეთებიან სახეზე ისე მოჰკიდებოდა მზე, რომ დარიჩინის ფერი ვადაპყრავდა.

— ეშმაკმა წამიღოს, ნამდვილი სახლია ხეზე, — თქვა მან და ფიცარზე ფეხი დაჭრა, თითქოს სიმაგრეს უსინჯავსო.

კეთრინმა გააფრთხილა, ჭერ-ჭერობით იქნებ მართლაც სახლია, მაგრამ ასე თუ ურახუნე ფეხებში, ჩქარა აღარაფერი დარჩებაო.

— შენ ააშენე, კოლინ? — მკითხა რაილიმ. სიხარულისგან რატეღ დამეხსა, როცა მიგზედი, რომ სახელით მომმართა. მე მეგონა რაილი ჰენდერსონი ფეხის მტვერისაგან ვერ მარჩევდა. მე კი, იცოცხლე კარგად ვიცნობდი! შგონი კაციშვილზე იმდენი არ ულაპარაკიათ ჩვენს ქალაქში, რამდენსაც რაილი ჰენდერსონზე ყმდობდნენ. მოხუცები, რაილის ხენებაზე, ღრმად ამოიხრებდნენ, მისი ტოლები კი, ან თითქმის მისი ხნისანი — მაგალითად მე — სიხარულით იტყოდნენ მტრუთაო ან სინდისგარეცხილით. გეშურდა მისი — თვითონ ვეთავაზობდა ამის საბაბს და ნებას არ გვაძლევდა შეგვეყვარებოდა, დავმეგობრებოდი.

ვისთვისაც არ უნდა გავითხოთ, ყველამ იცოდა მისი თავგადასავალი.

რაილი ჩინეთში დაიბადა, სადაც ამბოხების დროს მისიონერი მამა მოუტლეს. დედამისი ჩვენი ქალაქის მკვიდრი იყო და როზა ერქვა; მე თვითონ არ მიწახვავ, მაგრამ ხალხი ამბობს, ძალიან ლამაზი იყო, სანამ სათვლის ტარებას დაიწყებდა; თან მდიდარიც ყოფილა — ბაბამ მემკვიდრეობა დაუტოვა. ჩინეთიდან სამი ბავშვი ჩამოიყვანა: ხუთი წლის რაილი და ორი უმცროსი გოგონა. ჩვენს ქალაქ-

ში რომ დაბრუნდა, თავის უცოლო ძმის, მოსამართლე პორეის პოლტონის სახლში დასახლდა. პოლტონი კომპივით ყვითელი, მუსიკანი კაცი იყო და შინაბერას ხასიათი ჰქონდა. მომდევნო წლებში როზა ჰენდერსონს უცნაური ზნე დასჩემდა: ვირენას ემუქრებოდა, სასამართლოში მიგვიმ, შენს საეპიროში ნაყიდი კაზარტების შემდეგ შეგდაო; რაილის ასე სჯალა: ასკინილას არბენინებდა ეზოს გარშემო და თან გამარჯვლების ტაბულას ამერებინებდა; დანარჩენ დროს უბატონო ბავშვივით დაეხეტებოდა აქეთ-იქით. და როცა პრესბიტერიანელმა მღვდელმა ამაზე ჩამოუვლო სიტყვა დედამისს, როზამ გამოუტყდა: ჩემი ბავშვები მძულს და ნეტა მაგათ სიკვილს მომასწორო.

ერყობა, მართლა ასე ფიქრობდა, რადგან ერთ მშვენიერ დილას, შობა დღე იყო, ანაზანის კარი ჩაეკტა და გოგონების დახრჩობა დააბარა. ამბობენ რაილიმ ნაჭახით შეამტკრია კარით — როგორც ვინდა თქვით და, დალი ვაქცობაა ცხრა თუ ათი წლის ბიჭისთვის, თუ რა ვიცი რამდენი წლისა იყო მაშინ. ამ ამბის შემდეგ როზა ზღვისპირა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანა, იქნებ ახლაც იქ არის, ყოველშემთხვევაში, მისი სიყვდილის ამბავი არ გამიგონია. რაილი და ბიძამისი კი ვერ შეეწყვენენ ერთმანეთს. ერთ საღამოს რაილიმ პორეისს მანქანა მოპარა „ჟოლანდოზალი“ და მემი კეტრისი რესტორან „სიკვა-საღლიში“ წაიყვანა. იტყვლივით გოგო იყო მემი, რაალზე ხუთი წლით უფროსი; რაილი კი იმ დროს თხუთმეტს ვადაცილებული არ იქნებოდა. პორეისმა გააგო, „სიკვა-საღლიში“ არიანო და შერიფს ჩააცივდა, შენი მანქანით წაიყვანე, რაილის ჰქუა უნდა ვასწავლო და ციხეში ამოვავიდინო თავიო. რაილიმ კიდევ შერიფს უთხრა — ვინც დასაუკრია, იმას არ იჭერო და იქვე, ხალხის ვასავონად ბრალი დასდო ბიძას, დედაჩემის ფული მიითვისე, რომელიც მე და ჩემს ღებს გვეკუთვნისო. მერე ბიძას შესთავაზა მუშტით გადაწყვიტოთ საკითხიო; პორეისმა ჩხუბზე უარი თქვა, მაშინ რაილი მივიდა და თვალში სიხლიშა მუშტი. შერიფმა ციხეში ჩასვა რაილი.

მაგრამ მოსამართლე კულმა, როზას ძველმა მეგობარმა, სპემის გამოკლევა დაიწყო და დაშტკეცდა, რომ პორეისმა ბანკში მართლაც გალოტანა როზას ფული თავის სახელზე. ისე რომ ბიძამ ბარკი ჩაალავა და ნიუ-ორლეანში მოუსვა. რამდენიმე თვის შემდეგ, ვაგივთ — თურმე სიყვარულის კულტის მსახურად გამოაცხადა თავი და ახლა სასიერო გემზე, რომელიც მთვარიან ღამეებში მისისიზზე დასტოვდა, ჭვარს სწერს შეყვარებულ წყვილებს. მას შემდეგ რაილი თავისი თავის პატრონი თვითონ-

ბრუნენ კავობი
ბალანის სიმღერა



ვე არის. მომავალი მეშვეიდრეობის იმედით ფული ისესხა, წითელი, სპორტული მანქანა იყიდა და გარეუბნებში რიგრიგობით დაქროლებდა ჩვენი ქალაქის ყველა მეძახს. წესიერი გოგოებიდან მართა მის დებს თუ ღაინახანდღით მანქანაში — კვირა საღამოს ასეირნებდა ხოლმე. დაზრახილურად, ნული სვლით, რამდენჯერმე შემოუვლიდა ქალაქის მოედანს. მშვენიერი გოგონები იყვნენ რაილის დები, მაგრამ სასიხარულო ბევრი არაფერი ჰქონდათ — ერთთავად ძმის მეთვისაყურების ქვეშ იყვნენ და ბიჭები შიშით ახლოს ვერ ეკარებოდნენ.

სახლს ერთგული ზანგის ქალი უვლიდა, ისე კი მართლაც ცხოვრობდნენ. ერთი და — ვლიზაბეთი — ჩემს კლასში იყო და წარჩინებით სწავლობდა. თვითონ რაილიმ სკოლა მიატოვა, მაგრამ საბილიარდოში მოხეტიალე უსაქმურებს არა ჰგავდა და არც მეგობრობდა მათთან. დღისით სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა. პოლტონის ძველ სახლში ბევრი რამ თავის ხელით გადააყვია — დურგალიც კარგი იყო და მექანიკოსიც. ჰგავლითად თვითონ ააწყო ავტომობილის საყვირი, ისეთი ყურის-წამლები ხმა ჰქონდა, მატარებლის ხმა რომ გავერონიათ. საღამოობით, შარავნიდან ვამაყრუებელი ღრიალი ისმოდა — რაილი მაქაროლებდა თავის მანქანას სხვა ქალაქში, საცეკვაოდ მიდიოდა. რა გულით მინდოდა, მისი მეგობარი გაემხდარიყავი! შეუძლებელი არც უნდა ყოფილიყო ეს — მხოლოდ ორი წლით იყო ჩემზე უფროსი. მაგრამ მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გამოემლაპარაკა: ერთ საღამოს თეთრ ფლანგელს კოსტუმში კოხტად გამოწყობილი საცეკვაოდ მიდიოდა კლუბში და გზად ვირენას აფთიაქში გამოიარა, სადაც შაბათობით, ზოგჯერ მეც ვეხმარებოდი ხოლმე. ერთი პაკეტი „შედოუზი“ უნდოდა, მაგრამ მე არ ვიცოდი, რომელი იყო „შედოუზი“, ისე რომ თვითონ შემოვიდა დახლში და აიღო. მერე გაეცინა, ბოროტად კი არა, მაგრამ მიიჩნე მერჩინა გაბრაზებულიყო — ახლა ზომ ნამდვილად იცოდა რომ სულელი ვიყავი და მეგობრები ვერასოდეს გავხდებოდი.

— რაილი, ტორტი მიირთვით, — უთხრა დოლიმ და რაილიმ ჰკითხა — თქვენ რა, ყოველთვის დილით მართავთ პიკნიკებსო, მერე დაუმატა — კარგად მოგიფიქრებიათ, დამამობით ბანაობაც ასევე სსსიამოვნაო.

— გათენებამდე გბანაობ ხოლმე მდინარეში. მეორედ რომ მოაწყობთ პიკნიკს, გამოიხემაურეთ, მეკოლინება მინიც, რომ აქა ხართ.

— რა დღესაც არ უნდა მოხვიდეთ. ძალიან გვასიამოვნებთ, — უთხრა დოლიმ და ეუალი აწვია, — მე მგონი, ერთხანს კიდევ დადვრჩებით აქ.

რაილის, ეტყობა, ეუცნაურა ასეთი მოპატრებება, მაგრამ არაფერი თქვა, სიგარეტების

კოლოფი ამოიღო და ჩამოატარა. ეკუყურებოდი აიღო ერთი და დოლიმ უთხრა: შიშაქანიუსა — კეთრინ კრიკ, შენს სიცოცხლეში თუ-თუნს არ გაქარებინა...

კეთრინმა უთხრა, ვინ იცის იქნებ ბევრიც დაჯარგეო.

— თუთული ალბათ კარგად ართობს კაცს ტუფილად კი არ აქებენ. ჩვენი ხნის ხალხი, დოლიგულო სულ გასართობს ეძებს.

დოლიმ ტუჩზე იკბინა.

— კეთილი, მე მგონი არ გვაწყენს, — თქვა მან და სიგარეტი აიღო.

ორი რამ არის ქვეყანად (ჩვენს ღირებუტორს, მისტერ ჰენდს თუ დაფუქრებთ, რომელმაც ერთხელ საპირფარეოში ჩამავლო, როცა ვწევდი), რის გამოც ბიჭი, ვინც არ უნდა იყოს, შეიძლება ვაგიყდეს. ამ ორიდან, ერთს — პაპიროსის წვეას — ორი წელიწადი თავი ვაწებუ; იმიტომ კი არა, რომ ვაგიყდისა მეშინოდა, უბრალოდ, ვიფიქრე, ვაი თუ, ჩემს ზრდას შეუშალოს-მეთქი ხელი. მაშინ უკვე ნორმალური სიმაღლისა ვიყავი და რაილი ჩემზე მაღალი არ იყო, მაგრამ უფრო მაღალი ჩანდა. რადგან ახმახ, მოუქნელ კოეზიოსავით დადიოდა. ისე რომ მეც გამოვართვი სიგარეტი. დოლიმ უნაფხოვად, ხმაურით გამოუშვა ბოლო პირიდან და თქვა — ჩვენ ალბათ, ყველას ერთად აგვერევა გულიო, მაგრამ გული არავის არევა, კეთრინმა კი გამოაცხადა ამის შემდეგ, სიამოვნებით მოეწეე ჩიბუხს, შესანიშნავო სურნელება ჰქონია თუთუნსათ. და მაშინ დოლიმ ვასაოცარი რამ გვითხრა — ვირენა ჩიბუხსა სწევსო. რას ვიფიქრებდი!

— ამ ვიცი კიდევ სწევს, თუ გაანება თავი, მაგრამ წინათ ჩიბუხიც ჰქონდა და „ბრიტალბერტი“ გამოტენილი სათუთუნეც, რომელშიაც ნახევარ ვაშლსა ვდებდით ხოლმე. ოღონდ არავისთან წამოგდეთ! — დაუმატა მან, გაახსენდა რომ რაილი იყო აქ. ყმაწვილმა უცებ გადაიხარხარა.

როცა რაილი ქუჩაში მიდიოდა, თეხით ან მანქანით, ძალიან გამომწევეი, დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა. აქ კი, ჰადარზე თითქოს მოხლათ: წამლაუწუმ ღიმილი გაუნათებდა სახეს, თითქოს უნდოდა მეგობრულად მოგვეტყეოდა, ის კი არა, რომ დაგვეგობრებოდა, უბრალოდ ამხანაგურად მოგვეპყრობოდა. დოლიც თავისუფლად გრძნობდა მისთან თავს — ეტყობა მოსწონდა. აშკარა იყო, რაილისა არ ეშინოდა, იქნებ იმიტომ, რომ ზეუ ვისხედით, სადაც თვითონ იყო დიასახლისი.

— ციყვებისათვის ღიდი მადლობა, სერ, — უთხრა დოლიმ, როცა რაილიმ წასვლა დააბიჩრა. — კიდევ გვესტუმრეთ, აუცილებლად.

რაილი ძირს ჩაბტა.

— იქნებ მანქანით მივიყვანოთ? ჩემი მანქანა გორაზეა, სასაფლაოსთან.



— მაღლობს გწირავთ, მაგრამ მართალი გი-
თხრათ მისასულებელი არსადა გვაქვს.

რაილი თოფი შემართა, თან იკრიჭებოდა,
და კერინმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და-
უღრიალა:

— წებლა გინდა, ყმაწვილო, წებლა!

რაილის გაეცინა, ხელი დაგვიქნია და გაიჭ-
ყა, ძალი ყეფით გამოენთო.

— აბა, სივარტი მოეწიოთ! — მხიარუ-
ლად თქვა დოლიმ. რაილიმ მთელი შეეკრა და-
გვიტოვა.

ქალაქს რომ მიადგინა რაილიმ, იქ ფუტურის
ხუზუნებით დარბეული ხმები დახვდა ჩვენზე
— ასე და ასე, ლამით შინიდან გაიპარნენ. დო-
ლის ჩვენთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ისე
წერილი დაუტოვა თურმე ვირენას და იმანაც
დილით იბოვა ის წერილი, როცა ყავის დასა-
ლევად გამოიყვანა. ეტყობა, წერილში მარტო
ის ეწერა, რომ ჩვენ შინიდან მივდიოდით და
ვირენას თავს აღარ მოვაგებრებდით. ვირენამ
მაშინვე თავის მეგობარს მორის რიტცს დაუ-
რეკა სასტუმრო „ლოლაში“ და შერიფთან წა-
იჩიკიყნენ ორივენი... შერიფმა ვირენას წყა-
ლობით მიიღო თანამდებობა; ყმაწვილი კაცი იყო,
უტიფარი, მხეცი ყბები და შულერის მოძრა-
ვი თვალები ჰქონდა. ჯულიუს კენდლი (წარმო-
გადგენიათ, სწორედ ის ჯულიუს კენდლი, რო-
მელიც ახლა სენატორია!). შერიფის თანაშემწე-
ები ჩვენს საძებნელად დარახმეს. სხვა ქალა-
ქების შერიფებთან დებუშები დაგზავნეს. დიდი
ხნის შემდეგ, როცა ტელბოს ქონებას ახუსტებ-
დნენ იმ დებუშის ხელნაწერ ტექსტს წავაწყდი.
დარწმუნებული ვარ, დოქტორ რიტცის ხელით
იყო დაწერილი.

გამოცხადებულა ძებნა სამი პიროვნებისა,
რომლებიც ერთად მოგზაურობენ: დოლი ოგას-
ტა ტელბო, თეთრკანიანი, 60 წლისა, პლარა-
შერეული ყვითელი თმა, ხმელ-ხმელი, სიმაღლე
ხუთი ფუტი და 3 დიუმი, თვალები მწვანე, შე-
საქლოა სულით ავადმყოფი იყოს, მაგრამ გარე-
შე ხალხისთვის საშიში არ არის, აღწერილობა
საფუნთუშეებში დაკიდეთ, ტკბილევული უყ-
ვარს. კეთრინ კრიკი, ზანგი, ინდიელად ასაღებს
თავს, ასაკი დაახლოებით სამოცი წელი, უკბი-
ლო, ჩიფჩიფებს, დაბალი, მსუქანი, ღონიერი,
გარეშეთთვის შეიძლება საშიშიც იყოს. კოლი-
ნი ტელბო ფენიკო, თეთრკანიანი, თექვსმეტი
წლისა. შესახებობა უფრო პატარა აქვს, სიმა-
ღლე ხუთი ფუტი 7 დიუმი, ქერა, ჭროლათვა-
ლებიანი, გამზდარი, მხრებში მოხრილი, პირთან
ცალმზარეს ნაწიბური აჩნია, პირქუში. ეძებენ
როგორც გაპარულებს“.

— მიინცდამაინც შორს არსად წასულან, —
თქვა რაილიმ ფოსტაში და ფოსტის მოხელე
ქალი მაშინვე ტელეფონს ეცა: ყველგან ჩამო-
რეკა, რაილი ჰენდერსონმა სანაპირო ტყეში ნა-
ხა გაპარულებიო.

ჩვენ კი, ამასობაში, გულარხინად ვიყავით
ვედილობდით ჩის სახლი მყუდროდ მოგვე-
კეთრინის მუშაობის ჩანთიდან ვარდისფერ-ოქ-
როსფერ ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი ამო-
ვიღეთ, მერე კარტი, საბანი, ტუალეტის ქლა-
ლდები, ღიბონები და ფორთოხალი, სანთლები,
ტაფა, ერთი ბოთლი მაველის არაყი და სანოვა-
გით გამოტენილი ორი ფეხსაცმლის ყუთი: კე-
თონინმა დაიკვება, სულ დავაყარიველ საკუწნაო
„იმ ქალბატონს“ საუხმისთვის ერთი ნამცხვარიც
არ დაუტოვეო.

მერე ჩამოვედით და წყაროს ცივი წყლით
ხელები და ფეხები დავიბანეთ. სანაპირო ტყეში
იმდენი წყაროა, რამდენიც ძარღვი აქვს ფო-
თოლს. ანჯავრა ნავადლები წკრიალით მიიკლა-
კნებიან და პატარა მდინარეს ერთვიან, რომე-
ლიც მწვანე ალგატორივით მდორედ მიედო-
ნება ტყეში. დოლისთვის უნდა შეგებნათ; იდ-
ვა წყალში, შალის კოსტუმის ქვედაპა აეწია,
ნიაგი ვუალს უფრიალებდა და ისე აწუხებდა,
თითქოს ქინქვლების გუნდი დახვევიაო... მე გვი-
თხე — ვუალი რად გინდოდა, დოლი? — ვანა
წესი არ არის ასეთი? — მიპასუხა დოლიმ. —
ქალები მოგზაურობის დროს აკი ვუალს იკეთე-
ბენ.

ხეზე რომ დადებოდით, ერთი ქილა ძალიან
გემრიელი ორანჯადი მოვამზადეთ და მომავალ-
ზე დაგვწყეთ საუბარი. მიეღო ჩვენი ავლა-დი-
დება — ორმოცდაშვიდი დოლარი და რამდენი-
მე სამკაული იყო. მათ შორის ყველაზე ძვირფა-
სი — კეთრინის ნაპოვნი ბუკელი, ზედ ამოტიფ-
რული ასოთი — ტახის ნაწლავში იბოვა, ძეხეს
რომ ამზადებდა. კეთრინი გვარწმუნებდა ორ-
მოცდაშვიდი დოლარით სადაც გინდა წახვალო:
ერთი კაცი ეციე, თხუთმეტი დოლარით მექსი-
კამდე მიადგინო. დოლიმ და მე უარი ვთქვათ
მექსიკაზე — ენა არ ვიცოდით. თანაც, თქვა
დოლიმ, ჩვენ შტატს ზომ ვერ გავცდებით, სა-
დაც არ უნდა წავიდეთ, ტყე უნდა გვქონდეს
ახლოს, თორემ როგორღა დავამზადებთ წყალ-
მანკის წამალს?!

— შე თუ მკითხავთ, ჯობს აქვე დავსახლ-
დეთ, სანაპირო ტყეში, — ფიქრიანად თქვა
დოლიმ და მიიხედ-მოიხედა.

— ამ ბებერ ხეზე? მეორედ აღარა თქვა,
დოლივულო! — და მერე: — ვახსოვს ერთხელ
გახუთში რომ ეწერა, ვილაც კაცმა ოკენის ვაღ-
მა ციხე-დარბაზი იყიდა და სულ ნაწილ-ნაწილ
გადმოზიდა სახლშიო. ვახსოვს? ჰოდა, იქნებ
ჩვენც ფურგონზე დავდეთ ჩემი სახლი და აქ
გადმოვზიდოთ.

არაო, დოლიმ უთხრა, ქოხი ჩვენი ზომ არ
არის, ვირენასია, როგორღა ვადმოვზიდავთ.

— ახლა კი არა ხარ მართალი, გენაცვალე, —
უთხრა კეთრინმა, — თუ კაცს კერძა უმზადებ,

ბრუნე კაპობი
ბალახის სიმღერა

ურცხავ, შეილებს უნენ, გამოდის რომ და-
ქორწინებულები ხართ და ეს კაცი შენია. პო-
და, როცა სახლს უვლი, ღუმელს ახურებ, შენი
დღე და მოსწრება სიყვარულით დასტრიალებ
თავს, მაშინ ამ სახლთან დაქორწინებული ყო-
ფილხარ და შენ გეკუთვნის. მე თუ მკითხავ,
ორივე სახლი ჩვენია და ღმერთი არ გვიწყენს,
თუ იმ ქალბატონს თვითონვე გავაგდებთ იქი-
დან.

უცებ ერთი აზრი დამებადა; მდინარეს თუ
დაუყვებოდი ქვემოთ, ერთი მიტოვებული, ნა-
ხერხად ჩაძირული, ხავსისაგან გამწვანებული
ნავი-სახლი იდგა; ნავის პატრონი, მოხუცი მე-
თევზე, რომელიც თევზაობით ირჩენდა თავს,
ქალაქიდან გასახლეს; რადგან მოსამართლეს სა-
ქორწინო ცნობა სთხოვა — თხუთმეტი წლის
შავკანიანი გოგო უნდოდა შეერთო ცოლად.
ის გამახსენდა უცებ და ვიფიქრე, რატომ არ
შეგვიძლია შევაკეთოთ ის ნავი-სახლი და შგ
ვისოვოროთ-მეთქი.

კეთრინმა თქვა, მე იმის მოსურნე ვარ, დარ-
ჩენილი დღეები ხმელეთზე ვეატარო, საცა
ღმთის ნებით ვეაქვს მიჩენილი ბინაო. და კიდევ
ჩამოთვალა რამდენიმე ნება ღმთისა, ხოლო მათ
შორის ერთი ის, რომ ხვედი მაიშინებსა და ჩი-
ტებს მიუჩინა ღმერთმა. უცებ ვაჩუმდა — და
იდაყვის უკრით იქით მიგავახედა, სადაც ტყე
თავდებოდა და ბალახით დაფარული მინდორი
იწყებოდა.

დადაბატივებული დღეგაიცა მოემართე-
ბოცა ჩვენსკენ დინჯად და მედიდურად: მოსა-
მართლე კული, მისი მაღალღირსება მისტერ
ბასტერი და მისის ბასტერი, მისის მეისი უი-
ლერი; წინ შერიფი ჯენიუს კენდლი მოუძლო-
დათ, მაღალყვლიანი, ზონარგაყრილი წაღები
ცეკა, ქამარზე დაიდებული პისტოლეტი თქო-
ზე უხტოდა.

მზის ათინათი ყვეთელი პეპლებივით დასცი-
მციამებდათ გარშემო, მაცულის ტოტები გახეხე-
შებულ, ქალაქურ ტანსაცმელზე ედებოდათ, ვა-
შმა ისე მაგრად გადაუტყალაშენა ფეხზე მისის
მეისი უილერს, რომ შეშინებულმა ქალმა შეპ-
კივლა და გვერდზე გახტა. გამეცინა.

ჩემი სიცილი რომ გაიგონეს, დაბნეულობა
და შიში გამოეხატათ სახეზე — თითქოს ზო-
თმარკში სვირობდნენ და შემთხვევით მხეცის
გალიაში შევიდნენ. შერიფმა დამბაჩაზე იტყა
ხელი, ხეს მოუახლოვდა და მოუტუტული თვალებ-
ით დაგვიწყო ყურება, თითქოს მზეს შესცქე-
როსო.

— მომისმინეთ... — დაიწყო მან; მაგრამ მი-
სის ბასტერმა მაშინვე შეაწყვეტინა.

— შერიფო, აქ მოვილაპარაკეთ, რომ ეს საქ-
მე მისი მაღალღირსებასათვის მოგვედლო!

მისის ბასტერი სულ იმას ვაიძახდა, ჩემს
თანამეცხედრეს, როგორც ღმერთის წარმომად-
გენელს, ყველგან პირველი სიტყვა უნდა მის-
ცეთო. მისმა მაღალღირსებამ, მისტერ ბასტერ-

მა, ჩაახველა და ხელების ფშვინტას მოჰყვა, თი-
თოს მწერი თავის გამოშვარალ საცეცხლს უფ-
ხაჭუნებს ერთმანეთსო.

— დოლი ტუღო, — დაიწყო მან, ჩია კა-
ციისათვის უჩვეულო, ხაგერდოვანი, სასიამოვნო
ხმა ჰქონდა. — თქვენი დის სახელით მოგმარ-
თავთ, ამ კეთილი, ღირსეული ქალის...

— ნამდვილად ღირსეული ქალია, — წაიმღე-
რა მისმა მეუღლემ და მისს მების უილერმაც
თუთუყუშვით იგრეე გაიმეორა.

— რომელსაც ასეთი თეზარა დასცა...

— ნამდვილად თეზარა, — ერთმანდ წაიმღე-
რა ორივე ქალბატონმა, დაჩვეულები იყვნენ სა-
ცეცხესო გუნდში ხმაშეწყობილად სიმღერას.

დოლიმ კეთრინს შეხედა, მე ხელზე დამადო
ხელი, თითქმის გვეკითხებოდა; რა უნდა ამ
ხალხს, ძალღებვიით რომ შეხორხობილან ხის
ქვეშ და გვიბღვერენ, თითქოს ოპოსუმები ვი-
ყოთო. უნებურად, მე მგონი მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ხელში ჩაღაც სჭეროდა, დოლიმ რა-
ილს დატოვებულ სივარტეში ამოიღო.

— გრცხეინოდეთ! — იწვილა მისის ბასტერმა
და ერთი ციქქა, გაქაჩლებული თავის ქიციის
მოჰყვა.

ისინი ვინც მისის ბასტერს ბებურ მიშინოს
ეძახდნენ — კარგა ბლომად იყო ასეთი ხალხი
— მარტო ხასიათს კი არ გულისხმობდნენ მი-
სის, არამედ პატარა ყაჩაღურ თავს, აწურულ
მხრებსა და გამობზევილ მუცელსაც.

— გრცხეინოდეთ! ასე როგორ გადაუღმეკით
ღმერთს, რომ ლითი ინდიელოვით ნებე წა-
მოსკუპულხართ და სივარტისა ქაჩავთ, რო-
გორც უკანასკნელი...

— მეძავი, — უკარნახა მისის მეისი უილერ-
მა.

— ...მეძავი.. თქვენი და კი, ჯავრისაგან ლო-
გინად ჩავარდა.

იქნებ მართლებიც იყვნენ, როცა კეთრინზე
დაწერეს, საშინაო: უცებ ყალუზე შედგა და
იკვარა:

— შენ, ეი, ქალბატონო! ქადავად რომ დაცე-
მულხარ, ხმა გაიკმინდე, მე და დოლის მეძა-
ვეებს ნუ გვეძახი, თორემ ჩამოვალ და სივარტეს
სივანედ მოვიქცევ.

საბედნიეროდ ვერავინ ვერ მიხვდა კეთრინის
ნათქვამს, თორემ შერიფი ალბათ შიგ თავში
ესვროდა; კი არ ევაჭარბებ, და ჩვენს ქალაქში,
ბევრი თურქიანიანი იტყოდა, სწორედ მოიქცაო.
გჭრმნობდი, რომ დოლი შეძრწუნებული
იყო, მაგრამ თავს იკავებდა. ქვედა კაბა ჩია-
ბერტყა და თქვა:

— ცოტა დაფიქრდით, მისის ბასტერ, და მი-
ხედებით, რომ ჩვენ რამდენიმე იარღით თქვენ-
ზე უფრო ახლოსა ვართ მამაზეციერთან.

— ყოჩაღ მისს დოლი! კარგი პასუხია! —
მოსამართლემ ტავი შემოჰკრა და მერე გაიცი-
ნა, ეტყობა მართლა მოეწონა. — რა თქმა უნ-
და, უფრო ახლოს არიან ღმერთთან. — სულაც



არ დაახნა დანარჩენების ცივმა, გამკაცებამა გამოხედვამ. — ხეზე არიან, ჩვენ მიწაზე ვართ.

მისის ბასტერი ახლა მოსამართლეს ეცა:

— მე თქვენ ქრისტიანი შეგონეთ, ჩარლი კული რა ქრისტიანის საკადრისა საწყალო მკუთახელი ქალის დაცინა და წაჭებება!

— დაფიქრდით შინც, სანამ აღამიანს ქუთათხელს დაუძახებდეთ, ტელმა. მე მგონი არც ეგ არის ქრისტიანის საკადრისი.

ახლა მისმა მალაღლირსებამ იფეთქა:

— ერთი მიბასუხეთ, მოსამართლე, ვანა იმისთვის არ წამოგვეყვით აქ, რომ ღვთის ნება შესარულთ და ქრისტიანული გულმოწყალება გამოიჩინოთ.

— ღვთის ნება? — დამცინავად ჰკითხა მოსამართლემ. — თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით, რას გულისხმობს ღვთის ნება?! რა იცით, იქნებ ღმერთმა ჩაუნერგა ამ ხალხს, ხეზე დაბინავდითო. ერთ რამეში მაინც უნდა გამოვხედეთ, თქვენთვის ღმერთს არ უბრძანებია ამათი ხილან ჩამოყვანა, რასაკვირვლისა, თუ ვირენა ტელბოს არ მივიჩნევთ ღმერთად. მე მგონი, ზოგიერთი თქვენგანი სწორედ ასე ფიქრობს, ა, შერიფო? არა, სერ მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, ვისიმე ნებასურვილი შევასრულო, ჩემი სურვილით მოვედი — ტყეში მოიხილდა გასვირნება, ამ დროს ძალიან ლამაზია ტყე.

მოსამართლემ რამდენიმე ია მოსწყვიტა და ლიკლოში გაიკეთა.

— ეშმაკმა წაიღოს... — დაიწყო შერიფმა, მაგრამ ისევ მისის ბასტერმა შეაწყვეტინა.

— ღვთის გმობას ევრას დიდებით ვერ ავიტან, თქვენ, მამაო? — და მისმა მალაღლირსებამ მაშინვე კვერი დაუტყრა, ღმერთმა დამწყველოს, თუ მოვითმინოო.

— აქ მე ვარ გამგებელი, — ვანაცხადა შერიფმა და თავისი უშველგებელი ყბა წინ წამოსწია. — ამ საქმეში კანონი უნდა ჩაეროთ.

— ვისი კანონი, ჯუნიუს? — წყნარად ჰკითხა მოსამართლემ. — გაიხსენებ, რომ ოცდაშვიდი წელი მოსამართლის სავარძელში ვიჯექი — თქვენ ჯერ ამდენი არც გიცხოვრიათ. ასე რომ, ფრთხილად იყავით. კანონი ნებას არ გვაძლევს მისს დოლის წინააღმდეგ ემოქმედოთ.

შერიფს არ შეშინებია და ხეზე ასვლა დაიწყო.

— მოდი, დავიდარაბას ნუ ავტეხთ, — შეშმაკავი ხმით თქვა მან და მოღრეცილი ღრჯოლები გამოაჩინა. — აბა, ჩამოდით ახლა ძირს ყველანი!

მაგრამ ჩვენ ისევ ჩიტებივით ვისხედით ხეზე და შერიფმა უფრო გამოყარა ღრჯოლები, მერე, გაბრაზებული, ტოტის რხევას მოჰყვა, თითქოს უნდოდა ძალით ჩამოეყვარებო.

— მისს დოლი, თქვენ ხომ ყოველთვის მშვილობისმოყვარე აღამიანი იყავით. — დაიწყო მისის მისი უილერმა, — ძალიან ვთხოვთ, შინ წამოხვიდეთ. უსადილოდ ხომ არ დარჩებით?

დოლიმ ბოლო კითხვაზე უპასუხა, ჩვენ მშვიდობის რები არა ვართ, თქვენა? თუ ვინმეს შიაცხაძის რები ბარკალი გვაქვსო.

— ძალიან ართულებთ საქმეს, მე, — უთხრა შერიფმა და ცოტაზე კიდევ აიწია ზევით.

შერიფის სიმძიმისაგან ტოტმა გაიტაცუნა და მაშინვე მთელ ხეს ნაღვლიანმა, ავბედითმა გრუხუნმა დაუარა.

— თითო რომ დაგაყართ რომელიმეს, მაშინვე თავში ჩასტყვით, — გვირჩია მოსამართლე კულმა. — არა და მე ჩავეხებ, — უცებ ვაქციაობა გამოიჩინა მან.

მერე დამფრთხალი ბაყაყივით შეხტა და შერიფის ჩექმას ჩააფრინდა. შერიფი მე მწვედა კოჭებში და ძირს ქანკა დამიწყო, კეთრინი იძულებული გახდა წელზე შემოეხვია ჩემთვის ხელები. თანდათან ძირს მივეკუთავდით, გვეჩვენებოდა, რომ ჰა და ჰა — ყველანი მიწაზე დავენარცხებოდით, საშინლად დაძახებულბრ ვიყავით. და სწორედ ამ დროს დოლიმ ორანჯადის ნარჩენი ჩაასხა შერიფს კისერში, შერიფმა უშვილი სიტყვებით შეაგონა. უცებ ხელი მიშვა და ორივენი — შერიფი და მოსამართლე — მიწაზე დაეხეთქნენ, ქვეშ მისი მალაღლირსება მოიყოლეს.

თითქოს ეს უბედურება არ იკმარესო, მისის ბასტერმა და მისის მისი უილერმა ყვავებივით დაიჩხვალეს და კაცებს ზედ დაასკდნენ. ეს რომ დოლიმ დაინახა, საშინლად დიბნა, ცარიელი ქილა ხელიდან გაუვარდა და მისის ბასტერს გრუხუნით დაეხეთქა თავზე.

— მახატეთ, — ბოდიში მოიხადა დოლიმ, მაგრამ საერთო არეულობაში ვერავინ გაბგონა.

თანდათან ფეხზე წამოდგნენ, დაბნეულობისა და სირცხვილისაგან თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს.

მისი მალაღლირსება თითქოს გაბრტყვლებულიყო, მაგრამ ძვლები ყველას მთელი შერჩენოდით და მხოლოდ მისის ბასტერს შეეძლო ეთქვა, დამსახირჩესო: გაქარლებულ თავზე კობი დააქდა და სულ უფროდაუფრო ებურცებოდა.

— მისს ტელბო, თქვენ მე თავს დამგისით. უარს ვერ იტყვით. აქ დამსწრენი დამიმორწმუნენ. ყველამ დაინახა, მურაბას ქილა რომ მესროლეთ, ჯუნიუს, დააბატირებთ!

მაგრამ შერიფს თავისი საქმე ჰქონდა გასარკვევი, დონეშემოყრილი და გაბღენძილი, უახლოვდებოდა მოსამართლეს, რომელიც ლიკლოში იას იცვლიდა.

— ბებერი რომ არ იყოთ, ეშმაკმა წამიღოს, თუ აქვე არ გამეგორებინეთ.

— არც ისეთი ბებერი ვარ, ჯუნიუს, მაგრამ იმდენი ხანი კი მომდევს, რომ ქალების თვალ-

ტრუმენ კაპობი
ბბლზხის სიმღერა



წინ არ ვიჩხუბო. — უთხრა მოსამართლემ. ახოვანი კაცი იყო, მხარბეჭიანი და თუმცა სამოცდაათს ბევრი არ უღდა, ორმოცდაათ წელზე მეტს ვერ მისცემდა კაცი. მუშტები მომუქა — ბანკგლიანი, მავარი, როგორც ქოქოსის კაკალი.

— თუმა ვა, — დაუმატა მან და მოიღუშა, — მე მზადა ვარ, თუკი გენბავთ...

იმ წუთში მოგვეჩვენა რომ თანაბარი ძალა ჰქონდათ. შერიფი უკვე წინანდებურად თვითდაჯერებული არა სჩანდა, გეკაცობა მოკლუბოდა, გადააფურთხა და თქვა.

— კეთლი — იმას მაინც ვერაინ დამწამებს ბერიკაცს გაატყავო. — ან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიო, — შეესიტყვა მოსამართლე. აბა, ჭუნის, ხალათი შარვალში ჩიტანე და სახლისკენ გაუყვიე.

შერიფმა ისევ ჩვენ მოგვმართა: — რას ჯიუტობთ, მაინცდამაინც ხიფათს უნდა გადაეკიდოთ? ჩამოღით ახლა და შინ გამოყვიეთ.

არც კი გავანძრეულვართ, მხოლოდ დღიმი ჩამოღშვა ვუღაო, როგორც ფრთა, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდაო. მაშინ მისის ბასტერმა, რომელსაც თავზე რქასავით კოპი ამოზრტყვოდა, დიდის ამბითა თქვა:

— არ უშავს, შერიფო, თქვენ თქვენი სცადეთ და გააფრთხილეთ. — ჯერ დღის შეხედა, მერე მოსამართლეს — იქნებ ფიქრობთ, რომ რამეს მიაღწიეთ. მაშ იცოდეთ, სამავიერო არ ავღლებათ: იქ კი არა — ცაში, აქ — დედამიწაზე.

— აქვე, დედამიწაზე, — ხმა შეუწყო მასის უღერბა.

მერე ბილიც გაუყვენ, გაჯიმულეები მილიოდნენ, ქედმალღური გამოშტყველება ჰქონდათ. თითქოს საქორწინო კორტეჟიო, მზით გაქაშავებულ მინდორზე გავიდნენ, წითელმა, მოლილევი ბალახმა პირი დააღო და ჩანთქა, მოსამართლემ ხის ქვეშ შეითრია ფეხი, ღმბორეულმა, თავაზიანად დაგვიკრა თავი და იკითხა:

— მგონი წელან თქვით, ქათმის ბარკაღი გაქვსო?



გეგონებოდა ხის ნაქრებისაგან იყო შეკრული: როკივით ცხვირი, ფეხები — ღონიერი — როგორც ბებერი ხის ფესვები და სქელი, ხეშეში წარბები, შუაში ორად გაყოფილი თმა მოვერცხლისფრო ხავსის ფერისა ჰქონდა, ჩვენი ხის კენწეროდან წვერბებივით რომ იყო ჩამოკიდული. ლოყები — მეზობლად მდგარ ცაში აწვდილ სიკომოროს ხეს რომ ფოთლები სცივოდა, სწორედ ისეთი ჰქონდა, დათრიმული ტყავის ფერი. კატის თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, მაგრამ სახის გამოშტყველება სო-

ფლელი კაცივით მიამიტი ჰქონდა. საეროდა, ყოყლოჩინა კაცი არ იყო მოსამართლეს მხარეს. ერთები სარგებლობდნენ კიდელ მისსაფლელსა ლობით და ქედმალღურად უყურებდნენ. სამავიეროდ, ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვირნდა, ჩარლი კულსავით მეტ პარვარდის უნივერსიტეტი დაავამთარგ ან ვეროპაში ორჯერ ვიყავიო. მაგრამ იყო რამდენიმე კაცი, ვინც აღშფოთებულნი ირწმუნებოდნენ, მოსამართლეს თავი მოაქვსო: არ ამბობდნენ განა, ყოველ ცალკე საუბრის წინ ბერძნულად ერთ გვერდს კითხულობსო? ან კიდევ — რა კაცია, ლიკილოში მედამ ყვავილი რომ აქვს ვაჩრბილო? ზოგი იმას იძახდა, ყოყლოჩინა რომ არ იყოს, რადა კენტუკიში წაიდიოდა ცოლის საძებნელად — აქაურს ველარ შერიფივადო? მოსამართლის ცოლი მე არ მახსოვს; როცა გარდაიცვალა სულ პატარა ვიყავი და ამბობ რისაც ახლა გეტყვით, სხევისგან შექვს გავონილი.

ერთი სიტყვით, ქალაქმა გული არ გაუხსნა აირის კულს, ეტუობა თავისი ბრალიც იყო. ჯერ ერთი, კენტუკელ ქალებს მიძევ ხასიათი აქვთ; თავნებები არიან — მუდამ გაღიზიანებულები, აირის კული ქალაქში ყველას აგარბობენებდა, ჩამორჩენილები, ხეზრებები ხართო. თვითონ ტოდის გვარის ქალი იყო, ბოულინგ-გრინელი. (მერი ტოდს, აბრაამ ლინკოლნის ცოლს, ბიძაშვილად ერგებოდა). ჩვენებურა ქალბატონება არასოდეს მიუწყებია შინ, მაგრამ მისის პალმერი, მყერავი, ამბობდა დიდი დახვეწილი გემოვნებითა აქვთ სახლი მოწყობილიო: სულ აღმოსავლური ხალიჩები უფენიათ და ძველებური ავეჯი უდგათო. ეკლესიაში ყოველთვის საუცხოო მანქანილ დადიოდა, მინები მუდამ აწეული ჰქონდა მანქანას. სანამ ეკლესიაში იქდა, სურნელოვან ცხვირსახოცს არ იშორებდა ცხვირიდან (შეხვედეთ ერთი! საყმელას სურნელი არ აკმაყოფილებს აირის კულს!) ადგილობრივ ექიმებს არავის იყარებდა, თუმცა თითქმის ხეიბარი იყო — ხერხემალში პატარა გამრუდება ჰქონდა და იძულებული იყო ფიცრებგადებულ საწოლზე წოლილიყო.

ქალაქელები უხეშად ხუმრობდნენ, მოსამართლეს მეფეო ტანი ზიქვებითა აქვს სასევი. მიუხედავად ამისა, აირინმა ორი ვაჟი აჩუქა მხარს — ტოდი და ჩარლზ-უმცროსი; ორივე კენტუკიში დაიბადა — მშობიარობის წინ იქ მიდიოდა ხოლმე, რათა შვილებს უფლება ჰქონოდათ ეთქვათ, ლურჯი ბალახის შტატადანა* ვართო. მაგრამ ის ხალხი, ვინც ირწმუნებოდა ჩარლი კული უზედური კაცია, ცოლი თავის ზნით სისხლს უშრობსო, მაინცდამაინც ვერაფრით ასაბუთებდნენ ამას და როცა აირინი მოკვდა ყველაზე მეტი აუვის მთქმელებიც კი იძუ-

* ბალახის შტატი — კენტუკის შტატის ზემდგომი სახელია.

ლებული ვახდენ ელიარებინათ, მოხუც ჩარლის ეტყობა მართლა უყვარდა თავისი აირინი: როცა აირინს სწუფულებამ ძალიან დარია ხელი და გააქრვეულა, ჩარლი კელმა საოლქო მოსამართლის თანამდებობა მიატოვა და ცოლი ევროპაში წაიყვანა — იმ ადგილებში, სადაც თავისი თავღობის თვე ჰქონდა გატარებული. იქედან კი აირინი აღარ დაბრუნებულა — შვეიცარიაში მიაბარეს მიწას. ამას წინათ კერი უელსმა — ჩვენებური მასწავლებლები ქალია, — ტურისტულ ჯგუფთან ერთად ევროპაში იმოგზაურა. ერთადერთი რამ, რაც ჩვენს ქალაქს კონტინენტთან აკავშირებს — საფლავებია. ჯარისკაცებისა და აირინ კელის საფლავები. კერიმ ფოტოაპარატი გადაიკიდა და გადასწავრტა ყველა საფლავი მუხანაზულებინა. საღამომდე იარა სასაფლაოზე, რომელიც შალალ მთაზე იყო, ზედ ღრუბლების ქვეშ და მინც ვერ იპოვა მოსამართლის ცოლი. საინტერესო კია: წევს აირინ კელი, უღარდელად მაღალ მთაზე და ძველებურად არაფისი ნახვა არა სურს...

როცა ჩარლი კელი შინ დაბრუნდა, დანია, რომ აღარავის სჭირდებოდა. ქალაქში ძალაუფლება პოლიტიკოსების ბანდას, — მესიელფტოლესსა და მის დამქაშებს — ჩაეგდოთ ხელში: ჩარლი კელს ვინღა დასვამდა მოსამართლის სავარძელში! სეველა მოგერეოდათ, მოსამართლე რომ დავენახათ მაშინ — მოხდენილი, კობტად ჩაემული კაცი, მკლავზე — შავი აბრეშუმის ბაგთა, ლიკილოში — პატარა ვარდი; სეველა მოგერეოდათ, ასე უსაქმურს რომ დაინახავდით — ფოსტაში თუ წაივლიდა ან ბანკში, სხვა საქმე არაფერი ჰქონდა. ბანკში მისი ვაჭები მუშაობდნენ — ანგარიშიანი, ზიზღიანად პირმოძუწულები, ტყუპები გეგონებოდათ: ორივე ყვირიანი იყო, ჭიბის ბალმა გვეგონებოდათ, მოღვედილი მხრები, წყალწყალა თვალები... ჩარლზ-უმცროსი, რომელიც ჯერ კიდევ კოლეჯში გამელოტდა, ბანკის თემგდომარის თანამშემწე იყო, მეორე, ტოდი — უფროსი მოლარე. არაფრით არა ჰვადდნენ მამას, ვარდა იმისა, რომ ორივეს კენტუკელი ცოლები ჰყავდათ. სწორედ რძლები განაგებდნენ მოსამართლის სახლს, ორად გაყვეს და სადარბაზო კარიც ცალ-ცალკე გაიკეთეს. ერთმანეთში მოილაპარაკეს და მოხუცი ხან უფროს შვილთან ცხოვრობდა, ხან უმცროსთან. რალა გასაკვირია, რომ ტყეში გასეირნება მოუხდა.

— გმადლობთ, მის დოლი, — და პირი მოიწმინდა. — ასეთი გემრიელი ქათმის ბარკალი ბავშვობის შემდეგ აღარ მიჭამია.

— რასა ბრძანებთ, ქათმის ბარკალი რა სათქმელია, თქვენ ისეთი ვაქცაობა გამოიჩინეთ!

დოლის აკანკალებულ ხმაში ისეთი აღელვება და ქალური რალაც გაისმა, რომ გაკვირვებულ დავრჩი — როგორღაც არ უსდებოდა, უად-

გლო იყო. ეტყობა, კეთარისაყ ასე მოქცევა — საყვედურით შეხედა.

— მიირთვიოთ კიდევ რამე, იქნებ ტორტი გესიამოვნოთ?

— გმადლობთ, მემ, საკმარისია.

მოსამართლემ ეიღეტოდან ოქროს საათი და ძეწვეკი მოიხსნა, მერე ძეწვეკი ლასოსავით გამოსდო მსხვილ ტრატს, რომელიც მის თავს ზევით იყო გამოშვებული: საათი ნაქვისხის სათამაშოსავით ეკიდა ხეზე, რბილი, ყრუ წიწვიო სუსტი არსების გულის ცემასა ჰგავდა — ცოცხანათუღასი ან პატარა ბაყაყისას.

— როცა გესმის დროის მსვლელობა, დღე უფრო გრძელი გეჩვენება. ახლავა დღედავსე გრძელი დღე. — და ციყვებს ბეწვის აღმა აუსნავა ხელი. — ციყვები იქვე ელაგა, თითქოს სძინავთო, ისე მოკუნტულყოყნენ. — პირდაპირ თავში მოუხვედრებია. ზუსტი თვალი გქონია, შვილო.

რასაკვირველია, ვუთხარი ვის ეცუთვნოდა ეს ქება.

— რილი ჰენდერსონმა! — წამოიძახა მოსამართლემ და გვიხარა, სწორედ რაილისგან გავიკვს, რომ თქვენ აქა ხართო! — მანამ გაავებდნენ, აღბათ ასი დოლარის ტელეგრაფები დაგზავნეს — მხიარულად დღემატა მან — მე მკვირი ვირენა ამ ფულზე დარღმა ჩაგდოთ ლოგინად, დოლი მოიღუწა.

— პირდაპირ გაუგებარია, რასა სწალიოდნენ წელან. ისე გაგიფდნენ, კინლამ მოსაკლავად გავგიმეტეს. რისთვის — არ მესმის. ან ვირენას რა მოუყვლიდა? ხომ იცოდა, — იმიტომ წავედიო, რომ თითონ დამშვიდებული ყოფილიყო. ვუთხარი კიდევ, წერილიც დავეტოვე. მაგრამ თუ ავად გახდა... მართლა ავად არის, მისტერ კელ? რაც თავი მახსოვს, ავად არ გამბდარა.

— არც ერთხელ, — კვერი დაუტარა კეთარინმა.

— რა თქმა უნდა, შეწუხებულა. — თქვა მოსამართლემ, ეტყობა, კმაყოფილი იყო ამით. — მაგრამ ისეთი ავადმყოფობა, რააც ასობირინი ვერ უშველის, მაგისთანა ჭალს არ შეეყრება. მახსოვს ერთხელ სასაფლაოს გადაყვთება მოინდომა. აკლამის გაყვთება გადაწყვიტა, თავისთვის და ყველა თქვენთვის, ტელბოებისთვის. მაშინ ერთი ჩვენებური ქალბატონი მოვიდა ჩემთან და მოიხარა: „მოსამართლე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ვანა ჩვენს ქალაქში, ყველაზე ავადმყოფი ვირენა ტელბო არ არის, რომ სიცოცხლეში საკუთარი აკლამის აგება გადაუწყვეტია?“ არა-მითქი, მე ვუთხარი, ასე არ ვფიქრობ-მეთქი, და თუ არის რამე ამაში ავადმყოფობი, მხოლოდ ის, რომ ფულის დახარჯვას აპირებს, მაშინ როცა თვითონ დარწმუ-

ბრუნენ კაპობი
ბალახის სიმღერა

ნებულება, რომ არასოდეს არ მოკვდებამეთქი.

— ეუღს ნურათფერს გამაგონებთ ჩემს დაზე, — გაუბედავად უთხრა დოლიმ. — ძალიან ბევრს მუშაობს და ღირსია, როგორც თვითონ უნდა, ისე ჰქონდეს სახლში ყველაფერი. დამანაშავენი ჩვენა ვართ, ეტყობა, ჩვენ თვითონვე ვუღალატეთ და ამიტომ აღარ დავგვედგომება იმის სახლში.

კეთრინი პირში ბამბის ბურთულები აამოძრავა, თითქოს თუთუნს ლეჭავსო.

— ერთი მითხარი, შენ დოლიველი ხარ თუ ფარისეველი? მოსამართლე ჩვენი მეგობარია და არ უნდა დავუწალოთ, რომ იმ ქალბატონმა და დავვალუმა კინაღამ წაშალი მოგვბარეს.

მოსამართლემ გეთხოვა, კეთრინის ნათქვამი გადასთარგმნეთო. მაგრამ დოლიმ უთხრა, სისულელეა, არა ღირს გამეორებოთ, მერე სიტყვა ბანზე აუგდო, ჰკითხა ციყვების გატყავება ხომ არ იციოთ.

მოსამართლე ჩაფიქრებული იჭდა, თავს აკანტურებდა და ჩვენ თავებს ზემოთ საღაღც შორს, იყურებოდა. რკოსმავდარი, გამქვალავი თვალებით გაპყურებდა ნიავისაგან ათრთოლებულ, ისე ლაქვარდით მოვარაყებულ ფოთლებს.

— იქნებ ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ იპოვა თავისი საყუდელი... ისღა ვიცი, რომ საღაღც არსებობს ასეთი საყუდელი ჩვენთვის, და თუ ვიპოვით, ერთი წუთიც რომ ვიცხოვროთ იქ, შინაც ბედნიერად უნდა ჩაეთვალათ თავი. თქვენს სახლი იქნებ აქ არის, — თქვა მან და შეიშმუნდა, თითქოს ცაში დიდი ფრთები გაშალა და ცივი ჩრდილი მას დაეცაო. — და ჩემიც.

ოქროს საათი მოციქვებდა, წუთებს არათვდა... დრო შეუმჩნევლად გაილია და შებინდდა. მდინარიდან წამოსული ნისლი, ეს შემოდგომის ბურუსი, მთვარის ფერებზედ ვიზნა ბრინჯაოსფერ და ლურჯ ხეებში. გაფითრებულ მზეს, თითქოს ზამთრის ანარეკლიაო, შარავანდი შემოერკალა... მოსამართლე კი ისევ იჭდა, წასვლას არ აპირებდა.

— როგორ? ქალები და პატარა ბიჭი ბედისა და შერიფის ანაბარა დავტოვო? თანაც მაშინ, როცა ის რეგვენები, ღმერთმა უწყის კიდევ რას აპირებენ? არა, მე თქვენთან დავრჩები.

რაც მართალია მართალია — მოსამართლემ ნამდვილად იპოვნა თავისი საყუდელი იმ ხეზე; ჩვენ ოთხში ყველაზე უფრო ეს იმაზე ითქმობდა. გესამოგონებოდათ, რომ შეგებდათ: გამოცოცხლდა, კურდღლის ცხვირით ცმუკავდა, ისევ კაცად იგრძნო თავი, უფრო მეტიც — მზარეველად. სანამ დასაკეცი დანიე ციყვებს ატყავებდა, მე ფიზი შევადგინეთ და ციყვების შესაწევად ხის ქვეშ კოცონი გაეჩაღე, დოლიმ ფრთი ზოთლი მაყვლის არაყი გახსნა, თან თავს იმართლებდა, აცხვალა. შემწვარი ციყვები შე-

სანიშნავი იყო, ნაზი ხორცი პირში გვიდნებოდა და მოსამართლემ ამაყად გამოგვიცხვინა. თი, ჩემი შემწვარი ლოქო უნდა გაქმნოთო. ჩემ მად ვწრუბავდენი მაყვლის არაყს; ფოთლების სუნი და ნახევრად ჩამქრალი კოცონის ბოლი სხვა შემოდგომებს გვაგონებდა, ჩვენ ვოხრავდით და ზღვის ხმაურივით გვესმოდა შინდერის ბალახის სიმღერები. ქილაში სანთელი ბუტუტავდა, სანთლის ვარშემო მოფარფარებ ფარვანები ალს არხვედნენ, თითქოს ალის ყვირელ ბაფთას ჩამაგებულ ტოტებს შორის უკვალავდნენ გზას.

და უცებ რაღაც მოხდა, ფეხის ხმა კი არ მოგვესმა, ბუნდოვანად ვიგრძენით, რომ რაღაც შემოიქრა. ეს რაღაც შეიძლება მთვარის ამოსვლა ყოფილიყო, მაგრამ მთვარე ჯერ არ იყო ამოსული. არც ვარსკვლავები სჩანდა. მაყვლის არაყით ბნელი ღამე იდგა.

— მგონი ქვევით ვიღაც უნდა იყოს, — თქვა დოლიმ და ამით გამოხატა ის, რასაც ყველა ჩვენგანი გრძნობდა.

მოსამართლემ სანთელი ასწია, ფარვანები მოფარფარებ ალს გაეცაღნენ, ხეებს შორის თეთრი ბუ გაფრთხილდა.

— ვინ მოდის? — დაიძახა მოსამართლემ გარისკაცის მტკიცე ხმით. — მიზანსუხე, ვინ მოდის?

— მე ვარ, რაილი პენდეროსონი. — მართლაც ის იყო. ჩრდილიდან გამოვიდა, თავი უკან გადაეწია და იტყანებოდა, მზუტუტავი სანთლის სინათლეზე სახე დამახინჯებული და ბოროტი უჩანდა. — ვიფიქრე, წავლ, ვნახავ როგორ არიან-მეთქი. ხომ არ მიგაფრდებით, ჰა? რომ მცოდნოდა საქმის ვითარება, არასდღეებით არ ვეტყუდი საღაც იყავით.

— შენ არც არავინ გაბრალებს, შვილო. — დაამშობდა მოსამართლემ და მე იმ წუთში გამახსენდა — სწორედ მისტერ კული იყო ის მოსამართლე, რაილის რომ გამოეჭმობა და პორის პოლტონის წინააღმდეგ აღძრა საქმე. ისე რომ, ამით ესმოდათ ერთმანეთისა. — ჩვენ აქ ცოტას ვნებიერობთ, არაყს ვწრუბავთ. დარწმუნებული ვართ, მისს დოლის ესამოგონება, თუ შენც შემოგვიერთდები.

კეთრინი აბუზღუნდა: ისედაც ძლივს ვეტყვით, კიდევ ცოტა სიმძიმე და ჩატუდება ეს ფიქრებში.

ჩვენ შემოვიწროვდით, რომ რაილისთვის ადგილი გაგვეთავისუფლებინა, ფიქრები აჭრიანდნენ და რაილიმ ძლივს მოასწრო ამოსვლა, რომ კეთრინი ქონორში სწვდა და მოქაჩა.

— ეს იმისთვის, წელან რომ თოფს გვიმიზნებოდ, თუმცა მე გითხარი არ გაბეზო-მეთქი! ესეც... — ისევ მოქაჩა და საქმოდ მეთვლიო წარმოთქვა — იმისთვის, რომ შერიფი მოგვაყენე.

მე თუ მკითხავთ, კეთრინი ძალიან უტიფრად იქცეოდა, მაგრამ რაილიმ რაღაც გულთბილად

ჩაიბურტყუნა და უთხრა, იქნებ ამაღამ მართ-
ლაც დაგვირდეს ვინმესთვის თმის მოქაჩვით.
და მოგვიყვია: ქალაქში მღელვარებაა. ხალხი ქუ-
ჩაში გამოუდენილა, თითქოს შაბათიაო. ყველა-
ზე მეტად მისი მალაღობრისება ამღვრევს წყალს,
თავის მეუღლესთან ერთად. მისის ბასტერი ვე-
რანდაზე ზის და ყველას თავის კოპს უჩვენებს.
შერიფმა კენდღმა ვირენა დაითანხმა და თქვე-
ნი დაპატიმრების ორდერს მოაწერა ხელი, ვი-
თომდა თქვენ ვირენას საკუთრება გაიტაცეთო.

— და მისტერ კულ, — თქვა რაილიმ სერი-
ოზული კილოთი, თითქოს დაირცხვინა კიდეც,
— თქვენს დაპატიმრებასაც აპირებენ, საზოგა-
დოებრივი წესრიგის დარღვევისა და მართლ-
მსაჯულების შესრულების დროს ხელის შეშ-
ლის გაზრალებენ. ასე მითხრეს. ალბათ არ უნ-
და გეუბნებოდეთ ამას, მაგრამ ბანკთან თქვენს

ვებს წავაწყდით და ვკითხე, რას აპირებდით.
— თქვენ რომ დაპატიმრებას გიპირებენ, იმაზე
კითხე. და ასე მითხრა — არაფერსო. ველო-
დით კიდევაც მამაჩემისაგან ასეთ რამეს, თავის
თავის მტერი, თვითონ არისო.

მოსამართლე წინ გადმოიხარა და სანთელი
ჩააქრო, თითქოს არ უნდოდა, იმ წუთში მისი
სახის გამომეტყველება დაგვეჩაბა. სიბნელეში
ვიღაცის ტირილი მოგვესმა, ერთი წუთის შემ-
დგ უკვე ვიცოდით, რომ დოლი ტიროდა. დო-
ლის სლუკუნზე, ჩემმა სიყვარულმა იფეთქა,
ჩვენს წრეს შემოურბინა და ყველანი მტკიცედ
დაგვაკავშირა ერთმანეთთან. უცებ მოსამართ-
ლის ჩუმი ხმა გაისმა.

— როცა მოვლენ, მზად უნდა ვიყოთ. ახლა
კი, ყური მიგდეთ...

გაგრძელება იქნება.

ინგლისურიდან თარგმნა
მალენტიან ტატიშვილმა





ნორა ნადისკიკი

მუხა, ვაზი და სამონელი

საქართველოს ბედ-ილალი თავიდანვე სოფელს მიეკავება, თავიდანვე სოფელი გახდა სიღვრი ქართული გენიისა, იმან ზიდა მძიმე უღლისქვეშ ქართველობა, შეიფარა ქართული ენა და პანკა.

იმთავითვე სოფელს იმედის თვალთ შვსცქეროდა ერი და ბერი, ქართული სახელმწიფო ემთავითვე სოფელსა და მის მაგარ ბურჯს გლეხკაცს ეყრდნობოდა. დაქცეული ჩვენი სამშობლო შედარებამს სოფლიდან იწყებდა აღორძინებას. თუკი გლეხკაცი ხნულში თელს ჩაადებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას მაჯა სასიცოცხლოდ უცემდა.

ეს დიდი და ძვირფასი ტრადიცია იყო, ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება, ახლაც თვალყური სოფლისკენ ვევირავს, იმედის თვალთ მას შევეუბრებთ, რადგან ქართული სულის დვრიტა ახლაც სოფელში გვეგულება, ქართული მაჯა იქ სცემს, ხოლო დედაბოძად ქართველობისა კვლავ ის მზით გარუჯული გლეხკაცი გვესახება.

მადლობა დმერთს, დღევანდელ სოფელს ქირისუფალი შერჩა, მიგრაცია ძირითადად მთის სოფლებს შეეხო, ბარის სოფლებს კი თანამედროვე ტექნიკამ, სხვადასხვა სახის ტრაქტორებმა, კულტივატორებმა, ვენახის საწამლაგმა და ჩაის საკრეფმა მანქანებმა, ნაირნაირმა სასუქებმა და სხვა სიკეთემ მოუსწრო და შრომა გაადვილა. ცხოვრება სოფელში გაუმჯობესდა. აჰან კი ცოტათი შეაჩერა ქალაქისკენ ახალგაზრდობის ლტოლვა. თუმცა „უმაღლესში შესვლა“, „ქალაქში მოწყობა“ რატომღაც კვლავ სანატრელ ოცნებად დარჩა დღევანდელი ქართველი ყმაწვილისათვის. ამ ლტოლვას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი სოციალური ფესვები, საქირია ამაზე დროზე ითქვას სიმართლე.

არსებობს მოსაზრება, თითქოს რომელიღაც ერთი ნაწილი ახალგაზრდობისა სტოვებს სო-

ფელს, იმიტომ რომ ისინი ცუდები არიან, ხოლო მეორე ნაწილი ახალგაზრდობისა სოფელში რჩება საშუაოდ, იმიტომ რომ ისინი კარგები არიან. ეს მოსაზრება გულუბრყვილოა და მცდარი.

ახალგაზრდობის ქალაქისკენ ლტოლვას ღრია, მეცნიერული ანალიზი ესაჭიროება, რაც ცალკე მსჯელობისა და სოციოლოგიური კვლევის საგანია. ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ, ერთს კი შევნიშნავთ: ახალგაზრდობის ორივე ნაწილი კარგი და ცუდიც ქალაქისკენ დაეინებით მოისწრაფის, ერთს გულწრფელად აინტერესებს სწავლა, მეორე კი „იოლი ცხოვრების“ საქებრად აყრილა სოფლიდან.

შესაძლოა, ერთმაც და მეორემაც ქალაქში დაიდოს ბინა. ერთმა ისწავლოს და განსწავლული კაცი გამოვიდეს, მეორემ ცუდუღებობით გაიკვლიოს გზა და „დილი“ კაცი ვახდეს. სულერთია, მოვა დრო და, ერთიც და მეორეც სოფლისკენ დაიწყებს ცქერას, ერთსაც და მეორესაც მამა-აპაბული კერის ვაჩაღების, მშობლიური მთავორების მოსიყვარულების სურვილი მიეძალება: თუკი ახალგაზრდობისას ქალაქისკენ მოისწრაფოდნენ, ხანდაზმულეობა პირს სოფლისკენ იზამენ. გაფაციცებით დაუწყებენ ძებნას მიწის ნაკვეთებს, სამოსახლოებს, აგარაკებს.

ეს არ იქნება მხოლოდ ფუფუნებისკენ სწრაფვა -- მშობელი მიწა სიკვდილის წინ თავის უიღებს დაუძაბებს. ამ დროს სოფლის, სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ემსგავსება; სამშობლოს სიყვარულით იფუთვებს ხოლმე და გზაარეული შეიღს თავის ბუდღეს დაუბრუნებს. ეს „დაბრუნება“ კი, ჩვეულებრივ, დაგვიანებულია, სოფელი მაშინ არის ლამაზი და



მომხიბლავი, როცა იქ ვახს ახარებ, საქონელს მოაშენებ, ხეებს დარგავ, ფრინველებს გამოზრდი, მამა-პაპულ ფუფეს გაამაგრებ.

მართალია, გზარეული შვილები ჩვენს სოფლებს ბლომად ჰყვანან, მაგრამ ერთგულებიც არ გამოლევი. ის ადამიანები, ვინც სოფელი არ

მიატოვ, ვინც ვაზი ახარა, საქონელი მთავრად მამაბაბეული ფუფე ვაამაგრა, თავისი მშრომლობით სოფელს არგო, მხარდაჭერისა და წახალისების ღირსი არიან. ეს ჩემი ნარკვევაც იმით ეძღვნება, იმათმა სიყვარულმა დამაწერინა ეს სტრიჟონები.

მ უ ხ ა

— აქედან იწყება საყონდილო, — შეუბნება გივი ელიავა და მანქანის ფანჯრიდან მიხედვებს ვასცქერის. ბანძაში იგი სარიტუალო ხეს მიჩვენებს, ხოლო მარტივს რომ მიუთხალოდით, ჰყონდიდელთა ამბავს მიყვება.

— თქვენ კარგად იცით, ბატონო, რას ნიშნავს ჰყონდილი — ღიღი მუხა. იქ, საცა ახლა მარტივლის მონასტერის, თურმე ის ხე — ღმერთი, — ჰყონდილი მღვარა — მანქანიდან მიჩვენებს მარტივლის მონასტერს. — ის მიდამოები; მარტივლის ფერდობი, საელიაოს დიხავერტულა, ნახუნის ნაცეხვარა ძალზე საინტერესო აღვიღებო.

გივი ელიავა გეგეჰქორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია, დავერეხებული მეცნიერი, კარგი ეთნოგრაფი, რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორი. მას არასოდეს უფიქრია სოფელს ვაქცეოდა, პირიქით. უმარტივლოდ ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. ნაბიჯ-ნაბიჯ შემოქმედია მთელი დასავლეთ საქართველო, ჩუქურთა იმეითი თქმულებები, ლეგენდები, ტომონიმები და მათთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემები. შეუძლია შთაგონებული და დამარწმუნებელი საუბარი.

— ხალხის რწმენით, — მიამბობს იგი, — მუხაში ჩაუღებულ ლეთის სულსა და ძალს სცემდნენ თაყვანს და განსაკუთრებულ სარიტუალო ღდესასწაულს — „ღმადვიმირის“ ღდესასწაულსაც კი მართავდნენ მუხასთან. მუხაში განსახიერებული ეს ღვთაება კაბუნია ყოფილა. შემდეგ ეს მუხა ანდრია მოციქულს მოუჭრია. ხალხს კი კაბუნობის წმინდა სარიტუალო წესთა შესრულება ოჯახებში ვადაუტანია.

„ეს ახლაც ეტყობა ძველებური ყაიდის კარმიდამოებს“ — გამიელვა თავში და გონების თვლით შევიხედე თეოფილე გაბუნისა, იოველ გაბუნისა და ბოშაია გაბუნისა ეზოებში. იოველა და ბოშაიას ასწლოვანი ცაცხვის ხე უღვალთ ოდა სახლის წინ, თეოფილეს კი უფრო უხნესი იფანი.

მასსოვს ბაბუაჩემსაც, როცა ახალი ოდა დაიდვა, ოდა სახლის წინ შუა ეზოში ცაცხვის ხე დარგო.

საფიქრებელია, რომ თავის დროზე მეგრელი მეურნე ეზოში მუხას რგავდა და მის ძირას „ღმადვიმირს“ ლოცულობდა. შემდეგ ალბათ, ქრისტიანობის შიშით მუხა თავისი კარმიდა-

მოდან გააძევა, მაგრამ ხეს მაინც ვერ შეეღია, ეზოში უნაყოფო ხის დარგვა ცხოვრების წესად ქცეოდა და ხან ცაცხვი დარგო, ხან იფანი...

იქნებ ცაცხვი მუხის მაკვირობას უწევდა და ჩუმად მაინც თავის ძველ ღმერთზე ლოცულობდა.

იქნებ მუხის გაღმერთებამდე, საერთოდ ხეს — ჯას აღმერთებდა?

როცა ჩემი ნააზრევი გივის ვუამბე, მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— შესაძლოა, რატომ არა, — მითხრა მან ჩვეული სიმშვილით — ერთი რამ კი დღესაც ნათელია ჩვენს კეთხეში ის დიდი მუხა-ჰყონდილი, ყველაზე აქტიური ღვთაება იყო, უამრავი თქმულებები, ტომონიმები და გადმოცემები ამას ადასტურებენ. ჩვენს მეცნიერებსაც ეს კარგა ხანია დამტკიცებული აქვს.

— და მაინც კარგად შესწავლილი არ არის მუხა და მასთან დაკავშირებული თქმულებები და გადმოცემები.

— რა თქმა უნდა, არ არის შესწავლილი და უბედურება ისაა რომ, დაგვიანებულიყო, — ნელვლიანად მეუბნება, — ერთი ოროციდათი წლით მაინცა ვართ დაგვიანებული...

— თქვენი შეკრებილი თქმულებები, ლეგენდები და ტომონიმები მაინც გამოაქვეყნეთ დროზე — ვიცი, რომ მას ბევრი რამ საინტერესო აქვს გამოუქვეყნებელი.

— კი, ბატონო, ახლა ჩემი მცირედი ნალაწი ალბათ მალე იხილავს დღის სინათლეს, აკადემიკოსმა სერგი ჭიჭიამ მოაქცია მას ყურადღება, მოეწონა და მუხმარება, გამოსაცემად ვამზადებთ.

— კი მაგრამ სად არის მუხა? — უცებ საიდანაც გამიელვა ამ აზრმა და გაკვირვებული მივაჩერდი გივის. მანქანა გავაჩერეთ და გადმოვიდეთ, ინჩხიას ხეობას ვავხედეთ.

— რომელი მუხა? — დაბნეულად გამიღიმა მან.

— ჩვენებური მუხა, ის მუხა, რომელსაც ვაღმერთებდით, თაყვანს ვეცემდით. ეტყობა ამ მიდამოებში, — მარტივლის შემოგარენში მუხა ხარობდა.

— ოო, უსათუოდ, ბატონო! — ვივი მიმიხე-

ნოდარ წულავისკირი
მუხა, მუხი, სამონილი



და, რასაც ვეკითხებოდით და გამოცოცხლდა — მუხას ვაშლილი ველი უყვარს, მთაში და კლდე-რქეში მუხა არ ხარობს, მარტვილის შემოგარენში მუხა ხარობდა კი არა, მთელს აბაშის ქალაქში მარტვილამდე მუხის დიდი ტყეები გვეყვნა. ეს უდავოა!

— დღეს ჩვენ ტეხურისა და აბაშის ქალები გავიარეთ, ახლა იჩინახს ხეობას გადავყურებთ, მუხა კი ჭერ არსად გვიჩინახვს — სედილიანდ ვთქვი მე.

— ვერც ნახავთ, ბატონო, მუხა აღარსად არის, ზღდა ზონაში თუა სადმე, ბარში მუხას ვინ გააჩერებს. თანაც ეს ერთი და ორი წლის

ნამოკმედარი კი არ არის. მე რომ მოვდივარ თი წლის კაცი ვარ და ამ მიღამოვმარტვილამდე მახსოვს, არც თქვენ გახსოვთ ალბათ.

— არა, არც მე მახსოვს, — მივეუბნე მე — ჩემს ბავშვობაში, ომის დროს, აბაშის პარას, წისქვილთან ერთი ბებერი კაკლის ხე იდგა. ეგ იყო და ეგ.

— ისე, მართლა საინტერესოა, სად გაქრა ასე უკვალოდ ჩვენებური მუხა. — ჩაიდუღუნა მან და მანქანაში ჩაჯდა. შოფერმა მანქანა დაძრა. გვიმ კვლავ განაგრძო ჟურნალისა და ჟურნალისტის ამბავი.

მ ა შ ი

საქონლიდო ვაზის სამშობლოც არის, კერძოდ, ოჯალუმის.

წითელყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის ოჯალუმში ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშის ვაზია. იგი არ არის მსხმოიარე, მაგრამ ძალზე მაღალი ხარისხის ღვინოს გვაძლევს. ამიტომ მეგრული გლეხკაცი ოდითგანვე თავს დასტრიალებდა მიზეზიან ოჯალუმს და ბევრ ჩემს და ჰეიტელურს ცოტა ოჯალუმს არჩევდა.

სამეგრელო მდიდარია ვაზის ჯიშებით. ცნობილ ქართველ მეცნიერს მ. რამიშვილს აღწერილი აქვს ვაზის ძველსძველი ჯიშები: ჰეიტელური, ჩერგვალი, აფხაზური, ჩეჭიფეში, ჩემი, ოჯალუმი, პანეში, ავშილური, ხარისთვალა. ამათ გარდა, მე ხალხში სხვადასხვა დროს გამოიჩინა შემდეგი სახეობები ვაზისა: ფიმუნდი, კიკაჩე, ხარდანი, დღუნდუში, ეგუზგური, კოლოში, პუმპულა, კაპივი, ფრანგულა.

თითქმის ყველა ეს ჯიში მაღლარი ვაზი ყოფილა. ვახუშტი ასე ახსიანთებს ოდიშის ჯერებს: „ვენახანი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი, აქა არს ღვინო ზარდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალაიანი და ქებული ყოფელთა შინა“.

ღიან, „ძალიანი და ქებული“ ყოფილა ოჯალუმისა და ჰეიტელურის ღვინოები, მაგრამ საქართველოსთვის რაც თურქობას და არაბობას დაუკლია, გასულ საუკუნეში ის ფილოქსერას მოუთავებია და „ვენახანი მაღლარნი“, ზღაპრული ჯერები ოჯალუმისა, ჩემისა, ჩეჭიფეშისა, მიწასთან გაუსწორებია. ზოგი ჯიშის ვაზი სულ მთლად ამოუგდია და ხალხის მეხსიერებას იმ ვაზის მხოლოდ სახელი შემორჩენია. ზოგი კი თითო-ორთა ჩარჩენილა სალხინოსა და ნაიკოფში, გოდოფანსა და ხორში. გოდოფანში, ახლახან, ირაკლი ლუშიამ თავის ეზოში გვაჩვენა დღუნდუმისა და ეგუზგურის მსხმოიარე ვაზი.

ქართული ვაზი, რა ჯიშისაც არ უნდა იყოს იგი, ამოსაგდებად და გადასაშენებლად არ გვე-

მეტბა. ყოველ ჯიშს აქვს რაღაც ღირსება. ზოგი არამატულ ყურძენს გვაძლევს, ზოგი ხანდარას უკეთ ეგუება, ზოგი უცხო გემოსი, მეტად თავისებური ღვინის მომცემია, ზოგი საფურავად გამოიყენება და ა. შ. კარგი მეურნე არც ერთი ჯიშის ვაზს არ ჰკრავს ხელს, ყველას გამოიყენებს, მით უფრო ოჯალუმს. ოჯალუმი ხომ ჩვენს საუკეთესო კახურ ღვინოებსაც კი უტოლდება.

საოცარი ბედი ეწვია ამ ვაზს, — დაღუპვას ძლივს გადაურჩა. ბედად, გასულ საუკუნეში მას ყურადღება მიაქცია სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა, და სოფელ სალხინოში მოაშენა. შემდეგ დადიანის სიძემ აშოლ შურაბტმა კიდევ უფრო გააფართოვა ოჯალუმის ნაკვეთები. 1912 წლის სტატისტიკური მონაცემებით ოჯალუმს სამეგრელოში მხოლოდ 16 ჰექტარი ფართობი ეკავა. შემდეგ კი ეს ფართობი თანდათან შემცირდა...

პირველად ამ ოციოდ წლის წინათ მოკარი ყური რომ ოჯალუმს ყურადღება მიაქციეს, სალხინოში არსებულ ვენახს მზრუნველი თავალით შეხედეს, შემდეგ თანდათან გააღვირდა ეს ყურადღება და 1965 წელს ბანძაში შეიქმნა ოჯალუმის მეურნეობა. ეს უკვე დაუკარგებელი იყო. ოჯალუმი ფაქიზი ვაზია, მას უყვარს კირქვიანი და ტკილიანი ნიადაგი, მზიანი ადგილი, ხანდარებს ცუდად ეგუება, ამიტომ მთის ფერდობში ურჩევნია. ფერდობზე წყალი არ ჩერდება, ადვილად ირეცხება, ნიადაგი ზედმეტი ნალექისაგან სწრაფად თავისუფლდება, მზეც უკეთ აცხუნებს. ბანძაში კი მწირი ნიადაგია, ენძიანი ვაკე-დაბლობი, რაც ოჯალუმს არ უყვარს. ზოგი სკებტიკურად შეხვდა ამ წამოწყებას, არ სურდა — ბანძაში ოჯალუმი არ იხარებდა. სამწუხაროდ, ამ აზრს ბევრი იზიარებდა და ამტკიცებდა, ბარის სამეგრელო მევენახეობისათვის უვარგისიაო. ეს აზრი ჩეღარო უნდა იყოს. დავიწყეთ თავიდან.

როგორც ცნობილია, ამერიკულ იზაბელას სა-



მეგრულში ერთი საუკუნის ისტორიაც არა აქვს, ხოლო ცოლიკოური ჩვენი საუკუნის ოც-დაათიან წლებში შემოვიდა. მაშ, მანამდე რა ვაზი ხარობდა ბანასში და, საერთოდ, ბარის სამეგრეტოში? რა იყო ის „ღვინო ზარდაგი ფერის-სათვის ეგრეთ წოდებული, ფრიალ კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“ ეს ღვინო, რა თქმა უნდა, ოჯალეში გახლდათ. ხალხს უყვარდა იგი, ძველებური, მამაპაპური, წითელი ღვინო — კითა ოჯალეში.

გეშვი, გეშვი,
ახალი დო ჭვეშია
გვეყურწი დო ქათადაცი
კითა ოჯალეშია.

მღეროდა გლეხკაცი, მღეროდა ისე, როგორც ჩელაზე და ბუსკაზე მღეროდა. ოჯალეში მისთვის მახლობელი იყო, განუყრელი იყო, საოჯახო ღვინო იყო და იმიტომ მღეროდა მასზე ისე, როგორც თავის ერთგულ მეგობარზე ხარზე მღეროდა.

შეიძლება უფრო შორსაც გავიხედოთ; წარმართული ლოცვა-რიტუალები მეტწილად ქვეყრის მოხდით და მასთან სახლეთულის დალოცვით მთავრდებოდა. მარაში ქვეყრები ძირითადად ასე იყო განაწილებული: ოღუღ დი ა ვრქევა სახლეთულის უფროსისათვის განკუთვნილ ქვეყრს, ამ ქვეყრის თავზე წელიწადში ერთხელ ოჯახის მეთაური ლოცულობდა. ო და ბ ა დ ე ქვეყრე დაბადების დღისთვის, ლხინისა და ზეი-მისათვის იყო მიჩნეული. ცალკე ქვეყრე ჰქონდა, აგრეთვე, ოჯახის უფროს ვაჟიშვილს, განაკუთრებით ყურადღების ღირსია საღმრთოს-ა ო ხ ო რ ო — ეს ქვეყრე მზის ღვთაებისადმი იყო განკუთვნილი, ამ ქვეყრის თავზე ოჯახის უფროსი აღდგომის დღეს ღეს ქრისტიანობის შემდეგ, ქრისტიანობამდე მზის დღეს — ჯამხას) ბატკანს ან გოჭს დაკლავდა, ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა ბურის ყვერებს ყველითა და კვერცხით. მამასახლისი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დაღვედა და არც თამბაქოს მოწედა, ამასთანავე ოჯახში სიმშვიდეს იცავდა და ყოველგვარ უსიამოვნებას გაურბოდა, შუადღისას ხონჩაზე დაწყობდნენ ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და მამასახლისი გაწყობილ ხონჩას მარაში წაიღებდა, დადგამდა საღმრთო-საოხროო ქვეყრის თავზე, დაუძახებდა ვაჟიშვილებს, დი-ჩოქედნებს და მამა ასე დილოცებოდა: მზის დღევ, ბედნიერო და მშენიერო, ვლოცულობ ჩემი შვილების კარგად ყოფნისათვის, — შენ დაიცივი ჰირისა და ფათერაკისაგან. ღმერთო, ბატონო, დღეის ლოცვა შენ შემარგე ცოლშვილიანად, მოსავალი ბევრი მოიყვანე, საქონელი გაზარდევ, კაცი გააბედნიერე და ჩემს სამოსახლოზე დამაბერეო. ლოცვის დასასრულს ის ქვეყრს მოხდიდა, ხაბით ამოიღებდა ღვინოს, დაილოცებოდა და შესვამდა, შესემედა ვაჟიშვილებსაც.

ბუნებრივია, ასეთი ტრადიცია, მარანთან და ქვეყრთან ასეთი „სადგოთ“ დამოკიდებულებები ქვეყანაში არ წარმოიშობოდა, საცა ვაზი არ ხარობდა. პირიქით, წარსული უფლებას გვაძლევს უფრო თამამად ვილაპარაკოთ ჩვენს ერთგულ საუნჯეზე, — ვაზზე: ხომ ცნობილია, რომ არგონავტებს აიეტის სასახლეში შადრევნები დახვედრიათ, საიდანაც ღვინო ჩქეფდა. კოლხეთი ყოფილა ზღაპრული ქვეყანა, საცა აღმანიამა პირველად დაიწახა მაღლარი ვაზი და პირველად იგემა ყურძნის გემო. კოლხეთი ყოფილა ვაზის სამშობლო და მთელ მსოფლიოში იგი აქედან გავრცელებულა. ასე ფიქრობდა დიდი ჰომეროსი და ჩვენც ასე უნდა ვიფიქროთ. ვანა ჰომეროსის აზრს არ ამტკიცებს ქართული სიტყვა „ღვინო“, რომელიც მსოფლიო ხალხების თითქმის ყველა ენაშია შესული? ვანა ამას არ ამტკიცებს ჩვენი ვაზების ჯიშთა მრავალფეროვნებაც — მსოფლიოს მევენახეობის არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი ჯიშისა და სახეობის ვაზი, რამდენიც ჩვენშია, ის საღვთო დამოკიდებულებაც მარანთან და ქვეყრებთან სწორედ ამის საბუთი არ არის?

რა თქმა უნდა, ეს ასეა. საქართველო ვაზის სამშობლოა, დიდხანია ეს ცნობილია და მაინც ჩვენ საუკუნეთა სიღრმეში შევიხედოთ და გონების თვალთ მთავადეგნოთ ჩვენი წინაპრის საქმიანობას. ამბობენ, მეორე კულტურა ხორბლის შემდეგ, რაც ქართველმა კაცმა მოაშენა, ვაზი იყო. მართლაც, დავაკვირდეთ შემდეგ სიტყვებს: ვ ე ნ ა ხ ი, ყ უ რ ძ მ ე ნ ი, მ ა ქ ა რ ი, ღ ვ ი ნ ო.

ეს ფუძეენისეული სიტყვები უნდა იყოს იმ დროინდელი სიტყვები, როცა ქართველი ვრი ერთ ენაზე მეტყველებდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი მეგრული და სვანური.

მაგ:
ქართული — ვენახი ქართული — ყურძენი
მეგრული — ბინეხი მეგრული — ყურძენი
სვანური — ბინეხი სვანური — ყურძენი
სვანური — ვენახ. სვანური — ყურძენი

ასევე, მაჭარი ყველგან მაჭარია და ღვინო ხომ ყველგან ღვინოა. მაგრამ არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ამ კანონზომიერებას არ ემორჩილება და რომელიც ძალზე საყურადღებო სიტყვად მიგვაჩნია, ეს არის — ნე. იგი არ იცის არც ერთმა ქართველურმა ენამ, გარდა მეგრულისა, ჩვენის ღრმა რწმენით კი ესეც ფუძეენისეული სიტყვაა და ისევე ძველია, პირვანდელია, როგორც ვენახი, ყურძენი, მაჭარი, ღვინო და ა. შ.

ნე ახალაწურული ყურძნის წვეინა. კახეთში მას ტყბით ემახიან, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი პირველი და ნამდვილი სახელი. ქარ-

ნოდარ წაღიისკირი
მუხა, მუხი, სამონილი



თულში ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. ჩვენს მოსაზრებას ამავრებს მეორე სიტყვა-ფელამუში, ფელამუში ალბათ სხვა არაფერია, თუ არა ფელა-ნე-ში, ე. ი. ფაფა-ნე-სი. მეგრულში ფელამუშის პარალელურად იხმარება ფელა-ნე ში, ცხადია, ფელანუში პირვანდელი სახეა ფელამუშისა.

სურათი წარმოგიდგება ასე: ქართველმა კაცმა, იმ პირველმა მევენახემ, რომელმაც ტყეში ვაზი იპოვა და მისი ნაყოფი იცემა, ჯერ მცენარეს გამოუნახა სახელი — ვენახი (საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში ვენახი ერქვა ერთ ძირ ვაზს), შემდეგ მის ნაყოფს — ყურძენი დაარქვა, ხოლო შემდეგ ყურძენს წვენი გამოადინა და ამ თავის პირველ ნაღვესაც სახელი უწოდა — ნე. რაი ტკბილი წვენი მიიღო და ეს სასიამოვნო სასმელი აღმოჩნდა, ახლა იმაზედ დაიწყო ფიქრი, თუ რა დაემაზღებინა ამ წვენისაგან. მან ამ დროს უკვე იცოდა ფადის მოხარშვა, ღობის მოხარშვა, რათქმა უნდა, პურის გამოცხობაც. რა წესითაც თავის დროზე ფაფა მოხარშა, ან ღობი, ფელამუშიც იმავე წესით მოადღა. სხვადასხვანაირ ფაფებს, ღობს და ელარჯსაც კი ძირითადად ხარშავენ ერთი წესით: ჯერ წყალს მოადღებენ, მოდღებულ წყალში ფეკლის ჩაყრიან და მოურევენ. ამ მარტივი წესით მოდღებულ იქნა პირველი ფაფა ნესი და მივიღეთ მშვენიერი ფელამუში.

ჯაღონსური წვენის წარმოება, ბუნებრივია, გაგრძელდებოდა, რადგან ასეთი ტკბილი აღმოჩნდა წვენიცა და მისი ფაფაც, გაჩნდა სურვილი ბევრი ყურძნის დაწურვისა. ბევრი ყურძნის დაწურვამ ბევრი წვენი მოგვცა და ადამიანმა წვენი ხეალისთვის შეინახა. შეინახა და მოხდა სასწაული, ტკბილი წვენი მაჭრად იქცა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მაჭრისგან ღვინო მიიღო.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია სიტყვათა წარმოშობა წარმოვიდგინოთ იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც „მოიშინაურა“ ადამიანმა ტყეში ნახული საყვირველი მცენარე: ვ ე ნ ა ხ ი, ყ უ რ ძ ე ნ ი, ნ ე, ფ ე ლ ა მ უ შ ი, მ ა ჯ ა რ ი, ღ ვ ი ნ ო. ხოლო ჩუბჩებლა, ტბალისკვერი, ქიშიში, არაყი და ა. შ. ცხადია უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, რადგან მათი წარმოების წესი ვართულებულია.

მაშ, რა გამოდის? პირველი სიტყვები, რომელიც ქვეყნად ვაზის გაჩენას მოჰყვა, ვენახი ყურძენი, ნე, ფელამუში, მაჭარი და ღვინოა. მათგან ერთი სიტყვა ნე მხოლოდ მეგრულშია ჩარჩენილი. აღსანიშნავია, ისიც რომ ძველისძველი ქართული სიტყვა — ფელამუში, როგორც კი ქართულმა მწერლობამ ამოატიკტივა, ხალხმა მაშინვე იგრძნო მისი მშობლიური არამტიკ და გაუგებარი, ალოგოკური ასოციაციების გამომწვევი სიტყვა „თათარა“ ძირითა-

დად გააძევა, უფრო ფართო გზაზე წავიდა დაუთმო.

როგორადაც არ უნდა აიხსნას მეცნიერულად ნეს არსებობა დღევანდელ სასაუბრო მეგრულში და ფელამუშის მისგან წარმოება, ერთი რამ ჩვენთვის ასე თუ ისე ნათელია: კოლხეთი ვაზის საშრობო იყო, აქედან გაერყედა ვაზი არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. და სულაც არ არის გასაკვირი აიეტის სასახლის ის შადრევნები, საიდანაც ღვინო ჩქედა.

ახლა საკითხავია, სად არის ის ზღაპრული კოლხეთი, ის წალკოტი, ის ედემის ბაღი, სადაც ძველი ბერძნები თუ ფინიკიელები შეეყურძნენ მიირთმევდნენ?..

სამწუხაროდ, ახლა აღარსადაა ის ედემის ბაღი, იმ გზაზე არგონაეტებმა რომ გაიარეს, ახლა ვაზის მაღლაგზნე ვერსად შეხვდებით, ფლორიდან ქუთაისამდე არა მგონია ვინმე იმ ზღაპრული წალკოტის თუნდაც კვალს მიაგნოს.

დრომ თავისი გაიტანა, მსახურალი ხელით ზღაპრულ კოლხეთთან ერთად თან წაიღო ედემის ბაღები, ჰეკატეს ბაღები და წალკოტები.

თავი დაეანებოთ შორეულ წარსულს, სულ ახლახან, შარშან და შარშანწინ სამეგრელოსა და იმერეთს თავს დაატყდა გასაოცარი ძალის გრივალი. ვისაც არ ვვითხე, მსგავსი ქარები საქართველოში არავის ახსოვს.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ სამტრედიიდან რომ გახვალათ, ფოთამდე თითო-ორიოლა ძირი ხე დგას, ქარს რა დააკაეებს, წინ რა დაუღდება?

ხოლო იმ დროს, ვი როდესაც კოლხეთზე ამაღლებული მთები და ზღაპრები იქმნებოდა, საქართველო უღრანი ტყეებით იყო დაფარული. მაშინ ჰავაც სხვა იყო და წყალიც სულ სხვა, მდინარეც უფრო წყალუბვი მოედინებოდა. მაშინდელი ქართველებისათვის, რომლებიც რიონის, ენგურის, ტეხურის და ამაშის პირას ცხოვრობდნენ, საეჭვო სულ არ იყო შარის მიწა, ვაზი ყველგან ხარობდა. სხვადასხვანაირი, სხვადასხვა ფერისა და ჯიშის ყურძენით იხუნძლებოდა თბმელისა და ხურმის ხეები, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული, ყველაზე მთავარი, თავმოსაწონებელი და საამაყო ვაზი იყო ოჯალეში. როგორც თვით სახელწოდებმა გვიჩვენებს ხის ვაზი, ხეზე მცოცავი ვაზი.

ოჯალეშის მაღლარებით დაფარული იყო მდებლიე სამეგრელო, მათ შორის ალბათ დღევანდელი ბანძის ტერიტორია.

ყოველივე ეს ბანძის მიწამ და ჰავამ რამდენიმე წელიწადში დაამტკიცა.

1965 წლის 23 თებერვალს, ბანძის მკვიდრის იოველ გაბუნის ინიციატივით, ე. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეების მხარდაჭერით, რაიონის ხელმძღვანელობამ საქართველოს კო-



მუნიტრები პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, ბანძაში ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზახანე შექმნილიყო ოჯალეშის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ერთხელ კიდევ ყურადღებით შეისწავლეს საკითხი და მეტად საინტერესო, საჭირო პატრიოტულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს.

ახაშის ჭალაში რამდენიმე ათეულ ჰექტარზე ქართული მზისა და მიწის იმედით, გლეხკაცის გამრჩე მარჩვენის იმედით ჩაყარეს ოჯალეშის პირველი ნერგები.

მას შემდეგ ხუთმა წელმა გაიარა, ოჯალეშმა გაიხარა, მეურნეობაში წმინდა ოჯალეშს 105 ჰექტარი დაეთმო, ხეხილს — 70 ჰექტარი, დაფენას — 8 ჰექტარი, სხვა ჯომის ვაზს — კიდევ რამდენიმე ჰექტარი. ჩაი ბანძაში ყოველთვის ხარობდა, ჩაის თვალწუწვდენელ პლანტაციებს ახლა ორას ჰექტარზე მეტი ზვარი და ხეხილის ბაღი მიემატა. მოლონიერდა, წელში გაიშართა სოფელი.

— ნახეთ ოჯალეშის ზერები? — მეკითხება პარტიის გვეჯკოორის რაიკომის მდივანი ნოდარ ჩხოლარია.

— რა თქმა უნდა. ვნახე — ვეუბნები მე. — ზურცილაყას კარიდან თუ შეხვედი ვენახში?

— არა, კანტორის უკან ვაღავედი, ქორცი ვაბუნისა კარისკენ.

— ო, ახლა ჩვენ ერთად წავიდეთ და მე ვაჩვენებ ნამდვილ წალოტს, — მითხრა მან და ჩვენ ბანძაში წავედით.

შურთა ზურცილაყას კარ-მიღამოს გვეცილდით თუ არა, ჩვენი მანქანა მართლაც სამოთხის დარბაზში შესრიალდა. ნოდარ ჩხოლარია მანქანიდან გადმოვიდა და ბავშვებით ალტაკებულ შვიიდა ვენახში.

— სამეგრელოში გინახავთ ასეთი ვენახი? — მეკითხება და თვითონვე პასუხობს — კახეთის ზერებს არა ჰგავს?...

ჩვენ დიდხანს დადიოდით აღმაღალმა მზით გაჩახანებულ ოჯალეშის ზერებში, კმაყოფილებით და ბედნიერებით ვიყავით იმით, რომ დიდი და ძვირფასი ტრადიცია გრძელდებოდა, ოჯალეშში ბანძაში ხარობდა, ეს ნათელი იყო, ამას ამიერიდან ვერავინ უარყოფდა.

რაიკომის მდივანი ნოდარ ჩხოლარია და მეურნეობის დირექტორი იოველ გაბუნია ამ საქმის წამომწყებნი და ხელმძღვანელებნი არიან, ინიციატორობა და ხელმძღვანელობა ერთია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ვინც ვაზს შეილივით თავს დასტრიალებს, ვისაც ხელში თოხი და ბარი უჭირავს, ვინც თავისი ალალი შრომით სიხარულს ჰგვრის ყველას, თავისთავს, თავის ცოლშვილს, მთელს სოფელს. ასეთი კაცი შეგულდება ბანძაში და მასთან მივდივარ. ბავშვობიდანვე მემსის მისი სახელი — შალვა დარ-

საველიძე, ბავშვობიდანვე ვამაჩემმა და ბიძაჩემმა ჩამაგონეს შალვო დარსაველიძის კაცობრივ თონასა და ბარევიცი არიან პატიოსნები და ყაჩაღები, თავიანთი საქმის მცოდნენი და არ მცოდნენი. ვისაც შალვო დარსაველიძის მუშაობა უნახავს, მას უნახავს ბედნიერი კაცობრი ბუნებასა და ადამიანს შორის, უგრძნვია მიწის ქუშარიტი სიყვარული და მიწის დამუშავება შალვიკობურად მონატრებია.

მაინტერესებს, რას მეტყვის შალვო, როგორ შეაფასებს ოჯალეშის ზერებს, სოფლის სიახლეს მოიწონებს თუ არ მოიწონებს.

შალვო დარსაველიძის კარ-მიღამოს ცისფერი რკინის ჭიშკარი ამშვენებს ელექტროზარითა და ზედ მომწვარი კაქიქის თალარით. შევდივარ მშენად მოხასხასე ეზოში.

— დიდი საქმე გაკეთდა, კარგი საქმე გაკეთდა, — მეუბნება ის და დინჯად ახვევს თუთუნს ქალაღში — აქამდეც უნდა ვვეფქტრა ამხუხალხმა ამოისუნთქა, ვისაც მუშაობა შეუძლია, ის კარგად ცხოვრობს. მე და ჩემი ცოლშვილი, ყველანი ერთად ვმუშაობთ მეურნეობაში, რთა კარგად ვიმუშაებთ იმ თვის 700-800 მანეთი მოვაკავს სახლში, ეს კარგი შემოსავალია, უკმაყოფილო მეურნეობით ვერ ვიქნები. რა თქმა უნდა, ცუდლები, უსაქმურები, ქურდები ყველკან არიან, მით უფრო ბანძაში! მაგრამ ღვთის წყალობით, წესიერი ხალხიც არ დაგველევა.

— შალვო ბიძა, ოჯალეშზე რას მეტყვით? — კვლავ თავიდან დაიწყო მე, მისი გულწრფელი აზრი მაინტერესებს.

— მიზეზიანი ვაზია, ძნელი მოსაველია, ცოტას ისხამს და გვიან მწიფდება, დეკემბერში რთელიანობს, სამაგიეროდ, ისეთი ღვინო იცის დალოცოლა, იმდენ სიამოვნებას მოჰგვრის კაცს, რომ მთელი წლის ჯაფას ავიწყებს.

— ბანძაში 1400 ჰექტარამდე თავისუფალი მიწაა, საჭიროა თუ არა ოჯალეშის ზერების გაფართოება, თუ იმას უნდა დავეგრდეთ, რაც გაშენებულ გვაქვს და ვავადილოთ ცოლიკაქურის ზერები?

— მე რამდენადაც ვიცი, რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ოჯალეშის ზერების გაზრდას მოითხოვს და მეც ამას ვეთანხმები, რასან ამდენი შრომა უნახეთ, ამდენი ხარჯი გავიღეთ. ოჯალეშში უნდა მოვაშენოთ, თორემ ცოლიკაქური სხვაგანაც კარგად ხარობს.

ჩვენ ფართო ავიანზე, შინაურულად ვსხედვართ და ვსაუბრობთ, შალვას მეუღლეს ხილი და არავი მოაქვს, შალვას ვაგს — რეზოს ახალდაქრფილი ლეღვი.

— რეზოს შემოსვლისთანავე საუბრის თემა შევცვალე.

ნოდარ ვულენისკირი
მუხა, პაზი, სპონდლი



— რამხელა გაზრდილა რებო, თბილისში არ აპირებს წამოსვლას? — ვკითხე შალვას და რეზო ავთოვილ-ჩაეთავილიერე.

— იყო და უკან გამოაბრუნეს, ვერ მოხვდა ინსტიტუტში. ახლა აქ, მეურნეობაში მუშაობს კომპაგნიონის კომიტეტის მდივანი, მონავალ წელს ალბათ სასოფლოზე ჩააბარებს.

— არ უნდა ალბათ ბანძაში ცხოვრება, — ლომილი შევპაპრე მე.

— არა, ჩემს ქალს რებო ვერ გაეჭყევა, ჯერ მე მაგრადა ვარ, — ეღიმიება შალვას.

— თქვენ რა, წინააღმდეგი ხართ, თქვენმა შეიღმა ისწავლოს?

— რას ამბობთ! — შემფოთებით შემომხედა შალვამ — სწავლის წინააღმდეგი ვარ კი არა გადავეყვი მაგის სწავლას. მე იმას ვაპირებ, რომ ჩემი შეილი ამ სახლ-კარს ვერ მიატოვებს, არ მიატოვებს, დამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და თავის სოფელს დაუბრუნდება.

— დარწმუნებული ხართ ამასი?

— ღრმად დარწმუნებული ვარ, — მტკიცედ მითხრა მან — იმიტომ რომ რებოს ამ სახლ-კარის შექმნაშიც და მოვლა-პატრონობაშიც წილი უდევს. მე ბავშვები უსაქმურად არ გამიზრდია. სულ პატრონიობიდანვე ჩემთან ერთად მუშაობდნენ ვანაში, ჩემთან ერთად უყლიდნენ ვენასს, რგავდნენ და სხლავდნენ, ბარავდნენ და ხნავდნენ. რებოს უყვარს ახლა ეს კარ-მიღამო, აქაურობის მიტოვება, ჩემის აზრით, მას არ შეუძლია.

— შალიკო ბიძია, რა გაწუხებთ, რითი ხართ უკმაყოფილო?

— ე, კმაყოფილი ხომ იცი, ვინ არის, — ის ვინც მიწაში წევს, ცოცხალი კაცი კმაყოფილო ვერ იქნება, ერთ რამეზე კი ვთხოვ: შენ თუ მარ-ლო ჩვენს სოფელზე წერის აპირებ, აი ეს და-წერე, წამოდი ჩემთან... — შალიკო წამოიღგა და წინ გამიძღვა, ეზოში ჩამიყვანა, ერთ გამხმარ ბეოლასთან მიმიყვანა და მაჩვენა.

— ა, ამას ხომ ხედავ, ამას უშველონ რამე...

— კი, ბიძია, ეს ვეცი. ზომები მიღებულია.

— რა ზომებია მიღებული, ბიძია, ვინ თქვა? გადახმა! ერთი ძირი ბეოლა არ არის ცოცხალი მთელ ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში — ხომ ვახსოვს ბეოლა რამდენი გვემონდა.. კარგი, ამას თავი დავანებოთ, ბეოლა დაიღუპა, დაიღუპა ახლა ამას შეხედე? — შალიკომ ხურმის ტოტი ჩამოსწია და ფოთლები მიჩვენა. — ეს ტყეააო. ახლა ატამი ნახე? — ბაღში შემიყვანა, ხომ ხედავ ესეც ავიდა, — მხლის ხეს ჩამოუწია ტოტი, — ამასაც არ ადგას კარგი დღე, რა არ ვუქენი, რა შხამები მე ამით ვასხურე, არაფერმა უშველა. შეხედე ვენასს? — ახლა ვენასში გადავედი, ვითომ ნაცარია? სიღამაღლა? შალვა ჯერ ცოლიყოფრის ფთოლს მაჩვენებს, შემდეგ მის მტყვანს, — არა, ეს არ არის კარგი ნიშანი, — დაბეჭოთებით მიუზნება — არსოდეს ამდენი დაავადება ჩვენს მცენარეებს არ ჰქონია, თით-

ქოს ამდენი წამალი გვაქვს ეს ბორჯუნი ჭურჭელი ხეო, ეს გოგირდიო, ეს ინტრაითონი... ამის შესახებ კიდევ ათასი რამ, რად გინდა, აა, მინც ავადა — ახლა ვაშლის ხეს მიჩვენებს — თან მზრუნველად ეფერება ხეს, ეალერსება — უკვე გუნებაში ეკვი მუპარება, — ბეოლის ავადმყოფობა ხომ არ ვადავლო სხვა ხეებსაც?..

— სხვა ხეზე არ გადადისო, მე ასე გამოკონია, — შევეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ ჩემი ზერეულ პასუხი არ აკმაყოფილებს, მას უნდა მტკიცედ იცოდეს, რა ქირი შეეყარა ბეოლას, რამ გაანდაფურა მთელს დასავლეთ საქართველოში ეს შესანიშნავი მცენარე. ბეოლის ქირი მთელ მცენარეულობას ხომ არ ემუქრება?..

— სად არიან ჩვენი მეცნიერები, რას ფიქრობენ?! — შემფოთებული კითხულობს ბერიკაცი.

ჩვენ ბალიდან გამოვდივართ. შალვა არ ცხრება.

— თეოფილესას იყავი? — შეკითხება.

— არა, ჯერ არ ვყოფილვარ.

— ოდა სახლის წინ რომ დიდი კოპიტი უდგას, ის ხმება.

— როგორ თუ ხმება? — თეოფილეს იმხელა იფნის ხე ედავ ეზოში, მისი გახმობის წარმოდგენაც კი არ შემიძლო.

— ხმება, აბა, ხმება, ასე... — ნათვლიანად მითხრა შალიკომ.

— უნდა წავიდე და ახლავე ვენას ის ხე — ეუთხარი შალიკოს და წასასვლელად მოვემზადე. შალიკომ ტიშკარამდე მიმაძღია.

— ამაზე დაწერე, უსათუოდ დაწერე! — კიდევ ერთხელ ვამატობთა მან. შევიბრდი — დავეწერ-მეთქი, გამოვემშვიდობე და თეოფილეს სახლისკენ ვიწრო შუკას გავუყუევი. მალე გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული ძველისძეგლი მეგრული მახორობა, მართლაც რომ ძველი მახორობა! — თეოფილე ვაბუნისა კარ-მიღამოს არაფერი აკლია, არც მშვენიერი ორსართულიანი ოდა, არც საშხადი, არც საღორე-სასიმიდნე, არც ყანა და ვენახი, არც ბოსტანი, არც ბაღი-ბაღი, არც ლამაზი, გაშლილი ეზო და ვზოს შუაგულში ტოტებგაშლილი მშვენიერი იფანი. ძველად ასეთ ეზო-კარზე იტყოდნენ: ეს ამა და ამ კაცის მახორობააო, და ამ სიტყვით გამოხატავდნენ, რომ ის კაცი კარგი მოსახლე, აზნაფური თუ არა, შეძლებული გლეხკაცი წაინც იყო.

დოხოტე კიდევ სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, დოხოტეში დადიანები ცხოვრობდნენ.

ტიშკართან ვდგავარ და გაოგნებული შევეყურებ ტოტებგაშლილ იფნის ხეს, თეოფილე ოთხმოცი წლისაა და იფანი სულ ასეთი ახსოვს. „უოღვა ასეთი ხის სიკვილიო“, — ვფიქრობ შეწუხებული და ეზოში შევდივარ. თეოფილე დიდის ამბით მეგებება, არტისტული ბუნების კაცია, სულ არა ჰგავს იმ მოხუკებს, რომლებიც საათში ერთ სიტყვას გეტყვიან და მძიმე-მძიმედ შემოგხედავენ ხოლმე, ასაკისათვის შე-

უფერებლად სწრაფად და მკვირცხლად მოძრაობს, ამ მოძრაობით სტუმრისადმი უსაზღვრო პატივისცემას და მორიდებას გამოხატავს. ენაწყლიანი მოსაუბრეა, მხიარული და გონებაბახვილი.

— კი, ბიძია, იღუპება ჩემი კოპიტე, — მეუბნება თეოფილე ნაღვლიანად — ეს ხე უბრალო ხე არ არის. აი, აქ — თეოფილემ ხის ძირას ხელები ვაშალა — ორასი კაცი თავისუფლად დაჭდებოდა ქორწილში და კეთილშემთხვევაში.

— ნეტა რა დაემართა? — გაოცებული მიეჩერებოდა ჩეს.

— სიბერე, შენი სახელის ჭირიმი! — მეუბნება თეოფილე მშვიდად.

— ახლა შალიკოსას ვიყავი, შალიკო შეშფოთებულია, ჩვენს ხემცენარეებს ბეოლის ჭირი შეეყარაო.

— ოო, ბეოლა დაიდუბა, მართალია! მე ყველა ამოვთხარე ძირფესვიანად და ცეცხლში დაწვი. ბუნებამ არ ცნო ჩვენთვის საჭიროდ თუთა და ვაახმო, რას ვიზამთ. ბუნების წინააღმდეგ ხომ ვერ წავალთ?

— ვითომ თქვენს კოპიტსაც ბეოლის ჭირი შეეყარა?

— აჰ, არა ბიძია. ბეოლის ჭირი არა, ამ ხის ავადობის მიზეზი იცის თეოფილე გაბუნია, მაგრამ რად ვინდა, ვერაფერს შევლის.

— რა მიზეზია? — დავინტერესდი მე, იქნებ რამე ახალი მითხრას-მეთქი.

— სიბერე, შენი სახელის ჭირიმი. — ძვლავ ნაღვლიანი თვალებით შემომხედა.

— ის გამხმარი ტოტები რომ შეაკრათ, ეოთომ არ ეშველება? — ეთქვი მე და თეოფილეს თითოთი ვუჩვენე გამხმარი შტოები.

— მჰ... — გაიცინა თეოფილემ.

— სიბერე ისეთი დაავადებაა, რომელიც არ რჩება, რომელსაც არაფერი ეშველება. — მითხრა ბერიაკმა მტკიცედ.

შეშფოთებული ვდგავარ ხის ძირას, ვწუხვარ, ვწრიალებ, გარეგნულად არაფერს ვიძინე, მაგრამ შინაგანად აფორიაქებული ვტოვებ თეოფილე ბიძის და ბიძინა ოდიშარაას სახლისაყენ დაფიქრებული მიგყვები შარავნას.

ბიძინა ოდიშარაია ბანძის სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელია.

ერთ დროს კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. დიდხანს არ ყოფილა თავმჯდომარედ, მაგრამ თანასოფლელებს თავდადებული, ნამდვილი სახალხო მოღვაწეობით თავი დაამახსოვრა.

ბიძინამ ხუთი თითოეით იცის ბანძის ამბავი, ამიტომ მივდივარ მასთან.

— ოჯალეშის მოშენება ბანძაში დიდი და საშვილიშვილო საქმეა, — მეუბნება ბიძინა ოდიშარაია, — მაგრამ მე ჩემი მოსაზრება მაქვს ამ საკითხზე. კუშმარიტ მეურნეობას მყარი ეკონომიური საფუძველი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ოჯალეშზე დაყრდნობა ჯერჯერობით საიმედოდ არ მიმაჩნია. სასურველია, მოშენდეს უფრო საიმედოდ, უხვი მოსავლის მომცემი ვაზის ჯიშები. ხელი არ უნდა ავიღოთ სიმინდზეც, ლეგუმინებს მიღამოებში ჭაობიანი ადგილებია, იქ, ალბათ, ოჯალეში საერთოდ არ იხარება. როცა მეურნეობა რენტაბელური გახდება, როცა წელში გაიმართება და ეკონომიურად მომძლავრდება, შემდეგ შეგვეძლება ბანძის მთელს ტერიტორიაზე მოვაშენოთ ოჯალეში.

— გარდა ოჯალეშისა, მაინც რომელი ვაზის მოშენება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, ალბათ ცოლიკოურის?

— ცოლიკოურიც შეიძლება, რა საკვირველია, მაგრამ ჩვენთან ხარობს ერთი მეტად საინტერესო ჯიშის ვაზი, რატომღაც მას ფრანგულას ეეძახით. ეს ვაზი ძალზე მსხმოიარეა, რაც მთავარია, სოკოვანი დაავადებები; ნაცარი, ჭრაქი და სხვა, არ ემართება, ორჯერ, სამჯერ ჭირდება შეწმალვა. მისი ყურძნისაგან მშვენიერ წითელ ღვინოს ვაყენებთ. ურიგო არ იქნება თუ მეურნეობის მუშაეები ამ ვაზიოაც დაინტერესდებიან.

ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით, ბიძინა ოდიშარაიას გულწრფელად აწუხებს სოფლის ჭირ-ვაჩამი, ყოველთვის ასე იყო, ახალგაზრდობიდანვე სოფლისთვის იღწვოდა.

სოფლის ბედი თავის ბედს დაუკავშირა, ფეხი არ მოიცივლა სოფლიდან, შამა-ბაბუელი სახლკარი არ მიატოვა და თავისი უანგარო მოღვაწეობით ყველას შეაყვარა თავი.

ბიძინა ოდიშარაიასა და შალვა დარსაველიძესთან ადამიანებთან საუბარი სასიამოვნოა, არის რაღაც საერთო მათს შორის, ორივე ფუტკარივით მშრომელი ადამიანია, ორივე პატიოსანი მოქალაქეა და, რაც მთავარია, ორივეს გულწრფელად უყვარს სოფელი.

ხვალ ბანძის ვტოვებ, მივდივარ მთაში მწყემსებთან.

ნიღვარ წაღიისკირი
მუშა, მარტი, საძინელი



არისტოტელე თავის ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ იხსენიებს ფაზისს, სადაც მისი აზრით, არის პატარა, მაგრამ კარგი შეწველი ძროხები.

მეზობელ ხალხებს, ცივილიზებულებს და ევლურებსაც ოდითგანვე თვალი ეჭირა ჩვენს საქონელზე. ქართული ძროხა, ცხვარი და თბა ყოველთვის ძვირფასი ნადავლი იყო შემოსულ მტერთათვის. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში აქად. გ. მელიქიშვილს მოაქვს უტარტული წარწერები. სადაც არაერთჯერის ნახსენებია ქართული ცხვარ-ძროხა. „სარდური ამბობს: გავემართე საღამუროდ კოლხის ქვეყნის წინააღმდეგ... ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები იქიდან გამოვრეკე. ქალაქ ურანიანის ციხე-სიმაგრე შე ავაგე, ჩემი ნაცვალნი იქ დავსვი. ვიტერუხის ქვეყანს მეთვალყურე იქ დავაყენე. სარდური ამბობს: აი, რა ვეკაცობა ჩავიდინე მე: 8100 ყრმა წაყვიყანე, 9110 დედაკაცი გამოვრეკე, ავრთვე 17300 სულ მსხვილ ფეხა რქოსანი პირუტყვი, 31600 წყრილ ფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალი-სათვის შე ეს საქმენი ერთი დღის განმავლობაში აღესარულე“.

ეს ამბავი მოხდარა ქრისტეს დაბადებამდე რვა საუკუნით ადრე. 31600 ცხვარი და თბა, 17300 ხარ-ძროხა რა საოცნებო ციფრებია დღევანდელი კოლხეთის რაიონების ხელმძღვანელთათვის, თანაც ერთი დღის განმავლობაში გაუტაცია სარდურ მეორეს ეს საქონელი!

მწყემსობა ქართველი ხალხის ძველისძველი საქმიანობაა, ისევე როგორც ვაზის მოვლა. ქართულ წარმართულ პანთეონში მწყემსების მფარველ ღვთაებას — ჯუმას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ქართველ მეჭოგეებს სხვა უამრავი ღვთაებები ჰყოლიათ, მაგრამ ჯუმა მათ შორის გამორჩეული, მთავარი ღვთაება ყოფილა. როგორც ცნობილია, მეგრული კვირის შეიღულულში ერთი დღე ჯუმას ეკუთვნის — ჯუმაში დღა-ჯუმაშხა (ოთხშაბათი). ეს მაშინ, როდესაც სხვა დღეები ეკუთვნით ისეთ დიდ ღვთაებებს როგორცაა შშისა და მთვარის, ომიანობისა და თავისუფლების, ნაყოფიერებისა და სილამაზის, ტაროსისა და მიწათმოქმედების ღვთაებები, ხოლო გურიასა და სამეგრელოში ჯუმას არა ერთი და ორი სალოცავი — ბოშონი ჰქონია. ამას ადასტურებენ ჯუმათოსა და ჯუმი-თის წმინდა გიორგის ეკლესიება.

როგორც ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, ქართველთა მთავარი ღვთაება, — მთვარის ღვთაება ქრისტიანობის შემდეგ წმინდა გიორგიმ შეცვალა, საფიქრებელია, წმინდა გიორგიმ მარტო მთვარის ღვთაება

როლი შეცვალა, სხვა ღვთაებების ადგილიც მან დაიკავა და მათ შორის ჯუმას ბოშონებიც.

საინტერესოა ღვეგნდა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ჯუმათში ჩაეწერა. „ქველდროში თურმე წარღვნას მოლონად წაუღვია ჯუმათის გაღმა მხარე. იმ წარღვნას დროს ერთი აღმაიანი გადარჩენილა, ის კაცი ტანჯვით აპოსულა ჯუმათზე, თან წმინდა ჯვარი აპოეტაჩნია და იქ შთის წვერზე დაუღვს. შემდეგ კი იმ ადგილას წმინდა გიორგისათვის ეკლესია აუშენებია“.

ჯუმათის წმინდა გიორგის ეკლესია თითქმის საუკერელო-გურიის საზღვარზეა, შთის ვაღმა კოლხეთის დაბლობია, ვამოღმა გურია. ყურადსაღებია ისიც, რომ ეკლესიის მიღამოებში ძირითადად დარჩიები ცხოვრობენ.

შესაძლოა ასეთი ვარაუდი: შავი ზღვის სანაპიროზე მომხდარა სტიქიური უბედურება, სტიქიას წაუღვავეს სოფლები და შესაძლოა ქალაქები, წაუღვავეს ხალხი, რომელიც ძლიერ იყო არა მარტო ეკონომიურად, არამედ სულიერადაც. მათ ჰქონიათ საკუთარი კულტურა, რელიგია. გადარჩენილი რამდენიმე აღმაიანი ვასულა ხმელზე — დღევანდელი გურიის ტერიტორიაზე, იქ შემადღვულ ადგილას თავისი ღმერთისთვის — ჯუმასთვის აუშენებია ტაძარი და დაუწყია შიგ ზორვა. ხოლო ამ ტაძრისთვის და მისი შემოგარენისათვის დაურქმევია ჯუმა-თი, ჯუმაშ-თია, ჯუმას კუთვნილი, ჯუმას-წილი. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ჯუმას-თია ბოშონს, ბუნებრივია, დანგრევდნენ და მის ადგილას ახალ ღმერთს აუგებდნენ ეკლესიას. ეს ახალი ღმერთი წმინდა გიორგი გახლდათ. ამიერიდან ჯუმას სახელს არავინ ახსენებდა, ილოკებოდნენ წმინდა გიორგისათვის, მაგრამ იმ ადგილს სახელი ძველი შერჩა, არა მარტო ადგილს, ხატსაც კი „ჯუმათის წმინდა გიორგი“ ეძახდნენ.

თვით ის ფაქტი, რომ მსგავსად მთვარის ღვთაებისა, ჯუმაც წმინდა გიორგიმ შეცვალა ქრისტიანობის დროს, მიუთითებს ჯუმას ძლიერებაზე.

მწყემსების მფარველ ძლიერ ბატონს — ჯუმას საქართველოში არა ერთი ჯუმათის, ჯუმათისა და ძიძითის ტაძარი ჰქონია. ერთი დღე შშისა და მთვარის ღვთაებების მსგავსად მასაც რეგება და ეს დღე ყოფილა ოთხშაბათი — ჯუმაშხა, ხოლო მისი სახელის სადღებლად ლოცვა-კურთხევა — ს ჯ უ მ ა შ ხ რ ი.

ყოველივე ეს შექმნილა იმისთვის, რომ მეგრულ წითელ ძროხას თავისი ღამაზი რქებითა და ზომიერი კობტა ცურით თავი ღლად ეგრძნო ასხის, ღვირას, ოხაჩქუნს და ქალაღლის საძოვრებზე.

დღეს ოთხშაბათია, ჯუმას დღე და ძეც იმ



ძველი საძოვრებისავე მივიღივარ ჩემი თვლით უნდა ვნახო დღევანდელი ჩვენი საქონელი, ის ზღაპრული „პატარა, მაგრამ კარგი მწველი ძროხები“.

ასე გურია-სამეგრელო-იმერეთის ძველის-ძველი საძოვარია. აქ ზენიკეთაში, საოდიშოსა და კარმეიდანში დღედაღამეს ასწორებდნენ, თავიანთ განთქმულ ცხენებსა და ძროხებს დასდევდნენ ხაინღრავები, კვარაცხელიები, დანელიები და სხულხიები.

ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია მეჯოგე კვარაცხელითა განთქმულმა შთამომავლობამ. ჩვენს წლებში კვარაცხელიების გვარი დაამშვენა კიდევ ერთმა მამაცმა მეჯოგემ ძიკი კვარაცხელიამ.

„კვარაცხელის ძროხას“ დღესაც დიდი მოწიწებით ახსენებენ ხოლმე წალენჯიხასა და ზუგდიდში, მარტვილსა და სენაკში.

ქვიზის ტყეების გავლით შევუყვით ასის აღმართებს. უკან დაეტოვეთ მშვენიერი ლესხულუხე. ლესხულუხე გეგუქკორის რაიონის ულამაზესი სოფლის სალხინოს ერთი კუთხეა. იგი მწყემსების სოფელია. ლესხულუხედან ჩვენს, მე და სალხინოს კოლმეურნეობის ფერმის გამგეს იროდი ახალაას, ზოტტენიკოს ბონდო სხულუხიას, მწყემსი შოთა სხულუხია გამოვუყვა.

ჩვენ ერთად მივაბიჯებთ აღმართზე.

— ამ ადგილებს ნუხუანი — ფიქვნარი ჰქვია, — მეუბნება იროდი ახალაია. ვათვალიერებ „ფიქვნარს“, ფიქვი აქ არსად ჩანს. გულისგანსახარელი წიფლის ხეების უღრანი ტყეა. მაგრამ არც წიფელის ადგას კარგი დღე. ფიქვი უკეთესი საშენი მასალაა, უფრო ადვილი დასამუშავებელია და როგორც ჩანს დაუნდობლად ნადირობენ ფიქვზე, უკვე ტყისკენ გახედვაკი არ მინდა, მე წინასწარ ვიცი რომ ამ ტყეების შესამოწმებლად კომისია იყო ჩამოსული თბილისიდან.

მანსოვე ომის დროს აბედათის მთა-გორებიდან ურმით ჩამოგუქონდა თხმელის ნედი შეშა. შემდეგ ეკის მთას მიასურეს ბარელბმა, ბოლოს ვერი ქვიზიაზე მიდგა

„აგერ ფიქვი“ — როგორც იქნა თვალი მოვკარი ცამდე აწვილ ტანყენარ ფიქვს, ახლოს მივედი, წიწვიან შტოებზე გრძლად ეკიდა ტყის ხეში, ღამის ცვარს ტყე ზეავრიელად დაენამა

ახალამოსული მზე ფიქვს ოქროსფერ სხივებს აურქვევდა. ზურმუხტისფერად ანთებულ მის წიწვებსა და ხავსზე მძივისხელა მარგალიტებს ელაციებოდა

— ეს რა ჰქვია ამ ხეს? — გულუბრყვილოდ ვკითხე მე და უტებ მივხვდი რაც ჰქვია. მაგრამ შოთამ მაინც ამიხსნა.

— საყავრედ ნდომებით, გაუსინჯით, არ მოწონებითა და მიუტოვებით.

— ეს ხე უკვე არ კარგა, — მითხრა ბონდომ,

— ხედავთ, რამხელაზე ჩატყრიათ, ხეს ლობობა დაუწყია.

ნაჯახდაკრული ფიქვი დაჭრილ ვეჯაკს ვგავდა უღრან ტყეში უპატრონოდ მიტოვებულს.

— ამგვარმა თვითნებობამ და ღორობამ დალუბა ჩვენი ტყეები — ნალელიანად ეთქვი მე და აღმართს შევუდექი!

შოთამ გაიცინა.

— ჩვენი ტყეები „დრუტებამ“ და „ურალმა“ დალუბა — მითხრა მან.

უტებ ვერ გავიგე რას მეუბნებოდა. შოთამ ამიხსნა.

— „დრუტმა“ ხერხია, ბენზინით მუშაობს, „ურალი“ კი დიდი მანქანაა, თუ მიაქცივთ ყურადღება ჩვენ დღეს გზაში რამდენიმე შევცხედა, ხით დატვირთული.

— „დრუტმა“ კერძო პირებსაც აქვთ? — ვკითხე მე და ჩემი გულუბრყვილობით კვლავ ღმილი მოვგვარე თანამგზავრებს.

ვხედავ, ვაჭრობ, ვატყობ, რომ მათ ბევრი რამ აქვთ სათქმელი, ბევრი რამ აწუხებთ, მაგრამ თავს იკავებენ, „უცხოხთან“ ყველაფერს არ ლაპარაკობენ. თუმცა ტყე სად დაიმალება, რაც არის, აქ არის.

ნათქვამია ერთი მგლისკენ, მეორე თხისკენო: მართალია, ტყის განუკითხავად გაჩევიდა დანაშაულია, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვინ აკეთებს ამას? გადამთიელი? მტერი? არა, ტყეს ჩეხავს ჩვენი სისხლი და ზორცი, ჩვენი გლხვაცი, თუთი ტყის პატრონი — ან სატყეო მეურნეობას მუშაკი ან ვინმე ტყის მცველი, ან ეგერი და ა. შ.

ახლა დავაკვირდეთ, რატომ აკეობენ ამას, რატომ იგდებენ თავს საფრთხეში, ტყიდან ერთი ხის გამოტანას ხომ ათასი საშვი უნდა და ათასი შემოწმება?.. იმიტომ რომ ხე აღამიანს ისევე სჭირდება, როგორც პური. სად იშოვოს ხის მასალა? განა სადმე, რომელიმე მაღაზიაში თავისუფლად იყიდება ფიცარი ან ლარტყა, ბოყვი ან თუ გნებავთ საწნახელი?.. ვინახავთ სადმე საწნახელის მაღაზია? მაშინ, როდესაც ქართველი კაცი როგორც კი თავშესაფარს იშოვოს, იმ წამს იმაზე იწყებს ფიქრს, როგორმე სადმე კუთხეში საწნახელი მიიფას და ერთი ორი ჰურიც ჩაფლას მიწაში. შეშა? შეშა სადღა? არის სადმე შეშის მაღაზია? ეს მეტად მწვავე, მაგრამ გადუღებელი საკითხია. ზოგადად უველამ კარგი იცის, რომ ტყის გაჩეხვა არ შეიძლება, მაგრამ თუ ვიქნებით საქმიანი და კონკრეტული, სულ არ დავეჭვრებოდა გულისამაწყუებელი პატრიოტული სიტყვები; თუკი ხის მასალა მაღაზიაში იქნება, ვინ გიყვანავა ქვიზიაში ხის მოსაპრელად? ვინ ჩაეა ხევეში და წყვარაში ფიქვის მოსაპრელად? შეი-

ნოდარ ფულეისანიძე
მუხა, ვაჟი, სპონონელი



ძლებდა ვინმე შემომედავოს, ამდენი ხის მასალა, ამდენი შუშა საიდან მოვეტანოთო, იქიდან მოვეტანოთ, საიდანაც კერძო პირებს მოაქვთ. ვანა სამეგრელოში ზამთარში ვინმე რჩება უშუშოდ? ბუხარში აგუზგუზებულ ცეცხლის გარშემო განა ვინმე გაატარებს ზამთარს? როცა კერძო პირი უფლის ტყეში, ის უნებლიე ყაჩაღია; ჭერ ერთი, მან არ იცის ტყის სწორი განჩეხვა, მეორე, მას ეშინია, ეჩქარება და სულ არ დავიდვით თავისი „ღრუბებით“ რას ტრის და როგორ ტრის; ბუნებრივია, ასეთი ტყის მჭრელი ტყეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. გაეყილს გატეხილი სკობია: ტყეს ხომ ვერ ვუშლით კარგად, ვერც ვამუშავებთ ისე, როგორც საჭიროა, და მოსახლეობასაც ვერ ვაწოდებთ ორგანიზებულად. ეს არის მთავარი მიზეზი ჩვენი უბედურებისა.

აჰ, უკანასკნელი აღმართი ავათავით, ტყე უკან დარჩა, დიწყო ალბიური საძოვრები. კიდეც რამდენიმე გორაკი გადავიარეთ და იროდი მგუბნება:

— ესეც ჩვენი ზენიაქვათა, ჩვენი საქონელი ამ მიდამოებშია, — იროდიმ მთებისაკენ ვაიშვირა ხელი, — ამ მთის ვაღმა და გამოღმა ვართ, იქით საოდიშოა, აქეთ ზენიაქვათა.

პირველივე კარავში შევიდით. კერძისთან მიგვიპოხეთ, გრძელ სკამ-ლოგინებზე ჩამოგვექმით, ეს განორჩინილი ფიცრებია მათი სკამიც და საწოლიც, ფიცრებზე შავი ქეჩა უდიათ, ქეჩა ლეიბის მაგივრობას უწევთ.

— აქ სული მოვითქვათ, — მგუბნება იროდი, — შემდეგ შოთას კარავში წავიდეთ.

— აბა, ეს ვისი კარავია? — ვეკითხები მე, თანაც კარავს ვათვლიერებ, შუაიცხლებს კარდალა ჰქვია, შიგ წყალი ასხია, ცეცხლიც მინაფულთა, მიფერფლილი.

— ეს თათრთაყანის კარავია, — მგუბნება იროდი და წერამოშვებულ მწყემსს მაჩვენებს, თათრთაყანს კარავში შემოსვლისთანავე მივაქციე ყურადღება, კუშტი სახე აქვს, თავისებური, გამორჩეული.

— თათრთაყანი რა სახელია? — შევიცხადე მე.

— რატომ? რა უჭირს? — გაუკვირდა თათრთაყანს.

— შიგ თათარიც არის და ყაენიც!

— დაწყველოს ეშმაკმა, რა ვიცი. — აბუზლუნდა თათრთაყანი, არ მოეწონა ასე რომ გავეშოფრე სახელი. — ბუბიაჩემს დაუტრქმევია. თურმე ვილაყ კარგი ექიმი გვეყოლია სოფელში — თათრთაყანი და იმიტომ დაუტრქმევია, მაგრამ მე მწყემსი გამოვედი, — გაიციანა. კეთილშობილებამ ერთ წამს ვადაურბინა სახეზე და გაქრა. კვლავ კუშტი, უკარება სახე მიიღო.

— აქაური ამბები გვითხარით, თუ კაცი ხარ, — უთხრა იროდიმ თათრთაყანს, როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდა კარავში.

— აქაური ამბები რა ვითხარათ, ძალიან ცუ-

დად ვცხოვრობთ, — შესხივლა მოურიდებლად თათრთაყანმა თავის უფროსს და ჩემს მძაბრს. — ნად თქვა: — ამ ზაფხულს საქონელი უწყობით კინალამ დაგვეხოცა. არნახულმა გვალვებმა ჩვენი აზმახები სულ დააშრო;

— აზმახი რა არის? — შევაწყვეტინე თათრთაყანს.

— აზმახი გუბეა, წყლისთვის დიდ ორმოებს ვთხრით, შიგ წვიმის წყალი გროვდება და მთელი ზაფხული გვეყოფის. შემინებულებმა რამდენიმე დღი აზმახი ახლანამ ამოვთხარეთ და მატებით, მაგრამ უკვე გვიანიდა, უკვე ცივა ასხში, ალბათ მალე ავიყრებით და ძირს დავეშვებით ტყისაკენ.

— არა უშეშა, ის აზმახები გამოგვიადგება, — ჩაერთა საუბარში მიმინო.

— ოო, ძალიან მძიმე ზაფხული გადავიტანეთ, — ახლა შოთა სხულუნხია იგონებს მწარედ ზაფხულს, — ჩვენს ძროხებს თითქმის არ უძოვიათ, დილიდანვე წყლის საქებრად იყვენენ გადაკარგულები, რვა, ათი კილომეტრს იქით მიდიოდნენ წყლის დასაღვად. აბა, წარმოიდგინეთ ძროხა წყლისთვის ათ კილომეტრს რომ გაივლის, მერე რას მოძოვს, ან რა რძეს მოგვეცემს.

— რა მოგვიტანეთ? — დიმილით ეუბნება თათრთაყანი ფერმის ვამვეს, მას მობეზრდა ჩვენი საუბარი და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მოგიტანეთ კი, ნუ გეშინია, — ეუბნება იროდი და აბგავი ათაფურებს ხელებს. ბოთლის გამოაქვრენს და თათრთაყანს შორიდან უჩვენებს. თათრთაყანი მიმინოს ვადახედავს, მიმინო ხარტოს, ხარტო შოთას, სახეზე ყველას სიხარულის დიმილი ვადაურბენს.

— ახლავე, — ამბობს ერთი ახალგაზრდა მწყემსი და კარდალას ააჩხარუნებს, დიასახლისივით დატრიალდება.

— მაჩვენეთ თქვენი საქონელი, — ეუბნები შოთას და კარვიდან ვადიდვარ. შოთაც და თათრთაყანიც უკან მომყვებიან.

— ხედავთ, სიდ ვადიან ჩვენი ძროხები! — შოთა მთის მწვერვალისაკენ იშვერს ხელს. მთაორტოხზე ჭინჭველებივით გაბნეულა პირუტყვი.

— ეს იმიტომ რომ ბალახი არ არის, გვალვამ დაგვლუბა. აბა ახლა ის ძროხა, თხსავით ფერღზე რომ კილია, მოიწველის?

მთის ძირას სამ ძროხას მოვკარი თვალი, ისინი ძოვა-ძოვით ხეში ჩადიდნენ, როგორც კი მივეუახლოვდით, თავი მალა იიღეს და დაფეთებული თვალები მოგვაპყრეს. აქ ალბათ არ მოვლოდნენ ადამიანს, ისინი ბარში ხელით ნაძოვებ ძროხებს არ ჰვადნენ. მთასა და ტყე-ორგში ხტიკობისაგან გარეულის, ტყუილის იერი მივლოთ.

— ნამთევი საქონელი მაინც სხვაა, — აღტაცება ეერ დაემალე მე.



— აპა ვერა ხედავ შიმშილით მკვდარია, აგ-
ოტო მთავრდება, ძაო, ახლა საჭონელი ბერ-
თივით უნდა იყოს! — მეუბნება შოთა.

მე კიდევ წითელ ძროხას თვალს ვერ ვაშო-
რებ, იგი მოუსვენრად ძოვს ბალახს, ყურად-
ღება ჩვენსკენა აქვს, ხანდახან გაკვირვებული
აიღებს თავს და მოგვხედავს, წავიდნენ თუ
არაო.

ჩვენ დიდხანს ვიდგებით სერზე და ვსაუბრო-
ბდით, კარავიდან მიმინო გამოვიდა და დაგვი-
ძახა. კარავში ფაბრუნდით, სუფრა უკვე გვე-
შალათ, მწყემსები ტკბილად გავგომასპინძლდნენ.

სალამო ემას შოთა სხულუხიას კარავს ვეს-
ტუმრეთ.

ამკერად დიდი გზა არ გავვივლია, სალხი-
ნოელ მწყემსებს კარგები ერთმანეთთან ახლოს
აქვთ, ბუბები გადავიარეთ, ერთ ახმახს ჩა-
ვუარეთ და ტრიალ მინდორში გვევლით. ფერ-
დობზე ხბორები შეფენილიყვნენ. უკებ სად
იყო და სად არა, მინდორში ისარივით გამოიჭ-
რა ძალდი და ღვალისდახამხამებში შოთა სხუ-
ლუხიას აეტოტა. მეგონა, ძალდი სამტროდ მო-
ვიარდა.

— ჯადულია! — შესძახა შოთამ და ძალდი
მალა აიტაცა. იმდაგვარად აიტაცა და მიესი-
ყვარულა, როგორც ბავშვს აიტაცებენ და ჰვე-
რში ათამაშებენ. ჯადულიამ ჰვერში ფეხები
ასხმარტალა, კისერი დაივრძელა და პატრონს
წამტუნით მიეაღერსა.

— ჯადულია, ჩემო ჯადულია, მოგწყინდა
უნემოდ? — უთხრა შოთამ ძალს, ჯადულია
მთელი სხეულით თრთოდა და პატრონისკენ
მიიწყვდა. სიყვარულსა და აღერსის თხოვდა,
შოთამ ძალს უჯანა ფეხები ძირს დაადგმევი-
ნა, ხელი მოხვია და მისი თავი მკერდზე მი-
იხუტა. ჯადულია, მართალია, ექვსი თვის ლეკ-
ვი იყო, მაგრამ აღდგ დასრულებული ბომბო-
რა ნაგაში გახლდათ.

— აბა, ახლა გეყოფა, ჯადო! — უთხრა შო-
თამ ძალს, რადგან ველარ ამკარებდა — ჩვენს
გარდა აქ სტუმრებიცაა, სტუმრების მანიც არ
გრცხენია? — ძალმა პატრონს თითქოს გაუ-
გოო, წამით დაცხრა, ვარშემო შემოგვირიბინა
და სისართლის ყეფა ასტეხა.

— ერთი კვირა წისული ვარ და ვაუხარდა
ჩემი დანახვა, — მითხრა შოთამ, თან ძალს
არ აშორებდა თვალს.

— ეს თუნთიას შვილი არ არის? — იკითხა
იროლიძე.

— კი, იმისი შვილია, მაგრამ აი, ამხელა
გაიზარდა რატომღაც.

— კარგი ძალდი დადგება, — თქვა ბონდომ,
— ლონიერი ჩანს.

— ოო, ახლა მოერევა მეგლს, მაგრამ რად
გინდა, ჭერჭერობით მშიშარაა, ლეკვია და გამ-
ბედაობა აკლავ.

როგორი სიყვარულით ლაპარაკობდა ძალ-

ზე! — აღტაცებული შეფურებდი შოთასკრუხული
გორ ეფერებოდა, როგორ ეალერსებოდა...

ვისაც ძალის ასეთი სიყვარული შეუძლია,
ის მართლაც მწყემსად არის დაბადებული. შო-
თა სხულუხია ოცდაათი წელიწადია მწყემსია,
ოცდაათი წელიწადია ასეთი სიყვარულით ვე-
რლის საქონელს, ზრდის ჯადულისასეთი ერთ-
თგულ ძალღებს და საქართველოს მთასა და
ბარს თავისი ვაჟკაცობით ამშვენებს. ასეთი
ადამიანი ტყეს არ გააჩანაგებს, ბროლივით მო-
კამკამე წაჩხურაში ამონალს არ ჩაყრის, უცებ
შემოფეხებულ ირემს ტყვიას არ ესტრის.

ჯადულიამ ზარ-ზეიმით მიგვიაცილა კარავმდე.
იქ კუქუ ბასილაია, მუშტი სხულუხია და კოკი
ფირცხალავა დაგვხედნენ.

უკვე საღამო ხანი იყო. მუშტი ანგვარისაკენ
ძროხებს მოერეებოდა.

კოკის უკვე დაეწყო ძროხების მოწველა. კუ-
კუ სახბორის კართან იღვა და ხბორებს რიგ-
რიგობით უშვებდა.

— უჩა, უჩა, უჩა, უჩა, უჩა.. — თითქოს
შელოცვას ბუტბუტებსო, ისე ეძახდა „უჩას“.
სახბორეში ხბორები ირეთდნენ, კარს ერთად
მოაწყდებოდნენ და უჩას გზას უეჭვადდნენ,
კუქუ უჩას ესმარებოდა, — მისწი-მოსწვედა
თანამომეტ და კარში გაკირვებით გამოაძვრენ-
და. გახარებული უჩა დედისკენ გარბოდა, იქ მას
მუშტი ელოდებოდა.

— კეკუტია, კეკუტია, კეკუტია — ახლა კე-
კუტიას ეძახდა კუქუ.

აქ ყველა ხბოს თავისი სახელი ერქვა, ხბო-
რებს დედის სახელს ეძახდნენ, კეკუტია ადამიან-
ის გვარია სამეგრელოში და გამიკვირდა, ხბოს
რატომ ეძახით მეთქი.

— დედამის ჰქვია კეკუტია, რადგან კეკუ-
ტიასგან ვიყიდეო, ამიტომ ხბოსაც კეკუტიას
ვეძახით, — ამხინსა შოთამ.

— ფიორია, ფიორია!.. — განავრძობდა კუქუ
ხბორების ამორჩევას.

— ფიორია რატომღა დაარქვით? — ვკითხე
კვლავ შოთას.

— ეს ისე, ძროხის სახელია, რამე მიზნით
არ დავერქმევიო.

მუშტიმ მეწველი ძროხები ანგვარაში შემო-
რეკა და თვითონაც მიჰყო ხელი ძროხების მო-
წველას.

— ძროხების სადგომს ანგვარას რატომ ეძა-
ხით, ეს ხომ ჭართაა?.. — ვაოცებული მივაჩერ-
დი შოთას, იროდის და ბონდოს.

— არა, — გაიღმა შოთამ, — ეს ანგვარაა,
ყოველთვის ანგვარა იყო, ქართა უფრო პატა-
რაა, თხების სადგომს ვეძახით.

— ქართა ცხენების სადგომს ჰქვია, მგონი
— თქვა ბონდომ.

ნოდარ წულუისკირი
მუშბ, შაზი, სამონელი



მე ახლა „ანგვარამ“ ამაწრიალა. არ ვიცი, ეს სადაური სიტყვაა, აფხაზურს კი ჰგავს, ერთი კი ცხადია, ანგვარას ქართა გავუძეებია, უკვე დაბეჭიეთებით ვერ შეუზნებინა, რა არის ქართა. მაშინ როდესაც ქართაა ის, რასაც ანგვარას ეძახიან. ვაი თუ ეს შესანიშნავი სიტყვა დაგვეკარგოს, ამ სიტყვის ადგილი აქ არის და თუ აქედან გააძევეს, სადღა წავა?..

— იცით რა, ჩემო კარგებო, — ყველას ერთად ვეუბნები დაბეჭიეთებით — ქართა ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართველი კაცისათვის, მისი დავარგვა არ შეიძლება და აი, რატომ: თბილისს მეგრელები რას ვეძახით?.. გაიხსენეთ, რას ვეძახით?..

— ქართის ვეძახით — მითხრა იროლიმ.
— რატომ ვეძახით ქართის? არაგინ არ ეძახის თბილისს ქართის, ვარდა მეგრელისა, რატომ? ჩვენი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ამ ტერმინთან არის დაკავშირებული „ქართლის“ სახელი, ხოლო შემდეგ აქედან ტერმინები: ქართველი, საქართველო.

— თხი — დაინტერესდა შოთა — მერე, მერე!..

— ძველად თურმე ქართლი ერქვა დღევანდელი ქართლის ძველ დედაქალაქს ზაქესის წყალსაცავის პირდაპირ, ბაგინეთის მთაზე აშენებულ ციხე-ქალაქს; ის ადგილი იყო სწორედ შემოზღუდული, მოფარებული ადგილი — ქართა, ასე რომ ეს სიტყვა დასაკარგი კი არა, ხელიხელ საკოჭმანებია და თქვენ საიდან მოიტანეთ ანგვარა?..

— ოო, საინტერესოა!.. მაგრამ აწი რაღა ვშეველება, ანგვარა ჰქვია და... — გულუბრყვილოდ შეწუხდა შოთა.

— დიდი ამბავი, დავარქვით ქართა და ის იქნება! — თქვა ღიმილით კუკუ ბასილიამ, რომელსაც ხეობები მიეტოვებია და ჩვენს საუბარს უგებდა ხურს — ერცემე გამოუშვი! — დაუძახა მუშტიმ და კუკუ სახზორისკენ წავიდა.

კოკი ფირცხალავამ რძით სასეკ ნიგა მოიტანა და მაჩვენა.

— აა, ერთ ამდენს მუშტიც მოიტანს და სულ ეს არის იროლის ავლა-დიდება — ღიმილით თქვა მან. კარვისკენ ნულა წავიდა.

— შევიდეთ კარავში, დაღამდა, — მითხრა იროლიმ. კარავში შევედით. შუა ცეცხლი ენათო. გრილოდა და ცეცხლის დანახვა გვესიამოვნა. ცეცხლს შემოეუხსნელით თუ არა, იროლის ვეითხე:

— სულ რამდენი სული საქონელი გყავთ?
— 650 — მიხასუხა მან.

— როგორ ფიქრობთ, ბევრია თუ ცოტა?
— ცოტა, რა თქმა უნდა, — დაშინაშევესავით გაიღიმა იროლიმ — მაგრამ რას ვიზამთ, თქვენი თვლით ხომ ხედავთ, რომ საქოვრები არა გვაქვს.

კარავში კუკუ ბასილია შემოვიდა, კუკუს შოთაც შემოჰყვა. შოთამ გულით მოიტანა წყა-

ლი. წელში მოხრილი შემოვიდა, ისედაც მდევრით კაცი იყო, კარავში კი უფრო ჩვეულად ჩანდა მისი სიდიდე, აშკარად ვერ შეგუდებოდა რას წამოედებოდა და ხან რას. გულა დინჯად თოხსნა ზურგედან და წყალი დიდ ქვაბში ჩაასხა.

— დავიღალე ეს ოხერი, წყალი შორსა გვაქვს... — ჩაიდუღუნა მან და გულა კუთხეში მიაგდო.

— ცოტას შევისვენებ და სტუმარს ელარჯს გავუკეთებ, რას იტყვი იროლიმ?

— შენ იცი და შენმა სინტაქსმა, — უთხრა იროლიმ შოთას, შემდეგ მე მომიბრუნდა:

— შოთას მეტი ელარჯს აქ ვერაგინ აკეთებს.
— თქვენ სად ისწავლეთ ელარჯის გაკეთება; — ვციოხე შოთას.

— მაგას არ უნდა დიდი სწავლა-განათლება, — თქვა შოთამ. ბაბუაჩემი იცლევ მწყემსი იყო, მამამესაც არ უღალატო მირონისათვის, ისიც მწყემსი გამხდარა, მათგან ვისწავლე. ისინი კარგ ელარჯს აკეთებდნენ.

კოკი ფირცხალავაც შემოვიდა, ქართასა და სახზორეში სიჩუმე ჩამოწვა. შორს ტურის კივილი გაისმა, დაღამდა ასხის მთაზე. კარვის უკან ჩადულია აყვდა, ჩადულიას სხვა ძაღლებიც აყვუნენ, თითქოს ღამეს უბრაზდებოდნენ, დაღამებას უღრცხნდნენ. კუკუ ბასილიამ ქრაქი ანათო, შუაეცხლის სინათლე არ გვეოფენიდა. მუშტი კუთხეში მიმდგარიყო, რძეს კვეთავდა. შოთა, კუკუ და კოკი გრძელ სკამოვინზე ისხდნენ და ცეცხლს ეფიციებოდნენ. ჩვენ — მე, იროლი და ბონდო მათ პირდაპირ ვისხედით.

— როგორ უბერავს, ამ საღამოს აქ გავიყინებით ალბათ, — თქვა იროლიმ და უკან მიიხედა, კარვის ფარღალა კედელს შეხედა.

— წუხლად გვესტუმრა პირველი ყინვა, — ალბათ ამ საღამოსაც დავესუსხავს. — დავამშვიდა შოთამ — ხვალ და ხვდ უსათუოდ აყვრი საქონელს... თორემ წვიმებში თუ მოგვისწრო, მერე ხომ იცით აქაური ხანდარები...

— უნდა წავიდეთ, საქონელი ცოდევა, თქვა მუშტიმ.

— მართალი ხართ, ახლა ძირს ჯობია, — ტყეში, — დაუდასტურა იროლიმ.

— იქ სოფელში ბაგურ კვებაზე რომ გადაიყვანთ საქონელს, ალბათ ისვენებთ, არა? — ვკითხე შოთას.

— პირიქით, ბაგური კვება მწყემსისთვის უარესია, — მითხრა მან, — აქ საქონელი საკვებს თვითონ შოულობს, წყლისთვისაც აღარ შეგაწუხებს, ბინის დასუფთავება არ ჰქირდება და არაფერი. იქ, ერთი სიკეთე გვაქვს ის, რომ შინა ვართ, თორემ შრომა იქ მეტია.

— ეჰ, შრომა მწყემს არც აქ აკლია და არც იქ, — თქვა ნაღვლიანად კოკი ფირცხალავამ.

— რატომ აირჩიეთ მწყემსობა, სხვა ხელობა გესწავლათ, უფრო იოლი, უფრო საინტერესო...



— განა არ ვიცი სხვა ზელობა, მესამე კატეგორიის შოფერი ვარ... მერე რა? — მითხრა კოკიმ, კარდალა ჩამოხსნა და დინჯად დაუწყო ჩარჩენილ პერქს ფხეკა.

— შოფერი? — გავიკვირე მე — მუშაობდით შოფრად?

— ემუშაობდი კიდევ და საკუთარი „მოსკვირიც“ მყავდა. არაფერი გამოივიდა, ხალხს უფასოდ დეატარებდი, მეზობლებს ფული ვერ გამოვართვი, სოფელში კი უცხო არავინ ცხოვრობს, ყველანი ერთმანეთის მეზობლები ვართ. ფულის შოვნას სხეანაირი კაცი უნდა... — კეთილად გაიღიმა კოკიმ

კარავში სირუმე ჩამოვარდა.

— ამას შენ გიზადებ, — უთხრა კოკიმ შოთას, — შეუდექი საქმეს, სტუმრები შიშვლით არ დავეხოცოს. — კარდალა კარგად გამოფხეკა, გამოირეცხა, შავ კოტა წყალი ჩაახსნა და ნაპაზე ჩამოკიდა.

— ახლავე, — თქვა შოთამ და დატრიალდა.

— მაშ, შოფრობას მწყემსობა გირჩევნიათ?

— ყველას ერთად ვეკითხები, მინდა, როგორმე სიმართლე გავიგო, იშვიათია შოფერმა შოფრობა მიატოვოს და მწყემსობა დაიწყოს, ჩვენში ხომ შოფრობა ერთ-ერთი პოპულარული ზელობაა. ახალგაზრდა საშუალო სკოლას რომ დამთავრებს, უსათუოდ თბილისისაკენ მიისწრაფის. თუ ეს ვერ შეძლო, შოფრობას სწავლობს. სოფელში თუ ვინმე კარგად ცხოვრობს, ეს შოფერია, თუ ვინმე ფულიანი კაცია, ეს შოფერია, თუ შოფერს საკუთარი მანქანა ჰყავს, მას „ხალტურაზე“ გასვლა“ კი არ სჭირდება, შინ მოაკითხებენ საღამომობით და მოკრძალებით თხოვენ ან ქორწილში, ან სატირალში, ან ექიმთან, ან საღმე საღზინოდ და საბედნიეროდ წასვლას. შოფერის ამგვარი დაქირავება კი საკმაოდ ძვირი ღირს. გასაკვირია, რატომ დათმო შოფრობა კოკიმ?

— რა ვიცი, მგონი მირჩევნია, — კითხვაზე დაგვიანებით მომიგო კოკიმ და შოთას გადახედა. მეც შოთას შევხედე, შოთას აზრიც მაინტერესებდა.

— მე პირდაპირ შემიძლია გითხრა, — დაიწყო შოთამ — სხვა ზელობა ჩემი საქმე არ არის; ასე მგონია, მწყემსად დავიბადე და არც მიფიქრია სხვა რამ შესწავლა. ჩვენ მეორინჯე-მე-ჯოჯე ხალხი ვართ, მამანემის მამა, იმის მამა, იმის მამა სულ მწყემსები ყოფილან, ხომ გავაგონიათ კვიცი გვარზე ზტისთ.

— თქვენ? თქვენ რას იტყვით კუქუ? — ვკითხე ახლა კუქუ ბასილიაის.

— რა ვიცი, აბა, მე ისეთი დედინაცვალი მყავდა, სწავლაზე ფიქრიც კი არ შემიძლო, ბავშვობიდანვე საჭირელს დავსდევდი, ვინმეს რომ ეთქვა ისწავლეო, იქნება ნასწავლიც კი გამოვსულიყავი.

— აგერ, მუშტია კიდევ ნამდვილი მწყემსი. — ჩაერია ჩვენს საუბარში შოთა.

მუშტი ჩუმად იჯდა. მან თავისი საქმე მოთხოვა თუ არა, ცეცხლის პირას მოიკალაშურა თველმადა თუ ყურს გვივდებდა კაცი ვერ გაიგებდა, როგორც კი მისი სახელი გახსენეთ, მართლა მუშტისხელა თავი აიღო და შემოგვხედა.

— რომ არ მოგვწონდეს, სხვა რა გზა გვაქვს, — ცივად მომიგო მან.

— რომ გქონდეს გზა მწყემსობას თუ მიატოვებდიო? — შენ ამას გეკითხებიან. — დამხმარა კუქუ ბასილიაი.

— არ ვიცი. ბავშვობიდანვე რატომღაც მწყემსობა ავირჩიე, მამაჩემი სულ იმას მეხევეწებოდა ისწავლე, ბიჭო, ისწავლეო. მე კი სწავლა არ მინდოდა, მე-2 კლასიდანა ვარ, — დიმილით მეუბნება მუშტი, თითონაც ხედავს, რომ ახლა იშვიათია ასეთი „უსწავლელო“ ადამიანი და ამიტომ ეცილება — ბავშვობიდანვე თხებს დავსდევდი, მამაჩემი მწყემსი იყო და მეც მის კვალს მივყევი, თუმცა მამაჩემს სულთ და გულით უნდოდა ნასწავლი კაცი გამოვსულიყავი.

შოთამ ელარჯს დაუწყო ჩაზელევა, გაგანია ცეცხლზე ისე, რომ კარდალა არ ჩამოუხსნია, დიდხანს ზელდა, შემდეგ ჩამოხსნა, ნაკვერცხლებზე და მუგულალებზე შემოდგა, ახლა ასე განაგრძობდა ჯაფა, ბოლოს ყველი და ღომი ისე აიზოლა ერთმანეთში, ისე იწულებოდა ელარჯი, სიხურეც კი დაახვია.

ზონჩაზე გადმოლევაში და დაქრამი იროდი შეეშველა. ცეცხლის პირას, დაბალ ტაბაჯზე დავიდგით ცხელი ელარჯი და შევექმცით. მწყემსები მადიანად ილუკებოდნენ, ცხელზე ელარჯმა ერთბაშად ყველა დაგვამუნჯა. სირუმე ჩამოწვა კარავში. გარეთ, სიბნელეში, საღდაც ერთი ძალი ყეფდა.

სერობა რომ დავამთავრეთ, მუშტი და კოკვი წამოდგნენ და წასვლა დააპირეს. ჩვენ მეზობელ კარავში დავიძინებთ, თორემ ყველანი აქ ვერ დავეტყვითო. თავიანთი საწოლი ჩვენ დავკითქეს და ღამეს მისცეს თავი. მე შთ გარეთ გავყევი და ცას შევხედე. კუნაბეტი ღამე იყო.

— ამ საღამოს იწვიმებს, — მითხრა სიბნელეში მუშტიმ, კოკიმ ღამე მშვიდობისაო, მომამაბა და წაეიდნენ. მე მაშინვე შევბრუნდი კარავში. მწყემსები დასაძინებლად ემზადებოდნენ.

მეც ჩემი წილი საწოლი „მიმიზომეს“, ნაბადიც მარგუნეს და ძილი ნებისა მისურვეს. ნაბადი კარგად შემოვიხვიე და გავიბრუნე. ასეთ „ლოკინში“ ძილი, რასაკვირველია, გამიჭირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. შოთა გულაღმა დაწვა, ნაბადი გადაიფარა და თავი დაღო თუ არა, ნელი ფშვინდა ამოუშვა.

მე დიდხანს ვფიქრობდი, მთელი ღამე ძილ-

ნოდარ წულავისძირი
მწახ, მპაზი, სტომონელი

ღვიძილში გავატარე, ვეკამათებოდი ფერმის გამგეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიონის ხელმძღვანელებს. ჩვენს საქონელზე დარდი მაწუხებდა. სოფელი სხვა არაფერია, თუ არ ვაზი და საქონელი, წყალი და ჰაერი, მცენარე და ფრინველი. მართალია, სამეგრელოს რაიონებს საძოვრები არა აქვს, მესაქონლეობის განვითარებისათვის არ არის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ ეს პირობები ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. საძოვრებიც უნდა გამოვინახოთ და საკვებიც საყოფი უნდა დავამზადოთ, ჩვენი ცხვარძრობა გაღაშენებისა და გადაგვარების ღირსი არ არის.

მწყემსებთან საუბარი იმედს მაძლევდა; კარავში ჩემს გვერდით ნამდვილი მწყემსები იწვნენ, სისხლით და ზორციით „მეორინჯე ხალხი“, როგორც თვითონ ეძახდნენ თავიანთ თავს. ასეთი ადამიანები არც სოფელს მიატოვებენ, არც ვაზს მოაკლებენ ხელს და არც საქონელს. ამას კი უბრალოდ სამშობლოს სიყვარული, საქართველოს სიყვარული ჰქვია.

კერაზე ცეცხლი ჩაქრა. კარავში სიბჭელე ჩამოწვა, ყველას დაეძინა. საქონელმა და მათმა მფრინველმა კარავთან ახლოს იდგა, ან შიგნით იყო შესული. ასეთ ბნელ ღამეში ნადირის შიშით კარვის მიდამოებს არ გაცვილდებოდა. ხანდახან კარავში ჯაღჭლიას ყეფა შემოიჭრებოდა. მე ჩემთვის ვბუტბუტებდი მწყემსების ძველისძველ სალოცავს: „გალენიში ორთავ, დიდებულო და სახელიანო! შენ დაიფარე და დაიცავი ჩემი საქონელი, შენ მომიშენე და მომიზრავლე, მოუხარშავ-შეუმწვარის მჭამელს (იგულისხმება მგელი, მის სახელს ტაბუ ადევს) პირი აუჯარი და კრიჭა შეუქარი“.

ვეხვეწებოდი ჯუმას, გალენიში ორთავს, უინიში ორთავს, ყველა ცნობილსა და უცნობ ღმერთს ჩვენი საქონლის, ქართული ცხვარძრობის მოშენებას, მოზრავლებას და დღეგრძელობას.

ასხის მთაზე კუნაპეტი ღამე იწვა, ჩვენს კარავს და საქონელს ყურადღებით დარაჯობდა ჯადუღლია, ეამიდან ეამზე მთელს ზენიაქვათაში მხოლოდ მისი ყეფა გაისმოდა.



პვენი ზუკუბუნი

პერსონოლოგიური პრობლემა იაკო გოგუბუნილის შემთხვევაზე

პიროვნება ყველაზე მგრძობიარე და, ამასთანავე ერთად, ყველაზე გამძლე სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებათა ავტორიანობას და აძლევს შინაარსსა და აზრს მის ცხოვრებას...

პიროვნების სიძლიერის, სიმდიდრის, სიფაქიზისა და გამძლეობის ხარისხი და დონე არის ის სანუტყარი საუნჯე, რაც შეიძლება გააჩნდეს ადამიანს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ არსებას.

ისტორიულად ცხოვრების ორომტრიალში, ბედისა თუ უბედობის აღმართ-დაღმართში, შრომასა თუ ბრძოლაში, მოკაშკაშე თუ ღრუბლიანი ცის პირობებში საბოლოოდ ქართული კაცის პიროვნება ყოველთვის იყო შეუღრეკელი, გაუტეხავ-გაუბზარავი... ყოველთვისა და ყველა პირობებში თავისი მამულის, მშობლიური სულისა და გულის, ეროვნული აზრისა და გრძნობის ამაყი დამცველი...

ჭერ კიდევ მეოთხე საუკუნის ქართული მასალები წარმოადგენს უტყუარ საუნჯეს პიროვნების ფსიქოლოგიისათვის, ვინაიდან მოგვიტობს მოვალეობის გრძნობაზე, პატრიოტულ ვეფაცობაზე, სინდისის სიფაქიზეზე და საერთოდ მორალურ სისუბეკეზე.

ხოლო შოთა რუსთაველმა პერსონოლოგიური პრობლემები განიხილა ჭერ არნახულ აკადემიურ სიმღლეზე და გახადა საერთაშორისო მეცნიერული ძიების საგნად.

პერსონოლოგიური იდეები ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

მომდგრებას პიროვნების ფსიქოლოგიის შესახებ ჭეროვანი ადგილი უკავია აგრეთვე ქა-

რთულ მეცნიერულ აზროვნებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე არის პიროვნების ფსიქოლოგიის ფუძემდებელი და მან მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძის დიდ ყურადღებას უთმობდა პიროვნების ისტორიის პრობლემების განხილვას; ხოლო აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს სასარგებლოდ მიაჩნდა შემოქმედებითი სიმბოლო პერსონოლოგიისა და ფილოსოფიის შორის.

როგორც ვიცით, ძირითად პერსონოლოგიურ კატეგორიებს შეადგენს ცნებები შრომაზე, მოვალეობაზე, ნდობაზე და სინდისზე. ამ მხრივ უქველად საინტერესოა ქართული საქმის მოამავის, დიდი ილიას დიდი მეგობრის, თანამოაზრისა და პატივისმცემლის, ღირსეული პედაგოგისა და მორალისტის იაკო გოგუბაშვილის შემოქმედების შესწავლა.

ქართულ ეროვნულ-მეცნიერულ, თუ პრაქტიკულ პედაგოგიაში, იაკობი არის არა მარტო გოჭის შემქმნელი ფიგურა, არამედ უკვდავი შუქურვარსკვლავი, რომლის ნათელი სხივი ეფინება ადამიანის სულიერი შინაარსის მრავალ უბანს.

კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევები, რომლებიც გასცდა მშობლიურ საზღვრებს და საყოველთაო ინტერესს დაიმსახურა. ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული მკვლევარნი არიან დიდი მასწავლებლის, იაკო გოგუბაშვილის შემოქმედებითი აზრის, იდეებისა და სურვილების ღირსეული მემკვიდრენი.

არსებობს მრავალი მეცნიერული გამოკვლევა, დისერტაციები, მონოგრაფიები და ცალკეული შრომები იაკობ გოგებაშვილზე როგორც პედაგოგზე, მოაზროვნეზე, მოღვაწეზე, ადამიანზე, მოქალაქეზე, იშვიათ პატრიოტზე, მის პიროვნებაზე, ქართველოლოგიურ თვისებებზე, მისი შემოქმედებითი ტექსტის სიღრმეზე და სწრაფვაზე.

განუზომელად საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება თანამედროვე პერსონოლოგიის შუქზე და ამ მხრივ მომავალ მკვლევართა წინაშე გადაშლილია დიდი ასპარეზი....

ისმის საკითხი, რა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა გარემომ და სულიერმა ვითარებამ შეუწყო ხელი იაკობის ნიჭს დაემტკიცებინა დეპულტმა, რომ სიღამაზე, სიბრძნე და თავისუფლება ურთიერთგანუყოფელი კატეგორიებია.... და, ამასთან ერთად, ჩვენებინა, რომ დედის, სახლის, ოჯახისა და საშობლოს მივიწყება სულიერი ცხოვრების დასისხლიანება...

მთავარი ძარღვი, რამაც განაპირობა გოგებაშვილის სიყვარული ხალხის, სიმართლის, სინდისის ოფლის, ქართული სიტყვისა და ქართული ბუნებისადმი არის ის, რომ როგორც ამას აღნიშნავს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი-პედაგოგი დავით ლორთქიფანიძე, იაკობ გოგებაშვილი ხალხის შვილია, შუა ქართლში დაბადებული და ხალხის კალთაში გამოზრდილი. ბავშვობიდანვე პატარა იაკობი გამსჭვალული იყო ხალხისადმი სიბრალულთა და თანაგრძნობით.

მაგრამ იაკობის პიროვნების მიმართებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ილია ქაჭკაჭაძის გავლენას. მათი მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთგავსობის მოგვეგონებს ორი პატრიოტული კოცონის გაერთიანებულ წეას საშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის...

გავიხსენოთ რაფეელ ერისთავი, რომელიც ამბობს: ადამიანი სადაც დაიბადა და აღიზარდა ე. ი. მშობლიური ძარღვი ყველაზე სანუკვარიოა. მშობლიური ადგილები ამკვირებს პიროვნებას და ამრავლებს მის ეროვნულ ტრადიციებს. ეს გარემოება განსაკუთრებულად მისაბამია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, როდესაც, და არც ისე იშვიათად, სოფლიდან წამოსული ახალგაზრდა სწავლის დასრულებისას ივიწყებს ოჯახურ ბუდეს და ამით წყვეტს მორალურ ფესვს მასთან, რაც მას ასიცოცხლებს.

იაკობი თავის სოფელზე წერს: პატარა და ღარიბი ვარინი, მაგრამ მე კი ეს სოფელი რიგერ მიყვარსო. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დაიბიდა, იქ ვიბილე სინათლე მზისა. იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების მიკვირი, იქ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მყოფად ვიხილე იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი, ლაშქრობა, შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხიო.

გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ ტრადიციებით გაჯანსაღებული პიროვნების სწრაფვაში გამართლებულია. ამასთან ერთად, იაკობი გვასწავლის, რომ ღვიძლი სიტყვა ფასდაუღებელად ასახავს მშობლიურს. ღვიძლი სიტყვა არა მარტო პიროვნების საწყისია, იგი ამიღირებელიცაა და ინახავს მას, ირკვევა რომ ღვიძლი სიტყვით უფრო ადვილად, უფრო მსუბუქად, უფრო მეტის აღტაცებითა და მხურვალეობით იესება კაცის გული: ხოლო ღვიძლი ინდაზები, ამოცანები, ზღაპრები, მოთხრობები და კიდევ ხალხის გონების სხვა საუნჯე ადამიანს ავიარჯიშებს და მას ფრთებს ასხამს. იაკობის მიერ, დასმულია დიდი ფსიქოლოგიური პრობლემა დედა-ენისა და პიროვნების დინამიკური ურთიერთობის შესახებ.

უფრო მეტიც, წარმოდგენილ პრობლემას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე მეცნიერულ ძიებასთან, რომლის მიზანია ადამიანის მთლიანი ინტეგრირებული, სინთეზური კვლევა totus homo (მთლიანი ადამიანის) სახელწოდებით.

ღედა-ენა, ანუ ღვიძლი სიტყვა ის ხლია, რომლის საშუალებითაც მყარდება გარკვეული კავშირი ფიზიკისა და ფსიქიკის, ხორციელისა და სულიერის შორის. მოვესმინოთ ავტორს: „ამამდინ ბევრს ჩვენგანს სრულიად არ ესმოდა, რომ ღედა-ენა, როგორც ბუნებათა იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორციან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეითი გახსნისათვის, რომ ვინც ზედმოწევილი არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჭრთვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტ-ნაკლებობით ფუქსიავტი არსება, თუნდაც რომ მთელი დუქინა უცხო ენები იცოდეს“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. I. 1955 წ. გვ. 482).

„ქართული ენა ისეთივე მრავალ-ვეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, საესე მრავალ-გვარი მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრმას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწორავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს.“ (ი. გოგებაშვილი ტ. II. 1955 წ. გვ. 205).

„ღედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდღე ჰკავს ტანისამოსსა, რომლის გამოცელა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გა-



მდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭირა ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედა“ (გოგებაშვილი. ტ. II, გვ. 207-208).

„ღეღაინა“ და „ბუნების კარი“ ვახდა მრავალი ახალგაზრდა თაობისათვის, არა მარტო ცოდნის უზრეტი წყარო, არამედ ამ ორი უძველესი სახელმძღვანელოს გზით ყალიბდებოდა ბავშვისა და მოზარდის პიროვნება... პიროვნება, რომელიც უნდა ყოფილიყო აღესილი სულიერი ძალითა და ბრწყინვალე ინტელექტით.

იაკობ გოგებაშვილი მშვენიერად იცნობდა მისდროინდელი მედიცინის სოციალურ საკითხებს და ხსენებულ მასალებს მოხერხებულად და მარჯვდელ იყენებდა პედაგოგიაში.

მეორეს მხრივ, მე დარწმუნებული ვახლავართ, რომ გოგებაშვილის შემოქმედებითა ოდებებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის დებულებებს აქვს განსაკუთრებული ინტერესი ბავშვთა და მოზარდათა ფსიქოპათოლოგიის პრობლემებისათვის (მხედველობაში მაქვს პედოგოგია და პედოფსიქოპათოლოგია).

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, თუ ფიზიკურად მოზარდობა და ბავშვთა შორის არსებობს თვისობრივი განსხვავება, ფსიქიკურად ეს სხვაობა უფრო მკვეთრი, თვალსაჩინო და ძირეულია, გოგებაშვილს არამცთუ ამომწურავად აქვს წარმოდგენილი აღნიშნული თვისობრივი განსხვავება, არამედ მისთვის ბავშვისა და მოზარდის სულიერი ცხოვრება დამოუკიდებელი ფსიქიკური სამყაროა თავისი წინქცევითი და უკუქცევითი ტალღებით. იგი მივგითითებს ბავშვის პიროვნების თავისებურებაზე, მის შინაარსსა და შესაძლებელ რეაქციათა სიმრავლესა და მრავალფეროვნებაზე.

გოგებაშვილის შემოქმედება გეარწმუნებს, რომ პერსონოლოგიური შესწავლა უნდა იწყებოდეს ჯერ კიდევ ბავშვის ნაადრევი ასაკიდანვე.

ჩვენი გამოკვლევების თანახმად, ჩველი ბავშვის პირველი გაღიშება დედისადმი უკვე პიროვნული განწყობის პიროტოტიპია. ირკვევა, რომ ჩვილის ღიმილი, როგორც მარცვლი უმადლესი სიყვარულისა, ისახება თვითცნობიერების განვითარებამდე.

გოგებაშვილის დებულება, რომ მორალურად მტკიცე და უხადო პიროვნებაზე ფიქრი ვულისხმობს ბავშვებზე ზრუნვას, განსაკუთრებულად აქტუალური და ყურადღების ღირავი დღეს. როგორც ცნობილია, ჩვენს დროში ბავშვის ზრდა, აღზრდა და განვითარება ხდება ზღვა ინფორმაციითა პირობებში, რაც დაკავშირებულია მეოცე საუკუნის ცხოვრების ტემპთან, შთაბეჭდილებათა და განცდათა სიუხვე-

სთან. ამის შედეგად ბავშვის ფსიქიკური რატი ნაადრევად ვითარდება ე. ი. ადგილი აქვს ბავშვის სულიერი ცხოვრების ერთგვარ აჩქარებას, ანუ აკცელერაციას. შეიძლება ითქვას, რომ საქმე აქვს ბავშვთა ნაადრევ მოწიფებასთან. მაგრამ, საუბედუროდ, აკცელერაციის პროცესს, არც ისე იშვითად, საკმაოდ ჩამორჩება პიროვნული გამოცდილება, პიროვნების სიმწვერივე და იქმნება ფიზიკურად, როდესაც ბავშვის სულიერი აპარატი განსაკუთრებულად მყიფე და ლაბილურია. ხოლო თუ ამას დუმიტებთ იმ გარემოებას, რომ ბავშვის ფსიქიკას, ახასიათებს ფიზიოლოგიური სიმყიფე და მსხვრეველობა, ვისაბგებია: მეოცე საუკუნეში ბავშვი, თუ მოზარდი იმყოფება სუსტ წონასწორობაში და უფრო ადვილია ახალგაზრდის ცხოვრების გეზის მოსხლეტა, გამრუდება, დეზინება, აი რატომ არის ესოდენ საჭირო პიროვნების სიფაქრე და სიმწვერივე ბავშვთა და მოზარდათა შორის.

ამ მხრივ საჭიროა განსაკუთრებული ოპტიმუმი, რასაც განსაზღვრავს ოჯახი, სკოლა და გარემო სოციალური ვითარება, პირველ რიგში ამხანაგური წრე. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდი მაგალითი განსაკუთრებულად საზიანოა ახალგაზრდა თაობისათვის.

იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ოჯახი არის ძირითადი რგოლი, რომელიც სოციალურად აეაქცევს და მორალურად აპურებს ახალგაზრდას. პიროვნების ბრძმედი ოჯახია. იაკობი მოგვითხრობს, რომ ბავშვს „ოჯახი უნდა ამხნეებდეს, ოჯახი უნდა დღე მუდამ საზრდოს აწვდიდეს მის სულსა და გულსა, რათა გონების და ზნეობითის ახალის ძალით შეიმოსოს ბოროტთან, მაცდურებასთან, უსამართლობასთან საბრძოლველად (ი. გოგებაშვილი. ტ. I, გვ. 184).. და შემდეგ: „ახალი თაობა, აღზრდილი თავისი ენის, ქვეყნის და ისტორიის უფიცილობა და აბუჩად ავადებაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესაებზედ და ხშირად შეიღებრივის სიყვარულის მაგიერ სიძულვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა. ამ შემთხვევაში დედ-მამა თავისი უკუღმართობის გამო ისევე საშინლად ისეება, როგორც დაისაჯა შინდრინის ერთი გმირი, რომელმაც შვილის ბედნიერებისათვის ყოველი სამაგლობა ჩაიღინა და ბოლოს შვილის სიყვარულის მაგიერ მისი ზიზი და სიძულვილი მოიპოა“ (ი. გოგებაშვილი. ტ. II, გვ. 228).

მოშავალი ახალგაზრდა ჩვენი იმედი და სიხარულია. მისი სულიერი რაობის გამოკვეთა ხდება ბავშვობაში. მოვესმინოთ ავტორს:

აზლინი ზურაბაშვილი
პერსონოლოგიური პრობლემები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში



„გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღირსია საყრდენი ნაწარმოებთა, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა აღდამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ ლაზარს უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა.

დღმა გერმანელმა პოეტმა გოეთემ თქვა: არაფის არ შეუძლიან ვათავისუფლდეს ბავშვობის დროის შთაბეჭდილებათაგანათ. დიხს, სწორედ ეს შთაბეჭდილებანი ჰყრიან საძირკვლს მირტრეკილებისას, მიმართულებისას. ამ აღრიან შთაბეჭდილებებზე დიდად არის დამოკლებული კაცის მისწრაფებანი, ხასიათი, თვისებანი. თუ თქვენს შვილს პატარაობისას მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებები მიზიზღავენ თავისაყენ, აგრძნობინებენ სიამონებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტყიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებით ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ქუქის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მოუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“ (ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 10-11). ბავშვისათვის ყველაზე მძიმე და კატასტროფული ფსიქიკური ტრავმაა, როდესაც ოჯახი ტყდება-აირღვევა.

თანამედროვე პერსონოლოგიის თანახმად, ოჯახის რღვევა ხშირად სხვადასხვა ფსიქიკურ დაავადებათა და სულიერი უკმარისობის უტყუარი მიზეზია. ამ მხრივ, გოგებაშვილის იდეები განსაკუთრებულად ყურადსაღებია. როგორც ვხედავთ, ბავშვის სწორ ზრდა-განვითარებაში წამყვანი ოჯახი ე. ი. დღმა და მამამ. რომელიც თანაბრად პასუხისმგებელი არიან ბავშვის მრავალი ბედის წინაშე. მაგრამ ვარკვეული მოვალეობა ეკისრება დედას, ვინაიდან ბავშვი უნდა არა მარტო გაზარდოს, არამედ აღზარდოს. მოწოდებულია მამულს მისცეს ღირსეული შვილი. გოგებაშვილი მოგვაგონებს, რომ ქართველი დედები „იყვნენ ძველს საქართველოში ნამდვილნი, შეურყეველნი, ბურჯნი ერთგუნების არსებობისა, განვითარებისა, აღორძინების“ (ი. გოგებაშვილი, ტ. IV, გვ. 475). ბავშვის სჭირდება მამის ავტორიტეტული ზრუნვა და დედის ალერსიანი სიყვარული. ასეთ ვითარებაში მყოფი ბავშვი მშობლებს უპასუხებს აგრეთვე სიყვარულითა და ზრუნვით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ განვითარებული ცნება სულის ობლობის შესახებ განსაკუთრებული სიმწარით განიცდება ბავშვობაში, ვინაიდან სწორედ ამ ასაკში მეტად დიდია მოთხოვნილება შინაგანი განცდების გაზიარე-

ბისა. ხოლო ნორმალურ ვითარებაში ბავშვი თავის შინაგან სამყაროს პირველ დეტალებს თავის დედას.

მშობლების სიყვარული შვილების მიმართ, ბიოლოგიურად პირობადებულია; სოციალურ-ფსიქოლოგიურად უფრო საინტერესოა შემზრუნველი ექტორი — შვილთა გრძნობები მშობლების მიმართ. პიროვნება ვალდებულია სიყვარული, ყურადღება და პატივისცემა გამოიჩინოს მშობელთა, მასობელთა მიმართ.

ხსენებული დებულება მაღალ პიროვნულ დონეზე გაშუქებულია „დედაენაში“, როდესაც ბავშვი მტკიცედ ამბობს მე არ მინდა ავადმყოფმა დედამ ვაგაოს ჩემი ტანჯვა-ტყველი და უწინდელსავე შეწყუბდესო.

„დედაენაში“ ბავშვი აგრეთვე ეცნობა ამბავს, რომ ბერეკაცს ისევ პატივი დაუბრუნეს, სუფრაზე სვაამდენ და ბრიყველათ აღარ შეცვოდნენ.

მორალისტური მაგალითებით იაკობ გოგებაშვილი მარტვად, წარმტყავად, ვასაგებად და დამაპროვლად უღვიძებს ბავშვებს ზნობრივი მოვალეობის გრძნობებს. ამ გზით „დედაენის“ ასაკიდანვე ბავშვის პიროვნება მეტადდება, ფაქიზდება, იხვეწება და ცდილობს გაიმეოროს კეთილშობილური საქციელი.

„დედაენა“ და „ბუნების კარი“ არის ორსაფეხურიანი, მაგრამ მიზანდანიშნულების მზრივ მთლიანი ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვს არა მარტო ამდიდრებს ცოდნით, არამედ უქმნის მას მტკიცე მორალურ ზეგნებას. ამიტომ ამ წიგნთა მასალა შემოქმედებითად მნიშვნელოვანია თანამედროვე პედოგოგიაში და პრაქტიკისათვის, მისი მეთოდური საკითხებისათვის. როგორც ვხედავთ, იაკობ ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებაში წამყვან როლს უთმობს ოჯახს და პირველ რიგში დედას პიროვნებას.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ილიას მიერ წამოყენებული პრობლემა დედის ძუძუს ქართველობაზე, დედის ძუძუს ძალასა და შინაარსზე.

ხსენებული პრობლემა დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვინაიდან დედის ძძის, დედის ძუძუს საკითხი ძირითადი კვლევის საგანი გახდა პედომორფოლოგიაში და პედოფიზიოლოგიაში, პედონევროლოგიაში და პედოფსიქიატრიაში, პედოფსიქოლოგიაში და პედოფსიქოპათოლოგიაში.

დღეს მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ცნება დედობის შესახებ არანაირად არ შეიძლება შემოისაზღვროს გარკვეულად გიწრო პერიოდით.

„დედობა“ არა მარტო ფიზიოლოგიურად (ფიზიკურად), არამედ ფსიქოლოგიურად იწყება ბავშვის ჩასახვის დღიდან. დაბადებამდე ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუ-



ცილებლად საჭიროა ისეთი ვითარება, რომ ფეხშიმე მანდილოსანი, ესე იგი, ჯერ კიდევ მეცლად მყოფი ბავშვის დედა, იმყოფებოდეს მშვიდ, წყნარ ოჯახურ პირობებში და საცესობით დატული უნდა იყოს არა მარტო რაიმე ფიზიკური, არამედ ფსიქიკურად მავნე ზემოქმედებისაგანაც.

დედა სიმშვიდითა და სიხარულით უნდა ელოდოს ბავშვის პირველ კვილს.

ობტინალურ ვითარებაში, თუ რაიმე ავადმყოფური გართულება არ დაერთო, ფეხშიმე ქალი ყოველმხრივ მომზადებული შეხედდება ბავშვის დაბადებას და სრულიად საქაოად ექნება ჩვილისათვის საჭირო რძე.

დედის რძე სარგებლობის მხრივ ყოველად შეუდარებელია. ლაქტაციის პერიოდში, ანუ ძუძუს წოვების დროს, დედის რძე ბავშვს აწვდის არა მარტო მისთვის საჭირო საკვებ საზრდოს, არამედ ამ გზით ჩვილი დედისაგან ღებულობს თავდაცვისათვის საჭირო იმუნობიოლოგიურ ფაქტორებს. მაგრამ, როგორც გენიალურად აღნიშნავს დიდი ილია, ძუძუს ძალი ამით არ ამოიწურება. სოციალურ ფსიქოლოგიურად და ფსიქოლოგიურად დედის რძეს ენიჭება საზღაბრო მორალური თვისება. ჩვილის კვების ყოველი აქტი ვადაიქცევა მორალურ სიმფონიად, როდესაც რძესთან ერთად ბავშვი გრძობს დედის აღერსს, დედის: ზრუნვას, დედის რწმუნას კეთილ მომავალზე; ასეთ ვითარებაში ჩიბის სიტკბო ზღაპრულად მრავლდება და იგი ბავშვს შეეგრება, რომ იტყვიან როგორც დედის ძუძუ.

მაგრამ, როდესაც ფეხშიმე ქალი მუდმივ ინტერულობაშია, ან როდესაც დედა ძუძუებს იმპირატუს ფიგურა არ წამიხდის, მაშინ, ახალი, დედის ძუძუ ფრუგბა... და, საუბებდუროდ, ძუძუს გაშრობასთან ერთად შრება და იკარგება დედობაც, მისი აღერსაც, ქრება და ყრუდება სანეტარო განცდათა სიმფონია... ხელოვნურად რძის გაშრობა უველახე დიდი ბოლწიერებაა... იგი ვასაკუბია, ვინაიდან ამით მრუდდება პერსპექტივის მქონე ჯანსაღი მომავალი.

გოგებაშვილის შემოქმედებაში პიროვნების მორალური სამყარო და ზნეობრივი სრულყოფა ავებულება შრომისა და გარჯის პრინციპზე და ამასთანავე ერთად ნაჩვენებია, რომ სიზარმაცე და ფუქსავატობა არის ყოველგვარი ჩანკიერების წყარო.

სუნებული იდეა მოხდენილად გატარებულია მოთხოვნებში, ანდაზებსა და ამოცანებში. აქ მთავარი მიზანია ბავშვი დარწმუნდეს და ნათლად შეიგნოს, რომ მოქმედება და პატრონდება არის ადამიანის ყოფიერება; რომ სწორედ ამ გზით ყალიბდება სიკეთე და ადამიანობა; რომ ეს გზა ქმნის სულიერ სიმდიდრესა და მატერიალურ დოვლათს.

იაკობის მიერ განვითარებული ყოველი დე-

ბულება წარმოადგენს ცოცხლად დუქტურულ შემოხვევას, ცოცხალ აზრს, რომელიც საჭიროა სუვალთა სტოლასტიკური ბურუნისაგან. სიკეთისა და ბოროტების ილუსტრაციისათვის ავტორი მოხერხებულად მიმართავს ბუნებას, მემჩარებას და ცხოველთა სამყაროს. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ გოგებაშვილი იდგა თავისი დროის მეცნიერების მალალ დონეზე და ბრწყინვალედ იცნობდა ბუნებისმეტყველების ყოველ უბანს.

ანბანის შემდგომ პირველი საკითხავი მასალები და მოთხოვნები, როგორც, მაგალთად „ბავშვის შექება“, „ჟარი და ბუბული“, „ჩიტი და ვასო“, „ჩიტი და მელა“, „ჟანო და ჩიტი“, „კაპკაპი და კრუხი“ და მრავალი სხვა ბანვის პიროვნებას აცნობს ბუნების „პაყაროს, უღიამებს მოვალეობის გრძობას და, ამასთანავე ერთად, უნვითარებს ქეშპარატებისა და სიმართლის მოთხოვნილებას...

სინდისის შინაგანი ხმა, სინდისის ქენჯნა და გატყევილი სინდისი (отрпанная совесть) იო ის მთავარი პრბლემები, რომლებსაც ვხედებით გოგებაშვილის შემოქმედების პერსონოლოგიური ანალიზის დროს.

იაკობი გვაფრთხილებს, რომ „შავი ჭირი ორგვარი ვახლავთ: ფიზიკური და ფსიქიკური. პირველი ასწეულებს და სობნს მხოლოდ მკობრედნს ნაწილს ერისსას, მეორე კი მომავლდინებელ სენად ედება მთელს ხალხსა და ამოფხვრის გზაზე აყენებს“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IV. გვ. 507).

აღნიშნული დებულება სწორია; მას აქვს ზოგადი სოციალურ-ფსიქოლოგიური და სუფთა ფსიქოლოგიური აზრი და მნიშვნელობა.

გოგებაშვილისათვის განსაკუთრებულად საშიში და საზარელია ზნეობრივი ჭირით შეყრობილი ადამიანი.

დღესაც და ყოველთვის უნდა მტკიცედ გვახოვდეს, რომ „ამორალობის მიკრობი“ ვრცელდება ძლიერ სწრაფად და მას ვერც ერთი ებიდემია ზიანის მხრივ ვერ შეედრება.

ავტორი მთელი სიღრმით გრძობს მორალური კატასტროფის გამანადგურებელ შედეგებს, ამიტომ მისი მთავარი მიზანია, იზრუნოს ახალგაზრდობის ზნეობრივ სიფაქიზეზე.

გოგებაშვილი გვასწავლის, რომ სიკეთე თუ ბოროტება არ არის მემკვიდრეობითი კატეგორია და ამიტომ ახალგაზრდობის სწორი აღზრდა და მომართება ყველაზე საპატოო საქმეა. იგი გვაფრთხილებს, „რომ სწავლების ისეთი სისტემის პროპაგანდა, რომელიც ახალგაზრდობის გონებრივად საშინელ ვადგვარებას ისახავს მიზნათ, სულიერათ ჰკლავს მას.

ანლირი ზურაბაშვილი

პარსენოლოგიური პროფლიმები იაკობ ზოგებაშვილის შემოქმედებაში



ნიშნავს იმაზე უფრო საზიზღარი დანაშაულის ჩადენას, ვიდრე ჩადიდონენ „შამიბუხუეები“ ბულგარელი ბავშვების მიმართ, როცა მათ ფიზიკურად ჰკლავდნენ“ (ი. გოგებაშვილი. ტ. I. გვ. 75). და შემდეგ: „ქვეყნიერებაზე არ იყარგება არა მარტო ნივთიერება, არამედ ზნეობრივი ენერგიაც, რომელიც ხორციელდება მადლიანის ცხოვრებაში. წმინდა, პატიოსანი ცხოვრების მიმდევნი თავის ზნეობრივ მადლიან მალას ჰქვენს თავის გარშემო არა მარტო სიკოცხლის დროსა, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ჰპოულობს მიმბაძავი, რომელიც განაგრძობენ და უკვდავ ჰყოფენ მის მადლიან ხასიათსა და მის სპეტაკ ზნესა, და ამდრებენ ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ჭონებრივ თანხაზედ.“

ამიტომ, ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზედ მოქმედი, რომელიც, ნაყოფიერს შრომასთან ერთად, მტკიცედ ადვია ეთიკურს პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარშემო ჰქვენს ზნეობრივ მადლსა და სიბოლსა. ამისთანა ადამიანები შეადგენენ მარტოს ქვეყნისას“ (ი. გოგებაშვილი. ტ. III. გვ. 202).

ავტორის გაგებით, ადამიანს ესმის, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. როცა კეთილს საქმეს ასარულებს, გულში სიამოვნებასა განიჭობს; როცა ბოროტს ჩადენს, მაშინ სწუხს და გულში იტანჯება. ერთი სიტყვით, ადამიანს სინდისი აქვს, რომელიც კეთილისათვის აჯილდოვებს და ბოროტისათვის სჯის, ხოლო თუ საქმეს სინდისი მოაკლდა, მაშინ მადლი საუთაროვე ხელით შეიძლება მატლად იქცეს.

საჭიროა ყველგან სუფევდეს პრინციპი პატიოსნებისა ქვეყნისა და აზროვნებაში. ამავე დროს იკაობს გვაფრთხილებს, რომ პატიოსნება აზროვნებისა უფრო იშვიათი ხილია, ვიდრე პატიოსნება ყოფაქცევისა. ხსენებული ფსიქოლოგიური დეტალი განსაკუთრებულად ყურადსაღებია და მეცნიერულად საინტერესოა. ქვეყნა ყველასათვის დასანახია და აქ მოქმედება შეიძლება იყოს გარკვეულად ლიბერტარული; ხოლო აზროვნების დროს მორალური კოდექსის დაცვა უფრო მოითხოვს პიროვნებისაგან მეტ ზნეობრივ სიფაქიზესა და გამორჩაობას.

გოგებაშვილის თანახმად, სინდისი ყოველთვის უნდა იყოს ფუნქციურად აქტიურ მდგომარეობაში; ამიტომ საჭიროა ადამიანს გაჩინდეს, თუ შესწევდეს სინანულია და ქენჯის უნარი... უნარი სინდისის წუხილისა და შინაგანი სწრაფვისა, რათა საქციელი იქნეს გამოსწორებული. დასმული ამოცანა ბრწყინვალედაა ამოხსნილი მოთხოვნაში „ბავშვი და კრიკინა“, „დღეადანში“ ჩვენ ვკითხულობთ, რომ მიწოდროში ყმაწვილმა კრიკინა დაიჭირა და შინ მიჰყავდა. გზაზედ უცაბედად თურმე ხელი ცუდად მოახვედრა კრიკინას და

ფეხი მოსტება. ყმაწვილს გული აეგუჰყარა... მღუღინი და მწუხარებით. როცა შინა-შეკრესს... ჩაიკეტა ოთახის კარები და ჯავრით იმ დღეს აღარაფერი უქამია. ეს ბავშვი შემდეგში გამოსულა უგულვეთილესი, ყველასათვის საყვარელი და ფრიად სახელოვანი ადამიანი. ეს ყოფილა განთქმული იტალიელი მოღვაწე-გარიბალდი. ხსენებული მოთხრობა ბავშვისათვის ავრთვევ ნათელი მავალითია, რომ სულიერი სიფაქიზე არის საწინდარი ადამიანი მომავალში გახდეს ყველასათვის სასიკაღმლო პიროვნება.

ჩვენს დროშიაც მსმენია, რომ მეცნიერი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ქვეშარტებას და ზუსტ მეცნიერებაში ზნეობის პრინციპი უნდა დღეადროს ქვეშარტებისადმი სწრაფიყობს.

სრულიად უმართებულო, მცდარი და ყოველმხრივ მავნე დებულებაა. სინდისი აუცილებლად საჭიროა ადამიანის ქცევისა და მოქმედების ყოველ უბანზე. ამიტომ ყოველი მეცნიერი მუშაისათვის უშუალოდ საგალაშუალოა მორალური პრინციპი, რაც გინდ მშრალ ქვეშარტებას არ უნდა ემსახურებოდეს იგი.

ჯერ ადამიანი, ჯერ სინდისი და მერე ცოდნა და მეცნიერება. უკანასკნელ დებულებას მტკიცედ იცავდა გოგებაშვილი. ავტორი იხსენებს თითქოს მეცნიერს, მაგრამ უკვანო და არამზადა, უზნეო ადამიანს. ამისთან ერთად მოგვითხრობს, რომ გენიალური მეცნიერნი ნიუტონი და პასტერი იყვნენ აღჭურვილნი მაღალი ზნეობით.

ჩვენ ვიგებთ, რომ „უგენიოსესი ნიუტონი, უდიდესი მეცნიერი იყო იმისთანა მაღალი ზნის პატრონი, რომ თვით უკიდურესს მტრობასაც— კი არ შეეძლო მიეყენებინა ჩრდილი მისი ბრწყინვალე ცხოვრებისათვის. ამავე ღირსებით ბრწყინავდა ჩვენს დროში ფრანგი პასტერი, პირველი მეცნიერი საფრანგეთისა“ (ი. გოგებაშვილი. ტ. III გვ. 11).

ნიუტონის მავალით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან მაღალი მორალის განსახიერება — ნიუტონი — მოწაფეა ასევე დიდი მასწავლებლისა.

მეცნიერების ისტორიიდან ვიცით, რომ ინგლისის ერთ-ერთი პროფესორი, რომელიც განაგებდა ფიზიკის კათედრას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში ოფიციალურად მოითხოვს პენსიაზე გადასვლას, რათა კათედრა გადასცეს თავის ნიჭიერ და უფრო პერსპექტიულ მოწაფეს.

ასეთი თხოვნა იწვევს არა მარტო განცვიფრებას, რამედ კვალიფიციტებულა, როგორც გაუგებარი და გაუმართლებელი უცნაურობა. მაინც მასწავლებელი თავისას აღწევს და გადასცემს კათედრას ახალგაზრდა მოწაფეს. ეს მოწაფე გახლდათ ნიუტონი.

მოტანილი მავალითი მეტყველებს მაღალი



მორალურ სრულყოფაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მასწავლებელსა და მოწაფეს შორის.

ბავშვთა, მოზარდთა, თუ მოზრდილთა სულიერი სამყაროს განხილვისას იაკობ გოგებაშვილი ყველაზე უფროადასტურებს უთმობს პერსონოლოგიურ ცნებას ნდობის შესახებ, რასაც მაღალ ფსიქოლოგიურ დონეზე განიხილავდა გამოჩენილი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნდობა არის ის ძირითადი და აუცილებელი ფსიქოლოგიური პირობა, რომელიც საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს ცალკეულ პირობა და ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთზრუნვასა და ურთიერთპატივისცემას. ხოლო ნდობის დაკარგვა, მისი მოსპობა, თანამად ბარათაშვილისა, იწვევს სულის ობლობას, დაურწმუნებლობასა და პესიმიზმს.

სრულიად იზიარებს რა ბარათაშვილის დებულებას ურთიერთ ნდობისა და ურთიერთრწმენის შესახებ გოგებაშვილი გვაფრთხილებს, რომ უნდობლობას მოსდევს შური, გვიანობა, წვრილმანობა და გონებრივი განსაკუთრებულობა. მოვეხსინით ავტორს: „უსამართლობის შეგნება იმპრობის ერთისა და მეორე მხარის გონებას, ჩნდება ყველგან და წამლავს სასწავლებლის მიერ ატმოსფეროს და იწვევს უკმაყოფილებას თვით საზოგადოებაშიც. ასეთ წრეში სწრაფად იწყებს განვითარებას უნდობლობა, ექვიანობა, წვრილმანობა, ტომობრივი განსაკუთრებულობა. ახლოს უმალდეს და უკეთილშობილეს გრძნობებს და იწვევს გათიშვას იქ, სადაც უნდა მეფობდეს მშვიდობა და ნაყოფიერი სოლიდარობა. თანასწორუფლებიანობის პრინციპი პირიქით, განამტიკებებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტომის ელემენტებს შორის, ბაღებს ურთიერთ ნდობასა და სიყვარულს, ამყარებს ადგილობრივ და არა ადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთგაგებებას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევისათვის ერთსულოვან ბრძოლას“ (ი. გოგებაშვილი. ტ. I. გვ. 162).

საყოველთაოდ ცნობილია ნდობის წამყვანი როლი მედიცინაში და ამ მხრივ იაკობ სრულიად მართებულად აღნიშნავს: „რწმენას ავადმყოფის მორჩენაში უზირველესი მნიშვნელობა აქვს. საზოგადო შენიშნულია, რომ თვითონ წამალი ისე ძლიერად არ მოქმედებს ავადმყოფის განკურნებაზე, როგორც ამ ავადმყოფის სრული რწმენა ექიმისადმი და მის მიერ დანიშნული წამლისადმი“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IV გვ. 37).

გოგებაშვილი ცდილობს უფრადლება, უნარი, ვაებულებები და მოქმედება მიემართოთ იქითკენ, რომ ნდობა გაძლიერდეს და გაღვივდეს ყოველ ასაკში და პირველ რიგში ბავშვთა შორის.

მოვალეობის გრძნობას იაკობ გოგებაშვილი თვლის ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის დამახასიათებელ თვისებად. იგი სიამოვნებით მოგვაცნობს, რომ მშობლიური ისტორიის კეთილდღეობისა თუ ავბედობის პერიოდში ქართველების გულში მარად ღვივდა კაცობა, გულადობა და მამულისათვის თავდადება. იგი ბავშვებს მაგალითებით უხსნის, რომ მოვალეობის გრძნობა გვირობისა და კეთილშობილური საქციელის საწინდარია. ასეთი გვირობის მაგალითის შემთხვევა, როდესაც სახლს ციხელი წაეკიდა, პატარა ყმაწვილი შიგ მოჰყვა, ერთი გულადი კაცი ციხელში შევიდა, ყმაწვილი გამოიტაცა და სიკვდილს გადაარჩინა.

მაგარი მოვალეობის გრძნობა უფრო მრავალდება ამ ძლიერდება, როდესაც აღამიანა გადაწყვეტს თავის გაწირვას მტრისათვის. აღნიშნული საქციელის გადაწყვეტა და შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების მაღალ რეგისტრზე.

ამ მხრივ ბავშვისათვის მეტად საინტერესო და მისამართი შემთხვევა, როდესაც მხსნელად აღმოჩნდა სწორედ ის, „ვისიგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელოდა. ნაბირზე გამოიხული ყმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულთი აივსო, კეთილმა სურვილმა გაიტყუა და აღიდგულ მდინარეს არ შეუშინდა: იძრო სწრაფად ტანისამოსი, და გადაეშვა წყალში. გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრწახასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაბირზე.“

იქ მყოფი ბავშვები, აღტაცებულნი ასეთი სამაგალითო საქციელით, მისცივდნენ ყმაწვილს, გადაეხვიდნენ და მხურვალე გადაკოცნით დააყილდოვეს.

იმ დღიდან წინადადელი მისისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IX. გვ. 19).

ლაღატი მოვალეობის გრძნობის მოწინააღმდეგე მდგომარეობაა და ასეთ ზნეობრივ ნაკლს ქართველი ყოველთვის ზიზღით უქმერდა, ხოლო მოლაღატეს საშინლად სჭიდა.

ქართველებს ისტორიულად „ლაღატი საშინლად ეზიზღებოდათ და უსაზღვროდ სძულდათ არა მარტო ქართველ აღამიანებსა, არამედ ქართულ მგლებსაც“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IV გვ. 170).

ნდობის გამოვლინება და კეთილი საქმის შესრულება მოითხოვს პიროვნებისეულ კონტროლსა და კორექციას, რაც თავის მხრივ მოითხოვს მონდომებას, აქტიურ სურვილს. გოგებაშვილის თანახმად—აღამიანს შეუძლიან შიოდეს, საქმელი ჰქონდეს, მაგრამ მოითხოვოს და არა სჯამოს; სწყუროდეს და წყალი

აზლინი ჯარაბაშვილი

პირსმონოლოგიური პროფესიონალი იაკობ ბრძაბაშვილის შემოქმედებაში



არ დალიოს; ძილი ერეოდეს და არ დაიძინოს. ერთი სიტყვით, ადამიანს შეუძლია თავისი სურვილი არ აასრულოს, თუ მოინდომა. გოგებაშვილის შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით პერსონოლოგიურ პრობლემას შერთედ მოკვლის შესახებ. ხსენებული პრობლემა ფსიქოლოგიურად მეტად რთულია.

შერთედ სიყვდილის პრობლემა განსაკუთრებული სიღრმითა და სიხუსტით წარმოდგენილია შოთა რუსთაველის უკვდავ „ეფესოს ტყაოსანში“.

გვსმენია სიტყვა ყველაზე ძლიერი და ყველაზე სუსტია, ან ენა (მეტყველება) ყველაზე ტბილი და ყველაზე მწიკრია; უეჭველად მართებული აზრია. სიტყვამ ხმაოვრად ადვილად შესაძლოა მოკვეთოს თავი... ამიტომ იაკობი მთელი თავის მორალური ძალით ილაშქრებს ინსინუაციების — კლიოსწამების წინააღმდეგ, რომელსაც ადვილი ჰქონდა ილიას მიმართ მისი მკვლელობის შემდგომ, რაც უეჭველად შერთედ მოკვლას უდრიადა.

მოვესმინით ავტორს: „ილიას შერთედ მიყვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამოერება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ნაძირალეებმა, არამედ მკვლე სულიერ: ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო ძვირია, ვიდრე პირველი.“ (ი. გოგებაშვილი ტ. IV. გვ. 211). და შემდეგ, „დაიცადეთ, ჭორიკანა ლილიბუტებო, და რომელიმე ქართველი ლიუისი აღმოაჩენს გულივერ იდიას ცხოვრებაში იმისთანა ფარულს კალიმოყვარობას, რომ თქვენს სირცხვილის აღმი დაიწვევით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არა გაქვთ დახშული“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IV. გვ. 217).

მოვალეობისა და ნდობის გრძნობებთან ერთად, პერსონოლოგიურ ცნებას წარმოადგენს პატრიოტიზმი, პატრიოტული განწყობა, რაც ხორციელდება პიროვნების უმაღლეს რეგისტრებზე და, როგორც ფსიქოლოგიური პირობა, საფუძველია საზოგადოებისა და ერის კეთილდღეობისა, თვითშეგნებისა.

გოგებაშვილი გვაწვდის პატრიოტიზმის ცნების ამომწურავ და მეტად ღრმა ფსიქოლოგიურ განმარტებას. მისი აზრით, პატრიოტი ჰქვიან მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს სახანად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ემბრძვის დაუფლავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადააღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმობია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედავვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით და ვინც მზად არის ლომილათ შესწიროს მას თავისი სიცოცხლეო.

მამულიშვილის სამშობლოსთვის შეწირვა

და ამ შემთხვევაში დედის მიერ პატრიოტიზმის აღტაცება შესაძლოა მხოლოდ დამოუკიდებელი პიროვნების დონეზე.

დედის ემოციების შემაკავებელი და დამორგუნავი სხვა ძალი არ არსებობს და არც შეიძლება გამოინახოს.

ახალგაზრდობას და, მასთან ერთად, მთელ საზოგადოებას ვოგებაშვილი უჩვენებს, შურადიდ ძლიერი და გმირულია ქართველი ერის სიყვარული მამულის, ქვეყნის, სამშობლოსადმი; უსაზღვროდ უჭირობია ქართველი მანდილოსნის პატრიოტული ცეცხლი...

გმირული ცრემლით აღვსილი ქართველი დედა ამბობს: „ემბაღობ, მხურვალედ ემბაღობ უფლას, რომ მან აღიარა ჩემს შვილებს გმირული სიყვდილი, სიყვდილი სახელგანთ მამულიშვილისა. — მაგრამ, ნუ გაუხარდებათ მტრებსა, — განაგრძო საბავალითო დედა. „ღვისი წყალობით, მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დაუხრდი უფრო უკეთესს, უფრო გულ-მხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველ დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტრის სამაგიეროსა და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერების გზაზე“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IX. გვ. 120-121).

ხოლო სამასი თვდადებული გლეხის ამბავში გოგებაშვილი ჩერდება გმირობაზე დილით, დღისით და საღამოთი... ჩერდება ქართველთა განუწყვეტელი თავდადებაზე... სამი პერიოდის შოტანა სიმბოლიურად მიგვითითებს, რომ გმირობა ვიწრო დროით არ შეიძლება შემოიხაზოს, რომ თავდადება საჭირო და აუცილებელია ყოველთვის და ყოველყამს, დღესაც და ხვალაც, როდესაც კი ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესი.

ავტორი მოგვითხრობს: „ღიბს, სამასი ვაჟიკი ერთი და იგივე გმირული სიყვდილით გამოესალმა წუთი სოფელს ბრძოლის ველზედ, კრწანისის მიწღორში. ზოგმა მთავანმა თავისი სიცოცხლე დასდო მამულისათვის დილით, პირისპირ სპარსეთის შაჰისა. ზოგი მტერს შეაკვდა დღისით, როცა იგი მოიწვედა თბილისისაკენ, ზოლო დანარჩენთ თავი დასადავს ქვეყნისათვის საღამოთი თბილისის ქუჩებში, სადაც ივანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ შემოსეულს სპარსელებს“ (ი. გოგებაშვილი. ტ. IX. გვ. 167).

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილის პატრიოტიზმი შეფუძრებელი დონისა და სიმბოლისაა. შეიძლება ამკარად ითქვას, მისი იდეები თავისი შინაარსის სიღრმით, სიფართოვით და კეთილსურვილების სირავლით უნდა იყოს კვალიფიკირებული, როგორც ხალხთა შორის შვიდობისა და ურთიერთზრუნვის საკაცობრიო იდეების გულწრფელი დაღაღი. ავტორი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ ვინმემ თავისი ბე-



დნიერება ააშენოს სხვის უბედურებაზე. ე-
წორებ, მისი პატრიოტიზმი არის ალსილი
კაცთაშორის სიყვარულისა და სიშველის
გრძნობით.

იგი მოითხოვდა თანამემამულეებისაგან სხვა
ხალხთა ენებოსადმი პატივისცემას, მათ შეს-
წავლასა და საფუძვლიანად დღეფლებას. „მხო-
ლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართვე-
ლებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენასა და დარ-
ჩით მარტო დედა ენის ამარა...“

მისი ფორმულა — „ძლიერი სიყვარული
სამშობლოსი ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კა-
ცობრიობისას“ (ტომი II. გვ. 362).

მოგვსმინოთ ავტორს: „ჩემში პატრიო-
ტობა სხვა თვისებებისა და სხვა გვარის ხა-
ლიათისა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა
გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ
გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა.
ვისივე სიძულელი, ვისივე დათრგუნის სუ-
რვილი, ვისივე გაუბედურების წაილი მასში
სრულიად არ იბოვება. ჩვენს პატრიოტებს
სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა,
ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერა-
ტურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა
ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამი-
ანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატ-
რულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერებას მიღ-
წევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რო-
მელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გაკლე-
ბული. როგორც წარსულში ჩვენი ერა იბრ-
ძოდა არა სხვა ხალხების დამონაწევებისათვის,
არამედ თავის საკუთარს დამოუკიდებლობის
დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილე-
ბი მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ
სხვანი დაეთრგუნათ და მათის დამცირებით
ჩვენი თავი ავამაღლოთ, არამედ იმისათვის,
რომ ჩვენს ერსაც ვაგუველით ფართო გზა
გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა
და კეთილდღეობისა“ (ი. გოგებაშვილი. ტომი
I. გვ. 363).

პატრიოტიზმის პრობლემის განხილვისას
გოგებაშვილი ეხება აგრეთვე საკითხს, რომ
ქართველი მოღვაწე საბოლოოდ არ უნდა
მოწყდეს თავის დედა ქვეყანას და სადაც უნ-
და მოღვაწეობდეს, მის გულს და სულში უნ-
და არსებობდეს ფიქრი თავის მამულებზე. და
ხსენებულ იდეას ბრწყინვალედ გვიხსნის: „მა-
გრამ აქ მარტო ერის სიყვით არ არის წაგება-
ში, წაგებაში არიან თვით ეს ნიჭიერი ქართვე-
ლებიც, უცხო ასპარეზზედ მოქმედნი. ივინი
უნდა გრძნობდნენ, რომ ჰგვანან იმ ღრუბ-
ელს, რომელმაც კოკური წვიმა ჩამოუშვა
ზღვაში და გვალვით დაწულს ხმელეთს კი
ცვიარიც არ უწილადა. იმათ კარგად უნდა ეს-
მოღეთ, რომ უტყუარს პატივისცემას, მხურ-
ვალე თანაგრძნობას, გულთიად სიყვარულს
ელირსება ხოლმე საზოგადო მოღვაწე მხო-
ლოდ დეიძლს საზოგადოებაში, მშობლიურს

ქვეყანაში. მხოლოდ აქ გრძნობს იგი უტყუარს
რიტს ზნეობრივ სიბოძს, მხოლოდ აქ მისი
რობს იგი ნამდვილი სიხარულით, მხოლოდ აქ
განიცდის ნამდვილ შვეებასა და ლხენას. მხო-
ლოდ აქ დაიდურება, ხოლმე მათს კუბოსა და
საფლავზე მდღეარე ცრემლი, მხოლოდ აქ
შეიქმნება ხოლმე მათი სასხენებელი უკვდავი“
(ი. გოგებაშვილი. ტომი I. გვ. 492).

მაღალი პატრიოტული გრძნობების გაღვი-
ვება მოითხოვს საზოგადოების მხრივ გამსა-
კუთრებულ ყურადღებას, ამიტომ გოგებაშვი-
ლი გვიჩვენებს: „ერთი უზარეველესი ღონისძიე-
ბა პატრიოტობისა, მამულის სიყვარულის გა-
ძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა სა-
ზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოკ-
მედებისადმი, მათი წაქეზება. გამხნეება პა-
ტივისცემის გამოცხადებით. საზოგადოებამ
თანაგრძნობა და ღირსეული დფასება ქვეყ-
ნის სამსახურისა მოქმედს პირს ერთი-ორად
უმატებს ძალას, ფრთხილ უხსნავს და ადგი-
ლად ატანინებს ყოველგვარ განსაცდელს.“
(ი. გოგებაშვილი. ტომი I. გვ. 366).

იაკობ გოგებაშვილი მაღალ პირიქულ დო-
ნეზე განიხილავს ქალისა და კაცის თანასწო-
რობის პრობლემას. ამ მხრივ იგი შოთა რუს-
თაველის იდეების მბრწყინვალე თანამედვე-
რი და განმგრძობია. ირკვევა, რომ ქართველი
მანდილოსანი წინათ, როდესაც კი გარემოება
მოითხოვდა, იხენდა გეგაკატორ უნარსა და
უშიშროებას. ქალთა ძალა უერთდებოდა ვე-
თა ძალას და ამით ძლიერდებოდა და მრავლ-
დებოდა ქართული ეროვნული ვეგაკობა.

მოგალეობის გრძნობა ვახლავს ის ძირითადი
ცნება, რომელიც თანაბარს ხდის კაცთა და
ქალთა მისწრაფებას, სულსიკვთებას. ავტორი
აღნიშნულ იდეას მარჯველ ასახუთებს ინგილო
მანდილოსანის მაგალითზე. იგი წერს: „ქვეყა-
ნა აოხრდებოდა და განდგურდებოდა, მამა-
კაცთა ძალას რომ არ მიშველებოდა ქალთა
ძალა. თავისი ნამუსის, ოჯახისა და ქვეყნის
დასაცავად ინგილო ქალი გაუხდა თავის
ქმარს მეუღლედ არა მარტო შინაობაში, არა-
მედ თმშიაც. იმან ისწავლა მარჯველ ხმარება
თოფ-იარაღისა, ქალური ტანისამოსი გაიმარ-
ტოვა და კარზედ მიმხდარს მტერს დაუხვდებ-
ოდა ხოლმე ხანკლით და ტყვიის-წამლით“
(ტომი 3. გვ. 116), და შემდეგ: „ინგილო ქა-
ლები წინანდელს დროში სრულიად სხვა
სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა შუუ-
წყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდე-
გობისა დასაცველად თავისი მამულისა, ერ-
ისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველო-
ბისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთ-
ვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინ-

ავლინი ზურაბაშვილი

პირსონოლოგიური პრობლემები იაკობ
გოგებაშვილის შემოქმედებაში

გილოშიაც უნდა აღდგინებინა. საზოგადოდ შეინუნულა, რომ განაირა კუთხეები ქვეყანისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირია და ეროვნებას მტერი შიში მოელის, მამულის, სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე "შუაგულს ადგილებში", (ტომი 3, გვ. 117).

ადამიანის პიროვნების მთავარი თვისება და ამასთანავე მისი ძირითადი წარმმართველი არის შრომა. ამიტომ დღეს სულიერ და ხორციელ ძალთა შესაძლებლობანი მეცნიერებაში გაერთიანებულია ერთ ცნებაში, როგორც ფსიქოენერგეტიკულ პოტენციალი.

ფსიქოენერგეტიკული პოტენციალი საფუძველია პიროვნული სხვა კატეგორიებისა, ვინაიდან სტრეს ცნებებს მოვალეობის, ნდობის და მორალური სიღაჭიხის შესახებ; ამიტომაც, რომ დღეს ფსიქოენერგეტიკას ეთმობა მთავარი ყურადღება სულით ავადმყოფობათა დიაგნოსტიკაში, ხოლო შრომა ითვლება წამყვან სამკურნალო გზა-წესად ავადმყოფურად გამწვანებული პიროვნების აღდგენისა და გამოსწორების საქმეში.

თანხმად გოგებაშვილისა, შრომა ადამიანის სიცოცხლისა და ბედნიერების წყაროა. ხსენებულ საკითხს იგი განიხილავს მაღალ პრინციპალურ დონეზე და ჭერ კიდევ 1868 წელს საკითხი მოქმედებისა და ნაყოფის დინამიკური ურთიერთობის შესახებ მიანიჭა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემად.

როგორც გენიალური პედაგოგს, იაკობს მშენებარა აქვს წარმოდგენილი შრომის ცხოველმყოფელი ძალა და მნიშვნელობა. მთელი თავისი არსებით იგი ცდილობს შეაყვაროს შრომა ბავშვებს, დაანახოს, ნათლად აჩვენოს და დაუმტკიცოს მათ, რომ შრომა არის პირდაპირი და უტყუარი გზა ნამდვილი ადამიანური ქცევისაკენ, არის გზა კაცობრიობისა და ბედნიერებისაკენ.

„დღედაღამ“ შეკრებილი მასალები (ლექსები, მოთხრობები, ანდაზები, ამოცანები) გოგებაშვილის მიერ განხილულია პიროვნულ დონეზე და ნაჩვენებია, რომ ადამიანის ძირითადი მოვალეობაა სინდისიერად იშრომოს, პატივი სცეს გარჯას, შრომის ოფლს. ამასთანავე ერთად, იგი მოითხოვს, რომ მოსწავლეები ეჩვეოდნენ არა მარტო ადვილ და სასიამოვნო შრომას, არამედ იმისთანა სამუშაოსაც, რომელიც უსიამოვნოა, მაგრამ მათთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში შრომის ცნება გულისხმობს უნივერსალურ ქმედობას, როდესაც ყველას თავისი მიზანი, დანიშნულება და მოწოდება აქვს.

ბავშვთათვის მარტივად და დამაყრებლად

მოთხრობილია, რომ მუშაობენ ფრინველები, ბუზები, ქიები, ფუტკრები, ქაშაყნებები... კურდღლები, ციყვები, მტრედები... მარწყვის თეთრი ყვავილიც... ნაჯაღლის მორცხვი ხმაური, თუ კოლოების ქერაც ხოპ შრომა... გოგებაშვილის მიერ აღბატული ვითარება მოგვაგონებს ქმედობის უნივერსალურ ჰიმნს...

გოგებაშვილის იდეები უკვდავად მნიშვნელოვანია... ხოლო მათი ინტერესი და ძალა მრავლდება იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი ბრძანდება მოხვედის გარშნობით (მოხვედის ამოცანი) და პირადი კეთილდღეობის გარდა არაფერი არ აღუვებს... როდესაც ავიწყდება, რომ მისი ლუკმა მწარეა... მწარე ლუკმა კი ადამიანს ახრბობს...

ქართული ხალხი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ატარებს გულით გოგებაშვილის სახეს, როგორც დიდი მასწავლებლისა და მორალისტისა. ამიტომ მას იხსენიებს მხოლოდ სახელით, ისევე როგორც შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას.

იაკობის ნიჭიერმა და ღვაწლმოსილმა კალამმა დიდი კვალი დასტოვა აგრეთვე პერსონოლოგიის სალიტერატურო ყანაში...

გოგებაშვილის პიროვნებაზე ჰეშმარტად იტყობს ის, რასაც თვითონ წერდა სხვაზე: „საფრანგეთის ერთი გამორჩენილი მეცნიერი— ფლამარიონი ამბობს: კედებიან და ქრებიან მარტო უგუნური და ბიროტნი, როგორც უარყოფითი, აკალორბანი, ნულები; ხოლო გონიერი და კეთილი, როგორც მკვიდრნი ზნობრივი ძალი, ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც სტებებიან არსებობით“ (ტ. I, გვ. 493).

გოგებაშვილის შემოქმედება, ავტორის ცხოვრების მთელი ღერძი, მისი მოღვაწეობა და მის მიერ წარმოებული შეუღრეკელი ბრძოლა მტკიცე საბუთია მისივე პიროვნების დიდი სიმადლის, სიძლიერისა და სიუფაჩიხისა.

ილიას სიტყვები რომ ვინმართ, იაკობი დიდბუნებოვანი მოღვაწეა და მისი პერსონოლოგიური მრწამსი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

მთელი თავისი მაღალი ნიჭით, გონებრივი ძალითა და ზნობრივი გულწრფელობით იაკობი გვაწავლის აღუხარდოთ ბავშვები ისე, რომ იყვნენ მგზნებარე პატრიოტები და რკინის გულის მქონე ვაჟაკები... ამით განხორციელდება ქართული ეროვნული თქმა: „ვაჟაკისა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისა“.

სიამოვნებით მინდა ვაიხსენო, რომ ზარი რკინის გულისა და ხის აბჯარის შესახებ ბევრჯერ მსმენია ქართული მეცნიერების სიამაყისა და ეროვნული საქმის უებრო მოამაგის დიდი ივანე ჭავჭავაძის საჯარო ლექციებში.



თქველება უქველს ქართულ საყაროზე

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ თარგმანის მეორე გამოცემის გამო

ქვეშაირიტად ღრმად სიმბოლური და მრავალმხრივ მიმანიშნებელია ის, რომ სწორედ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელს კვლავ გამოიცა ელინისტური ხანის მითოლოგიური პოემა „არგონავტიკა“, რომელშიც ბევრი რამ არის თქმული უძველეს ქართულ სამყაროზე, ამ ხუთი ათასი წლის წინათ იბერიისა და კოლხეთის ლეგენდარულ მიწაზე მცხოვრებ ქართველ ტომებზე.

არგონავტთა მითი ელინური თქმულებაა ოქროს საწმისზე. ოქროს საწმისი კი უძველესი ქართული სამყაროს, ძველი კოლხეთის სახელმწიფოს, მისი მაღალი ცივილიზაციის სინონიმს წარმოადგენს. სწორედ ოქროს საწმისზე, კოლხეთიდან მის გატაცებასთან დაკავშირებულ ლეგენდარულ ამბებზე მოგვითხრობს ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის მოღვაწის, ანტიკური ეპოქის გამოჩენილი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის, მონუმენტური პოემა „არგონავტიკა“.

თქმულება არგონავტებზე, რომელიც, მეცნიერთა მტკიცებით, მიქენის პერიოდშია წარმოქმნილი, ბერძნული მითოლოგიის ოქროს ფონდშია შესული. იგარ, ამირან-პრომეთეს მითის მსგავსად, ქართველ ხალხში ყოველთვის დიდი ინტერესით სარგებლობდა.

აპოლონიოს როდოსელის პოემით ქართველი მითთმცოდნის დიონტერტსება იმითაც აიხსნება, რომ ეს თხზულება უძველეს ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული არგონავტების თქმულების ვრცელ დამუშავებას წარმოადგენს. პოემა მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს ძველი ქართველი ტომებისა და მათი ბინადრობის შესახებ. როგორც ერთ თავის ნარკვევში პროფესორი ლევან სანიჭიძე აღნიშნავდა, ამ ნაწარმოებში მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ქუთაისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორ-

მით ოცდაცამეტჯერ არის მოხსენიებული. საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი აგრეთვე ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანება — აბა ანუ კოლხეთი.

რა იზიდავს ქართველ მკითხველს, რა მოსწონს მას ამ პოემაში? ის, რომ „არგონავტიკა“ თავისებური ენციკლოპედიაა კოლხეთის შესახებ. მასში შეკრებილი და განზოგადებულია ძველი ბერძნების მთელი ცოდნა ქართველ ტომებზე, მათს სახელმწიფოებრივ და კულტურულ განვითარებაზე. აპოლონიოს როდოსელის პოემა ბევრ ფიქრს აღუძრავს ქართველ მკითხველს. როცა „არგონავტიკის“ სტირქონებს კითხულობს, იგი თითქოს ჩასცქერის ჩვენი შშობლიური ქვეყნის უძველეს წარსულს, ხედავს მის სახელოვან, მაღალი კულტურის შემქმნელ ხალხს, რომელმაც ბევრი რამ შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში არა მარტო თავისი დიდებული ლეგენდებითა და თქმულებებით, არამედ შესანიშნავი მიღწევებით მიწათმოქმედებასა და მეტალურგიაში, ხელოსნობასა და დამწერლობაში, და ყოველივე ამან ასახვა პოემა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“.

ქართველმა მკითხველმა მაღლიერების გრძნობით მიიღო პროფესორ აკაკი ურუშაძის მიერ მოწოდებული „არგონავტიკის“ ახალი გამოცემა. რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა. აპოლონიოს როდოსელის ამ პოემის პირველი გამოცემა, ძველი ბერძნულიდან აკაკი ურუშაძის მიერ თარგმნილი, ჯერ კიდევ 1948 წელს გამოქვეყნდა. ამჯერად მას თარგმანი გულდასმით შეუქცერებია ბერძნულ ორიგინალთან, რის შედეგად პოემის ეს მეორე გამოცემა საგრძნობლად გადახალისებული და შესწორებულია. სიახლეა ისიც, რომ ქართულ თარგმანს თან ახ-



ლავს პარალელური ბერძნული ტექსტი. ზოგან დართული აქვს მთარგმნელის — აკაკი ურუშაძის წინასიტყვაობა, ვრცელი შესავალი-პაროკლევა, კომენტარები და საძიებელი. ქართულ ენაზე „არგონავტიკის“ ამ მეორე სოლიდური გამოცემის რედაქტორები არიან გამჩინილი ქართველი მეცნიერები: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ს. ჭიჭია.

პოემისადმი წამძღვრებულ წინასიტყვაობაში მთარგმნელი შენიშნავს, რომ ორიგინალისაგან განსხვავებით, რომელიც ეპიკური საზომით არის გამართული, ქართული თარგმანი პროზაულია. მას არა აქვს მხატვრული თარგმანის პრეტენზია, რამდენადაც სამეცნიერო მიზნებს ისახავს და შინაარსობრივი სიზუსტეც მაქსიმალურადაა დაცული. ამ სიტყვებში იგრძნობა აკაკი ურუშაძის დიდი მოკრძალება და თავმდაბლობა. მაგრამ ვინც მის მიერ თარგმნილ „არგონავტიკას“ წაითხზავს, არ შეიძლება არ შეიცნოს, თუ რაოდენ ოსტატურად არის შესრულებული ელინისტური ხანის ამ შესანიშნავი პოემის თარგმანი. იგი დიდ ანთიკიტურ სიამოვნებას და კმაყოფილებას ანიჭებს მკითხველს. და მთარგმნელის გამარჯვებაც ეს არის.

ჩვენში კარგა ხანია შეიქმნა და შესანიშნავ შედგევასაც იძლევა ევრეთოლოგიური „ლიტერატურული არქეოლოგია“. სახელგანთქმულ ქართულ მეცნიერთა მეოლი პედიად, რომელსაც ამჟამად სათავეში უდგას აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი, ნაყოფიერად მუშაობს ძველ ბერძნულ, რომაულ, ბიზანტიურ და სხვა ხალხების ლიტერატურულ ნაწარმოებთა ტექსტებზე და იქონიან მარცაღ-მარცვალ კარგეს საინტერესო ცნობებს ქართველი ერის უძველესი კულტურის, მისი წარმომავლობისა და ბინადრობის შესახებ. შევლევართა ამ მღვიდაში თვალსაჩინო ადგილი უკავია აკაკი ურუშაძეს, რომელიც თავისი მეცნიერული შრომებით ბევრი რამ შესძინა „ლიტერატურულ არქეოლოგიას“. მთელი მისი მოღვაწეობის გვირგვინია „არგონავტიკის“ ქართული თარგმანი და დიდი მეცნიერული ღირებულებების ნაშრომი „ძველი კოლხეთის არგონავტების თქმულებაში“.

მაგრამ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს „არგონავტიკის“ ქართული თარგმანის მეცნიერული ვარგევა. ეს ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების საქმეა. ჩვენ კი გვინდა ზმამალა გამოვქვათ ჩვენი ღებრები და მოსაზრებანი, რომელთაც ჩვეულებრივ, არასპეციალისტ მკითხველს აპოლონიოს როდოსელის პოემის ქართული თარგმანის გაცნობა აღუძრავს.

პირველი და მთავარი, რასაც ამ შესანიშნავ ელინისტური ეპოქის პოემის გაცნობა იძლევა — ესაა იმის შეგრძნება, რომ „არგონავტიკა“ კოლხეთის სახელმწიფოს და, მამასადაძე, უძველესი ქართული სამყაროს მითიზებული ისტორია და გეოგრაფიაა. ამის თქმის უფლებას

გვაძლევს ის, რომ ძველ ბერძნულ ღრმად სწამდათ არგონავტების კოლხეთში აღმოჩენის რეალობა.

პირველ ცნობებს არგონავტების თქმულებისა და კოლხეთის ლეგენდარული სახელმწიფოს შესახებ უზღვდით ძველი ბერძნული მწერლობის ყველაზე ადრეულ ძეგლებში — ჰომეროსის პოემებში „ილიადასა“ და „ოდისეაში“, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვის IX საუკუნეშია შეთხზული. ანტიკური ხანის გამოჩინილი გეოგრაფმა და მათემატიკოსმა ერატოსთენმა კომპრობირებულად განსაზღვრა არგონავტთა მოგზაურობა და იგი ძველი წელთაღრიცხვის 1225 წელს მიაუთვინა. ეს კი ის დროა, როცა ძველი საბერძნეთი ვერტე წოდებულ მიკენის პერიოდში იმყოფებოდა.

გამოჩინილ ბერძენი მეცნიერი სტრაბონი არგონავტების მითს განიხილავდა როგორც რეალური სინამდვილის ამსახველ თქმულებას. „როგორც ყველანი ამბობენ, — წერს იგი, — პელიასის მიერ მოწყობილ მოგზაურობას ფაზისში თავიდანვე ახლავს რალაც სარწმუნო; ასევე უკან დაბრუნება, ნაოსნობაში გზადაგზა კუნძულთა დაბყობა და, ვფიქვან ზევსს, ვგვომ გახანგრძლივებული მოგზაურობაც ნამდვილად იყო... ხოლო ის, რომ კლხეთზე მეფობდა აიტი, სარწმუნოდა მიჩნეული. იქაურობაში ეს სახელი ადგილობრივია. მოგვიტხრობენ გრძნულ მედაზე. იქაური ქვეყნის სიმიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ საბაბით პირველი მოგზაურობა დრექსემ მოაწყო. მოიპოვება ორივე ლაშქრობის ძეგლებიც...“

ასე წერს სტრაბონი. მისი აზრით, სწორედ ადგონავტების ლაშქრობამ გაულო ბერძნებს შვიი ზღვის ცარი. არგონავტთა ლაშქრობის რეალობის შესახებ ასეთივე შეხედულებისაა უცხოელ და ქართველ მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. ასევე ღრმად სჯეროდა ოქროს საწმისის მითის რეალობა დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს. მას სწამდა, რომ აიტი, მედეა და სხვანი ისტორიული პირები იყვნენ და მათი სახელებიც ქართული ენის წიაღში წარმოშობილად მიაჩნდა.

ცნობილი მეცნიერი ალ. წერეთელი თავის ნაშრომში „ძველი საბერძნეთი“ (ტომი პირველი, გვ. 154) წერს, რომ „არგონავტების თქმულებაში მითიურ-ზღაპრული ფორმით დაცულია რეალური ამბავი მიკენის ეპოქაში ბერძენ მეზღვაურ-მეკობრეთა ლაშქრობისა ოქროთი მდიდარ კოლხეთში“.

ამრიგად, დასტურდება, რომ არგონავტების თქმულება ისტორიული ფაქტის ანარეკლია. ამასთან დაკავშირებით აკაკი ურუშაძე ვერ კიდევ „არგონავტიკის“ ქართული თარგმანის 1948 წლის გამოცემის შესავალში აღნიშნავდა: „იყო დრო, როცა ტროაც და ტროას ომიც ლეგენ-



დად მიაჩნდათ, მაგრამ შემდგომში მისი ისტორიული სახეებით დადასტურდა.

ასევე ისტორიული რეალობა იყო არგონავტების ლაშქრობაც, — გვეუბნება „ლიტერატურული არქეოლოგიის“ მონაწილეები. თუმცა ეს კიდევ არ დაუდასტურებია ჩვეულებრივ, პრაქტიკულ არქეოლოგიას.

მაგრამ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ტროას ომისა და არგონავტთა ლაშქრობას შორის? ჯერ ერთი, ის რომ ორივე ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა მიკენის ეპოქაში, ძველი საბერძნეთის ანუ აქველთა კულტურის აყვავების ხანაში. მეორეც, ის, რომ ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ მკაფიოდ ჩანს არგონავტთა თქმულების კვალი, რის შესახებაც დაწვრილებით აქვს მოთხრობილი აკაცი ურუშაძეს თავის გამოკვლევაში: „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“.

თუკი ტროას და არგონავტთა ლაშქრობის ისტორიულობას ვცნობთ, მაშინ შესაძლებელია ამ მოვლენების თარიღიც დადგინდეს. ტროას ომის თარიღთან დაკავშირებით ახალგაზრდა გამოჩენილი მკვლევარი რისმაგ გორდეზიანი თავის ახლახან გამოქვეყნებულ დიდად საყურადღებო შრომაში: „ილიადა“ და „ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“ წერს:

„მეცნიერების უფრო დიდი ნაწილი ტროას ომს დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 1230 წლით ათარიღებს“. თავად კი ამ საკითხში დიდ სიფრთხილეს იჩენს და აცხადებს: „თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, ვამოდის, რომ ტროას ომი... ტროა VII ა — დანგრევის დღეს მიღებულ თარიღს — ძველი წელთაღრიცხვის 1260-1230 წლებს შეესაბამება“.

თითქმის ასეთივე შეხედულებისაა ალ. წერეთელიც. „ძველი საბერძნეთის ისტორიის“ პირველ ტომში იგი წერს: „ჩვენთვის უცნობი პირობების გამო დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 1240 წელს დაწყებულა ტროას წინააღმდეგ აქელები დიდი ლაშქრობა, რომელიც სიუფეტი გახდა ჰომეროსის ცნობილი პოემის „ილიადასი“.

ახლა თუ ტროას ომის თარიღს — 1260-1230 წლებს და არგონავტთა ლაშქრობისათვის ერთსავენი მიერ დადგენილ თარიღს — 1225 წელს ერთმანეთს შევადარებთ, მივიღებთ, რომ ტროას ომი წინ უსწრებდა არგონავტთა ლაშქრობას.

მაგრამ, ვფიქრობთ, ეს სწორი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტროას ომს მძიმე გავლენა ჰქონდა მიკენის კულტურაზე. ომში აქეელთა სამეფოების დაქვეითება და დაღემა გამოიწვია. ამ პირობებში კი ისეთი შორეული ლაშქრობა, როგორც არგონავტების კოლხეთში მგზავრობა იყო, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იქნებოდა.

მეორეც ის, რომ თვით ჰომეროსის პოემებ-

ში და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ არის საგულისხმო მინიშნებები, რომლებიც მოწმობენ, რომ არგონავტთა ლაშქრობა წინ უსწრებდა ტროას ომს. ერთ-ერთ ასეთ მინიშნებაზე მიუთითებს აკაცი ურუშაძე თავის წიგნში: „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“. ამ ნაშრომში „ოდისეადან“ მას მოჰყავს მეტად საყურადღებო ადგილი: „იგი (ოდისევსი) მოდიოდა ევირედან—მერმეროსის—ქილოსისაკენ; იქ ოდისევსი სწრაფი ხომალდით წარემართა, ეძებდა რა მამაკაცთა შემქმნელ შხამს სპილენძის ისრებზე წასასმელად; მაგრამ არ მისცა (ილოსმა), შეეშინდა უკვდავი ღმერთების“.

ჰომეროსის პოემის სტრიქონები გვეუბნება, რომ ოდისევსი შხამის სათხოვნელად მისულა მერმეროსის ძესთან — ილოსთან. მერმეროსი კი კოლხეთის მეფის აიეტის ასულის — მედეას ვაჟი იყო. აქედან ძნელი როდია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ არგონავტთა ლაშქრობა ვარკველად ღროთი წინ უსწრებდა ტროას ომს.

ასევე საგულისხმო მინიშნებაა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“, კერძოდ, იქ, სადაც პოეტი აღწერს მამაკაცთა ვაჟაკების შორეული კოლხეთისაკენ გამგზავრებას. აი ეს ადგილი პოემიდან:

„იმ დღეს ყველა ღმერთები დასცქეროდნენ ზეციდან ხომალდს და ღვთისსადარ მამაკაცებს, რომლებიც ზღვაზე მიცურავდნენ. პელონიის ნიმიფები უმაღლესი მწვერვალებიდან გაოცებით უჭკრებდნენ იტონიდი ათენის ნახელავს (ხომალდს) და ხელებით ხოფების მრჩეველ გმირებს. მთის მწვერვალიდან ზღვის პირზე ჩამოვიდა ფელირიდი ქირთონი და რუხ წყალში ფეხი შედგა; იგი დიდხანს უქნევდა მძიმე ხელს მიმავალთ და ბედნიერად დაბრუნებას უსურვებდა. მას თან ჩამოჰყვა მუღლენი, რომელსაც ატატებული მოჰყავდა (ჩვილი) აქილევსი და საყვარელ მამას უშვერდა“ (გვ. 65).

ამრიგად, არგონავტთა შორეულ და სახიფათო ლაშქრობაში გამგზავრების დღეს გმირების გასაცოლებლად მოვიდნენ კენტავრი ქირთონი და მისი მუღლენი ჰარიკო. მოვიდნენ იმიტომ, რომ ისინი ზრდიდნენ შორეულ კოლხეთში სალაშქროდ მიმავალ ერთ-ერთი არგონავტის — პელევსის ჩვილ ვაჟს აქილევსს, რომელიც შემდგომში ტროას ომის უდიდესი გმირი გახდა და რომელსაც დიდების პიძინ უმცირა ჰომეროსმა თავის „ილიადაში“. პოემის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები იმის დადასტურებაა, რომ არგონავტების კოლხეთში გამგზავრების დროისათვის ტროას ომი ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყო.

ტროას ომისა და არგონავტთა ლაშქრობის

ვლადიმერ შავგულიძე
თარგმნება შემველეს პარტულ სამაყაროზე



თქმულებებს ბევრ საერთოს უნებს აგრეთვე „ილიადს“ ხომალდთა კატალოგი და არგონავტთა კატალოგი. სწორედ ამ საერთოს გულისხმოს აკაი ურუშაძე, როცა პოემის შესავალში აღნიშნავს, რომ „ილიადის“ მეორე სიმღერის, ეგრეთ წოდებული ხომალდთა კატალოგის მსგავსად, „არგონავტიკის“ დასაწყის ნაწილში ჩამოთვლილია სია გმირებისა, რომლებიც კოლხეთს მიემართებიან.

მართლაც, „ილიადის“ მიბაძვით არის ჩართული პოემის დასაწყისში არგონავტთა კატალოგი, თუ მიკნეურ ეპოქაში საერთოდ არსებობდა ისეგანის სალაშქრო სიების შედგენის ტრადიცია? ირკვევა, რომ ასეთი ტრადიცია ნამდვილად არსებობდა. და ძველი წელთაღრიცხვის შესაძენ საუკუნის პოეტმა და მეცნიერმა აპოლონიოს როდოსელმა თავის პოემაში ეს ტრადიციას ისე გადმოგვცა, როგორც ეს ძველი წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნეებში იყო დამკვიდრებული.

როგორც რისმაგ გორდენიანის ნაშრომიდან ცხადი ხდება, „სახლგაო ექსპედიციების შესახებ მიკნეულები ზუსტ წერილობით ინფორმაციას ინახავდნენ ხოლმე“. მისი დასკვნით, ერთ-ერთ ასეთ წერილობით დოკუმენტს წარმოადგენს „პლევრონისაკენ გამგზავრებულ მენიჩბეთა“ კატალოგი. დოკუმენტში ჩამოთვლილია ისინი, ვისაც ამ ექსპედიციაში მიუღია მონაწილეობა.

სწორედ ასეა არგონავტთა კატალოგშიც, რაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს იასონის მეთაურობით მოწყობილი ლაშქრობის ისტორიულ რეალიზაცზე. სულ არგონავტთა კატალოგში 55 მოლაშქრეა დასახელებული. მათ შორის არიან ტროას ომის მონაწილეთა მამებიც. ლაშქრობის ყოველი მონაწილის დასახელებისას პოეტს მოჰყავს ცნობები ამ გმირის წარმოშობის შესახებ და იძლევა მის დაბასიათებას. მათი უმრავლესობა თესალიელია. ეს არგონავტთა დიდი ნაწილის პელასგურ წარმოშობაზე მიუთითებს, ვინაიდან თესალია პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი იყო.

არგონავტთა ლაშქრობის ისტორიული რეალობის დადასტურებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართველი ტომებისა და მათი სამკვიდრებელი ადგილების შესწავლისათვის, ვინაიდან იგი მოწმობს კოლხთა მსხვილი გაერთიანებების არსებობას შვიდ ზღვის საშრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. როგორც სიმონ ყაუხჩიშვილი და გიორგი მელიქიშვილი აღნიშნავენ, არგონავტების თქმულებაში მართლაც ასეთი რეალურად არსებული კოლხური გაერთიანების სიდიადე და ძლიერებაა ასახული.

სწორედ ამ ზღაპრული სიმდიდრის მფლობელი კოლხეთისაკენ დაიძრნენ არგონავტები. პოემაში დაწერილებითაა აღწერილი მათი მგზავრობის მარშრუტი, დასახელებულია ქვეყნები, ქალაქები და ხალხები, რომლებიც თესალიელ

გმირებს შორეული ზღვის გზებზე ნეტიალის ეამს შეხვდათ. საგულისხმოა, რომ მოგზაურობის დასაწყისშივე მოხსენიებულია პელასგთა ქვეყანა და ხალხი. „მსწრაფლ მიიშალა პელასგთა ყანებით უხვი შავი მიწა“, — ციკთხულობთ პოემის პირველ წიგნში.

ახლა უკვე მეცნიერებაში არავის სადავოდ არ მიიჩნია ის, რომ ბერძნები ეგეოსის ზღვის რაიონში მოსულ ხალხს წარმოადგენენ. ამ რაიონის უძველეს ანუ წინაბერძნულ მოსახლეობას შეადგენდნენ აღმოსავლური წარმოშობის ტომები, რომელთა სამკვიდრებელი იყო: თესალია, პელუპონესი, კუნძული კრეტა, ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია. „ბერძნული ტრადიცია საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, — შენიშნავს რისმაგ გორდენიანი, — თუ როგორ აიყარა ლეღეფთა, პელასგთა და სხვა წინაბერძნული ტომთა დიდი ნაწილი ელინურ ტომებთან დაპირისპირების შედეგად და ეგეოსის ზღვის აღუის სხვადასხვა არეებში გადასახლდა. სწორედ ამ დროიდან იფანტებიან პელასგები მთელს ეგეოსის ზღვის აღუში და მათი სახელი როგორც საბერძნეთში, ისე მცირე აზიასა, კრეტასა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზეც გვხვდება“.

სწორედ ეს მდგომარეობაა ასახული აპოლონიოს როდოსელის პოემაში, როცა თესალიის ქალაქ იოლკოსიდან გამოსული არგონავტები თავიანთი ლაშქრობის გზაზე სხვადასხვა პელასგურ ტომებს ხვდებიან.

წინაბერძნული მოსახლეობის შემადგენელ ტომებში სიდიდით, მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პელასგები და ეტრუსკები. პელასგე ლესბოსელი ამბობს, რომ უწინ პელასგებად წოდებულმა ტირენებმა (ეტრუსკებმა) ის სახელი, რომელიც ახლა აქვთ, მიიღეს მას შემდეგ, რაც იტალიაში დასახლდნენო.

ყოველივე ამას იმიტომ შეეხებთ, რომ პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი და საერთოდ, კავკასიური ტომების წარმოშობისა და ბინადრობის გარკვევისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ბოლო დროს მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულება, რომ პელასგურ-ტირენული სამყარო მჭიდრო გენეტიურ და ტერიტორიულ კავშირში იყო შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომებთან, კავკასიასთან.

თუ ეს შეხედულება აქვს მხედველობაში აკაი ურუშაძეს, როცა შენიშნავს, რომ მთავარი ბერძნული თქმულებები, — თესალიელი გმირის აქილევსის რისხვაზე, ოდისევსზე, ჰეფესტოზე, პრომეთესა და თესალიელ არგონავტებზე, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს ელინური კულტურის განვითარებაში, პელასგური წარმოშობის თქმულებებია.

ასევე ბერძნული ეპოსის საღეჭო საზომი-

დაქტილური ჰეგზამეტრი, დამყარებული ქართული ლექსის, სიტყვის, ქორეოგრაფიისა და სიმღერის აბსოლუტურად დაქტილურ რიტმზე, პელასგური წარმოშობისა აღმოჩნდა.

საგულისხმოა, რომ კოლხეთისაყენ მიმავალ არგონავტებს პირველი და ამასთან ხანგრძლივი შეჩერება მოუხდათ სინტიელურ ლემნოსზე. ეს კუნძული დასახლებული იყო პელასგური წარმოშობის სინტიებით, რომლებიც არაბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. პოემიდან ვგებულობთ, რომ სინტიები მეტალურგით სახელგანთქმული ტომი იყო. აქ დამკვიდრებული იყო პრომეთესა და ცეცხლის ღვთაების — ჰეფესტოს კულტი, რაც უფროდ ქართველთა წინაპრი ტომებისა და სინტიების ახლო გენეტიკურ ურთიერთობაზე მეტყველებს.

კუნძულ ლემნოსიდან გამგზავრებულმა არგონავტებმა მრავალი ზღვა და მდინარე გადაკურნეს, ბევრი ხიფათი გამოიარეს. მათ შორით შემოუარეს ამაძონების „ნავისადგურიან კონცხს“, მეორე დღეს კი, როცა უკვე ღამდებოდა, გმირები ხალიბთა მიწას მიხედნენ. ეს იყო არგონავტების პირველი შეხვედრა ქართველთა ერთ-ერთ მკვიდრ, სახელგანთქმულ ტომთან.

ხალიბები, რომლებიც „ილიადაში“ ჰალიძონების, ალიბეს ქვეყნის მკვიდრთა სახელით არიან მოხსენიებული, კოლხურ ტომს წარმოადგენდნენ. ანტიკურ წყაროებში ჰალიძონების ანუ იგივე ალიბების (ხალდების) შავი ზღვის სანაპიროზე მოსვლა ასეა აღსანიშნული: „ხალიბები — ტბოი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა; სახელი ეწოდათ ხალიბიუმიდან, ევბეის სოფლიდან, რადგან აქედან გადასახლდნენ“.

ხალიბთა მხარეს რომ გასცდნენ, არგონავტებმა სწრაფად შემოუარეს გენეტოს ზევისს კონცხს და ტიბარენების მიწის გასწვრივ მიცურავდნენ. დიდი ივანე ჭავჭავაძის ქართველთა სხვა უძველეს ტომებთან ერთად ტიბარენებსაც ასახელებს. იგი აღნიშნავს, რომ ტიბარენები, ხალიბებთან ერთად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ და სახელი ჰქონდათ განთქმული რკინის, აგრეთვე სპილენძის ნაეთობათა წარმოებით. ტიბარენების მიწა-წყალი შედარებით უფრო ვაკე ადგილს წარმოადგენდა და, როგორც აპოლონიოს როდოსელი ამბობს, ცხვრის მოშენებასაც მისდევდნენ. გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ტიბარენები იბერთა სახელის უძველესი ფორმაა და ბიბლიური თუბალ-თაბალისაგან მომდინარეობს.

ამათ შემდეგ, ესე იგი ხალიბებისა და ტიბარენების შემდეგ, არგონავტებმა ჩაუარეს წმინდა მთას და იმ მხარეს, — ვკითხულობთ პოემაში, — რომლის მთებშიც მოსინიკები ცხოვრობენ. მოსინიკებიც ერთ-ერთ ქართველ ტომს წარმოადგენდნენ, რომელთაც ძველი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იცნობდნენ, როგორც სა-

უეთესო ოსტატებს მველლობის ხელოვნებაში. „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ კტორში ივანე ჭავჭავაძის მიხედვით, რომ თითბზისსა და სხვა სახის სახელები მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში მოსინიკების სახელისაგან არის წარმომდგარო.

მოსინიკებს რომ გასცდა „აქაკეთა ღვთაებრივი ლაშქარი“, სწორედ ამ ეპითეტით განიხილებს მის აპოლონიოს როდოსელი, არგონავტის ანუ ომის ღმერთ არესის კუნძულს მიადგა. ამავე კუნძულზე ჰპოვეს სხნა კოლხეთიდან მომავალმა, ზღვაში დაღუპვას სასწაულებრივად გადაარჩენილმა ფრიქსესა და კოლხეთის მეფის ავიტის ასულის ქალიყოვეს შეიღებმა: არგოსმა, კიტისორემ, ფრონტისმა და მელასმა. ისინი შეუერთდნენ კოლხეთში ოქროს საწმისისათვის მიმავალ არგონავტებს და მათ მეგზურობა აღუთქვეს.

არესის კუნძულის დატოვების შემდეგ არგონავტებმა ჩაუჭროლეს ფილირეს კუნძულს, აქედან ჩაუარეს მაკრონებს, ბეჭირების უსახლგრო მიწას, ამაყ საპირებს და ამათ მერე ბიძგრებს.

აი უკვე გამოჩნდა პონტოს უციდურესი ყურე და კავკასიის მთების მაღალი მწვერვალებიც აღმოაჩინნენ. ლაშქრობა დასასრულს უახლოვდებოდა. არგონავტებს ხელმარცხნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას ანუ კოლხეთის ქალაქი კეტიათისი. შორედით, ხიფათიანი ლაშქრობით გატანჯულ მოგზაურებს შვებით აღმოსხდათ: „აი უკვე მოვედით კოლხეთის მიწაზე და ფაზისის მდინარესთან“.

„არგონავტიკაში“ მოხსენიებული მაკრონება, იგივე მაკრონელები, აჯაკ ურუშაძეს პელასგური წარმომავლობის, ქართველთა ერთ-ერთ მონათესავე ტომად მიაჩნია. მაკრონთა უძველეს სამკვიდრებულს — კუნძულ ებეას მაკროსი ერქვა, და სწორედ აქედან შეერქვათ მათ ეს სახელი. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მაკრონთა სატომო სახელი — მაკროსელი ქართულ-ზანური მაგრა-ალ-ის (მარგალის-მეგრელის) შესატყვისია და შემდეგ საგულისხმო დასკვნას აკეთებს:

„ეგვების რაიონში ბერძენთა ჩამოსახლების პერიოდში მაკროსელები-მაკრონები, ისევე როგორც სხვა პელასგური ტომები, აღმოსავლეთით — კერ პროპონტიოსის (მარმარილოს ზღვის), შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გადმოიხიზნულან და აქ ძველთაგანვე დაშვიდრებული ნათესავი ტომების მეზობლად დაბინავებულან“. („არგონავტიკა“, გვ. 31).

პოემაში მაკრონებისა და ბეჭირების შემდეგ მოხსენიებულია ქართველთა ტომი, რომელსაც აპოლონიოს როდოსელი „ამაყ საპირებს“ უწოდებს. სიმონ ჯანაშიამ ჰეროდოტეს მიერ მოცემული ცნობების ანალიზის საფუძველზე გა-

მლადინიარ შავგულიძე

თქმულზეა შავგულიძის ბარტულ სამხაროზე



აქეთა დასკვნა, რომ საპერები (საპირები) ან სასპერები მერმინდელი ბერძენი მწერლების მიერ კარგად ცნობილი იბერები არიან. მოჰყავს რა სიმონ ჯანაშიას ეს დასკვნა, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი შოთა ძიძიგური თავის წიგნში: „ქართული ენის თვავადსადალი“ შემდეგს წერს: „სასპერა“ განსხვავებული ფონეტიკური სახესხვაობით მოცემული აქვთ მომდევნო ხანის ავტორებსაც: (3)ესპერ-იტ, საპერ, სავერ, სპერ, ისპირ...“ (გვ. 28).

ამასთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომელიც სიტყვა „სპილენძის“ რაობის ახსნას ეხება. დიდი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ბრინჯაოს ევროპული სახელი „ბრინჯე“ წარმომდგარია სპარსული „ბირინჯისაგან“, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართული ენა-კილოკავების სახეგადლო სახელისაგან: სპილენძი, მეგრული ლინჯ, სვანური სპილენძ, აგრეთვე სომხური პლინძ, რაც უდრის „სპილენძის ანუ სპირ ენძს და სპერის ანუ ისპირის მადანს ნიშნავს.“

ასე რომ საპერები ანუ სასპერები იმ ქართველი ტომის სახელია, რომელიც სპერისა თუ ისპირის მიწაზე ცხოვრობდა. ასე პოულობს ახსნას აპოლონიოს როდოსელის პოემაში დასახელებული ერთ-ერთი იბერიული ტომის სახელი ქართულ ენაში.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ „საპირების“ შემდეგ დასასრულ დასახელებული არიან ბიძერები, ერთ-ერთი ქართული ტომი, რომელიც უშუალოდ ესახლებრება აიეტის სამეფოს ანუ კოლხთა ქვეყანას. ვიორჯი მელიქიშვილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (ტ. I გვ. 382) აღნიშნავს, რომ სახელი „ვიტერუხი“ („ხი“ კეთენილებს აღმნიშვნელი ურარტული სუფიქსია) შემოინახა ანტიკურ წყაროებში სვე ზღვის პირას, მდინარე კოროხის შესართავთან დამოწმებული ტომის — ბიძერების სახელმა.

„არგონავტიკა“ მდიდარ მასალასა და ცნობებს გვაწვდის თვით კოლხეთის სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოს დედაქალაქის — ქუთაისის, კოლხთა მრავალრიცხოვანი ტომებისა და მათი სახელოვანი ბელადისა და მეფის აიეტის — აიელის შესახებ. პოემაში აიეტი წარმოსახულია, როგორც დიდი და მძლავრი, მალაღინეთიარებული სახელმწიფოს მზისხანე, ბიძენი და მამაყი მეთაური. „არგონავტიკაში“ აიეტისადმი მიძღვნილია ბევრი ადგილი, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს მისი მეფური დიდებულება.

პოეტი ასე ახასიათებს მას: „კოლხთა წინამძღოლი აიეტი ისეთი იყო სახილველად, როგორც პოსეიდონია (ოკეანეთა და ზღვათა ღმერთი, ზევსის ძმა) ზოლმე“.

პოემის მეორე ადგილას ვკითხულობთ: „მშვენიერად გაწყობილ ეტლზე აიეტი იდგა და

გამორჩეოდა ქარის ქროლვასავეთ სწრაფი ცეზნებით, რომლებიც მას ჰელიოსმა (მზის განმარტო, აიეტის მამა) უბოძა; მარცხენა უკან მრგვალი ფარი ეყვრა, მეორეში კი — ნაძვის გრძელი ჩირაღდან; მის გვერდით უზარმაზარი შუბი იყო აღმართული“.

აიეტის შვილოშვილი არგოსი ასე ახასიათებს მას: „იგი ამტკიცებს, რომ ჰელიოსის ნაშვირია; მის ირგვლივ კოლხთა ურიცხვი ტომები ცხოვრობენ; აიეტი თავზარდამეკვი ხმითა და დიდი ღონით არეს შეიძლება შეედაროს“.

ფეაკთა (ფეაკები — კუნძულ დრეპანზე მოსახლე ტომი) მეფე ალკიონე ძრწოლით შენიშნავს მეუღლეს: „არეტე... შენ რომ ამბობ, ისე მარჯვე საქმე როდია აიეტის არად ჩაგდება. აიეტზე უფრო დიდი მეფე არავინ არის. მართალია, შირსაა, მაგრამ თუ ინება, ელადაზე ომით წამოვა“.

„არგონავტიკის“ დასაწყისში, სადაც შორეული მოგზაურობის მოწაწილეებია ჩამოთვლილი, პოეტი მოგვითხრობს, რომ კოლხეთში სალაშქროდ წასასვლელად „მოვიდა ავციეც, ვისზეც ხმა დადოდა, ჰელიოსის შვილიაო. იგი ელადელ ვაჟაკებზე მეფობდა და სიმდიდრით ამაყობდა; ძალზე სურდა ეხილა კოლხეთის მიწა და თვითონ აიეტაც — კოლხთა ბელადი“.

ეს სტრიქონები მიგვანიშნებს, რომ აიეტს რაღაც ნათესაური კავშირი ჰქონია თესალიელ არგონავტებთან, ეგრძოდ, ავიგოსთან. ეს აზრი უფრო მეტიოდ არის გამოთქმული ევგვალისის „კორინთიკაში“, რომლის მიხედვით კოლხეთის მეფის აეტის (აიეტი) თავდაპირველი სამკვიდრებელი ეფიზე (შემდეგროინდელი კორინთო) იყო და იგი აქედან გადმოსახლებულა კოლხეთში.

აპოლონიოს როდოსელის მიხედვით კოლხეთი დიდი და ძლიერი საზღვაო სახელმწიფოა. როცა კოლხებმა შეიტყვეს, არგონავტებმა მედვას დახმარებით ოქროს საწმისი ვაიტაცესო, სწრაფად გამოიყვანეს რომალდები. „რომალდებზე აფერხე აზიდეს და იმავე დღეს ვავიდნენ ზღვაში. იტყოდო, ეს ხომალდთა კრებული კი არა, ფრთოსანთა ურიცხვი გუნდი დაქრიაბულბესო ზღვაზე“.

მთელი დიდებით არის პოემაში წარმოსახული მრავალრიცხოვან კოლხთა ტომების სახელმწიფო და მისი დედაქალაქი — ქუთაისი.

აი როგორი გაცეებითა და აღტაცებით შეჰყურებდნენ არგონავტები აიეტის სამეფოს დედაქალაქს: „გმირები (ქალაქის) შესასვლელთან გაჩერდნენ და გაცეხულნი შესცქეროდნენ მეფის სასახლის ვალავანს, ფართო კიშკრებსა და სვეტებს, რომლებიც მწყრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო; სასახლის ზემოთ სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშკი. მოსულბებმა მშვიდობიანად გადააბიჯეს ზღურბლს, რომლის ახლოსაც მდლა ამართული, მწვანე



ფოთლებით დაბურული ვაზები ფართოდ გადაშლილიყვნენ. მათ ქვეშ მოჩუხჩუხებდა ოთხი დაღმრტელი წყარო, რომლებიც ჰეფესტომ ამოიღო. ერთი რძეს მოაჩქეფებდა, მეორე — ღვინოს, მესამე — სურნელოვან ზეთს მოარაკრავებდა, მეოთხე კი მოაქუხებდა წყალს, რომელიც პლეიადების ჩასვლის ეამს თბებოდა, მათი აღმოსავლის დროს კი, პირიქით, ყინულივით ცივი ამოქუხდა ამოღარული ლოდინან“ (გვ. 187-189).

მაგრამ თითქოს რაიმე აკლიაო, პოეტი ცდილობს ახალი ფერებით შეავსოს და შეამკოს ეს ისედაც მომზადდებული სურათი. იგი განაგრძობს: „უზოს შუაგულში იღვდა სასახლე, რომელსაც მრავალი კარგად შევრული კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა სხვადასხვა მხარეს. სასახლეს გარს უვლიდა შესანიშნავად ნაკეთები აივანი. გარდა ამისა, პირისპირ იდგა ორი მღალა სრა-სახლი; ამათგან ერთში, რომელიც უმოდლესი იყო, მბრძანებელი აივტი ცხოვრობდა თავისი მეუღლით, მეორეში კი აივტის ვაჟი აფსირტე ბინადრობდა“ (გვ. 189).

სიტუცისა და სიმდიდრის ამ შესანიშნავ სურათს თუ დავუმატებთ კიდევ საბილენძისფეხებიან და პირადან ცეცხლისფერქვეველ ხარებს, აგრეთვე იმ დროისათვის საოცარ რკინის გუთანს, მაშინ მთელი სიდიადით წარმოგვიდგება თვალწინ მგალი ცივილიზაციის ქვეყანა, რომელსაც შეეძლო გვერდთ ამოღგომოდა ძველი აღმოსავლეთის განთქმულ სახელმწიფოებს.

როგორც გამოჩენილი მეცნიერის გიორგი მელიქიშვილის შრომებიდან ჩანს, ეს ასეც ყოფილა. იგი ვარაუდობს, რომ ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე ათასწლეულთა მიჯნაზე არსებობდა ქართველურ ენათა ფუძე ენა. ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან კი დაიწყო ქართულ-ზანური ერთობის დაშლა, რთაც დასაბამი მიეცა ქართველისა და ზანების (მეგრულ-ქანების) ენობრივი განცალკევების პროცესს, ამიტომო, დაასენის გიორგი მელიქიშვილი, მეორე-პირველ ათასწლეულთა მიჯნაზე არსებულ „კოლხეთის სამეფო“ არ შეიძლება მხოლოდ ზანური გაერთიანება ყოფილიყო. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც ამასთანავე, როგორც ჩანს, მოიცავდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ სენათა ტომებსაც.

„არგონავტიკაში“ ქუთაისი დახატულია როგორც ულამაზესი და ხალხმრავალი ქალაქი, რომელსაც „კარვად ნაგები ქუჩები“ აქვს. თითქოს მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის სუნთქვა, მისი მძლავრი მაჩისცემა გვემისს, როცა პოემის ამ ადგილებს კეთილულობთ:

„შეშველი ფეხებით მირობდა (მედვა) ვიწრო

შუკებში... სწორად გავიდა შიშნაკრვევს, ღრუბურსაღლი ქალაქის ვალაენიდან“... (გვ. 253).

„მიწყდა ქალაქში ძალღების ყუვა და ყოვლისმომცველი ხმაური“. (გვ. 217).

„—აი ასე ლეტოსა და მისი ნიშნებივით მიჭროდნენ ქალაქში მედვა და მხევალი ასულნი. შემხედრი ხალხი მათ გზას უთმობდა...“ (გვ. 223).

პოემაში დიდი სიზუსტითაა აღწერილი არა მარტო ქვეყნები და ქალაქები, არამედ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომთა წეს-ჩვეულებანი, რომელთაც ბევრ შემთხვევაში უშუალო კავშირი აქვს ძველი ქართველი ტომების ცხოვრებასთან, მათ რელიგიურ შეხედულებებთან.

ამ მხრე განსაკუთრებით საინტერესოა პოემის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია დინდიმონის ღმერთქალზე. „ყველა ნეტართა (ღმერთთა) მშვენიერ-ტახტოვან ღელაზე“ ანუ ღმერთების ღელაზე — რაზე: იგი ასეა პოემაში დახასიათებული: „ნეტართა ღელას ემორჩილებიან ხომ ქარებიც, ზღვებიც. ქვემოთ ყოველი მიწაც და ზემოთ ოლიმპოს თოვლიანი სადგამიც. მის წინაშე, როცა მთებიდან დიად ზეცაში ადის, თვით კრონიდი ზეცისკ კი უჯან იხევს; ასევე მოწიწებით ექცევიან საშიშ ღმერთქალს სხვა უკვდავიც“ (გვ. 93).

როცა მრისხანე ქარიშხალმა წინსვლის საშუალება არ მისცა არგონავტებს, მაშინ მათ დინდიმონის მთაზე ვაზის (სწორედ ვაზის) გამხმარი ღეროსაგან ღმერთქალის კერპი გააკეთეს, ციკაბო მწვერვალზე მოათავსეს და დახმარება შესთხოვეს. გულმხურვალედ მოუხმობდნენ არგონავტები ყოველისშემძლე დინდიმონელ ღელას. და წმიდა მსხვერპლით მომადლიერებულმა ღმერთქალმაც ისმინა მათი მტლარა. მალე ამის ნიშნებიც გამოჩნდა: მრისხანე ქარები დაღუმდნენ, ხეებმა აურაცხელი ნაყოფი დააბავეს; არგონავტთა ფერხთა გარეშემო მიწამ თავისთავად აღმოაცენა ნაზ მცენარეთა ყვავილები. მხეცებმა მიატოვეს ბუნაგები და კუღთა ქიცინით მოვიდნენ. დინდიმონის მთაზე უწინ წყალი არ იყო. ღმერთქალის ნებით, გადამხმარი მწვერვალიდან უწყვეტ ნაკადად წამოჩხრაილდა ანკარა წყაროს წყალი.

პოეტის მიერ აღწერილი ღმერთქალი მკრონებისა და მათი მონათესავე ჰელასკური ტომის — დოლიონების საერთო უღვათა — „ღიღიღელა“, რეა ანუ კიბელვა. დინდიმონის მთის გადამხმარი მწვერვლიდან წყაროს წყლის წამოჩხრაილებასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა ერთი ასეთი გარემოება. ქუთაისში, უფრო სწორად, მის იმ ნაწილში, რომელსაც მწვეანე ყვავილას ეძახიან, მიწის წიალიდან

ვლადიმერ შავშულიძე
 თმშულიძეა უძველეს ქართულ საგვაროზე



გადმოდის ყინულივით ცივი წყალი. ქუთათურები ამ წყაროს წყალს კიბულას ეძახიან. „კიბულა არისო“ — ცტყოდნენ და ეს ნიშნავდა, რომ წყალი ცივიც იყო და ანჯარაც. საინტერესოა, დინდონის მთის დიდი დედის — კიბულეს მიხედვით ხომ არ შეერქვა მწვანე ყვავილას ამ წყაროს წყალს სახელი კიბულა?¹

დიდად საყურადღებოა პოემაში აღწერილი წეს-ჩვეულებაც, რომელსაც კოლხთა ტომები იცავდნენ. აპოლონიოს როდოსელი მოგვითხრობს, რომ ქუთაისის მახლობლად, კირკონის (კირკე აიეტის ბრძენი და იყო) ველზე მრავლად იყო ჩამწკრივებით აღმოცენებული ტრიფი და ძეწწა, გვიმელთა კენწეროვებუ თიბებით მიერთული გვამები ეკიდა. პოეტე შენიშნავს, რომ კოლხებში ჯერ კიდევ ახლაც, ესე იგი ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეშიც, ცოდვად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა. არც ის არის წესიო, რომ მიწაში დაფლას და ზემოდან ტავრეცი დააყარონ. მამაკაცის ცხედას კოლხები ხარის მოუთვლავ ტყავებში ახევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგამ ჰაერის თანაბრად მიწაც იღებს თავის წილს, რადგან ქალთა გვამებს მიწაში მარხავენო, — დასძინს პოეტე.

კოლხთა ამ წეს-ჩვეულების გამო გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაკრძალვის ასეთი წესი ცეცხლთაყვანისმცემლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგარ როგორც ჩანს, ცეცხლთაყვანისმცემლობა აქ არავფერ შეუძია.

უთუოც, ქალთა და მამაკაცთა გვაქების დაკრძალვის სხვადასხვა წესი გაპირობებული იყო იმით, რომ კოლხთა უდიდეს საფიციას წარმოადგენდნენ ზეცა, იგივე ურანოსი — მამრბობითი სქესის ღვთაება და ღვდამიწა — იგივე რეა, დიდი დედა.

თი როგორ ეფიციება მედეა თავის დას ქალკიოპეს:

„გფიციავარ კოლხთა უდიდეს საფიციარს — დიად ზეცას და მის ქვეშ მყოფ ღვდამიწას“. მამსადამვე, დაკრძალვის კოლხური წესი გულისხმობდა, რომ ზეცა—ღვთაება ურანოსი — იღებდა თავის წილს მამაკაცების სახით, ხოლო ღვდამიწა — ღვთაება რეა თავის წილს ქალთა სახით. ამ შემთხვევაში შესანიშნავად ეთანხმება ერთმანეთს კოლხთა რელიგიური შეხედულებანი და დაკრძალვის მათი წესჩვეულება.

აპოლონიოს როდოსელის პოემას „არგონავტიკას“ ქართული ხალხისა და მისი ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდი და ღრუფასებული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც რომ მან შემოგვიანახა ცნობა ეგრეთ წოდებული კირბებოსა თუ კვირიბების შესახებ. როგორც აკაკი

ურუშაძე აცხადებს, ეს პირველი ცნობაა ქართულ ტომებში, კერძოდ, კოლხებში არსებულ დამწერლობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული დამწერლობის შექმნის თარიღი შორეულ წარსულში მთელი ათასი წლით, თუ მეტით არა, გადაინაცვლებს.

ქართული დამწერლობის ისტორიისათვის ფრიად ნიშნენლოვანია პოემის შემდეგი სტრიქონები: „მათ (კოლხებს) შენახული აქვთ თავიანთ მამათგან ნაწერი კირბები, რომელზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (გვ. 265).

ამრიგად, აპოლონიოს როდოსელის ცნობით, კოლხებს გაჩნდათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები სამანძილო კირბების სახით, რომელთაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ვიორგი მელიქიშვილის აზრით, ეს წერილობითი ძეგლები უნდა მივავუთვნოთ კოლხების სამეფოს, რომელიც ძველ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე იყო. როგორც ძველი ბერძენი მწერლების ცნობებიდან ირკვევა, კირბები შეიცავდნენ დაწერილ კანონებს და ზეალმართულ ქვებს წარმოადგენდნენ. ერო ასეთ ენობათუ სათქვამია, რომ კირბები წმიდა წარწერათა შემცველი ბოძიანო.

ასეთი ბოძები განსაკუთრებით მაგარი ჯიშის ქვისაგან, ალბათ, გრანიტისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. ამასთან დიდად მოხერხებული იქნებოდა, თუ ასეთი მაგარი ქვის, გრანიტის ქვის კარიერები ახლოს იქნებოდა სამეფოს დედაქალაქთან. კოლხეთის სამეფოს შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყო ქუთაისთან ახლო მდებარე, მდინარე წყალწითელას ხეობაში არსებული გრანიტის ქვის საბადოები. თუ დამტკიცდება ის, რომ კირბები ქვის ბოძებს წარმოადგენდნენ (ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არც ერთი კირბი არ არის ნაპოვნი), მაშინ გამოირიცხული არ არის, რომ მათი დამზადება სწორედ აქ, ქუთაისის მახლობლად მდებარე გრანიტის ქვის საბადოებში ხდებოდა, რის გამოც ადგილს და მასთან დაკავშირებულ სოფელსაც კურსები დაერქვა. ამვე დროს შესაძლებელი ხდება ახლებურად იქნეს გააზრებული ამ კუთხის სახელწოდება — ოკრიბა (ოკირბა-საიკირბე), რომელშიც სოფელი კურსებიც შედის.

ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ აკაკი ურუშაძე წერდა, რომ კოლხეთის ანტიკური არქეოლოგია ჯერ კიდევ ოცნება არისო. დღეს მდგომარეობა არცმთოდ შეიცვალა. პირველი ნაპოვნები უკვე გადაღებულია და ბევრი სასიხარულო შედეგიც არის მოპოვებული. შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი სახელოვანი არქეოლოგების წერაქვი ზღაპრულ სამოსელს ჩამოსნის არგონავტების თქმულებას და მით თვალწინ გადავიშლის უძველესი ქართული სამყაროს მთელ დიდებულებასა და ბრწყინვალეობას.

¹ ურნალისტ ბეჯან სვანიძის დამოწმებით, ზესტაფონშიც წყაროს ცივი წყალს კიბულას ეძახიან.

წყლის კულტის მოტივები «ვარშაყიანში»

ჩვენამდე მოღწეულია გვიანი შუა საუკუნეების ქართული მწერლობის ნაკლებად ცნობილი, სპარსული ენიდან გადმოკეთებული ძეგლი — საგმირო — საფალავნო თხზულება «ვარშაყიანი». იგი თავისი ენისა და ეპოქის ნაწარმოებებს არც მხატვრულობით ჩამოუვარდება და არც იდეურ-თემატიკური მიმართულებებით.

«ვარშაყიანი» ფრიალ საინტერესოა ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისითაც. თხზულებაში ჩვენ შევნიშნეთ საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ეპიკური მოტივებისა და ეპიზოდების არსებობა: ეგშაათან ბრძოლა, ურჩხელისაგან გმირის ჩანთქმა და გათავისუფლება, გმირის წყალში გადავლება, ბუნების საიდუმლო ვნის შესწავლა, უნახავად (სურათით) გამოჩნდება, ჯადოსნური ქომაგი ფრინველებისა და ცხოველების გამოყენება, ჯადოსანი ქალები, თმის მოჭრა, ქალთა საზოგადოება, მეფე ქალები და სხვ.

აქ განვიხილავთ «ვარშაყიანში» ასახული წყლის კულტის რამდენიმე მოტივს.

«ვარშაყიანით», სწორუბოვარ ფალავანზე, ვარშაყზე, ფეხმძიმედ მყოფი დედა ზღვაში გადავადეს, მომავალი გმირი ზღვაში დაიბადა და გაიზარდა, მისი წრობობის აკვანი ზღვა ვახდა. ეს ამბავი ტექსტში ასეა გადმოცემული:

ზადრი იამანის შვილი ფერიათა ხელმწიფემ ილსაზრდილდ მიბაბრა ძიძას, ამ უკანასკნელს ჰყავდა შვებე ულამაზესი ასული, რომელიც ხელმწიფეს თავის შვილისათვის სურდა ცოლად. ყმაწვილმა თვალი მოჰკრა ძიძის ასულს სასახლის წალოკტში. ასულის სილამაზეზე მის გულში ტრფობის კოცონი აღნათო, გადავიდა წალოკტში, დაიმორჩილა ქალი და აღისრულა გულის საწაღელი. ვამოხდა ხანი. ფერიათა ხელმწიფემ თავისი შვილის დაქორწინება მოისურვა და ძიძის ასული მოიკითხა. ხელმწიფეს მო-

ახსენეს: «მეფეო, არღა ეკადრების შვილსა შენსა მას ქალსა თანა ქორწინება». არ გაუშხილეს, თუ ვისგან იყო ფეხმძიმედ ქალი. შეძრწუნებულმა ხელმწიფემ ქალის ზღვაში გადავდება ბრძანა. ქალი მამინვე წაიყვანეს და ერთი ზღვის პირად დატოვეს. ქალს შეეძინა ვაჟი. დედა-შვილი გველუშაშაშა შეიბრალა, თავის სამყოფში წაიყვანა და ყრმა ვარშაყს დაუწყო ზრდა («ვარშაყიანი», S 239B, გვ. 42-49).

გმირის წყალში გადავდება საერთაშორისო ხასიათის ლიტერატურულ-ფოლკლორული მოტივია, რომელიც სხვადასხვა ვერსიითაა გავრცელებული თითქმის ყველა ქვეყნის ეპოსში. იგი უძველეს ტომობრივ საზოგადოებაშია შემუშავებული. მასთან მრავალი საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული და მითოლოგიურ-რელიგიური საკითხია დაკავშირებული. გმირის წყალში გატარება არა მარტო მისი მეფობის გზის დასაწყისია, არამედ გამეფების წინაპირობაცაა. ასე იწყებენ თავის გზას სახელისა და დიდებისაკენ ბიბლიური მოსე, სპარსეთის მეფე კიროსი, ბაბილონელთა მეფე სარგონ I; წყალში გადავდებული თიდიპოსი, ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით — მამა გრიგოლი, წმინდა ანდრია და სხვ.

გმირის წყალში ჩავდების მოტივს იცნობს ბაბილონურ-ეგვიპტური გადმოცემანი და ბერძნული მითოლოგია. მაგალითად, მეფე სარგონ პირველის ბავშვობის წლებზე შემორჩენილია საინტერესო ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, რომ იგი — სარგონი — ლერწმის კალათში ჩააწვინა დედამისმა და მდინარე ეფრატის ტალღებს გაატანა. ქ. აქადში ცხოვრობდა ვინმე მეზადე აქი, ერთხელ, როდესაც აქი მდინარესთან მივიდა წყლის წამოსაღებად, უცნაური მოტივტივე საგანი შენიშნა. აქიმ დაიჭირა ლერწმის კალათა. შიგ ბატარა ბიჭი იწვა. მეზადეს შეებრალა მტირალი ბაღი; იშვილა, გაზარდა და



მებაღეობა შესწავლა. როდესაც სარგონი გიზარდა, ქალღმერთმა იშთარმა შეიყვარა. მან დიდი ძალაუფლებით აღჭურვა სარგონი და აქანდის უზარმაზარი სახელმწიფოც ჩააბარა¹. ეჭვგარეშეა, ლეგენდა შეიქმნა იმ მიზნით, რათა „დაემტიციებინათ“ მისი (სარგონის) ხელისუფლების დედაებრივი წარმომავლობა. მომავალი გმირის ევეგრატის ტალღებისათვის გატანება მისი მეფობისა და უფლებამოსილების დადასტურება იყო. ეს ლეგენდა ძალიან ჰგავს სპარსეთის სახელმწიფოს შემქმნელ კიროსზე გავრცელებულ ლეგენდას. სპარსეთის მეფე კიროსიც ყრმობისას ტიგროსის ტალღებს მიანდევს.

ეს მოტივი დასტურდება „ოიდიპოსშიც“. მეფე ლაიოსმა რომ თავი დააღწიოს მისნის წინასწარმეტყველებას, თავის ჩვილ ბავშვს ფეხებს შეუტარავს და უბრძანებს მონებს, უდაბურ ტყეში დატოვონ. პროფ. ე. პროპის მართებული შენიშვნით:

Лайи поступает здесь, как очень часто в фольклоре и в мифах поступают со своими детьми родители. Софокл отличается от народной традиции только тем, что он избрал более редкую форму удаления в горы, а не обычный в этих случаях спуск на воду².

ჩვენამდე მოღწეულია „ოიდიპოსის“ უძველესი ვერსიაც, რომლის მიხედვით უშვილო დედაცავე წყალში პოულობს ჩვილს და ქმართან თავისად გაასაღებს³. მსგავსი მოტივი შეინიშნება პერსეის თქმულებაშიც: მეფე აკრიასს ჰყავდა ქალი, მზეთუნახავი დანაე. მას უწინასწარმეტყველეს, შვილი ტახტს წავართმევს; ამიტომ თავისი ქალი, დანაე, ისეთ კოშკში მოათავსა, სადაც ვერც ერთი სულიერი ვერ შეიპარებოდა. ზევსმა თვლი მოჰკრა მზეთუნახავს და მონდობა მასთან კავშირის დაჭერა. ეს კიდევ მოახერხა. ოქროს წვიმა შეაშხაპუნა კოშკში. ზევსთან კავშირისაგან დანაეს ეყოლა შვილი პერსევი. აკრიასმა რომ ეს გაიგო, ბრძანა — დანაე და მისი ვაჟი ჩაესხათ კილობანში და ზღვაში გადაეგდოთ. დედა-შვილი ზღვამ შეიბრალა და უვნებლად გარიყა კუნძულ სერიფოსზე⁴.

ამავე ციკლისა თქმულება რემისა და რომულის შესახებ: რვა სილიოთ მარსისაგან შობა

¹ იხ. ფრეზერი, „ფოლკლორი ძველ აღთქმაში“, ინგლის, რუს. თარგმანი, 1931, წ., გვ. 255.

² Пропп, Эдин в свете фольклора, ученые записки, серия филологических наук, вып. 9, 1944, стр. 151.

³ იქვე, გვ. 158.

⁴ სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 1950 წ., გვ. 213.

ტყუპი ვაჟი. ამელიუსმა ბრძანა მათი ტიპობი გადაედება. მსახურმა კალათი, რომელშიც ბავშვები იყვნენ, მდინარის ნაპირზე დატოვა, სადაც ძუ მგელმა აწოვა ძუძუ, შემდეგ კი მწყემსმა იპოვნა და გამოხარდა.

ინდურ ეპოსში „მაჰაბჰარათაში“ მოთხრობილია მეფის ქალის კუნტას ამბავი, რომელმაც მზე-ღმერთისაგან შობა ვაჟი, მაგრამ დედა-მის შიშით, ბავშვი კალათში ჩააწვინა და მდინარეს მისცა. ბავშვი გადაარჩინა უშვილო ცოლ-ქმარმა (ფრეზერი, ფოლკლორი ძველ აღთქმაში, 1931 წ., გვ. 299).

ასეთივე მოტივი არსებობს სირინოზიანში, სადაც სირინოზს, როგორც მტრის შვილს და მომავალ სახიფათო მეტოქეს, ბავშვობისას წყალში აგდებენ „სირინოზიანი“, S 1503, გვ. 19). მომავალი გმირის წყლის პირას მიტოვების მოტივი ქართული ზღაპრებისთვისაც არაა უცხო. მაგ. „უშვილო ხელმწიფისა“, რახიკ. ზღაპ. II, გვ. 166). „ოქროსქორიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“ (იქვე, გვ. 39). „ზღაპარი უშვილო დედაბერისა“ და სხვ...

გმირის წყალში გადაადგება მეგრულ ჯაღოსნურ ზღაპრებშიც ხშირად გვხვდება⁵.

ამ მოტივს ერთგვარი შესატყვისები მოეპოვება ქართულ ამირანიანში და ბიბლიურ გადმოცემებში⁶.

სენაური თქმულების მიხედვით, დალი მონადირეს სთხოვს: ამირანი აკვანში ჩააწვინე, აყენით წაილე და იამანის წყაროზედ დადგი. უბედური დედის რჩევა მონადირემ უკლებლივ შეასრულა⁷. დალის დაბარებული ყველა ასარულა, მიიყვანა აყენით იამანის წყაროზე და იქ დადგა. წყაროსთან ქრისტე მობრძანდა, ბავშვი მონათლა და იქვე დატოვან. იამანის წყარო უბრალე არაა. მისი საშუალებით ქართული ამირანი ბიბლიურ მოსეს ემსგავსება. ბიბლიური მოსეც პაპირუსის კალათში ჩააწვინეს და მდინარე ნილოსს მისცეს. ფარაონის ქალმა დაინახა, გადაარჩინა და უწოდა მოსე. რაც ებრაელად წყალში პოუნილს ნიშნავს. შანანეს დარაბი წყალს უკავშირდება, დარაბის ეტიმოლოგიაც წყლისაგან მოდის, ისე როგორც ბიბლიურ მოსეს, სირინოზისა და სხვათა ეტიმოლოგიები.

გმირის წყალში გადაადგების ზემომოტიანილი მოტივები და ელზოდები ერთისა და იმავე მხატვრული მოვლენის სხვადასხვა საფეხურებრივი გაფორმებაა არაერთგვარ ეროვნულ და საზოგადოებრივ პირობებში.

„ვარშაყიანის“ მიხედვით, ხილის მარცხლე-

⁵ აბ. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970 წ. გვ. 48; მაკარი ზებუა, მეგრული ტექსტები, 1937, გვ. 87, 38.

⁶ მიხ. ჩიჭოვანი, „მოჩაქვეული ამირანი“, გვ. 357.



ბის ჰამისა და წყაროს წყალში ბანაობის შედეგად ზაბარჯათმა ისწავლა ფრინველთა, მხეცთა და ქვეწარმავალთა ენა და იქმნა გრძნეული. რაში შეიჭრით ეუბნება ზაბარჯათს: „ხელმწიფეო, ეს ხე დიდად განსაცდლიანი ხე არის და თუ ამ ხეს მშვიდობით გადურჩით, მრავალს შევიმატებთო. აწ შენ მიდი და მაგ ხისა ძირში რომ წყარო გამოდის, გატიტვლდი და იმ წყაროში იბანე, რომ მშრალი არა დაგრჩეს, მერე მის ხისა ხილისაგან სამი მარცვლი შესჭამე და ასეთი ხასიათი აქვს, რომ ყოველთა მხეცთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა ენას ისწავლი და გაიგონებო (გვ. 2). ამავე ძეგლთა გმირი ბუნების ენას სწავლობს ადამიანის ენის ადამიანის ენაზე შეხებით. მაგალითად, ზღვათა მეფის შვილს ეინემ მოხუცი თეთრი ზღვის ხელმწიფესთან მიიყვანს. ხელმწიფის შეითხვავზე: „შენისა აქა მოსვლისა მიზეზი რა არისო? — ყმაწვილი უპასუხებს: „ხელმწიფეო, ამას გვედრებ, უმცრებდასა შინა აღზრდილსა ენასა ჩემსა მცირე რამ სიბრძნე ანაო“. ხელმწიფე გადაეხვიე მეფის შვილს, ენა პირში ჩაუყო და დიდხანს ეგრე ენა ენასა ზედან დადებული ჰქონდა, და რა მოშორდა, მასვე წამსა ყოველთა თევზთა და მხეცთა ლაპარაკი ესმოდა (გვ. 46). ასევე, ვარშაყს მისმა გამზრდელმა ვეშაპმა ცხოველები-სა და ფრინველების საუბარი პირში ენის გამოსმით ასწავლა. „ოდეს გველუშაპმან თავისი ენა პირში გამოუსვა ვარშაყს, მას უკან ყოველივე ლაპარაკი გამზრდელისა თვისისა ესმოდა და გარდა ამისა, ვეშაპის მის ენის გამოსმითა, ყოველთა მხეცთა და ფრინველთა ლაპარაკიც ესმოდა“ (ვარშაყანი, კარი I, 1885, გვ. 8).

ბუნების ენის შესწავლა პირში ენის გამოსმით დამახასიათებელია საერთაშორისო და კერძოდ, ქართული ზღაპრებისთვისაც. ქართულში ჩაწერილ ზღაპარში, როგორც სათურია „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა“, თევზი საწყალ კაცს პირში ენას გამოაქვს, რითაც ბუნების მესაიდუმლედ აქცევს.

თევზი წავიდა კაცთან და უთხრა: „მოდი, ენაზედ ენა ამისვი და რაც ფრინველია სუყველას ენას გაიგებო. ამასაც კი გუეუნებო, არაეის უთხრა, თორემ მოკვდებო. საწყალმა კაცმა გაუგონა თევზს: მივიდა, თევზს ენაზედ ენა აესვა. მართლა ამის შემდეგ კაცს ყველა ენა ესმის. თევზი წყალში ჩვიდა. საწყალი კაცი შინ წამოვიდა“.

ეს მოტივი მეგრულ ზღაპრებშიც გვხვდება. ერთ-ერთ მეგრულ ზღაპარში „ბღეში მაგორუ“, რომელიც მაკარ ხუბუას მიერაა ჩაწე-

7. ელ. ვირსალაძე, რჩეული ქართული ზღაპრები, ტ. I, 1949 წ. გვ. 453-461, მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. III, გვ. 159-161).

რილი, ზღაპრის გმირი ზღვიდან ამოსულს უკვე ხელედა და ბედს ეწვევა. იგივე მოტივიც შემოქმედებული სულხან-საბა ორბელიანის არაქში „ანჩხლი ცოლის პატრონი“, სადაც მდინარიდან გამოსულმა კაცმა ადამიანს „ყოვლის სულიერის ენა“ პირში ენის გამოსმით ასწავლა. „ერთი კაცი იყო საბრალო და მართალი. ერთი ანჩხლი ცოლი ჰყვა. ეს კაცი, რა პურს აიღებდის ჰამად, მდინარის პირას დაქდის, ზოგი თვით სკპისა და ზოგი მდინარეში ჩაყარის. გამოხდა ხანი, მდინარიდან ერთი კაცი გამოვიდა და უთხრა: — ესოდენი ხანია, რომ შენი საზრდოთი მზრდი, აწ პირში ენას გამოგავლემ და ყოვლის სულიერის ენას ისწავლიო. ამას შემოგზღავე და თუმცა ეტყვი ვისმე, მაშინვე მოკვდები, უყოლოდო. გამოაგლო ენა და ისევ მდინარეში ჩვიდა და წავიდა“⁹. მსგავსი მოტივი გვაქვს „ეკლესიასტში“, „ყაბუხ-ნამესა“ და „გილგამეშაინში“¹⁰.

ჯადოსნურ ზღაპრებში უფრო ხშირად ბუნების ენის სწავლება გველს შეუძლია. ქართულ ფოლკლორში და არა მარტო ქართულში, არამედ ევროპის, აზიის, აფრიკის და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია მოტივი, რის მიხედვითაც ადამიანი გველის მემეგობით შეისმენს ბუნების ენას. საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს მოტივი გველის წყალთან დაკავშირებისა. ამ მოვლენის ასახსნელად ბევრი მასალა მოიპოვება ქართულ სინამდვილეშიც. ქართული მითოლოგიისა და ზღაპრების მიხედვით გველი ენის წვერს შეახებს, ჩაბერავს ან ჩააფურთხებს ადამიანს და ეს უქანსკნელი ხდება გრძნეული. მას ესმის ყველაფრის ენა. პრატ. ელ. ვირსალაძის მიერ ჩაწერილი ზღაპარი „გველის ძმობილი“ გადმოგვცემს, რომ გველი სიკეთის გადახდის მიზნით მეცხვარეს ეუბნება: „ჩაკი ეგრე მაღლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემი ენის წვერს დაადე. ბიჭი შეკარო, მაგრამ მერე თქვა, რაც იქნება იქნებაო, დაადევს ენის წვერები ერთმანეთს. რაკი ვაჟი გველის ენას თავისი ენით შეეხო, ამის შემდეგ მას ესმოდა ენა ფრინველებისა და ცხოველებისა, რომლებმაც მას ბევრი რამ ასწავლეს (ელ. ვირსალაძე, რჩეული ზღაპრები, I, 1969 წ. გვ. 272).

სოფ. ვეჯინში 1889 წელს ჩაწერილ კახურ

8. მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, 1967 წ. გვ. 23.

9. „სიბრძნე სიცრუისა“, სოლ. იორდანაშვილის რედაქციით, თბ., 1957 წ., გვ. 129-130.

10. გ. იმედაშვილი, ეკლესიასტეს ერთი მოტივი სიბრძნე სიცრუეში, სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო კრებული, თბ., 1958 წ.

გივი ახვლედიანი
წამლის კულტის მოტივიები „ვარსაყინაში“



ზღაპარში მოთხრობილია მეცხვარის საინტერესო თავგადასავალი. მოჭამავირე მწყემსმა გზაზე დაწოლილი გველი ნახა, არ მოკლა, გვერღზე გადასვა და გააფრთხილა, სახიფათო ალაგზე გამოსულხარო. მეორეჯერაც ასე ეეთილად მოექცა ქვეწარმავალ მწყემსი. მაშინ გველი მივიდა და ფობრა: ჩაგებრე და არ შეშინდო! ჩაპბრა ვაქს, და გზხდა გულომისანი მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკს და ხმას ვაიგონებდა: ცხვრისას, ძროხისას, კამჩრისას, ბალახისას, წყლისას და სხვ. (თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები კახეთში შეკრებილი, გვ. 27). ასევე კეთილსმყოფელია გველი ქართულ ზღაპარში — „ხელმწიფე და თხებით სავსე უფლის ვენახი“. მსოფლიო ლიტერატურასა და ფოლკლორში კარგად ცნობილია გველისმჭამელის მოტივები. ასეთი შედარებითი მასალა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელთან“ დაკავშირებით განხილული აქვთ მიხ. ჩიქოვანსა და აშბ. ვაჩეჩილაძეს¹¹.

ენის სწავლას ნერწყვის საშუალებით კავშირი აქვს წყლის კულტთან. ნერწყვი იგივე წყალია, რითაც ადამიანზე სიბრძნისა და სიკეთის გადმოსვლა ხორციელდება.

თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ მოთხრობაში, რომლის სათაურია „ზღაპარი საკვირველისა“ ნათლად არის ასახული წყლის კულტი. ამ მოთხრობის მიხედვით, ადამიანის მიერ ბუნების ენის შეცნობა დაკავშირებულია წყაროს წყლის შესმასთან: ხელმწიფის შვილი მამის დავალებით მიემგზავრება საკვირველი ამბის მოსატანად. იგი ჩამოხტა ერთ წყაროსთან და წყალი დალია. წყლის დაღვების შემდეგ მას ესმის ბუნების ენა, მცენარეების, ბალახის საუბარი (ქართული ხალხური ზღაპრები შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, წიგნი I, 1951 წ., გვ. 17).

ჩვენთვის ამ მოთხრობაში ის ვარემოებაა საგულისხმო, რომ ადამიანმა წყაროს წყლის შემოსტ ბუნების ენა შეიცნო.

წყლის კულტთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვარშაყის აღმზრდელი ვეშაბი (ვარშაყიანიდან) და იგრი ბატონი („ამირანიანიდან“). ეს ორი პერსონაჟი ურთიერთთან ხელშესახებ მსგავსებას აჩვენებენ. ვეშაბი პერსონიფიკირებულია ვარშაყის გვერდით და მის დამხმარედ. ვარშაყი ვეშაბის აღზრდილია, უძლეველობაც მისგან აქვს მიჩიქებული (იხ. „ვარშაყიანი“, § 2398, გვ. 42-49). ასეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიუჟეტურად ხალხური „ამირანის“ იგრი ბატონი. იგი ჯადოს-

ნურ წყალს ფლობს, რომელსაც საქმეებზე თვისება აქვს. სიანური თქმულებით ვარშაყი რემ ჩილი ყრმა აყენით იამან-იახსარის წყაროს პირას დასვა. პროფ. მიხ. ჩიქოვანის შენიშვნით, „სიანური თქმულება, აქ ყრუდ იმ წყალზე უნდა მოგვითხრობდეს, რომელიც სასწაულომქმედია და იგრი ბატონის მვლობაში შედის. ამ წყაროს წვერ-ულვაშის დასხმის გარდა სხვა თვისებაც უნდა ჰქონდეს: ის ძალის მომცემი წყაროა. ვინც ამ წყალს დაღვებს — ძალა მოემატება. ვინც თავზე გადაიღვებს — ახალი, უკეთესი წვერ-ულვაში გაუჩნდება! საქირების დროს ამირანი, ალბათ, მიდიოდა წყაროსთან, ეხებოდა მას ძალა ემატებოდა. ძალის წყაროს მოტივი ქართული ზღაპრული ეპოსისთვის უცხო არაა. ის ასევე მძლეთა მძლედ აქცევს ოქრო კაცს. უძველეს თქმულებაში ამირანს ძალას ნათლია კი არ უმატებდა, არამედ ძალის წყაროზე მიხვდა და მისი შეხება“¹².

ერთი სიტყვით, ამ პერსონაჟთა როლი ორივე თხზულების სიუჟეტის განვითარებაში ძალზედ დიდია. ვარშაყის აღმზრდელი ვეშაბის და იგრი ბატონის მსგავსება შემთხვევითი არაა, მისი ახსნა მხოლოდ წყლის კულტის ვათვალისწინების საფუძველზე ხერხდება.

როგორც ქართული, ისე სხვა ხალხების ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან მკაფიოდ ჩანს წყლის სასწაულომქმედი ძალა. „ხელმწიფისა, იმისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქის ზღაპარში“, რომელიც თ. რაზიკაშვილის მიერ არის ჩაწერილი, წყალი გაქვავებული ქალაქის ვაითოცლების საშუალებადაა გამოყენებული (იხ. თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები ქართული შეკრებილი, № 39).

XII-XIII საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით, წყალი სნეულთა მკურნალია და იგი ქრისტიანული ბარბარას სახელს უკავშირდება: წმინდა ბარბარა შედის აბანოში, მარმარალოს ნიშზე ჯვარს გამოსახავს და იქიდან უხვად წყალი გამოედინება. ამ წყალში სნეულნი ბანაობენ და ეხევიასავე იკურნებიან, კეთროვანნი ნეემანის მსგავსად იწმინდებიან, ხოლო ეშმაკი შიშით ადამიანებისაგან განვიდინაო (საქართველოს მუზეუმის პალატა. განყ. A ფონდის ხელნაწერი, № 128).

უკვდავების წყლის მოტივი „ქართლის ცხოვრებაშიც“ გვხვდება. ასე, მკაფიოდ, ჟნანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ჩანართში ვკითხულობთ: მუნ დაადგრა იოვანე, ღირსი მამა ჩუენი, ერთისა ოდენ მოწაფითა... მთასა მას ურწყულსა წყარო გემრიელი გამოა-

¹¹ იხ. მიხ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური სიტყვიერება, 1957 წ. აშბ. ვაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოვანის მინდიზე“ და პოემა „გველის მჭამელი“, თბ. 1959 წ.

¹² მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1969 წ. გვ. 182.



დინა ღმერთმან ლოცვითა მისითა, რომლისა სმითა და ცხებითა მდაბიურთაგან მრავალნი სნულნი განიკურნებოდეს¹³.

იქნებ უკვდავების წყლის მოტივი ტიპო-სისა და ევგრატის წვლებიდან მოსდევს ჩვენს მოდემს და შემდგომი იგი სხვა ხალხთა ზეპირტრადიციოში გავრცელდა და გამოყენებულ იქნა სხვადასხვაანაირად. ერთ ასირიულ წარწერაში აღწერილია ქალღმერთ იშთარის ქვესკნელში მოგზაურობა. მოუსაფრეთის მხარეში ტყვეობაში იტანჯებოდა მცენარეული სამყაროს ღვთაება, მარად ქაბუჯი თამუზი. ქალღმერთი იშთარი გადაწყვეტს გადაღვას თავგანწირული ნაბიჯი. სიცოცხლის რისკით იგი შეადგენს მოუსაფრეთის მხარეში — მიკვალბულთა ბნელ სამეფოში, — რათა გამოსტაცოს თავისი სატრფო ბოროტ ერეშქივალს ქვესკნელის სამეფოს მბრძანებელს. იშთარის მოსვლის მიზანია „უკვდავების წყაროს“ პოვნა, რომელიც მოჩუქნუხებს მიწისქვეშა სამეფოს საიდუმლო ადგილას და არაეის ძალუძს იქ მისვლა. თუ იშთარი დაეუფლა „უკვდავების წყაროს“, იგი შეძლებს სიცოცხლე დატბრუნოს თავისი სატრფოს თამუზის. ქვესკნელის მბრძანებელი უბრძანებს ეპის ღემონს სამყარობაღვთი ჩაამწყვდიონ იშთარი და დაასნულონ სამოცი უღმობელი სენით. ვიდრე იშთარი სამყარობილში იყოფებოდა, ბუნებას რაღაცნაირი ძილი დაეუფლა. შეჩერდა სიცოცხლე, შეწყდა მობაღობა, გაქრა მხიარულება. იშთარის დეარგვას საშინლად განიცდის ყველა სულიერი არსება. აფორიაქდნენ ღმერთებიც. ისინი მიმართავენ ბრძენ ეპს. ეა ქმნის საუცხოო არსებას — ასუშუნამირს (რაც ქართულად ნიშნავს „მისი გზა ნათელია“), რომელსაც ავალებს დააშოშინოს უღმობელი ერეშქივალის ქვესკნელში ჩასული ასუშუნამირი დიდი ღმერთების სახელით ბოროტ ერეშქივალისაგან მოითხოვს იშთარისა და თამუზის გათავისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯოხეთის დედოფალს ძალიან სურს დამწყვდეული ჰყავდეს იშთარი, იმულებული ხდება ვაათავისუფლოს იგი. ერეშქივალი მსახურს უბრძანებს:

უკვდავების წყლით განკურნავ იშთარს,
და აქ მომიყვან დაუყოვნებლოვ.

განკურნებული იშთარი გააცოცხლებს თავის სატრფოს თამუზს და მასთან ერთად მკვდართა სამეფოდან ბრუნდება უკან — დედამიწაზე. ნაწარმოები მთავრდება ხალხისადმი მოწოდებით გაიხარონ და იმხიარულონ გაცოცხლებული თამუზის — მცენიერული სამყაროს

ღმერთის საპატივცემულოდ. იწყება განკურნების ზეიმი, ზამთრის ძილისაგან ვალვიძებული ბუნების ზეიმი¹⁴.

ამ საინტერესო მითს საფუძვლად უდევს ძველი დროის ადამიანთა პრიმიტიული წარმოდგენები ბუნების მოვლენებზე. გაზაფხულის დადგომას შუამდინარეთის მცხოვრებლები ხსნიდნენ მცენარეული ღმერთის თამუზის გაცოცხლებით, რომელიც სიყვარულისა და ნაყოფიერების ღმერთმა იშთარმა გამოიხსნა წყვდიადის სამეფოდან, მძევნარე ერეშქივალის სამფლობელოდან. მითიდან კარგად ჩანს წყლის მნიშვნელობა მცენარეული და ცხოველური სამეფოსათვის. მცენარის არსებობისათვის აუცილებელია წყალი, ისევე როგორც სათანადო ნიადაგი, სინათლე და სითბო. მცენარე მიწის „სიკეთეს“ წყლის მეშვეობით ითვისებს. მიწას ცხოველმყოფელობა, აღმომცენებლობითი უნარი წყლისაგან აქვს მინიჭებული, მისი წყალობა. სწორედ ამიტომ ხალხის გულტბრყველო ფანტაზიამ მცენარეული ღმერთი თამუზი და ნაყოფიერების ღმერთი იშთარი წყალთან დააქვემირა.

„უკვდავების წყალი“ ხშირად იხსენიება ასირიულ წერილობებში. იგი იმდროინდელ მედიცინაში რძისა და თაფლის თანაბრად გამოიყენებოდა.¹⁵

„უკვდავების წყლის“ მოტივი დამოწმებულია ბერძნულ რომან „ალექსანდრიაში“, რომელიც ჩამოყალიბდა მე-3 საუკუნის დასაწყისში ალექსანდრიაში, მაშინდელი სინაიტის ტიზმის ცენტრში. ეს რომანი უშუალოდ მნიშვნელოვანი პოპულარობით სარგებლობდა და შემდგომი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ენებზე ითარგმნა. აქ გვხვდებით ერთ ასეთ ამბავს: ალექსანდრე მავედონელი ლაშქრობითურ „ნეტარების ქვეყნისაკენ“ მიემგზავრებოდა. ლაშქარს დიდხანს წყვდიადში მოუხდა სულა. ბოლოს მათ დაინახეს გამჭვირვალე წყარო, რომელიც ელვასავით ბრწყინავდა და გარშემო სურნელებს აქვევდა. ალექსანდრემ საკმლის მომზადება უბრძანა მზარეულს. ამ უქანსკნელმა გამხმარი თევზი წყაროში ამოაკლ. წყალში დამხალი თევზი გაცოცხლდა და ხელიდან გაუსხლტა. მზარეულმა მომხდარი სასწაული არავის გაუხმია, აკისო დოქი უკვდავების წყაროს წელით,

14. იხ. ლიკინი, ბელოვი, თიხის წიგნები, თბ., 1970 წ., გვ. 254-260; აგრეთვე, რომერის მითოლოგიური ლექსიკონი III, გვ. 258-263.

15. იხ. რომერის მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 583-584.

გივი ახვლედიანი
წალის კულტის მოტივი „ვარშავიანში“

13. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955 წ., გვ. 209.



თეთონაც დალია და თავის საყვარელსაც და-
ალეენა. ბანაკში დაბრუნებულმა ალექსანდ-
რემ სასწაულმოქმედი ფრინველების დახმა-
რებით, რომლებსაც ადამიანის სახე ჰქონდათ
და ადამიანების ენაზე ლაპარაკობდნენ, გაიგო
მომხდარი ამბავი, მაშინვე ბრძანა, მზარეუ-
ლისათვის კისერზე ქვა ჩაებოთ და საყვარელთან
ერთად ზღვის მორევში გადაეგდით. დასაღუ-
პავად ვანერული მზარეული ზღვის დემონად
გადაიქცა, ხოლო მისი საყვარელი — ქალ-
ღმერთად¹⁶.

რომაელი მწერალი, საეკლესიო მწერლო-
ბის მამა ფარმანო ლაქტანციუსი (IV ს) თავის
ერთ-ერთ პოემებში ეხება ამ მოტივის მტკიე-
ბელ ფრინველ ფენიქსთან და სასწაულმოქმედ
ხესთან დაკავშირებით.

არის ბედნიერი მხარე შორს, აღმოსავლეთ-
ში, — ასე იწყება ეს პოემა. აქ გადავიძლია
ერთი ქალა, რომელიც 12 წერთით აღემა-
ტება უზარმაზარ მთებს. მას არ შეეხება არც
დეკალიონის წარღვა, არც ფაეტონის ხანძა-
რი. აქ არ არის ავადმყოფობა, არც შიმშილი,
არც სიღარიბე, — ეს უმდივი უფუდრება ადა-
მინისა. აქ გამოუთქმელ განცხრობაში ატარებს
თავის სიცოცხლეს ფენიქსი, აღწერს რა ამ ბე-
დნიერი მხარის მარადმწვანე ველს, პოტი
უმატებს: მის შუაგულში მდებარეობს წყარო,
რომელსაც უკვდავების წყარო ჰქვია. იგი
გამკვირვალეა და წყნარი. თვეში ერთხელ
ეს წყალი ამოჩურჩხებს და ავებს მთელს
ქალას. მაღალ ხეებზე ხარბოა ტბილი ვაშლი,
რომელიც არასდროს ხიდან არ ვარდება. ცი-
სკრის ამოსვლისას ფენიქსი ჩაუტყუფელადე-
ბა ბარაქიან ტალღებში და სვამს წყალს ნაჟა-
დოდან. როცა ფენიქსს ათასი წელი შეუსრულ-
დება, ტოვებს წმინდა ადგილს, მიემართება
სიკვდილის სამეფოსაკენ, მხოლოდ იმისთვის,
რომ კვლავ განახლდეს, კვლავ გაიცოცხ-
ლეს¹⁷.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ფენიქსს უკვ-
დავებას აძლევს ზემოთ აღწერილი წყარო,
რომელსაც ტყუილად არ ეწოდება უკვდავი.
უკვდავების წყლის მოტივი არწივთან მი-
მართებაში გვხვდება „ფიზიოლოგში“. აქ ვკით-
ხულობთ: როცა არწივი ბერდება, ფრთები
უშობდება და მხედველობა უსუსტდება, მო-
ძებნის წყაროს წყალს, აფრინდება მზესთან,
დაიწვავს ფრთებს და გამჭრალ, დაბნეილ
თვალებს. ამის შემდეგ მიფრინდება წყაროს-

თან და მასში ჩაეშვება. რითაც რამდენიმე
ახალგაზრდობას უბრუნდება¹⁸. მისი მოქმედება

„ფიზიოლოგი“ მეორე ბერძნული იხზულე-
ბაა, რომელშიც უკვდავების წყაროს წყალზეა
ლაპარაკი.

ფიზიოლოგის ლათინური თარგმანი ამოსავა-
ლი პუნქტი ვახდა ევროპული დასავლეთის
ყველა თარგმანისათვის. ლათინური ფიზიოლო-
გი საუკუნეების განმავლობაში დასავლეთში
უკვდავების წყლის მოტივის გაცნობას უწყობ-
და ხელს. „ფიზიოლოგიდან“ უნდა მომდინა-
რობდეს ერთი სამხრეთ-სლავური ზღაპარი,
სადაც ვადმოცემულია, რომ არწივები საერ-
თოდ არ კვდებიან. მათ იციან მთებში წყარო,
საიდანაც მოსჩქეფს უკვდავების წყალი. იქ მიფ-
რინდება არწივი, დაბერებული და დაუძლუ-
რებული, სკამარისია იგი ჩაეშვას ამ წყალში,
მაშინვე დასცივია ძველი ფრთები, ეზრდება
ახალი და ახალგაზრდავდება. ვინც უკვდავ-
ების წყაროს წყალს დალევს, არასდროს არ
მოკვდება¹⁹.

წყალი სპეციალურადაა განხილული ნ. მარის
სხვადასხვა შრომებში. ნ. მარის გამოკვლე-
ვით, სამკედრო წყლისა ანუ ცა წყლიანი
(ზღვა) არქაული მსოფლმხედველობის მიხედ-
ვით, არის ცა ვარეთა (მიღმა ცა, მიწის იქი-
თა ცა) და მიწისქვეშა (მცენარეულიანი ცის
ქვევით არსებული), ანუ ღრმა ცა ზღვისა და,
საზოგადოდ, წყლის ცხოველებით²⁰. მიწისქვე-
შა, ანუ ქვემო ცა მითოლოგიაში გააზრებუ-
ლია როგორც ქვესკენი²¹. იგი თავის მხრივ
უპირისპირდება ზესკენს, მიწას, განსაკუთ-
რებით ცას, მზიან ცას, მნათობთა სამკედროს.

წყლის კულტის მოტივითა ასახსნულად ბევ-
რი რამ მოიპოვება ქართულ წეს-ჩვეულებებ-
ში გადმონათობის სახით. საქართველოს ზოგი
კუთხის წეს-ჩვეულებებში დღემდე მოღწეუ-
ლია წყლის კულტის ზოგი გამოვლინება, რო-
გორცაა, მაგალითად, მდინარისათვის მსხვერპ-
ლის შეწირვა, წყლის ღვთაებისათვის შესაწი-
რავი პურის გამოცხობა, წყლიდან სულის
ამოყვანა, წყლით მკურნალობა, წყლით მკით-
ხაობა, წყლის ტაბუს სხვადასხვა კვალი —
წყლისათვის რძისა და სისხლის მიკარების აკ-
რძალვა, წვიმის მოყვანის მიზნით მდინარეში
დამხრჩვავი კატის ჩაგდება, თევზის ქერის
აქრძალვა და სხვ. უემველია ამ წეს-ჩვეულებ-
ებებში ძველი, წარმართობის დროინდელი
სარწმუნოებრივი შეხედულებაა შერჩენილი.

წყალს განსაკუთრებული იმნიშვნელობა

¹⁶ В. И. Клигер, Сказочные мотивы в истории геродота, Унив.визитская изв.estia, Киев, 1903 г. № 3, стр. 196—157.
¹⁷ ვ. ი. კლინგერი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 149.

¹⁸ იქვე, გვ. 155-156.
¹⁹ იქვე, გვ. 156-157.
²⁰ ნ. მ. მარი, ენა და აზროვნება, თბ., 1934, გვ. 17, 38.
²¹ ნ. მარი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 14.



პტონდ ქართველის თვალში. შემთხვევითი არაა, რომ წყლის კულტის კვალი ქართული ენის ლექსიკაშიც აისახა. ამ საკითხზე საუბრობო და გონება-მახვილი დეკორაცია აქვს ილია ქავჭავაძეს. იგი წერს: „ვანა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღემოდღემამდე შერჩენია, არაფრის მთხრობენი არიან, მაგალითად, „წყალობა“, „მოწყალები“, „შემიწყალები“, „მოწყალები“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე ვანა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველის ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა“ ნატერისა და ვედრების საგნად გახდოდა. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვით, მართო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც წყალობა მართლა ჩვენი ღვთის წყალობაა. იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ — კი არა მოჰყავს რა“²².

აფხაზთა ყოფა-ცხოვრებაშიც დიდი ძალა აქვს წყლის სტიქიონს. აფხაზებს სწამთ წყლის აღქაება, რომელთაც „წყლის დედას“, „ამითოუს“, ანუ წყლის მფლობელს „მიმლანს“ ან წყლის აღს და „მაჰკეაჟს“, (მა — წყალი — ჰკეაჟე — ჯაჟი) თუ წყლის ქაჯს ეძახიან. ამ წყლის მფლობელთ შევედრებენ ხოლმე ოჯახის ყოველ ახალ წევრს, რომ ისინი მისი მფარველ-მწყალობელი იყვნენ (ნ. ჯანაშია, აფხაზები, ეურნ. მთარგმნ., 1897 წ., № 5, გვ. 80 და № 11, გვ. 48).

წყლისადმი თაყვანისცემა დღემდე შემორჩენილია ქართველ ებრაელებში. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის როზა თაღლიდიშვილი. ქართველი ებრაელები სასაფლაოდან დაბრუნებისას წყლის პირას მიდიან, ხელპირს იბანენ და ამბობენ: „ღმერთო, შენ გავაგრილე ყოველივე სიამე და გაჰირებეა ისრაელის შეილზე წამოსულიო“. ჭერბიე ქალი თუ შვირდ თხოვდება, დაქორწინებამდე მიცვალებული ქმრის საფლავზე მივა და საფლავის ქვაზე ცივ წყალს დაასხამს (ასევე მოიქცევა ჭერბიე მამაკაციც). ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ქართველი ებრაელები მოსალოდნელი მგზავრობის წინ პურს გამოაცხობენ, რომლის დანიშნულება მხოლოდ ისაა, რომ თუ ზღვაზე, ან მდინარეზე მოუხდათ გავლა,

პური წყალში გადააგდოს. თუმცა თვითონაც ამ ჩვეულების შინაარსი და წარმოშობა უკვე აღარ ესმით.

ძველად, წინა ისტორიულ ხანაში, წყალს უტკერდნენ, როგორც ბუნების მაკოსლებელ სტიქიას, თაყვანს სცემდნენ მდინარეებს, ტბებსა და ზღვებს (ბაბილონები, ასურელები, ინდოელები, ბერძნები). აღმოსავლეთის რელიგიებში (ზოროასტრი). მაჰმადი, წყალი ადამიანის სულიერი განწმენდის საშუალებად ითვლება.²³ ქრისტიანული მონათვის რიტუალიც წყლის სასწაულოქმედ დილის რწმენაზეა დამყარებული.

წყალთან დაკავშირებული იყო დედამიწის განაყოფიერება. ნაყოფიერების ღვთაებები ნინიის (შუმერების), იშთარი (ასურელების), შაია (ინდოელების), აფროდიტე (ბერძნების) წყლიდან წარმოიშვნენ. ასევე წარმოიშვნენ ძველი და ახალი დროის გმირები: ქართული ამირანი, ბაბილონელთა მეფე სარგონ I, სპარსეთის მეფე კიროსი, რომელი, ოიდიპოსი, ბიბლიური მოსე, შამ-ნამეს დარაბი და მრავალი სხვა. ამ უძვეველ გმირთა ყრმობისა და წრთობის პირველი აღგობი მდინარის ტალღები გახდა. ვარშაყის წრთობის აკვანიც წყალია, ხოლო წყლის ბინადარი ვეშაი მისი მფარველი და აღმზრდელია.

კვლევით ნათელი ხდება, რომ გმირზე ფეხმომედ მყოფი დედის წყალში ჩაგდება, მომავალი გმირის წყალში აღზრდა, ბუნების საიდუმლო ენის შეცნობა წყლის საშუალებით — წყლის კულტის გადმონათობა, წყლის კულტის მოტივებია და უძველეს ხალხთა თქმულება-მითებიდან მომდინარეობენ.

განვიხილოთ რა „ვარშაყიანში“ დამოწმებული წყლის კულტის მოტივები და ეპიზოდები როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხთა ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნიმუშებთან მიმართებაში, ჩვენ არ დავგისვამს ამ ეპიზოდთა და მოტივთა ურთიერთგავლენის საკითხი. მსგავსი სიუჟეტები, უფრო კი ცალკეული მოტივები ყოფაცხოვრებითი ხასიათისა და შეიძლება აღმოცენდეს გავლენის გარეშეც, ცხოვრების ერთნაირი ან მსგავსი პირობების გამო.

²³ აშბ. გაჩეჩილიძე, გადმოცემა „ხოგაის მინდინზე“ და პოემა „გველის მქამელი“, თბ., 1959 წ.

²² ილია ქავჭავაძე, აი ისტორია, თბ., სრულად კრებული. ტ. IV, გვ. 91.



პექსი ჭინჭარაული

ჩინ თქვა პირველად „უბრა-ნათელი“?

„ეთერიანი“ პირველად პ. უმიკაშვილმა დაბეჭდა (1875 წ.). ეს იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილი ცამეტი ვარიანტის შერწყმით მიღებული ტექსტი. შემდეგ „ეთერიანის“ ახალ-ახალ ვარიანტებს იწერდნენ და აქვეყნებდნენ სხვადასხვა დროს. ბოლოს ამ ეპოსის ცნობილ ვარიანტებს (გამოქვეყნებულსა და გამოუქვეყნებულს) თავი მოუყარა პროფ. მ. ჩიქოვანმა და ცალკე წიგნად გამოსცა 1954 წელს.¹

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეპოსი ისევე, როგორც ხალხური სიტყვიერების ნებისმიერი სხვა ეანრის ნაწარმოები, დროთა განმავლობაში შესამჩნევად იცვლება — ზოგი რამ აკლდება და ზოგიც ემატება. ერთ შემთხვევაში ცვლილებები შეიძლება სასარგებლოც იყოს: ნაწარმოები იხვეწება, ფორმითა და შინაარსით მდიდრდება. მეორე შემთხვევაში კი ცვლილება აშკარად საზიანოა — ტექსტს ემატება ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით სრულიად შეუფერებელი მასალა, რაც ჩრდილავს და ასხვავებებს ნაწარმოების პირვანდელ დედაბზრს, აღარბებს მის ფორმას.

„ეთერიანი“ ერთ-ერთი იმ ეპოსთაგანია, რომელთაც დროთა განმავლობაში ძალიან დიდაც ცვლილება განიცადებდა. სხვას რომ თავი გავანებოთ, ჯერ ისიც კი არავენ იცის ნამდვილად, პროზა იყო თუ ლექსი „ეთერიანის“ პირვანდელი ტექსტი. არც ის ვიცით, უძლურა თუ არა

მას წინ რომელიმე ჩვენამდე მოუღწეველი ლიტერატურული ნაწარმოები.

„ეთერიანის“ გამოქვეყნებულ ტექსტებში მეტ-ნაკლები ლირებულებისანი არიან: ზოგი უფრო სრულია. ზოგი — ნაკლები, საერთოდ კი ჩვენ ახლა არ მოგვეპოვება ამ ეპოსის არც ერთი ჩანაწერი, რომელიც შეიძლებოდა პირვანდელთან აბლომდგომად და, ამდენად, „ეთერიანის“ სხვა ვარიანტების საკვლევად გამოგვეყენებინა. ამიტომაც იყო, რომ ცნობილი ენათმეცნიერი და ქართველოლოგი კარპევ დონდუა ჯერ კიდევ 1932 წელს წერდა:

«...Поле для мифологических исследований еще далеко не расчищено, дошедшие до нас записи сказания представляют собой лишь обломки сказки-повести, обросшей фольклорными мотивами да и, несомненно, литературными влияниями, правда непосредственно книжными, но переломленными через книгу. Совершенно очевидно, что получить удовлетворительный ответ на поставленный вопрос мы можем лишь после тщательного сличения всех вариантов сказания, после восстановления его первоначального вида путем отсеечения чужеродного тела и отсева позднее приспособившихся и удобно или неудобно пристроившихся мотивов. Только при этих условиях можно застраховать себя от того увлечения, которое один ученый филолог метко назвал «furore mithoogicus»².

¹ ხალხური სიტყვიერება, IV, მეორე სერია, II, „ეთერიანი“. მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1954 წ. ჩვენ ამ გამოცემით ვსარგებლობთ და ქვემოთ მის გვერდსა და ტექსტის ნომერზე მივითითებთ ხოლმე.

² К. Дондуа, Абесалом и Этер, Труды института языка и мышления, II, Тристан и Изольда, 1932, Ленинград, стр. 176.



ეს არის იმ მოთხოვნის აუცილებელი მინიმუმი. რაც საერთოდ ტექსტზე მომუშავე მკვლევარ-თეორეტიკს წარედგინება. ხალხური სიტყვიერების ნიმუშის ტექსტს ისევე სჭირდება დადგენა, როგორც ყოველგვარ სხვა ტექსტს, რომელსაც კი მისი არსებობის მანძილზე რაიმე ცვლილება განუცდია.

„ეთერიანს“, კ. დონდუას გარდა, ასე თუ ისე, შეხებამ ა. ხახანაშვილი, ვ. ბარნოვი, მ. კელენჯერიძე, ს. გორგაძე, თ. ბეგიაშვილი, ვლ. ბოკერია, ნ. მარი, პ. ინგოროყვა, დ. შენგელია, ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, თ. ქურდოვანიძე და სხვები. რამდენადაც ვიცით, ყვერ არავის უცდია, გაეცხრილა „ეთერიანის“ ტექსტი და შემდეგ ემსჯელა მასზე. მოსაზრებები და თეორიები კი ძალიან ბევრი გამოითქვა. სამწუხაროდ, მკვლევართა უმრავლესობა უკრიტიკოდ იღებდა არსებულ ტექსტს, ისინი უღარებდნენ „ეთერიანის“ სიტუეტს ხან ქართულ („ამირანიანი“ და სხვ.), ხანაც უცხო („ტრისტანი და იზულა“...) ეპიურ-მითოლოგიურ ქმნილებებს და აკეთებდნენ ნაირ-ნაირ დისკვენებს. „ეთერიანის“ პერსონაჟთა სახელებს ყოველგვარი მეცნიერულ-ლინგვისტური ანალიზის გარეშე აკავშირებდნენ ნებისმიერი უძველესი აუტორტული ხალხის მითებში შემონახულ სახელებთან და სხვ. და სხვ.

„ეთერიანს“ სპეციალური შრომა (საქანდიდატო დისერტაცია) მიუძღვნა თ. ქურდოვანიძემ. ტექსტის დადგენის საკითხებს ამ შრომაშიაც გვერდი აქვს ავლილი.

საერთოდ, ამ ბოლო დროს ქართული ებოსისა და მითოსის შესახებ ძალიან ბევრი იწერება. სამწუხაროდ, გამოკვლევების დიდი წილი ლალი და შეუზღუდავი ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე სალი გონების განვსისა. ამ გამოკვლევებს“ რომ რეალური საფუძველი ჰქონოდათ, ისინი ალბათ მათს ავტორებს მსოფლიო ფილოლოგიაში გაუთქვამდნენ სახელს...

ჩვენ არც „ეთერიანის“ მთლიანი ტექსტის დადგენის პრეტენზია გვაქვს და არც შორსმომავალი დებულებების გამოთქმისა. ჩვენ გვინდა „ეთერიანის“ ტექსტს ჩამოვაცილოთ ზოგი გვიან მიტმასნებული ლექსი და გავარკვიოთ ამ ებოსის რამდენიმე პერსონაჟის სახელის წარმოშობა, რის საფუძველზედაც, ჩვენი აზრით, თითო ან პერსონაჟებს ადგილი აღარ დარჩებათ „ეთერიანში“.

ჩვენთვისაც მარტივი კუშმარტებაა ის, რომ

3 „ქართული ხალხური რომანტიკული ებოსი ეთერიანი“, დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1967 წ. (მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი, 256 გვერდი). არის ამ შრომის ავტორ-გვერდები რუსულ ენაზე.

ფოლკლორული მასალა უნდა ჩაეიწეროთ ხეხტად, და გამოყვეთ ისე, როგორც ჩაეიწერა მგერამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ ჩანაწერს კრიტიკულად არ მოგვეციდოთ, მსკელობისას გვერდი არ ავუაროთ აშკარად საეჭვო მასალას და ა. შ. ჩვენ გვეჩვენება, რომ „ეთერიანის“ ამ მხრივ ძალიან სჭირდება გაეცხრილა, მასში ბევრი წინააღმდეგობრივი და შეუსაბამო მასალაა. ქვემოთ სწორედ ასეთ მასალაზე გვექნება მსკელობა.

ფშაური (№ 28) ვარიანტის მიხედვით, აბესალომის დედა ეუბნება ეთერს: „გამომყე, ქალო ეთერო, მზესა იმ შენი ძმისასა“ (გვ. 160), კახური (№ 17) ვერსიის მიხედვით კი აბესალომი ეუბნება ეთერს პირველივე შეხვედრის დროს: „ადე, ეთერო, გამომყე, შენი ძმებისა მზესასო“ (გვ. 121-122).

ფშაურსავე (№ 29) ვარიანტში ეთერი თვითონ ეუბნება აბესალომს: „მე შინ ვეღარას შამუალ, ძმათ ღამაბარს მრავალი“. ხოლო აბესალომი უპასუხებს: „ო ძმანი ე ღმერთმა ვიცოცხლენს“-ო (გვ. 168). ეთერის ძმებზე საუბარი მოხეურ (№ 33, გვ. 176) და თუშურ (№ 34, გვ. 179) ვარიანტებში, თუმცა ყველა ამ და სხვა ვარიანტის მიხედვით ცნობილია, რომ ეთერს ძმა და, მით უფრო, ძმანი ან მრავალი ძმები არაა ჰყოლია. ე. ი. ყველა ის ადგილი, სადაც ეთერის ძმაზე ან ძმებზე საუბარი, ნაყალბეგია, გვიან გაჩენილია ტექსტში.

კახურ (№ 15) ვარიანტში იკითხება: „ხელში დაიჭერ სურასა, ვინაც წინ შემოგეყრება, ეთერო, ვეტყვი შევილსა და ძმობასა“ (გვ. 113). არ უნდა მტყიცება, რომ ეს სტრიქონები აქ უაღვილოა. ისინი ამოგლეჯილია ქართული სასიმღერო ლექსიდან. შდრ. „ებების კაცი ვარ, ნუ მომცლავ, ყველა დაგიწყებს გომბასა, სადაც კი შემოგეყრები, ვეტყვი შევილსა და ძმობასა“.

ფშაური (№ 28) ვარიანტის მიხედვით აბესალომი სიყვდილის წინ ეთერს ეუბნება:

ეთერო, დანა დაიცი,
ჩემთან შენც დასთმე თავი,
ცოცხალსა შერელომასა
მე აქ გერჩიენო მვედარია (გვ. 162-163).

არც ერთი სხვა კუთხის ვარიანტის მიხედვით ეთერს ასე არ მიმართავს აბესალომი. ამ ებოსის სილიადეც სწორედ იმაშია, რომ ეთერი თავისი ნებით, დაუძალებლად, სიყვარულის კარნახით იკლავს თავს.

ამასაც რომ თავი დაეანებოთ, აკი ერთი წუთის წინ თვითონ აბესალომი ბრძანებდა: „ეთერსა აქ მოსვლისადა ცხენი უპოქეთ საღარი“-ო?

ალექსი მინვარაული
მინ თმვა პირველად „უშბარ-ნათელი“?



ფ. ი. აბესალომი ჯერ ასაჩუქრებს ეთერს, მერე კი კლავს?

მეორე, ფშაური (№ 29) ვარიანტის მიხედვით. აბესალომი ეუბნება ეთერს: „ეთერო დამსხენ (sic) უნდა: „დამსხენ“ ძუძუნე, ჩემთან შენც დათმე თავია, ცოცხალსა შერელობასა მე გირჩევნყო მკვდარია!“ (გვ. 168). შინაარსის თვალსაზრისით აქაც ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც ახლანაირი განხილულ ლექსში. ეს ერთი ლექსის ვარიანტებია, ეს ვარიანტები მხოლოდ ფშაურ ვერსიებში დასტურდება. ამიტომ ჩვენ მიგვაჩინა, რომ ეს სტროფი ფშაურ „ეთერიანში“ შემოსულა ფშაურივე „ამირიანინიდან“, სადაც მომავლადე ამირანი მიმართავს ყამარს:

ყამარო, დამსხენ ძუძუნე, შენც ჩემთან
დასთმე თავიო,
ცოცხალსა სიარსამულსა მე გირჩევნივარ
მკვდარიო

(ხალხური სიბრძნე, III, გვ. 23; ვარ. იხ. კოტეტიშვი. გვ. 305).

ჩვენთვის გაუგებარია, რით არის „ეთერიანთან“ დაკავშირებული ქართლში ჩაწერილი რვა-სტრიქონიანი ლექსი, რომელიც ერთ-ერთ (№ 11) ვარიანტად მიუჩნევიან ეთერიანის გამომცემელს:

რას სტირი, ქალო, რას სტირი,
რას დაგითხრია თვალები?!
მინდორი შენი ცრემლითა
სავსეა სავუბარები!
ადექ და ჩემთან წამოდი,
გადმოიარე ბანები,
ლამაზი სანახავია
შენი ძუძუნა თვალები (გვ. 94).

ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი ცალკე ლექსად არის გამოქვეყნებული თ. რაზიკაშვილისა (გვ. 162) და ვ. კოტეტიშვილის (გვ. 43) კრებულებში, ამავე ლექსის თითხმეტსტრიქონიანი ვარიანტი დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის კრებულში (№ 806) და თორმეტსტრიქონიანიც იქვე (№ 814).

ერთადერთი, რის მიხედვითაც ეს ვარიანტები „ეთერიანს“ „მოგვაგონებენ“, ეს არის სიტყვა „ბანნი“: ეთერიანში არის სტრიქონები: „მე ბანნი-ბანად გექმები“ და „ეთერი ბანნი შემოდგა“, ამ ვარიანტებში კი — „გადმოიარე ბანები“. ნუთუ ეს არის სავაზრისო, რომ სადავო ლექსი ეთერიანის ცალკე ვარიანტად მივიჩნიოთ?

„ეთერიანის“ ერთ ქართლურ (№ 7) და ერთ კახურ (№ 19) ვარიანტში დასტურდება სტროფი:

„ქალო, აქეთ მიხიხედე,
ხელში გიჭირავს კალათა,
შენმა თვალმა და წამწამმა
მე გული გამიხალკათა (IV, 127).

ვ. კოტეტიშვილის კრებულში ამ ლექსის ან-სტრიქონიანი ვარიანტს სათაურად აქვს „ეთერიანში“ მეფე და გლეხის ვიგო“ (გვ. 53). ამ ლექსისავე ვარიანტი დამოუკიდებელ ლექსად არის დასტავებული თ. რაზიკაშვილის კრებულში (გვ. 162). ე. ი. ესეც დამოუკიდებელი ლექსია, რომელსაც „ეთერიანის“ ტექსტთან საერთო არა აქვს რა. კახური (№ 14) ვარიანტის მიხედვით მარჯვ-ვარსკვლავი ეუბნება ეთერს:

ეთერ, მოვიდა ზაფხული,
ჩიტმა დაიწყო გალობა;
ეთერო, ჩემის ცოდვითა
დაიწოს შენი ქალობა.

ამ წყევლა-კრულვის შემდეგ ეთერი გაპყვება მარჯვს. აი, ამ ლექსის პირვანდელი, „ეთერი-ანისგან“ დამოუკიდებელი ტექსტი:

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა,
როგორც მე დამწვი, დამდავე,
დაიწოს შენი ქალობა (უმიკა, 638).

გაუგებარია, რა აქვს ეთერიანთან საერთო ლექსს, რომელიც ქართლურ (№ 6) ვარიანტად არის შეტანილი:

აქამდინ გულით გიყვარდი,
ახლა დამიწყე ძულუბა,
ნეტავი შემატყობინა,
ვინ შეგიცვალა გუნება (გვ. 74).

თუ ეს სიტყვები ეთერს ეკუთვნის, უაზროდ და უადგილოდ ნათქვამია: ეთერმა ძალიან კარგად იცის, რამ შეუცვალა აბესალომს გუნება. თუ ამ სიტყვებით აბესალომი მიმართავს ეთერს, აგრეთვე უაზრობაა: მეტი რა მიზეზი უნდოდა ეთერს გუნების შესაცვლელად, იგი თავის ქვე-შევრდომს მიუგდო აბესალომმა... მაგრამ არც ერთია და არც მეორე, ეს აგრეთვე დამოუკიდებელი ლექსია, რომელიც „ეთერიანში“ შეუ-დომოდ მოხვედრილა. შდრ.:

აქამდი კარგად გინდოდი,
ახლა დამიწყე წუნება,
რისთვის ამშურდი, ნეტარა,
რამ შეგიცვალა გუნება?! (რაზიკა, III, 142;
ვარ. იხ. ვ. კოტეტიშვილის კრებულში გვ. 44).

საკვირველია, რატომ ვერ მოხვდა „ეთერიანში“ მისი შინაარსისათვის უფრო შესაფერისი შემდეგი ლექსი:

გულისად გულსა ჩავიდებ,
გუნებისად გუნებასა,
კაცი რო გამოვიგზავნო,
ნუ დამიწყებ წუნებასა (რაზიკა, III, 148).

კახურ (№ 14) ვარიანტში მურმანი უბასუხებს აბესალომს:

„რას ციხულობს (sic!) ქალის ანბავს!
თქვენს იქით ერთი ველია,
ია დგას, ვარდი ჰყენია,
კოშკი დგას მარმარილოსი
ცას წვერი მიუბჯენია,
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია...

ცხადია დაყოფილი სიტყვები მხოლოდ იმი-
ტომ მოხვდა ამ ვარიანტში, რომ მათში მარმა-
რილოს კოშკზეა საუბარი ისევე, როგორც მურ-
მანის ცნობილ პასუხში ბროლის ციხეზე: „ზომ
გინახავს ბროლის ციხე, როგორც კამი
მალაღია“. მოხრობელს „ეთერიანისეული“ ლექ-
სი დაჰვიწყებია და იგი სხვა, დამოუკიდებელი,
ლექსით შეუცვლია, რომელიც, სხვათაშორის,
აგრეთვე რიგაინად ვერ სტოვდნია. ეს დამოუკი-
დებლად არსებული ლექსი 1890 წ. სტეფანწმინ-
დაში სია ვიკატურისაგან ჩაუწერია სიმ. შადურს
და გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ
სიტყვიერებაში“ 239-ე ნომრად. აი, ეს ლექსი:

ჩვენს უკან დიდი ველია,
ია დგას, ვარდი ჰყენია,
კოშკი დგას მარმარილოსი.
წვერი ცას მიუბჯენია,
შიგა ზის ქალი ლამაზი,
თავის თმისაგან ბნელია,
მას საეარცხელი რათ უნდა,
დარალა ოქროს ფერია.

ჩვენ მხოლოდ ისეთ მაგალითებზე ვჩერდებით,
როცა ცალკე, დამოუკიდებლად არსებული ლექ-
სი შერწყმია „ეთერიანის“ ტექსტს, თორემ ამ
ეპოსის ტექსტში ბევრი რამ გვიანდელი მოხრო-
ბელის გონების ვარჯიშით გაჩენილიც არის.
არც პირველი და არც მეორე მოვლენა ხალხურა
სიტყვიერებისათვის უცხო არ გახლავთ. დამო-
უკიდებლად არსებული ლექსის შერწყმა მეორე
ტექსტისათვის სრულიად მარტივად ხდება: წამ-
ბიძგებლად, შინაარსს გარდა, ორივე ტექსტში
არსებული ერთი და იგივე სიტყვაც კმარა ხოლმე.
მოვიტანთ ორიოდ მაგალითს.

საყოველთაოდ ცნობილი სასიმღერო ხალხუ-
რი ლექსია:

ვაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყვე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო.

ამ სტროფს ემატება დამოუკიდებლად არ-
სებული სტროფები:

ალაზნის პირსა მოსულა
წითელი სატატურიო,
მიველ და კრეფა დაეფუყე,
შეგონა უკაურიო.

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

მიმატებულთაგან პირველს შინაარსობრივად
აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო „ვაფრი-
ნდი შავო მერცხალო“-სთან, მაგრამ მისი „ალა-
ზნის პირსაო“ გახდა სიგნალი, რომ მის
ვაგრძელებად ჩაეთვალათ სხვა სტროფი, რომე-
ლიც იწყება იმავე სიტყვებით: „ალაზნის პი-
რსა (მოსულა)“.

მეორე სტროფი შინაარსობრივად ახლოა „ვა-
ფრინდი შავო მერცხალო“-სთან, მაგრამ ამ ორი
დამოუკიდებელი სტროფის ერთ სასიმღერო
ტექსტად გაერთიანება, ჩვენის აზრით, მინც
იმან გამოიწვია, რომ ორივეში იყო სათანადო
„სიტყვიერი სივანობები“: პირველში „ომში
წასული“, მეორეში „ომში წასვლა“.

ასევე კონტაშინირებულია სიმღერა „გუშინ
შვიდნი გურჯანენლი“.

გუშინ შვიდნი გურჯანენლი
სანადიროდ წასულიყვენენ.
იქ მოეკლათ თეთრი ტახი,
ხორცი მოემრავლებინათ.

ამ სიტყვებს მოსდევს ხევსურული ლექსი:

ჩვენ შვიდთა ძმთა ხევსურთა
მთას ვეფხვი გადმოგვეყიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა...

შვიდი გურჯანელი მონადირე ტახზე ნადირობს
(ალბათ ალაზნის ვეფხვ), შვიდ ძმა ხევსურს კი
„მთას ვეფხვი გადაეყიდა“. ორი სხვადასხვა, ერ-
თმანეთს დაშორებული უბანია და ლექსიც სხვა-
დასხვაა, მაგრამ ორივე ლექსში შვიდი მონ-
ადირეა დასახელებული (თანაც მეორე ლე-
ქსში რამდენჯერმეა გამოვლილი სიტყვა „შვი-
დი“) და ეს ხდება მიზეზი ორი ტექსტის შერწყ-
მისა.

სულ რამდენიმე წლის წინ გალაკტიონის სა-
სიმღეროდ ქვეულ მშვენიერ ლექსს „წყალტუ-
ბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო“ მიემატა ყოვე-
ლად მდარე სტროფი:

ქუთაისი გაღაიქვა
ინდუსტრიის მშენებელი,
წყალტუბო კი ქალაქია
მისი დამამშვენებელი.

ახლა ყველაფერი — ძველიც და ახალიც — ერ-
თად იმღერება. ჩვენ რომ არ ვიცოდეთ ამ სა-
სიმღერო ლექსის ისტორია, მისი პირველი ნაწი-
ლის ავტორს რომ არ ვიცნობდეთ, ალბათ დრო-

ალექსი ბინაგაშვილი

მინ თამა პირველად „უშტარ-ნათელი“?



თა განმავლობაში ეს კონტამინირებული ტექსტი ერთ ხალხურ ლექსად გასაღდებოდა.

ამის შემდეგ ვასაყვირი არ არის, რომ ეპოსი „ეთერიანის“, რომელიც საუკუნეების მანძილზე ტრიალებდა ქართულ ხალხურ პეტერტუარში, საფუძვლიანად შეცვლილიყო და გადასხვაფერებულყო.

როგორც ქვემოთ დაინახავთ, „ეთერიანის“ ტექსტს არა მარტო ლექსები, არამედ ახალი პერსონაჟები მიმატებია.

„ეთერიანის“ ერთერთი მთავარი პერსონაჟია აბესალომი. ამ სახელის დამაბინაჩებელი ფონეტიკური ვარიანტებია: აბესალა (№ 41), აბესალი (№ 42), აბესა (№ 37), ბესია (№ 13, 15, 40, 42), ელურსამელი (№ 28), ელუსამელი (№ 35), ბეურსანია (№ 30). აბესალომი ბიბლიური წარმოშობის სახელია (ებრაულად ავ შალომ = „სამყაროს მამა“), ძველ ქართულ დოკუმენტებშიც ხშირად დასტურდება და ამ სახელზე არც დაობს ვინმე.

მეორე მთავარი გმირი ვახლავთ ეთერი. იგი, როგორც ჯერ კიდევ მარმა მიუთითა, ბერძნული წარმომავლობისაა (ავსურ „ჰაერი, ეთერი“⁴ და ორ ვარიანტში №5 და №30) „ათერ“—ფორმით დასტურდება. „ათერი“ გვხვდება ერთ მოხუცურ ვარიანტშიც. ეს სახელი დასტურდება აგრეთვე ეთერი (№ 41) და თერეზინა (№ 21) ფორმებით.

ჩველის აზრით, „ათერ“-სა და „ეთერ“-ს შორის „ეთერიანისათვის“ პირვანდელი უნდა იყოს „ათერი“. ამას მხარს უჭერს: ა) წარმომავლობა (ავსურ), ბ) ამ სიტყვის ძველ ქართულში დამოწმებულ ფორმა: შდრ. ძველ... და შემდგომად წაოლისა, ათერი შეწეიერი და წყალბურწყინვალე⁵, გ) „ეთერიანის“ ვარიანტთა უმრავლესობაში დადასტურებული ლექსი:

შვილი (ძმად), მოვიდა ეთერი,
თუღა გაქვს თვალში ნათელი,

რომლის მეორე სარიტომ სიტყვა „ნათელი“ ზირველ სარიტომ სიტყვად გვაეარაუდებინებს „ათერი“-ს. სწორედ „ათერი“ გვაქვს ამ ლექსის სარიტომ სიტყვად ქართლურ (№ 5), ხევსურულში (№ 30) და ზემოდასახლებულ მოხუცურ ვარიანტში დ) მთაში (ხევსურეთი, ხევი...) შერჩენილი სახელი ჭალისა ათერი (და არა „ეთერი“). „ეთერიანის“ ძველ მთავარი გმირია მურმანი ანუ შერელომი. მურმანის ფონეტი-

კური ვარიანტებია: მურვანი (№ 34, 37), მურმალი (№ 41), მურალი (№ 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000).

შერელომს აქვს ვარიანტები: შერელომი (№ 28, 29), შარალომი (№ 42), შარამბალა (№ 7), შერელო (№ 35).

ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ მონათლა ხალხმა ერთი და იგივე პიროვნება ორი სრულიად სხვადასხვა სახელით.

მურმანი (მურვანი) ცნობილი სახელია. რაც შეეხება შერელომ-ს მისი პირველი ნაწილი „შერე“ სპარსულად ნიშნავს ღმერთს (შერ), ...ლომი ამ შემთხვევაში წარმოადგენს შერე-ს თარგმანს. შერე-ლომი ეს არის დუბლირებული სახელი ერთი და იმავე შინაარსისა⁷. ამას გამოუწვევია ის ვარაუდობა, რომ ზოგაერთ ვარიანტში აბესალომს აბესა-ს და ბესია-ს ეძახის ხალხი: შერე-ლომის ანალოგიით აბესა-სთვის მეორე ნაწილი („ლომი“) ჩამოუცილებიათ, როგორც პირველის „შარალომი“: აბესალომი. ამ სახელის ასე გააზრების საფუძვლად ისიც იძლეოდა, რომ ქართულში დამოუცილებლად არსებობდა საკუთარი სახელი ღმერთი (მურ-რუსიძე ღმერთი, საქ. სიძე, 1, 329) და ღმერთი (ბეგაშვილი ღმერთი, საქ. სიძე, 1, 81, მაზაველი ღმერთი, ქრონიკა, 11, 477). სახელი შერელომი რომ კომპოზიტი და მისი ორივე შემადგენელი ნაწილი ღმერთ-ს ნიშნავს, ამის დამატებით საბუთად გამოდგება ამ კომპოზიტი სახელის შერე-რე-ნებული ვარიანტი ღმერთი (საქ. სიძე, 11, 15). ხარაზიშვილი ღმერთი, საქ. სიძე, 1, 356).

ამ სამის გარდა, „ეთერიანის“ აქტიური პერსონაჟია აბესალომისა და ეთერის შუამავალი მათი გაყრის შემდეგ. ვარიანტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში შუამავლებად აბესალომის დაბი გამოიღიანა. აბესალომს სამი და ჰყავს ორი ვარიანტის მიხედვით, ორი და ჰყავს ოთხი ვარიანტის მიხედვით, დანარჩენ ვარიანტებში მას ერთი და ჰყავს და ის მოციქულობს.

ეთერთან შუამავალი ყოველთვის მარტო მიდის, მაგრამ ხდება, რომ ერთი და იგივე შუამავალი ორჯერ ამ სამჯერ მიდის ზოლზე ანდა (ზღაპრული სტილის მიხედვით) ჯერ უფროსი მიდის, შემდეგ შუათანა და ბოლოს უმცროსი.

აბესალომის ამ შუამავალ დებს ზოგს სახელი ჰქვია, ზოგის სახელი კი ჩანაწერების მიხედვით არა ჩანს. ყველაზე ხშირად იხსენიება მარხი (ვარ.: მარეხი №№ 16, 17, 27), შუქურ-მარხი №35, მარხ-ვარსკვლავი №№ 37, 43, მარეხ-ვარსკვლავი №№ 9, 13, 34, მარეხ-მარსკვლავი №№ 2, 3, 4, 10, 13, 19, 42, მარეხ-ვარსკვლავი, № 33, არეხ-მარეხი № 41).

მარხი (resp. მარეხი) არაბული სახელია პლა-

⁴ Н. Я. Марр, Тексты и розыскания по армяно-грузинской филологии, т. IV, 1902, стр. 193.

⁵ შ. შიშიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1956 წ., გვ. 184.

⁶ ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაბე, 1947 წ. გვ. 23.

⁷ იხ. ბ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეცნიერება, „რუსთაველის კრებული“, 1938 წ., გვ. 38-39.



ნეტა მარისის, ე. ი. ონომასტიკაში იგი ასტრა-
ლური სახელია. მარინი (II მარეხი) ძველად
ვაერცელეზული სახელი ყოფილა ქართულში და
დღესაც არსებობს. იხ. მაგ., მარის (II მარეხ) ზა-
ქარია დანასკერტელის და (ე. მეტრეველი, „მასა-
ლები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტო-
რიისათვის“, 1962 წ., გვ. 136, 209), მარეხ (II მა-
რის) ქსნის ერისთავის ლარგველის მეუღლე
(ქრონიკ., II, გვ. 23, 28), მარეხ (II მარის) ჯიმ-
შიტის მეუღლე (ქრონიკ., II, გვ. 395), მარეხ
იესე ბარათაშვილის მეუღლე (საქ. სიძვ., I, გვ.
378). ამ სახელიდან გვარიც კი უწარმოებიათ—
მარეხაშვილი აკაცია (საქ. სიძვ., II, გვ.
335). მარეხაშვილი ლეონი ახლაც ცხოვე-
რობენ საქართველოში, კერძოდ, თბილისში.

ერთ-ერთი ვარიანტი (№ 21) მიხედვით შუა-
მედი დას უსინათ-ლამაზი ეწოდება. ამ
სახელის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება,
რომ იგი აშკარად გვიან გაჩენილია (შდრ. მეორე
შემადგენელი ნაწილი „ლამაზი“ სხვა სა-
ხელების „ვარსკვლავი“-ს მაგიერ).

№ 44 (ნარევი) ვარიანტის მიხედვით (ჩაწ. და-
ახლ. 1870 წ.) აბესალომი თავის დას ხუნ-
ძალ-ს ეძახის: „დაო ხუნძალო, ხუნძა-
ლო, ეთერსა კარი უარე“ (IV, 222). ძნელია
თქმა, რომელი სახელი დამახინჯებული და ხუნ-
ძალად გადაკეთებული. ეგება ქრონოსის ანუ
სატურნის არაბული სახელი ზუალა?

№ 28 ვარიანტის მიხედვით შუამავალია შუ-
ქურ-ვარსკვლავი, რაც პლანეტა ასპირო-
ზის, იმავე მარისის ანუ ვენერას ქართული სახე-
ლია; იგი მარეხ-ვარსკვლავის გვიან გაჩენილი
ფართი უნდა იყოს.

ერთ-ერთი (№ 4) ვარიანტის მიხედვით აბესა-
ლომისა და მარეხ-ვარსკვლავის და მარიაშ-
ვარსკვლავი. მარიამი ბიბლიური წარმო-
მავლობის ჩვეულებრივი სახელია და მისი ვა-
მოჩენა ასტროლური სახელების გვერდზე იშთა-
ვითვე ემატებო აყენებს მის პირვანდლობას.
ამას ემატებო შემდეგი ვარემოება: № 4 ვარიან-
ტი ქართულია. ქართულსავე № 10 ვარიანტ-
ში იხსენიება აბესალომის და მარია ანუ მა-
რი ქალი: „აბესალომ მეორე დაი ყამ, მა-
რიაი, ისიც წამოიდა... მარი ქალი რომ მო-
იდა, იარა, იარა, მაგრამ ეთერი ვერსად ნახა“
(გვ. 92). შემდეგ „მარი ქალი“ მურმანის სახ-
ლიდან გამოპარულ ეთერს აბესალომის ბაღში
იპოვნის და მიმართავს ლექსით: „მე ბანი-ბა-
ნათ გეძებდი...“ (გვ. 92). ეთერი უპასუხებს:

მარი ქალი, იქით წაიღო,
ნუ დამფრთხვ ენითაო,
თავ გვირგვინი აიხაღა,
სხვას დააღვა ხელითაო (გვ. 93).

მარი ქალი იხსენიება 1936 წ. ჩაწერილ მეს-
ხურ ვარიანტში (№ 26).
ჯერ ერთი, სახელი მარი ან მარიაი (თუ-

ნდაც „მარიაში“ შემოკლებულ ფორმად
სავარაუდებელი) ძველი ქართული ონომასტიკის
კონისათვის უცხოა. მარია რუსულის გზისავე
რცელებული ფორმა ჩანს. მეორეცა და, მარი
ქალი“ ასეთი სიტყვებით მიმართავს ეთერს:

სუ მარმარილოს გაგიშლი,
ფეხი არ დაჯკრა ქვიშასა,
აღვი ხეებსა დაგივამ
საჩრდილობელსა მზისასა (გვ. 92).

ამ ლექსით ეთერს მიმართავენ ხოლმე მაშინ,
როცა მურმანის (მერელომის) სახლიდან უნდათ
მისი წამოყვანა. ახლა კი, აბესალომის ბაღში,
სადაც, ალბათ, არც ეთერი, ხეები აყლია და
არც მარმარილოთი მოკირწყლული ბილიკები,
„მარი ქალი“-ს ეს დაპირებები ზედმეტია, რაც
იმაზე მიუთითებს, რომ ეს ვარიანტი (№ 10)
ერთ-ერთი მდარე ვარიანტთაგანია.

შესამე: ქართლის მეზობლად, ახალციხეში,
არის ჩაწერილი № 20 ვარიანტი. ამ ჩანაწერის
მიხედვით აბესალომის დედა მიდის ეთერის
მოსაყვანად. მის თხოვნაზე, რომ აბესალომს და-
უბრუნდეს, ეთერი უპასუხებს:

მარი, მიდექ, დედამთილო,
ნულარ მლიფავ ენითაო,
თავგვირგვინი შენ მომხადე
სხვას დააღვა ხელითაო (გვ. 135).*

დაეუშვათ, რომ ვანხილული № 4 ჩანაწერის
მიხედვით მარი ან მარია აბესალომის დის სახე-
ლია. რაღას ნიშნავს „მარი“ ზემომოყვანილ
სტროფში („მარი, მიდექ, დედამთილო...“)? დე-
დამთილის სახელი ეს არ შეიძლება იყოს, თუნ-
დაც იმიტომ რომ „დედამთილო“-სა და „მარი“-ს
შორის დგას ზმნა „მიდექ“. თუ ეთერი ყოფილ
დედამთილს „მარი დედამთილ“-ს ეძახდა, ისე-
ვე, როგორც მულს „მარი ქალ“-ს, მაშინ უნდა
ეთქვა: „მიდექ, მარი დედამთილო“ ან „მარი
დედამთილო, მიდექ“. წყობა „მარი მიდექ დე-
დამთილო“ ასეთ შესაძლებლობას გამოიცხადებს.

საქმე ის არის, რომ მოტანილ სტროფებში
„მარი“ ზმნაა, მეორე პირისადმი მიმართუ-
ლი ბრძანებითის ფორმა და, როგორც საბავარ-
მარტავს, „მარი თქმის მომერიდე“. ეს ფორ-
მა იხმარებოდა ქართლში დ. გურამიშვილის
დროს და დღესაც იხმარება მთის დიალექტებში
(ზეგესურული, მოხუცი, ფშაური...). აი, რამ-
დენიმე მაგალითი:

„ასე მითხრა: „ჩამომხსენ, გამეკალი, მა-
რი!“ (დ. გურამი, 144, 16); „არ გეშინიან, გზა

* პუნქტუაცია აქაც და სხვაგანაც გამოცემი-
საა (ა. კ.).

ალექსი ზინვარაული

მინ თქვა პირველად „უშტარ-ნათელი“?



იცი, შენ წიდი, მე კი მარია! (იქვე, 83, 22);
 „მარი, მარი-მეთქი!“ — განუმორა ნუნემ
 და გაუძვრა ილიის ქვეშ“ (ყაზბ., ტ. I, 240, 6).

„მარი, გამეერე, შე ყოლო, ნუ ჩასწოვ
 ტყუილაჲ მა ტყუი-წამლს“ (ჯეა, V, 34, 2);
 „გაბრუნდი იქით, ნუ მოხვალ, თავ დამანებე,
 მარიო!“ (რახიკ., 111, 230, 11). თ. რახიკაშვილი
 სქოლოში განმარტავს — „მარი!“ — მომ-
 შორდი, გამეცალე!“ მარი — მარი დე — მამ-
 რი დე — მამერი დე. „მარიდე“ — ფორმა
 (= მომშორდი) დასტურდება აგრეთვე დ. გუ-
 რამიშვილთან. „ეთერიანის“ „მარი, მიდექ, დე-
 დამთილო“, „დავითიანის“ „ჩამოხეხენ, გამეცა-
 ლე, მარი“ და ხალხური „...თავ დამანებე, მარ-
 იო“ შინაარსობრივად ერთმანეთს ფარავენ.

ცხადია, ზმნის ფორმა „მარი“ იქნა გვიან გა-
 აზრებული, როგორც სახელი „მარი“ („მარი ქა-
 ლი“) და „მარია“.

ვარიანტი, რომელშიაც მარია მ-ვარსკე-
 ლავი იხსენიება (№ 4) აგრეთვე ქართლურია.
 იმასაც უნდა ვაუწიოს ანგარიში, რომ ორივე ამ
 ვარიანტში (№ 4 და № 20) აბესალომს ორი და
 ჰყავს — მარედი და მარი (II მარია ან მარიამ ვარ-
 სკელავი). ცხადია, № 4 ვარიანტში არაქართული
 მარი და მარიაი ვადაკეთებულა მარიამ-ად
 და (მარეხ-ვარსკელავის ანალოგიით) „ვარსკე-
 ლავი“-ც მიმატებია, ვაჩენილა მარიამ-ვარსკე-
 ლავი, ამრიგად, მარი, მარიაი და მარი-
 ამ-ვარსკელავი „ეთერიანის“ პირ-
 ვანდელი სახელები არაა, ეს სა-
 ხელები გაუგებრობის ნიადაგ-
 ზე გაჩნდა ამ ეპოსში.

განხილულ (№ 20) ვარიანტში შუამავლად იხ-
 სენიება აბესალომის დედა. ეთერი მას „დე-
 დამთილო“-ს ეძახის („მარი მიდექ: დე დამთი-
 ლო“). კი, მაგრამ აბესალომის დედა ხომ ეთე-
 რის დედამთილი აღარაა! ეთერის დედამთილი
 ახლა მურმანის დედაა, რომელიც ეთერს „თმა-
 სა უწნავს“. ცხადია, ვინც ამ ვარიანტში დედამ-
 თილი შემოიყვანა, ამ ვარემოვბას ანგარიში ვერ
 გაუწია. ეთერს რომ დედამთილყოფილისათვის
 დედამთილი ეწოდებინა, ეს უკვე წაყოლაზე თა-
 ნხმობის ნიშანი იქნებოდა.

აბესალომის დედა ამას გარდა, ორ ფშაურ
 ვარიანტში (№№ 28 და 29) და ერთს ღვიან ჩა-
 წერილ მოხუერ ვარიანტში (იხ. ზემოთ) გამო-
 დის შუამავლად. პირველში (№ 28) აბესალო-
 მის დედის სახელი არა ჩანს, მეორეში კი (№ 29)
 აბესალომის დედას ნათელ-ს ეძახიან. გამო-
 დის, რომ სამადსამი ვარიანტია, რომელთა მი-
 ხედვითაც აბესალომის დედა შუამავლობს, და-
 ნარჩენ 40-მდე ჩანაწერში დები მოციქულობენ.
 კერძოდ, მარიხი ჩეიდმეტყერ ჩანს შუამავლად
 ეთერთან ვაგზავნილი.

ახლა ვინმე რომ სავანებოდ ჩაწეროს „ეთე-
 რიანის“ ხალხური ტექსტი, ალბათ უმრავლეს
 ჩანაწერში აბესალომის დედა იქნება შუამავლად

გამოყვანილი, რადგან ეს ვერსია იბეჭდებოდა
 ხშირად და პ. მირიანაშვილის მიერ ვალდებულად
 „ეთერიანშიაც“ ამ ვერსიიდან უცვლელად: მარია
 შეტანილი ლექსები. ამ ვერსიის გავრცელებას,
 სხვას რომ თავი გავანებოთ, დიდად უწყობს
 ხელს ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

სწორად ასე, წიგნური გზით ჩანს წარმოშო-
 ბილი (50-იან წლებში ჩაწერილი) მოხუერი ვა-
 რიანტი, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ. ამის
 მტკიცების უფლებას გვაძლევს ამ ტექსტის
 ანალიზი და მისი შედარება ფშაურ ვარიანტ-
 თან, აგრეთვე ის ვარემოვბა, რომ ძველად ჩა-
 წერილ მოხუერსავე ტექსტში აბესალომის დე-
 და არა ჩანს მოციქულად.

გამოდის, რომ დედის მოციქულობა მხოლოდ
 ფშაურ ვერსიებში გვაქვს დადასტურებული,
 საქართველოს დანარჩენ კუთხეებში აბესალომის
 დედა (სახელი მქონე ან უსახელო) მოციქუ-
 ლად არ ჩანს.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა:
 როგორ მოხდა, რომ საქართველოს არც ერთ
 კუთხეში ჩაწერილი ვარიანტი არ იცნობს აბე-
 სალომის დედას, როგორც შუამავლს, გარდა
 ფშაური ვერსიისა? ასეთი ეჭვი არავის აღძვრია.
 პირიქით, „ეთერიანის“ ტექსტებისათვის წამ-
 ლეარებულ გამოკვლევაში მ. ჩიქოვანი აბესალო-
 მის დედას მიიჩნევს შვილის მკურნალად და მი-
 სი სიყვარულის შესაიდუმლედ. კერძოდ, ის
 წერს: „სახურ ვაღმოცემამი ავადმყოფობის მი-
 ზეს ღედის მაგიერ აბესალომის და მარიხი გა-
 იგებს, მაგრამ ამ ეპიზოდს ფშავის კუთხე უფრო
 სწორად უნდა გვაწვიდეს“ — (გვ. 44). ე. ი.,
 მ. ჩიქოვანის აზრით, პირვანდელია ფშაურა
 ვერსია, რომლის მიხედვით დედა იგებს აბე-
 სალომის ავადმყოფობის მიზეზს და გამოდის
 შვილისა და რძალყოფილის შუამავლად. მ. ჩი-
 ქოვანი წერს: „მარის რაიონების თქმულებებმა
 ვერ მოახერხეს აბესალომის დედის სახელის შე-
 მონახვა. ამ მხრივ მხოლოდ ფშაური ავადმყოფმა
 წარმოადგენს გამოჩენის“ (გვ. 43). ვედლან გა-
 მოდის ბუნებრივი დასკვნა: საქართველოს სხვა
 კუთხეებშიაც „ეთერიანის“ ერთ-ერთი აქტიურა
 პერსონაჟი უნდა ყოფილიყო აბესალომის დედა,
 რომელსაც აბესალომი აგზავნიდა ყოფილ ცო-
 ლთან — ეთერთან. ე. ი. გამოჩაყლის, მისი ექვ-
 ქვეშ დაყენების მაგიერ, საყოველთაოს რანგში
 იქნა აყვანილი.

ეს ვერსია ტრადიციულად დამკვიდრდა ქარ-
 თულ ფოლკორსა და ხელოვნებაში. ამ ვერ-
 სიის მიხედვით გაკეთდა ოპერა „აბესალომ და
 ეთერის“ ლიბრეტო და სხვ. და სხვ.

არის რამდენიმე მოსაზრება, რომელთა სა-
 ფუძველზედაც შეიძლება დამტკიცდეს, რომ ეს
 ფშაური ვერსიის გამოჩაყლის მართლა გამოჩაყ-
 ლისი და კერძო ხასიათისაა, — აბესალომის დე-
 დის გამოჩენა ამ ეპოსში გაუგებრობის შედეგია,
 ეს ვერსია გვიანდელია.



ფშაურ ვარიანტებში ჩნდება ლექსები, რომელთაც „ეთერიანთან“ საერთო არაფერი აქვთ. ეს ლექსები ფშავლის პოეტურ ფანტაზიას გვიან მიუმატებია ეთერიანისათვის. ეს ლექსები ბარის რაიონებისათვის ცნობილი არაა, ხოლო ფშავში დამოუკიდებლად არსებობენ. მაგ:

ქართულ და კახურ ვარიანტებში აბესალომს მისი ავადმყოფობის გამოსაცნობად წინ უწყობენ: გამტიკული ფქვილის პურს, წითელ ღვინოს და შავ ფრთას (№№ 5, 7, 10, 13). ზოგ ვერსიაში ამათ ემატება ხობხის ხორცი (№ 7) და მტრედის ფრთა (№№ 10, 13).

ხალხურ სიტყვიერებაში საერთოდ და, ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, კერძოდ, სამი საკრალური რიცხვია (შრდ. ზღაპრის სამი ძმა: უფროსი, შუათანი, უმცროსი, ან სამი გზა: მარჯვნივ, მარცხნივ და პირდაპირ, სამი გველი: შავი, თეთრი და წითელი, მიცვალებულის შეხვევა სამი ფერის სუდარაში და მისთ). აბესალომის ავადმყოფობის გამოსაცნობადაც ეს რიცხვი გვაქვს ვარიანტთა უმრავლესობაში: თეთრი (პური) — ეთერის გულ-მკერდი, წითელი (ღვინო) — ეთერის ლოყები, შავი (ფრთა) — ეთერის თვალ-წარბი. ეს ნიშნები, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ეთერის დასახსიათებლადაც ნიშანდობლივი, რეალური ნიშნებია და ეპოსისა და ზღაპრის სტილისთვისაც შესაფერისი (საკრალური რიცხვი და ფერები).

ფშაურ ვარიანტებში შვილის ავადმყოფობის გამოსაცნობად მისანი უჩრჩევს აბესალომის დედას: „მსუქანი ხორცის ქადა გამოაცხევე, პურს რომ მოვიტახავს, ის მიუტანე“ და ავადმყოფობის მიზეზს თვითონვე იტყვისო.

სუფრა დაუდგეს, ხორცის ქადა მიუტანეს და აბესალომმაც ლექსად თქვა:

კარგი ხარ, ხორცის ქადაო,
წვენი გიღვა წურვილივითა,
შავკაპო, გულზე მამემში
ეთერის სურვილივითა (გვ. 166).

საკითხავია; მსუქანი ხორცის ქადას რა იხეთი რეალური ან საკრალური ნიშანი ჰქონდა, რომ აბესალომისათვის ეთერის სახელი წამოეცდინებინა? ცხადია, არაფერი. ფშაური ვერსიის შტოდნე ფშავლებს ახსოვდათ, რომ აბესალომთან მიაქვთ რაღაც სასმელ-საჭმელები, მაგრამ კერძოდ რა, ეს აღარ ახსოვდათ, ამიტომაც ჩაურთეს ფშავისთვის დამახასიათებელი საჭმელი — ხორცის ქადა, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ ლექსშია ნახსენები. ეს ლექსი შექმნილია „ეთერიანის“ ვერსიის ჩამოყალიბების შემდეგ და მასში შექმნილია ხორცის ქადას სიმსუქნე და სიმსუყვე: როგორც აბესალომს ეთერის სურვილი მოემა გულზე, ისე მომებმები, მომსუყვა, გულს გადამილევ, რომ შეგკაპოო, ეუბნება მელექსე ხორცის ქადას (იხ. რაზიკ, III, 177).

ქართულ ხალხურ პოეზიაში საეპოსო ლექსები კერძოდ, ფშაურში არა ერთი ლექსია ქადასა ღვინოსა თუ ხინკლისთვის მიძღვნილი. მოკატანთ რამდენიმე შავალთს: ცნობილი მელექსე ქაბანი ასე ეპაექრება ხინკალს:

დავინებია, ხინკალო,
გამოგაღვიძებს ქაბანი.
წამოხტა გაჭაგრებული,
წამამიღირა ხანჯარი.
ვერ შავიმპოვრე ხვეწნითა.
თავს დამალეწა აბჯარი (ვაფა, III, 342, 19-20).

აი, მეორე ფშაური ლექსიც:

ვაპვე, ხინკალო, ხინკალო,
მეპრე მარწყევსთან წოლაო! (ვაფა, IV, 129, 35)...

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ლექსი „კარგი ხარ, ხორცის ქადაო“ არათუ ეთერიანში, არამედ ბარის ფოლკლორში საერთოდ არა ჩანს. იგი ფშაური წარმომოხსია, ამას მისი სიტყვაური მასალაც ადასტურებს (მაგ. წურვრე ლა, რაც მთის დიალექტებში გამდნარ ერბოს ნიშნავს).

ფშაურ „ეთერიანში“ ამას მოჰყვება ვითომ დედის პასუხი:

შვილო, ვისი გვლავს სურვილო,
ვისი გაღვიძებს მძინარსა?
წავალ და ეთერს აქ მოგვეკრი,
გულზე ჩამოგვხევე მძინარსა (გვ. 166).

ამ ლექსში რამდენიმე უაზრობა და შესუბამობაა: პირველ სტრიქონში ნათქვამი „ვისი გვლავს სურვილო“-ო უადგილოა, რადგან მესამე სტრიქონში შემკითხველი დედა ამბობს: „წავალ და ეთერს აქ მოგვეკრი“-ო. აბესალომმა ხომ თვითონვე ახსენა ეთერი, როცა ის ვითომ ხორცის ქადას შეადარა! რაღა უნდა ეკითხა დედას, „ვისი გვლავს სურვილო?“

ფშაური „ეთერიანის“ მეორე ვერსიაში ეს სტროფი ასე იკითხება:

შვილო, ვისი გვლავს სურვილო,
ძილს არ ვაძინებს მძინარსა?
წავალ და იმას ვიპოვნი,
წავალ ჩაუღვებო მძინარსა (გვ. 160).

აქაც უადგილოა ფრაზები „ვისი გვლავს სურვილი“-ო „იმას ვიპოვნი“. დედამ იცის, ვისი სურვილიც კლავს აბესალომს და ისიც იცის, რომ იმას ძებნა და პოვნა არ უნდა, ეთერი ხომ მურმანთან არის! ამას ვარდა, უაზროა ფრაზა: „ძილს არ ვაძინებს მძინარსა“. თუ მძინარია, როგორღა არ აძინებს ძილს?

ალექსი მინაბრატული

მინ თქვა პირველად „უშტარ-ნათელი“?



ორივე ამ სტროფს თავისი პირველწყარო აქვს. ფშაურში დამოუკიდებლად არსებობს ერთსტროფიანი ლექსი:

ვის რა ჰქლავს, ნეტარ, სურვილი,
ვის რა აღვიძებს მიწინარსა?
ვინ რა ჰლევს მუდამ ტანჯვაში
სიციცხლეს მოსაწყინარსა? (რაზვი, II, 132).

აი, ეს მშვენიერი ლექსია ვადასხვაფერებულ-დამაბინჯებელი „ეთერიანის“ ფშაურ ვერსიებში.

მ. ჩიქოვანს „ეთერიანისადმი“ მიძღვნილ ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში უწერია: „დღეა მიხვდა შვილის დასნეულების მიზეზს და შთამავრთველი სიტყვებით მიმართა:

შვილო, ეთერის სურვილი
ძილს არ გაძინებს მიწინარსა,
წყავლ და იმას გიპოვნი,
წყალს ჩავუდგები მდინარსა (გვ. 44).

მ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში ეს სტროფი არ არის და ჩვენ არ ვიცით, საიდან იმოწმებს მას ავტორი, მაგრამ ამ ლექსიდან და მასზე მსჯელობიდან საყურადღებოა ის, რომ „დღეა მიხვდა შვილის დასნეულების მიზეზს“ („ეთერის სურვილი ძილს არ გაძინებს...“) მაგრამ მით უფრო უადგილოა ვითომდა დედის დაპირება: „წყალ და იმას გიპოვნი“-ო.

ერთი სიტყვით, ეს არის ზემომოყვანილი მშვენიერი, დამოუკიდებლად არსებული ფშაური ლექსის უზვიერო ვარიანტები. ამიტომაც „ეთერიანის“ სხვა კუთხეებში ჩაწერულ ვერსიებში ეს ლექსები არა ჩანს.

სადავო სტროფის ორი ბოლო სტრიქონი („წყალ და იმას გიპოვნი, წყალს ჩავუდგები მდინარსა“) სრულიად განსხვავებულია ჩვენ მიერ ამ სტროფის ამოსავლად მიჩნეული ლექსის ორი ბოლო სტრიქონისაგან („ვინ რა ჰლევს მუდამ ტანჯვაში სიციცხლეს მოსაწყინარსა“). სადავო სტრიქონთა წყარო უნდა იყოს შემდეგი ლექსები:

აღე, თორო აგაყენებ,
გაგადვიებე მძინარესა,
აღმა აგაყენებ ქართთა,
დაღმა — წყალთა — მდინარეთა
(რაზვი, III, 136).

ღმერთო, ნუ შეპყრი ვეჟაკსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის შეშლის, ეს დააბერებს,
ის შეერთავს წყალსა
მდინარსა (ხალხ. სიბრძნე, V, 377).

აი, ამ ლექსების კონტამინაციითა თუ ანალოგიით შეუთხზავს ფშაველს ვითომ აბესალომის დედის მიმართა შვილისადმი.

ამ გვიანდელ ვარიანტში სიტყვიერებაში ფშაურია. ფშაურია, მაგალითად, გამოთქმა: „წყალს ჩავუდგები მდინარსა“, რაც ამას ნიშნავს: ყოველგვარ ღონეს ვიღონებ, ძალიან შევეცდები. შდრ.: „ალარ ვიცი, საით წავიდე, ალარ ვიცი, რალა ვქნა? რა წყალს ჩავუდგე?“ (ვაფა, III, 35); „წყულლის წამლისა მძებნელი წყალს ჩაჰსდევს ჩამდინარესა“ (ვაფა, II, 233, A, 33).

განხილულ სადავო სტროფს მოსდევს ვითომც აბესალომის (ელურსამელის) პასუხი:

აღეგ, უშტარო დედაო,
ეთერსა კარად უარე,
ჯერ კი ატირდი ბრალდა,
მერტე თავ შეამბუარე (გვ. 160).

ამ ლექსის ვარიანტები „ეთერიანის“ ტექსტთა უმრავლესობაში დასტურდება („წყალი, მარეხო-ვარსკვლავო, ეთერის კარი უარე“, გვ. 107 და სხვ.) და, ამდენად, იგი ფშაურში მთლიანად ახლად შეთხზული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ძირეულად განსხვავდება სხვა კუთხეების ვარიანტებში დადასტურებულთაგან.

კერძოდ, ამ ლექსში ჩნდება სიტყვა „უშტარი“, რაც ფშაურ-ზეესტრულ დიალექტებში ნიშნავს უსინათლოს, სრულიად ბრმას, თვალგამაფხვრელს. ფშაური ვერსიით ეს უსინათლო ქალი მარტოკა „წავიდა, მივიდა და მიიჭრა ეთერთანა, ატირდა და უთხრა...“ მეორე ვარიანტით აბესალომის დედა ისევ ბრმაა, უშტარია, მაგრამ სახელიც კვლეა — ნათელი. აი, ეს ბრმა დედოფალი მიდის ეთერთან და ეუბნება:

ჩამოგარე, ეთერო,
მაგ შენის კარის არესა,
გადმოგებდე, გვიძინა,
შუქი ვედაგა მთვარესა (sic!),
კეძახენ, ვერ გაავაგონე,
ქვა გამოვწყავდე ყორესა!.. (გვ. 166).

საკუთხავია: შეეძლო კი სრულიად უსინათლო მოხუცს წასვლა, მიჭრა ეთერთან და, რაც მთავარია, იმის ნახვა, რომ ეთერს ეძინა, მთვარის შუქი ადგა და სხვა? ალბათ ამ შეუსაბამობამ ათქმევინა მ. ჩიქოვანს: „უშტარი ეპითეტი უნდა იყოს (ხაზი აქვს და ქვემოთაც ჩვენი. ა. ქ.) და ბრმას, უსინათლოს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით აქვს ნახმარი უსტარი-უშტარი ვეფ-ფშაველსაც ლექსში „მთა და მთვარე“: „მამე მე რალა ვქნა უსხივომ, უსტარამ, უსინათლომამო“ — ათქმევინებს პოეტი მაღალ მთას. მათსადამე, აბესალომის დედის პიროვნული სახელი უშტარი არ უნდა იყოს“-ო, ასკენის ბოლოს ავტორი (გვ. 43).

„უშტარი არც „პიროვნული“ (საკუთარი) სახელია და არც ეპითეტი. ან რანაირად შეიძლება



უმტარი (როგორც თვლით ბრმა, თ. რაზიყ.), „უსინათლო, „თვალეზდაცხილი“ იყოს დედოფლის ებითები? აი, ამ სიტყვის ხმარების რამდენიმე მაგალითი:

„ფეკელი ძალს ამუშავებ, ვერა ჰხედავ, უმტარიო?“ (რაზიყ., III, 225,5); „აბა, ჩემ ვანებს ვინ დამკის, ერთ ბიძა დამჩა უმტარიო“ (ფშ.-ხევს. პოეზ., 255, 23); „უმტრად დარჩენილი, სინათლეს მოკლებული ქალი იღვა ზესთან“ (თ. რაზიყ., ზღაპრ., 11,20); „დათვმა ხმა აღარ ამოიღო, დაჰკიდა თავი, დლონდა, დარჩა უმტარი, უსინათლო“ (ვაჟა, III, 424,14).

ამრიგად, „უმტარი დედა“ არის ბრმა დედა, უსინათლო დედა, არც მეტი, არც ნაკლები.

რაც შეეხება ვაჟა ფშაველას ლექსში დადასტურებულ „უმტარი“-ს, მართალია, ჩვენსავე რწმუნით, ეს არის კალმისეული შეცდომა, ს და შ გრაფიკათა შექანყური სუბსტიტუცია, თორემ ვაჟამ კარვად იცოდა, რომ ეს სიტყვა მთავში მხოლოდ „უმტარი“-ფორმით იხმარება.

ერთი სიტყვით, „უმტარი“ ფშაური სიტყვაა, ფშაურ ვერსიაში დასტურდება და მოტანილ ლექსში იგი სრულიად უადგილოა — უმტარი დედის მოციქულობა გამოიხატულია. ფშაურივეა „თავი შეამზუარე“, რაც ნიშნავს: თავი შეაბრალე, თავი მოაბეზრე. ფშაური წყობისაა მესამე სტრიქონი, რომელიც ასე წაიკითხება და დაიწერება: „ჭერ კი-ატირდი ბრალდა“, რაც უდრის იმერულ „ჭერ ქე ატირდი“-ს და ხევსურულ „ჭერ ქვე ატირდი“-ს. „ბრალდა“ აგრეთვე ფშაური სიტყვაა და ნიშნავს საცოდებად, საბრალედ. შდრ. ვაჟა: „(ხარი) რა ვერ აღგება აწევით, ამოიკენსებს ბრალდა“ (I, 178, B, 29); „ბრალდა ბეჭეტვს სანთელი, ცრემლი წინ უღვა გუბებ“ (ვაჟა, II, 72, A, 34).

ასე რომ სხვა ვერსიებთან საერთო ამ ლექსს შორის სტრიქონიდა აქვს: „ეთერსა კარად (resp. კარსა) უარე“, დანარჩენი ხელახლად არის შეთხზული.

რამ გამოიწვია ამ ლექსის ასე შეცვლა და საიდან გაჩნდა ლექსში სიტყვა „უმტარიო?“ კ. დონდუამ შენიშნა, რომ „უმტარი“ შეიძლება არაბული „მუსთარი“-ს (იუპიტერის) დამახინჯებული ფორმა იყოსო (დასახ. ნაშრ., გვ. 177).

ეგვიმ აზრი შემდეგ (სხვათა შორის, კარპეზ დონდუას დაუმოწმებლად) გაიმეორა პ. ინგოროსავე (დასახ. ნაშრ., გვ. 39). ორივე მკვლევარი უმტარს აბესალომის დედის სახელად მიიჩნევენ.

ზემოაღნიშნულ გამოკვლევებში მიხ. ჩიქოვანი წერს: „სიუეტის ეპიკური განვითარება და ზღაპრულ ეპოსში უმტარის დის თავგადასავალთა გთვალისწინება უფლებას გვაძლევს, დავუშვათ, რომ მარიამ-ვარსკვლავი აბესალომის უმტარის და, მარიამ-ვარსკვლავი კი უფროსი“

(გვ. 46). ვეთანხმებით პატივემულ მკვლევარს, რომ მარიამ უმტარის და უნდა ყოფილიყოს მარიამ-ვარსკვლავი, როგორც ეს ზემოთ ვახვეწეთ, არამედ ორი უფროსი და, უძველესი ევრსიით აბეზალომის უნდა აბესალოდა სახელი და (საკრალური რიტუალი), რომელთაც ალბათ ეთომილთა (ასტრალური) სახელები ერქვა. ამ ვერსიაში უფროსისა და შუათანა დის შეუამავლობა ალბათ მარცხით მთავრდებოდა, როგორც ეს ზოგ ჩვენამდე მოღწეულ ჩანაწერშიც არის, უმტარის (მარიამი) კი იმარჯვებდა, — მას მოჰყავდა ეთერი. ამზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ „ეთერიანის“ ვერსიათა დღემა ნაწილმა შემოგვინახა მარიამის სახელი, როგორც სახელი გამაჩრვებულისა, უფროსის და შუათანა დების სახელები კი მიავიწყდა ხალხს, ალბათ იმ უმნიშვნელო როლის გამო, რაც მათ შეასრულეს იმ ვერსიის მიხედვით.

მუსტარი და მუსტარა (მუსთარის შომ მოგვცა შტ) ძალიან გავრცელებული სახელია ხევსურეთში. ფშაურში ქალის ეს სახელი არ დასტურდება. როგორც ჩანს, იმან შეაპირობა ის, რომ მუსტარის (მუსტარი) მავიერ ფშაურ ვერსიაში გაჩნდა ფონეტიკურად მისი მსგავსი სიტყვა უმტარი.

მაგარე უმტარობა, ორივე თვლით სიბრძავე მოხუცების დამახასიათებელია. ამდენად, ამ სიტყვის გაჩენამ ფშაური ვერსიიდან გამორიცხა ახალგაზრდა ქალის, აბესალომის დის მოციქულობა და, ბუნებრივად, მოხუცი, უმტარი, ბრმა დღითი შეცვალა, იმას კი აღარ გავწია ანგარიში, რომ უმტარ, ბრმა დედას საერთოდ არ შეეძლო მოციქულობა. ამ ვერსიით (№ 28 და აგრეთვე № 20) არც იმას გავწია ანგარიში, რომ მეფისწოლის ცოლყოფილი, სათნო ეთერი აწბოლებს მოხუც დედოფალს, თავის ნიდედამთილარს, ხოლო აბესალომის დას, თავისკბილა მულს თანხმდება წყალობე. ერთი სიტყვით, ფშაურ ჩანაწერში უნდა გვეჩინდეს იმ ვერსიის ანარეკლი, რომელშიაც აბესალომის ერთ-ერთ (უფროს ან შუათანა) დას ერქვა „მუსთარი“ („მუსტარი“). „უმტარი“ კი სრულიად შემთხვევითი სიტყვაა, რომელშიაც ეპოსში ახალი გმირის შემოგვანა გამოიწვია.

მეორე ფშაურ ვერსიაში ამ ახლადშობილ გმირს სახელი ღაერქვა — ნათელი. ეს სახელი საქართველოში გავრცელებული სახელი იყო. მაგ., თ. ყორღანის „ქრონიკების“ მეორე ტომში მოხსენებული არიან: ნათელი აბუსერიძე აბუსერის ასული (გვ. 122, 123) და ნათელი დედანის შერგოლის მეუღლე (გვ. 180, 131, 132). ეს სახელი გვხვდება ფშაურ პოეზიაში

ალექსი ზინვარაძე

მინ თმპა პირმელად „უმტარ-ნათელი“?



ამი: „ორნივე წინქეილში დაგებულენ ბატრაქალა-
ი-დ' ნათელი... თუ წახელ, ბატრაქალა,
აქვე დამარჩება ნათელი“ (ვაეა, IV, 148, 27,
30).

სახელი ნათელი გავრცელებულია ხეცუ-
რეთში. იქვეა ამ სახელიდან გაკეთებული მამა-
კაცის სახელი ნათელი სძე (შდრ. ნანაისძე,
ყამარისძე, სანათისძე...). ამ სახელის კინობი-
თი ფორმა ნათელა ზომ დღესაც ხშირად
ერქმევა.

ფშაურ ვარიანტში ამ სახელის გაჩენისთვის
ხელი უნდა შეეწყო ლექსს, რომელიც „ეთერო-
ანის“ ვერსიათა უმრავლესობაში და, მათ შო-
რის, ფშაურშიაც დასტურდება:

„მამო (|| შვილო), მოვიდა ეთერი
(|| ათერი),
თელა გაქეს თვალში ნათელი“.

ამ ლექსის სარიტომო სიტყვა „ნათელი“ უნდა
გამხდარიყო ფშაველი მთხრობელისთვის ზმგის
მიმცემი, რომ აბესალომის დედისთვის ნათე-
ლი დაერქვა. ამ ვარაუდს მხარს თვითონ „ეთე-
რიანი“ უქერს. ერთ-ერთ ქართლურ ვერსიაში
(№ 5) სახელი აბესალომი (ან მისი რომელიმე
ფონეტიკური ვარიანტი) საერთოდ არ არის ნახ-
სენები. იქ ხელმწიფის შვილს ცათასწორო
ჰქვია: „მერე მისულა ხელმწიფის შვილი ცა-
თასწორო“ (გვ. 71); „ცათასწორო დადი-
ოდა სანადიროთ, ნახა შარამბალა, ჰკითხა:

— შარამბალო, შენსა მზესა,
შენი ეთერ რარიგია?
— რას ჰკითხულობ, ცათასწორო,
ცოლის ქება აუგია...“

ცათასწორო ვაბრუნდა, გაბდა ავად... ცა-
თასწორომა ვატეხა ხშიად და თქვა...“ (გვ.
72); ათერმა თავი მოიკლა, ცათასწორო და
ათერი ერთად დამარჩეს... ათერის და ცათას-
წოროს (საფლავზე) აღვისხევები ამოვიდა“ (გვ.
73).

„ცათასწორო“ მეფეთა ეპითეტია და არა ერ-
თელ გზედება „ეთერიანის“ ვარიანტებში (შდრ.
„ვეფხისტყაოსანი“, სადაც „ცათასწოროს“
ფარდია „დმართისასწორო“: „დმართი-
ასწორონი მოვიმდურვენ“, 856,3; „ბრამა-
ნებაა დმართისასწოროთა“, 1172,4). აი,
ეს ეპითეტო (მსახვდერ-სახვდერული) ქართ-
ულმა მთხრობელმა მეფის შვილის საკუთარ
სახელად გაიგო ლექსში „რას ჰკითხულობ, ცა-
თასწორო, ცოლის ქება აუგია“ და, ამის
შემდეგ, წინამავალ ტექსტშიც „ცათასწოროს“
ეძახის სახელად მეფის შვილს, მიუხედავად იმი-
სა, რომ ასეთი საკუთარი სახელი ქართულში სა-
ერთოდ არ დასტურდება. თუ აქვე გავიხსენებთ,
რომ ეთერიანის ზემოვანხილულ ქართლურ ვა-
რიანტებში ზმნის ფორმა „მარი“ იქნა გაგებულია
ქალის საკუთარ სახელად და იგი „მარიამ-ვარს-

კვლავად“ იქცა, მოულოდნელი აღარ უნდა გვეჩ-
ვენოს, რომ ფშაველმა მთხრობელმა აქვე უნდა
მის დედას დაარქვა ნათელი, სიტყვა, რომელიც
იქვე „ეთერიანიში“, დასტურდება და, ამას ვა-
რდა, ქართულში და, კერძოდ, მთაში ფართოდ
არის გავრცელებული, როგორც საკუთარი სა-
ხელი ქალისა.

ფშაურ ვარიანტში (№ 29) ვითომ ნადედამთო-
ლარის ნათქვამზე „ჩამოვიარე, ეთერო...“, ვთე-
რი უქასულებს:

რა იყო, რად დამიწუნეთ,
რა წუნი ნახეთ ჩემშია?
ზეცით ნაქურთხი გვირგვინი
გარეით ჩალა-ბზეშია?
რად გამოიზილეთ მაყრები
უცხო თემ-ქვეყანაშია?
ეს თქვენი დაწუნებული
ქალი არ დაერჩი სახლშია (გვ. 167).

ამავე ლექსით მიმართავს ეთერი აბესალომს
მოხურ (№ 33) ვარიანტში. ეს ლექსიც დამოუ-
კიდებელი ლექსია და აქ სრულიად უაზრო და
უადგილოა: ჯერ ერთი, ეთერი იმტომ დაიწუ-
ნეს, რომ მკვნარი დაგებია, ეს მან კარგად იცის
და ნადედამთლარს ამას აღარ ჰკითხავდა, მეო-
რეცადა, სად ჰყავდა ეთერს მაყრები, რომლე-
ბიც ვითომ დაწუნილეს? ცალკე ეს ლექსი და-
ბეჭდილით. რაზიკაშვილითან:

რად დამიწუნე, ვეაო,
რა წუნი ჰნახე ჩემშია?
ზეცით დადგმული გვირგვინი
გარეით ჩალა-ბზეშია?
რად გამოიზილე მაყრები
ამ უცხოს ქვეყანაშია? (რაზიკ., III, 177).

სხვა ვერსიების უმრავლესობაში ამ ლექსის
მაგიერ იკითხება: „ნუ სტყუი, ქალო, ნუ სტყუი,
ნულარ თვალთმაქობ ნინთა, დვთისგან დად-
გმული გვირგვინი ძალთი გადიდლო ხელითა“
(გვ. 87), ანდა მისი ვარიანტები.

ორსავე ამ ლექსში გვირგვინზე საუბა-
რი, ამას გამოუწვევია ის, რომ ფშაველს, „ეთე-
რიანიში“ ჩაურთავს ლექსი, რომელიც შინაარ-
სობრივად აბსოლუტურად არ ეგუება კონ-
ტექსტს. ამ ლექსის მეორეულითა კიდევ დამა-
ტებით ამტიცებს, რომ დედის მოციქულობის
ამბავი გვიანდელია, ფშაველი გაჩენილია.

მამასადამე, უშუალო ბრძაა, ნათელი კი მასი
საპირისპირო ცნებაა. ორივე ეს სახელი შემთხ-
ვევით არის გაჩენილი „ეთერიანის“ ტექსტში.
დაფუშვით, რომ ამას არ ვერწმუნეთ და განვა-
გრძეთ კვლევა არსებულ მასალაზე დაყრდნო-
ბით. რას შვილებთ? უცნობსა და ასახსნელს
ახალი უცნობი და ასახსნელი მიემატება. აი,
ზოგი რამ ამის საილუსტრაციოდ:

ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში მ. ჩიქოვანაძე



აბესალომს დედა ახლად მოუწათლა და მას უშტარ-ნათელი დაარქვა. რატომ, საიდან? უშტარ-ნათელის სიტყვისიტყვითი თარგმანია „ბრმანათელი“, რა შინაარსი ღვეს ამ ახალ სახელში, რატომ და რა უფლებები ერქმევა იგი ეპოსის პერსონაჟს, ამაზე მ. ჩიქოვანი კრინტს არ ძრავს. იგი ხსენებული გამოკვლევის ერთ-ერთ თავში, რომელსაც „აბესალომის“ ეწოდება, პირდაპირ ამბობს: „დატრიალდა უშტარ-ნათელი. რაკი ექიმებების მკურნალთაში არ გაჭრა, მკითხავ-მისინებს მიმართა ტრადიციულ წესზე. გამოცდილმა სოფლის მისანმა ქალმა ევევი აიღო აბესალომის ხეზე და უშტარ-ნათელს საიდუმლოების გამოცნობის უბრალო ხერხი ასწავლა“ (გვ. 16-17); „მარიხმა კარგად იცის, რომ ეთერთან ამ თემაზე საუბარი არ არის ადვილი, აკი მან (ეთერმა ა. კ.) ხელცარიელი გამოისტუმრა დედა უშტარ-ნათელი და უფროსი და მარიამ-ვარსკვლავი“ (გვ. 48).

პირველ ფრაზაში „ეთერიანის“ ახალი პერსონაჟი უშტარ-ნათელი შემოვიდა. იქვე საქმე ისევ წარმოდგენილი, თითქოს აბესალომს ჯერ გამოცდილი პროფესორ-ფსიქიატრები ეყრნადენენ, შემდეგ კი (რაკი მათ ვერაფერი გაუგეს აბესალომს), „უშტარ-ნათელმა“ „მკითხავ-მისინებს მიმართა ტრადიციულ წესზე“. გვ. 16. მეორე ფრაზა უფრო საინტერესოა. ავტორის მსჯელობის მიხედვით გამოდის, თითქოს თვითონ მარიხი დედამის ექაზოდეს „უშტარ-ნათელს“ („დედა უშტარ-ნათელი“) ხოლო „უფროსი დას“ — „მარიამ-ვარსკვლავს“.

ყველაზე უფრო საოცარი სხვაა: ერთ ფშაურ ვერსიაში იხსენიება აბესალომის დედა „ნათელი“, მეორეში ნათქვამია, რომ აბესალომის დედა ბრმაა („უშტარია“), მაგრამ აქ მისი სახელი არა ჩანს. მ. ჩიქოვანი ამ ორ სახელს აერთიანებს („უშტარ-ნათელი“) და ახალ პერსონაჟს გზავნის ეთერთან. რომელიღაც სხვა კუთხის ვერსიიდან მოპყავს ვითომ „უშტარ-ნათელის“ უფროსი ქალიშვილი მარიამ-ვარსკვლავი და დედის მარცხის შემდეგ მას გზავნის ეთერთან. ისიც რომ ხელცარიელი ბრუნდება, „უმცროსი დას“ მარიხს მოიყვანს სულ სხვა ვერსიიდან, მას დაადარდიანებს მკვლევარი: დედა-ჩემი უშტარ-ნათელი და უფროსი და მარიამ-ვარსკვლავი გააბწილა ეთერმა და ვაი, თუ მეც გამაბწილოსო. როგორც ხედავთ, შეიქმნა „ეთერიანის“ სრულიად ახალი, მ. ჩიქოვანისეული ვერსია ახალი გმირებით. ასეთი რამ ხალხში ხდება, ამიტომ ვეპყვამ აშდენი ვარიანტები; ეს არც ვასაკვირია.

8 მ. ჩიქოვანი, შუა საუკუნეების სამი რომანის — ტრისტან და იზოლდას“, „აბესალომ და ეთერის“ და „ვისი და რამინის“ ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემა“, „მაინე“, № 1, 1970 წ. გვ. 78.

ეპოსის მკვლევარისაგან კი ასეთი ობერვაციები, ჩატარება, მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულადაა. მაგრამ, ვინც რა უნდა თქვასო, წინველით კი უქვასო: ამ თავის ვერსიას მ. ჩიქოვანი გვთავაზობს ახლახან დაბეჭდილ წერილში: „აბესალომი კარგა ხანს(?) არჩევდა მოციქულს, რადგან დედის — უშტარ-ნათელისა და უფროსი დის — მარიამ-ვარსკვლავის ელჩობამ უშედეგოდ ჩაიარა, მისია უმცროსმა და — მარეხ-ვარსკვლავმა იკისრა...“8 ხომ ხედავთ, აბესალომიც უშტარ-ნათელს ეძახის მის კეთილ დედასო, მის უფროსი დას მარიამ-ვარსკვლავი ჰქვია, უმცროსი — მარეხ-ვარსკვლავი. ერთი სიტყვით, მკვლევარი „აალოჩენების“ განზოგადებაზე გადავიდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მ. ჩიქოვანის შიერ შეთხზული სახელი (უშტარ-ნათელი) დამკვიდრდა მის მოწაფეთა შორის: თ. ქურდოვანიძე ზემოდასახელებულ ნაშრომში უშტარ-ნათელს ეძახის აბესალომის დედას.

კომპოზიტივის თხზვა ხალხურ სიტყვიერების ნიმუშთა სტილია: უჭრელოში, მარიხ-ვარსკვლავი, მუქურ-ვარსკვლავი, აბესალომი (ასეა ხალხში გააზრებული), მარიამ-ვარსკვლავი... როცა ხალხი იმეკომპოზიტ სახელებს ჰქნიადა, ის ამ ძველ იმეკობაზე მცდარად, ანდა თავისებურად ააზრებდა არსებულს. ერთი სიტყვით, იგი შემოქმედი იყო და უფლებე ამქონდა, რაც უნდოდა, ის ეკეთებინა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიკვლიოთ მათი ნაკეთები, მათი ნაფიქრი. როცა მკვლევარი თვითონ იწყებს ზღაპრისა თუ ეპოსის თხზვას და კეთებას, ისიც არ გამოუტყა, რაც ყველაზე უბირ და უნიჭო მერზაპრეს გამოსდოდა...

ეპოსისა და მითოსის მკვლევარი ძალიან ხშირად მიმართავენ სახელთა კომპოზიციას საბოლოო ანგარიშით ასეთი საქმიანობის ერთადერთი მიზანია სირთულისათვის თავის აცილება ისე, რომ საქმეში-ჩაუხებდა? შეათხვეს ეს ჩიხრ-კედლობა მეცნიერულ ნაღვაწად მოეჩვენოს: გამოჩნდა აბესალომის დედის სახელი „ნათელი“, მაგრამ იმავე კუთხეში ჩაწერილი ვარიანტიმ დედისთან ნახსენება სახელი „უშტარია“, რაც იქვე არსებული განმარტებით, ბრმას ნიშნავს. დაპირისპირებული ენებებია! მოდიო, უშტარ-ნათელიც დავარქვათ, „უშტარ“ და „ნათელი“ შევავართოთ (ცალ-ცალკე სად უნდა სდით მათ) და აბესალომის დედის სახელად გამოვაცხადოთ — ეს ძალიან აპარტივებს საქმეს...

მაგრამ ვაყასთან რომ „უსტარი“ იკითხება? აქაც სიტყვათა კომპოზიცია გვემელის. მოუეს-მინოთ მ. ჩიქოვანს: „...„უშტარია“ ეპითეტი უნდა იყოს და ბრმას, უსინათლოს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით აქვს ნახმარი უსტარ-უშტარი (ხაზი ჩვენია, ა. კ.) ვაჟა-ფშაველასაც ლექს-

ალექსი მინარაული
 ვინ თქვა პირველად „უშტარ-ნათელი“?



ში („მთა და მთვარე“: „მამე მე რაღა ვქნა უს-
ტივომ, უსტარმა, უსინათლომომ“ — ათქმევენებს
პოეტი მაღალ მთას“ (IV, 43). კი, მაგრამ „უს-
ტარ-უშტარი“ სად უწერია ვაჟას? (უსტარის
შესახებ იხ. ზემოთ).

ეთერის ძმები არა ჰყავს „ეთერიანის“ არც
ერთი ვარიანტის მიხედვით. მაგრამ გამოჩნდა
ზოგი ლექსი, სადაც ეთერის ძმებზეა საუბარი
(იხ. ზემოთ). როგორ შეარიგოს მკვლევარმა ამ
ვარიანტთა ერთმანეთის გამოპირიკვები ჩვენება?
ისევ კომპოზიტი: „ი ძმანიც ღმერთმა გიოცოვ-
ლოს, შენც დღენი მოცენეს მთავარი!“ — ლო-
ცავს სულთმობრძავი მიჯნური ეთერსა და მის
ძმ-ვეთილებს ფშაური თქმულების მიხედ-
ვით: „ო, წერს მ. ჩიქოვანი და ყრუდ მიჯნაწი-
ნებს: მე კი ვიცი, რომ ძმები რაღაც უცნაურად
გამოჩნდნენ, მაგრამ აქ ალბათ ძმა-მეგობრებზე,
კეთილ მეგობრებზეა საუბარიო. ამიტომ, მო-
დით, მათ ძმა-კეთილები ვუწოდოთო. კეთილ
და პატიოსანი, მაგრამ ასეთიც რომ არავინა
ჰყავს ეთერს?“

თი, რას წერს მწერალი დ. შენგელია ერთ-
ერთ თავის წერილში „უშტარი“ (ლიტ. და
ზელოენ. № 25, 1944 წ.): „ეს უშტარი აქამდე
უყურადღებოდ იყო დატოვებული ჩვენს ფოლ-
კლორისტიკაში, ალბათ, როგორც გაუგებარი
რომ სიტყვა. ხომ არ არის უშტარი ვარსკვლავი
მუშთარი? როგორც ლექსიდან ჩანს, უშტარი
დღდა და, მამასადაძე, მდებრობითი სქესის
არსება, ხოლო მუშთარი მქუხარე ზეცსა და,
ცხადია, „უშტარ-მუშთარი სხვადასხვანი
არაინ. უშტარი ხომ იგივე იშტარი. „ეთერია-
ნით“ უშტარი დედა ყოფილა აბესალომისა, ხო-
ლო ეთერი — ცოლი. ნ. მარის ბრწყინვალე და-
საბუთებით (??), სახელი ეთერი იშთარიდან
არის წარმომდგარი. თუ ასეა, უშტარ-ეთე-
რი ერთი და იგივე ყოფილა და თქმულების
მიხედვით ცოლიც ყოფილა და დედაც აბესა-
ლომისა, რადგან უშტარ-ეთერი ერთი და იგივეა.
სისანს, ხალხს დამეწყებია ეს ვარემოება და უშ-
ტარ-ეთერი სხვადასხვა პირად მიუჩნევია...
„ერთის მხრივ, დალი, — ვანაჭრობს აეტორი —
კამარ, ეთერ და უშტარ-ეთერი, მეორე
მხრივ სულკალმახი, მურმანი და კეკლუცთე-
შუბი და ამირანანბესალომი ერთნი
და იგივენი ყოფილან“ (იქვე). ამ წერილშივე
გვხვდება კომპოზიტი — კამარ-იშთარი,
დალ-უშთარი, კამარ-ეთერი და სხვ.
ჩვენ უშტარ-ნათელსათვის გვერდზე დასაყე-
ნებლად მოვიხმეთ ეს კომპოზიტები, თორემ
მწერლის ამ და სხვა წერალებს ნაყლ-ლირსე-
ვაზე მსჯელობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს...

მ. ჩიქოვანის ზემოდასახელებულ წერილზე
კი უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, და, აი,
რატომ: ამ წერილის დასაწყისშივე მ. ჩიქოვანი
წერს: „სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი ეპოსი შე-
ცნიერულად დღემდე შეუცნაველია“.

სხვა არ იყოს რა, ხალხური ჩანაწერების რევიზი-
გამოცემაც კი არ მოგვეპოვება (IV, 7).
წინადადება ორი წლის შემდეგ (1956 წ.) ავ-
ტორს ასე გადაუკეთებია: „სამწუხაროდ, ეს შე-
სანიშნავი ეპოსი მცენიერულად დღემდე შეუ-
წაველი იყო. სხვა არა იყოს რა, ხალხური ჩა-
ნაწერების რიგიანი გამოცემაც კი არ მოგვე-
პოვებოდა“.

აი, თურმე რაშია საქმე: ორი წლის წინ
(1954 წ.) მ. ჩიქოვანი ამბობდა „შეუსწავლე-
ლია“ და „არ მოგვეპოვებაო“, ორი წლის შემ-
დეგ კი, როცა მისი ხსენებული ნაშრომი ხალ-
ხში გავრცელდა, დრონი იცვალნენ (აწმყო
ნამყოლ ვადაქცა) და „ეთერიანის“ შეუსწავლე-
ლობაც და ტექსტების გვერიანი გამოცემების
უქონლობაც წარსულს ჩაბარდა. ორიოდე მავა-
ლითვე ენახოთ, შეეძლო თუ არა ამ ნაშრომს
ასეთი გადატარალებების მოხდენა:

ამ სამთაბახიანი გამოცვლების ერთ-ერთი უც-
ნაურობა იხი ვახლათ, რომ მას არ ვაჩნია არც
ერთი სქოლიო, არ არის ტექსტში მოხსენიებული
არც ერთი ჩიქოვანამდელი მკვლევარი „ეთერი-
ანისა“ (მთქმელებს, გამოცემელებს და ჩამწე-
რებს კი, მათ შორის თავის თავსაც, წიგნში
მკვლევარი, ღვთისა წინაშე, სათანადო აღვიღს
უთმობას).

ასეთ შემთხვევაში ვერავინ იმართლებს თავს
იმით, თითქოს სხვა მკვლევარებზე მითითება წე-
რილის განსაზღვრული ხასიათის გამო არ ყო-
ფილიყოს საჭირო და მისთ, როცა იწერება მე-
ცნიერული წერილი, რომელსაც პრობლემის და-
მუშავებაში ებოქის „შექმნის პრეტენზია აქვს,
არ შეიძლება მასში ამ პრობლემის შესწავლის
ისტორია ვაკვრით მაინც არ იყოს გათვალისწი-
ნებული“.

ამ ეპოსის შესახებ არსებული ლიტერატურის
საძიებლის დართვას მაინც რა უშლიდა ხელს?
ბოლოსდაბოლოს, „ეთერიანის“ შესახებ არსე-
ბული ლიტერატურა სხვაგან სად უნდა ეძებოს
კაცმა, თუ არა იმ წიგნში, რომელშიაც მისი
ტექსტებია დაბეჭდილი საგანგებოდ დაწერილი
გამოცვლევითურთ?

ამ წერილისა და ტექსტების შესახებ ვრცლად
მსჯელობის საშუალება ამჟამად არა გვქავს.
მეითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ
მკვლევარის ზოგჯერ მსჯელობას (ზოგი რამ
ზემოთაც ითქვა): „აესული მურმანის წასვლა
შეებას ანიჭებს მიჯნურებს. ამით მთავარი სა-
წიშროგება მოცილებულია. მაგრამ ახლა ციხე-
კოშკის ქაჯთა მავგვარი დაცვა
ქმნის საფრთხეს“ (IV, 27). (აქ „ველხისტყაოს-
ნის“ ქაჯებზე და მათს ციხეზეა საუბარი). „ქარ-
თველსა ხალხმა აბესალომ-ეთერის რომანტიკულ
ეპოსში, როგორც რუსთაველი იტ-

9. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვაე-
რების ისტორია, 1956 წ., გვ. 439.

ყოფილი, ავი კაცის ტიპობრივი სა-
ზე შექმნა“ (IV, 37) ეგება ვერ მიხვდით?
როგორც ჩიქოვანი ამბობს, რუსთაველი იტყო-
და: „აქვს კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა,
გულსა“. აქედან კი, მოგვხსენებთ, „ტიპობრივ
სახემდე“ ერთი „ხელის გაწვდენა“.

სიტყვა „გაწვდენამ“ მოიტანა და პ. მირიანაშ-
ვილი მის მიერ გალექსილ „ეთერიანში“ მურ-
მანს ათქმევინებს:

რა ექნა? რა ჰირსა მივეცე?
სად არის ჩემი საშველი?
უძლურმა უბედობაში
ვის გავეუწოდო მემხელი?
(IV, 245).

შ. ჩიქოვანი ესეხება პ. მირიანაშვილს და
ეთერზე წერს: „რა ქნას საბრალო ქალმა,
ვის სთხოვოს შეელა, ვის გაუწოდოს
ხელი?“ (IV, 25). საოცარია: მურმანი და ეთე-
რი თან მშველელს ეძებენ, თანაც სხვისთვის
დახმარებას (ხელის გაწოდებას) ცდილობენ!
აბესალოში უფრო უცნაურად იქცევა: „ბევრი
კარგი ასული უნახავს ხელმწიფის შვილს, მაგ-
რამ ხელი არ ავიდოდა ვის გაუწე-
დია, ცოლობა არ შეუთავაზებია“ (IV, 10). მაგ-
რამ აბესალოში სულ ეგრე ხომ არ იქნება? „ვი-
საც ღირსად მიიჩნევს, მას მტკიცე პირობას მის-“

ცემს, ცოლობას შესთავაზებდას“ (IV, 10). აბესალომისა და
მისი დროისა რა მოგახსენოთ და, დღეს რომ
რომელიმე ვეცაცმა ქალიშვილს ცოლობა
შესთავაზოს არაფერი არ გამოუფა. არც
ქალიშვილს გამოუფა რამე, ვეცს რომ ქმრობა
შესთავაზოს.

ჩვენს დროში, ჩვეულებრივ, ვეციშვილი ქა-
ლიშვილს შესთავაზებს ხოლმე ქმრობას. არაი-
შვითად ქალიშვილებიც სთავაზობენ ვეციშვი-
ლებს ცოლობას. მე არ ვიცი, რომელი მიჯნურ-
თავანის გადადგმულ ნაბიჯს აქვს უფრო ხშირად
ბედნიერი დასასრული, აბესალომისა და ეთერის
მიჯნურობის დასასრული კი, მ. ჩიქოვანის სიტყ-
ვით, ასეთია: „ქალმა ამოიღო სანიშნო ღანა,
დაიცა გულზე და მიჯნურის მხარდა-
მხარ ვაიშალო“ (IV, 18).

P. S. ამჯერად „ეთერიანის“ ტექსტების გა-
მოცემის აკადრგეანობაზე მსჯელობის საშუალე-
ბა არა გვაქვს, ამ წერილის მთავარი მიზანი ის
გახლავთ, რომ მკითხველის ყურადღება მივაქ-
ციოთ ზოგიერთი ძალიან სერიოზული პრობლე-
მის შესწავლის მდგომარეობას ჩვენში. ნუ ვეკუ-
დებით შავის თეთრად გასაღებას და მცირედის
დიდად წარმოჩენას. ასეთი „საქმიანობა“ მხო-
ლოდ საქმეს ავნებს... და ნურც წინამორბედთა
ღვაწის დავივიწყებთ...



მწერალმა რევან თვარაძემ დაასრულა წიგნი „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, რომელსაც გამოსცემს „ნაკადული“. წიგნში გამოყენებულია გალაკტიონ ტაბიძის არქივის დღემდე გამოუქვეყნებელი მასალები.

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ებეჭდავთ ამ წიგნის შემოკლებულ, საჟურნალო ვარიანტს.

რევან თვარაძე

ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა

„...ცხოვრების ჩემის აზოგოჰრებას“

შეთხველნი შერჩეული ვართ იმ ამბავს, რომ ყოველი დიდი მწერლის, ხელოვანის ცხოვრება მათსავე შემოქმედებას რალაციით მუდამ შეესატყვისება ხოლმე. ამიტომაც გვანტერესებს მათი ბიოგრაფია, გულმოდგინედ ვიძიებთ და ვიმედოვნებთ კიდეც — ერთი შეხედვით თუნდაც უმნიშვნელო ბიოგრაფიული დეტალი შესაძლოა მთელი შემოქმედების გასაღებად გვექცესო.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ დიდ აღამიანებს მეტწილად ბიოგრაფიაც გამოჩენული აქვთ; მათი ცხოვრება რალაციით მუდამ უჩვეულოა, ყოველდღიურობის შაბლონებს აცდენილი, ხშირად — ამაღლებული, უბრალო მოკვდავთათვის თითქოს მიუწვდომელიც კი. ამგვარი წარმოდგენა იმდენად გვაქვს ძველ-რბილში გამჯდარი, გვეჩითიერება (ზოგჯერ თითქოს გვეთაკილება კიდეც), როცა აღმოვჩინებთ, რომ ჩვენგან თავყვანცემულ ამა თუ იმ ბიროვნებას სიცოცხლე ისე გაუღეკა, მაინცდამაინც განსაკუთრებული არაფერი გარდახედია თავს. ასეთ შემთხვევებში მომდევნო თაობები თავისებურად ასწორებენ შეცდომას: რჩეული კაცის თავგადასავალს სასურველად მიჩნეულ ამბებს დაუკავშირებენ, მერე წარმოდგენილს სინამდვილედ დასახვეწენ და მოშვადება ლეგენდა, რაოა ადვილია აქვს უნდელი ფაქტების გლუვი ზედაპირი.

და კაცმა არ იცის, ვინ უფრო მართალია — ამ ლეგენდების შემთხველნი, თუ საანკეტო ფაქტების გულმოდგინედ მომპოვებელნი და გამწვობელნი. ისიც უცილობელია, რომ ესა თუ ის ლეგენდა მაინცდამაინც ამა და ამ ბიროვნებას შემთხვევით არ უკავშირდება ხოლმე, და ისიც უმკველო, რომ ხსენებული საან-

კეტო ფაქტების გარეშეც უონს არ ვაისვლე-ბა მართოდენ ლეგენდების ამარა.

შოთა რუსთაველი თურმე თამარ მეფეს ყვარობდაო, — იტყოდა ქართველი გლეხკაცი. რამდენი საუქუნის, რამდენი თაობის შრუანტელია ჩაქსოვილი ამ ლიტონ სიტყვებში. უშალესის სახელი უსაჩინოებს უნდა დაკავშირებოდა უეჭველად. მაგრამ ზომ შესაძლოა ერთ მშვენიერსა და ფილოლოგთათვის ასერივად სანატრელ დღეს აღმოჩნდეს რუსთაველის ცხოვრების მომთხრობი დოკუმენტი და გაირკვეს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სულაც არ ყოფილა საღმრთო თამარზე გამიჯნურებული. ერთი წარჩინებული ფეოდალი იყო, მიუპურსლეთუხუცესის სახელის მფლობელი; თავისი ცხოვრება ისე გალია, როგორც ასობით და ათასობით დიდებულს გაუღეკია იმ ეპოქაში, არც საქართველოდან გაუქევეზია ვისმე და იერუსალიმშიც, თუკი ჩავიდა. იმიტომ ჩავიდა მხოლოდ, რომ საკუთარი სურვილით ბერად აღკვეცილიყო ხანდაზმულობის ქამს (ამგვარი რამ ჩვეულებრივი ამბავი იყო საიმდროოდ); ანდა საერთოდ არსადაც არ წასულა, თავის საგვარეულო მამულში ადგარსულა ოთხმოც წელს გადაცილებული, შვილობით და შვილიშვილებით გარშემორტყმული.

რუსთაველის ცხოვრების ამგვარი ქარგა შეუძლებელ რაიმედ ვერ დაისახება. კი, სხვებთან ერთად მეც ვფიქრობ, რომ სისხლის ცრემლების დათხევით თამარის შექება გაცილებით მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე სიუხერენისადმი ვასალის მხრივ მიმართვის საიმდროოდ თითქოს დაკანონებულ ფორმას, მაგ-



რამ ამ უქანსეცელი მოსახრების დამცველთათვის ანგარიშგაუწვევლობაც არ იქნება...

დაახ, შესაძლოა ამგვარი დოკუმენტები აღმოჩნდეს. ნაფიცი ფილოლოგები გამარჯვებას იზეიმებენ, რუსთაველის სახელს ლეგენდების საბურველი ჩამოეცლება და... ვითომ უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“? კაცმა არ იცის.

გურამიშვილის ცხოვრება ხომ ისედაც ლეგენდაა, „დავითიანის“ შემქმნელის პირითვე მოთხრობილი, რაღა დამატებას სჭირებდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიას უჩვეულობის ელფერი სწორედ მისმავე ულიმბამბამ შესძინა: „მურანის“ ავტორი და კაცულარიის უჩინარი, თანაც პედანტურად მომუშავე მოხელე! კონტრასტი იმდენად თვალში საცემია, მისი ხაზგასმა სასოლო სახელმძღვანელოებშიც არ ავიწყდებათ.

ვაჟა-ფშაველა მითოსის მხარეში დასახლებამ აქცია ლეგენდად. მგონი სამ დღეს უმუშავეა „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლად, ერთხანს სოფლის მასწავლებლობასაც მიჰყო ხელი. მაგრამ ღმერთმა დაგვიფარა და დროულად მიატოვებინა ყოველივე. და მისი ცხოვრებაც იმ „ღმერთთან მოლაპარაკე“ ზეკაცებისას დემსგავსა, ქეთელაურებისა და მინდიების სახელით რომ გავგაცინო თავის ქმნილებებში...

მკითხველნი ნუ დამძრახებენ, თუ ყოველივე ამის შემდეგ ერთ ალბათ საცაოდ უხეირო ნახტომს გვაკეთებ — მცირე მოგონება მინდა გავიზიაროთ. 1940 წლის შემოდგომის შვიან დღეს ორი მეზუთეკლასელი ბიჭი ვისხედით სოლოლაკში ჩვენი ორსართულიანი სახლის სახურავზე. მაშინ ჩემმა მეგობარმა დიდად საიდუმლოდ გამანდო ერთი საზინელი ამბავი: თურმე გალაკტიონ ტაბიძე თუ არ დათვარა, ის ლექსს ვერ წერს. „გალაკტიონს“ კი არა, „გალაკტიონს“ იტყუა ალბათ, მაგრამ ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა.

მაშინ არც გალაკტიონის სახელი გამეგონა და მთვრალ კაცებზე საყაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა (ამ მხრივ იმდროინდელი თბილისის, მით უმეტეს, ჩვენი წყნარი უბნის ქუჩები ცოტათი უფრო ნაკლები ცოდნით გამარაგებდნენ). ასე რომ ვერაფერი გავიგე და ვერც იმას მივხვდი, რა იყო ამ ამბავში ისეთი შემადრწუნებელი, რომ ჩემი ვულოვანი ძმაცაცო კი ლამის ჩურჩულით მესიტყვებოდა. მაგრამ სწორედ იმ საიდუმლო კილოს წყალობით მოხდა ალბათ, რომ ის ამბავი, ის დღე, ის სიტყვები სამუდამოდ შემომრჩა მეზსიერებაში. გვიანდა მივხვდი: თურმე ლეგენდას მაზიარეს, თბილისის ქუჩებსა და სახლებში დარჩეულ, წლობით ნალოლაკეებ ლეგენდას.

რადგან არავის გესურდა იმის დაჭერება,

რომ ავტო ჩვენს გვერდით, კრილოვის ათში თუ ეორესის (აწინდელი მარჯანიშვილის) კომ-ხში უღრტინეველად ბინადრობდა კაცი, რომლის ცხოვრება გარეგნულად ჩვენთვის განარაფრით განსხვავდებოდა. ამ კაცის ყოფა რადაცით გამორჩეული უნდა ყოფილიყო უეკველად. მაგრამ რით, რით უნდა ყოფილიყო გამორჩეული და უჩვეულო? თავისთვად ის ამბავი, რომ ეს კაცი გენიალურ ლექსებს წერდა, არასგზით არ კმაროდა წარმოსახვის აღსავზნებად. აკი თქვა ამ კაცმა თავისი პირით:

ასფუთიანი ჩაქურის ცემით
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოგრებას,
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი
ცხოვრების ჩემის ამბობჭრებას.

მერედა სად არის ეს ამბობჭრებული ცხოვრება, სად არის შემოქმედების შესატყვისი სიმძაფრე?

გვიანდა მივხვდით: მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, — „იქ, შიგნით, სულში“; მის მიერვე დახატული სურათი რომ გავიხსენოთ:

ღამით რიგ-რიგად ძლივს მძეუტავ საწოელს
ანდობდნენ გრიგალს და კორიანტელს.
მოხდიდნენ ძაძას უძვეულეს ტაძარს,
მას, უზარმაზარს რომ ჰგავდა კანდელს.

აბა დაუეკვირდეთ: ეს ძველ მწიგნობართა გამო არის ნათქვამი. სხედან ტაძარში ავტორნი თუ გადამწერნი, საწოლის შუქზე წერენ და ამ მცირე შუქს ანდობენ გრიგალს და კორიანტელს, თითქოს ძაძას ზდიან მონასტერს. რა გრიგალია ეს, ან როგორ უნდა მიენდოთ საწოლის შუქისთვის გრიგალი თუ გრიგალისთვის საწოლის შუქი?

ეს მათს სულში მობობჭრე გრიგალია, „ვეფხისტყაოსანისა“ თუ „ქართლის ცხოვრებაში“ ამტყდარი გრიგალი, სწორედ იმგვარი, თვით გალაკტიონის სულშიც რომ ბობოქრობდა.

მაგრამ გარეგნულად თითქმის არაფერი ამხელდა იმ გრიგალის არსებობას. მის შესავარძობად ან გალაკტიონის პოეზიას უნდა სწვდომოდით ბოლომდე, ან კიდევ გალაკტიონის თვალები უნდა გქონოდათ ნანახი: დაკაცულული, შიგნიდანვე შუქფენილი, ზესთასოფლის მომზიარალი თვალები ნათელმზიარელებსა. თანაც ის თვალები ყოველთვის კი არ გამოიზიარებოდნენ ამნაირად: ზოგჯერ დამგანული ჰქონდა მზერა და მაშინ ის თვალებიც ფაქტებით ესოდნენ ღარიბ მისისავე ბიოგრაფიას ემსგავსებოდა.

ჰო, ქვედა ჰქონდა კიდევ ცოტათი უცნაური. ოდნავ ექსცენტრული მიხვრა-მოხვრა, სა-

რამაზ თვარაძე

ლემენდა გალაკტიონის ცხოვრებისა

განგებოდ დაწვრილებული ხმა, ნერვიული ფესტიკულაცია. მაგრამ ამგვარი დეტალები ყველამ ხომ არ იცოდა. ვინდაც სტოდნოდათ, ყველა ხომ ვერ ჩახედებოდა ამ უცნაურობის მიზეზებს.

არა, ათასობით უჩაკველ ადამიანს სხვა რამით უნდა ესულდგმულა. მათ შიით სტირლებოდათ, რაღაც უფრო გამორჩეულთან წილნაყარი ლეგენდა. გალაკტიონი სხეებისგან ნამდვილად გამორჩეული პოეტი რომ იყო, ამას ყველა გრძობდა, ხშირად რომ სვამდა, ესეც კარგად მოეხსენებოდათ. მაგრამ პოეტობით გამორჩეულნი იქნებ კიდევ მოქმენილიყვნენ თანაც „ციცფერყანწულების“ შემდეგ მსმელი პოეტის სახელით ვის უნდა გაეკვირვებინა ქართული კაცო? ცალ-ცალკე ეს ორი ფაქტი ბერის არაფერს მეტყუებოდა. მაგრამ „თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ წერსო“, — ეს უკვე ლეგენდა გახლდათ.

იქნებ ამ ლეგენდაში ის აზრიც იყო ჩაქსოვილი ქვეცნობიერად, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზია რაღაც ისეთ სფეროებს არის ნაზიარები, რომელთა ხილვა სადაცა და ფხიზელ მხერას არ ძალუქს? ალბათ არც უამისობაა.

ხოლო ლეგენდას რომ დავეხსნათ და ფაქტების საყაროს დაუბრუნდეთ, გალაკტიონ ტაბიძის თავგადასავლიდან იმას თუ დავსახავთ ცოტათი უჩვეულო ამბად, რომ ამ კაცმა ცხოვრება ისე გაატარა, თითქმის არასოდეს უმსახურინა. სემინარიაში სწავლის შემდეგ, 1910-1911 წლებში, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, სოფლის მასწავლებლად გამწესდა მცირე ხნით, 1911-1912 წლებში ქუთაისში სხვადასხვა რედაქციებში მუშაობდა, 1922 წელს „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალს“ სცემდა. ეს იყო და ეს. ცოტათი უჩვეულოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს ხანაში, როცა მწერლობა პროფესიად იქცა, აღარც ის ამბავია მაინცდამაინც უჩვეულო, რომ მწერალი არსად მსახურობდეს.

დაბნ, ფაქტების გარეგნული მდინარების თელსაზრისით ამ კაცის ცხოვრება თითქოს არაფრით გამოირჩეოდა. იმ ზომამდე, მისი ბიოგრაფიის დაწერაც კი საბნელო საქმედ არის ქცეული¹. ოღონდ კაცის ცხოვრება ის ხომ არ არის მხოლოდ, თუ როდის სად ბინადრობს, როდის რომელ ბიოგრაფიულ პუნქტს

¹ მკვლევარ იოსებ ლორთქიფანიძის ნაშრომი (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბილისი, 1968) რომ არა, ის მუნწი ფაქტებიც არ გვეცოდინებოდა, რაც პოეტის ბიოგრაფიის ქარვას შეადგენს. წინამდებარე წიგნში გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიის ფაქტები და თარიღები ი. ლორთქიფანიძის ამ ნაშრომის მიხედვით არის წარმოდგენილი.

ეწვევა, როდის ვის ხედება, რას ვამს და რას სვამს. კაცის ცხოვრება მთლიანობაში მაშინ არის ჩვენთვის ცნობილი, როცა ამ ცხოვრებაში ფაქტებთან ერთად მისი ფსიქიკის, მისი სულის ასავალ-დასავალსაც ვიცნობთ ასე თუ ისე.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძის სულიერ ცხოვრებას ერთობ მკირედნი თუ იცნობდნენ სინამდვილეში. ის, რაც გარეგნულად ვლინდებოდა ან როგორც ვარგშენი აღიქვამდნენ (და შემდეგ ჩვენ ვუზიარებდნენ), არცთუ იშვიათად კარიკატურა უფრო იყო, ვიდრე ქეშმარიტობატი დიდი პოეტის სულისა.

გალაკტიონ ტაბიძეს ერთგან უწერია:

ის მალაღია, დიდია მაინც,
მისთვის მოხმის ზარების ზარი.

მეორეგან:
იგი დაფნის იყო ღირსი,
დიდი ცეცხლით იწვოდა

კიდევ სხვაგან:
იხიბებოდა სული დიადით,
როს სიზალღებებს სწევდებოდა არსი.

ამგვარი იყო თავიდაც: ზარების ზარის მსმენელი, დიდი ცეცხლით აღმოდებულა, სიზალღეთა მწვდომელი, რუსთაველის სიტყვები რომ დავუროთოთ — „ზემხედველი ცნობილ“ მფლობელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხშირად, ერთობ ხშირად არ ესმოდათ მისი, ალღოს ეგრ უღებდნენ, მის ნათქვამს უქედმართად აღიქვამდნენ ხოლმე.

მაგრამ, გარდა ამისა, ისიც კაცი იყო, „ადამის ტოთა“ შთამომავალი. მისი სული გამუღმებით კი არ ვლიდა ზესთა სფეროებში, გამუღმებით კი არ რეკდა „მისი ჰიმნები ვენი-ალური“. ზოგჯერ მასაც ეწადა ჩვეულებრივით, ყოველდღიურით, წარმავალი ტკბობა, ნუგეშის პოვნა, აღიარება, თუნდაც ფუჭი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება. ასეთ დროს შირვეულიც იყო, უმწეოც, ზოგჯერ სასაცილოც, ხანდახან ძნელად საგუებელიც. კომიკური იყო კონტრასტი, რომელიც მის სიდიდესა და მის წერილთან, ამაო ცხოვრებისეულ წყვეტებას შორის იქმნებოდა. რადგან ბავშვი იყო, დიდი, ახვანი, თანაც ზოგჯერ ცბიერი ბავშვი. 1921 წელსვე პოეტების მეფედ აღიარებულ კაცს ოცი, ოცდაათი წლის შემდეგაც რომელსავე სტუდენტურ ვაზეთში ამოკითხული ქების სიტყვები სწორედ ბავშვურ სინარულს ჰგვრიდა. მერე მოეჩვენებოდა — საყმარისად არ ვყო აღიარებული. ასეთ წუთებში გესლიანი იყო, დაუნდობელი. ხანდახან ტოტას თვალთმაქცობდა კიდევ, არტისტობდა, ქირქილებდა. „ძამიკო, — შევისიტყვებოდა ვისმე საგანგებოდ დაწვრილებული ხმით, —

საკვირველია სწორედ, ძამიკოა. მერე თავის ამოუცნობ, ჰიპნოზური ძალის მქონე თავლისფერ თვალებს შეანათებდა. თანაც ვინ არ იყო მისი მოსაუბრე — შემთხვევითი, ჭრელი ხალხი, დაწყებული ლუღხანაში აკიდებული მემთერალით და დამთავრებული მანიაკი კალმოსნებით თუ ვრაფომანებით, თავიანთი თავი სამყაროს ცენტრად რომ აქვთ დასახული და მაინც ასე სულმოსწრაფებულად რომ უყვარათ ცნობილ ადამიანთა გვერდით ამოტყანება.

ასე რომ, თუ გვსურს ვალაკტიონ ტაბიძის პიროვნებას მის მთლიანობაში მივიწვდეთ, ბიოგრაფიული ფაქტები და თვითმხილველთა მო-

ვონებები არ უნდა ვიგმაროთ, საამისოდ მთელი მისი შემოქმედება უნდა გავითვალისწინოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ფაქტებსა და მოვლენების ფონზე განვიხილოთ მისი ლექსები, არამედ სწორედ ამ ლექსებიდანაც ვამოვხედოთ ფაქტებსა და მოვლენებს, გარემოს, ესე იგი მათს შემქმნელსვე დავესწავლოთ მზერას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულის ბიოგრაფიაც მოვიწინოთ. მაშინ შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ვალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება უმდიდრესი ფერებით მოვლვარე გზა ყოფილა.

მე შევეცადე ეს წიგნი სწორედ ამ თვალსაზრისით დამეწერა.

„ეს იყო სახლი შაჰინის პირად“

*მოწმე იმ ყრმობის, კვლავ შუა ჟამთა,
სხვა მათათა შორის შევინის შუამთა.
მრავალთა წამთა სჯეროდათ, სწამდათ
ძველი შუამთა, კარგი შუამთა.*

საქართველო ორ შუამთას იცნობს. ერთი კახეთშია, თვალის სიხალღვეს, თავისი მონასტრით განთქმული, „ბაში-აჩუკით“ უკვდავყოფილი.

მორე იმერეთშია, ვანის (ოდინდელი საინოსი) დასავლეთით რამდენსამე კილომეტრზე. შუამთა სოფელსაც ეწოდება და მთის სახელიც არის. ამ მთის ძირას, რიონის ველზე გამწვანებულია სოფელი ჭყვიში, ძველად ტობანიერის თემში შემავალი. აქ დაიბადა ვალაკტიონ ტაბიძე 1891 წლის 5 (17) ნოემბერს.

საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, განუმეორებელი რომ ვერ ვუწოდოთ. ამ მხარესაც აქვს თავისი განუმეორებლობა.

ჯერ სერზე ავიდეთ, შუამთიდან მოვავლოთ მზერა პეიზაჟს. ჩვენგან სამხრეთით ხედი დაბნულია — დაღოს (ფერსათის) მთები მალღდება თანდათან. ჩვენს ჩრდილოეთით, ჩვენს ფერხთით იწყება რიონის ველი; პირდაპირ — ვრცელი ქალები, რიონს ვაღმა — სოფლები, სამტრედიის, ზონისა და წყალტუბოს სანახები, ოდნე მარჯვნივ — ათას მთაში შეუცდომლად გამოსარჩევი ხეამლი, მის ქვემოთ — ქუთაისის მიდამო, უფრო შორს — აჯამეთის ტყე; მარცხნივ და მარცხნივ — სამეგრელოს მთა-გორაკები; და ისევ ქალები, ქალები — ჰორიზონტის კიდემდე, რომლის იქითაც ზღვა გვეგულება. და მთელ ამ თვალსაწიერს აღმო-სავლეთიდან დასავლეთით ვასდევს კავკასიო-

ნის მთავრებილი — სივრცის ჩამკეტი და მომაუტმბათებული მწვერვალები.

ეს მწვერვალები სერიდან რომ დავეშვებით, მაშინაც ჩანს. მერე არე თანდათან დაიწროვდება, მაგრამ კავკასიონი მაინც იხილვება. რიონის პირს რომ მივტანთ, არც მაშინ ეფარება თვალს.

ვალაკტიონ ტაბიძის სახლი ზედ რიონის პირას იდგა, სოფლის კიდეზე. მდინარისპირა რაყე მოწმობს, რომ აღიღების დროს რიონი ეზოს უწყევდა ხოლმე, თითქმის სახლამდე შემოტობრდებოდა. მგონი ისიც მომხდარა, შიგ სოფელში შემოვარდნილა წყალი.

აქაური ლანდშაფტის ნიშანდობლივი თვისება: ფერთა სიუხვე და სიღბო. საგნები თითქოს ერთმორეში გადაიდგება, არსად — წახნავი, არსად — კონტურის სიმკვეთრე. კავკასიონის მწვერვალებიც კი განზავებულია ფერთა ლივლივში. მხოლოდ ნაწვიმარზე, ან კიდევე ზამთრობით — მოწმენდილსა და ყინვიან ამინდში გამოიკვეთება ცალკეული ქიმეზი და ხაზები.

შემწნეულია: მდინარის პირი აუხსნელსა და ამოუცნობ სევდას აღძრავს, უკიდევანო სივრცის მზერა თუ შორეულ მწვერვალთა ხილვა უსასრულობისა და მარადიულობისკენ მიმსწრაფ აზრებს ბადებენ. ჭყვიშელი მსწვლებლის — ვასილ ტაბიძის ოჯახში დაბადებული ყრმის ზვედრი იყო იმათეთვე ზიარებოდა ამგვარ სწრაფვას:

ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს, ჭაღების გაღმა
კავკასიონის კლდოვანი მთის მოჩანდა ფერად —
საღამომით — ვით ხომალდი ასწიოს ნაღმმა —
მზით ენთებოდა და ჰქრებოდა ტიტანის მყერდი.

ბავშვობიდანვე ის სიშორე მტანჯავდა ერთი,
ლაყვარდოვანი მიტაცებდნენ ნაჭერალები.
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, ვმღერდი თუ ვწერდი —
მდედრენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები.
რით შეაყენა ის ხომალდი გრძნეულმა დაღმა,
შენ არ იცოდი, ვერ გაიგე, ისე დაბერდი,
შემოიხვია მყუდროება ღრუბელთა ზღმა,
მოჩანდა ხვამლი — როგორც თრთოლა, როგორც ხავერდი,
როგორც უთოვლო ყმაწვილობის უღრუბლო ბედი,
როგორც შემდგომთა ქარიშხალთა ცივი ბრჭყალები,
როგორც სიცოცხლე, როგორც კუბო, როგორც იმედი —
მდედრენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები.
მთლად დამიმონა ცად ნატყორცნმა ლურჯმა წიაღმა,
ქაეროვნებამ საიდუმლომ დაფარა ჭედი.
თითქოს იმ მთაზე ისევ ისე ვწვევარ გულაღმა
და ვარსკვლავების დიდი წიგნის ყოველი გვერდი
არის თეთნულდი, არის უშვა, მთელი სვანეთი,
იმისი დილა და შუადღე მზით ნაალები,
მისი ხალამო ბინდთა ლურჯი ოკანეთი —
მდედრენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები.

შავრამ ყრმა მხოლოდ მდინარის პირს ხომ
არ უჭკვრეტდა და მარტოოდენ შორეულ
მწვერვალებს ხომ არ გამზერდა. სოფელში
ცხოვრობდა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურუ-
ლის ჩვეულებრივ იმერულ სოფელში. აქ სი-
მინდის ყანები ბიბინებდა, ვენახები იფურჩქ-
ნებოდა, ცაცხვები, მუხები, რცხილები, ნეკერ-
ჩხლები, ტირიფები და კობიტები შრიალებ-
და, ორობებებში საქონელი მობლაოდა,
მწვანე მოლზე ამპარტავანი მამალი დაიყინე-
ბოდა, ბუხრიდან ბოლი ადიოდა, სამზად სახლ-
თან წაბლის ნეშოში გამომცხვარი მჭადის სურ-
ნელი იფინებოდა, ოდის დაჩუქურთმებული აი-
ვანი სტუმარს მიელოდა, ხოლო ალაგეს მიმ-
დგარი თავსაფრიალი ქალი რაღაც სევდანარევი
ხმით გასმახოდა სივრცეს:

— ვიორგია, უ-უ-უ!
ეზოში ბავშვები ეფერებოდნენ ბოჩოლას,
შარაზე ურეში მიჭრიალებდა და ცხენი მითო-
ხარიკობდა.

— როგორ გკითხვით, იროდი ბატონო?
— გახლავართ გვარიანად, ჩემო ბატონო.
— კაი დაგეშართათ.
მიხვრა-მოხვრა — დახვეწილი, ქცევა—კის-
კასი, ვარჯა—ზრდილი, თავის დაქერა—ლირ-
სებით სავსე, ხმა — რბილი და მოალერსე,
სახე — სათნოება, თვალები — სიყეთის სხი-
ვი და შეფარული ნაღველი...

მოსალამობულზე ჩამავალი მზის სხივები
ჩუქურთმებიანი აივნიდან კიბეს დაეფინებოდა
და ოქროს კანკელს ემსგავსებოდა. ბოსტნის
კარებთან ბელურა უთვალთვალებდა შურიან
კატას, ქათმები ხეზე შეიბუღრებდნენ, ღია კა-
რეში კვართი დაგხნებული ცეცხლის ნაპერ-
წყლები ჩანდა, ძველი ქიშკრის კარბაზე ხავს-
მოღებული ყაერები გამუქდებოდა და რიონის
სანაოც ბინდში იწთქებოდა.

შემოდგომით — აჩალულ ჭალებში ქარის
ჯუჯუნეი, ზამთრობით — მგლის მოვარდნა და
საქონლის გატაცება.

და მაინც: მყუდროება, უღრტინევილი ყო-
ფა, სიეთეგამყდარი, ნეტარებით განხავებუ-
ლი გარემო, ესოდენ ძვირფასი, შეუღვეელი
და დაუვიწყარი.

ესოს ახსოვს ყოველ წუთის
შარაგზა და გადაღმა.
ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,
ცაცხვები კი გადახმა.
და ტირიფიც მაღლარ მტყენით,
სასაცილო ტირიფი,
გადახრილი ზედმიწევნით,
მსუბუქი და ირიბი.
დაფენილი თითქოს ოშში
ფშანია თუ ფალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.
ალუბლები. ისევ ქერიან
სვედანნი სიონი.
და სახელად რიონს ქქვიან
ისევ იგი რიონი.
ისევ ჩნდება მწყვრით ველი,
ლაღდა თვალს ეცეცება.
დამღამობით მოდის მგელი
და საქონელს ეცეცება.
დარჩენილი მინდვრად ჩალა,
დანისლული კოპიტი.
განადგურდა მეფის ჭალა,
ჩრდილი შემოდგომითი...

ამგვარი იყო გარემო.
და ყოველ წამს დაუნაწევრებლად, ერთ
მოლიანობად აღიქმებოდა: დაფიქრებლად ცაშმა-
წყობელი მდინარისპირის სვედა, გონების დამ-
კარგინებელ მშვენიერებად მოველნილი შო-



რი მწვერვალები, უსასრულობისაკენ, მარადიულობისკენ მშობელნი, და მშობლიური სოფლის სიცოცხლის ფეთქება.

ეს ყოველივე ერთი იყო, განუყოფელი, და ყოველსავე ამას სახელად ერქვა: ბავშვობა. პარმონია. სიკეთე.

„მამაჩემი გარდაიცვალა ძლიერ ახალგაზრდა... მე არ მახსოვს ის იმ უბრალო მიწეზის

გამო, რომ დავიბადე მამაჩემის გარდაცვალების ბიდან შვიდი თვის შემდეგ. მან დაგვიტოვა ჩვენ: სახლი მდინარე რიონის პირად, „მეფის ქალა“ მდინარე რიონის ვაღმა... და საკმაოდ ვრცელი წიგნთსაცავი XVIII და XIX საუკუნის წიგნებით.

მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“.

„მშობლიური ეშვებრა“

რა კარგი იყო ქურა ბალახენის, ხმები ისმოდა მრავალი არღნის. არ იყო მაშინ ავტომობილი, არცა ძახილი მუღის ქარხნის.

„ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“ დიდხანს ვერ გავრჩელობდა. ვალაკტიონ ტაბიქესა უნდა გაველო იგივე გზა, ათასობით ქართულ ინტელიგენტს რომ გაუვლია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცის დასაწყისში: ჭერ სოფლად ცხოვრება, შემდეგ — ქუთაისისა თუ თბილისში სწავლა.

აქ მეიხვედრებს მოვავიწყებ ერთ ამბავს, ალბათ უჩემოდაც კარგად რომ მოეხსენებათ. ევროპის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენ ბედს არ გავუნებობიერებთ დალაგებული და აწყობილი ქალაქური ყოფით. ოდესღაც აყვავებული ქართული ქალაქები დამბყრობელთა უსასრულო შემოსევების შედეგად ან სულ აღიგავა მიწის პირისაგან, ან ისე განადგურდა, რომ კარგახანს ვეღარ გასწორდა წილში და სული ვეღარ მოითქვა.

ასე რომ ჩვენმა ქალაქებმა ვერ შემოვივინახეს ისეთი ოჯახები, არამეტუ საუკუნეობით, რამდენიმე ათეული წლობით მაინც ქალაქის მუღშივე მკვიდრნი რომ ყოფილიყვნენ. იმხანად კი არა, დღესაც თითებზე ჩამოითვლებიან ის პირნი, რომელთა წინაპრებს ქალაქად ცხოვრების ასი-ასორმოცდაათი წლის ტრადიცია მქონდეთ.

მაგრამ ქვეყნის ცხოვრება ამგვარ ვაკუუმს ვერ მოითმენდა. ისევ თბილისის მაგალითს რომ მიეუბრუნდეთ, ქალაქი ან სხვებს უნდა დარჩენოდეთ, ან ქართველობას უნდა შეეგოს სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და გვინებ ჟერაც არ დასრულდებულა.

ამასთან, ამ პროცესს ერთი ძალზე ნიშანდობლივი თვისება ახლდა: ერის ძველთაძველეს კულტურულ ტრადიციათა მეოხებით, სოფელ ადგილიდან მოსულ და ქალაქად დამკვიდრებულ პირთა პირველივე თაობა სრულფასოვან ინტელიგენციად იქცეოდა ხოლმე. თუ გავიხსენებთ იმ მოღვაწეებს, ჩვენი საუკუნის ათიანსა და

ოციან წლებში ქართული კულტურის წინამდგომად რომ მოგვევლინენ, ვნახავთ, რომ მათი უმეტესობა სოფელში დაიბადა და სასწავლებელში შესვლამდე იქვე იზრდებოდა.

არც ვალაკტიონ ტაბიქე ყოფილა გამონაკლისი: რვა წლამდე სოფლად იზრდებოდა, მერე კი ქუთაისის გზას გაუყენეს — ერთკლასიანი მოსამზადებელი სკოლა გაატარეს და სასულიერო სასწავლებელში ჩარიცხეს.

ადგილი სათქმელია: ქუთაისის გზას გაუყენეს. ოცი-ოცდაათი კილომეტრით დაშორებული სოფლიდან ქუთაისის ჩასვლა იმხანად უჭრო რთული პრობლემა იყო, ვიდრე დღეს იმავე სოფლიდან მოსკოვს გამგზავრება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიხსნათ, როგორი იქნებოდა ეს მგზავრობა.

1899 წლის ზაფხულის მიწურულს ვასილ ტაბიქის ქვრივი მაკრინე ადგიმშილი ერთ მეზობელთან გადავიდა და თავისი გასაკვირი აუწყა: ბიჭი მყავს ქუთაისში მსაყვანი, იქნება ერთი დღით ურემში მომახზაროთ, რასაც მიბრძანებთ, ქირად მოვათმევთო. მეზობელი — პლატონი იყო, დიომიდე თუ პარმენი — ქვრივი ქალის სიტყვებმა დიდად გაანაწყენა: როგორ გეკადრება, ბატონო, ქირა რა ბრძანებაა, ოღონდ ბავშვი სასწავლებელში მივაბაროთ და ამისთანა მცირე სამსახურზე როგორ დაგზარდები, აგერ მე და აგერ ჩემი ურემი, ღმერთო კი მომარად, მეზობლისთვის ხელის ვაწყობა თუ ვეღარ შევიძელიო. მეორე თუ მესამე დღეს, ალონზე მეზობელმა ურემი გამართა, ფრჩხილზე სანის ასაქმებლად გამოთლილი მოხერის რქა ჩამოჰვიდა, ხარვეთ — ეთქვათ, ნიკორა და წაბა — შეუბა და ტაბიქეთა ეზოს მიაყენა. აქ ურემი სიმინდის ფქვილისა და ლობიოს ტომრებით დატვირთეს, ყველით, მჭადებით, საგანგებოდ ამ დღისთვის დაკლული და შებრაწული მოჩოთებით ავსებული კალათიც

რეპაზ თხარაძე

ლიბანდა ბალახტიონის ცხოვრებისა



ურმის ქალს მიაყრგს, პატარა ბიჭი მეურმის გვერდით კოფოზე შეასკუბებს, უკან, ხარების საგზულად წამოღებულ ნედლ ჩალაზე დედამისი მოთავსდა და დაიძინა. კომიტარის სანაო შორს არ იყო. აქ ურემი პორანზე შეაყენეს, რიონი გადავლეს და გველით თუ პატარაყვითის გზას გაუყვნენ. სამხრობისს ან ნასამხრალზე ტობანიერელი ყმაწვილი უკვე ქუთაისში იყო, იმ ბარობაზე დიდ რამე ცენტრად მიჩნეულ ერთსართულიან ქალაქში.

ოღონდ, რა თვალთაყ უნდა შეგხედოთ იმ ქალაქს დღეს, ერთი რამ ყველამ ვიცით ალბათ: ჯერაც ერთსართულიან ქუთაისს უკვე ჰქონდა ის განუყოფელი, შეუდარებელი კოლორიტი, ცხოვრების თავისებური რიტმი და ინტიმი, რომლებიც თავს არასოდეს დაგავიწყებენ, თუნდაც ერთხელს მეტად არ გენახოთ იქაურობა. ის კოლორიტი, ის რიტმი და ის ინტიმი დღემდე შემორჩა ქუთაისს. რაღა თქმა უნდა, ჩვენ, გარეშენი, ყოველგვ ამის შესახებ უფროსთა მონათხრობის, წიგნებში ამოკითხულისა და თვით ამ ქალაქში დროდადრო სტუმრად ჩასვლის საფუძველზე თუ ვისაუბრებთ. მაგრამ არის კიდევ რაღაც მოუხელოებელი სულიერი თვისება, ათას კაცში შეუძლომდოდ რომ გამოგარჩევიანთ ქუთათურ ხასიათსა და მსოფლმეგობრებს, არის რაღაც სულიერი ლანდშაფტი, რომლის გზნება გარეშე კაცსაც მშობლიურად მიგაჩნევიანთ ამ საკვირველ ქალაქს.

ვისთვისაც ხსენებული სულიერი ლანდშაფტი მიუწვდომელია, ვერასოდეს გაიგებს, რით ხიზლავდა ასე ძლიერ ეს ქალაქი, ვთქვათ, აკაკი წერეთელს. მხოლოდ იმით, „სავარდო და სამაისო“ რომ იყო, ლამაზი სანახები რომ ჰქონდა? ან იქნებ ღუქანთა, მოქვიეთა და ქუჩაში გამოყვნილ არღანთა სიმრავლით? თუ კულტურული ცხოვრების ინტენსივობით (სასულიერო სასწავლებელი და სემინარია, გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, დროდადრო თეატრალური წარმოდგენები და საჯარო ლექციები, განთქმული ბულვარი, სათავადაზნაურო ბანკი...) ვისთვისაც ხსენებული სულიერი ლანდშაფტი მიუწვდომელია, ვერც იმას ჩახვდება, რამ ათქმევინა ცოტათი მოგვიანებით იმავე გალაკტიონ ტაბიძეს: „ისიც იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი“.

მაგრამ გარეგნულ ფაქტებს თუ დავემყარებთ, იმდროინდელი ქუთაისის და მისი შემოგარენის ცხოვრება ერთობ უფერულად, უღიმღამოდ, ყოველგვარ სულიერ საწყისებს მოკლებულად მოგვეჩვენება.

გადაფურცლოთ 900-იანი წლების ქუთათური გაზეთები.

„ქუთაისი ღარიბი ქალაქია. უმცირეს მოთხოვნილებას მოქალაქისას ქალაქის თვითმარტებლობა ვერ აკმაყოფილებს“.

„ქუთაისიდან 5 ვერსზე, მდ. რიონის მარჯვენა პირდავლიკური სადგური აშენდებდა, აქ უმცირეს იმედი უნდა ეიჭონოთ, რომ მომავალ შემოდგომაზე ქუთაისის ქუჩები ელექტრონით განადგება და იმ წყვილადს ასცდება მოქალაქე, რომელიც ეხლა სუფევს ქალაქის ქუჩებში“.

„საქირობა საჯარო ლექციებისა ქუთაისში დღია — ამას მოწიბობს ის გარემოება, რომ თითო ოროლა ლექციამ, რომელიც ქუთაისში გაიმართა, საკმაო ხალხი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა მოიზიდა“.

„10 თებერვალს ქუთაისის ქართულ დრამატულ საზოგადოების დაამუშავებულ მოახდინეს თანამგრძობელთა კრება. უამინდობისა და ჩვეულ გულგრილობის გამო კრებაზე 25 კაცამდე გამოცხადდა. შეკრებილთ ისევ ის არჩიეს, რომ მეორედ მოხდეს კრება, რაზედაც გაზეთებში იქნება განცხადება დაბეჭდილი“.

„მგონი ისეთს ქალაქს ვერა ნახავთ, რომ ქალაქის თამაში ისე იყოს გავრცელებული, როგორც ქუთაისშია. ლექცებში ყოველთვის იკრიბება ხალხი ქალაქის სათამაშოდ“.

„20 აპრილისათვის დანიშნული ქართული წარმოდგენა, უამინდობის გამო, გადაიდო სხვა დროსთვის. ამ დღეს წარმოსადგენად დანიშნული იყო „მანუჩი 2 მოქმედებისანი პეისა ტესაკაო“ და ერთი მოქმედება ახალგაზრდა მწერლის მ. დინის პეისიდან“.

„10 ივლისს ძველი თფილისის ქუჩაზე დღის 4 საათზე მედროვე ნიკოლოზ სინათაშვილს დასთვა პირველი საპოლიციო ნაწილის გოროდოვი მამედ კარბალაი-ოღლი — მან მედროვეს სთხოვა დროგზე დაესვა, რასაც უკანასკნელი არ დათანხმდა. გოროდოვიმ რეკოლვერი ამოიღო და სროლა დაუწყო. მედროვემ გაქცევა მოასწრო, ტყვეები მოხვდა იქვე შემთხვევით მომავალ მეორე მედროვის ცხენს. გოროდოვი ბესარიონ იაკობაშვილი, რომელიც მიეშველა — ხელში დაიჭრა. მამედ კარბალაი-ოღლის განცხადებით, ის მთვრალი ყოვილა“.

„ს. დიშის მცხოვრებს, აზ. ავაბო ჩინჩალაძეს, პირველ ივლისს მუშები ჰყავდა სიმინდის დასამუშავებლად; მოგახსენებთ, იმერეთში ჩვეულებადა აქეთ მუშას კარგი მასპინძლობა გაუწიონ. ჩინჩალაძესაც არ დაურღვევია ეს ძველი ჩვეულება და თავის მუშებისათვის კარგი ვახშამი დაემზადებინა. სტუმრები და ოჯახში მყოფნი მზიარულად შეეკვიდრნენ თურმე ვახშამსა და მრავალ ვამიერის დილინით სადღეგრძელოებს მიირთმევდნენ. როცა კარგად შეზარხოშდნენ, მასპინძელმა, ავაბო ჩინჩალაძემ, საუბედუროდ, კედლიდან თოფი ჩამოიღო და სინჯვა დაუწყო. თოფი გატენილი გამოდგა, მოულოდნელად დაეცალა ხელში და იქვე მდგომს თავისს ბიცოლას ვარდინინს მოჰხვდა ტყვია მკვალში. დაჭრილი იმ დღესვე ბნ სამოსს თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს ქუთაისში“.

„სინოღმა განმარტა, რომ ახალგაზრდა მას-



წავლებულ ქალებს ნება ეძლევათ იმასწავლებ-
 ლონ გათხოვების შემდეგაც, თუ კი მათ ავად-
 მყოფობამ და სხვა ვარგობებმა ხელი არ შეუ-
 შალა მეცადინეობაზე“.

„რედაქციამ მიიღო არაპირის ბუფეტის მო-
 სამსახურებში შეგროვილი 30 მანეთი — კაიო
 წერეთლის, გერასიმე მახარაძის და ვასილ კე-
 ქერაშვილის გადასაცემად. ფული დანიშნულე-
 ბისამებრ გაეგზავნათ“.

„12 მარტს ნიკოლოზის დუქნებზე მოულოდნე-
 ლად გაჩნდნენ ლანჩხუთის დარაჯები და და-
 ბატუსაღეს ორი მოქიფიყენი ვიღაც ცალოვარე და
 ქუთისი. დროა მოქიფიყეთა თარეშს ბოლო მოე-
 ლოს“.

„ამ დღეებში ბ. მელიამ (ქართველი მწარმო-
 ბელია ნაფიცრალი) ერთი მუშა დაითხოვა
 იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა ზედმეტად საათე-
 ბი არ იმუშავა. მუშათა კომისიამ მას დათხოვის
 მიზეზების განმარტება მოსთხოვა. ბ. მელიამ პა-
 სუხის ვაცემის მაგიერ, უზრდელათ მოეპყრა
 მუშებს“.

„სამშაბათს, 8 აპრილს, ქალაქის თეატრში
 ქართული წარმოდგენების მართველ წრის მიერ
 წარმოდგენილმა „ბატონი და ყმა“-მ სუსტათ
 ჩაიბრა. საზოგადოება ცოტა დეესწრო“.

„გუშინ ქალაქის თავს თხოვნით მიმართეს
 ქუთისის მეღვინეებმა. ისინი უკმაყოფილონი
 არიან იმიტ, რომ ღამის 11 საათზე დუქნებს
 აკეტინებენ“.

ახლა ისიც ვნახოთ, წიგნის მაღაზიები რას
 აწვდიდნენ მკითხველს ცხრაასიანი წლების დამ-
 დეგს.

„ვარსიყიანი. ძველებური სპარსული მოთხ-
 რობა. სპარსულიდან ნათარგმნი, გადასწორებით
 მ. ახაბტელოვისა. ტფილისი, 1899“.

„ახალი ხათაბალა და ლექსათ ნათარგმნი მი-
 ცვლებულის მოთხრობა და სხვა და სხვა ლექ-
 სები და შემდეგი რაჟის ლავერის ლექსი. თქმუ-
 ლი და შედგენილი ვასილ ივანეს ძე ნასრაძისა-
 გან. ტფილისი, 1899“.

„ალექსანდრ-ლუდვიკიანი (მშობილთ სიყვა-
 რულის სურათი). სასიამოვნო საკითხავი და სი-
 მართლის ბოლოკეთილია. შედგენილი მ. ახა-
 ბტელოვისაგან. ტფილისი, 1900“.

„საარსყო თაივლო. ლექსები და მუხამბაზე-
 ბი. შედგენილი მ. ახაბტელოვისა. ტფილისი,
 1900“.

„სრული სიზმრის აღსნა. ანბანითა და მთვა-
 რით. დამატებული მკითხაობა პურის მარცვლი-
 თა ანუ ხელთ, ეტლის წიგნი, ასოთ სამღერა-
 ლო და კვიბატი დღეები. მეთვრამეტე გამოცე-
 მა. შედგენილი მ. ახაბტელოვისაგან. ტფილისი,
 1900“.

„მესხი დ. გასართობი იმერული სცენები
 პროზათ და ლექსათ. ქუთისი, 1900“.

„შეშლილი (დრამა-პოემა), ივანე ნუტუაშვილის
 (გოჩა-ქახიშვილისა). წიგნი მეორე. ქუთისი,
 1900“.

„მოლა მასრადინის მოქმედება. დროების გა-
 სართობი საკითხავი წიგნი. დამატებით მეოთ-
 ხე გამოცემა — მხიარული მისანიძელი. შედგე-
 ნილი მ. ახაბტელოვისაგან. ტფილისი. გამოცე-
 მული მის მეუღლის ლიზა მარჩანოვის მიერ.
 1901“.

„ბუზა. წვლილი ლექსები ა. ზნელიძის. ქუ-
 თისი, 1902“.

„ძამუკოვი გურჯ. ლექსები. თბილისი, 1902“.

„სიმღერები და ლექსები, თქმული მაცაქან
 წითლაიშვილისაგან. ტფილისი, 1902“.

„ანგდოტები თბილისელ კონტოზე. თარგმნი-
 ლი რუსულადგან. თბილისი, 1903“.

„გაგუა ლალი — ვერა, ნაღებოა, ლობოვი
 (რწმუნა, სასოება, სიყვარული). ფოთი. 1903“.

„არკადის სადილი. სცენები ჩვენი ვაჭრების
 ცხოვრებიდან სამს სურათად. ნიკ. ვალუსტოვი-
 სა. თბილისი, 1903“.

„მეკრინე ყლაპიშვილი. მოთხრობა ზალხის
 ცხოვრებიდან ვასო თუმანიშვილისა. თბილისი,
 1903“.

„მოლა-მასრადინა. ვალექსილი. შედგენილი
 და გამოცემული ალექსანდრე შახ-ბარათოვისა.
 თბილისი, 1903“.

„ჯიბგირი ვარ და სხვა რამოდენიმე ლექსი
 ანტონ ვანჯის-კარელისა. თბილისი, 1904“.

„ქეთო და ვანო. თხზულება ერმ. ნიკ. გოგავა-
 სი. ქუთისი, 1904“.

„ახალი თათრული შიქსტები და ქართული
 სიმღერები. სხვადასხვა დროების გასატარებელი.
 შედგენილი და გამოცემული ვანო ესალოვისა-
 გან. დამატებით მეორე გამოცემა. ტფილისი,
 1904“.

„ქალ-ვაჟის მიწერ-მოწერა და სხვადასხვა
 ლექსები. შეხუთედ გამოცემული ლ. ახაბტელო-
 ვისაგან. ტფილისი, 1904“.

„შვიდეზირიანი ანუ არაკნი შვიდი ბრძინსა.
 ნათარგმნი მიხეილ ახაბტელოვისაგან. ტფილისი,
 1904“.

„ცხოვრება და სიყვარული. თანამედროვე რო-
 მანი მოზრდილთათვის ვიორჯი ჩარხიშვილისა.
 ნამბობი ჩიჩუა ჩიბუხოვის მიერ. ტფილისი,
 1904“.

„ქრისტე აღსდგა! ახალი ლექსები გურჯ ძა-
 მუკოვისა. ტფილისი, 1904“.

„ახალი სიმღერები და ვოდელია რანუნი,
 თქმული მაცაქან წითლაიშვილისაგან. ტფილი-
 სი, 1904“.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამავე წლებში
 ილიას, აკაის, ვაჟას, ყაზბეგისა და დავით კლდო-
 აშვილის მხოლოდ თითო-ორჯოლა წიგნია გამო-
 ცემული.

რამაზ თხარაძე
 ლეგენდა გალაბრიონის ცხოვრებისა



ამგვარი იყო ცხოვრების გარეგნული მდინარების სურათი. მაგრამ იყო სხვა ცხოვრებაც, სულ სხვა იმპულსებით ნასაზრდოები შინაგანი რაობა თუ მეობა — გაუწაფავი თვალისთვის ძნელად შესამჩნევად ან სულაც შეუშინებელი, შინაურისთვის კი იმდენად უშუალოდ მოცემული და თავისთავად ნაგულისხმევი, გენიოსის მეტი ვერაგინ იაზრებდა, რომ სწორედ იმ დაფარულ შინაგან საწყისთა წვდომად და მათთვის შეგრძნებადი ფორმის მიცემა იყო თავი და თავი საქმე. ბორობანმა ხემ, ასევეტლმა ჯარაფმა თუ ლაუვარდმა ზეცამ არაფერი უწყიან თავიანთი მშვენიბისა; არც შევს, ვეფხვა თუ არწივს მოსდით აზრად, რაოდენ მომხიბველობას არიან ზიარებულნი; საჩოთირო მოსასმენია, მაგრამ ერსაც იგივე დაეპაიოთა გარკვეული დროის განმავლობაში, ვთქვათ, რუსთაველის ეპოქის შემდეგ: საკუთარი თავის ცნობა დაკარგა და სიზმარულ ყოფას მიცემული ვეღარც ზედებოდა, რა საგანძურის, რა ფსადუღებელი სიმდიდრის მფლობელი იყო. ვეღარ ზედებოდა, რომ ცხოვრების საზრისის მოსაპოვებლად გარე-გარე სიარული და მეჩირობა კი არ მართებდა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ საღინარის მიცელება თუ აღდგენა, რომლის მეოხებითაც სრულად გამოვლინდებოდა მისი ნამდვილი ბუნება — ღირსებით მოსილი სიკეთე, ინტუიტური არწმუნა ამ სიკეთის ზეობისა, აღამიანთა მოყვარული დამოკიდებულება, სამყაროს სათნოდ აღქმის ნიჭი, იმის უნარი, რომ შეუდრეკელად მოიხილო არსებობის უფსკრულები და თუნდაც რეფლექსიის მოუშველებლად შეინარჩუნო მხნეობა, სიხალისე, კაცური კაცობა. სწორედ ამგვარი სულიერი რაობის უქცეველი ფორმულები გამოკვეთა რუსთაველმა. ამასვე მი-სწვდნენ გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი... ოლონდ ყოველივე ამის შესაცნობად და გასა-ზრებლად გაცილებით საფუძვლიანი წერტნა და მომზადება იყო საჭირო, ვიდრე იმდროინდელ საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისში ხერხდებოდა.

მიამიტ ქუთაისელს მსგავსი ამბები აზრდაც არ მოსდისოდა. იგი ცხოვრობდა და სრულად ანგარიშშიუცემლად აღასრულებდა უმშვენიერეს მისიას — კაიკაცობას, ეს გახლდათ ზემოთ ნახსენები სულიერი ლანდშაფტის უმთავრესი კონტური. ეს სულისკვეთება დაპბრუნვდა თავს ქალაქს. მისით სულდგმულობდნენ ოჯახებში, მისით ითქვამდნენ სულს ქუჩაში მდგარი მოსახლებრნი თუ დუქანში მსხლომი მენიხენი.

მაგრამ ზუისქვეშეთი იმნაირად არის მოწყობილი, რომ ვერანაირი სულიერი რეალობა ვერ იქცევა თავისთავში დასრულებულ პარმონიდ, თუკი შესატყვისი ფორმით არ გამოვლინდა. ხოლო ქართველ კაცს დიდი ხნის, მრავალი საუ-

კუნის წინ დაუკარგეს თავისი მეობის ერამცხუ სრულად, თუნდაც ნაწილობრივ გამოვლინებული შეალება. და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო საძნელო საქმედ ისახებოდა ხსენებული სულიერი რეალობის შესაბამისი ცხოვრებისეული ფორმის მიკვლევა. არსებობდა ელემენტური დენი, მაგრამ არ მოიპოვებოდა დახვეწილი სადინარი, რათა ეს ძალა ჩახჩახა სინათლედ დაფრქვეულიყო; ნაცულად ამისა, დენი ჯართის გროვამი იყო მიშვეებული — დაახლოებით ამგვარად შეიძლება წარმოვისახოთ ვითარება.

არადა, ამგვარ ვითარებას მუდამ პარმონიულობისკენ მიმსწრაფი ბუნება ვერასგზით ვერ ეწყობოდა. ქვეშეცხეულად ყველანი გრძნობდნენ, რომ რაღაც დაპკარგოდით, ხელიდან წასვლად, უღმერთოდ გამოცევილი დარწმუნო-ყენენ. რაღაც — უმთავრესის, უპირველესის, არსებობის შესატყვისი, მისი გამომზატველი და გამამთლიანებელი. ეს არ იყო სახელმწიფოებრიობის დაკარგვით აღძრული ტრაგიზმი. ტრაგედია გაცილებით ადრე შეიძინა საცნაური, ტრაგედია ერისა, რომელიც შესატყვისი ცხოვრებისეულ ფორმას ვეღარ უძებნიდა საკუთარ არსებას. ხოლო ძებნით გაფაციცებული, დანატრული ეძებდა, მეთუქვსმეტე საუკუნიდანვე, თუ უფრო ადრიდან არა; ხან საკუთარი დავიწროვებული პერანგის მორგებას ცდილობდა, ხან ძველმანებნისმარა დარჩენილ აღმოსავლეთს აპყრობდა ვანწირულ მზერას, ხან კიდევ ზეიად დასკვდნენ. ათასნაირ სამოსელს იზომებდა, რათა მალევე დარწმუნებულიყო ერთის უმაქნისობაში და ახლა მეორისკენ გაფუვიდნა ხელი სიზრმავემძამლებულს, თავგზაურულს, შენიერის სინდრომით შეპყრობილს. სწორედ ამის თაობაზე თქვა გალაკტიონ ტაბიძემ სულ უკანასკნელ ხნის:

რად ვგოთ სხვას ფინადზად? —
არის ქართული ანდაზა:
თურსაშულის პატრონი
ტყეში ეძებდა პანტასა.

მაგრამ ეს უქვე დაბრძენებულმა თქვა, ხანდაზმულმა, როცა საქმის არსებას ძირაზღე ჩასწვდა და გაისიგარგებანა.

ხოლო ჩვენ ჯერჯერობით რვა წლის ვალაკტიონს ვახლავართ გვერდით, მასთან ერთად შევედით ქუთაისში 1899 წლის შემოდგომაზე და მასთან ერთად მრავალი რამის შეცნობა მოგვიწევს კიდევ.

უწინარეს ყოვლისა, ის ამბავი არ უნდა დაგვრჩეს შეუმჩნეველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდთა მამულიშვილთა და მათ შემგვიდრეთა ღვაწლს ამოდ არ ჩაუტლია. ერი იღვიძებდა მრავალსაუკუნოვანი ტანჯული და შფოთიანი ძილისაგან. ერი ფხიზლდებოდა. მართალია, თავისი ბუნების, მეობის შეცნობისაგან ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო, მაგრამ იმას კი ზედებოდა, რომ სულისშემხუთველი პო-

ლიტერტური და სოციალური არტახებისგან განთავისუფლება მართებდა თუნდაც დგებოდა ახალი ეპოქა, მეოცე საუკუნე, ადამიანის თავისუფლებისთვის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დასაწყისის დიდი საუკუნე.

და, ამასთან ერთად, იგრძნობოდა კიდევ სხვა რაღაც. ძალზე ნიშანდობლივი რამ: ერი იმასაც ხედავდა, რომ, ვიდრე ხელს გამოიღებდა, საბრძოლველად შეიმაჩთებოდა, უეჭველად უნდა ამოეცო მრავალსაუკუნოვან წყველად დაყოლილი ხარვეზი — ინტელექტუალური ჩამორჩენილობა; რომ ყოველგვარი ბრძოლა განწირული იქნებოდა მანამ, ვიდრე სრული ძალით არ გამოაშუქებდა ქართულთა გონება — აზროვნების ევროპულ; უმალეს ეტალონებთან გათანაბრებული, განათლების გლობალურ მასშტაბებს ზიარებული.

უმთავრესად სწორედ ამან განაპირობა ახალგაზრდობის რაღაც გუგუნარი მასშტაბებით მიწყდომა სასწავლებლებისაკენ, ამანვე განსაზღვრა მისწავლების ვადამკეცვა ერთ უსაჩინოეს პიროვნებად ქალაქსა თუ სოფელში. ასე რომ ცხრაასიანი წლებიდან, თუ უფრო ადრიდან არა, ქუთაისში უკვე გამოჩნდა დასველილი ინტელიგენცია და საკმაოდ გონებაგახსნილი მოსწავლე ახალგაზრდობა — ის ხალხი, ვინც შემდეგ, ათინსა თუ ოციან წლებში თითქმის მთლიანად თბილისს გადმოსახლდა და ერთბაშად სულ სხვა ენერჯით ააჩქევა ჩვენი დედაქალაქის გვარიახალ მოღუენებული და ამღვრეული სისხლი.

ამგვარ გარემოში აღმოჩნდა უცბად პატარა სოფელი ბიკი. „გაფრინდა ბავშვობის დღეები, მინდვრები, ჰალები, ტყეები“, — როგორც თავადვე თქვა შემდეგ. ბავშვობა ფაქტიურად აღმთავრდა.

არ არსებობს ადამიანი, მით უფრო არ არსებობს პოეტი, რაღაც არაჩვეულებრივი სინანულით რომ არ იგონებდეს ბავშვობას, უაღრესად მტკივნეულად რომ არ განიცდიდეს მასთან დამშვიდობებას, თუნდაც ერთბაშად გაუბარეო და სეგამწერებულად ჰქონოდა ის ბავშვობა.

ამ უცნაურ მოვლენას მრავალნაირი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. ერთი მათგანი ამგვარი იქნება: ადამიანი ბუნების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც მინერალი, მცენარე და ცხოველი. მხოლოდ ბუნებასთან სრულ პარმონიაში ყოფნისას შეუძლია მას გამოავლინოს თავისი ნამდვილი არსება და განახორციელოს თავისი ჰეშმარტი მისია. სწორედ ასე პარმონიულად არის ადამიანი ბუნებასთან შერწყმული ბავშვობისას, ვიდრე მისა გონება ამოქმედდებოდა. ხოლო გონების ამოქმედებასთან ერთად პარმონია ნელნელა ირღვევა, ბოლოს სულაც ჰქრება და შემდეგში უაღრესად საძნელო, თითქმის შეუძლებელ საქმედ იქცევა ხოლმე ამ პარმონიის

აღდგენა. რადგან შემეცნება პარმონიულ არსებობაში აცლევს მრავალ ისეთ წინააღმდეგობას თუ შეუსაბამობას (პიროვნულს, ბიოლოგიურს, ოჯახურს, სოციალურს, ეროვნულს, პოლიტიკურს, საკაცობრიოს, კოსმოსურს, მეტაფიზიკურს...), რომელთა ახსნა, წვდომა და მოგვარება სრულიად შეუძლებელ რადმე ისახება. საბოლოოდ საჭიროა ისეთი „მაღალი და მაღალ მხედლი“ გონება (რუსთაველის სიტყვებია), რომელსაც კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა პრაქტიკულად ვერასდროს ვერ იძენს. მხოლოდ ამგვარ მაღალ გონებას ძალუძს კვლავ პარმონიულ მთლიანობად შეიცნოს სამყარო, არსებობა, სიცოცხლე. ამგვარი გონების მქონეთ ჩვენ გენიოსებს ვუწოდებთ და ისინი, როგორც ვიცით, არც ისე ხშირად ევლინებიან ქვეყანას.

ამიტომ მისტიკის ყოველი კაცი თავის ბავშვობას — დაკარგულ პარმონიას, დაკარგულ მთლიანობას, მთელ სამყაროსთან ერთობას, გამოყოფილ არსებობას, რომელიც „არასდროს აღარ განმეორდება“. აღარ განმეორდება, რადგან ეს არის დიფუზიური მთლიანობა, ხოლო კაცი საიმისოდ არის მოწოდებული, რომ არსებობის ეს საფეხური დაძლიოს და მისწვდეს უფრო მაღალ მთლიანობას, მაღალ პარმონიას — სინთეზურს, სადაც აზროვნება, გონება, შემეცნება მთლიანობისადმი დაპირისპირებული, მისაღამხეტი რამე კი არ იქნება, არამედ პირიქით — ჰეშმარტი პარმონიის საფუძვლის და აღიქმული პირობა. მაგრამ ქვედა საფეხურის დაძლევისა და ზეაღსვლას მუდამ ტყვილი და ტანჯვა ახლავს და ყველა რადი უფიქრდება იმ ამბავს, რომ ეს არის ზრდის ტყვილი და ტანჯვა. ჰუქუთა ბავშვის მუცლის ტყვილივით წარბაზალი და განჭარბებადი, ფაქტიურად არარეალური, არყოფილი.

აქ უდავილო არ იქნება, ის ამბავიც გავიხსენოთ, რომ სამოთხის დაკარგვის ცნობილი ლეგენდას (რომელიც, სხვათა შორის, მხოლოდ ბიბლიის კუთვნილება კი არ არის, მრავალი ხალხის მითოსის ნაწილია) ზოგერთი ამგვარადაც ხსნის: სამოთხე მიგვანიშნებს კაცობრიობის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ადამიანი ჯერაც არ იყო ბუნებას გამოყოფილი, მისდამი დაპირისპირებული, და ველის შროშანივით უზრუნველად ატარებდა წუთისოფელს; გამოყოფა, დაპირისპირება და კონფლიქტი აზრის, გონების ამოქმედებასთან ერთად დაიწყო (ამით დასრულდა კაცობრიობის „ბავშვობა“). ხოლო შემეცნება რა ამოქმედდა, ის დიფუზიური მთლიანობა და პარმონია დაიარღვა, კაცობრიობამ სამოთხე დაკარგა და მას შემდეგ მისტიკის იმ თავის ბავშვობისდროინდელ ნეტარებასო. საინტერესო ახსნა, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ იმ ხეს, რომლის ნაყოფის გემოსხილავითვისაც გამოაძევეს

რეზუმე მთხარაძე

ლაგინდა ბალატიონის ცხოვრებისა

აღამი და ევა სამოთხიდან, სწორედ „კეთილი-სა და ბორბის ცნობადის“ (ესე იგი შეცნობის) ხე ჰქვია...

მაგრამ, როგორც ძველად იტყობდნენ ხოლმე, დროა პირველსავე სიტყვას მოვიდეთ.

ზემოთ ითქვა: რვა წლის ბიჭი სწორედ ისეთ ვარემოში მოხვდა, სადაც ყველა და ყველაფერი უცმარობის მძაფრი განცდით იყო შეპყრობილი. სოციალური თუ პოლიტიკური ბრძოლის იდეებით გაყვანილი ატმოსფერო იძაბებოდა. და ამ დამაბულ ატმოსფეროში უნდა გამოსთხოვებოდა ბავშვობას პატარა ბიჭი. სასულიერო სასწავლებელში ყოფნის პირველივე დღეები იმდენ შხამს შეასმევდა, გაუწაფავი სმენა იმდენ უჩვეულო ამბავს მოისმენდა, უმანკო თვალი იმდენ რამე იხილავდა თუ ამოკითხავდა, რომ ცხადი უნდა ყოფილიყო: ადრინდელი პ. რმონისგან მალე გვალეი აღარ დარჩებოდა.

ამგვარი რამ თავისთავადაც ტრაგიკულად განიცდებდა. ხოლო ათეცეა ტრაგედია ადამიანისა, ვინც სოფლიურ უუფლომართობათაგან პირველად იმას შეიცნობს, რომ იგი ყოფილა უბედური ქვეყნის, სვედამწარებელი და გასაცოდავებული ერის შვილი. მით უფრო, თუ ეს ქვეყანა, ეს უფრო ოდესმე ისეთ დროებასაც მოსწრებია, როცა ქვეყნიერებაზე ბევრი არ ჰყოლია ბადალი.

იცვალნენ დრონი. წარსულის დიდის დიდებას ვხედავ არასაკმარისს. დელავს ფაზისი და მტკვარის მშვიდის ამოთხარაა მიდამო არის.

ძველია ჩარჩო ჩატყვილ ხიდის, გული ურევა უფირთების რინის. რაილა დარჩა წარსულის დიდის? იცვალნენ დრონი. იცვალნენ დრონი.

ეს სტრიქონები, ცხადია, ყმაწვილს არ დაუწერია, პოეტური მოწიფულობის ხანაში (ოცეან წლებში) შეიქმნა. აქ იბიტომ შეგახსენეთ, რომ

...და უნე მიღიხარ მარტო, სულ მარტო...

როდესაც ბავშვობისდროინდელი პარმონია ირღვევა და ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ თავს აღწევს ხსენებულ დიფუზიურ მთლიანობას, ერთ-ერთი პირველი განცდა, მას რომ დაუფლდება ხოლმე, არის განცდა მარტოობისა. ეს მოვლენაც საყოველთაოა, ოღონდ ამ სულიერ ვითარებას ყველანი თანაბრად როდი აღიქვამენ — გაანინა, ვის როგორი დონით აქვს მი-

ამთავითვე კარგად მოვინებნით ერთი რამ: ლაქტონ ტაბიძე ბავშვობიდანვე დაეკავდა იმ სენით, რომელსაც მედიცინაში სახელწოდება კრომეცა ქმნება და რომელსაც მშობელი ქვეყნის ტრაგიკული განცდა შეიძლება ვუწოდოთ პირობათად. ეს არ არის უბრალოდ სამშობლოს სიყვარული, პატროტიზმი. ეს არის ერის უმნიშვნესი არსების წვდომა და ამით აღძრული სატიკვარი, რომელიც მით უფრო მძაფრია, რაც უფრო თვალსაჩინოა კონტრასტი იმ არსებასა და ხილულ რეალობას შორის.

ერთხელ კიდევ დავარდვიოთ მოვლენათა დროისმიერი წყობა და ვავისხენოთ დასაწყისი სტროფები მოგვიანებით, 1923 წელს შექმნილი ლექსისა „ამოზოლიური ეფემერა“:

ვეღარ ვცნობილმ ამოზოლიურ ხეებს —
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კენესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

ეს მძაფრი კენესა მიწამლაგს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...

ეს ტრაგიკში თავიდანვე დაჰყვა გალაკტიონის პოეზიას. მაგრამ თუ ჩვილმეტ-თვრამეტი წლის ქაბუკის ლექსებში ეს ტრაგიკში საკმაოდ გულუბრყვილო სტრიქონებად გლინდებოდა („ეღვა მსწრაფლ ვაჭრა, ისევ დაფარა სამშობლო მხარე უქუნმა ბნელმა, ცის ცრემლები სდის, ტირის მარადის, გული წაილა ისევ ნაღველმა!“), შემდგომ და შემდგომ მის საფუძველზე არაერთი შედეგური შეიქმნა.

რად აირჩიე, რად აირჩიე,
რად აირჩიე ტყე და გრივალი,
ეკლიანი გზა რად აირჩიე,
ასალგაზრდობა რად მოიკალი!

მადლებული თვითდაკვირვების, საკუთარ არსებაში დანთქმის უნარი.

ცხადია, ეს უნარი სხვებზე მეტად ხელოვანს, პოეტს აქვს გამახვილებული. აქედანაც იღებს სათავეს მარტოსულობის, სულთ ობლობის ცნობილი მოტივი, რომლის ასახსნელად ყოველთვის როდია აუცილებელი სოციალურ-პოლიტიკურ გარემოებათა მოშველიება.

ერთხელ კიდევ ჩავუკვირდეთ საქმის ფითა-



რებას. ვიდრე ადამიანი ბავშვობის ასაკშია, საკუთარ თავსაც და გარესამყაროსაც ერთ მთლიანობად აღიქვამს. მათს ურთიერთობაში აღძრული წინააღმდეგობანი თუ შეუსაბამობანი მის ცნობიერებამდე ან საერთოდ ვერ აღწევენ (რადგან ცნობიერება ამ სიტყვის კუთვნილებაა) გაგებით ჯერ არც მოგაპოვება), ან, თუ აღწევენ, მხოლოდ ქვეცნობიერ კვალს ტოვებენ და დროებით ისევ უჩინარდებიან — ჰარმონია ფაქტიურად არ ირღვევა, უფრო სწორად — ჰარმონიის დარღვევას ბავშვისთვის შეუძინებელი ვერცხა დაუფუძვლი. მაგრამ მოვლასაც აზროვნება ამოქმედდება, შემეცნება არსებობის უღრან ტერეში გზის გაკაფვას შეუდგება და ცნობიერება მასშტაბთა და მიმართებუთა დიდგნას იწყებს, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ აღრინდელი ჰარმონიისგან პიროვნებას ხელთ ნაშურებებია შერჩენია. ამგვარი ვითარება, როგორც ზემოთაც ითქვა, სევდას, ნაღველს, სინანულის გრძნობას აღძრავს. მაგრამ იგივე ვითარება დასაბამს აძლევს აგრეთვე ერთ სასწაულებრივ პროცესს — თვითშემეცნებას: პიროვნება იწყებს საკუთარი არსების ძიებას, თავისთავში ჩაღრმავებას, მეობის შეცნობას. ასეთ დროს მუტრა, შეიძლება ითქვას, ვაგრესამყაროზე მეტად შიდასამყაროსკენ არის მიქცეული. ამასთან, თვითშემეცნების დასაწყისის ეს პროცესი, ჩვეულებრივ, იმ ასაკში მიმდინარეობს, როდესაც ადამიანის სხეული ძირეულ ბიოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს განიცდის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს, უფრო ინტენსიურს ხდის საკუთარ არსებაში დანთქმის, ყოველივე დანარჩენისგან გამოძივნის მისწრაფებებს.

ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებათა ამ პროცესში მყოფ პიროვნებას უჩნდება ილუზორული რწმენა, რომ ის, რაც მასში ხდება, რის მიზანგანდ ხილვისა და განცდისაც იგი ახერხებს, აბსოლუტურად უნიკალური რამ არის, აბსოლუტურად განუმეორებელი და შეუცნობელი, რაც ჯერ ძეხორციელს არ განუცდია და არ შეუგრძენია დედაშიწაზე. ეს ნაწილობრივ მარტოაც ასეა, რადგან ყოველი პიროვნების განვითარება, ყოველი პიროვნება თავისთავად განუმეორებელი და უნიკალური ფენომენია. მაგრამ ამ რწმენას მიიწვ ილუზორული შეიძლება ვუწოდებო, რადგან იგი აზროვნებით, ცნობებით შემოქმედებულია და დადგენილ ფაქტებს კი არ ემყარება. არამედ ერთობ მსწრაფლწარმავალ ფსიქიკურ ვითარებას, რომელიც თავისთავად უნდა იძლიოს შემეცნების პროცესში.

თავდაპირველად ეს რწმენა უფრო და უფრო მტკიცდება, მარტობის განცდა სულ უფრო ინტენსიურად იჩენს თავს (სხვათა შორის, ამიტომაც არიან ეგრეთ წოდებული გარდამავალი ასაკის მოზარდები მეტწილად პირქუშნი, უქმუნნი, აღრეხილი და მიუკარებელი). მაგ-

რამ მერე და მერე, გონებრივ და ფიზიკურ მოწიფებასთან ერთად, ეს განცდა და ეს რწმენა თანდათანობით ნელდება, მკრთალდება, მსუსტდება და ბოლოს უმეტესობისთვის სულაც ჰკრება თვალსაწიერიდან. ოღონდ არიან ადამიანები, რომლებსაც ეს განცდა და ეს რწმენა მთელი საცოცხლო თანამგზავრად ეტკევათ ხოლმე, სიკვდილამდე გასდევთ თან. და ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე სულ სხვა რიგის ფსიქიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე — აზროვნებით, მსოფლმხედველობით შემოქმედებულსა და დადასტურებულ მოვლენასთან და არა გარდამავალი ასაკის ილუზიასთან.

მამასადამე, თუ არ გვესურს წინასწარ შემუშავებული ხელოვნური სქემების ანბარა დავიჩიო, მთელი სიცხადით უნდა განვასხვაოთ და გავმიჯნოთ მარტობის ორგვარი განცდა: ვარკვეული (გარდაამავალი) ასაკის ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებათა შედეგად აღმოცენებული მსწრაფლწარმავალი, ილუზორული მარტობა; და შემეცნების პროცესით ვერღაძლეული, მამასადამე — აზროვნებით დადასტურებული მარტობა, როგორც მსოფლმხედველობრივი ფაქტი.

პირველ შემთხვევაში მარტობის განცდა პიროვნების განვითარების მიზანგან კანონებითაც ჩინებულად იხსნება და მისთვის გარეშე მიზნება ძიება სქემატიზმის ტყვედ გვაქცევს უშეშვლად. მეორე შემთხვევაში გემართებს უაღრესად გულდასმით გამოვიძიოთ და გავანალიზოთ ვარკვეული, ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა ესა თუ ის პიროვნება, რადგან მომწიფებული აზროვნება, მსოფლმხედველობა მხოლოდ ვარკვეუროსთან, ვარკვისნამდვილესთან უშვიდროესი კავშირის საფუძველზე წარმოიქმნება.

ყოველივე ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ შემოქმედის მექანიზმების განალიზებისას რიგიანად უნდა გავვარკვეოთ: რას ემყარება ამ შემოქმედებაში თავჩენილი განცდა მარტობის, მიუხაფრბობის, სულთი ობლობისა — მსწრაფლწარმავალ ჰაბუტურ ემოციებს, თუ დასრულებულსა და ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას.

მაგრამ მანამდე ზოგიერთი რამ კიდევ უნდა გაეითვალისწინოთ.

ჯერ ერთი, ის, რომ ემოციებით აღძრული მარტობისა და მსოფლმხედველობით ნაკვრობი მარტობის გარკვევა ერთობ, ერთობ ძნელი საქმეა. ძნელია მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება და ერთის შეუქმდარად გამოიჩენვა მეორისგან. ადამიანის განცდები ქარხანაში ხომ არ მზადდება, პიროვნება დაზგა ხომ არ არის, რომ თვალის ერთი შევლებითვე განვასხვაოთ მის მიერ მოწოდებული ორნაირი პროლექცია. საქმე თუ ასე დავსაბეთ, სქემატიზმის ტყვეობა-

რეპაზუ თხარამძე
 ლეზანდა ბალატიონის ცნობრებრსა



ში აღმოჩნდებით და შორს ვიქნებით ჰუმანიტარული ტიპისაგან.

ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ფსიქიკა უარესად რთული აღნაგობის მქონეა და არც ისე კარგად შესწავლილი, რომ მისი კანონზომიერებანი, მიმართებანი, ცვლილებანი ცხად და იოლად მისაყვლე რაიმედ დავსახოთ. სინამდვილის ამ სფეროში მოვლენები, ფაქტები ხშირად ჩვენთვის აუხსნელი ლოგიკის საფუძველზე ჩნდება, მერე თვალს ეფარება, რათა სრულიად მოულოდნელად, თითქოს ყოველად შეუფერებელ სიტუაციაში კვლავ ამომხურდეს ქვეცნობიერი სიუჟეტულიებიდან.

მარტოობის განცდაც ერთი ამდგვარი ფაქტია ფსიქიკისა. ეს განცდა, როგორც ითქვამს, აზროვნების მომწიფებასთან ერთად ჰქრება ხოლმე. მაგრამ თანდათანობით ჰქრება და არა ერთბაშად. ვერაინი იტყვის: აი, ამ ასაკამდე ამა და ამ ადამიანს ეს განცდა ჰქონდა, ამის შემდეგ კი გაუქრათ. თითქოს საბოლოოდ გაუჩინარებული განცდა შესაძლოა მოულოდნელად კვლავ მოეყვლინოს ცნობიერებას, თანაც ინტენსიობის ისეთი ხარისხით, რომ სხვა ყოველივე დაჩრდილოს თუნდაც დროებით.

მეორე მხრივ, მარტოობა, როგორც მსოფლმხედველობით დადასტურებული და შეწყნარებული ფაქტი, აგრეთვე ერთბაშად როდი ჩნდება. რაღა თქმა უნდა, შესაძლოა ადამიანად ცხოვრების გრძელი გზა განვლოს და მხოლოდ გვიან, ხანდაზმულობისას გაუჩნდეს მას ეს განცდა. მაგრამ ასევე შესაძლოა, რომ გარდამავალი ასაკისდროინდელი ემოციური მარტოობა გადევნარდეს მსოფლმხედველობით ვაზიარებულში. სხვათა შორის, შემოქმედ ადამიანთა უმეტესობის ფსიქიკაში სწორედ ეს უქანასკნელი მოვლენა შეინიშნება ყველაზე ხშირად. და ამ პროცესისთვის თვალის გადევნება, მისი ვაანალიზება უარესად საინტერესო და საჭირო საქმეა. ამასთან, როგორც ითქვამს, უარესად ძნელი საქმეც.

მაგრამ ძნელი შეუძლებელს სრულიადაც არ ნიშნავს. ამიტომ ზემოთ წამოყენებული მოთხოვნა (რომ აუცილებელია მარტოობის ორგვარი განცდის მთელი სიძნადით განსხვავება და გამოჩენვა) უქველად ძალაში უნდა დადგოვით, ოღონდ წინა აბზაცებში მითითებული სიძნეულებები უნდა გავითვალისწინოთ.

კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ? კიდევ ის, რომ, როდესაც შემოქმედ ადამიანთან გვაქვს საქმე, ზოგჯერ ძნელი დასადგენია — რა არის მის შემოქმედებაში საკუთარი, მხოლოდ მისეული, საცნებო ორიგინალური, და რა — სხვათა გავლენით მოხმობილი, კერძოდ, თუ ჩვენს საკითხს მიუვებრუნდებით, მარტოობის ორგვარი განცდის გამოჩენისას შესაძლოა ის შეცდომა მოგვივიდეს, რომ თითქოს მსოფლმხედველობით შეწყნარებული მარტოობის განცდის დამადასტურებელი მოტივები ჩვენთვის

საინტერესო შემოქმედს მივაწეროთ, შემდეგ კი აღმოჩნდეს, რომ ეს მოტივები წინააღმდეგობის შედეგად წარმოქმნილია და არამარტოობის ორიგინალურ ძიებათა შედეგად.

დასასრულ, შესაძლოა ამგვარი სურათიც ვიხილოთ: მწერლის შემოქმედებაში ერთად, მარალულურად იჩენს თავს მარტოობის გარდამავალი ასაკისდროინდელი განცდა, მსოფლმხედველობრივ ფაქტად ქცეული მარტოობა და სხვათა გავლენის შედეგად გაჩენილი მოტივები მარტოობისა.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც მისადაგება გვალაგებენ ტაბიძის შემოქმედების გარკვეულ მონაკვეთს, დაახლოებით 1908-1914 წლებს.

დაახლოებით-მეტე, იმიტომ ვამბობ, რომ მსგავს საკითხებზე საუბრისას ზუსტი თარიღების დადგენა ყოველ შემთხვევითი რამ არის: არაინი იცის (ყოველ შემთხვევაში — დღემდე არაინი დაუდასტურებია) როდის დაწერა გვალაგტიონ ტაბიძემ პირველი ლექსი. 1908 წელს პირველად გამოქვეყნდა მისი ლექსები. დღორები მოწმობენ, რომ თვითონაც ამ წელს მიჩნევედა პოეტური მოღაწეობის დასაწყისად. გამოცემულიც იმით ხელმძღვანელობენ, რომ ამ წელზე ადრინდელი ხელმოწერით ჭეჭერობით არც ერთი ავტოგრაფი არ აღმოჩენილა. მაგრამ ძალზე ძნელი წარმოსადგენია, კაცმა იმავე წელს გაბედოს ან მოახერხოს ლექსების დაბეჭდვა, რა წელსაც მუზემი ეწვევიან პირველად. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გვალაგტიონ ტაბიძემ მანამდისაც რამდენსამე წელიწადს იწავებდა ხელს ლექსების თხზვაში.

ეს პირველ თარაღს შეეხება, 1908 წელს. ხოლო 1914 ვახლავთ მისი პირველი წიგნის გამოსვლის წელი. ამ წიგნით, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, დასრულდა მისი შემოქმედებით ერთი მონაკვეთი და სწორედ ამ წიგნის საფუძველზე უწოდა გვალაგტიონს მისამდე ბიძაშვილმა ტიციან ტაბიძემ „მარტოობის ორდენის კავალერი“.

„ფიქრიდან განუშორებელი შვილი ჩემო ვალაგტიონ! პირველად შენ მშვიდობას და კარგათ ყოფნას ჩვენ მოწყალე ღმერთს ვთხოვ. ამას გარდა, ჩვენ, შვილო, კარგათ ვართ. შენი ვაგის მეტი არა მიშავს: შენ რაკი ჩემთან იყავი მიზოულე და მე შენთან, და ეხლა განმორებული მყავხარ, თუ ივარგებ, არ მგონია... ამა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერმეთ კარგი სწავლა. კარგი, თვარა ვაჭიერებული სწავლა რა არის!“ — სწერდა სოფლიდან ვეს მაკრინე აღეშვილი, ვასილ ტაბიძის ქვრივი.

დედას გუმანი არ ატყუებდა. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ფიქრიდან განუშორებელი მისი ბიჭი იმათგანი არ გამოვიდოდა, ვინც კარ-



გი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით ახარებს ხოლმე შრომლებს. მასწავლებელი, გეგილი, მღვდელი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი — ალბათ ამ პროფესიათაგან ერთ-ერთი ეოცნებებოდა დაჭერივებულ ახალგაზრდა ქალს თავისი ვაჟიშვილის ხედვარად. ოჯახს ბურჯი ნაადრევად გამოსცლოდა და სახლელთ იმედად ისლა დარჩენილათ, რომ დაიზრდებოდნენ ბიჭები — აბესალომი (პროკლე) და ძმაზე ორი წლით უმცროსი ვალაკტიონი — და მერე როგორც ხალხური ლექსი იტყვის: „ნეტავი ძმათა მამვრალთა, ცხარე მზე ამოუხდება, ვერვინ წაართმევს სარძლოსა, ვერც ვინ შინ შემოუხდება“.

კვლავ გამოვტოვოთ რამდენიმე ათეული წელი და გადავიცხოთ აბესალომის მიერ რძლისადმი — ვალაკტიონის მუღღლისადმი მიწერილი ბარათი:

„დაო ოლია!

ვერ წარმოიდგენთ იმ საშინელ მწუხარებას, რაც მე ვანიცადე თქვენგან გამოგზავნილი წერილის წაკითხვის შემდეგ.

წერილის ტონი, თქვენი ავთიმყოფობა, ჩემი უცნაური და გამოუცნობელი ძმის ხასიათი... ყველა ამან ძალიან ცუდათ იმოქმედა ჩემზე... რამდენიმე ხნის წინ თბილისში ვიყავი. ვალაკტიონისათვის, რასაკვირველია, წერილს შესახებ არაფერი მითქვამს. თითონ მითხრა: ყოველივე გუგუბრობა მოსაპობილოა და მე, მართალი მოგახსენოთ, ძალიან გამახარა ამ გარემოებამ. იციოთ, ოლია, თქვენ ქუთაისი ქალი ხართ და ვალაკტიონის შესახებაც გეჭნებათ შემდგარი ერთგვარი აზრი... უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავუზომავეთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მალა-მალა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულთა იგი, როცა მალა დაფრინავს, მხოლოთ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს! 7 წელიწადია სახლში არ ყოფილა, 7 წელიწადია დედა არ უნახავს, მაგრამ რა გნათ, მიანც ლობიოერი უნდა ვიქნეთ, მიანიც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრივეყო ბავში...“ (8. VIII. 1927).

მაგრამ იმას, რაც ძმას ესოდენ ჩინებულად ესმოდა, სულ სხვაგვარი სულისკვეთებით აღზრდილი დედა შეიძლება ვერც ჩამწვდარიყო. დედის იდეალად ესახებოდა ოჯახის ფეხზე წამოყენებულ ძეთა აღზრდა, ხოლო ამგვარ იდეალს ძალიან ნაკლებად შეესაბამებოდა პოეზიის საკუთრებულზე თავმჯიწილი შეილის ხილვა. თუ ივარგებ, არ მგონიაო, — სწერდა სევდამწარებელი ქალი და მართალიც იყო: უმცროსმა ვაჟმა ვერ გაამართლა ოჯახის იმედები, „ვერ ივარგა“.

ესეც ერთი „წყველა-პრულვიანი საკეთხეიფო“ წუთისოფლია. წელთა სიმრავლითა და სიმრავლითა და მამიმებულ განდევილს ორი ძმა ეახლა. ვერასჯნით შევთანხმებულვართო, — აღწყა ერთმა თავიანთი მარწხარო. — მე ვეუბნები, ორავემ ახლავე მივატოვოთ ოჯახი და სიბრძნის მოპოვებას ვავუსაყუთოთ-მეთქი თავი, ჩემი ძმა კი იმ აზრისაა, ვერც მშობლებმა მოკამონ თავიანთი ეამი, შეიღებოც ვავზარდოთ და ფეხზე დავაყუთო, სიბრძნისთვის მერე ვიბრუნოთო. რომელი ჩვეულების მხარეს არის ქვეშარიტება, მოძღვარო? ბრძენმა მიუღო: ქვეშარიტება არის ის აღვას, ვინც ამბობს — ახლავე განვეშოროთო ყოველივეს და სიბრძნე ვიძიოთ; რადგან ვერავინ იქნება იმის თავდები. ვიდრე მისი მშობლები აღსრულებოდნენ და შეიღები წამოიგზავნებოდნენ, ამასობაში თავადაც არ მოიცვლებათო.

ეს იგავი ორი ათას ხუთასი წლის წინათ არის შეთხზული ინდოეთში და მისი ხნოვანება იმის მაუწყებელია, ძველთაგანვე როგორ აწვალდებათ კაცთა მოღვმას ეს საკითხავი. ხსენებულნი ბრძენი ბოლად მოიღვრებიან მიმდევარი განვლდათ და თავისი მოძღვრების კვალობაზე სწორი პასუხიც მისცა ძმებს. მაგრამ ჩვენს დროში როგორდა უნდა ვადაიქრას ეს საკითხი? ვინ აღვას მართებულ გზას — ის, ვინც ერთგულად გასწევს ოჯახს ქაანს, ამ უმწეწეწეირესი კაცობრიული ვალის მოხდას შეეწირება, თუ ის, ვინც წერას ატანილივით პირს გაიმეგებს და თვისთა იდეალთა აღსრულებას ანაცვალებს ყოველსავე?

ნუ აგჩქარდებით ამ კითხვის პასუხის გასაცემად. ნურც იმის მოიმედენი ვიქნებით, რომ მზამზარეულ რეცეპტებს დავესესხოთ ვისმე. ამგვარი რეცეპტების გადაწერა და გულში ამოქრა რეგენთა ხელმოწევა, ყოველმა კაცმა საკუთარ პასუხს უნდა მიავლიოს, თავადვე, სხვის დაუხმარებლად უნდა გადაუქრას ეს გადაუქრელი კითხვა საკუთარი არსებიდან გამომდინარე. ამ არსების შეუმცდარად მიველვეა და შეცნობაა თავი და თავი საქმე.

ოღონდ ერთი რამ მე უნდა გვახსოვდეს უეკველა: იდეალებისთვის თავმეწირული კაცის ცხოვრება წიგნებშია ლამაზი საკითხავი, თორემ ჩვეულებრივი, ყოველდღიური კრიტიკიუმებით თუ შეეხედავთ საქმის ვითარებას, ერთი გამბეული ტინჯავა მხოლოდ. ვაჟა-ფშაველა ლექსებს ფიჩხის ცეცხლის სინათლეზე წერდათ; ყანაში მუშაობისას შემოქმედებებით ეჩინი რომ დარეგდა ხელს, რამდენიმე კილომეტრს გაიბრუნდა სახლამდე, რათა ნაფეჭრი ქალალღზე გადაიტანა, არ დაეწყებოდაო. ჩინებულთა ეს ყოველივე, ამაღლევებელი, რომანტიკული, არა? მით უმეტეს, როდესაც ჩვენს მყუდრო ბინაში, სა-

რევაზ თვაბაძე
 ლეგენდა ბალაკტიონის ცხოვრებისა

წერ მაგიდასთან მიმჯდარი ან დივანზე წამო-
წოლილი ვკითხულობთ ნებურად. მერე გვიკ-
ვირს კიდევ: ზოგჯერ რარაც უცნაურად იქცო-
და თურმე ეს კაცი ამბობენ, ისიც მომხდარა,
ზამთრის სუსხიან ამინდში ცოლ-შვილი შინი-
დან გარეთ გაუსხამს — წერაში ზელი მემულე-
ბათ. დიახ, იმ ვაჟა-ფშაველას, ნიბლია ჩიტის სი-
ცივით დაზრობის გამოც კი გული რომ ეთუთ-
ქებოდა.

იდეალისტის თაქმეწირულთა ხსენებისას
აქ, ცხადია, შემოქმედი ადამიანები იგულისხმე-
ბოდნენ უპირველეს ყოვლისა. ვაჟა-ფშაველას
მაგალითიც იმიტომ მოვიშველიე. ჩვენთვის,
უბრალო მოკვლეათვის მათი ცხოვრება სა-
სიხარულოს ბევრს არაფერს შეიცავს. საკაო-
ბრით მასშტაბითაც კი თითებზე ჩამოთვლე-
ბიან ისეთნი, ვინც შემოქმედების სასტიკი
ღვთაების საკურთხეველსაც არ დაეკლო მსხვერ-
პლი და პირადი ცხოვრებაც და ოჯახის საქმე-
ებიც გუნებურად მოიწყო (ერთი მთავანი დი-
დი გოეთე გახლდათ). რასაც ჩვენ ბედნიერებას
ვეწოდებით, ის მათთვის, ჩვეულებრივ, საკმაოდ
უცხო ხლია. მაგრამ მათთვის ის უფრო დიდი,
აუწყრელი უნებღერება იქნებოდა, იძულებულ-
ნი რომ შექნილიყვნენ თავიანთ იდეალებზე,
შემოქმედებაზე ეთქვათ უარი და ჩვენთვის გა-
ვგებით სეზებდნიერი არსებობა დაემკვიდრებინ-
ათ. მინდაის ტრავედის ძირიც ხომ ის არის,
რომ ოჯახის კეთილდღეობისთვის თავის მოწო-
ლებას, თავის იდეალებს უვანა. „ცხოვრების მ-
გალათადა ბრყეები დამისახოდი“, — მწარედ
უსაყვედურა ცოლს, როცა ჩასწვდა საქმის არ-
სებამ. ბრყეებად მისი ზეკაცური იდეალების
ფონზე ჩანდა ის ხალხი, თორემ შემის მოუჭ-
რულად და ნადირის მოუკლავდ მთიელ კაცს
რომ არ გაეძლებოდა, ეს მინდიადაც კარგად
იცილდა, რაღა თქმა უნდა, და თავად ვაჟა-ფშა-
ველამაც.

რაც ვაჟა-ფშაველამ ჩამოვარდა სიტყვა,
ერთად დავსძინოთ: დღეს უკვე აღვიცი შესა-
მჩნევია, როგორ ყალიბდებოდა მისი პიროვნე-
ბა, მისი მსოფლშეგარჩენა. დაახლოებით 24-25
წლბ ასაკამდე მასში თითქმის არაფერი ამხელ-
და პოეზიისთვის თაქმეწირული კაცის თვისე-
ბებს, მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა
სხვა ფინტელიგენტებულ ფშაველთაგან, თუნ-
დაც თავის ძმთაგან. მისი აზროვნება, მისი
შემოქმედება ნაყლდა და გაკავლულ გზას
მისდევდა; იმ გზას, რომლის დასაძლევადაც სუ-
ლაც არ არის აღცილებელი ცხოვრებისეულ
სიამება განწირვა და მოქლეება. მაგრამ ხსე-
ნებულ ასაკს რომ მიატანა, მასში რაღაც გაი-
ლატება მოხდა, რაღაც ისეთ სფეროთა სახილ-
ველად გადაეხსნა მზერა, რომელიც უბრალო
მოკვლეთათვის ცხრაკლიტულით არიან დაგმა-
წულნი. გენიოსობის ალმა იფეთქა და მაშინდა

მეცა დასაბამი ძნელსაცნაურ ტრავეზმს, გო-
ლოს ამგვარ შეძახილად რომ გადმოიღვარა:
„რამ შემქმნა ადამიანად, რატომ პრ-
წვიმდა!“

ეს უკვე დაღვინებული კაცის ძახილია, ბო-
ხი ხმით ნათქვამი სატიკვარი, იმ დროს ნათქ-
ვამი, როდესაც შინაგანი ძალმოსილება პირო-
ვნებას უფლებას ანიჭებს არ დაირცხვენოს ბე-
დის გამო დაჩვილებისას — ამას უვავაკობად
ველარავინ ჩათვლის. ეს ალბათ ასეც უნდა
მომხდარიყო მთიელთა ტრადიციებით აღზრ-
დილი კაცის ცხოვრებაში. სიყმაწვილის თუ აღ-
რეული სიჭაბუკის ასაკში რომც ცდილყო სუ-
ლის ნაღველს, მარტოსულობის გამჟღავნებას,
მეზობლებს იქნებ სისაცილოდაც აეგლოთ, დი-
აცივით მოწუწუნე ლარამდ დღესახამ; კარგ ყმას
ამგვარ რასმე არ აპატიებდნენ, კარგ ყმას ფიზი-
კური თუ სულიერი სატიკვარი არასგზით არ
უნდა დაეჩნია. ხოლო ვაჟა-ფშაველა ნამდვილი
კაი ყმა რომ იყო, ამაში არავინ შეეკვებულა
ვერნებ.

მაგრამ მთავარი მიხეც ის არის, რომ წინა
გვერდებზე არავითგზის ნახსენები განცდა ბავშ-
ვობის დამაგვირგვინებელი მარტოობისა ვაჟა-
ფშაველამ ისე დაძლია, როგორც მთიელ კაცს
შეეფერებოდა, და შემდეგ კარგახანს ადარ მის-
ვლია აზრად, რომ ეს განცდა მსოფლმხედველო-
ბით დადასტირებულ ფაქტად ექცეოდა და მი-
სი სავალი გზა ისეთი კლდეანი მწვერვალე-
ბისკენ წარიმართებოდა, რომელთა ციხაბოებაც
თითქმის წინასწარვე გამოირცხვენ მყედრო
და დაღინებული ცხოვრების მოწყობას. მაგრამ
იმხანად ჭერაც არ მიანდა თავისთავი ოდენ
პოეზიისთვის თაქვდადებულ და მსხგვრლად
შეწირულ პიროვნებად. ამას ცოტათი უფრო
გვიან მოხვდა.

ეს ამბები იმიტომაც შეგახსენეთ, რათა მზე-
ღველობიდან არ გამოგკაპარკოდა ერთი გარკო-
ება: ვაჟა-ფშაველასაგან განსხვავებით, გალაკ-
ტიონ ტაბიქემ იმთავითვე, სიყრმიდანვე თუ
აღრეული სიჭაბუკიდანვე მოინიშნა ის გლკიანი
გზა, მერე მთელი ცხოვრების მანძილზე რომ
უნდა ვაკყოლოდა. ამ მხრივ იგი ბარათაშვილს
უფრო ჰვავდა. ამასთან, გალაკტიონ ტაბიქე ვა-
ჟა-ფშაველასავით კლდის ნატეხიდან როდი
იყო გამოკვეთილი, ვაცილებით ნახი ზუნების
ადამიანი გახლდათ. თანაც იმ გარემოში, რო-
მელშიაც იგი აღიზარდა, ზათუთ გრძნობათა გამ-
ფლავნება სათაყოლოდ, დიაცთა ხელობად არ
იყო მიჩნეული. და, გარდა ყოველივე ამისა,
მის დროს თუთ პოეზიაც უკვე საკმომად განს-
ვავებული კრიტერიუმებით იზომებოდა. ასე
რომ მისი პირველივე პოეტური ცდებმა (რაც
კი ჩვენთვის ცნობილია) მარტოსულობას, სეე-
დისა და პოეზიისთვის თავის გადადებმს მაკ-
ნებდად მოგვევლინენ.

ე. ჯ. ბერიძე

801-801

საახალწლო სუფრასთან*

კონსტანტინე გამსახურდია

ჩვენი სალამი ყველას —
თარაშს, არზაყანს, ტარბას!
თვით კონსტანტინე ბატონს,
მის კოლხურ კოშკს და დარბაზს!
მარჯვენას მისას — ვაშა!
სიცოცხლეს მისას — ვაშა!
„თამარს“ ამთავრებს თურმე!
რიგში ჩამდგარა ლაშა!

ალექსანდრე მიტრეველი

მომისმინე, სანამ ჩოგანს
საბრძოლველად „აღესავდე“:
შენ შეძელი, რაც ვერ შეძლო
უფრო დიდმა ალექსანდრემ —
მთლად მსოფლიო დაიპყარი,
შენს წინა ვართ დამხობილი!
ქვე რა მოგდის, გენაცვალე! —
შაინც ვერ ხარ კმაყოფილი!

არჩილ სულაბაური

გულს სიხარული ესტუმრა
მთლად საქართველოს ოდენი:
მომილოცნია წვერობა
დიდი რუსთველის ორდენის!

მონა ხარ, მონა მამულის,
ნიჭით, ნამუსით, გონებით!
არასდროს გვათავისუფლო
შენი ტალანტის მონები!

* მისაღმებები დალაგებულია ლატარიის
წესით (ავტ.).



ნაზიბროლა ნასანია

ნაზიბროლამ კაცის შრომა
ვაჟკაცივით შეიშნოვა!
ვაჟკაცივით — ხალხს გაუძღვა!
ვაჟკაცივით — საჭე მართა!
ყველა ვალი გაასწორა,
მამულისა რაც ემართა!

მუხრან მაჰაპარიანი

არ გწყინდება ანბანთქება,
ქება ფარნაუზისა,
მუხრან! შენი ლექსიც გვიყვარს,
სიტყვაც,
საქმეც,
აზრიცა!

ჰოდა, მე შენს სადღეგრძელოს
როგორ დავლევ გულგარეთ!
გაგიმარჯოს, როგორც ქართველს,
ვინდა? — როგორც ბულგარულს!

ირაკლი აბაშიძე

მითქმა-მოთქმაა ქალაქში: „ვისზე ამბობენ, ვისზეო“.
„ვისზე და, ჩვენი ირაკლი უკვე გამხდარა „ვიცუო“...
იტყვიან, მა არ იტყვიან? — რა ყველა გულში ხშიანობ,
მალალო, უნვო, მდაბალო, ლაშქარმრავალო, ყმიანო!
ერთხელ „ცისკარშიც“ გვესტუმრე, არა ეტლით და ავტოთი,
არამედ ფენით — უბრალოდ: ვით ვინმე მესხი ავტორი!

შუქრი აბაპელია

— ვერ დავიკრეფ, რა ექნა, გულხელს,
მკლავი უნდა დღეს ენგურპესს! —
ასე ბრძანებს,
ასე იღწვის,
ასე იწვის ახლა შუქრი,
რომ ჩვენს დედა-საქართველოს
უფრო მეტი ექნეს შუქი!

მანუჩარ მაჩაიძე

მესხისა და მეტერველის
მემკვიდრე ხარ, მაჩაიძე!
ოღონდ დღეს ნუ დათვრები და,
მე გაბატიყებ სვალ ჩაიზე!

დემნა შენგელაია

მღერის გული: სი ქოულ ბატა,
გაეიხართ, სანამ ვართო!
კიდევ ბევრი გვინდა ბათა,
კიდევ ბევრი — სანავარდო!

ბრუნა ობოლაძე

გაუმარჯოს მათ მარჯვენას,
გაუმარჯოს მათ გულს,
ვინც წელს შემოგვიმატებს
მეტროს ახალ სადგურს.

გრუზა მათში პირველია —
ლომი, გმირი, მედროშე!
რახან თვითონ ვერ გვეწვია,
ჩვენ ვეწვევით მეტროში!

გურამ საღარაძე

ნუ გვიმაღავ ოქრო გულს,
განსენ ბარემ ეგ სეიფი,
გაგვაბრუე, დაგვათურე,
დაგვიმონე ლექსებით!
დიდებული აეთანდილ,
ულმობელო იასონ!
შენაირმა ლომებმა
იათონ და იასონ!

ბრიგოლ აბაშიძე

ბატონ გრიგოლს მიმირთმეით მისალმება-განცხადება:
„ღმერთს ვთხოვ თქვენი ყველა გველის, ყველა სიზმრის აცხადებას!
ანონიმურ „წიგნებისთვის“ წელს ვერავის მოეცალოს
და თუ მაინც მოეცალოს — ყველას ხელი მოეცაროს!
წელს უთუოდ შემობრძანდეს ჩვენს ბინებში დიდი „ცოტნე!“
(თუ ეს მოხდეს, ვიწრო ბინის პატრონები შეგვიცოდენ!)
ტურისტული მატარებლით გაგვამგზავრე სამივ დროში:
თქვენ კი მოგცეთ მოთმინება პოეტების სამკვიდროში.

ნონას, ნანას

ვენაცვალე ორ დედოფალს,
ორ დიდებულ ლაზიერს!
ვენაცვალე მათ გონებას,
ნათელს, როგორც ლაზერს!
ქალს ვინ ჩივის, ბეერი ვაჟი
მოიტოვეს გვერდზე!
ხომ ორი გვეყავს დედოფალი? —
ვერ შეგწირავთ ვერც ერთს!

ნოდარ ღუმბაძე

რალა დარჩა, რალა ვუთხრა
ჩემს ძამია ნოდარიას?
უკვე მორჩი! დავიმოწმებ
ღმერთს, ექიმს და ნოტიარიუსს!
მაღე ვნახავ, ცოლს კიცხავდე:
„რას უყურებ, ადე, ცაო!
ზენობნიდან ჩამოსულა
ორი ბოცა ადესაო!“

ზურაბ სოტკილაძე

ღმერთმა ალბათ სიმღერაში
ზურაბივით ჩავაშენა.
ვინც შენ ხელი მოგიმართა,
ღმერთმა ყველა აამენა.
კარვად მანსოვს, სტადიონზე
დაგიწუნე ერთხელ პასი!
მაპატიე, ჩემო ზურაბ:
უკვე ვიცი შენი ფასი!

პახტანზ ჰელიძე



ყველაზე დიდი წიგნები,
ყველაზე დიდი გვარები
გააქართულე, გახალე
ნელიხელ საგოგმანები!

შენს მობრძანებას რომ ელის,
მუდამ ღიაა ის კარი!
მიყვარხარ! ველი! მჭირდები!
მარადის შენი:

„ც ი ს კ ა რ ი“.

მერაბ ბერძენიშვილი

შენ დავინახავ როდესაც —
მგონია, ვხელავე როდენსაც!
შემოიმტკიცე თბილისი,
კასპი,
ბიჭვინთა,
ოღესა!

ახალგაზრდა ხარ, ამიტომ
ჯერ ვერ გიწოდე ქურუმი.
ხარ კაი დიდი ქართველი,
და უფრო დიდი — გურული!

გურამ ასათიანი

მთლად აგვაღე ხელი,
დაგვეკარგე, გურამ!
შეგაშინა ალბათ
რომანების გორამ!

მოგვეხმარე, თორემ „ციგნებს“
ლამის შერჩეთ „ციგნობა“.
გავიმარჯოს ძმას, მეცნიერს —
უპირველეს მწიგნობარს!

ზაზა ალექსიძე

ნამუსიან მეცნიერის
ქული ვისაც ახურია,
შენი წიგნი დასჭირდება —
ის სიმართლის მსახურია!

შენ ბრწყინვალედ გაარკვია
მყეფარების ყეფის ღონე!
მაშ, მიიღე ჩვენგან ძმობის
და მადლობის ეპისტოლე!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

რუსთაველის ორდენის
სულ ახალი წევრი ხარ;
აგერ ათი წელთა,
„ცისკრის“ ყდაზეც სწერიხარ!

სანამ გინდა, გვითხარი,
კონსტანტინე ბატონო,
„ნაკადულში“ საბაეშვო
წიგნი აკაბადონო!..

ნიკო ყიასაშვილი

— გაუმათარ-ჯოს! — არ ვარგა!

ნიკო ყიასაშვილი თარგმნის ჯოისის „ულისეს“
გაუმათარ-ჯოს! — არ ვარგა!
გაუმათარ-ჯოისს! — კარგია!

რევაზ მარბიანი

რომ არ მოაკლდეს ლექსებს — მარილი,
(როგორც აკლია კექსებს ვანილი)

მე ამ სუფრაზე, ჩემო კარგებო,
სწორედ ამიტომ ვარ მოფეანილი,

ვიორბი ხუციშვილი

თქვენ კი, ბატონო გიორგი,
რით ვაგახართო ახალ წელს?
ბარე სამასი მწერლიდან
ორასი უკვე აღარ წერს!

იმ ასი მწერლის სამყოფი
ვეინდა ქალაღიცი, სტამბებიცი,
რომ საქართველოს მოფენით
სულ კაი-კაი ამბები!..



საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკა

„მოთხრობა არაბულ ლიტერატურაში“

კაიროში ახლახან გამოვიდა ცნობილი არაბი მწერალ-ნოველისტის — შამსუდ თეიმურის წიგნი, რომელიც მთლიანად კრიტიკული ხასიათისაა. წიგნის სათაურია — „მოთხრობა არაბულ ლიტერატურაში და სხვა გამოკვლევები“.

ბელგია

„რალიზმისათვის“

ბელგიელი მხატვარი — როფე სომვილი, რეალისტური ხელოვნების წარმომადგენელია. რჩეული წერილები, ლექციები, მანიფესტები, რაც ოცი წლის შრომის შედეგია, მხატვარმა გააერთიანა წიგნში — „რეალიზმისათვის. მხატვარი ფიქრობს“. კრებული გამოცემლობა „პავიონმა“ გამოსცა.

სომვილი წერს: „რეალიზმი ისეთი ხელოვნებაა, რომელიც ერთდროულად შემოქმედებასაც წარმოადგენს და პროტესტსაც, იგი აშენებს და ანგრევს და მოიცავს განხლებს დიალექტურ ძალას“.

მხატვარი ილაშქრებს თანამედროვე ფორმალიზმის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ რეალიზმი იყო და არის რევოლუციური საწყისის მატარებელი ცენ-

ტრალური მოვლენა ხელოვნებაში.

კრებული „რეალიზმისათვის“ შეტად მრავალმხრივია. სომვილი მიმოიხილავს არქიტექტურას, მონუმენტურ ფერწერასა და უბანიზმს.

„სომვილის წიგნს ვერ დავწამებთ შემართებისა და ენთუზიაზმის უკმარობას, — აღნიშნავს „იუმანიტეს“ კრიტიკოსი უან როლენი, — იგი აიძულებს მკითხველს განსაჯოს ხელოვნების საკვანძო პრობლემები“.

გერ

კლაუს მანი ბარბალუნი

ცნობილი გერმანელი მწერლის თომას მანის ვაჟიშვილი — კლაუს მანის რომანი „მეფისტოფელი“ თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულზეც და მით უფრო საოცარია, რომ ეს რომანი აკრძალულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. რომანი გამოცემლობა „ნიმფენბურგერ ფერლაგმა“ 1966 წელს გამოსცა კლაუს მანის სხვა ნაწარმოებებთან ერთად. ცნობილი მსახიობის გუსტავ გრიუნდენისის მემკვიდრეებმა საჩივრით მიმართეს სასამართლოს. ისინი წინააღმდეგი იყვნენ რომანის გამოცემისა, რომელიც მათი აზრით, შეურაცყოფდა მსახიობის ხსოვნას“. გამოცემლობის წინააღმდეგო-

ბის მიუხედავად სასამართლომ ნაწარმოები აკრძალა. ამის წინათ კი განაჩენი ფედერალურმა სასამართლომაც დაამტკიცა.

1936 წელს, ემიგრაციაში ყოფნისას დაწერილ ამ სატირულ რომანში კლაუს მანმა გრიუნდენისის ზოგიერთი თვისებით აღჭურვა რომანის მთავარი გმირი პენდრიკ მეფგენი, რასაც მწერალი თავის ავტობიოგრაფიაშიც აღნიშნავს. კლაუს მანმა პენდრიკ მეფგენის სახით განაწოვავადა სახე ინტელიგენტისა, რომელიც ფაშისმს შეუთანხმდა. ნაწარმოების მთავარ გმირს გრიუნდენისისაგან ბევრი რამ განასხვავებს, ისე რომ, იდენტურობაზე ფიქროც კი ზედმეტია.

რომარდ შმიდტი ყოველკვირულ „დი ცაიტში“ წერს: „მოსამართლებს დაავიწყდათ, რომ საქმე აქვთ ხელოვნების ნაწარმოებთან და არა დოკუმენტებთან, ხელოვნების ისეთ ნაწარმოებთან, რომლის ღირებანი უღაგაა“.

ინგლისი

„ზომი რამ ბალევიზიაზე“

ასეთი სათაურით დაიბეჭდა „ტაიმს ლიტერარი საბლემენტში“ მწერალსაპი მილიგენის ფელეტონი. მილიგენი იუმორის ფორმით გადმოგვცემს ტელევიზიის გავლენას ინგლისელებზე.

მწერლის აზრით, საყო-



ფაცხვებზე ტექნიკის დარგის არც ერთ გამოგონებას არ უმოქმედია ისე დამანგრეველად ოქაზზე, როგორც ტელევიზიას.

„ტელევიზიის გამოგონება ოქაზებისათვის უშუალოდ არაა იყო“...

„შედეგები ახლა ვლინდება“...

ეს მანქანა „საოცრად არაადამიანურია და შეუძლია უოველგვარი სისამაგლე გირვენოს“...

„ტელევიზია რუენის ლიტერატორებს, უპირველეს უოველისა კი დრამატურებს, — ამტკიცებს მილიგენი, — ერთ სატელევიზიო პიესას ისეთივე ანაზღაურება აქვს, როგორც თეატრისათვის მთელი წლის მუშაობას, დრამატურები მზად არიან ლიტერატურულ გარეწრებადაც კი იქცენ, ოღონდაც ფული მოიგონ“... შემდეგ მწერალი იხსენებს შოუს ნაყოფიერებას და აღნიშნავს — მისი მთელი პროდუქციის მოწოდებისათვის ტელევიზიას ნახევარი წელიც არ ეყოფაო. „იქ-

ნებ ასე ვუსწორდებით შოუს მსგავს თანამედროვეებს, — წერს ავტორი, — ხომ შეიძლება ისინი შეუმჩნეველიც კი გვჩნება სატელევიზიო პიესათა ვრცელ ზღვაში“?

მწერალს მხოლოდ ეს როდი აფრთხობს. იგი წარმოადგენს თანამედროვე ტელემაყურებელს, რომელიც აუღელვებლად შთანთქვს არა მარტო კინოს საშინელებებს, არამედ ვინეტანამისა თუ სუეცის ტრაგიკულ ქრონიკებს, მიწისძვრებს, ძარცვას, მკვლევლობებს. „რა საშინელებაა! — განცვიფრებულია ტელემაყურებელი და ყველაფერი ეს მისთვის მხოლოდდამხოლოდ სანახაობაა და არა ამაზრუნეი სინამდვილე.

იტალია

„ფაუსტის“ ახალი მარგმანი

იტალიური კრიტიკა საოცარ გულგრილობას იჩენს მხატვრული ლიტერატურ-

რის მთარგმნელ უსტატუო შრომის მიმართ. უსტატუო მაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია, რომელიც გოეთეს „ფაუსტის“ ახალ, ფრანკო ფორტინისეულ თარგმანს მიეძღვნა. ფართოდაა ცნობილი ფრანკო ფორტინის მრავალმხრივი ლიტერატურული შრომები, აგრეთვე მის მიერ მთარგმნილი ელიუარის ლექსები და ბრეტის ნაწარმოებები. ამჭრად ფორტინი მხოლოდ მთარგმნელად როდი გვევლინება, იგი შესავალი წერილის ავტორიცაა, რომელიც „ფაუსტს“ ერთვის და ფრიად სერიოზულ ლიტერატურულ გამოკვლევას წარმოადგენს.

„ფაუსტის“ თარგმანის ახალი ვარიანტი, — წერს „უნიტას“ კრიტიკოსი მიქელე რაგო, — მთარგმნელის მრავალი წლის შრომისა და მის მიერ შემუშავებული ორიგინალის გამოკვლევის საკუთარი მეთოდის ნაყოფია“.

გარეკანის II გვ.-ზე ნახ. ს. ცინცაძის.

ქრნალი გაფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჭ. ტყარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბაბისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-98-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 18/XI-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-71 წ., ქალაღლის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბაბი 14,5. შეკვეთა 4047. უე 02254. ტირაჟი 32600.

საქ. კბ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3560 60 353.

f 242/15



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236